არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Arnold Chikobava Institute of Linguistics

G i o r g i G o g o l a s h v i l i

GEORGIAN VERB
(FORM-BUILDING ISSUES)

Tbilisi

2010

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

ქ ა რ თ უ ლ ი ზ მ ნ ა

(ფორმაწარმოების საკითხები)

თბილისი

2010

რედაქტორები: **ავთანდილ არაბული**
მიხეილ ქურდიანი

რეცენზენტები: **თედო უთურგაიძე**
ვახტანგ იმნაიშვილი

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

ASBN

© გიორგი გოგოლაშვილი

ქართული ზმნის სარკვევი

პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა განსაკუთრებულად უერთგულა ქართული ზმნის პრობლემატიკას. შეიძლება ითქვას, თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში მას არასოდეს შეუჩერებია ფიქრი იმ პრობლემებზე, რომლებიც ქართული ზმნის ფორმაწარმოების ურთულეს სისტემასთან არის დაკავშირებული და რომელთაც მკვლევართა არაერთი თაობის ძალისხმევა შელევია. ეს იყო მეცნიერის საკვალიფიკაციო ნაშრომების უცვლელი თემა და ეგევე თემატიკა დომინირებს მის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში.

და, აი, ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინამდებარე მონოგრაფიის სახით მკითხველს სრული წარმოდგენა შეექმნება იმ მეცნიერულ შედეგებზე, რაც მრავალწლიანი ძალისხმევის შედეგად მოუპოვებია ავტორს; შესაძლებლობა ექნება ერთ მთლიანობაში დაინახოს და შეაფასოს მიღებული დასკვნები, ჩასწვდეს კვლევის პრინციპებსა და ლოგიკას.

პროფ. გიორგი გოგოლაშვილი საკმაოდ დეტალურად მიმოიხილავს იმ ისტორიულ წინაპირობებს, დაწყებული პირველი ფილოლოგიური გრამატიკებიდან — ვიდრე აკაკი შანიძემდე, რამაც მოამზადა საკვლევი პრობლემატიკის დღევანდელი ვითარება; მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ავტორი განსაკუთრებით გამოირჩევა ზმნური სისტემებისა და სტრუქტურების ფორმალური ანალიზის ერთგულებით. მან ამისათვის შესავლიდანვე მოამზადა თეორიული პოსტულატები საუღლებელ ფუძესა და მწკრივის სხვა ფორმალურ ელემენტებთან დაკავშირებით და შემდგომ თანამიმდევრულად იცავს ამ პრინციპს.

ამან განაპირობა, მაგალითად, ის, რომ მკვლევარმა ჩამოაყალიბა ქართული ზმნის უღლების რვამწკრივიანი პარადიგმა, გამორიცხა რა მწკრივის ფუძიდან რეგულარულად განმეორებადი, საერთო ელემენტი — ზმნისწინი. ფორმალური თვალსაზრისით ასეთი მოდელი თითქმის უგამონაკლისოდ მოქმედებს გარდამავალი ზმნის ფორმაწარმოებისას; და რადგანაც გარდამავალი ზმნის მოდელი ყველაზე უფრო სრულია

(უნაკლოა) ამ თვალსაზრისით, შეიძლება შემოთავაზებული პარადიგმატული წესი პირობითად განვაზოგადოთ მთელ სისტემაზე.

ამგვარად, ავტორი გვთავაზობს ენობრივ მონაცემთა აღწერით ანალიზს და ამას სულაც არ უშლის ხელს ის, რომ იგი მუდმივად ითვალისწინებს და, შეიძლება ითქვას, პარალელურ ჭრილში წარმოადგენს როგორც ძველი ქართულის, ისე თითქმის ყველა დიალექტის ზმნური ფორმაწარმოების (პარადიგმატულ) მონაცემებს.

ქართული ზმნით დაინტერესებული პირი ამიერიდან ამ ერთ წიგნში იხილავს თავმოყრილს არსებითად ყველა საკითხს, დაკავშირებულს სამივე სერიისა და მათში შემავალ მწკრივთა შესახებ.

კიდევ ერთი უნდა ითქვას ავტორის სასარგებლოდ: თითქმის არავის გამოუვლენია ისე ღრმად მწკრივთა წარმოების შინაგანი, სისტემური დეტერმინიზმი, როგორც ეს გ. გოგოლაშვილმა წარმოაჩინა (მაგალითად, წყვეტილისა და კავშირებითის მწკრივის ნიშანთა ურთიერთგანპირობებულობა და ამ სისტემური კანონების ისტორიული დინამიკა და მისთ.).

ბოლოსიტყვაში ავტორი ამბობს: „შეიძლება წიგნი არათანაბარი მოეჩვენოს კაცს: ზოგ საკითხს მეტი ყურადღება მივაქციეთ, ზოგს — ნაკლები... მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ ეს არ არის სისტემური კურსი“. როგორც ჩანს, მითითებული „უთანაბრობა“ მეცნიერული ძიების ბუნებიდან მომდინარეობს, ალბათ ამითაც არის ის საინტერესო. ამჯერად მთავარი ის არის, რომ წინამდებარე წიგნი ახალ ენერგიას შემოიტანს ქართული ენის გრამატიკული აგებულების შესწავლაში და ის დიდ სამსახურს გაუწევს ქართული ზმნით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

ავთანდილ არაბული
მიხეილ ქურდიანი

შესავალი

* * *

ცნობილი ჭეშმარიტებაა: სახელი ქართულ ენაში გაცილებით მარტივია, ზმნა — უაღრესად რთული. ამ სირთულემ ათქმევინა XIX საუკუნეში პლატონ იოსელიანს, რომ ქართულში ყოველი ზმნა უკანონოაო: „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონი; თვითეულსა ზმნასა აქვს თვისება გარდაკეთებისა სხვად ზმნად მიმატებითა, რომელთამე მარცვალთა მრავალთა სხვათა სიტყვისა ნაწილთა ძალუძსთ გარდაქცევა ზმნათ; აქედან გამოვალს სიძნელე კანონთა მიღებისა მათთვის“ (პ. იოსელიანი, 1840, გვ. 49). ნიჭიერი გრამატიკოსის ამგვარ შეფასებას ქართული ზმნის ბუნება შეაპირობებდა.

მომდევნო პერიოდის გრამატიკოსი ა. ჭუთათელაძე ასე აფასებს ვითარებას: „დღემდის მაინც ვერ ვიგდეთ ხელში ის კლიტე, რომელიც აღებს ყველა ზმნების კარს, რომ, შიგ რა არის, გავიგოთ; მაინც ვერ გავხსენით დღემდის იმ საიდუმლოების ნასკვი, რომელსაც ჰქვია უღვლილება. ე. ი. ვერ მივაგენით იმ კანონს, რომლის ძალითაც შეგვეძლებოდა ყოველი ზმნის ჩაგდება კალაპოტში უღვლილების დროს, და ისე, რომ ერთმანეთში არ აღგვრეოდა“ (ა. ჭუთათელაძე, 1897, გვ. 12).

1929 წელს არნოლდ ჩიქობავამ პ. იოსელიანის ზემომოყვანილი აზრი გაიხსენა და თქვა: „მას შემდეგ 88 წელმა განვლო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც ვერავინ იტყვის, რომ ეს სიძნელე დაძლეული იყოს; „ქართული ზმნის ხლართში მეცნიერული ანალიზის შუქმა ჯერაც ვერ შეატანა და, ალბათ, საკმაო დრო გაივლის, სანამ მისი უჩინარი მექანიზმის პირველადი ბერკეტები გაშიშვლდებოდეს“... თქმა არ უნდა, ბევრი რამ არის უკვე გარკვეული, შეიძლება ითქვას, ძირითადად შეიცვალა წარმოდგენა ქართული ზმნის შესახებ, მაგრამ ახლაც არა თუ გადაწყვეტილი არ არის ყველა საკითხი, არამედ დასმულიც კი სათანადოდ“ (არნ. ჩიქობავა, 1998, გვ. 13).

ამ სიტყვების თქმიდან 80 წელი გავიდა. გაკეთდა გაცილებით მეტი, ვიდრე მაშინ შეიძლებოდა წარმოედგინა კაცს. დაისვა და

გადაწყდა უამრავი საკითხი, პრობლემა. გამოქვეყნდა ასეულობით ნაშრომი, ათეულობით მონოგრაფია ქართული ზმნის საკითხებს რომ იკვლევს. და მაინც: გასაკეთებელი არის ალბათ გაცილებით მეტი, ვიდრე გაკეთდა დღემდე. ქართული ზმნა ამოუწურავი საბადოა, საგანძურია, რომლის გამომზეურება და სრულყოფილი შესწავლა მომავლის საქმეა.

წინამდებარე წიგნის ავტორის მიზანი ქართული ზმნის შესწავლაში შეძლებისდაგვარი წვლილის შეტანაა. ნაშრომი ჩვენი ოცდაათწლიანი ფიქრის შედეგია. ავტორი ბედნიერი იქნება იმით, თუ ეს ნაფიქრი თავის მიზანს მიაღწევს.

* * *

1984 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში თემატური სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა — „ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი“. ამ კონფერენციაზე წავიკითხე მოხსენება „ნაკვთეულთა სისტემა და უღვლილების ტიპები ახალ ქართულში“ (გ. გოგოლაშვილი, 1984(1)). ამ ნაშრომში პირველად დავსვი საკითხი იმის თაობაზე, რომ გადასასინჯია მწკრივთა რაოდენობის საკითხი ახალ ქართულში. კერძოდ, მიმაჩნდა, რომ მყოფადის წრის გამოყოფა (მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი) ფორმობრივი თვალსაზრისით არ არის გამართლებული და ახალ ქართულში რეალურად, ფორმობრივ-სემანტიკური თვალსაზრისით 8 მწკრივი გვაქვს (ნაცვლად საყოველთაოდ მიღებული 11 მწკრივისა). საკითხის ამგვარად დასმა მოულოდნელი აღმოჩნდა ზოგიერთთათვის და ზედმეტ სითამამედ ჩაუთვალეს ავტორს. ერთ-ერთმა ცნობილმა ენათმეცნიერმა აღშფოთება ვერ დამალა და რეპლიკის — „ფორმალიზმი ამაზე შორს ვერ წავაო“ — შემდეგ დარბაზი დატოვა...

მწკრივთა რაოდენობის საკითხი უღლების ზოგად საკითხებთან იყო გადაჯაჭვული და ვცადეთ, ეს თვალსაზრისი გაგვევრცო და არგუმენტირებული გაგვეხადა. 1988 წელს წიგნი გამოვიდა ამგვარი სათაურით — „ქართული ზმნის უღვლილების სისტემა“. წიგნის გამოსვლას დუმილით შეხვდნენ, მაგრამ როცა ეს ნაშრომი 1992 წელს სადოქტორო დისერტაციად წარვადგინე, პოლემიკა საკმაოდ მძიმე და სერიოზული იყო. სადისერტაციო საბჭომ დისერტანტს ძიებული ხარისხი მიანიჭა... ამ პრობლემებზე მუშაობა გრძელდებოდა.

რვა მწკრივის იდეა მომხრეებს იძენდა. ალ. ონიანის ორ წიგნში არის ვრცელი მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მყოფადის წრის გამოყოფა თანამედროვე ქართულში მორფოლოგიურად გაუმართლებელია (ა. ონიანი, 1998, გვ. 212 და შემდ.; ა. ონიანი, 2003, გვ. 148 და

შემდ.). ჩვენთვის ფასეულია თვალსაზრისთა ასეთი დამთხვევა, თუმცა ცოტა გაუგებრობას ამგვარი მსჯელობა იწვევს: „მსგავსი თვალსაზრისი, ერთგარად განსხვავებულ არგუმენტაციაზე დამყარებით, ჩვენგან დამოუკიდებლად, წამოყენებულია გ. გოგოლაშვილის ნაშრომში (მითითებულია 1988 წელს გამოცემული წიგნი — გ. გ.). როდესაც ეს ნაშრომი გამოქვეყნდა, ჩვენი შეხედულება იმ სახით, რა სახეც მას წინამდებარე წიგნში აქვს, უკვე ჩამოყალიბებული იყო, ამიტომ შესაძლებლად მივიჩნიეთ, ჩვენი შეხედულება უცვლელად წარმოგვედგინა, თუმცა არსებული თვალსაზრისის გათვალისწინება (ალბათ იგულისხმება გ. გოგოლაშვილის თვალსაზრისი — გ. გ.), მას (ე. ი. ა. ონიანის თვალსაზრისს? — გ. გ.) მხოლოდ სარგებლობას მოუტანდა. მკითხველს შეუძლია თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე გაეცნოს“ (!) (ა. ონიანი, 1998, გვ. 217). ასეთივე კომენტარი გვხვდება ავტორის შემდეგდროინდელ გამოცემაშიც: „მსგავსი თვალსაზრისი, ერთგვარად განსხვავებული არგუმენტაციით, ჩვენგან დამოუკიდებლად, წამოყენებულია გ. გოგოლაშვილის ნაშრომში (გ. გოგოლაშვილი, 1988, გვ. 82-99). როდესაც ეს ნაშრომი გამოქვეყნდა, ჩვენი აქ წარმოდგენილი შეხედულება **ხელნაწერში** უკვე დასრულებული იყო, ამიტომ შესაძლებლად მივიჩნიეთ მისი უცვლელად გამოქვეყნება...

გ. გოგოლაშვილის ნაშრომის გათვალისწინება, **ის რომ ჩვენი შეხედულების დასრულებამდე გამოქვეყნებულიყო** (ხაზი ჩვენია — გ. გ.), ცხადია, რამდენადმე შეამსუბუქებდა ჩვენს შრომას. ისე კი ორი ავტორის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მსგავს თვალსაზრისამდე მისვლა გარკვევით მეტყველებს თვალსაზრისის სასარგებლოდ“ (ა. ონიანი, 2003, გვ. 155). არადა, ეს წიგნი თითქმის 20 წლის შემდეგ დაიბეჭდა ჩვენი თვალსაზრისის გამოქვეყნებიდან... მაგრამ ამას ახლა ჩვენთვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა; მთავარი ისაა, რომ აქ დრო-კილოთა სისტემის ჩვენეული ხედვა არის გაზიარებული...

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: 1999 წლის 17 მაისს ენათმეცნიერ რამაზ ქურდაძის სადოქტორო დისერტაციის დაცვისას ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. ზ. სარჯველაძემ თქვა, რომ პროფ. გივი მაჭავარიანი სალექციო კურსში აღნიშნავდა I სერიაში მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფის მიზანშეუწონლობას; I სერიაში სამ მწკრივს მიიჩნევდა კანონიერად. ზ. სარჯველაძემ ისიც დაამატა, რომ ამ თვალსაზრისის შესახებ არ შეიძლება სცოდნოდა გ. გოგოლაშვილს, რადგან ეს სალექციო კურსი არ გამოქვეყნებულაო... ჩვენთვის ეს ცნობა ფრიად ფასეული იყო...

დრო-კილოთა სისტემის 8 ერთეულით წარმოდგენა დადებითად იქნა აღქმული და გარკვეულწილად მას დაემყარენ ზმნის უღლების ფორმალიზებული სისტემის აღწერისას (ქ. დათუკიშვილი, 1997...) და სხვა...

* * *

დრო-კილოთა სისტემაზე როცა ვმსჯელობთ, ყურადღებას იპყრობს სამეცნიერო ტერმინოლოგიის საკითხი. ეს პრობლემა განსაკუთრებით იჩენს თავს საუღლებელი ერთეულის (ზოგადად) და მისი სახელების (კონკრეტულად) ტერმინების მიმართ.

ვფიქრობ, ქართული გრამატიკის არცერთ სფეროში არა გვაქვს ასეთი სიჭრელე ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, როგორც ამ შემთხვევაში.

პრაქტიკულ გრამატიკებში საუღლებელი ერთეულის სახელად ძირითადად **დრო** იხმარება, მაგალითად, ანტონთან (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 140). იმასაც მიუთითებენ, რომ იგი ზოგჯერ **ყამ**-საც გამოიყენებს (იქვე), ზ. შანშოვანის ტერმინს (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 85). ხშირ შემთხვევაში აღრეულია **დრო, კილო,** როგორც საკუთრივ კატეგორია თუ საუღლებელი ერთეული. ადრეულ შრომებში, მაგალითად, სადოქტორო დისერტაციაში, ა. შანიძე გამოიყენებს **დროს, კილოს:** „თუ ზემორე მოყვანილ ზოგად ტაბულას (II) კერძო შემთხვევებისათვის ვიხმართ, ე. ი. ამა თუ იმ **დროისა** და **კილოსათვის** გამოვიყენებთ, მაშინ იგი... ასეთ სახეს მიიღებს“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 118) და იქვე სქემაა მოცემული:

ნამყო სრულის ჯგუფი

ნამყო სრული	მყოფადი (ანუ ნატვრ. კ.)
ნამყო მრავალგზითი	ბრძანებითი

აწმყოს ჯგუფი

აწმყო ერთგზითი	აწმყოს მრავალგზითი
ნამყო უსრული	ბრძანებითი

(იქვე, გვ. 118-120)

ამავე ნაშრომში **დრო-კილოც** გამოიყენება: „აწმყოს ჯგუფის დრო-კილოთა ფორმები უფრო ნაკლებად იხმარება“ (იქვე, გვ. 194).

ა. შანიძის 1930 წლის გრამატიკაში საუღლებელ ერთეულს **წევრი** დაერქვა: „პირველ სერიაში სამი **წევრია**“... შემდგომში **წევრი** იცვლება ტერმინით **რიგი**: „ყველა პირიანი ფორმა ზმნისა შეიძლება იყოს

ათ **რიგად**“... (ა. შანიძე, 1935, გვ. 025). საუღლებელი ერთეულის სახელად **რიგი** უფრო ადრე დ. კარიჭაშვილმა გამოიყენა (დ. კარიჭაშვილი, 1930, გვ. 6...). ა. შანიძის ზემომოყვანილი ციტატა ძველი ქართული ენის სახელმძღვანელოდანაა, რომელიც 1934 წელს გამოვიდა (ჩვენ დავიმოწმეთ მეორე გამოცემა); ამ სახელმძღვანელოს V გამოცემაში (1938 წ.) ავტორმა გამოიყენა **რიგის** სინონიმური სიტყვა **მწკრივი** და **მწკრივი** კატეგორიად გამოაცხადა.

შენიშვნა: 1942 წლის გრამატიკაში ა. შანიძე შენიშნავს: „მწკრივი“ წარმოდგება „მწკარ“-ისაგან, რომელიც იგივეა, რაც ბწკარი, პწკარი. ბწკარი ამჟამად სხვათა შორის, სტრიქონსაც აღნიშნავს წიგნში“ (ა. შანიძე, 1942, გვ. 209). **მწკრივ**-ში **-ივ** იმავე რიგის ფორმანტადაა მიჩნეული, როგორიცაა **ქვრ-ივ**-ში (← ქმრი-ივ), **მუდმ-ივ**-ში (ა. შანიძე, 1942, გვ. 142).

საბოლოოდ დამკვიდრდა კიდეც ეს ტერმინი ქართულ გრამატიკაში. 1941 წელს სპეციალური გამოკვლევაც მიეძღვნა ამ თემას (ა. შანიძე, 1941), რომლის ძირითადი დებულებები შევიდა „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, სადაც ავტორი ამ ტერმინის (**მწკრივი**) უცხო ენებზე თარგმნის საკითხზეც მსჯელობს: „სასურველი იქნებოდა, რომ ეს ტერმინი შესულიყო საერთაშორისო გრამატიკულ ტერმინოლოგიაში, მაგრამ გამარტივებული სახით, რომ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს გაუადვილდეთ მათი გამოთქმა. ჩემი წინადადება ასეთია: რუს. скрива (ж. р.), ფრ. la skrive, გერმ. die Skrive, ინგლ. the skrive (გამოთქვან, როგორც მოეხერხებათ). ამით საშუალება მოგვეცემა, თავი დავახწიოთ უხერხულობას ბევრგან და განსაკუთრებით სემიტური ენების ზმნებში, სადაც უღლების ფორმები უხვად გვაქვს, მაგრამ „დრო“ ხშირად არც კი“ (ა. შანიძე, 1942, გვ. 210). ეს შენიშვნა (და წინაც, რომელშიც ტერმინის დასაბუთება იყო) გრამატიკის საფუძვლების მომდევნო გამოცემებში (1953 და შემდგომი) ამოღებულია; გასაგებია: ტერმინის მოხერხებულობის, საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებისა და ავტორის ავტორიტეტის წყალობით ეს ტერმინი თითქმის საყოველთაოდ დამკვიდრდა.

საუღლებელი ერთეულის აღსანიშნავად არნ. ჩიქობავა ადრეულ შრომებში გამოიყენებს ტერმინებს **დრო, დრო-კილო** (არნ. ჩიქობავა,

1928, გვ. 194, 206...). მოგვიანებით ამ ტერმინის შესატყვისად არნ. ჩიქობავამ იხმარა „ნაკვთი“. როგორც ჩანს, ეს ტერმინი ადრეც ყოფილა გამოყენებული, ოღონდ არა საუღლებელი ერთეულის აღსანიშნავად, არამედ **ზმნური ფორმის** აღმნიშვნელად: „ნაკვთი, გამომხატველი იმის მოქმედების ან მდგომარეობის, რომელიც ლაპარაკობს, პირველი პირის ნაკვთად იწოდება“ და მისთანანი (იხ. დ. კარიჭაშვილი, 1930, გვ. 49). არნ. ჩიქობავას დამსახურებაა ის, რომ მისი სკოლის ენათმეცნიერთა შრომებში ეს ტერმინი დამკვიდრდა. აქ ერთი მომენტია საგულისხმო: ამ ტერმინის დამკვიდრებას ახლდა ცნების განსხვავებული გაგება — არნ. ჩიქობავას აზრით, „ნაკვთი ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს უღვლილების ერთეულზე ამ ერთეულის ფუნქციის აღუნიშნავად, ამიტომ ნაკვთი ვერ იქნება გრამატიკული კატეგორია (უფუნქციო კატეგორია არ არის კატეგორია!) ისევე, როგორც გრამატიკულ კატეგორიას არ გულისხმობენ ტერმინები „ბგერა“, „მარცვალი“, „ხმოვანი“, „ფუძე“ (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 8). მოგეხსენებათ, ა. შანიძის აზრით, მწკრივი გრამატიკული კატეგორიაა (ამის თაობაზე ქვევით უფრო დაწვრილებით მოგვიწევს საუბარი), ამიტომაც შემდგომში არჩევანი — მწკრივი თუ ნაკვთი — იმის შესაბამისად წყდებოდა, ამ ცნების როგორ გაგებასთან გვექნებოდა საქმე... ჩვეულებრივ, ა. შანიძის სკოლის წარმომადგენლები გამოიყენებდნენ ტერმინს **მწკრივი,** არნ. ჩიქობავასი — ტერმინს **ნაკვთი**. ამიტომ შეიძლება არც იყოს გამართლებული ამ ტერმინთა პარალელური გამოყენება ამა თუ იმ გამოკვლევაში, მაგრამ ამა თუ იმ ავტორის ნააზრევის მოხმობისას ზოგჯერ არ მოხერხდება, გვერდი ავუაროთ ტერმინს, რომელსაც იგი გამოიყენებს. ჩვენს შემთხვევაში ზოგჯერ პარალელური ხმარება ამ ტერმინებისა ამით იქნება შეპირობებული. მიუხედავად იმისა, ვიზიარებთ თუ არა ცნების ზუსტად იმგვარ გაგებას, რომელიც ტერმინს „მწკრივი“ ახლავს, ჩვენ მაინც უფრო მოხერხებულად მივიჩნევთ მას და ამიტომაც მსჯელობაში, ჩვეულებრივ, მას გამოვიყენებთ. საერთოდ კი განსახილველი საკითხისათვის ასეთ შემთხვევაში სინონიმურ ტერმინთაგან ერთ-ერთის შერჩევას პრინციპულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.

არაა ერთვაგვაროვნება, უფრო სწორად, საკმაო სიჭრელეა მწკრივთა სახელებად გამოყენებულ ტერმინებშიც.

„ცნობილია, რომ ტრადიციულად შემუშავებული გრამატიკული ნომენკლატურა ხშირად არ შეეფერება საქმის ნამდვილ ვითარებას და ზოგჯერ ისეთია, რომ პირდაპირ ხელს გვიშლის მოვლენის შესწავლისა

და სწორად შეფასების საქმეში. მაგრამ არსად ტრადიციული ტერმინები ისე ხელის შემშლელი არ ყოფილა, როგორც ზმნათა უღლების დარგში. ტრადიციის უგულებელყოფა რომ შესაძლებელი იყოს, სულ შესაცვლელია მთელი კომპლექტი მწკრივთა სახელებისა. იდეალური იქნებოდა, რომ მწკრივთა სახელების დარქმევის დროს მხედველობაში არ ყოფილიყო მიღებული მათი შემადგენელი ელემენტები, როგორიცაა დრო, კილო, გზისობა და სხვა, არამედ მონახულიყო სრულიად ნეიტრალური სახელები, — თუნდაც ხელოვნური, რომლებიც მიეკუთვნებოდა ამა თუ იმ მწკრივს; ვთქვათ, სახელები დარქმეოდათ მათ ხეების სახელების მიხედვით: არყისა, ფიჭვისა, ნაძვისა, სოჭისა, წიფლისა, რცხილისა, წაბლისა, მუხისა და სხვა (ეს აზრი — „ხეების სახელები“ — 1942 წლის გამოცემაში არაა, ჩნდება 1953 წ. — გ. გ.), რაც არსებითად ერთგვარი რეფორმა იქნებოდა. მაგრამ რადგანაც ამის შესაძლებლობა ამჟამად არ არის, ისეთი ხერხი მაინც უნდა იქნეს მოძებნილი, რომ მოვლენის არსებითი მხარე არ დაიჩრდილოს“ (ა. შანიძე, თბ., 1973, გვ. 217).

ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს ზემომოყვანილი მსჯელობა კიდევ უფრო კონკრეტდება მწკრივთა სახელების დარქმევის შემთხვევისათვის: „მწკრივების სახელთა დარქმევის დროს შეიძლება შემდეგი პრინციპით ვიხელმძღვანელოთ: როდესაც მწკრივში ელემენტთაგან მარტო დრო და კილო არის, თხრობით კილოიან მწკრივებს დროის მიხედვით დავარქვათ სახელი, სხვა კილოიან მწკრივებს კი — კილოთა მიხედვით. როდესაც მწკრივში დროისა და კილოს სხვა ელემენტიც ემატება, მაშინ სახელის არჩევის დროს მთავარი ყურადღება ამ დამატებულ ელემენტს მიექცეს. თუ სადმე ნეიტრალური სახელი მოიძებნება, ტრადიციულად შემუშავებული, ის თავის ალაგას იქნეს გამოყენებელი... ამ შემთხვევაშიც მწკრივის ცნება არ უნდა ავრიოთ დროის ან კილოს ცნებასთან“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 217).

ფაქტობრივ, ეს ორი მსჯელობა არის ინსტრუქცია იმისათვის, თუ როგორ უნდა შემუშავდეს ტერმინები, რას უნდა მიექცეს ყურადღება. კიდევ ერთი მსჯელობა ტერმინოლოგიური ხასიათისა: „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ **დროის** აღსანიშნავად მხოლოდ ეს სამი ტერმინი გვაქვს გამოყენებული: **ეხლანდელი, წარსული** და **მომავალი.** რაც შეეხება აქამომდე არსებულებს **აწმყოს, ნამყოს** და **მყოფადს,** ისინი შეიძლება გარკვეულ მწკრივებს მივაკუთვნოთ. აქაც ქართულში ამათგან მარტო „აწმყო“ და „მყოფადი“ გვჭირდება. „ნამყო“ კი შეიძლება სხვა ენებისათვის გამოგვადგეს“

(ა. შანიძე, 1973, გვ. 199). აქ კიდევ ერთ მომენტს მივაპყროთ ყურადღება: ა. შანიძე როცა აკეთებს არჩევანს, ეს არჩევანი ყოველთვის მოტივირებულია, არგუმენტირებულია. მაგალითად, განმარტება იმისა, თუ რატომ ამჯობინა ეს ტერმინები: „ტერმინები **აწმყო, ნამყო, მყოფადი** ხელოვნურია და ანტონ I-ისაგან მომდინარეობს. პირველ ორ მათგანს ჩამოკვეცილი აქვს ბოლო მარცვალი: **აწმყო(ფი), ნა-მყოფ(ფი). მყოფადი** (მყოობადი, მყობადი) იგივეა, რაც ყოფადი, ე. ი. რაც უნდა იყოს.

აღნიშნული ტერმინები ხელოვნურობის გარდა რამდენადმე უხერხულიც არის ამჟამად, რადგანაც „აწმყო“-ში **აწ** ძველი მნიშვნელობით არის ნახმარი: აწ, — ეხლა, აწ-მყო(ფი) — ეხლა მყოფი, მაგრამ დღეს ტერმინის პირველ ნაწილს „აწის“ უკავშირებენ, რომელსაც დასავლურ კილოებში სულ სხვა მნიშვნელობა აქვს: აწი (აწით) — ამას იქით, ამიერიდან“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 199).

მიუხედავად ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულებისა, **აწმყოსა** და **მყოფადს** ა. შანიძე მწკრივის სახელებადაც გამოიყენებს; ასე რომ, პირობითობა და ტრადიციის ანგარიშის გაწევა ფაქტია ტერმინთა შერჩევისას...

ტერმინთა შერჩევის პრობლემურობაზე საუბრობს ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ც. ზმნურ ტერმინოლოგიაზე, კერძოდ დრო-კილოთა სისტემის ერთეულთა შესახებ როცა მსჯელობს, ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს ნაკვთის ფუნქციური მხარე; „რაც შეეხება ნაკვთის ფუნქციას, აქ საჭიროა იყოს გათვალისწინებული ნაკვთის (...) სემანტიკურ-სტილისტური შინაარსი, ერთის მხრით, და სინტაქსური მხარე, ე. ი. კონსტრუქცია, რომელსაც ნაკვთი მოითხოვს...“ იქვე აღნიშნავს, რომ „ერთი რომელიმე ფუნქციით ნაკვთის დახასიათება, რა თქმა უნდა, მით უფრო შეუძლებელია, რომ ისეთი შედარებით მარტივი მოვლენა, როგორსაც წარმოადგენს სადაურობის წარმოება, სადაურობის აღნიშვნით არ ამოიწურება (თუში — თუშური; ზმნა — ზმნურ-ი, სუბიექტი — სუბიექტურ-ი). გაუგებრობას აგვაცილებდა ნაკვთის სახელი სტრუქტურული თვალსაზრისით მოგვეცა (უბრალო ნუმერაციის წესითაც კი!), ხოლო თუ ფუნქციებზე დაყრდნობით დავახასიათებდით ნაკვთს, ძირითადი ფუნქცია უნდა გამოვყოთ და არ ვივარაუდოთ, თითქოს ამით სრული ფუნქციური დახასიათება წარმოვადგინეთ“ (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 102). საერთოდ კი, საგულისხმოა ავტორის ზოგადი შეგონება: „მეცნიერული აზროვნებისათვის მთავარია ცნება და არა ტერმინი. ტერმინს თავისთავადი ღირებულება

არა აქვს, იგი ცნების გადმოცემას ემსახურება“ (არნ. ჩიქობავა, 1948(1), გვ. 7).

ასე რომ, საუბრობენ ტერმინთა შერჩევის პრობლემურობაზე; ზოგ შემთხვევაში კრიტიკული ანალიზის შემდეგაც ძალაში რჩება ტრადიციული ტერმინები. მაგ.: აწმყო (ა. შანიძე და სხვ.), თურმეობითი (არნ. ჩიქობავასთან...). ზოგ შემთხვევაში ტრადიციულად ქცეული ტერმინის ჩანაცვლება ხდება; მაგ.: უწყვეტელი (ა. შანიძე) — ნამყო უსრული (არნ. ჩიქობავა); წყვეტილი (ა. შანიძე) — ნამყო ძირითადი (არნ. ჩიქობავა)...

კონკრეტულად საუღლებელ ერთეულთა აღმნიშვნელ ტერმინებზე შესაბამის ერთეულთა ანალიზის დროს ვისაუბრებთ. ჩვენ ძირითადად ვეცდებით, გამოვიყენოთ ის ტერმინები, რომლებიც უფრო მიღებულია სახელმძღვანელოს ტიპის გამოცემებში და ამიტომ უფრო მეტად არის გავრცელებული. ცხადია, ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ა. შანიძის მიერ დამკვიდრებულ ტერმინებს. თუკი ამის საჭიროება იქნება, შევეცდებით დავასაბუთოთ, რატომ ვანიჭებთ უპირატესობას რომელიმე ტერმინს. საერთოდ კი, დრო-კილოთა სისტემის კვლევის ამ ეტაპზე ამა თუ იმ ტერმინის შერჩევას პრინციპულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.

* * *

დრო-კილოთა სისტემის სადღეისო პრობლემებზე სანამ დავიწყებთ საუბარს, თვალს გადავავლებთ საუღლებელ ერთეულთა გამოყოფის, კვალიფიკაციის, კლასიფიკაციის ისტორიას ზურაბ შანშოვანიდან მოყოლებული ნიკო მარამდე; ანუ პრაქტიკული გრამატიკების პერიოდს სამეცნიერო გრამატიკამდე. ეს გზა საკმაოდ რთული და ძნელი იყო. განსაკუთრებით ქართული ზმნის სისტემაში გარკვევა უჭირთ გრამატიკოსებს.

ზემოთაც აღვნიშნეთ, ზმნის სისტემის სირთულემ პლატონ იოსელიანს ასეთი რამ ათქმევინა, რომ „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონიო“.

პრობლემას ხედავდნენ და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ამ პრობლემების მოგვარებას; არის შედეგები, რომელთაც ფასი დღესაც არ დაუკარგავს. ამიტომ ყოველი ცდა გრამატიკული ანალიზისა მნიშვნელოვნად გვესახება და აუცილებლად მიგვაჩნია ამ შედეგების გათვალისწინება დღევანდელი სისტემის სწორად გააზრებისა და აგებისათვის.

ზემოთ ტერმინოლოგიურ პრობლემებზე გვქონდა საუბარი. ალბათ, ქართული ზმნის სისტემის ანალიზის დროს არცერთ კატეგორიას

არ მიუპყრია მკვლევართა ყურადღება იმდენად, რამდენადაც ეს საუღლებელ ერთეულთა სისტემას ხვდა წილად. ალბათ, არცერთ სხვა შემთხვევაში არ ყოფილა ისეთი განსხვავებული თვალსაზრისები, როგორც ეს ამ შემთხვევაში იყო.

ერთ მაგალითს მოვიყვან მეოცე საუკუნის ქართული ენათმეცნიერებიდან:

ნიკო მარი ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დრო-კილოთა მეორე სერიაში **ორ მწკრივს** გამოყოფს:

1. აორისტი
2. II კავშირებითი (ნ. მარი, 1908)

არნ. ჩიქობავას აზრით, II სერიაში **3 მწკრივი** უნდა გამოიყოს:

1. ნამყო ძირითადი
2. ხოლმეობითი
3. კავშირებითი მეორე (არნ. ჩიქობავა, 1948(1), გვ. 55)

4 მწკრივს გამოყოფს ადრეულ შრომებში აკაკი შანიძე:

1. წყვეტილი
2. II კავშირებითი
3. II ხოლმეობითი
4. ბრძანებითი კილო (ა. შანიძე, 1920, გვ. 6)

შენიშვნა: ტერმინოლოგიურ სხვაობაზე ამჯერად ყურადღებას არ ვამახვილებთ.

სწორედ ეს ოთხმწკრივიანი ვარიანტი მიაჩნია სწორად ზ. სარჯველაძეს (ზ. სარჯველაძე, 2004, გვ. 94).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველ ქართულში II სერიაში **4 მწკრივი** უნდა გამოიყოს (გ. გოგოლაშვილი, 1988)

1. წყვეტილი
2. II ხოლმეობითი
3. II კავშირებითი
4. შერეული კავშირებითი

მოგვიანებით II სერიის მწკრივთა რაოდენობა ა. შანიძის მოძღვრებაში **ხუთამდე** გაიზარდა:

1. წყვეტილი
2. II ხოლმეობითი
3. II ბრძანებითი

4. II კავშირებითი
5. შერეული კავშირებითი (შერეული მყოფადი)

(ა. შანიძე, 1976).

ლევან კიკნაძის აზრით, ძველ ქართულში II სერიაში **რვა მწკრივი** უნდა გამოიყოს:

1. წყვეტილი
2. II ხოლმეობითი
3. II ბრძანებითი
4. II კავშირებითი
5. შერეული ნამყო
6. შერეული ხოლმეობითი
7. შერეული ბრძანებითი
8. შერეული კავშირებითი

(ლ. კიკნაძე, 1967)

ამჯერად ჩვენ არ განვიხილავთ ამ თვალსაზრისებს, ამის გაკეთებას ქვევით შევეცდებით. ჩვენ მხოლოდ იმის ჩვენება გვსურდა, თუ დღეს აზრთა როგორი სხვადასხვაობაა, ერთ კონკრეტულ საკითხზე — რამდენი მწკრივია ძველ ქართულ ენაში II სერიაში. როგორც დავინახეთ, რაოდენობა მერყეობს 2-დან 8-მდე! რა ხდება? რა არის მიზეზი თვალსაზრისთა ასეთი სხვაობისა? რატომ არის, რომ ერთი და იგივე ფორმა ერთ ავტორთან დამოუკიდებელ მწკრივად მიიჩნევა, სხვა ავტორთან — არა. და რა კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როცა მწკრივს გამოვყოფთ?...

მწკრივის, როგორც ფორმობრივ-ფუნქციური მონაცემის, დეფინიცია გვაქვს კი საერთოდ? ესა თუ ის ფორმა როდის შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელ მწკრივად და როდის — ერთი და იმავე მწკრივის ფორმობრივ ვარიანტებად?

მოკლედ: კითხვაა უამრავი, რომლებზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. შევეცდებით ამ წიგნში მსგავს კითხვებს პასუხი გავცეთ; ის ვარიანტი შევთავაზოთ მკითხველს, რომელიც ჩვენ ამ თემაზე ფიქრისას ლოგიკურად გვეჩვენებოდა.

ქართული ენის განვითარების ეტაპების (პერიოდების) შესახებ

ჩვენს ნაშრომს „ქართული ზმნა“ დავარქვით. ეს არ არის წიგნი ძველი ქართულის ან ახალი ქართულის შესახებ... ცხადია, ვიკვლევთ ახალ ქართულ ენას, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ქართული ენის გან-

ვითარების სხვადასხვა ეტაპის, სხვადასხვა ნაირსახეობის მონაცემებს... მარტივ ჭეშმარიტებას ბრძანებს ა. შანიძე: „ისტორიული თვალსაზრისის გამოყენება და დიალექტურ ფორმათა მოყვანა შედარების მიზნით კიდევ უფრო საჭირო გახდა უღლების თავში (§§ 445-565), ვიდრე წინა თავებში, რადგანაც ამის გარეშე ბევრი ფაქტი ახალი სალიტერატურო ქართულისა გაუგებარი დარჩებოდა: აქ ხშირად ერთმანეთშია გართული ძველი და ახალი ფორმები და მათ-მათი ადგილის მიჩენა შეიძლება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რა ვითარება იყო წინა ეპოქებში. მართლაც, თუ ისტორიას არ მივმართეთ, საიდან უნდა გავიგოთ, რა არის ის **o**, რომელიც „ვუნდივარ“-ში გვაქვს, ან რა უძევს საფუძვლად პარალელური ფორმების ხმარებას, როგორიცაა: დაეშავა (§ 491), წავეკიდეთ და წავეკიდენით (§ 497) და სხვა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 018). ვერც ისეთ ტერმინებს ავუვლით გვერდს, როგორიცაა ძველი, ახალი და საშუალი ქართული... ამიტომაც, აქ მაინც საჭიროდ ვთვლით, ჩვენეული ხედვა შევთავაზოთ მკითხველს ქართული ენის განვითარების ეტაპების (პერიოდების) შესახებ.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქართული ენის პერიოდიზაციის საკითხი აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს.

არსებობს თვალსაზრისი, რომ არ უნდა მოხდეს ქართული სალიტერატურო ენის პერიოდებად დაყოფა: „თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ერთი სალიტერატურო ენით იქმნებოდა და იქმნება დღემდე... სპეციალურ ლიტერატურაში ხმარებული იმგვარი ტერმინები, როგორიცაა „ძველი ქართული ენა,“ „ძველი ქართული ლიტერატურა,“ ეს არის პირობითი, სამუშაო ტერმინები, უმთავრესად სხვა ხალხთა წამხედურობით შექმნილი, რომლებიც იხმარება მეცნიერული კვლევა-ძიების დროს გამოყენებული მასალის მარჯვედ დასაჯგუფებლად...“ მკვლევრის აზრით, „ძველ და ახალ წერილობით ძეგლებს შორის არსებული ენობრივი სხვაობა არავითარ საფუძველს არ ქმნის დედაქართულის „ძველ“ და „ახალ“ ქართულად გამოყოფისათვის“ (რ. თვარაძე, 1978, 42).

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ორი პერიოდი უნდა გამოიყოს: „ძველი ქართულისა (V-XI სს) და ახალი ქართულისა (XII- საუკუნიდან დღემდის). ახალი ქართულის ჩამოყალიბება XII საუკუნიდან იწყება საერო მწერლობის ძეგლებში; XVIII საუკუნისთვის ეს პროცესი დამთავრებულია... ახალი ქართულისა და ძველი ქართულის გვერდით ვერ და-

ვაყენებთ XII-XVII საუკუნეთა ქართულს; მას დამოუკიდებელი სახე არ აქვს, არც გრამატიკული წყობისა და არც ძირითადი ლექსიკური ფონდის მხრივ. ე. ი. არც ერთი იმ მომენტის მიხედვით, რაც ენის საფუძველს ქმნის... მას, როგორც გარდამავალ საფეხურს, ცალკე პერიოდად — ძველი და ახალი ქართულის გვერდით — ვერ გამოვყოფთ“ (არნ. ჩიქობავა, 1952, 364).

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში სამ პერიოდს გამოყოფს აკაკი შანიძე:

ძველი ქართული ენა (V-XI სს.);

საშუალი ქართული ენა (XII-XVIII);

ახალი ქართული ენა (XIX-XX სს.) (ა. შანიძე, 1920; 1976 და სხვა).

ეს თვალსაზრისი დღეს ყველაზე მეტად არის გავრცელებული; მის დასაბუთებას საგანგებო წერილში შეეცადა ზ. ჭუმბურიძე (ზ. ჭუმბურიძე, 1982). იქვე წარმოდგენილია საკითხის შესწავლის ვრცელი მიმოხილვა.

სამ პერიოდს (V-XI, XII-XVII და XIX-დან) გამოყოფს ი. ქავთარაძე და დაუმატებს: „აღნიშნული სამი პერიოდის შიგნით არის გარდამავალი ეტაპები, ქვეპერიოდები, რომელთა გამოყოფა ფაკულტატიურია და შეიძლება დაემყაროს, ლექსიკურ-გრამატიკულის გარდა, ფუნქციურ-სტილისტურ პრინციპებს. ასეთი იქნებოდა ძველში არაბობამდელი და XI საუკუნის ქვეპერიოდები; საშუალში, XII-XIII საუკუნეების სამწერლობო ქართული, XIV-XVII საუკუნეებისა და ანტონის შეხედულებათა ბატონობისა (1760-1850წ.წ.); ახალში 1850-იანი წლებიდან 1921 წლამდე და 1921 წლიდან დღემდე“ (ი. ქავთარაძე, 1972, გვ. 35).

სალიტერატურო ენის განვითარებაში სამ პერიოდს გამოყოფს ფ. ერთელიშვილი, თუმცა დაყოფა განსხვავებულია: „ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია ამგვარი დაყოფითა და ტერმინებით წარმოგვიდგება: ძველი სალიტერატურო ენა — V-XI სს., ახალი სალიტერატურო ენა — XII-XIX სს., თანამედროვე სალიტერატურ ენა — XX ს. (ფ. ერთელიშვილი, 1968).

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ხუთ პერიოდს (ავტორი მას ეტაპებს უწოდებს) გამოყოფს ბ. ჯორბენაძე: სალიტერატურო ენის განვითარებაში „უნდა გამოვყოთ რამდენიმე პერიოდი: 1. **პირველი**, საწყისი ეტაპია ძველი ქართული, კლასიკური სალიტერატურო ენა V საუკუნიდან XI-XII საუკუნეებამდე, რომლისთვისაც ნიშანდობლივია მკვეთრად გამოყოფილი კანონზომიერებანი, კერძოდ კანონიზებულია ფორმების მკვეთრად დაცვა... 2. ქართული სალიტერატურო

ენის განვითარების **მეორე** ეტაპი XI-XIII საუკუნეებიდან იღებს სათავეს, როცა საერო ლიტერატურის დამკვიდრებას არსებითი ცვლილებები მოჰყვა ენობრივი თვალსაზრისითაც... 3. ... რეალური საფრთხე განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნეებში დაუდგა ქართულ ენას. უთუოდ ამგვარ ვითარებაზე რეაქციას წარმოადგენს ანტონის სამი სტილის თეორია... სწორედ ეს თეორია დაედო საფუძვლად ქართული სალიტერატურო ენის **მესამე** ეტაპს... 4. მხოლოდ ცოცხალი კილოების შინაგანი განვითარების ტენდენციათა შესისხლხორცება გადაარჩენდა ქართულ ენას სრული განადგურებისაგან. ეს პროცესი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო თერგდალეულთა მესვეურობით და იგი უკვე **მეოთხე** ეტაპია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა... 5. XX საუკუნის 10-20-იან წლებში ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებმა, ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ახალი თვალსაწიერი გადაუშალა ქართულ სალიტერატურო ენას. მას პირობითად თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა შეიძლება ეწოდოს (**მეხუთე** ეტაპი)“ (ბ. ჯორბენაძე, 1989).

ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურისა და ისტორიის კვლევისას ამ თემას მრავალი მეცნიერი შეხებია. ისინი ძირითადად იზიარებენ ა. შანიძის ან არნ. ჩიქობავას თვალსაზრისებს. მათ ჩამოთვლას აღარ შევუდგებით. რ. თვარაძის თვალსაზრისი, ფაქტობრივ, არავის გაუზიარებია, პირიქით, საკმაოდ მკაცრადაც გააკრიტიკეს (შ. ძიძიგური, 1978; ზ. ჭუმბურიძე, 1982).

ფ. ერთელიშვილისა და ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისები ნაკლებად პოპულარულია (ამიტომ შევეცადეთ უფრო ვრცლად წარმოგვედგინა), თუმცა, ვფიქრობთ, საინტერესოა და ანგარიშგასაწევი.

რატომ ჩავთვალეთ საჭიროდ ამავე საკითხზე ყურადღების გამახვილება? ვფიქრობ, მსჯელობისას არათანაბარი ოდენობის ერთეულებია დაყენებული გვერდიგვერდ. კერძოდ: რის პერიოდიზაციას ვახდენთ: ქართული სალიტერატურო ენისას თუ ქართული ენისას? შევეცდებით ჩვენი შეკითხვა განვმარტოთ.

რა არის სალიტერატურო ენა?

ჩვეულებრივ განმარტავენ: „სალიტერატურო ენა არის ეროვნული ენის უმაღლესი და დახვეწილი, ნორმირებული სახე“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 205). სალიტერატურო ენა არ ფარავს ეროვნულ ენას. ჩვენთვის ამოსავალია თვალსაზრისი: „ეროვნული ენა აერთიანებს ყველაფერს — ყველა სახის დიალექტს, სალიტერატურო ენას, სხვადასხვა სა-

ხის კოინეს, იდიოლექტს. აქ უფრო კონგლომერატთან გვაქვს საქმე, ვინემ მკაცრ ენობრივ სისტემასთან“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 151). შესაბამისად, ნებისმიერი ენობრივი სახესხვაობა, ნაირსახეობა (ტერმინისათვის იხ. უ. ვაინრაიხი, 1968) არის შემადგენილი ნაწილი ეროვნული ენისა, იქნება ეს ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტი, სოციალური დიალექტი თუ სალიტერატურო ენა. როგორც ითქვა, სალიტერატურო ენა არის „უმაღლესი და დახვეწილი, ნორმირებული“ სახესხვაობა ეროვნული ენისა; მეტ-ნაკლებად ხელოვნური, უფრო მეტად კონსერვატიული, ვიდრე ბუნებრივი სახესხვაობანი.

ამდენად, როცა ვსაუბრობთ თანამედროვე ქართულ ენაზე (**ქართული ენა** ჩვენს მსჯელობაში უდრის **ეროვნულ ენას**), იგულისხმება ერთობლიობა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისა და ყველა იმ ნაირსახეობისა, რომლებიც მოეპოვება დღეს ქართულ ენას, უპირველესად ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტებისა. ვიმეორებთ: დიალექტები ბუნებრივი ნაირსახეობანია თანამედროვე ქართული ენისა, ხოლო სალიტერატურო ენა — ზედიალექტური, ნორმირებული ნაირსახეობა, მეტ-ნაკლებად ხელოვნური; ცხადია, სხვადასხვა სახისა, მაგრამ მაინც ერთი დონის (დროული გაგებით) ერთეულები. ნებისმიერი ეპოქის, ნებისმიერი დროის ეროვნული ენა მსგავსი კონგლომერატია (ცხადია, ვგულისხმობთ ენას, რომელსაც მოეპოვება სალიტერატურო სახესხვაობა).

ამ პოზიციიდან ვხედავთ განსახილველ პრობლემას.

ახალი ქართული არის ენის განვითარების ერთი საფეხური ყველა ზემოწარმოდგენილი ნიშნის მიხედვით; ჩვენ მასზე შეგვიძლია ვიქონიოთ სრულყოფილი წარმოდგენა მისი შემადგენელი ყველა სახესხვაობის გათვალისწინებით, ანუ; სალიტერატურო ენითა და დიალექტებით.

ასე არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძველი ქართული ენის შესახებ. ძველ ქართულ ენაზე წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ მხოლოდ მისი ერთი ნაირსახეობის — სალიტერატურო ენის — მიხედვით. ანუ: ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ძველ ქართულ სალიტერატურო ენას და არა გვაქვს წარმოდგენა, მის გვერდით რა სახესხვაობანი იყო ძველი ქართულისა. ცხადია, სალიტერატურო ენის გვერდით იყო არაერთი დიალექტური სახესხვაობა. ასახელებენ კიდეც სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მათგანს: ა) სამხრეთ-აღმოსავლური დიალექტი (იგივე ხანმეტი), ბ) სამხრეთ-დასავლური დიალექტი (იგივე ჰაემეტი), გ) ცენტრალური დიალექტი (იგივე -**ეჱ** კილო), დ) ჩრდილო-აღმოსავლური (იგივე ფხოური კილო). ეს ვარაუდებია (საკმაოდ სარწმუნო არგუმენტებზე

დამყარებული). როგორც ვთქვით, რეალურად შეგვიძლია მსჯელობა მხოლოდ სალიტერატურო ნაირსახეობაზე.

ამგვარად, ძველი ქართული ენა და ახალი ქართული ენა ჩვენს წარმოდგენაში სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულებია. პირველ მათგანს ვიცნობთ მხოლოდ ერთი ნაირსახეობით; მეორეს — სრულყოფილად, ყველა ნაირსახეობით. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია **ძველი ქართული სალიტერატურო ენის** გვერდით მხოლოდ **ახალი ქართული სალიტერატურო ენა** განვიხილოთ — როგორც თანაბარი დონის ენობრივი ერთეულები.

არავინ დაობს და არც შეიძლება სადავო იყოს ის, რომ ეს არის კლასიკური გაგებით ორი სალიტერატურო ენა ყველა „იმ მომენტის მიხედვით, რაც ენის საფუძველს ქმნის“ (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 369).

არსებობს თუ არა საშუალი ქართული სალიტერატურო ენა? ანუ ახლისა და ძველის გვერდით მესამე სახესხვაობა სალიტერატურო ენისა „ყველა იმ მომენტის გათვალისწინებით, რაც ენის საფუძველს ქმნის?“ ცხადია, არა. არ იზიარებენ, მაგრამ არავის უცდია განხილვა და უარყოფა მსჯელობისა: „ახალი ქართულისა და ძველი ქართულის გვერდით ვერ დავაყენებთ XII-XVII საუკუნეთა ქართულს; მას დამოუკიდებელი სახე არ აქვს არც გრამატიკული წყობისა და არც ძირითადი ლექსიკური ფონის მხრივ“ (არნ. ჩიქობავა, იქვე). არადა, ძველისა და ახლის გვერდით მესამე ერთეულის გამოყოფისათვის ეს აუცილებელი პირობაა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძველი ქართული სალიტერატურო ენის სისტემაზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენის სისტემაზე; მაგრამ ვერ ავაგებთ საშუალი ქართული სალიტერატურო ენის სისტემას, რადგან ასეთი რამ არ არსებობს. საშუალი ქართულის შესახებ წერენ: „ამ პერიოდის სალიტერატურო ენის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ფორმათა სიჭრელე და ერთიანი ნორმების უქონლობა“ (ზ. ჭუმბურიძე, 1982, გვ. 24). ფორმათა სიჭრელე და ერთიანი ნორმების უქონლობა არ შეიძლება იყოს სალიტერატურო ენის ნიშნები.

ამდენად, თუ ვმსჯელობთ **ქართული სალიტერატურო ენის** თაობაზე, მართებული იქნება, გამოიყოს **ორი ერთეული — ძველი ქართული სალიტერატურო ენა** და **ახლი ქართული სალიტერატურო ენა;** რეალური ფაქტია როგორც ერთი, ასევე — მეორე.

რა არის საშუალი ქართული? არსებობს თუ არა ასეთი რეალობა? ცხადია, არსებობს, მაგრამ ის არ არის სალიტერატურო ენა. უფრო სწორად, არ არსებობს საშუალო ქართული სალიტერატურო ენა

ყველა იმ პარამეტრის მიხედვით, რაც უნდა ახასიათებდეს სალიტერატურო ენას. გავიხსენოთ: „ყველა სალიტერატურო ენას აქვს თავისი ნიშნები:

ა) იგი არის საერთო და სავალდებულო ყველასათვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს;
ბ) სალიტერატურო ენა არის სამწერლობო და ზეპირი...
გ) სალიტერატურო ენა არის ნორმირებული...
დ) სალიტერატურო ენა არის ოფიციალური ურთიერთობის საშუალება“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, 154).

საუბრებია სხვა ნიშნებზეც, მაგრამ არც ერთი ეს ნიშანი არაა დამახასიათებელი საშუალი ქართულისათვის. უფრო სწორად, XII-XVIII საუკუნეების ქართული არ შეიძლება გაერთიანდეს ამ ნიშნების მიხედვით; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენობრივი ერთეული — საშუალი ქართული — არ არის იმ ნიშნების მატარებელი, რაც მას წარმოგვიდგენდა როგორც სალიტერატურო ენას, განსხვავებით ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენისაგან.

ამ მსჯელობით ჩვენ მხარს ვუჭერთ თვალსაზრისს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ორი პერიოდის გამოყოფის თაობაზე. მაგრამ მსჯელობას აქ ვერ შევწყვეტთ. არ არსებობს საშუალი ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ საშუალი ქართული, როგორც ენობრივი რეალობა, ფაქტია — უაღრესად რთული და საინტერესო. მაგრამ იგი განიხილება, როგორც კონგლომერატი — სხვადასხვა ტიპის სახესხვაობათა ერთობლიობა.

დაიძებნა ცალკეული ენობრივი მოვლენები, ფაქტები, რომლებიც თავს იჩენს საშუალი ქართულის პერიოდში (იხ. ზ. ჭუმბურიძე, 1982); მაგრამ მათ შორის არ არის არც ერთი ენობრივი ფაქტი და მოვლენა, რომელიც თანაბრად იყოს დამახასიათებელი XII-XVIII საუკუნეების ქართულისათვის, როგორც ამ პერიოდის ენობრივი ნორმა. სხვაგვარად, არ დასტურდება არც ერთი ენობრივი ფაქტი თუ მოვლენა, რომელიც ძველისა და ახლის გვერდით (მათ მსგავსად) შეიძლება მივიჩნიოთ საშუალი ქართულის ნორმად. ჩვენ არ ვსაუბრობთ ისეთ ფაქტებსა თუ მოვლენებზე, რაც ნორმა იყო ძველისათვის ან ნორმაა ახალი ქართულისათვის და გვაქვს საშუალშიც. ჩვენი მსჯელობა, ცხადია, არ უარყოფს საშუალი ქართულის ფაქტებსა და მოვლენებს, მაგრამ სხვა კვალიფიკაციას აძლევს მას. კერძოდ: ეს ენობრივი ფაქტები თუ მოვლენები არის დამახასიათებელი საშუალი ქართულის სხვადასხვა სახესხვაობისათვის. ეს სახესხვაობები შეიძლება განიხილებოდეს დროშიც და სივრცეშიც.

ანუ: არის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელია საშუალი ქართულის მხოლოდ ადრეული პერიოდისათვის და — პირიქით, დამახასიათებელია მხოლოდ მოგვიანო პერიოდისათვის.

ამავე პერიოდის ძეგლებში ჩვენ ვხვდებით ისეთ ენობრივ ფაქტებს, რომელთა კვალიფიკაცია შეიძლება მხოლოდ როგორც დიალექტიზმებისა... გასათვალიწინებელია სტილებრივი სხვაობაც; ცალკეული ავტორის ენობრივი თავისებურებანი და სხვა...

ამის თაობაზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომი დაწერილა (მაგალითად, ი. ქავთარაძე, 1966 და სხვა.); ბოლო პერიოდში რამდენიმე დისერტაცია იქნა დაცული. იმ დისერტაციათა განხილვისას აღვნიშნე კიდეც, რომ თითოეული ასეთი კვლევა ადასტურებს თვალსაზრისს, რომ არ არსებობს ერთიანი საშუალი ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ არსებობს საშუალი ქართული, როგორც ენობრივი რეალობა თავისი მრავალგვარი ნაირსახეობით.

ამ გაგებით საშუალი ქართული ჩვენ შეიძლება დავაყენოთ ახალი ქართული ენის გვერდით — როგორც საერო-ეროვნული ენის განვითარების ორი საფეხური.

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ ისტორიული დიალექტოლოგიის კვლევის შედეგებს, შეიძლება მწირი, მაგრამ მაინც გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ძველ ქართულ ენაზე — როგორც საერთო-სახალხო ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე.

ამის გათვალისწინებით საერთო-სახალხო ენის განვითარების საფეხურებზე როცა ვსაუბრობთ, შეიძლება გამოვყოთ: ა) **ძველი ქართული ენა**, ბ) **საშუალი ქართული ენა**, გ) **ახალი ქართული ენა**. პირობითად შეიძლებოდა გვემსჯელა უძველეს ეტაპზეც — V საუკუნემდელ პერიოდზეც. ამ შემთხვევაში განიხილებოდა ის ენობრივი ვითარება, რამაც ხელი შეუწყო ძველი ქართულის პერიოდის ჩამოყალიბებას.

საგულისხმოა ის აზრი, რომლის მიხედვითაც ძველი ქართულის შემდგომ პერიოდში შესაძლებელი არის რამდენიმე ეტაპის გამოყოფა (ბ. ჯორბენაძე, ფ. ერთელიშვილი), მაგრამ ამჯერად ეს არ არის ჩვენი კვლევის მიზანი.

ჩვენ მსჯელობა შეიძლება ამგვარი სახით დავასრულოთ:

1. თუ ვმსჯელობთ **ქართულ სალიტერატურო ენაზე**, უნდა გამოვყოთ **ორი ერთეული:**

ა) **ძველი ქართული სალიტერატურო ენა** და ბ) **ახალი ქართული სალიტერატურო ენა.**

2) თუ ვსაუბრობთ **ქართული ენის — საერთო-სახალხო ენის** (არა მხოლოდ სალიტერატურო ენის) შესახებ, შესაძლებლად მიგვაჩნია ვიმსჯელოთ **სამ ერთეულზე:**

ა) **ძველი ქართული ენა**.

ბ) **საშუალი ქართული ენა.**

გ) **ახალი ქართული ენა**.

დასაშვებად მიგვაჩნია ამ შემთხვევაში საუბარი სამზე მეტ ერთეულზეც (მაგალითად: უძველესი ქართული, თანამედროვე ქართული და სხვა.).

ასე ვხედავთ ჩვენ ქართული ენის ისტორიას; ამ მნიშვნელობით გამოვიყენებთ ცნობილ ტერმინებს — ძველს, ახალსა თუ საშუალ ქართულს... ამგვარად: ძველი, ახალი თუ საშუალი ქართული პირობითი (სამუშაო) ტერმინებია... ეს ერთეულები დროში წარმოქმნილი ნაირსახეობანია საერთო ეროვნული ქართული ენისა (დიალექტები სივრცეში წარმოქმნილი ნაირსახეობანია). ქართული ზმნა ერთიანი მთლიანობაა თავისი ისტორიითა და დღევანდელობით. თუმცა შესწავლისათვის პერიოდებად, ეტაპებად დაყოფა (ნაირსახეობებად, სხვა ტერმინით — იდიომებად) აუცილებელიც არის...

ფუძის რაობისათვის

დრო-კილოთა სისტემისა თუ ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხებზე მსჯელობისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, **რა არის ფუძე.** მოკლედ, კითხვა აქაც მრავალია: რა არის ფუძე? რა სახეობები არსებობს ფუძისა? რა პრინციპზე აიგება ფუძე? და ა. შ.

სიტყვის რაობის განსაზღვრა და, ასევე, ფუძის (თუ ძირის) დეფინიცია ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემაც არის. ფუძე, როგორც რეალური მონაცემი, ჯერ კიდევ ანტიკურ გრამატიკებში განიხილებოდა. ყველა განმარტება ფუძისა სწორედ ანტიკურ გრამატიკებში იღებს სათავეს. ჩვენ არ ვისახავთ მიზნად ამ რთული პრობლემის შესახებ ზოგად მსჯელობას. ჩვენთვის არსებითია და, შესაბამისად, საკმარისიც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისების თავმოყრა და, შეძლებისდაგვარად, ოპტიმალურ ვარიანტზე შეჯერება.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ფუძის ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „სიტყვის ძირითადი ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია საგნობრივი მნიშვნელობა (და ბრუნებისა თუ უღვლილებე-

ბის დროს, ე. ი. რომელიმე მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით ფორმათა ცვლისას სიტყვაში უცვლელ ნაწილად წარმოგვიდგება)“ (ქეგლ. VII, 214).

აქ ორ მომენტზეა გამახვილებული ყურადღება: ერთი მხრივ, **მასთან დაკავშირებულია საგნობრივი მნიშვნელობა** და, მეორე მხრივ, **იგი არის საყრდენი ფორმათა სისტემისათვის.**

სხვა შემთხვევაში ეს განმარტება ზუსტდება: ფუძე არის „სიტყვის ისეთი ნაწილი, რომელიც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელია, როგორც ისეთი ნაწილი, რომელიც მიუთითებს გარკვეულ ობიექტურ მონაცემზე“ (არნ. ჩიქობავა, 2008, გვ. 141). ცხადია, ეს ორი განმარტება ფაქტობრივ ერთგვარია (ქეგლის მთავარი რედაქტორი არის არნ. ჩიქობავა).

ენციკლოპედია „ქართული ენა“ ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „**ფუძე**, სიტყვის (სიტყვა-ფორმის) ნაწილი, რომელიც რჩება დაბოლოების ჩამოშორების შემდეგ და რომელთანაც დაკავშირებულია სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა“ („ქართული ენა“, 2008). განმარტების პირველი ნაწილი („დაბოლოების ჩამოშორების შემდეგ“) დაზუსტებას საჭიროებს: რა სახის დაბოლოებებზეა საუბარი — დერივაციულ თუ ფლექსიურ ელემენტზე. დერივაციული ელემენტი ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვას, ფლექსიური — არა...

სახელმძღვანელოებსა და სახელმძღვანელოების ტიპის გამოცემებში განსხვავებულად მსჯელობენ სახელისა და ზმნის ფუძეებზე: „სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები ერთვის, ფუძე ჰქვია“ (ა. შანიძე, 1948, გვ. 25). იქვე: „ზმნის იმ ნაწილს, რომელიც ლექსიკურ მნიშვნელობას შეიცავს, ფუძე ჰქვია. პირიან ფორმას უნდა ჩამოვაცილოთ პირის, რიცხვისა და მწკრივის ნიშნები, და, რაც დარჩება, ის იქნება ფუძე“ (იქვე, გვ. 100) სახელმძღვანელოს ტიპის სხვა გამოცემები ამ განმარტებებს იმეორებენ (შ. ძიძიგური, 1956, გვ. 116; ა. კიზირია, 1984, გვ. 108).

სახელთან დაკავშირებით იმაზეც მსჯელობენ, მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი (-ებ, -ნ, -თ) შედის თუ არა ფუძეში და ამ მხრივაც არაა აზრთა ერთგვაროვნება (იხ. ჟ. ფეიქრიშვილი, 1992, გვ. 34)... მაგრამ სახელი არ არის ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანი. ჩვენ ზმნა გვაინტერესებს.

ზმნის შემთხვევაში სერიოზული პრობლემების წინაშე დავდექით, როცა ვმუშაობდით **ზმნური ფუძეების ლექსიკონზე** (გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1989). თუ საენათმეცნიერო ნა-

შრომებში ზოგ შემთხვევაში ძირი და ფუძე არ გაირჩეოდა, აქ ამის საჭიროება ნათლად დადგა. გავიხსენოთ: „მრავალ შემთხვევაში ზმნის ფუძე იგივეა, რაც ძირი“. ქეგლი ძირს ასე განმარტავს: „სიტყვის მარტივი ფუძე, რომლის დაშლა არ შეიძლება“ (ქეგლი, VIII). ანდა: „ფუძეს, რომელიც შემადგენელ ნაწილებად აღარ დაიშლება, ძირი ეწოდება“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 33). სასკოლო სახელმძღვანელოში „ზუსტდება“: „ზმნაში გამოიყოფა ისეთი ნაწილი, რომელიც საერთოა მისგან ნაწარმოები ყველა ფორმისათვის“ (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, 1980, გვ. 131). აქ უკვე დაშორდა ერთმანეთს ეს განმარტებანი: ის, რაც საერთოა მისგან ნაწარმოები ყველა ფორმისათვის, შეიძლება „დაიშალოს შემადგენელ ელემენტებად“. აღარას ვამბობ ნასახელარ ზმნებზე („თვალწინ **გაისიგრძეგანა**“... ამ განმარტებით ძირი იქნება **სიგრძეგან...**), იგივე შეიძლება ითქვას კაუზატიურ ფორმებზე: ამ განმარტებით **-ინ** და **-ევინ** მაწარმოებლების შემცველი ოდენობა ძირად იქნება გააზრებული („საერთოა მისგან ნაწარმოები ყველა ფორმისათვისო“).

არის საინტერესო შემოთავაზებაც: „შესაძლოა ერთმანეთისაგან გავარჩიოთ **მორფოლოგიური** და **ეტიმოლოგიური ძირები** და ტერმინი **ძირი** გამოვიყენოთ მხოლოდ ეტიმოლოგიურის მნიშვნელობით“ (თ. ქიტოშვილი, 2000, გვ. 87). ძირის სინონიმად ლ. კვაჭაძემ გამოიყენა ტერმინი **მარტივი ფუძე** (ლ. კვაჭაძე, 1993, გვ. 88). მარტივი ფუძე ამ თვალსაზრისით ეტიმოლოგიურ ძირს ემთხვევა. ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ, ზმნური ფუძეების ლექსიკონში მარტივი ფუძე ასე განგვემარტა: „ტერმინი **მარტივი ფუძე** არ გულისხმობს ეტიმოლოგიურად მარტივ მონაცემს; მარტივ ფუძეს ვუწოდებთ იმ ნაწილს ზმნისას, რომელიც არ არის გართულებული ზმნური მორფოლოგიური ელემენტებით და საერთოა დრო-კილოთა სისტემის ყველა წევრისათვის“ (გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1989, გვ. 4). ამ თვალსაზრისით ზემომოყვანილი მაგალითიდან (გაისიგრძეგანა) **სიგრძეგან** იქნება მარტივი ფუძე. ჩვენ ამ ტერმინს კვლავაც გამოვიყენებთ ამგვარი დაზუსტებით: **მარტივი ფუძეა** ის, რაც საერთოა ყველა მწკრივისათვის. **სიმარტივე** ამ შემთხვევაში პირობითია. ცხადია, **მარტივი ფუძის** შემოტანა გულისხმობს **რთულ ფუძესაც.** რთული იქნება რაიმე ზმნური ელემენტით გართულებლი ფუძე... და მაინც: ზოგადად რა არის ფუძე?

ბ. ჯორბენაძის აზრით, „ფუძე (ფორმობრივადაც და ფუნქციურადაც) უნდა განიმარტოს იმ ურთიერთმიმართებათა მიხედვით, რომლებსაც იგი ამყარებს სტრუქტურის შემადგენელ სხვა ელემენტებთან“ (ბ. ჯორბენაძე, 1980(1), გვ. 124). თუ უღლების სისტემაში ურთიერ-

თმიმართებებს განვიხილავთ, და ამ კუთხით დავინახავთ **ფუძეს,** მაშინ აღმოჩნდება, რომ „ფუძე უნდა განვიხილოთ, როგორც პერმანენტულად ცვლადი მონაცემი“, რომელიც „საყრდენია ფორმათა სისტემისათვის“ (ბ. ჯორბენაძე, იქვე, გვ. 120). თუკი **ფუძე არის პერმანენტულად ცვლადი მონაცემი, საყრდენი ფორმათა სისტემისათვის,** მაშინ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ფუძეზე უნდა იყოს საუბარი და ასეც არის.

მართალია, ფუძე განიხილება როგორც პერმანენტულად ცვლადი მონაცემი, მაგრამ „ყოველ მოცემულ სტრუქტურაში სტრუქტურული ელემენტების მიმართ ფუძე მდგრადი (უცვლელი) ელემენტია“ (იქვე, გვ. 190).

და კიდევ, „ყველაფერი ის, რაც საყრდენია ნებისმიერი ფორმისა ან ფორმათა სისტემისათვის, ფუძედ უნდა იწოდოს“ (იქვე).

თუ ვსაუბრობთ მწკრივის პარადიგმაზე, მაშინ ფუძედ განიმარტება ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელსაც ჩამოშორდება ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები:

გა-ვ-**აკეთე**
გა-**აკეთე**
გა-**აკეთ**-ა
გა-ვ-**აკეთე**-თ
გა-**აკეთე**-თ
გა-**აკეთ**-ეს

წარმოდგენილი მწკრივის ფუძე იქნება **აკეთე** (სრული ვარიანტი) — **აკეთ** (არასრული ვარიანტი). **სრული** და **არასრული** ვარიანტი ფუძისა მოქმედი ფონეტიკური პროცესის შედეგად განსხვავებული ვარიანტებია. ფონეტიკური პროცესის შედეგად შეიძლება დაიკარგოს როგორც მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ხმოვნითი ელემენტი (გა-აკეთ-**ე**-ა → გა-აკეთ-ა), ისე ძირეული მორფემის ხმოვნითი ელემენტი მოვ-**კალ** — მო-**კლ-ა**.

ამ თვალსაზრისით იმდენი ფუძე გვექნება ზმნისა, რამდენი მწკრივიც გვაქვს. როგორც ვნახეთ, საკუთარი ფუძის მქონეობა ერთ-ერთი არსებითი ნიშანია მწკრივისათვის. სხვაგვარად: ყველა მწკრივს საკუთარი ფუძე უნდა ჰქონდეს (ფუძის არასრული ვარიანტები შეძლებისდაგვარად ავსახეთ „ზმნური ფუძეების ლექსიკონში“).

თუ ვსაუბრობთ სერიის ფორმათა წარმოებაზე, ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთო იქნება ერთ სერიაში შემავალ ზმნურ ფორმათათვის, იქნება **სერიის ფუძე.** ამგვარი ფუძის აღსანიშნავად ა. შანიძემ შემოიღო ტერმინი **თემა. ზმნის თემა** არის ის ნაწილი

ზმნისა, რომელიც საერთოა ერთი სერიის (პირველი ან მეორე) ფორმათათვის (ა. შანიძე, 1973, გვ. 387). შესაბამისად, შეიძლება ზმნას პირველ სერიაში სხვა ფუძე (თემა) ჰქონდეს და მეორე სერიაში — სხვა (ა. შანიძის მიხედვით — ორთემიანი ზმნები). სერიის ფუძის (თემის) საკითხი მესამე სერიისათვის განსხვავებულად დადგება. მსჯელობის გასაადვილებლად სერიის ფუძისათვის ტრადიციულ ტერმინს **თემა** გამოვიყენებთ.

თუ მსჯელობა გვექნება უღლების სრულ პარადიგმაზე, ფუძედ ის მონაცემი განიხილება, რომელსაც მარტივი ფუძე ვუწოდეთ და სახელმძღვანელოს ტიპის გამოცემებში ძირს რომ უწოდებდნენ (საერთო ნაწილი ყველა ზმნური ფორმისათვის).

ფორმაწარმოების საკითხებზე მსჯელობისას საჭირო ხდება **საყრდენი ფუძის** ცნების გამოყენება. **საყრდენია ის ფუძე, რომელსაც ემყარება კონკრეტული პარადიგმის ფორმები:**

ვ-**აკეთ**-ე
აკეთ-ე
ვ-**აკეთ**-ე-თ
აკეთ-ე-თ
აკეთ-ეს

ამ შემთხვევაში **-ე** სუფიქსი მწკრივის ნიშნად მოიაზრება. მწკრივის **საყრდენი ფუძე** იქნება **აკეთ,** რომელსაც დაერთვის მწკრივის მაწარმოებელი. იგივე საყრდენი ფუძე ექნება II კავშირებითსაც:

ვ-**აკეთ**-ო
აკეთ-ო
ვ-**აკეთ**-ო-ს
აკეთ-ო-თ
აკეთ-ო-ნ

შენიშვნა: ფორმაწარმოების საკითხების განხილვისას გამოვიყენებთ ტერმინს **საყრდენი მორფემა.** საყრდენს ვუწოდებთ იმ მორფემას, რომელსაც უშუალოდ დაერთვის ჩვენთვის საინტერესო მაწარმოებელი; ფორმაში **ა-კეთ-ებ-დ-ე-ს -ე** სუფიქსი იქნება საყრდენი მორფემა **-ს** სუფიქსისათვის, **-დ** იქნება საყრდენი **-ე** სუფიქსისათვის, **-ებ** იქნება საყრდენი **-დ** ფორმანტისათვის; ძირეული **კეთ** იქნება საყრდენი **-ებ** სუფიქსისათვის...

ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ „გრამატიკულ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად გამოყენებული ცნება ძირისა არ განეკუთვნება ენის რეალური ფუნქციონირების სფეროს, ე. ი. ძირი უშუალოდ არ ფუნქციონირებს ენაში და ფუნქციონირებას იწყებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფუძის შემადგენლობაში შევა. ენისათვის მოქმედი ელემენტი ფუძეა და არა ძირი. ძირი აბსტრაჰირებული ცნებაა, იმ რიგის წმინდა მონაცემია, რომელიც მხოლოდ „ლაბორატორიული წესით“ მიიღება, ამიტომაც არის მისი საზღვრები ასე ბუნდოვანი: იგი ხან ფუძეს ემთხვევა (და მაშინ მხოლოდ ტერმინოლოგიურ ნაირგვაროვნებასთან გვაქვს საქმე, რეალური არსი კი ერთი და იგივეა), ხან განსხვავდება მისგან და ეს განსხვავება უმეტეს წილ ან ისტორიული მონაცემია, ან თეორიულად დასაშვები შესაძლებლობა და არა თანამედროვე ენის ფაქტი“ (ბ. ჯორბენაძე, 1980(1), გვ. 123).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფუძის რაობის, მისი არსის გასაგებად არსებითია ის ურთიერთმიმართებანი, რომელსაც ამყარებს იგი სტრუქტურის შემადგენელ სხვა ელემენტებთან. ამ ურთიერთმიმართებათა გათვალისწიებით საუბრობენ ფუძეთა წარმოების ორ პრინციპზე. ეს პრინციპებია: ა) **ფუძეთა წარმოების ხაზოვანი პრინციპი** და ბ) **ფუძეთა წარმოების ჩანაცვლების პრინციპი** (ბ. ჯორბენაძე, იქვე).

ფუძეთა წარმოების ხაზოვანი პრინციპის მაგალითად დასახელებულია: **კეთ → კეთ-ებ → კეთ-ებ-ულ**... როცა ერთი საყრდენია მეორისათვის, მეორე — მესამისათვის... ფუძეთა წარმოების ჩანაცვლების პრინციპის მაგალითია: **კეთ-ებ და კეთ-ილ, სი-კეთ-ე, უ-კეთ-ურ**... ე. ი. როცა რამდენიმე ფუძეს საერთო საყრდენი ფუძე აქვს:



აღნიშნავენ, რომ „ფუძეთა წარმოება ხაზოვანი და ჩანაცვლების პრინციპებით არ მოქმედებს ერთმანეთისაგან სავსებით გათიშულად და რომ ისინი არსებითად ერთმანეთს ავსებენ“ (ბ. ჯორბენაძე, 1980, გვ. 125). რომ ეს ორი პრინციპი ერთმანეთს ავსებს, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ სწორედ ზმნურ ფორმათა წარმოებისას წარმოჩნდება; თუნდაც საუღლებელ ერთეულთა გამოყოფისა და დაჯგუფებისას. ამის უფრო ნათლად წარმოჩენასაც შევეცდებით ამ წიგნში.

ენობრივი ფაქტი და მისი კვალიფიკაცია

ვთქვით: საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს ქართული ზმნის მეცნიერულ შესწავლას. თუ პრაქტიკული გრამატიკების ეპოქასაც გავიხსენებთ და ანტონამდე პერიოდსაც გავითვალისწინებთ, ქართული ენის კვლევა-ძიების ისტორია საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება.

უამრავი თვალსაზრისი გამოითქვა; ხშირად ერთსა და იმავე საკითხზე ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთშემავსებელიც. და მაინც: თქმა იმისა, რომ ქართული ზმნა დღეს შესწავლილია, უფრო სწორად, „ამოწურულია“ შესასწავლი საკითხები, პრობლემები, არ შეიძლება. მე ვთქვი და ამით დასრულდა ამ თემაზე საუბარიო, საკითხი ასე არ დასმულა და არც შეიძლება დაისვას (თუმცა არც მთლად უამისობააა...). საკითხის ასე დასმა, ფაქტობრივ, მეცნიერულ კვლევა-ძიებაზე უარის თქმაა.

ისიც უნდა ვთქვა: არსებული თვალსაზრისის კრიტიკული შეფასება, არგაზიარება არ არის შეხედულების ავტორისადმი დამოკიდებულების გამოვლინება (სამწუხაროდ, ამის თქმაც მიგვაჩნია საჭიროდ). ამ მოვლენას როგორ უნდა შევხედოთ, ამის კარგ მაგალითად მიგვაჩნია ა. შანიძის დამოკიდებულება წინამორბედთა თვალსაზრისის მიმართ მომდევნო თაობის მეცნიერთა კრიტიკული მიდგომისადმი:

პროფ. კ. დანელიამ გამოკვლევა დაწერა ძველ ქართულში იშვიათად ნახმარი **მსხოვრი (მსხორი)** სიტყვის შესახებ. ადრე ამ თემაზე გამოკვლევა ჰქონდა დაბეჭდილი ა. შანიძეს (ა. შანიძე, 1980) ბატონმა კ. დანელიამ გამოქვეყნებამდე წააკითხა თავისი ნაშრომი დიდ მასწავლებელს. ბატონმა აკაკიმ ასეთი მინაწერი გაუკეთა კ. დანელიას ნაშრომს: „თქმულა: „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. ეს ბრძნული აზრი შ. რუსთაველისა ვერ გავითვალისწინე და შეცდომა მომივიდა „მსხორ“ სიტყვის ახსნისას. მაგრამ სასიამოვნოა, რომ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა გაირკვა და ეს ჩემი შეცდომა ჩემმავე მოწაფემ პროფ. კ. დანელიამ გამოასწორა. ა. შანიძე. 1 აპრილი 1981 წ.“. კ. დანელიას წერილი ამ მინაწერითურთ გამოქვეყნდა (კ. დანელია, 1983).

ცხადია, ინდივიდუალურია ენობრივი ფაქტის მიმართ მკვლევრის მიდგომა; მოვლენის შეფასება, კვალიფიკაციაა ინდივიდუალური; თავად ენობრივი ფაქტი, ენობრივი მოვლენა, რა თქმა უნდა, არის ობიექტური ჰეშმარიტება. ამიტომაცაა, რომ ერთი და იგივე ენობრივი მოვლენა, ფაქტი (ობიექტური ჰეშმარიტება) შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს

შეფასებული. იმის თქმა გვსურს, ერთსა და იმავე საკითხზე განსხვავებული თვალსაზრისის გამოთქმა ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია... რამდენიმე კონკრეტული მაგალითი:

თითქოსდა ისეთი მარტივი საკითხი, როგორიცაა ბრუნვათა რაოდენობა ახალ ქართულში, სერიოზული აზრთა სხვადასხვაობის საგანი გახდა. ა. შანიძემ შვიდი ბრუნვა გამოყო (ა. შანიძე, 1930). არნ. ჩიქობავამ ექვსი ბრუნვა წარმოადგინა — წოდებითი არ მიიჩნია ბრუნვად (არნ. ჩიქობავა, 1950); ეს თვალსაზრისი საგანგებო გამოკვლევით დააბუთა ვ. თოფურიამ (ვ. თოფურია, 1956(2)). ახლახან ის აზრიც გამოითქვა, რომ ახალ ქართულში შესაძლებელია (თუ საჭიროა...) წრფელობით ბრუნვაზე საუბარიც (გ. გოგოლაშვილი, 2009(1))... არადა, საქმე ეხება თითქოსდა მარტივ საკითხს... **სახლ, სახლ-ი, სახლ-მა, სახლ-ს, სახლ-ის, სახლ-ით, სახლ-ად, სახლ-ო** — ყველა ეს ფორმა რეალურად არსებობს ახალ ქართულში (პირველ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს **სახლ-კარი** ტიპის კომპოზიტები თუ სხვა...). მათი კვალიფიკაციაა სხვადასხვარგვარი; ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ ვინმე ცდება, არამედ მოვლენისადმი მიდგომაა განსხვავებული... ჰეშმარიტება არის ფაქტი, კვალიფიკაცია — განსხვავებული...

სხვა მაგალითი: ზემოთაც გავიხსენეთ — ძველი ქართულისათვის დრო-კილოთა მეორე სერიაში ნ. მარმა ორი მწკრივი გამოყო; არნ. ჩიქობავამ — სამი; ზ. სარჯველაძე ოთხი მწკრივის გამოყოფას მიიჩნევს სწორად. ა. შანიძის აზრით, ძველ ქართულში ხუთი მწკრივია, მაგრამ ლ. კიკნაძის აზრით — რვა მწკრივი უნდა გამოიყოს!

აქ, ზოგ შემთხვევაში, ამა თუ იმ ავტორმა ვერ შეამჩნია ესე თუ ის ფორმა, მაგრამ სხვა შემთხვევაში კვალიფიკაცია მისცა მას განსხვავებული.

ასეთი შემთხვევის მოწმენიც ვხდებით: სიახლის მოწინააღმდეგენი საკითხს ასეც სვამენ — ეს რომ ასე ყოფილიყო, მავანი ვერ შენიშნავდაო და ასახელებენ კლასიკოსს... არაა ეს მეცნიერული მიდგომა. ისეთმა გენიოსმა, როგორიც ნ. მარი იყო, II ხოლმეობითის ფორმები შეამჩნია, მაგრამ იგი აორისტის ნაირსახეობად მიიჩნია... სხვა შემთხვევაში სხვაა მიზეზი განსხვავებული თვალსაზრისისა; ფაქტია — არსებობს ენობრივი ფორმა, რომელსაც განსხვავებული შეფასება ეძლევა სხვადასხვა შემთხვევაში. ამ დროს, ცხადია, საუბარი შეცდომაზე თუ არასწორ კვალიფიკაციაზე, არ იქნება გამართლებული... ამგვარი შეხედულება განსხვავებული კვალიფიკაციის შესაძლებლობაზე გვაძლევს უფლებას ჩვენეული შეფასება მივცეთ ცნობილ ფაქტებს.

უფრო საინტერესოდ გვეჩვენება, როცა ერთი და იგივე მკვლევარი ახდენს ერთი და იმავე ფაქტის სხვადასხვაგვარ კვალიფიკაციას. აქ საუბარია არა იმაზე, რომ მკვლევარი იცვლის შეხედულებას, არამედ, იმ ფაქტზე, როცა ერთსა და იმავე დროს სხვადასხვაგვარ კვალიფიკაციას აძლევს რომელიმე ენობრივ მოვლენას. ამის მაგალითად მოვიყვანთ ერთ ფაქტს ა. შანიძის ნააზრევიდან.

ანუ, ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთსა და იმავე ავტორთან გვქონდეს ერთსა და იმავე ფაქტზე სხვადასხვა შეფასება და დასაშვებად მიიჩნევდეს ავტორი ორივე თვალსაზრისს, რაც ასევე იძლევა იმის უფლებასაც, ფაქტი სხვაგვარად იქნეს შეფასებული, ანდა მოხდეს რომელიმე თვალსაზრისის გაზიარება დამატებითი არგუმენტების მოხმობით. ცნობილ ფაქტებსა და საკითხებზე ახალი მსჯელობა ჩვენ ასეთ მოქმედებად გვესახება.

ასეთი ფაქტი:

ა. შანიძის „**ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში**“ დეპონენსებზე მსჯელობისას ვკითხულობთ: „**ესრევს** ზმნის მსგავსად **ე** აქვს პრეფიქსად „**ე-ძებს**“ ზმნასაც (ძვ. ქ. ე-ძი-ებ-ს) და „**ც-ემა**“ ზმნას წყვეტილში: „მი-ვ-**ე**-ც“, რომელთაც ფუნქციაც აქტიური აქვთ და ფორმებიც სხვაფრივ ყველაფრად აქტიური“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 299).

თავისებურ ზმნებზე საუბრისას იმავე „საფუძვლებში“ ვკითხულობთ: „წყვეტილის პირველსა და მეორე პირში ზმნას წინ **ე** უჩნდება: მი-ვ-**ე**-ც, მი-**ე**-ც (მეხუთე საუკუნის სალიტერატურო ენით მი-ხ-უ-ეც, მი-ხ-ეც, მი-ხ-ც-ა). თუ სახელზმნათა ფორმებს მივაქცევთ ყურადღებას, ეს **ე** მაწარმოებელია, მი-ცემა, მი-მ-ცემი, მი-სა-ცემი და სხვ.“ (იქვე, გვ. 550).

ერთგან მეცნიერი საკითხს ასე სვამს: „თუ „ცემა“ ზმნას უზმნისწინოდ ვიხმართ და სათავისო ქცევით, **-ემ** ძველებურადვე თემის ნიშანი იქნება და II სერიაში არ გადაჰყვება (§ 475). საყურადღებო ის არის, რომ ამ შემთხვევაში **ე** პირველსა და მეორე პირში შეჰრჩება: თავში ქვა ვი**ე**ც, თავში ქვა ი**ე**ც, თავში ქვა იცა. რადგანაც ქცევის ნიშანი წინ დაუდგა **ე**-ს, შეიძლება კითხვა დავსვათ: **ეს ე მაწარმოებელია, თუ ფუძის კუთვნილება?** (იქვე, გვ. 429). (ხაზი ჩვენია — გ. გ.). ამ კითხვას პასუხი იქვე გაეცა: „თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში ფუძე აღდგება (მო-ვ-**კალ**, შე-ვ-**კარ**, დავჰ-**ფალ**, ვი-**ცან**, ვ-**შევ**; გა-ვ-**ჰერ** და სხვ.), მაშინ უნდა ვთქვათ, რომ **ე** ფუძისეული ხმოვანია. თუ ეგრეა, მაშინ იგი მე-3 პირის ფორმაშიც იგულისხმება. მეტიც შეიძლება ითქვას: იგი იგულის-

ხმება ყველგან, ყველა ფორმაში, მაგრამ თუ არსად არ ჩანს წყვეტილის გარდა (ისიც პირველისა და მეორე პირის ფორმებში მხოლოდ), ეს იმიტომ, რომ დაკარგულია მომდევნო ხმოვნის გამო, რომელიც ან პირის ნიშანია (მი-ს-ც-ა), ან მწკრივისა (მი-ს-ც-**ი**-ს, მი-ს-ც-**ე**-ს), ან თემის ნიშნის დასაწყისია (მი-ს-ც-**ემ**-ს)" (გვ. 550). იქვე განაგრძობს მსჯელობას: „თუ ზემორე მოყვანილი მოსაზრება სწორია, ვნებითში ორი **ე** უნდა გვქონდეს: ერთი გვარის ნიშანი, მეორე ფუძისეული, მოქმედებითში კი მარტო ერთი, ფუძისეული, რომელიც მესამე პირში იკარგება ფუძის შეკუმშვის გამო: და-ს-ც-ა (← და-ჰ-ც-ა ← და-ჰ-ჰ-ცა ← და-ჰ-ჰეც) [აქ მოცემული ფორმათა განვითარების სქემა, რა თქმა უნდა, დაახლოებითია და იმ ვარაუდით, რომ დაკარგული თანხმოვანია ჰ] (იქვე, გვ. 531). (მივაქციოთ ყურადღება: ასეთი დაბეჯითებული მსჯელობის შემდგომ, კითხვას სვამს, „თუ ზემორე მოყვანილი მოსაზრება სწორიაო"...).

ასე რომ, **მივეც** ფორმაში **ე** კვალიფიცირებულია ერთ შემთხვევაში ვნებითის ნიშნად, მეორე შემთხვევაში — ფუძისეულ ხმოვნად. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი; ანდა მიზანი რა არის მკვლევრისა ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისის წარმოდგენისას ერთსა და იმავე ნაშრომში?

ჩვენი ღრმა რწმენით, ამის მიზეზი არის ის, რომ აკაკი შანიძისათვის **ჭეშმარიტება არის ენობრივი ფაქტი;** ამ **ფაქტის კვალიფიკაცია ზოგჯერ შეიძლება იყოს ნაირგვარი.** სწორედ ამ შესაძლებლობის მაგალითია წარმოდგენილი მსჯელობა. მიზანი? — ამით მეცნერი გარკვეულწილად **საფუძველს ქმნის მომავალი კვლევა-ძიებისათვის.** ჩვენ ასე დავინახეთ ეს ფაქტი და, შეძლებისდაგვარად, შევეცადეთ, ერთ-ერთი ვარიანტის სასარგებლოდ მოგვეყვანა დამატებითი არგუმენტები (თუ მეორე თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ კონტრარგუმენტები). თუ საკითხის ასე დასმამ (ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისთა წარმოდგენამ) რა მსჯელობისაკენ გვიბიძგა, ამაზეც გვინდა აქვე საუბარი.

ამ ორი ვარიანტიდან ჩვენ სარწმუნოდ მივიჩნიეთ ვარაუდი, რომელიც **ე** ხმოვნის ძირისეულობას უჭერს მხარს. ანუ, დავეთანხმეთ ა. შანიძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ **მივეც** ზმნაში **ე** ძირისეული ხმოვანია და არ გავიზიარეთ ა. შანიძის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ **ე** ამ ზმნაში პრეფიქსია (გ. გოგოლაშვილი, 1985).

ჩვენი მსჯელობა:

I. რა წინააღმდეგობები ახლავს **ე** ხმოვნის პრეფიქსად მიჩნევას განსახილველ ზმნაში?

1. როგორც ვიცით, **ე** ხმოვანი მხოლოდ წყვეტილის პირველი და მეორე პირის ფორმებში წარმოჩნდება: მი-ვ-ე-ც, მი-ე-ც; მი-ვ-ე-ც-ი-თ, მი-ე-ც-ი-თ.

წყვეტილში სუბიექტური მესამე პირისა და ყველა სხვა ფორმაში **ე** გაუჩინარებულია (შენიშნავენ კიდეც, რომ **ე** ამ შემთხვევაში ძირეული ხმოვანივით იქცევა). მართლაც, თუ **ე** პრეფიქსია, ეს იქნება ერთადერთი შემთხვევა, როცა ერთი მწკრივის პარადიგმაში იგი მონაცვლეობს ნულთან. ცალთანხმოვნიან ძირთაგან ნაწარმოები **ე** პრეფიქსიანი ფორმები პრეფიქსს ყველა მწკრივსა და ყველა პირის ფორმაში შეინარჩუნებენ: ე-ბ-მებ-ა, და-ე-ბ-ა, და-ე-ბ-ა-ს, ე-ღ-ებ-ა, გა-ე-ღ-ო, გა-ე-ღ-ო-ს... შე-ე-ქ-ო... წა-ე-გ-ო...

მივეც ზმნა ამ თვალსაზრისით განცალკევებთი დგას.

2. როგორც მიუთითებენ, **ე** დაცულია იმ შემთხვევაში, როცა მომდევნო **ც** თანხმოვანი ფორმის აბსოლუტურ ბოლოში მოექცევა: მი-ვ-ეც, მი-ეც (წყვეტილში უფუნქციო **ი** ელემენტის დართვა, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, ფონეტიკურ სახეს ვერ შეუცვლის ფორმას).

ნებისმიერი ხმოვანი თუ ხმოვნით დაწყებული სუფიქსით გართულება ძირისა **ე**-ს გაუჩინარებას იწვევს: ც-ემ-ა, მის-ც-ა, მის-ც-ეს, მიუც-ია...

ამგვარი მიზეზ-შედეგეობრივი დამოკიდებულება სუფიქსური ხმოვნისა წინამავალ ხმოვანთან შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა წინამავალი ხმოვანი (ნულთან მონაცვლე) ამ სუფიქსისათვის საყრდენი მორფემისეულია.

სხვაგვარად: თუ **ე** და **ც** სხვადასხვა მორფემაა, გამოდის, რომ მის-ც-ა ფორმაში სუფიქსი გავლენას ახდენს საყრდენი მორფემის წინა მორფემაზე (ე. ი. მორფემაზე გადახტომით). ამგვარი შესაძლებლობაც გამორიცხულია. ცალთანხმოვნიანი ძირების შემცველი ყველა ზმნა ნებისმიერ ფორმაში პრეფიქსულ ხმოვანს უცვლელად წარმოგვიდგენს.

მივეც ზმნისეული **ე** ამ თვალსაზრისითაც განცალკევებით დგას...

II. ის, რაც ეწინააღმდეგება **ე** ხმოვნის პრეფიქსად მიჩნევას, თავისთავად, მხარს უჭერს **ე**-ს ძირისეულობას.

შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი ვარაუდის დაშვებაც: **ე** ხმოვანი წარმომავლობით პრეფიქსია; გვიანდელი ფაქტია მისი ძირეულად გააზრება. ეგ ისტორიის საკითხია, მაგრამ ძველი და ახალი ქართულის მასალის ჩვენების საფუძველზე ჩვენ არ გვექნება უფლება **ე**-ს პრეფიქსად მიჩნევისა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტად მიგვაჩნია ენაში იმგვარ ფორმათა არსებობა, რომელთა შესახებაც ა. შანიძე მიუთითებს: „თავში ქვა ვ-ი-ე-ც“, ი-ე-ც, ი-ც-ა.

სათავისო ქცევის **ი**-ს მომდევნო **ე** ხმოვანი მხოლოდ და მხოლოდ ძირეულად უნდა იქნეს გაგებული.

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ სასუბიექტო და საობიექტო ქცევის პირველი და მეორე პირის ფორმები განსახილველი ზმნისა ძალზე იშვიათია. უფრო ხშირია მსგავსი სემანტიკის სხვა ზმნათა გამოყენება (დაკვრა, დახლა: „წადი და ახლა თავში ქვა იხალე“. ილია), თუ ვ-ე-ც ზმნაში **ე**-ს პრეფიქსად მივიჩნევთ, სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმები ასე უნდა ეწარმოებინა: და-ვ-ი-ც-ი, და-ი-ც-ი; და-ვ-უ-ც-ი, და-უ-ც-ი. ამ ტიპის ფორმები ჩვენ ვერ დავადასტურეთ. და-ვ-ი-ეც ტიპის ფორმები გვხვდება: „თავში ქვა **იეც** და ისა ჰქენი“ (ილია). „წადი და თავში ქვა **იეცი** და შენ აალაგე“ (ილია) ღირსსაცნობი ფაქტია ის, რომ **იეც** ფორმა ილიასთან გვხვდება როგორც პოეტურ, ისე არაპოეტურ ტექსტებში.

ვ-ი-ეც ტიპის ფორმები ჩვეულებრივია ხევსურული დიალექტისათვის: „მარცხენაში **მიიეც** ხანჯალი“ (= მარცხენაში გადაიტანე ხანჯალი), ხევსურულში განსახილველი ზმნის პარადიგმას ასეთი სახე აქვს: მი-ვ-ი-ეც, მი-ი-ეც, მი-ი-ც-ა (ცნობა მოგვაწოდა ა. ჭინჭარაულმა).

თავისთავად დაისმის კითხვა: სასუბიექტო ქცევის ამგვარი ფორმები ინოვაციაა, პრეფიქსული **ე** ხმოვნის ფუძისეულად გადააზრების შედეგი, თუ ისტორიული ვითარების ასახვა? ისეთი არქაული დიალექტის ჩვენება, როგორიც ხევსურულია, ამ უკანასკნელს უნდა უჭერდეს მხარს.

ჩვენთვის საინტერესო ფორმა ძველ ქართულშიც დადასტურდა (ვსარგებლობთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სალექსიკონო ფონდით, სადაც ამ ძირის შემცველი რამდენიმე ათასი ბარათი მოიპოვება...): ეგერა ვიდრემე უკუე ერთსა ძალსა სამოციქულოსა **დაუეც** (კანონ. კართაგ. 105. 6). ეს ფორმა ტექსტის გამომცემელს, კ. კეკელიძეს, იმდენად იშვიათად მიუჩნევია, რომ ლექსიკონშიც შეაქვს: **დაუეც** — დაუკარი (ცემისაგანა). სხვა მაგალითი: ნუგეშინის ვიეც (წამება აბდულმესისი, 131. 13).

სუბიექტური პირველი და მეორე პირის ფორმები სხვა არ შეგვხვედრია, მესამე პირისა მრავლადაა: ნუგეშინის იცა თავსა თჯსსა (II მეფეთა, ოშ. 13. 39). ნუგეშინის იცა გლოვისაგან იუდა (დაბ. 38. 12). დაუცა ყრმას მას... (პატერიკ. II. გვ. 58, 13) და სხვ.

ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების გულდასმითი შესწავლა, ვფიქრობთ, „დაუეც“ ტიპის სხვა მაგალითებსაც გამოაჩენს. ამჯერად ჩვენ იმის თქმის უფლება გვაქვს, რომ ძველი ქართული ენის ჩვენებაც მხარს უჭერს **ე** ხმოვნის ძირისეულად მიჩნევას.

ე ხმოვნის ძირისეულობის მამტკიცებელ ერთ-ერთ არსებით არგუმენტად **ცემა** ზმნის მეორე კავშირებითის წარმოება მიგვაჩნია.

ძველ ქართულში განსახილველი ზმნა მეორე კავშირებითს **-ე** სუფიქსით იწარმოებდა: რაჲცა **სცენ** მას ჭამადი (ლ. C. 8. 55). ხოლო წყალი იგი, რომელი **ვსცე** მას, ეყოს (ი. C. 4. 14)... ასეა ახალ ქართულშიც: **მივცე, მისცეს...**

ის ფაქტი, რომ **ცემა** ზმნა მეორე კავშირებითს **-ე** სუფიქსით იწარმოებს, იმის მაუწყებელია, რომ კავშირებითის ფორმებში გაუჩინარებული **ე** ხმოვანი კავშირებითის მაწარმოებელი **-ე** სუფიქსისათვის საყრდენი მორფემისეულია (ე. ი. **ე** ძირისეულია). (ამ საკითხს ქვემოთ, V თავში, განვიხილავთ).

თუ **ე** ხმოვანს ძირეულად გავიაზრებთ, არაბუნებრივად შეიძლება მოგვეჩვენოს ამგვარი სტრუქტურის ძირი: **ეც-**. ამის გამო არის, რომ ა. შანიძე **ე** ხმოვნის წინა პოზიციაში თანხმოვანს გულისხმობს დაკარგულად; **ეც** ძირისათვის ***ვეც** ან ***ჰეც** ვარიანტს ვარაუდობს ამოსავლად. ძნელია ამჟამად იმის მტკიცება, **ვ** ან **ჰ** თანხმოვანი იყო თუ არა **ე** ხმოვნის წინ, მაგრამ ხმოვნით დაწყებული **ზმნური ძირები უცხო** რომ არ არის ქართულისათვის, ფაქტია. ფ. ერთელიშვილი VC სტრუქტურის 10, ხოლო VCC სტრუქტურის 9 ზმნურ ფუძეს გამოყოფს (ფ. ერთელიშვილი, 1970). მართალია, არ არის ჩვეულებრივი ქართულისათვის ამგვარი სტრუქტურის ზმნური ძირები, საკვლევია მათი ისტორია, მაგრამ ფაქტია მათი არსებობა და **ეც** ძირიც მათ რიგში ჩადგება.

ე ხმოვნის ძირეულად მიჩნევა **ეც** ძირს განცალკევებით არ წარმოგვიდგენს.

როცა ვამბობთ, რომ **ე** ძირეული ელემენტია ზმნისა, არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას მისი აფიქსური წარმომავლობისას; მაგრამ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ძველი და ახალი ქართულის მონაცემების მიხედვით **ე** ხმოვანს პრეფიქსად ვერ გავიაზრებთ, მისი გამონაწევრება და **ც** თანხმოვანთან დაშორება არ უნდა იყოს გამართლებული.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით იმ საკითხს, რომ გაზიარება ამა თუ იმ თვალსაზრისისა და მიუღებლობა ამა თუ იმ შეხედულებისა

მხოლოდ და მხოლოდ განსახილველი საგნის ინტერესებიდან გამომდინარე ხდება. ა. შანიძის პრინციპულმა მიდგომამ — ერთი და იგივე ფაქტი შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს კვალიფიცირებული — მოგვცა ბიძგი ამ მსჯელობისა... მსგავსი მაგალითი — არსებული თვალსაზრისი რომ საფუძველია საკითხის ახლებურად დასმისა — არაერთია ამ წიგნში. ცხადია, მადლიერი ვართ ყველა ავტორისა, ვისმა თვალსაზრისმაც საშუალება მოგვცა მსჯელობისა... ვინც თავისი შეხედულებით (მისაღებითა თუ მიუღებლით) საშუალება მოგვცა, დავფიქრებულიყავით ამა თუ იმ საკითხზე, გამოგვეთქვა ჩვენი აზრი, წარმოგვედგინა ჩვენი თვალსაზრისი...

მინაწერი: გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ძვრებმა, კატაკლიზმებმა არც მე დამტოვა გულგრილი და პუბლიცისტური წერილებით, გამოსვლებით ვცადე მხარი ამება ცხოვრებისათვის. რამდენიმე წიგნიც გამოვეცი ამგვარი... ერთ პერიოდში გადაწონა კიდეც ჩემმა „პუბლიცისტურმა საქმიანობამ“ და ამიტომაცაა ალბათ, რომ ამ წიგნში ზოგან წმინდა მეცნიერულ საკითხებზე მსჯელობისას პუბლიცისტური სტილი შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს... უნდა მაპატიოთ...

ნაწილი პირველი დრო-კილოთა სისტემა ქართულში

თავი პირველი დრო-კილოთა სისტემის შესწავლის ისტორიიდან

თავი მეორე დრო-კილოთა სისტემა. უღლების ტიპები

თავი I. დრო-კილოთა სისტემის შესწავლის ისტორიიდან

§ 1. ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“

1.1. დრო-კილოთა სისტემის შესწავლის ისტორიას ანტონ პირველის გრამატიკიდან ვიწყებთ, რადგანაც „ანტონის გრამატიკა არსებითად პირველი გრამატიკაა ქართული ენისა, მასთან ყველაზე ვრცელი პრაქტიკულ (წინარემეცნიერულ) გრამატიკათა შორის, რაც კი დღემდე დაწერილა“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 90) და მას „ემყარება რიგი გრამატიკა ქართული ენისა XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში“ (იქვე, გვ. 19). „ანტონ პირველის „ქართული ღრამმატკის“ მნიშვნელობა არა მარტო იმით განისაზღვრება, რომ ეს არის პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, არამედ იმითაც, რომ მისი გავლენა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე დიდზე დიდი იყო და გრამატიკული აზრის განვითარება საქართველოში სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ ანტონის გრამატიკა გამოწვლილვით არ იქნება შესწავლილი“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 3). საკითხის ისტორიას ანტონის გრამატიკით ვიწყებთ იმიტომაც, რომ „იგი არის არა მხოლოდ პირველი გრამატიკის ავტორი, არამედ ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელია საერთოდ“ (ა. ფოცხიშვილი, 1995, გვ. 19).

თუმცა თუ უფრო ზუსტები ვიქნებით, უნდა ვთქვათ — „ერთ-ერთი ფუძემდებელი“. ფაქტია: ანტონი ყამირს არ ტეხს... ქართული ენათმეცნიერული აზრი კი საფუძველს გაცილებით ადრე იღებს: სამართლიანად მიუთითებენ, რომ ენათმეცნიერული აზროვნების ისტორია ქართული ანბანის შექმნიდან უნდა დავიწყოთო... თუმცა ეს სხვა თემაა.

შენიშვნა: ქართული ენის შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „მოკლე ღრამმატიკა ქართული ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან, 1937 წელსა“, რომელიც გამოსცა ალ. ცაგარელმა პეტერბურგში 1881 წ. ი. აბულაძის თქმით, „ზ. შანშოვანის „ქართულ გრამატიკას“ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი

პირველი ცდაა „ქართული გრამატიკის“ შედგენისა: ცდა, რომელსაც ზურაბის თანამედროვეთაგანი და ახლო თანამშრომელი — ვახუშტი ბატონიშვილი — სამართლიანად უყურებს როგორც „გზას ღრამატიკისას უსრულს“ (ი. აბულაძე, 1940, გვ. 158). მიუხედავად იმისა, რომ ზ. შანშოვანის გრამატიკა სომხური გრამატიკის მიხედვით იქმნებოდა (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 87), მასში არის ზოგი ფასეული დაკვირვება (მაგ.: **ვ**ინისა და **ჳ**ანის რიგის გამოყოფა...), ტერმინოლოგიური სიახლე, რაც „უცვლელად (ანდა ერთგვარად ცვლილი) ანტონის გრამატიკაშიც იყო შემდეგ გამოყენებული და ქართული ენის გრამატიკაში დამკვიდრდა (ამჟამად ძნელია იმის თქმა, აქედან რა უკვე მოიპოვებოდა და რა არის ზ. შანშოვანის შექმნილი. საგრამატიკო ტერმინების ისტორია ქართული ენის გრამატიკის ისტორიას გვანიშნებს. საკითხს ცალკე შესწავლა ესაჭიროება)“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 87). ამდენად, ანტონი გარკვეულად ემყარება წინამორბედ გრამატიკოსთა (ყოველ შემთხვევაში ზ. შანშოვანის) მონაპოვარს, ისე როგორც ზ. შანშოვანი (ივარაუდება) ადრინდელ გრამატიკებს ქართული თუ სხვა ენებისას. მაგრამ მთავარი ისაა, რომ პირველად ქართულ სინამდვილეში ანტონმა შეძლო სისტემური სახე მიეცა, ერთგვარად შეეჯამებინა არსებული და განევრცო იგი თავისი უბადლო ნიჭის წყალობით; ფაქტობრივ, შეექმნა სრული გრამატიკა ქართული ენისა და საფუძველი მოემზადებინა ქართული ენის შემდგომი კვლევისათვის. ესაა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ საკითხის ისტორიას ანტონ პირველიდან ვიწყებთ.

ანტონის გრამატიკულ ნააზრევში გარკვევა რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ანტონი კათალიკოზის ნიჭმა და მეცნიერული დაკვირვების უნარმა ქართული ენის აგებულების არა ერთი იმ თავისებურების შემჩნევა და პირველად აღნიშვნა შეაძლებინა, რომელიც თანამედროვე საენათმეცნიერო მწერლობაშიც ცნობილია“, თუმცა იმასაც აღნიშნავდა, რომ „ანტონი კათალიკოზის ხელოვნური, სქოლასტიკური ენა და მეტადრე მი-

სი გრამატიკული ტერმინოლოგიის თანამედროვე ტერმინოლოგიასთან განსხვავებულობა მისი ნაშრომის გაგებასა და ჯეროვან შეფასებას მეტად აძნელებს. ანტონი კათალიკოზის ტერმინოლოგიის თანამედროვე შესატყვისობანი რომ გარკვეული იყოს, მაშინ მისი ნაშრომის შინაარსიც ადვილი გასაგები გახდებოდა და ის ღვაწლიც, რომელიც ქართული ენის შესწავლაში მას მიუძღვის, უფრო ცხადი შეიქმნებოდა“ (ივ. ჯავახიშვილი, 1937, გვ. 4-5).

მართალია, ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება დიდი ხნის წინათ გამოითქვა და მას შემდეგ ბევრი გაკეთდა ანტონის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლისათვის, მაგრამ მაინც იჩენს თავს ზოგი პრობლემა, მრავალი სირთულე; თუმცა მისი სრული დაძლევისა და გადაწყვეტის პრეტენზია არც ჩვენ შეიძლება გვქონდეს.

ფაქტია და არაერთგზის აღნიშნულა, რომ ანტონი გრამატიკლი ანალიზისას ხშირად უშვებს შეცდომას, არაზუსტ კვალიფიკაციას აძლევს ფაქტებს. ეს ყოველივე გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი გრამატიკული აზროვნების დონეს და, კერძოდ, ქართული ენის შესწავლის იმჟამინდელ მდგომარეობას. ფაქტია ისიც, რომ ანტონს, ფაქტობრივ, მთელი რიგი საკითხების გარკვევაში წინამორბედი არა ჰყავს, აქ კი, შეიძლება ითქვას, რომ ყამირს ტეხს.

ჩვენი მიზანია, ძირითადად წარმოჩნდეს ანტონის დამსახურება — რა გააკეთა მან ფასეული ზმნის, კერძოდ კი დრო-კილოთა სისტემის კვლევის საქმეში და არა ის, რისი გაკეთება ვერ შეძლო მან, ანდა რა შეცდომა დაუშვა.

მიანიშნებენ იმასაც, რომ ანტონისეული ანალიზი ხშირად ემყარება ხელოვნურ ფორმებს. გვაინტერესებს, რამდენად ხელოვნურია ესა თუ ის ფორმა და, შესაბამისად, რა არის მიზეზი ამგვარ „ხელოვნურ“ ფორმათა გაჩენისა.

როგორც ცნობილია, ანტონის გრამატიკის ორი ვარიანტი არსებობს: პირველი — 1753 წლისა და მეორე — 1967 წლისა. ჩვენი მსჯელობა დაემყარება მეორე ვარიანტის ბეჭდურ გამოცემას (ანტონი), რადგან, როგორც აღნიშნავენ, „პირველი ვარიანტი მხითარ სებასტიელის სომხური გრამატიკის ნიმუშებს მისდევდა... მეორე — უფრო დამოუკიდებელიც იყო და უფრო სრულიც“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 86). მეორე ვარიანტის უპირატესობას პირველთან შედარებით ანტონიც არაერთხელ გახაზავს (ანტონი, 1885, გვ. 169-170, 183).

შენიშვნა: ამ ოციოდე წლის წინათ, როცა ამ საკითხზე დავიწყე მუშაობა, მხოლოდ ეს გამოცემა გვქონდა ანტონის გრამატიკისა. საბედნიეროდ, მოხერხდა ამ წიგნის ხელახლა გამოცემა (1997 წ.).
ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ახალ გამოცემასთან შედარება მოხდა...

მსჯელობის გასაადვილებლად ანტონისეული დრო-კილოთა სისტემის შედარებას მოვახდენთ ა. შანიძისეულ სისტემასთან. ა. შანიძისეულ საუღლებელ ერთეულთა სისტემაში, როგორც ცნობილია, ახალი ქართულისათვის გვაქვს სამი სერია და 11 მწკრივი. II სერიაში ა. შანიძე ბრძანებითისა და II ხოლმეობითის მწკრივებსაც წარმოადგენს და მიუთითებს, რომ „აქ შემოტანილია კილოებში შემონახული ორი მწკრივიც: ბრძანებითი და II ხოლმეობითი“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 223). ამიტომ ჩვენი მსჯელობა ამ ორ საუღლებელ ერთეულსაც შეეხება. შესადარებლად ახალი ქართულის მწკრივთა სისტემას მივმართავთ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ანტონისდროინდელი ქართული ფაქტობრივ ახალი ქართულია და, მეორეც, ანალიზი ანტონის გრამატიკული სისტემისა ამის საფუძველს გვაძლევს.

ზმნის მორფოლოგიის ძირითადი საკითხები ანტონის გრამატიკის I და II ნაწილშია განხილული. პირველ ნაწილში წარმოდგენილია უღლების პარადიგმები, უღლების ტიპები და მათი სახეობანი; მეორე ნაწილში თეორიული მსჯელობაა ზმნური ფორმაწარმოებისა და ფუნქციების შესახებ. თავისთავად, ამგვარი აგება გრამატიკისა მნიშვნელოვან ფაქტად გვესახება: პრაქტიკული (I ნაწილისა) და თეორიული (II ნაწილისა) ღირებულება ნაშრომისა იზრდება.

1.2. უღლება

ანტონის აზრით, ზმნის კატეგორია, ისეთივე, როგორიც სხვა დანარჩენი: „ემდევრებიან ზმნასა, რიცხჳსა ქჳშე შემოსრულნი რჳანი რაჲმენი: 1. ნათესავი, 2. ნაკჳთი, 3. სახე, 4. რიცხჳ, 5. პირი, 6. დროჲ, 7. სქესი, 8. უღლჳაჲ“ (გვ. 179).

შენიშვნა: 1. როგორც ითქვა, 1997 წელს გამოიცა ანტონის გრამატიკა მეორედ. ჩვენ ვტოვებთ დამოწმებებს პირველი გამოცემიდან. მიზეზი ძირითადად ის გახლავთ, რომ

არის საგულისხმო ცვლილებები ამ ორ გამოცემას შორის, განსაკუთრებით პარადიგმებში. როგორც ჩანს, ხელნაწერები, რომლებსაც ეს გამოცემები ემყარება, განსხვავდება ერთმანეთისაგან; ეს ეხება ფორმათა დაბოლოებებს (განიბანებოდა — განიბანებოდეს...), ორთოგრაფიას (ჳ და ვი) და სხვ. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მეორე გამოცემაში „პარადიგმათა გასწორება“ ხდება... გარდა ამისა, ამ საკითხებზე მუშაობა გაცილებით ადრე დავიწყეთ...

2. აქ ანტონი არ ჩანს ორიგინალური, რაოდენობაც და თანამიმდევრობაც ზმნური კატეგორიებისა ზ. შანშოვანისას ემთხვევა. თავს იჩენს მხოლოდ ზოგი ტერმინოლოგიური სხვაობა (შდრ.: ზ. შანშოვანი, 1881, გვ. 21-23).

საუღლებელ ერთეულს (ე. ი. მწკრივს) ანტონი **დროს** უწოდებს.

შენიშვნა: გასარკვევია, ზმნური კატეგორიების ჩამოთვლისას დასახელებული **დრო** დროის გრამატიკულ კატეგორიაზე მიანიშნებს თუ საუღლებელ ერთეულზე; თუ არ განასხვავებს მას ავტორი.

უღვლილების სისტემაში ექვსი დროა წარმოდგენილი:

1. აწმყო
2. ნამყო უსრული
3. ნამყო სრული
4. ნამყო უსრულესი
5. ნამყო უუსრულესი
6. მყოობადი

შენიშვნა: საუღლებელ ერთეულთა რაოდენობა და თანამიმდევრობა აქაც ემთხვევა ზ. შანშოვანისას; სხვაობს ტერმინოლოგია (მყოფი; ყოფილი უსრული, სრული, მარადისრული, ზესრული; მყოფადი).

ანტონთან, ისევე როგორც მომდევნო პერიოდის ავტორთა ნაშრომებში, უღლების საკითხების განხილვისას ყურადღება ექცევა ზმნის ფორმასაც და ფუნქციასაც. სხვაგვარად: ზმნურ ფორმათა ანტო-

ნისეული ანალიზი ფორმობრივ-ფუნქციურ პრინციპს ემყარება. კილოს (ავტორის ტერმინოლოგიით — სქესი) კატეგორია არსებითია ფორმათა განაწილებისას დროებში. კილოს მიხედვით ფორმათა განაწილება ავტორს საშუალებას აძლევს, ზმნის ყველა შემჩნეული ფორმა ამ 6 დროში გადაანაწილოს.

1.3. რა მასალას ემყარება ავტორი გრამატიკული ანალიზის დროს?

აღნიშნავენ, რომ „ანტონის გრამატიკაში დამოწმებული ზმნის უღვლილების პარადიგმები ცხადყოფს, რომ ანტონს ყველგან ძველი ქართულის მასალა აქვს გათვალისწინებული [სქოლიოში: თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველ ქართულში არარსებულ, ფსევდოარქაულ ფორმებს (ჰრწამნნ... აღმიხუმიეს... ტიპისას)...]. შეცდომაც იქ მოსდის, რადგანაც მის დროს ძველი ქართულის ენობრივი მოვლენები უკვე მკვდარია და, ამას გარდა, ენობრივი ინტუიცია მას ახალი ქართული ენის მოდელებს უკარნახებს (ამიტომაც არის გაპარული პარადიგმებში ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები)“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 176-177). ეს საინტერესო დაკვირვება საინტერესო კითხვას აღძრავს: ანტონი ძველი ქართულის მასალას ემყარება (ეს არა მარტო პარადიგმებიდან, დამოწმებული ტექსტებიდანაც ჩანს), მაგრამ ანტონის გრამატიკა ძველი ქართული ენის გრამატიკაა თუ ახალი ქართულისა, ე. ი. ანტონისდროინდელი ქართულისა? კითხვის დასმა იმდენად მიგვაჩნია ლოგიკურად, რამდენადაც ანტონისდროინდელი ქართული ახალი ქართულია. ცოცხალ, სასაუბრო ენაში ძველი ქართულის ფაქტები ნაშთის სახითღაა შემორჩენილი XVIII საუკუნეში (ამის დასტურად სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის გახსენებაც კმარა).

შენიშვნა: მართალია, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმავე სულხან-საბა ორბელიანის საერო და სასულიერო ხასიათის თხზულებანი სხვაობენ სტილის თვალსაზრისით: სასულიერო ხასიათის თხზულებანი არქაული სტილით იწერება, მაგრამ იმავე არქაულ ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკური გააზრება, როგორც ჩანს, ახალი ქართულის პოზიციებიდან ხდება...

დასმულ კითხვაზე პასუხს მომდევნო მსჯელობა გაგვაცემინებს.

1.4. პირველი სერიის ფორმები

ე. ბაბუნაშვილი აღნიშნავს: „ანტონს გამოუყენებია ძველი ქართულის თითქმის ყველა მწკრივი: აწმყო, უწყვეტლის ხოლმეობითი, I კავშირებითი, წყვეტილი, II კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი სპორადულად, აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტელი, I ბრძანებითი, II ბრძანებითი, II ხოლმეობითი. არ ჩანს მხოლოდ III კავშირებითი (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 177).

მართალია, I სერიის ფორმათაგან ანტონი ამჩნევს ყველა ფორმას ძველი ქართულისას —

აწმყოს
აწმყოს ხოლმეობითს
უწყვეტელს
I ბრძანებითს
უწყვეტლის ხოლმეობითს
I კავშირებითს —

მაგრამ ამ ექვსი მწკრივის ფორმებს პარადიგმებში სამ დროში ანაწილებს:

აწმყოში,
უწყვეტელში (ნამყო უსრულში — ავტორის ტერმინოლოგიით),
I კავშირებითში (საწადისისა სქესისა აწმყო-მყოფადში).

რა ხდება? ფორმებს ამჩნევს, აანალიზებს და უღლების სისტემაში ყველას ვერ უძებნის ადგილს? ავტორისათვის დამახასიათებელი ენობრივი ალღოს პატრონისათვის და, საერთოდ, ენათმეცნიერული ანალიზის ხელოვანისათვის, ეს ფაქტი თითქოს უცნაურად ჟღერს.

ამთავითვე ვიტყვით: **ახალი ქართულის ენობრივი სინამდვილე ახდენს გავლენას ანტონზე; იგი ახალი ქართულის სემანტიკურ-ფუნქციური პოზიციებიდან უყურებს ძველი ქართულის ფაქტებს** და ამიტომ ძველი ფაქტების კვალიფიკაცია ყოველთვის ვერ იქნება სწორი; სხვაგვარად: **ფორმობრივად ძველი ქართულის მონაცემი სემანტიკურად ახალი ქართულის პოზიციებიდანაა გაანალიზებული.**

ა წ მ ყ ო - მ ყ ო ფ ა დ ი. აწმყოს პარადიგმებში ანტონი ძველი ქართულის ვითარებას ასახავს: უზმნისწინო და ზმნისწინიანი ვარიანტი ანტონისათვის ორივე აწმყოა თხრობითი კილოსი; მაგ.: აწმყოა, ერთი მხრივ, **ვასუამ, ვისუმევი, ვაწყენ, ვჰგუმ...** მეორე მხრივ, **შევჰკრავ, განვჰბან, განვიბანები, აღვიხუამ, აღვიხმი...**

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ზმნისწინის საკითხი ანტონთან სა-

განგებო ყურადღებას იმსახურებს. უღლების პარადიგმებში (I ნაწილში) ზმნა ყველა დროში ან უზმნისწინოდაა წარმოდგენილი, ან — ზმნისწინით. ზმნისწინის მიერ მომავალი დროის გამოხატვის ფუნქციაზე ანტონი არას ამბობს. ისე კი, 12 ზმნის პარადიგმიდან 9 უზმნისწინოდაა წარმოდგენილი, 3 — ზმნისწინით (შევჰკრავ, განვჰბან, აღვიხუმ)... საერთოდ კი, უღლების ტიპებსა და მის სახეობებზე მსჯელობისას ანტონი პირველ ნაწილში 80-მდე ზმნას განიხილავს. ამათგან ათიოდეს წარმოადგენს ზმნისწინით. ჩვეულებრივ, მსჯელობისას აწმყოს ფორმას (უზმნისწინოს) ასახელებს და საუბრობს მის მიმართებაზე ნამყო სრულსა და მყოფადთან (ე. ი. მეორე კავშირებითთან). ძნელი სათქმელია, ძირითადად უზმნისწინო ფორმათა შესახებ მსჯელობა ნიშნავს თუ არა იმას, რომ სწორედ ამგვარ ფორმებში ხედავს ავტორი აწმყოს მნიშვნელობას. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გამორიცხული ამგვარი გაგებაც.

ზმნისწინის ფუნქციაზე, მიანიჭოს ზმნას მყოფადის გაგება, არაა საუბარი ანტონთან. საერთოდ, ზმნისწინის საგანგებო როლს ზმნური ფორმის სემანტიკურ გაგებაში, როგორც ჩანს, გრძნობს ავტორი, მაგრამ არაა ბოლომდე გააზრებული მისი მნიშვნელობა და ამიტომ თავს არიდებს ერთსა და იმავე პარადიგმაში ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა წარმოდგენას. საგულისხმო ფაქტია, რომ ანტონმა გამოყო ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ყველა ზმნისწინი (ირ. ვეშაპიძე, 1967, გვ. 4-8). გრამატიკის II ნაწილში, სადაც საგანგებო მსჯელობაა ზმნისწინზე, აღნიშნავს, რომ ისინი არიან „მცუალებელნი მათისა მნიშუნელობისანი, რომელთაცა ზედ-დაედებიან“. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ანტონი მიანიშნებს ზმნისწინის არა რომელიმე კონკრეტულ მნიშვნელობაზე, არამედ ზოგადად შენიშნავს, რომ ზმნისწინის დართვა ზმნას გარკვეული თვალსაზრისით მნიშვნელობას უცვლის (შდრ. ალ. ფოცხიშვილი, 1979, გვ. 106). ამგვარი დასკვნის უფლებას გვაძლევს ანტონის შემდგომი მსჯელობა: „ხოლო ესენია (ზმნისწინები — გ. გ.), წულილ მხედუწლობითა ღრამმატიკოსისათა, არიან მნიშვნელ რაჲმესა“ (გვ. 160). ე. ი. მათ რაღაც მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ კონკრეტულად რა, ამის თაობაზე არას შენიშნავს.

საგანგებოდ ზმნისწინზე იმიტომ შევჩერდით, რომ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს ავტორი ორივეს აწმყოდ მიიჩნევს, არა იმიტომ, რომ ძველი ქართული სინამდვილის გრამატიკულ აღწერას ახდენს, არამედ თავს არიდებს ზმნისწინის ფორმაწარმოებით ფუნქციაზე ყურადღების გამახვილებას. ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირების შესაძლებლობას ხედავს ყველა დროში. დრო-კილოთა

სისტემაში ერთსა და იმავე ზმნასთან სხვადასხვა საუღლებელ ერთეულში ზმნისწინი ერთი ფუნქციისად მიიჩნევა.

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ ძველი ქართულის ე. წ. აწმყოს ხოლმეობითი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ამჩნევს ავტორი, მისთვის აწმყოს ვარიანტია მხოლოდ პირის ნიშნით განსხვავებული; მიანიშნებს იმასაც, რომ ამგვარი ვარიანტი ყველა ზმნას შეიძლება ჰქონდეს: „ყოველი ზმნაჲ აწმყოსა დროსა შინაჲ პირისამებრ მესამისა შესაძლებელ არს ნიშნითა ამით **ნ** განპიროვნებად, მაგალ.: ჰრწამ**ნ**, შეჰკრავ**ნ**, ჰსცემ**ნ** და სხუანი“ (გვ. 171). ამ დაკვირვებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას მივანიჭებთ ძველი ქართულის დრო-კილოთა სისტემის ანალიზისას. ანტონი აღნიშნავს იმასაც, რომ **ს**ანიან და **ნ**არიან მხოლობითის ფორმებს მრავლობითებიც შესაბამისი აქვთ: „რომელსაცა აწმყოსა შინა დროსა პირსა მესამესა აპიროვნებს **ნ**, მაგალ.: **ჰრწამნ,** მამრავლებელ ექმნების კუალად **ნ**, მაგალ.: ჰრწამნნ“ (იქვე). ეს ფორმა სამეცნიერო ლიტერატურაში კვალიფიცირებულია „ქართულში არარსებულ, ფსევდოარქაულ ფორმად“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 176). მართალია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ანტონი ცდება, მაგრამ ამ შეცდომას საფუძველი ისევ ძველ ქართულში ეძებნება. ისეთი შემთხვევების არსებობა ძველ ქართულში, როგორიცაა:

აწმყო: ა-ქუნ-ს || ა-ქუ-ს აწმყ. ხოლმ. ა-ქუნ || ა-ქუნ-ნ
ჩან-ს || ჩა-ს ჩან || ჩან-ნ

უბიძგებს ავტორს **ჰრწამნნ** ფორმის შექმნისაკენ. მართალია, ფორმა ხელოვნურია, მაგრამ საფუძველს ამგვარი ფორმის შექმნისას ძველი ქართულის ენობრივი სინამდვილე იძლევა.

შენიშვნა: ეს რომ ასეა, ამას ისიც ადასტურებს, რომ ავტორისეულ მსჯელობაში **აქუნნ** ფორმას აწმყოს მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობით გამოიყენებს: „...მამრავლედ და მაპიროვნედ აქუნნ იგივე ნიშანნი“... (ანტონი, 1985, გვ. 181) შდრ.: „მესამისა მიმართ პირისა აქუს მაპიროვნედ მხოლობითად **ა**“ (ანტონი, 1985, გვ. 187). ასევე: „მრავალნი ნამყოსა სრულსა დროსა შინანი ზმნანი სხჯსა და სხჯსა უღლჯლებისანი ჰსჩანნ ერთშესახედავყოფად“... (ანტონი, 1885, გვ. 187).

სამწუხაროდ, ანტონი ვერ ამჩნევს ძველი ქართულის ე. წ. აწმყოს ხოლმეობითის მრავლობითის ფორმებს **-ედ** ბოლოსართით, მაგრამ

ფაქტი მაინც საგანგებო მსჯელობას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ პირველ ნაწილში, უღლების პარადიგმებში, **ნ**არიანი აწმყო საერთოდ არაა წარმოდგენილი. ყველა შემთხვევაში **ს**ანიანი ფორმებია მესამე პირში **შეჰკრავს** ტიპისა. ე. ი. ავტორი პარალელურ **ს**ანიან და **ნ**არიან ვარიანტთაგან ძირითადად პირველს მიიჩნევს. **ნ**არიან ფორმებში აწმყოს გაგებას ხედავს; ვერ ამჩნევს სემანტიკურ სხვაობას **არს** და **არნ** ფორმებს შორის. ვითარება ნათელია: **ანტონი ძველი ქართულის ფაქტებს ახალი ქართულის ფუნქციურ-სემანტიკური პოზიციებიდან ხედავს.**

და ის ფაქტი, რომ პარალელურ (**ნ**არიან და **ს**ანიან) ვარიანტთაგან ძირითადად **ს**ანიანს მიიჩნევს, პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის უპირატესობის მინიჭების ანტონისეულ პრინციპებზე მიგვანიშნებს: **არს** და **არნ** ორივე აწმყოა (ანტონისათვის): სიხშირე **ს**ანიანი ფორმების გამოყენებისა წყვეტს **არს** ფორმის ძირითადობის საკითხს. **სიხშირული მონაცემების გათვალისწინება პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის ძირითადად მიჩნევის უმთავრესი პრინციპი ჩანს ანტონისათვის.** სიხშირული მონაცემები ძველი ქართულის მიხედვით განისაზღვრება. აქაც და სხვა შემთხვევაშიც ანტონის მიერ პარალელურ ფორმათაგან პარადიგმებში ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭება ნორმირების მცდელობასაც უნდა ნიშნავდეს: პარადიგმებში შეტანილ ფორმას ნორმის მნიშვნელობა აქვს მისთვის.

უწყვეტელი (ნამყო უსრული). ე. ბაბუნაშვილი აღნიშნავს, რომ „ანტონის ნამყო უსრული, როგორც ეს ჩანს მისი მსჯელობიდან და პარადიგმებიდანაც, არის ძირითადად ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითი („განვჰბანდი, განჰბანდი, განჰბანდის, განვჰბანდით, განჰბანდით, განჰბადიან. II, 16_V) თუმცა ხანდახან მხოლოობითის III პირში უწყვეტლის ფორმებიც დასტურდება („შეიყუარებდა“. I, 21_V) და მრავლობითის III პირში კავშირებითი I-საც (“შეიყვარებენ — I, 21_V)“ (ე. ბაბუნაშვილი: 1970, გვ. 155).

ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რა თქმა უნდა, გვაძლევს ძველი ქართული ენის ნორმათა გათვალისწინება და ანტონისეულ პარადიგმათა ანალიზი. მაგრამ, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ზოგი რამ. კერძოდ: განსხვავებულად უნდა მივუდგეთ, ერთი მხრივ, I და II პირის ფორმებს და, მეორე მხრივ, III პირის ფორმებს.

ფაქტია, რომ ანტონის პარადიგმებში წარმოდგენილი I და II პირის ფორმები ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებია როგორც **დ**ონიან, ისე **ოდ**იან ზმნებში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ

ძველსავე ქართულში **დ**ონიანი ზმნების უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები I და II პირში ფორმობრივად ემთხვევა ერთმანეთს; მათი გარჩევა არ ხერხდება ფორმობრივად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ **დ**ონიანებისა და **ოდ**იანების უწყვეტლის ფორმათა გაერთფეროვნება ძველსავე ქართულში იწყება. რამდენადაც ანტონი ვერ ხედავს სხვაობას აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითს შორის (არს-არნ), მოსალოდნელია, რომ ვერც ის სხვაობა იქნეს შენიშნული, რაც უწყვეტელსა და უწყვეტლის ხოლმეობითს შორისაა. ამ ორ ოდენობას ანტონი სემანტიკურად არ განარჩევს. უფრო მეტიც, რამდენადაც **ოდ**იანი ზმნების ძველი ქართულის უწყვეტელი (**ოდე** დაბოლოებით) არც ერთ შემთხვევაში არაა წარმოდგენილი ნამყო უსრულის პარადიგმაში და, პირიქით, **ოდე** ტიპის დაბოლოების მქონე ფორმები I კავშირებითის (მყოფადის — ავტორის ტერმინოლოგიით) პარადიგმაშია წარმოდგენილი **დე** ტიპის დაბოლოების ფორმათა გვერდით, აშკარაა, რომ სემანტიკურ-ფუნქციური შეფასება ამ ფორმათა ახალი ქართულის პოზიციებიდან ხდება (ამის თაობაზე ქვევით გვექნება საუბარი).

უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებზე მსჯელობა ამ შემთხვევაში ძირითადად III პირის ფორმათა მონაცემებს უნდა დაემყაროს. III პირის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით სამი შემთხვევა გაირჩევა:

1. როცა მხოლობითსა და მრავლობითში უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებია წარმოდგენილი:

შეჰკრჯდის, შეჰკრჯდიან (იქვე, გვ. 24)
განბანიდის, განბანიდიან (იქვე, გვ. 27)

2. როცა ორივე რიცხვში უწყვეტლის ფორმებია წარმოდგენილი:

განიბანებოდა, განიბანებოდენ (იქვე, გვ. 29)
აწყენდა, აწყენდენ (იქვე, გვ. 49)

3. როცა ხდება პარადიგმათა აღრევა: მხოლობითში უწყვეტლის ფორმაა, მრავლობითში — უწყვეტლის ხოლმეობითის და პირიქით:

განიბანებოდა, განიბანებოდიან (იქვე, გვ. 29)
ასმიდა, ასმიდიან (იქვე, გვ. 39)
ჰგუწმდა, ჰგუწმდიან (იქვე, გვ. 56)

ანდა:

შეიკრვოდის, შეიკრვოდენ (იქვე, გვ. 26)
აყოფინებდის, აყოფინებდენ (იქვე, გვ. 72)

შენიშვნა: 1. ღირსსაცნობია ის ფაქტიც, რომ უწყვეტელში სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის ფორმები ახალი ქართულისაა (-ენ სუფიქსით); ძველი ქართულის ფორმები ანტონთან არ გვხვდება (-ეს ბოლოსართით). 2. უწყვეტლის პარადიგმებში წარმოდგენილი **შეიყვარებდენ** ტიპის ფორმათა გაგება I კავშირებითის ფორმებად (შდრ. ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 155) არ გვეჩვენება მართებულად. ისინი ახალი ქართულის უწყვეტლის ფორმებია, რომლებიც ფორმობრივად ძველი ქართულის I კავშირებითს ემთხვევა. როგორც ქვევით ვნახავთ, ანტონის გრამატიკაში არ არის შემთხვევა ერთი საუღლებელი ერთეულის პარადიგმაში სხვადასხვა სემანტიკის ფორმების წარმოდგენისა. **აწყენდა** და **აწყენდენ** მხოლოდ სუბიექტის რიცხვით განსხვავებული ფორმებია; შესაბამისად, მრავლობითიც ახალი ქართულის უწყვეტლის ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული.

აღნიშნული სამი შემთხვევიდან II და III შემთხვევა იშვიათია. უფრო ხშირია I შემთხვევა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ III პირის უწყვეტლის ფორმები მხოლოდ პირველ ნაწილში, პარადიგმებში არის წარმოდგენილი. II, თეორიულ, ნაწილში მხოლოდ უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებია დამოწმებული. უფრო სწორად, მოყვანილი 15 მაგალითიდან მხოლოდ ერთია უწყვეტლისა, ისიც მხოლობითში: **ჰსწონიდა** (ანტონი, 1885, გვ. 179). არც ეს ჩანს შემთხვევითი: მეორე ნაწილში ანტონი ჯერ წესებს გვთავაზობს უწყვეტლის წარმოებისას, ხოლო შემდგომ ამ წესების შესაბამისად წარმოადგენს ფორმებს. აქ აღრევა ნაკლებ მოსალოდნელიც იყო. ხოლო პირველ ნაწილში პარადიგმათა აგებისას სასაუბრო ენის გავლენამ იჩინა თავი და გაიპარა რეალური ფორმები.

ვფიქრობთ: უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმათა ამგვარი აღრევა იმის მაუწყებელია, რომ ეს ორი განსხვავებული ერთეული ანტონისათვის ფუნქციურ-სემანტიკურად ერთი და იგივეა. ამავე დროს, უწყვეტლის ფორმათა (III პირის მაგალითზე) სიმცირე და უწყ-

ვეტლის ხოლმეობითის ფორმათა სიჭარბე მოყვანილ საილუსტრაციო მასალაში გამოწვეული უნდა იყოს ანტონის ენობრივი პოზიციით — მაღალი სტილისათვის შესაფერისად -ის/-იან ტიპის დაბოლოებიან ფორმებს მიიჩნევს (ავტორისეული მსჯელობაც ამგვარი ფორმებით მიმდინარეობს). თავისი დროის სასაუბრო ქართულიდან გამომდინარე, ის ამ ტიპის ფორმებს არქაულად თვლის.

ამდენად, **უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები ანტონისათვის ერთი და იგივე ფუნქციურ-სემანტიკური ოდენობაა.** აღქმა აქაც ახალი ქართულის პოზიციებიდან ხდება. სინონიმურ (ანტონის გაგებით) ფორმათაგან ერთ-ერთის ძირითადად მიჩნევას ამ შემთხვევაში არქაულობის პრინციპი (ანტონისავე გაგებით) განსაზღვრავს.

ანტონი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ნამყო უსრულის წარმოებაზე. აღნიშნავს, რომ „საზღურებითისა სქესისა ნამყოსა უსრულისა, ესე იგი, არა სრულისა დროსა შინანი ზმნანი წარმოებენ საზღურებითისავე სქესისა, აწმყოსა დროსა შინათა ზმნათაგან“ (იქვე, გვ. 178); რომ „მაპიროვნედ სამთავე პირთა მიმართ, იგივე არნნ, რაჲცაღა არნნ აწმყოსა დროთა შინათა, ეგ-სახედ მამრავლედ-ცა. ხოლო ნიშნად თჯისა არა სრულებისა, მიიღებენ მარცუალსა...“ (იქვე, გვ. 179); რომ **დი** და **ოდი** მარცუალთა მიერ არიან არა სრულ“ (იქვე, გვ. 181). თუმცა ამ უკანასკნელთაც დაშლის და **ი**-ს გამოყოფს, რომელსაც საკუთარ, ზოგად ნიშნად მიიჩნევს უწყვეტლისათვის: „იკიდურებენ უწინარეს ნიშნისა არა სრულებითისა ასოჲსა ამის **ი** სამთავე პირთა შინა მხოლოობთისისამებრცა და მრავლობითისა“ (იქვე, გვ. 180). ნამყო უსრულის ფორმის ანალიზი, როგორც ვხედავთ, სწორია: **აწმყოს ფუძე + დ-ი,** ანდა **ოდ-ი; ი** საკუთრივ ნამყო უსრულის მაწარმოებელია (**დ** და **ოდ ე**-სთან კომბინაციაში პირველ კავშირებითშიც — საწადისისა სქესისა აწმყოჲ და მყოობადი — გვხვდება. ამასაც ამჩნევს ანტონი). **ი**-ს საკუთრივ ნამყო უსრულის ნიშნად მიჩნევა არ ჩანს შემთხვევითი ავტორისათვის. ეგევე **ი,** როგორც ჩანს, ავტორს გაიგივებული აქვს III ხოლმეობითის **-ი** სუფიქსთან.

შენიშვნა: საინტერესო ჩანს ისიც, რომ ეგევე **ი** გაიგივებულია აწმყოში ვნებითის **ი** სუფიქსთან: „ესე (ე. ი. II ხოლმეობითის ფორმები) მსგავსი არს ვნებითისა ვიბრწყინვი, ვისურვი“ (იქვე, გვ. 181). აქ მხოლოდ მასალობრივი

იგივეობის საკითხი რომ არ დგას, იქიდანაც ჩანს, რომ ნამყო სრულის **ი**-სთან მისი გაიგივება არ ხდება.

II ხოლმეობითის ფორმებს ანტონი, რა თქმა უნდა, ამჩნევს, მაგრამ მიიჩნევს მათ ნამყო უსრულად. „სხჯთაცა ნიშნებითა იქმნებიან ზმნანი ნამყოსა დროსა არა სრულსა შინა მიმოხრილ, ხოლო ნიშანნი იგი არიან: 1, **ი,** 2, **ვ,** მაგალითებრ: შევიკრი, განვიბანი, შევიყუარი... ვჰყვ... ვჰსძრცვ... ესენი ორითა ნიშნითა არიან არა სრულნი, ესე იგი განკიდურებითა: 1. **ი** მარცულისათა, მაგალითებრ: ვჰნერგი, 2. **ვ,** მაგალითებრ: ვჰყვ, და სხუანი. ხოლო მამრავლედ და მაპიროვნედ აქუნნ იგივე ნიშანნი, რომელნიცა **დი** და **ოდი** მარცვალთა მიერ არიან არა სრულ“ (იქვე, გვ. 181).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „არანაკლებ საინტერესოა ანტონის მიერ II ხოლმეობითის ფორმების უწყვეტლად გამოცხადებაც. როგორც ჩანს, ანტონს შეუმჩნევია, რომ ძველ ქართულში ასეთი ფორმები უწყვეტლის ფუნქციით გამოიყენება“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 156). ძველ ქართულში რომ II ხოლმეობითი უწყვეტლის მნიშვნელობით გამოიყენება, ეს არ უნდა იყოს არსებითი საფუძველი ანტონისეული ანალიზისათვის. მთავარი აქაც ის ჩანს, რომ ანტონი ვერ ამჩნევს იმ სემანტიკურ სხვაობას, რაცაა უწყვეტელსა და II ხოლმეობითს შორის. ფორმათა ამგვარი ანალიზის საფუძველი აქაც ახალი ქართულის პოზიციებიდან ჭვრეტაა: მეორე ხოლმეობითი აღარაა ცოცხალი სასაუბრო მეტყველებაში; მას ძირითადად ნამყო უსრული ცვლის...

ამგვარად: **მეორე ხოლმეობითი ანტონის გაგებით იგივე ნამყო უსრულია, მისი ფორმობრივი ვარიანტია.** ამ საკითხზე უფრო ვრცლად მსჯელობა გვექნება VI თავში (§ 23).

ნამყო უსრულადაა გაგებული, მის ფორმობრივ ვარიანტად, ძველი ქართულის I ბრძანებითიც: „კუალად მაპიროვნედ აქუს ზმნათა ამათთა, მესამისა პირისათა, ნამყოთა არა სრულთა დროთა შინა **ნ,** მაგალითებრ: შეჰკრჯდინ, განჰბანდინ, ჰკუდთდინ, ჰსძრცჯდინ, და სხუანი“ (ანტონი, 1885, გვ. 181). მართალია, აქ მრავლობითის ორმაგნარიან ფორმებს გვთავაზობს (მსგავსად აწმყოს ხოლმეობითისა) — შეჰკრჯდინნ, შეიყუარებდინნ... — მაგრამ ცოტა ქვევით, I კავშირებითის ფორმებზე მსჯელობისას, I ბრძანებითის ფორმები მოჰყავს და სწორადაც! „მხოლობითისამებრ მაპიროვნედ იქმნებიან **ნ.** მაგალითებრ: შეიკრვოდინ, შეიკურებოდინ, ხოლო მამრავლედ **ედ** მარცუალი, მაგალითებრ: შეიკრვოდედ, განიბანებოდედ, აღიხუმოდედ და სხუანი“ (იქვე, გვ. 184).

შენიშვნა: ისიც საგულისხმო ფაქტია, მხოლობითის **ნ**არიან ფორმას მეწყვილედ მრავლობითში **ედ**-იან ფორმას დაუყენებს.

როგორც ვნახეთ, ნამყო უსრულზე მსჯელობისას ანტონი განიხილავს სხვადასხვა საუღლებელი ერთეულის ფორმებს: უწყვეტლისას, უწყვეტლის ხოლმეობითისას, I ბრძანებითისას, მეორე ხოლმეობითისას. ყველა ეს ფორმა ანტონისათვის შინაარსობრივად იდენტურია. ავტორი საჭიროდ ცნობს თითოეული მათგანის ანალიზს, რამდენადაც მიზანი გრამატიკული ფორმის დახასიათებაა ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით. რადგან ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი საუღლებელ ერთეულთა გამოყოფისა ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური მხარის გათვალისწინებაა, ამიტომ რამდენიმე ფორმა ერთ საუღლებელ ერთეულში იყრის თავს. ე. ი. **აანალიზებს ძირითადად ძველი ქართული ენის მასალას, ფორმა არ რჩება შეუმჩნეველი, მაგრამ ხდება ფუნქციურ-სემანტიკურად ამ ფორმათა იდენტიფიკაცია.** გრამატიკის II ნაწილში ყველა მათგანს ეძებნება ადგილი; პარადიგმებში ასე არაა. მაგრამ ღირსსაცნობია ის, რომ **პარადიგმებში ფორმობრივი პრინციპი მკაცრადაა გატარებული** (თუ მხედველობაში არ მივიღებთ უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის III პირის ფორმებს): ფუნქციურ-სემანტიკურად იდენტური (ანტონისათვის) II ხოლმეობითის ფორმა არ შეიძლება მოხვდეს უწყვეტლის ფორმის გვერდით ერთ პარადიგმაში. ერთადერთი შემთხვევაა, როცა I ნაწილში II ხოლმეობითის ფორმებია ნამყო უსრულის პარადიგმაში: **ვიყვი, იყვი, იყვის...** (იქვე, გვ. 21). საგულისხმო შემთხვევაა: **ვარ** ზმნას უწყვეტლის ფორმა არა აქვს და ანტონმა ნამყო უსრულის დროში II ხოლმეობითის ფორმა ჩასვა, მისი აზრით, იგივე ნამყო უსრული. რა თქმა უნდა, ზმნას უწყვეტლის ფორმა რომ ჰქონოდა, II ხოლმეობითი პარადიგმაში არ მოხვდებოდა, ფორმობრივი პრინციპი არ დაირღვეოდა.

ძირითადი საფუძველი სხვადასხვა ფორმათა ერთ სემანტიკურ-ფუნქციურ ოდენობად გააზრებისა ისაა, რომ ხოლმეობითის კატეგორია ანტონს შეუმჩნეველი დარჩა. ეს კი იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ აღნიშნული კატეგორია ანტონისდროინდელი ქართულისათვის უკვე ისტორიული ფაქტია. ანტონი ფორმას ახალი ქართულის ფუნქციურ-სემანტიკური პოზიციიდან აფასებს.

I კავშირებითი (საწადისისა სქესისა აწმყოჲ და მყოფადი).

I კავშირებითის ფორმები, ისევე როგორც საწადისი (კავშირებითი) კილოს სხვა ფორმები, **ვაშათუ** შორისდებულს დაირთავს.

I კავშირებითისათვის სპეციფიკურად ანტონი **დე** და **ოდე** დაბოლოებებს მიიჩნევს. ამასთანავე გახაზავს, რომ **ოდე** დაბოლოება ვნებითი გვარის ზმნათათვისაა დამახასიათებელი (იქვე, გვ. 184).

ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ ამ საუღლებელი ერთეულის ფორმობრივი ანალიზი ახალი ქართულის ვითარებას ასახავს: **ოდ**-იან ზმნებთან **ე** სუფიქსი გვაქვს. **ე**-ს სპეციფიკური კავშირებითის ფორმანტად გააზრება ანტონს ერთ ლაფსუსს დააშვებინებს: **შეიკრვოდედ, განიბანებოდედ** ტიპის ფორმებს I კავშირებითად გაიაზრებს (იქვე, გვ. 184).

1.5 მეორე სერიის ფორმები

ნამყო სრული. ამ საუღლებელ ერთეულს ანტონი ერთ-ერთ ძირითად დროდ მიიჩნევს. იგი ყველა ზმნის პარადიგმაშია წარმოდგენილი.

შენიშვნა: მხოლოდ ერთი ზმნის შემთხვევაშია აღრეული პარადიგმა (I ნაწილში). ნამყო სრულად წარმოგვიდგენს ფორმებს: ვჰსციქუდ, ჰსციქუდ, ჰსციქუდა; ვჰსციქუთ, ჰსციქუთ, ჰსციქუს. ეს ერთადერთი შემთხვევაა ანტონთან, როცა ერთი და იმავე ზმნის ერთი დროის პარადიგმაში მხოლობითი და მრავლობითი ასე სხვაობს ფორმობრივად. მხოლობითის ფორმები ნამყო უსრულის ფორმებია, მრავლობითისა — ნამყო სრულის. ფაქტის ახსნა ჭირს.

ნამყო სრულისთვის, ისევე როგორც აწმყოსთვის, საყრდენად ანტონს მასდარი მიაჩნია: „სრულსა დროსა შინანი ზმნანი, საზღვრებითისა სქესისა მებრნი, წარმოებენ ძირთაგან თქმულთა“ (იქვე, გვ. 187). თუმცა ამას სხვაგვარი მსჯელობა მოსდევს; თუ სწორად გვესმის ანტონის აზრი, მსჯელობა ასე გრძელდება: ნამყო სრულისთვის ამოსავალია (საყრდენია) აწმყო, რომლისთვისაც თავისთავად ამოსავალია მასდარი: „კუალად უფრორე შესაბამ არს, რათა პირველად იწარმოონცა ძირთაგან თჯსთა, აწმყოსა შინა ზმნათა და მათგან სხუათა, მაგრა, ვინაჲთგან ნამყოდ სრულად დროებითნი სხუაობენ, აწმყოდ დროებითთაგან ითქმიან **საშუალობითა** (ხაზი ავტორისაა — გ. გ.), აწმყოდ დროებითთა ზმნათთა ძირთაგან პირველად წარმოებად ზმნანი ნამყოსა სრულსა

დროსა შინანი“ (იქვე, გვ. 187).

ზმნური ფორმაწარმოების თვალსაზრისით ფასეულად მიგვაჩნია აწმყოსა და ნამყო სრულის ფორმათა წარმოების ურთიერთმიმართების საკითხის დასმა. საგულისხმოა ანტონის დაკვირვება იმის თაობაზე, რომ **აწმყოს ფორმის სტრუქტურა (წარმოება) არ განსაზღვრავს ნამყო სრულის წარმოების ტიპს.** სხვაგვარად: ზმნები აწმყოში შეიძლება ერთგვარად იწარმოებდეს ფორმებს, მაგრამ განსხვავებული იყოს მათი ნამყო სრულის წარმოება: „**აღვიხუამ, ვჰსდგამ** არიან ერთის უღვლილებისა ქუცშენი და ერთ-ხატნი აწმყოსა დროსა შინანი, მაგრა ნამყოსა სრულსა დროსა შინა განსხუავებულნი ურთიერთას, მაგალითებრ: **აღვიხუ, ვადგგ**“ (იქვე, გვ. 170).

ეს ფაქტი იმდენად გვეჩვენება საინტერესოდ, რამდენადაც დღესაც კი ნამყო სრულის წარმოების საკითხებს აწმყოს ფორმათა წარმოებიდან ამოსვლით განიხილავენ.

მიუხედავად იმისა, რომ ნამყო სრულის ფორმათა წარმოება თითქოსდა მარტივია, ყველაზე მეტი აღრევა და სიჭრელე აქ გვაქვს ანტონთან. რვა ნიშანს გამოყოფს ნამყო სრულის მაწარმოებლად ავტორი: 1. **ა** (შევჰკარ, განვჰყავ), 2. **ე** (შევიყუარე, ვეც), 3. **ოდა** (მჰსუროდა), 4. **ი** (განვარდი), 5. **უ** (აღვიხუ), 6. **ც** (ვისურუც, ვჰსძარცუც), 7. **გ** (დავადგგ) და 8. „**ვგდ**, და ოდესმე **დ**“ (ვჰსდევგდ, ვჰსწონდ) (იქვე, გვ. 187).

როგორც ვხედავთ, მართებულადაა გამოყოფილი მე-2 და მე-4 შემთხვევაში ნამყო სრულის მაწარმოებელი **ე** და **ი**; აქვე შემოვა მე-6 შემთხვევაც — **ც** მაწარმოებელი: ეს ავტორის ორთოგრაფიის თავისებურებაა: **უ**-ს შემდგომ **ე** ყოველთვის **ც**-ს სახითაა წარმოდგენილი (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 52). რა თქმა უნდა, შეცდომაა **ვარ, ყავ, ვეც** მაგალითთა შემთხვევაში ფუძისეული ხმოვნის მაწარმოებლად მიჩნევა, მაგრამ თავისთავად საინტერესოა ის, რომ ამ ხმოვანთა გამოვლენა ნამყო სრულის თავისებურებად მიიჩნევა (ამ ტიპის ზმნათა ძირი სრული სახით მხოლოდ ნამყო ძირითადში წარმოგვიდგება!). მე-3 შემთხვევაში შეცდომის წყარო **მსურს** სტატიკური ზმნის ფორმაწარმოების თავისებურებაა: **მსუროდა** ნამყო უსრულია, ნამყო სრული არ ეწარმოება; ფუნქციურად **მსუროდა** იტვირთავს ნამყო სრულის მნიშვნელობას. არასწორი ანალიზის მიზეზი მე-8 შემთხვევაშიც ნამყო სრულისა და ნამყო უსრულის ფუნქციურ-სემანტიკური მსგავსება უნდა იყოს. გაუგებარია მე-5 შემთხვევაში ბოლოკიდური **უ**-ს მიჩნევა ნამყო სრულის ნიშნად. ანტონი ჩვეულებრივ ნამყო სრულის ფორმის შეპირისპირებას ახდენს აწმყოს ფორმასთან და განსხვავებულ ნიშანს დაარქმევს

ნამყო სრულის ნიშანს. **ჳ** ამ ტიპის ზმნებთან აწმყოშიც გვაქვს (აღვიხჳამ)... ფაქტის ახსნა ჭირს.

სწორია ავტორის დაკვირვება იმის თაობაზეც, რომ სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **ა** და **ო** ნამყო სრულის ფორმათა წარმოების თავისებურებაა (იქვე, გვ. 187). თუმცა შეცდომა იჩენს თავს მრავლობითის ფორმებზე მსჯელობისას, **ჰსწერეს, ჰკუცთეს** ფორმებში მრავლობითის ნიშნად **ს** არის მიჩნეული; შეცდომა I-II პირთან III პირს ფორმის შეპირისპირებამ დააშვებინა: **ვჰსწერეთ, ჰსწერეთ, ჰსწერეს...**

ყურადღებას მივაქცევთ იმასაც, რომ III პირის მრავლობითი რიცხვის შესახებ მსჯელობისას ანტონი განასხვავებს ვითარებას მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებში. განმარტავს, რომ „მესამისა მიმართ პირისა, ზმნათა ამათ ვნებითთა ნამყოდ სრულ დროებითთა მამრავლედ აქუსყე: 1. **ენ,** 2. **ნენ** ანუ **ნეს.** ნიშანთა ამათ ყოველთა მიიღებენ ყოვლისა უღვლილებისა ქუცშენი ზმნანი ყოვლისა მაგალითისა მებრნი“ (ანტონი, 1985, გვ. 190). საინტერესოა ის, რომ **ნენ** და **ნეს** ერთიმეორის ვარიანტებადაა ჩათვლილი. მიუხედავად იმისა, რომ ანტონისათვის საანალიზო მასალა ძველი ქართულისაა, ავტორი მაინც ვერ გაექცა ახალი ქართულის ფაქტებს. თუმცა პარადიგმებში (I ნაწილში) ჭარბობს **ნეს** (ანდა **ეს**) ტიპის დაბოლოება. ვფიქრობთ, ეს ანტონის ენობრივი პოზიციით უნდა აიხსნეს.

მეორე კავშირებითი (საზღვრებითისა სქესისა მყოობადი). ეს საუღლებელი ერთეული სწორადაა გამოყოფილი და ანალიზიც მართებულია. ანტონი სამ მაწარმოებელს გამოყოფს: **ა, ე, ო.** „არიან ნიშანნი მყოობადისა შინა მოხრილთა ზმნათანი: 1. **ა**, მაგალითებრ: შევჰკრა, განვჰხსნა, ვჰქმნა, და სხუანი, 2. **ო**, მაგალითებრ: აღვლესო, ვჰკუცთო, ვჰსწერო, და სხუანი. 3. **ე**, მაგალითებრ: ვჰსდგე, განვარდე, განვჰსძლიერდე, ვესვიდე, და სხუანი“ (იქვე, გვ. 195).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ I ნაწილში უღლების სახეობებზე მსჯელობისას, ერთ-ერთი არსებითი ნიშანი ზმნათა დახასიათებისა ნამყო სრულისა და მყოფადის ფორმათა ურთიერთმიმართების საკითხია: „ესე სრულსა დროსა შინა საშუალ შემოიყვანს **ა.** მაგალითებრ: შევჰკარ და მყოოფადსა შინა განიკიდურებს. **ე.** მაგალითებრ: ვიესვე... და მყოობადსა შინა **ო.** მაგალითებრ: ვიესვო“ (გვ. 23) და მისთ.

შენიშვნა: ერთადერთ შემთხვევაში — ციქუა — აღრეულია პირველი და მეორე კავშირებითის ფორმები; II კავშირები-

თად არის გაგებული ფორმები ჰსციქჯდეს, ჰსციქჯდენ (იქვე, გვ. 73). შდრ.: იმავე ზმნის ნამყო სრული.

საინტერესოა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა II კავშირებითის მრავლობითის ფორმები. I-II პირი ახალი ქართულისაა: **შევიკრათ, შეიკრათ** (იქვე, გვ. 26), **განვიბანოთ, განიბანოთ** (იქვე, გვ. 29); მესამე პირის ფორმებში გვაქვს, ერთი მხრივ, ახალი ქართულის ვითარება — **განიბანონ;** მეორე მხრივ, ძველი ქართულისა — **შეიკრნენ.** ერთადერთი შემთხვევაა, როცა ძველი ქართულის ვითარებაა სამსავე პირში: **ვიყუჱნით, იყუჱნით, იყუნენ** (იქვე, გვ. 21) (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ანტონის ორთოგრაფიის თავისებურებას); თუმცა შემდგომ **ვიყოფი** ზმნის პარადიგმაში, სადაც II და III სერიის ფორმები ემთხვევა **ვარ** ზმნის პარადიგმებს, მყოფადი ასეა წარმოდგენილი: **ვიყოთ, იყოთ, იყუნენ** (იქვე, გვ. 71).

ამგვარად, II კავშირებითის პარადიგმები ანტონთან ძირითადად ახალი ქართულის ვითარებას ასახავს.

მ ე ო რ ე ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი ს შესახებ მსჯელობა უკვე გვქონდა ნამყო უსრულის საკითხის განხილვისას. აღვნიშნავთ ისევ, რომ ანტონი ამ ფორმებს ამჩნევს, გამოყოფს მაწარმოებლად **ი** ელემენტს, ოღონდ არ მიიჩნევს მას დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად. ავტორისათვის მეორე ხოლმეობითი იგივე ნამყო უსრულია, მისი ფორმობრივი ვარიანტი.

მ ე ო რ ე ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი (ბრძანებითისა სქესისა აწმყოჲ). წართქმით ბრძანებითში ნამყო სრულის ფორმებია მოხმობილი II პირისათვის, II კავშირებითისა — III პირისათვის, ხოლო უკუთქმითი ბრძანებითისათვის — აწმყოს ფორმები **ნუ** ნაწილაკითურთ. პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

მხოლობითად **შეჰკარ, ნუ შეჰკრავ. შეჰკრის, ნუ შეკრავს.**

მრავლობითად **შეჰკარით, ნუ შეჰკრავთ. შეჰკრან, ნუ შეჰკრავენ** (იქვე, გვ. 25).

„ბრძანებითისა სქესისა აწმყოჲ“ სისტემებრ ამ სახითაა წარმოდგენილი ანტონის პარადიგმებში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ **ესაა ერთადერთი შემთხვევა უღლების პარადიგმაში, როცა ფორმობრივად სხვადასხვა მონაცემი სისტემებრ ერთ საუღლებელ ერთეულშია მოქცეული.** ავტორისათვის ამ შემთხვევაში მხოლოდ ფუნქციაა

ამოსავალი. სხვა შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, ფორმობრივ-ფუნქციური მონაცემებია გათვალისწინებული და ისეა გამოყოფილი საუღლებელი ერთეული. როგორც ჩანს, ვერ ახერხებს ავტორი იმას, რომ გვერდი აუაროს ბრძანებითის ფუნქციის მქონე ფორმებს და შესაბამის საუღლებელ ერთეულსაც გამოყოფს, თუმცა გრძნობს, რომ ეს ფორმობრივი პრინციპის დარღვევაა და მიუთითებს კიდეც, რომ: „შესახედავი და ნაკუწთი ბრძანებითისა სქესისა აწმყოდ საზღურებითისა იგივე არს, რაჲცა არს ნამყოჲსა სრულისა, დროებითისა პირისა მეორისა და ესე დამტკიცებითად იქმნების, მაგალითებრ: **ჰქმენ.** ხოლო პირისა მიმართ მესამისა, მყოობადისა დროებითისა ზმნისა, მესამისა მსგავსი არს და იგივე ყოვლითურთ, მაგალითებრ: **ჰქმნას.** ხოლო ნაბრძანნი უკუთქმითრე, ანუ ნავედრნი პირისა მიმართ მეორისა, მსგავსი არს ყოვლითურთ აწმყოდ დროებითისა, მეორისა და მესამისა პირისა, მაგალითებრ: **ნუ იქმ, ნუ იქმს.** ხოლო მრავლობითად წარმოდგომაჲ დამტკიცებითთა და უკუთქმითთა ბრძანებითთა, იგივე არს, ვითარ იგი მხოლობითთა“ (გვ. 166-167). და რომ ბრძანებითი პირნაკლია, აკლია I პირის ფორმა (მხოლობითიც და მრავლობითიცო), ამაზეცაა მსჯელობა და მიზეზსაც იძიებს („მით რომელ არავინ არს თჳსადმი თჳსისამ ბრძანებელ და მვედრებელ“ — გვ. 163). როგორც ვხედავთ, ბრძანებითი ანტონისათვის მხოლოდ ფუნქციური ერთეულია; ფორმობრივად სხვა საუღლებელი ერთეულებია გამოყენებული. დაკვირვება ფასეულია. ასევე, **ფასეულად მიგვაჩნია თხოვნით-ბრძანებითის ფუნქციის დალანდვაც** („ნაბრძანნი ანუ ნავედრნი“).

ისიც უნდა აღინიშნოს ალბათ, რომ ბრძანებითის ცალკე საუღლებელ ერთეულად გამოყოფა სხვა ენათა გრამატიკების გავლენის გარკვეული შედეგი უნდა იყოს.

1.6. მესამე სერიის ფორმები

მესამე სერიის ფორმათაგან ანტონის პარადიგმებში მხოლოდ I და II თურმეობითის ფორმებია წარმოდგენილი. III კავშირებითი, როგორც ითქვა, ანტონს შეუმჩნეველი დარჩა.

I თურმეობითი (ნამყო უსრულესი). ამ საუღლებელი ერთეულის ფორმათა ანალიზი კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს ანტონის ღრმა მეცნიერული დაკვირვებისა და მსჯელობის უნარში. ნამყო უსრულესის (ე. ი. I თურმეობითის) წარმოებისას ანტონი განარჩევს მოქმე-

დებითი და ვნებითი გვარის ზმნებს (ვნებითთაგან მხოლოდ ერთპირიანებს განიხილავს, ორპირიანებზე მსჯელობა არა აქვს).

მოქმედებითი გვარის ზმნებში სამგვარ წარმოებას გამოყოფს: 1. **მითქუამს, შემიკრავს** ტიპისა (თუმცა ნიშნად **-ს**-ს გამოყოფს), 2. **მიწერიეს** ტიპისა (მაწარმოებელი **იეს**) და 3. **წარმიყვანია, წარმიღია** ტიპისა (მაწარმოებელი **-ია**). აქვე ავტორი შენიშნავს, რომ „განაღა, რომელნიცა ზმნანი, მეორისა ნიშანსა მიიღებენ — მესამეცა და რომელნიცა მესამესა — მეორესაცა“ (იქვე, გვ. 192). ამგვარად, **იეს** და **ია** ტიპის დაბოლოებებს პარალელურ ვარიანტებად მიიჩნევს, რომლებიც ყველა შემთხვევაში შეიძლება შეენაცვლოს ერთმანეთს. მაგრამ ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ I ნაწილში, უღლების პარადიგმებში, მხოლოდ **იეს** დაბოლოებას წარმოადგენს. ფაქტია, ანტონი გრძნობს, რომ ამგვარი დაბოლოება უფრო არქაულია და სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, ავტორის ენობრივ პოზიციას თუ გავითვალისწინებთ. ეს ტენდენცია (**იეს** დაბოლოების ძირითადად მიჩნევა) იმდენად ძლიერია ანტონთან, რომ ერთგან **ავ** თემისნიშნიან ზმნასაც **იეს** დაბოლოებით წარმოგვიდგენს: **შემიკრჳეს, შეგიკრჳეს, შეუკრჳეს** (იქვე, გვ. 25). ეს ფორმები „საწადისისა სქესისა ნამყოჲ სრულისა და უსრულესის“ პარადიგმაშია წარმოდგენილი. ეს დრო ჩვეულებრივ საზღვრებითი სქესის ნამყო უსრულესისაგან მხოლოდ „ვაშათუ“ შორისდებულით განსხვავდება: **მიგუწმიეს** და **ვაშათუ მიგუწმიეს, მისმევიეს** და **ვაშათუ მისმევიეს** და მისთ. **შეკრავს** ზმნის შემთხვევაში თხრობით კილოში სწორი ფორმებია წარმოდგენილი (შემიკრავს, შეგიკრავს, შეუკრავს...), კავშირებითში **იეს** დაბოლოებიანი. II ნაწილში **აღმიხუამს** ზმნის სქემაში პარალელურად ორივე, **იეს** და **ია,** დაბოლოებაა წარმოდგენილი: **აღ-მი-გი-უწ-ხუმიეს, ია, ია, იათ, იათ** (იქვე, გვ. 133).

ამრიგად, როგორც ე. ბაბუნაშვილი შენიშნავს, „ერთი და იმავე უღვლილების ზმნას ზოგჯერ შეიძლება სამი მაწარმოებელი დაერთოს“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 168). ამათგან **იეს** დაბოლოებიანი ფორმები არაბუნებრივია. შეცდომის წყარო, როგორც ჩანს, სასაუბრო ენაში გავრცელებული **ია** დაბოლოებიანი ფორმებია. იმ წესის საყოველთაოდ გატარებამ („რომელნიცა ზმნანი, მეორისა ნიშანსა მიიღებენ — მესამესაცა და რომელნიცა მესამესა — მეორესაცა“) უკარნახა ანტონს **შეუკრვია, აღუხუმია** ფორმათა საფუძველზე **შეუკრჳეს, აღუხუმიეს** ფორმების გაკეთება.

ძალზე საინტერესოა ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნათა I თურმეობითის ანალიზი. მოვიყვანთ ციტატას: „ვნებითთა ზმნათა ნიშანნი

უსრულესსა ნამყოსა დროსა შინა არის ზმნად არსებითი, აწმყოსა დროსა შინად, სამთავე მიმართ პირთა, ვითარმედ პირველად ზმნად იცვალების მიმღეობად, ნამყოდ ვნებითად, და მერმეღა დაედების თჳთეულისა პირისა მიმართნი ზმნანი არსებითნი, აწმყოსა დროსა შინანი, მაგალითებრ: **შეკრულ-ვარ, შეყუჱარებულ-ხარ, მოწყლულ-არს** ანუ **შეკრულ-არიან** და სხუანი“ (გვ. 192). როგორც ვხედავთ, I თურმეობითის ფორმათა ანალიზი ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნათათვის სწორია: წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა + მეშველი ზმნა აწმყოს ფორმით.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია ისიც, რომ ანტონი მოქმედებითი გვარის ზმნათა ინვერსიულობაზეც მიანიშნებს, გახაზავს იმ ფაქტს, რომ სუბიექტის ნაცვლად ობიექტური პირის ნიშნები იჩენს თავს: „მაპიროვნენი ნამყოსა უსრულსა დროსა შინა არიან, პირველისა პირისა მიმართ **-მ,** მეორისა მიმართ — **გ** და მესამისა მიმართ — **უ,** ნიადაგ და მარადის“ (გვ. 192).

II თურმეობითი (საზღვრებითისა სქესისა ნამყოჲ უუსრულესი). ამ საუღლებელი ერთეულის შემთხვევაში ანტონთან რაიმე არსებითი ხასიათის თავისებურება არ გვხვდება. ფორმაწარმოების თვალსაზრისით პარადიგმა სწორადაა აგებული; მაგალითისათვის:

შემეკრა, შეგეკრა, შეეკრა
შეგჳკრა, შეგეკრათ, შეეკრათ (გვ. 25).

თუმცა, როცა იმავე ზმნის ობიექტური წყობის პარადიგმას (პირნაკლ პარადიგმას — ავტორის აზრით) წარმოგვიდგენს, მესამე პირის მრავლობითობას **თ** სუფიქსის ნაცვლად **-ყე** ნაწილაკით გამოხატავს: **შეეკარ-ყე** (გვ. 35). ამგვარივე ფორმას იმეორებს საწადისი სქესი ნამყო უუსრულესში: **ვაშათუ შემეკარ-ყე**. საერთოდ, ანტონი აწმყოში მესამე პირის მრავლობითობის გამოხატვაზე როცა მსჯელობს, **ყე** ნაწილაკს მორფოლოგიურად **-ან** და **-ენ** სუფიქსთა ტოლფასად მიიჩნევს, მაგ.: **ჰსწერენ, განჰყიდიან** და **უყვარს-ყე** (იქვე, გვ. 171). როგორც ვხედავთ, აწმყოში **ყე** მხოლოდ ობიექტური წყობის ზმნასთანაა დამოწმებული. პარადიგმებში მხოლოდ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იჩინა თავი (შეეკრას-ყე). ფაქტი ერთია, ავტორი აშკარად გრძნობს, რომ **ყე**-ს ფუნქცია მიცემითში დასმული სუბიექტის (ან რეალური სუბიექტისა) მრავლობითის გამოხატვაა. ერთიცაა, **ყე** ნაწილაკი პარადიგმებში დე-

ფისითაა გამოყოფილი, მსგავსად მეშველი ზმნისა. პირის ნიშნებს ჩვეულებრივ არ გამოყოფს ანტონი ფორმაში. ეს ალბათ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორი გრძნობს **ყე**-ს ნაწილაკურ წარმომავლობას. ისიცაა ღირსსაცნობი, რომ ამ შემთხვევაშიც სასაუბრო ენის გავლენა აშკარაა გრამატიკული ანალიზისას.

როგორც დავინახეთ, ანტონი ძირითადად ძველი ქართულის მასალის ანალიზს ახდენს და ფორმობრივი თვალსაზრისით ძველი ქართულის თითქმის ყველა საუღლებელი ერთეულია გამოყოფილი; მაგრამ აშკარაა ახალი ქართულის ენობრივი სინამდვილის გავლენა ავტორზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზში იგრძნობა.

აქვე გვინდა გავიხსენოთ, რომ ჩვენს მსჯელობაში ტერმინები „ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“, ასე ვთქვათ, სამუშაო ტერმინებია. ჩვენ ამ შემთხვევაში მივანიშნებთ, ერთი მხრივ, ძველი ქართულის პერიოდისათვის და, მეორე მხრივ — ახალი ქართულის პერიოდისათვის დამახასიათებელ ფორმებს. ანტონისათვის კი არ არსებობს ცნება ძველი და ახალი ქართულისა. მისთვის ქართული ერთია, ერთიანი ენაა, რომელშიც ზოგ შემთხვევაში ხდება ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის ნაირგვარი გამოხატვა, გვაქვს პარალელიზმი წარმოებაში (ჩვენი თვალსაზრისით ძველი და ახალი ფაქტების დაპირისპირება). ძველი ფაქტები მისთვის უფრო წიგნურია, ლიტერატურული და ამიტომაც აძლევს მას ავტორი ხშირ შემთხვევაში უპირატესობას.

1.7. უღლების ტიპები

ანტონის გრამატიკაში ყველაზე რთული და სადავო უღლების ტიპებად დაყოფაა. სულ ანტონს გამოყოფილი აქვს უღლების 8 სახე და 59 სახეობა (პირველ უღლებაში — 7, II-ში — 15, III-ში — 7, IV-ში — 10, V-ში — 8, VI-ში — 4, VII-ში — 1, VIII-ში — 7). უღლების სახეთა გამოყოფის საფუძვლად თხრობითი კილოს აწმყოს დაბოლოებაა მიჩნეული: უფრო სწორად, ბოლო მარცვლის ხმოვანი (ა, ე, ჱ, ი, უ, ო, ჳ, გ). ეს ფაქტი მხითარის სომხური გრამატიკის გავლენით იხსნება: „ზმნების უღვლილებად დაყოფა ანტონმა ვერ შეძლო, რადგანაც საკლასიფიკაციო ნიშნად ზმნის უკანასკნელი მარცვალი აიღო. შეცდომის წყარო აქ უდავოდ სომხურია, სადაც იმდენი უღვლილება გვაქვს, რამდენი ხმოვანიც არის აწმყოს პირველი პირის ბოლო მარცვალში“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 150).

ამ ფაქტს არნ. ჩიქობავა ასე აფასებს: „ეს არის პირველი ცდა ქართული ზმნის მრავალფეროვნებაში გარკვევისა (ამდენად უცნაურობანიც მოულოდნელი არ არის). ანტონიმ გარკვეული ნიშანი აიღო საორიენტაციოდ და მისი გატარება სცადა. ცხადია, ამგვარი დაჯგუფების ცდაში სხვა ენების (სომხურის, ლათინურის...) ნიმუშთა გათვალისწინებას მეტად დიდი ადგილი ეთმობოდა... მორფოლოგიური ერთეულები (უღვლილება, უღვლილების სახე) ფონეტიკური ნიშნის მიხედვით გამოიყოფოდა... მაინც ცდა საინტერესოა“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 92).

თუ უღლების სახეთა გამოყოფას ანტონი ცდილობს გარკვეული ფორმობრივი ნიშნის მიხედვით, მიუთითებენ, რომ „ძნელია იმის დადგენა, თუ რა პრინციპს ემყარება უღლებაში ხატების (ე. ი. სახეობების — გ. გ.) გამოყოფა“ (ა. ფოცხიშვილი, 1979, გვ. 112).

ამგვარად, უღლების სახეების გამოყოფა აწმყოს ფუძის სტრუქტურის, უფრო სწორად, ბოლო მარცვლის ხმოვნის მიხედვით ხდება... მაგრამ ანტონი იმასაც ამჩნევს, რომ ეს ნიშანი არაა საკმარისი და არსებითი კლასიფიკაციისათვის. სხვაგვარად, ერთსა და იმავე უღლებაში გამოყოფილი ხმოვნითი ელემენტი რომ სხვადასხვაა და ერთი და იმავე უღლების ზმნები (ამ ნიშნის მიხედვით გამოყოფილი) რომ განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს ფორმა- თუ სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, იძულებულს ხდის ავტორს, გამოყოს ქვესახეობები (ხატები).

ამა თუ იმ უღლებაში შემავალ ზმნათა სახეობებად დაყოფას ანტონი ახდენს ზმნურ ფორმა- თუ სიტყვაწარმოებით შესაძლებლობათა მიხედვით: ა) საკლასიფიკაციო ძირითადი ნიშანი წყვეტილისა და მეორე კავშირებითის წარმოებაა. კერძოდ, როგორია შესაბამისობა წყვეტილისა და II კავშირებითის წარმოებათა შორის; ბ) გარდა ამისა, დამატებით საკლასიფიკაციო ნიშნად შემოაქვს შესაძლებლობა კაუზატიურ და ორმაგკაუზატიურ ფორმათა წარმოებისა; გ) ზმნის „პირნაკლობა“.

შენიშვნა: ანტონის მიერ პირნაკლი ზმნების გამოყოფა კიდევ ერთხელ მიანიშნებს ავტორის ლინგვისტური აზროვნების დონეზე, ქართული ზმნის ბუნების ღრმა წვდომაზე. დავიმოწმებთ კვლავ არნ. ჩიქობავას: „საგულისხმოა ანტონის აზრი „პირ-ნაკლ“ ზმნათა შესახებ; ნიმუშად ანტონი ასახელებს: **შეგკრავ, შეგკრავს, შემკრავ, შემკრავს** (§ 32)..., ე. ი. ობიექტის მეორე და პირველი პირის აღმნიშვნელ ფორმებს. მათი მსგავსი ფორმები არც ერთი ენის ზმნას არა ჰქონდა, ანტონი რომ ამო-

> სავლად მიიჩნევდა. იმავე დროს ქართულ ზმნაში ასეთი ფორმები თვალში საცემი იყო, ანტონსაც ეს ყურადღების გარეშე არ დარჩენია. აქ ანტონი დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს იჩენს“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 92). ანტონი პირნაკლობაში „გულისხმობს სუბიექტის მეორე პირის შეუთავსებლობას ობიექტის მეორე პირთან... სუბიექტის პირველი პირისა და ობიექტის პირველი პირის შეუთავსებლობას ზმნის ფორმაში“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 124).

ყველა სახეობა ამ ნიშნების მიხედვით ხასიათდება, მაგ.: **„განვჰსწმედ.** ესე სრულსა შინა განიკიდურებს **ე.** ესე არ იქმნების სხმით-გარდასლჯთად, არამედ მრჩობლ-სხმით-გარდასლჯთად, და არცაღა მიმოიხრების პირნაკლისა: მესამესა, მეოთხესა და მეხუთესა ხატსა ქუჱშე, ვიდრემდის არა იქცეს მრჩობლ-სხმით-გარდასლჯთად“ (ანტონი, 185, გვ. 47).

ამდენად, ანტონი ერთ სახეობაში აერთიანებს ზმნებს, რომლებიც ერთნაირად აწარმოებენ წყვეტილსა და მეორე კავშირებითს, მოეპოვებათ (ან არ მოეპოვებათ) კაუზატიური და ორმაგკაუზატიური ფორმები, იუღლებიან (ან არ იუღლებიან) „პირ-ნაკლად“. თუ ერთ-ერთი ამ პირობათაგანი სხვაობს, ანტონი მათ სხვადასხვა სახეობად მიიჩნევს. რა თქმა უნდა, ამგვარი დაჯგუფებისას აღრევა და უზუსტობაც ხშირია. მაგრამ არსებითად მიგვაჩნია ის, რომ სიტყვა- თუ ფორმაწარმოების თვალსაზრისით ქართული ზმნები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ცდილობს გამიჯნოს და დააჯგუფოს ისინი ამ შესაძლებლობათა მიხედვით.

1.8. პარადიგმა საუღლებელი ერთეულისა

საუღლებელი ერთეული („დრო“) ანტონისათვის ფორმობრივი მონაცემია. საუღლებელი ერთეულის ფუძე, გარდა ორიოდე გამონაკლისისა, ერთი პარადიგმის ფარგლებში საერთოა. საუღლებელი ერთეულის წევრები სხვაობენ მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით. ერთადერთი გამონაკლისი, როგორც ზემოთ ითქვა, „ბრძანებითი სქესის აწმყოჲ“ არის. ფორმობრივი პრინციპი ერთ საუღლებელ ერთეულში ფორმათა გაერთიანებისა მხოლოდ ამ შემთხვევაში ირღვევა; ფუნქციური პრინციპითაა აქ ზმნური ფორმები გაერთიანებული. როგორც

აღვნიშნეთ, ანტონი ამას გრძნობს და მიანიშნებს კიდეც.

ფორმობრივი პრინციპის გატარება რომ არსებითია ანტონისათვის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ, მისი აზრით, ერთი და იმავე ფუნქციის მქონე ფორმები უწყვეტლისა, უწყვეტლის ხოლმეობითისა, I ბრძანებითისა და II ხოლმეობითის ერთი საუღლებელი ერთეულის პარადიგმაში არაა წარმოდგენილი, აღრეული. გამონაკლისს უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები ქმნის; თუმცა ამასაც, როგორც ვთქვით, ეძებნება გამართლება.

თქმული არ ნიშნავს იმას, რომ ფორმის ფუნქციას ნაკლები ყურადღება ექცევა ანტონთან. ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ესა თუ ის ფორმა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა კილოური და დროული მნიშვნელობის გამომხატველი შეიძლება იყოს.

დრო და კილო ანტონისათვის ფუნქციური კატეგორიებია. იგი ამ კატეგორიებს ასახელებს ზმნის სხვა კატეგორიათა გვერდით, მაგრამ პირისა და რიცხვის კატეგორიათაგან განსხვავებით, არ მსჯელობს (არ მიუთითებს) მათ მორფოლოგიურ გამოხატვაზე.

ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ ანტონი ამჩნევს, რომ ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა კილოური მნიშვნელობის შემთხვევაში სხვადასხვა დროულ მნიშვნელობას იძენს. მაგ.: ანტონი შენიშნავს, რომ წყვეტილის II პირის ფორმებს თხრობითი კილოს შემთხვევაში ნამყო დროის გაგება აქვს, ბრძანებითი კილოს შემთხვევაში — აწმყოსი. მაგ.:

შეჰკარ, შეჰკართ } საწადისისა სქესისა ნამყო სრული
ბრძანებითისა სქესისა აწმყო

სხვა შემთხვევები, როცა კილოური სხვაობა დროულ სხვაობას იწვევს:

შეჰკრას, შეჰკრან } საწადისისა სქესისა მყოობადი
ბრძანებითისა სქესისა აწმყო

ასევე:

შევჰკრჯდეთ } ბრძანებითისა სქესისა მყოობადი
შეჰკრჯდე, შეჰკრჯდეთ, შეჰკრჯდეს, შეჰკრჯდენ } საწადისისა სქესისა აწმყო და მყოობადი.

შენიშვნა: საწადისი სქესის შემთხვევაში, როგორც ვთქვით, შორისდებულიც დაერთვის ფორმას.

ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ რიგ შემთხვევაში ანტონი დროული თვალსაზრისით ფორმის პოლიფუნქციურობაზეც მიგვანიშნებს. უღლების სისტემაში **ვაშათუ შეჰკრჳდე** ტიპის ფორმებს ასე სახელდებს: „საწადისისა სქესისა აწმყოჲ და მყობაადი“, ანდა: **ვაშათუ განმიბანიეს** ტიპის ფორმებს— „საწადისისა სქესისა ნამყოჲ სრული და უსრულესი“.

კილო ერთ-ერთი ძირითადია იმ კატეგორიათაგან, რომელთა გათვალისწინებითაც უღლების სისტემა აიგება.

ანტონი ანგარიშს უწევს იმასაც, რომ ერთსა და იმავე ფორმას სხვადასხვა კილოს გამოხატვის უნარი შესწევს; ამიტომაა, რომ ერთი და იგივე ფორმა რამდენიმე საუღლებელ ერთეულად წარმოგვიდგება; მაგ.:

განვჰბანდი	—	ა) საზღვრებითი სქესის ნამყო უსრული
	—	ბ) საწადისი სქესის ნამყო უსრული
განმიბანიეს	—	ა) საზღვრებითი სქესის ნამყო უსრული
	—	ბ) საწადისი სქესის ნამყო სრული და უსრულესი
განმებანა	—	ა) საზღვრებითი სქესის ნამყო უუსრულესი
	—	ბ) საწადისის სქესის ნამყო უუსრულესი

ამ ფუნქციურ სხვაობას რომ კონტექსტი ქმნის, ესეც ნათელია ანტონისათვის. ამიტომაცაა, რომ საწადისი სქესისათვის აუცილებელ ელემენტად შორისდებულებს „ვაშათუ“ და „ნეტართუმცა“ მიიჩნევს (იქვე, გვ. 167). პარადიგმებში მხოლოდ „ვაშათუ“ შორისდებულია წარმოდგენილი.

საზღვრებითი და საწადისი სქესის გვერდით ანტონი „ჯპოტეტიკაჲსა სქესსა“ გამოყოფს („თუობითი“, პირობითი კილო). უღლების პარადიგმებში ჯპოტეტიკა არ აისახება სრულიად გასაგები მიზეზების გამო: „ჯპოტეტიკაჲსა სქესისა ზმნანი ყოველნი იხრებიან ყოველსა შინა პირსა, ყოველსა შინა რიცხჳსა და ყოველსა შინა დროსა შემოქმედებითადცა და ვნებითად. ვითარ იგი იხრებიან ზმნანი საწადისისა სქესისანი. გარნა განირჩევიან ამით, ვითარმედ დაიდების ნიადაგ ყოველთა ზმნათა ზედა საწადსა შინა **ვაშათუ**. ხოლო ჯპოტეტიკასა შინა **უკეთუ**“ (იქვე, გვ. 25).

ჩვენი აზრით, დროული და კილოური მნიშვნელობებისადმი ასე-

თი დამოკიდებულება (შეფასება) საგულისხმოა. სხვაგვარად: ჩვენს ინტერესს ის აღძრავს, რომ ზმნური ფორმის შეფასება დროისა და კილოს თვალსაზრისით ცალსახად არ შეიძლება. ეს ჩანს ანტონის პარადიგმებიდანაც.

§ 2. ანტონიდან მარამდე

2.1. როგორც ვთქვით, მიუთითებენ, რომ ანტონის შემდეგდროინდელი გრამატიკოსები ძირითადად ანტონის მოძღვრებას ემყარებიან. ჩვენი შემდგომი მსჯელობის მიზანს არ შეადგენს სრული მიმოხილვა ამა თუ იმ ავტორის გრამატიკული ნააზრევისა, ამა თუ იმ გრამატიკის განხილვა. გვაინტერესებს: მომდევნო პერიოდის გრამატიკოსებთან დრო-კილოთა სისტემაში რა მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს, რა მნიშვნელოვანი დაკვირვებანი, მიგნებანი.

2.2. საუღლებელ ერთეულთა რაოდენობა

ზმნისწინის ფუნქციაზე, აწმყოსაგან აწარმოოს მყოფადი, უკვე გაიოზ რექტორის გრამატიკაში გვაქვს მითითება: ზმნისწინები „უკეთუ ოდესმე მოეკიდებიან ზმნათა აწმყოჲსა დროჲსათა, მაშინ მნიშუნელობასა მისსა ჰყოფენ მყოობადად; მაგალ. **ვჰსწერ** არს ზმნა აწმყოჲ, მარტივი, საზღურებითისა სქესისა და უკეთუ მოეკიდოს რა ამას ზემოხსენებული იგი მარცუალნი, მაშინ ყოვლითურთ, ჰსცულიან ვითარებასა მისსა დროჲთურთ. მაგალ. **დავჰსწერ,** რომელიცა არღარა ჰნიშნავს აწმყოსა დროსა, არამედ მყოობადსა“ (გაიოზი, 1970, გვ. 68). დაკვირვება სწორია და ფასეული, მაგრამ გაიოზთან **დავჰსწერ** ტიპის ფორმები პარადიგმებში არ აისახება. ამ სახის მყოფადი ცალკე საუღლებელ ერთეულად არ გამოიყო. ეს ანტონის გავლენა ჩანს: ფორმაზე მსჯელობს, მაგრამ დრო-კილოთა სისტემას ანტონისას იმეორებს.

ზმნისწინიანი აწმყო (მყოფადი) ცალკე საუღლებელ ერთეულად პირველად დ. ყიფიანმა წარმოადგინა უღლების პარადიგმებში — **ჩვენებითი დახრის დრო მომავალი გასათავებელი;** მაგ.:

გავაკეთებ	გავაკეთებთ
გააკეთებ	გააკეთებთ
გააკეთებს	გააკეთებენ (დ. ყიფიანი, 1882, გვ. 93).

დ. ყიფანის გრამატიკა იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ III კავშირებითის ფორმები ცალკე საუღლებელ ერთეულად პირველად აქ გამოიყო. ოღონდ ერთია: ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს III კავშირებითისას ავტორი სხვადასხვა საუღლებელ ერთეულად წარმოადგენს ნატვრით დახრაში:

დრო განვლილი უსრული — მეკეთებინოს
გეკეთებინოს
ეკეთებინოს

დრო განვლილი სრული — გამეკეთებინოს
გაგეკეთებინოს
გაეკეთებინოს (იქვე, გვ. 100).

ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა ასეთი დაპირისპირება დ. ყიფიანისათვის არაა გამონაკლისი. ამაზე ქვევით გვექნება საუბარი.

საინტერესო ისტორია აქვს II ხოლმეობითის ფორმებს. როგორც ითქვა, ანტონი მათ ნამყო უსრულის ფორმობრივ ვარიანტად გაიაზრებს. ამ ფორმებზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას პ. იოსელიანი: „არიან რომელიმე ზმნანი აწმდგომსა დროსა შინა ხმარებულნი ჰხშირობითად დამეტებითა ბოლოჲსა ასოთა **ი.** მაგ. უფალი მჰსაჯულარს, ესე დაამდაბლის, და ესე აღამაღლის და სხ. ხოლო პიროვნად: დავამდაბლი, ავამაღლი და სხ.

სხო. ესე გუარსა ოდესცა მდაბიურსა საუბარსა შინა დაემატების მარცუალი ხოლმე, მაშინ ნიშნავს ქმნილსა უსრულსა დროსა, მაგ. დავამდაბლი ხოლმე, შევსწირი ხოლმე და სხ.“ (პ. იოსელიანი, 1849, გვ. 72).

როგორც ვხედავთ, ავტორი მიანიშნებს მრავალგზისობის ფუნქციაზე, მაგრამ უნაწილაკოდ მას განიხილავს როგორც აწმყო დროის ფორმას, ხოლო **ხოლმე** ნაწილაკით — როგორც ნამყო უსრულისას.

დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად მიიჩნევს II ხოლმეობითს თ. ჟორდანია: „ქართულ ენას აქვს **დრო სამარადისო** ანუ **გახშირებითი,** რაჲსათვის დაემატება ასო „ი“, მაგ. „ვა-რი“, „ხა-რი“ ე. ი. მუდამ ვარ, ხარ (და არა მხოლოდ ეხლა), მაგ. „ძე ჩემი ხარ-ი შენ“ (ფსალ. 2). ნამყო დროს კი ხშირად მიემატება: „მოვიდ-ის, წავიდ-ის, მონახის... გამოვიდ-ი, გამოვსც-ი, ვისმინ-ი და სხვ. (მრავალ. მოვიდი-ან გამოვიდი-ან)“ (თ. ჟორდანია, 1889, გვ. 60). მიუხედავად იმისა, რომ ავტო-

რი გამოყოფს **დრო სამარადისოს** ანუ **გახშირებითს,** უღვლილების სრულ პარადიგმაში მაინც არ მოაქცევს მას. მოყვანილი ციტატა შენიშვნის სახით დაერთვის უღვლილების პარადიგმას. ასე რომ, II ხოლმეობითის ფორმები ანტონმა გამოყო, პ. იოსელიანმა და, განსაკუთრებით, თ. ჟორდანიამ მოგვცეს მისი ზუსტი მორფოლოგიური და სემანტიკური დახასიათება, მაგრამ უღვლილების სისტემაში მაინც ვერ მოექცა. რამდენადაც მოულოდნელია, II ხოლმეობითი, როგორც მწკრივი, არაა გამოყოფილი ნ. მარის არც „ტაბულებში“ და არც „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“; თუმცა ზოგი ზმნის უღლებისას ნ. მარი ამ ფორმათა აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს „ნამყო ჩვეულებითი“. ამის თაობაზე მიუთითებდა არნ. ჩიქობავა ჯერ კიდევ 1926 წელს (არნ. ჩიქობავა, 1926, გვ. 317).

II ხოლმეობითის ფორმები რომ ძველი ქართულის ფაქტია, ამის თაობაზე მინიშნება გვაქვს პ. კვიცარიძესთან: „ამ ფორმას ახალი მწერლები ჭირსავით ერიდებიან, თითქოს ზოგჯერ უმისობა შეიძლებოდეს. გარნა აქა-იქა ახალს მწერლებსაც უხმარიათ, მაგ. „გადაბრუნდის ჩვენი ციგა, კოტრიელა, კოტრიელა!“ რ. ე.“ (პ. კვიცარიძე, 1888, გვ. 125.

2.3. ზმნისწინი და ზმნური ფორმა

გავიხსენოთ: ანტონი პარადიგმაში ან ზმნისწინიან ფორმას წარმოადგენს, ან — უზმნისწინოს. ანტონისაგან განსხვავებით, გაიოზის გრამატიკაში ერთი და იმავე ზმნის პარადიგმაში გვხვდება როგორც ზმნისწინიანი, ასევე უზმნისწინო ფორმები. ამ შემთხვევაში გაიოზის პრინციპი ასეთია: უზმნისწინოდ საზღვრებითის სქესის (თხრობითი კილოს) აწმყო და ნამყო უსრულია წარმოდგენილი; სხვა საუღლებელ ერთეულში ზმნისწინიანი ფორმებია დამოწმებული.

შენიშვნა: ეს ფაქტი აღნიშვნის ღირსია, მაგრამ არ მიგვაჩნია წინგადადგმულ ნაბიჯად ანტონთან შედარებით.

გაიოზის მსჯელობიდან ისიც ჩანს, რომ ავტორს ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება ყველა შემთხვევაში მიაჩნია შესაძლებლად, თუმცა ცალკე ერთეულად ამგვარად დაპირისპირებული ფორმები არ გამოიყოფა. ერთი კია, ავტორი ცდილობს, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირებით შეამციროს ფორმათა პარალელიზმი უღვლილების სრულ პარადიგმაში. ამის ნიმუშად გვესახე-

ბა ის ფაქტი, რომ „საზღვრებითისა სქესისა ნამყოდ უსრული და აპოტეთიკადსა სქესისა ნამყოდ უსრულესი“ პარადიგმებში გარდა შორისდებულისა, რიგ შემთხვევაში ზმნისწინითაა განსხვავებული. მაგ.:

ვჰსწერდი — ვაშათუ ანუ უკეთუ დავჰსწერდი (გაიოზი, 1970, გვ. 91).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა ერთ პარადიგმაში წარმოდგენის პრინციპი გაიოზის გრამატიკაში თანმიმდევრულად არაა გატარებული.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ვითარებაა დ. ყიფიანის გრამატიკაში. დ. ყიფიანი, ისევე როგორც გაიოზი, შესაძლებლად თვლის ყველა შემთხვევაში ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირებას. და, რაც მთავარია, ოდენ ზმნისწინით დაპირისპირებულ ფორმებს ცალ-ცალკე საუღლებელ ერთეულებად წარმოადგენს:

1) **ვაკეთებ** (დახრა ჩვენებითი, დრო ახლანდელი — აწმყო) და
გავაკეთებ (დახრა ჩვენებითი, დრო მომავალი გასათავებელი);

2) **ვაკეთებდი** (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი უსრული) და
გავაკეთებდი (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი სრული);

3) **ვაკეთებდე** (დახრა პირობითი, დრო ახლანდელი უსრული) და
გავაკეთებდე (დახრა პირობითი, დრო ახლანდელი სრული).

როგორც ვხედავთ, აქ ისეთივე ვითარებაა, როგორც ა. შანიძისეული სისტემის I სერიაში აწმყოსა და მყოფადის წრეთა მიმართების საკითხში. მაგრამ დ. ყიფიანი ამ პრინციპს ბოლომდე გაატარებს და ცალ-ცალკე საუღლებელ ერთეულებად წარმოგვიდგენს II და III სერიის საუღლებელ ერთეულთა ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს.

4) **ვაკეთე** (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი უსრულესი) და
გავაკეთე (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი უსრულესი სარწმუნო);

5) **ვაკეთო** (დახრა პირობითი, დრო მომავალი მარტივი) და
გავაკეთო (დახრა პირობითი, დრო მომავალი სრული).

შენიშვნა: ამგვარ ფორმათა პარადიგმა პირობით კილოში გამორჩენილი ჩანს. ამას გვაფიქრებინებს ბრძანებით კილოში სხვადასხვა დროის ფორმებად წარმოდგენილი **აკეთოს** (რჩევითი მარტივი) და **გააკეთოს** (რჩევითი სრული). ამ უკანასკნელის ანალოგიით აღვადგენთ „მომავალ სრულს“.

6) **მიკეთებია** (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი ბერძნული აორისტი) და
გამიკეთებია (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი აორისტი გათავებული);

7) **მეკეთებინა** (დახრა პირობითი, დრო გავლილი უსრული) და
გამეკეთებინა (დახრა პირობითი, დრო გავლილი სრული);

8) **მეკეთებინოს** (დახრა ნატვრითი, დრო გავლილი უსრული) და
გამეკეთებინოს (დახრა ნატვრითი, დრო გავლილი სრული)
(დ. ყიფიანი, 1882)

ამდენად, დ. ყიფიანი სულ 16 ფორმობრივ ერთეულს გამოყოფს. სისტემა მწყობრია, პრინციპი ბოლომდეა გატარებული. მაგრამ ძალზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დრო-კილოთა ამგვარ სისტემას ავტორი მხოლოდ შესაძლებელ ვარიანტად მიიჩნევს, ხელოვნურად გართულებულად თვლის (სასწავლო მიზნებისათვის შეუფერებლად) და შენიშნავს: „აუცილებელია, უნდა შემოკლდეს როგორმე ეს უღვლილება“ (იქვე, გვ. 104). ამ შენიშვნას მოსდევს საინტერესო მსჯელობა: „განა არ შეიძლება, ერთხელ ითქვას და ამით გათავდეს, რომ ზმნას სახე სრული ყოველთვის მაშინ მიეცემა, როდესაც თავს პრეფიქსად ერთ-ერთი მიმძღოლი თანდებული მიუჯდებაო?“ (იქვე, გვ. 104). ამდენად, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შეპირისპირება ავტორს ზმნისწინის მაასპექტებელ (სრული ასპექტის წარმოების) ფუნქციაზე მიაპყრობინებს ყურადღებას, რაც ფაქტობრივ გამორიცხავს ზმნისწინის ფორმაწარმოებით ფუნქციას.

გამარტივებული უღლების სისტემა ამგვარ სახეს იღებს:

I. დახრა ჩვენებითი

1. დრო ახლანდელი — აწმყო — **ვაკეთებ**
2. დრო გავლილი — **ვაკეთებდე**

3. დრო გავლილი უსრულესი — **ვაკეთე**
4. ბერძნული აორისტი — **მიკეთებია**

II. დახრა პირობითი

5. ახლანდელი — **მეკეთებინა**
6. გავლილი — **ვაკეთებდე**
7. მომავალი — **ვაკეთო**

III. დახრა ნატვრითი

8. გავლილი — **მეკეთებინოს**

ამდენად, სულ 8 ფორმობრივი ერთეული გამოიყო. **უწყვეტლის** ფორმას შენიშვნა ახლავს: „ამას რომ გათავებულის (სისრულის) სახე მიეცეს, პრეფიქსად ერთ-ერთი თანდებული უნდა მიუძღვანოთ“ (იქვე, გვ. 106) და შემდგომ ყოველ საუღლებელ ერთეულთან მიანიშნებს: „წინ თანდებული დაასრულებს“...

ეს ვარიანტი რომ უფრო რეალურად მიაჩნია ავტორს, ამ შენიშვნიდანაც ჩანს: „და უნდა ვთქვათ, რომ მიმოხვრა გამოვიდა უნაკლულო“ (იქვე, გვ. 112).

მომავალ დროზე მსჯელობისას აღნიშნავს: „როგორც ბერძნულში, ქართულშიც ამ ზმნის მომავალად ახლანდელი სახე იხმარება: ვაკეთებ; და თუ წინ თანდებული მოუსვით, გამოვა: გავაკეთებ...“ (იქვე, გვ. 107). ეს შენიშვნა ორგვარად არის საგულისხმო: ჯერ ერთი, ავტორი შენიშნავს, რომ **აწმყოს უზმნისწინო ფორმამ შეიძლება მყოფადი დროის გაგებაც იტვირთოს** და, მეორე, **ზმნისწინი მყოფადი დროის გაგებას მხოლოდ აწმყოს ფორმას ანიჭებს.** ყველა სხვა შემთხვევაში ზმნისწინს სრული ასპექტის წარმოების ფუნქცია აქვს („პრეფიქსად წინ თანდებული დაასრულებს“). ცოტა ქვევით (იქვე, გვ. 123) ზმნისწინის საკითხს ისევ უბრუნდება და აღნიშნავს: ზმნისწინები „ყოველთვის უცვლელად რჩებიან და ზმნა ისე უნდა მიმოიხვრებოდეს, თითქოს თანდებული სულ არა ჰქონიყოს“.

ამდენად, დ. ყიფიანმა 16 ფორმობრივი ერთეული ზმნისწინის ფუნქციის განზოგადებით 8 ფორმობრივ ერთეულზე დაიყვანა. მართალია, აღრევა აქაც გვაქვს: დამატებით კაუზატიურსა და ბრძანებითის შინაარსის მქონე ფორმებს გამოყოფს ცალკე საუღლებელ ერთეულად, მაგრამ ამას შეიძლება პრინციპული მნიშვნელობა არ მივანიჭოთ. მთავარია, რომ დ. ყიფიანმა შეძლო ახალი ქართულის ყველა მწკრივის

ფორმათა წარმოდგენა უღლების სისტემაში და მკაცრად გაატარა ფორმობრივი პრინციპი. ამ ფაქტს ქვევით კვლავ გავიხსენებთ.

2.4. უღლების ტიპები

ის, რაც ანტონის ნააზრევიდან შემდეგდროინდელ გრამატიკებში არ აისახა და რაშიც პრინციპულად დაუპირისპირდა ანტონს, უპირველეს ყოვლისა, გაიოზი, უღლების ტიპების გამოყოფაა.

გაიოზი ქართული ზმნის თავისებურებათა გათვალისწინებით გვთავაზობს ორიგინალურ პრინციპს უღლების ტიპებად დაყოფისათვის. გაიოზის „ქართულ გრამატიკაში“ უღლების 6 სახეა გამოყოფილი: „კანონიერნი უკუჱ უღლჳლებანი ზმნათანი არიან ექუს, რომელნიცა პირველთა, მეორეთა და მესამეთა პირთა შინა საზღურებითისა ჰსქესისა აწმყოჲსა დროჲსათა კანონიერად მიმოჴრილნი განირჩევიან; მაგალ.:

1. ვაქებ, აქებ, აქებს; ვაქებთ, აქებთ, აქებენ.
2. მჰღჳძავს, გჰღჳძავს, ჰღჳძავს; გუღჳძავს, გჰღჳძავსთ, ჰღჳძავსთ.
3. ვესური, ესური, ესურის; ვესურით, ესურით, ესურიან.
4. ვიქმ, იქმ, იქმს; ვიქმთ, იქმთ, იქმან.
5. ვუბნობ, უბნობ, უბნობს; ვუბნობთ, უბნობთ, უბნობენ.
6. ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს; ვჰსწერთ, ჰსწერთ, ჰსწერენ“ (გაიოზი, 1970, გვ. 71).

როგორც წარმოდგენილი სქემიდან და მისი კომენტარებიდან (იქვე, გვ. 71-72) ჩანს, უღლების სახეთა გამოყოფის საფუძველი პირის ნიშნებისა და ზმნის ხმოვანპრეფიქსთა კომბინაციებია.

ზოგადი სურათი ასეთია: I, III, IV, V და VI უღლებაში სუბიექტური უღლების ზმნებია გაერთიანებული (სხვაგვარად: ზმნები, რომელთაც აქვთ სუბიექტური უღლება). II უღლებას მიაკუთვნებს იმ ზმნებს, რომელთაც არ გააჩნიათ სუბიექტური უღლება (მღვიძავს, მაქვს...). რამდენადაც I, III-VI ტიპის უღლების ზმნებისათვის საერთო ნიშანია **3**ინის რიგის პირის ნიშანთა მქონებლობა, დამატებით ნიშნად ხმოვანპრეფიქსებია მოშველიებული. სქემის სახით რომ წარმოვიდგინოთ, ასეთი ვითარება იქნება:

I.	ვ-ა —	ვ-ა — თ
	ა —	ა — თ
	ა — ს	ა — ნ

III.	ვ-ე —	ვ-ე — თ
	ე —	ე — თ
	ე — ს	ე — ნ
IV.	ვ-ი —	ვ-ი — თ
	ი —	ი — თ
	ი — ს	ი — ნ
V.	ვ-უ —	ვ-უ — თ
	უ —	უ — თ
	უ — ს	უ — ნ
VI.	ვ-ჰ —	ვ-ჰ — თ
	ჰ —	ჰ — თ
	ჰ — ს	ჰ — ნ

შენიშვნა: ჩვენ მიერ შედგენილი სქემა არსებითად განსხვავდება სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი სქემისაგან (შდრ.: ალ. ფოცხიშვილი, 1979, გვ. 168-170). ავტორის აზრით, ხმოვანპრეფიქსს გაიოზი პირის ნიშანთა ტოლფას ოდენობად გაიაზრებს. გაიოზი მსჯელობს: „პირუჱლისა უკუჱ უღლჯლების შემოქმედებითთა ზმნათა საზღურებითისა ჰსქესისა აწმყოჲსა მხოლოობითსა დროსა შინა აქუნ მაპიროვნებლად პირუჱლისა პირისა დამწყებელი ლექსისა ასოჲ **ვ** და მეორისა პირისა — **შემდგომი მისი ა** და მესამისა პირისა — უკანასკნელი ასო **ს**...“ (ხაზი ჩვენია — გ. გ.) (გაიოზი, 1970, გვ. 71) „შემდგომი მისი **ა**“ გულისხმობს **ვ**-ს მომდევნო **ა**-ს. ასე რომ, ხმოვანპრეფიქსის არსებობაზე I პირის ფორმაშიც მიანიშნებს; ივარაუდება III პირშიც: აქ გაიოზი მხოლოდ I და II პირის ფორმათაგან განმასხვავებელ ელემენტზე (**-ს**-ზე) მიანიშნებს. ეს რომ ასეა, ამას უღლების პარადიგმებიც ადასტურებს:

ვაქებ	ვაქებთ
აქებ	აქებთ
აქებს	აქებენ

> ძნელია ვიფიქროთ, რომ ამ პარადგმის შემდგენი **ა**-ს მქონებლობას მხოლოდ II პირის ფორმაში ვარაუდობს. ასევე უნდა ითქვას უღლების სხვა სახეებზეც...

გაიოზის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნებს შეეხება. მიანიშნებს, რომ შესაბამისი ვნებითები ერთგვარად იუღლის (იქვე, გვ. 71-72).

მართალია, უღლების ტიპებად დაყოფის ეს პრინციპი დღევანდელი პოზიციებიდან გაუმართლებელი ჩანს (ქცევის ფორმათა სხვაობა არ ქმნის სხვაობას უღლებაში), მაგრამ ჩვენ გაიოზის უდავო დამსახურებად მიგვაჩნია ქართული ზმნის ბუნებიდან ამოსვლით უღლების ტიპებად დაყოფის გზების ძიება. **ვ**ინისა და **მ**ანის რიგების გათვალისწინება და ხმოვანპრეფიქსთა მოშველიება ჩვენ ამ გზების ძიებად გვესახება.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაიოზი ვერ ახერხებს თავისი პრინციპის ბოლომდე გატარებას: ობიექტური უღლების ზმნებში ხმოვანპრეფიქსებს აღარ ითვალისწინებს...

ამ ხარვეზს გაიოზის შემდეგდროინდელი გრამატიკოსები ასწორებენ. კერძოდ, ი. ქართველიშვილი უკვე ორი სახის უღლებას გამოყოფს; ძირითადი პრინციპი გაიოზისა რჩება — **ვ**ინისა და **მ**ანის რიგის გათვალისწინება, ოღონდ ი. ქართველიშვილი ვინის რიგის შემთხვევაში ყურადღებას აღარ აქცევს ხმოვანპრეფიქსებს; უფრო სწორად, აერთიანებს გაიოზის 1, 3-6 უღლებას; მსჯელობა ავტორისა გაიოზის მსჯელობას ემყარება: „უღლჯლებანი ზმნისანი არიან ორნი: **ზმნანი პ˘ლისა უღლჯლებისანი** არიან იგინი, რ˘ლნიცა აწმყოსა შ˘ა დროსა პირუჱლსა შ˘ა პირსა შემდგომითა მისითა ასოჲთა, ესე იგი, ანუ **ა,** ანუ **ე,** ანუ **ი,** ანუ **უ,** ანუ **ჰ;** და მესამესა შ˘ა პირსა ასოჲთა აწმყოსა შ˘ა დროსა, მხოლოობითსა შ˘ა რიცხჳსა პ˘ლსა შ˘ა პირსა გაპიროვნდებიან ასოჲთა ამით **მ**; მეორესა შ˘ა პირსა ასოჲთა **გ**; ხ˘ მესამესა შ˘ა პირსა ანუ **ჰ**, ანუ **უ** და ანუ მეორისა პირისა მაპიროვნებელისა **გ** შემდგომითა ასოჲთა“ (ი. ქართველიშვილი, 1809, გვ. 44). მაგალითებიც გაიოზისა მეორდება.

ამდენად, გაიოზის მიერ შემოთავაზებული პრინციპი იხვეწება. 6 სახეობიდან 2 მივიღეთ. ამგვარი კლასიფიკაცია ზმნებისა მისაღებია შემდეგდროინდელი ავტორებისთვისაც, ვიდრე კ. დოდაშვილი არ იტყვის, რომ „უღვლილება ქართულში ერთია“ (კ. დოდაშვილი, 1887).

ფაქტობრივ, უარყოფილი იქნა გაიოზის პრინციპი უღლების ტიპებად დაყოფისა (ვიმეორებთ, ქართველიშვილის თვალსაზრისი გაიოზის თვალსაზრისის დახვეწის ცდაა).

2.5. ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხები

პრაქტიკულ გრამატიკებში გვხვდება არაერთი საინტერესო დაკვირვება, მიგნება; ზოგ მათგანს მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს. ყოველ შემთხვევაში, ქართული ენობრივი სინამდვილის გრამატიკული ანალიზის ისტორიის თვალსაზრისით უცილობლად იმსახურებს ყურადღებას.

უწყვეტლის წარმოებაში **ოდ** სუფიქსი (**დ**-ს პარალელურად) ჯერ კიდევ ანტონმა გამოყო. მაგრამ **ოდ** რომ უმთავრესად ვნებითი გვარის ზმნებთან გვაქვს და, საერთოდ, ისეთ შემთხვევებში, როცა აწმყოს ფორმა **ი** ელემენტით იწარმოება, ამის თაობაზე საინტერესო მსჯელობას გვთავაზობს თ. ჟორდანია (თ. ჟორდანია, 1889, გვ. 61-62). საგულისხმოა ამავე ავტორის მიერ აწმყოში სტატიკურ ზმნათა გამოყოფა და მათი წარმოების თავისებურებებზე ყურადღების გამახვილება: „სახე მყოფობითი აწმყოს დროისა იწარმოება სახელ-ზმნათაგან, რომელთაცა მოეკვეცებათ „ა“ და მიემატება ხმოვანი „ი“ და არსებითი ზმნაცა, მაგ., რევ-ა — ვ-რევი-ვარ (ხარ, ა); ფენ-ა — ვ-ფენ-ი-ვარ (ხარ), წერ-ა — ვ-წერ-ი-ვარ და სხვ. იმ სახელზმნებს, რომელნიც დაბოლოვდებიან „ება“, „ომა“, „ოლა“, „მა“ და „ვა“ (წინაუხმოთი) მიემატება „ი“ ძირში. მაგ. გდ-ება — ვგდ-ი-ვარ, რგ-ება — ვა-რგ-ი-ვარ; ბმ-ა — ვა-ბ-ი-ვარ და სხ. ნამყო უსრულს დროში მიიღებს „ოდი“ (იშვიათად „დი“-ს) (იქვე, 62). ასეთი დაწვრილებითი ანალიზი სტატიკურ ზმნათა ფორმაწარმოების შესახებ სხვაგან არ გვხვდება.

საგულისხმო დაკვირვებად მიგვაჩნია გაიოზთან ის ფაქტი, რომ ნამყო სრულის **ე** მაწარმოებელი მხოლოდ I და II პირის ფორმებთან გვაქვს (გაიოზი, 1970, გვ. 72).

III სერიის ფორმათა ინვერსიულ ბუნებაზე ანტონიც მიანიშნებდა, მაგრამ გაიოზი აზუსტებს მას და წესის სახეს აძლევს: „ყოველი ზმნა შემოქმედებითი ნამყოსა უსრულესსა და უუსრულესსა დროსა შინა

მაპიროვნებლად მიიღებენ მეორისა უღლჯლებისა მაპიროვნებელთა ნიშანთა“ (იქვე, გვ. 73). მეორე უღლჯლებად ავტორთან, როგორც ითქვა, ობიექტური წყობის ზმნებია გამოყოფილი.

I თურმეობითის წარმოებაში **იეს || ია** პარალელიზმი ანტონმა შენიშნა; პარადიგმებში **იეს** დაბოლოებიანი ფორმები შეიტანა. გაიოზის პარადიგმები ამ მხრივ ანტონისას მიჰყვება. ი. ქართველიშვილი პარადიგმებში პარალელურად წარმოადგენს **იეს || ია** დაბოლოებას:

„ნამყოდ უსრულესი: მიდიდებიეს-ია გჯდიდებიეს-ია
გიდიდებიეს-ია გიდიდებიესთ -იათ
უდიდებიეს-ია უდიდებიესთ-იათ“
(ი. ქართველიშვილი, 1809, გვ. 46).

ასევე მეორდება პ. იოსელიანსა და ს. დოდაშვილთან. მხოლოდ დ. ყიფიანი დაინახავს ამ ორი ტიპის წარმოებას შორის სხვაობას. **იეს** დაბოლოებიან ფორმებს „სამწიგნობაროს“ უწოდებს, ხოლო **ია**-ზე დაბოლოებულ ფორმებს — სასაუბროს. „სამწიგნობრო“ და „სასაუბრო“ დ. ყიფიანთან დღევანდელი თვალსაზრისით „ძველი ქართულისა“ და „ახალი ქართულის“ გაგებას ემთხვევა (შდრ.: სასაუბრო — არის, არი; გავაკეთებდი... საწიგნობარო — არს, განვაკეთებდი...) „სამწიგნობრო“ და „სასაუბრო“ ფორმათა პარადიგმებს დ. ყიფიანი ყველა საუღლებელ ერთეულში პარალელურად წარმოადგენს. ეს ფაქტი იმითაცაა ღირსსაცნობი, რომ დ. ყიფიანმა, ქართველ გრამატიკოსთაგან პირველმა, ცადა უღვლილებაში ძველი და ახალი ქართულის ფაქტების სისტემური გამიჯვნა და შედარება.

იეს დაბოლოებიანი ფორმები ძველი ქართულის ფაქტად იქნა კვალიფიცირებული პ. კვიცარიძესთან: „ნამყო ოდეს უსრულს და სრულს დროს ძველს ქართულ ენაში ნაცვლად ნაბოლარისა **ია** უზის ზოგან **იეს.** მაგ. „შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიეს“ სახ. მათ. თ. 25 მ. 241; „რაოდენი ესე გისწავიეს ჩემგან“ სამოც: და სხ. მარამა ეს ფორმა სამართლიანათ უარ უყვია ახალს ქართულ ენას“ (პ. კვიცარიძე, 1888, გვ. 117-118). ავტორი ახალი ქართულისათვის კანონიკურად მხოლოდ **ია** დაბოლოებას მიიჩნევს.

შენიშვნა: ეს ფაქტი იმითაცაა საგულისხმო, რომ პ. კვიცარიძე პირველია პრაქტიკულ გრამატიკათა ავტორთაგან, ვინც სვამს საკითხს ძველი და ახალი ქართული ენის განსხვავების თაობაზე.

I თურმეობითის შესახებ პრაქტიკულ გრამატიკებში მსჯელობა ამით არ მთავრდება. ა. ქუთათელაძე მოითხოვს, საერთოდ იქნეს ამოღებული დრო-კილოთა სისტემებიდან ეს ფორმა: „საზღვრებით დახრას აკლდება, დღემდე უმართებულოდ ხმარებული, ნამყო უსრულესი. ზმნა ამ ფორმაში არის პერიფრაზა და შემდგარია მიმღეობისაგან და არსებით ზმნათაგან, მაგ. ვუ-წერი-ვარ, უ-წერი-ხარ, უ-წერი-ა (არს, არის), მი-წერ-ხარ, მი-წერი-ა (არს, არის) და სხვ. აქედან ცხადად ჩანს — ვითომდა ნ. უსრულესის სამი პირი: მი-წერი-ა, გი-წერი-ა, უ-წერი-ა, რომელიც არის მესამე პირი. ამათი ქვემდებარე იქნება „ის“, ე. ი. რაც დაწერილა, ანუ დაიწერება ჩემგან, შენგან, მისგან და სხ. — „მე, შენ, მას, იმას“ კი დამატება იქნება. ეს ფორმა წინეთ ჩვენც გვქონდა შეცდომით შეტანილი ჩვენს გრამატიკაში“ (ა. ქუთათელაძე, 1897, გვ. 4).

მსჯელობიდან გამომდინარე, ავტორის ყურადღება ორ ფაქტს მიუქცევია: 1) ფორმათა აღწერით წარმოებასა და 2) ფორმათა ცვლას გრამატიკული ობიექტის პირთა მიხედვით. ამ თვალსაზრისით I თურმეობითის ფორმები აშკარად სხვაობს დროთა ფორმებისაგან. ეს კი საფუძველს აძლევს ავტორს, უღლების სრული პარადიგმიდან ამოიღოს საუღლებელი ერთეული. მსჯელობა თავისთავად საინტერესოა; დასმული საკითხები — საგულისხმო.

არ. ქუთათელაძე ასევე მოითხოვს დრო-კილოთა სისტემიდან II თურმეობითის ამოღებას: „სათუო დახრაში უარვყავით ყველა ნამყო, რადგან ისინი შეცდომით იყვნენ შეპარულნი, და არიან კი ვნებითი ზმნის ფორმები, — მაგ. მიღებული იყო სათუო დახრაში ნამყო უსრულად „მე-წერ-ა“ და ნ. სრულად — „და-მე-წერ-ა“. მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია: „მე-წერ-ა“ არის ზმნის ვნებითი სახე და წარმოდგება ამ გვარად მისი აწმყო: ვი-წერ-ები, ვე-წერ-ები, მე-წერ-ები, გე-წერ-ები და სხ. აქედან... გაგრძელებული: ვი-წერ-ე, ი-წერ-ე, ი-წერ-ა და სხ. ვე-წერ-ე, ე-წერ-ე, ე-წერ-ა და სხ. მე-წერ-ე, მე-წერ-ა, გე-წერ-ე, გე-წერ-ა, ე. ი. ჩვენგან ცნობილი „მე-წერ-ა, გე-წერ-ა, ე-წერ-ა“ (ა. ქუთათელაძე, 1897, ნვ. 5). ეს შენიშვნა ფრიად საგულისხმოა: ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ ეს პრეფიქსიანი ვნებითის წყვეტილი და გარდამავალ ზმნათა II თურმეობითი ფორმობრივად იდენტურია. ფორმობრივ პარალელიზმს კი გამორიცხავს სისტემიდან. არ. ქუთათელაძის თვალსაზრისს მხარდაჭერა არ ჰქონია. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამგვარად ყურადღება ფორმობრივი მონაცემებისადმი სხვას არ გაუმახვილებია.

შენიშვნა: ა. ქუთათელაძესთან ფორმობრივ მონაცემებს რომ არსებითი ყურადღება ექცევა, ამ შენიშვნიდანაც ჩანს: „უღვლილების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პრეფიქსებს, სუფიქსებს და ინფიქსებს...“ (ა. ქუთათელაძე, 1897, გვ. 13). თუმცა ეს საკითხი რომ არცთუ მარტივად ესახება ავტორს, აქედანაც ჩანს: „დღემდის მაინც ვერ ვიგდეთ ხელში ის კლიტე, რომელიც აღებს ყველა ზმნების კარს, რომ, შიგ რა არის, გავიგოთ; მაინც ვერ გავხსენით დღემდის ის საიდუმლოების ნასკვი, რომელსაც ჰქვია უღვლილება. ე. ი. ვერ მივაგენით იმ კანონს, რომლის ძალითაც შეგვძლებოდა ყოველი ზმნის ჩაგდება კალაპოტში, უღვლილების დროს, და ისე, — რომ ერთმანეთში არ აგვრეოდა“ (არ. ქუთათელაძე, 1897, გვ. 12). ფაქტობრივ, ეს მსჯელობა შეფასებაა გაკეთებულის და პროგრამაც გასაკეთებლის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ცდას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია...

ვფიქრობთ, ერთ-ერთი დადებითი შედეგი, რაც ა. ქუთათელაძის ზმნათა კლასიფიკაციას აქვს, ისაა, რომ გამოიყო ყველა თემის ნიშანი.

არ. ქუთათელაძე ცდილობს, ზმნათა კლასიფიკაცია ისევ ფორმობრივი ნიშნების მიხედვით მოახდინოს; მოქმედებითი გვარის ზმნათათვის 15 კლასს გამოყოფს, ვნებითი გვარის ზმნათათვის — 13-ს (არ. ქუთათელაძე, 1897).

ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშანი აწმყოს ფუძის წარმოებაა, რასაც წყვეტილის ფორმასთან შეპირისპირებით არკვევს. ითვალისწინებს უწყვეტლისა და მიმღეობის ფორმათა წარმოებასაც. ყურადღება ექცევა ხმოვანპრეფიქსებს, ფაქტობრივ, კლასიფიკაცია რთულია და გაჭირდება ამ ცდის პროგრესულობაზე საუბარი.

როგორც ვთქვით, ორთემიანობაზე ყურადღების გამახვილება სისტემური სახით უდავოდ საგულისხმო ფაქტია. თუმცა ამ ფაქტზე მინიშნება უფრო ადრე თ. ჟორდანიასთან გვხვდება: ნამყო სრული „წარმოსდგება სახელზმნათაგან მიმატებით ბოლოს ხმოვანისა „ე“ („ა“-ს მაგიერ), მაგ. კვ-ეთ-ა — ვკვ-ეთ-ე, წერ-ა — ვწ-ერ-ე (ასეა! — გ. გ.), ტრიალი — ვიტრიალ-ე და სხ. **დაბოლოებულნი მარცვლებითა „ობა“ და „ება“** (ხშირად „ილი“-ზე დაბოლოებულნიც) **წარსულში მოიკვეცენ ამ მარცვლებს და დანარჩენში მიიმატებენ იმავე ხმოვანსა „ე“, მაგ.**

შემკობა — შევამკ-ე, მოტაცება — მოვიტაც-ე და სხ. საბოლოო „ევა“ გადაიქცევა „იე“-დ და „ენა“ — „ინე“-დ, მაგ. ცდ-ენა — ვაცდ-ინე, წ-ევა — ვწ-იე და სხ. (თ. ჟორდანია, 1889, გვ. 55) (ხაზი ჩვენია — გ. გ.). აწმყოს ფორმებზე მსჯელობისას კი თ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ „სახელზმნებს მხოლოდ უკანასკნელი ხმოვანი მიეკვეცება“ (გვ. 54). ამდენად, **ება, ობ** მარცვალთა მოკვეცა ნამყო სრულის ფორმათა წარმოების სპეციფიკადაა მიჩნეული. ასევე: **ევ → ივ, ენ → ინ** პროცესიც ამ საუღლებელ ერთეულში ხდებაო. ზმნურ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით საინტერესო დაკვირვებაა.

გვინდა კიდევ ერთ ფაქტს მივაქციოთ ყურადღება: თ. ჟორდანია ახდენს ზმნურ ფორმათა წარმოების განზოგადებასა და გვთავაზობს ფორმაწარმოებით მოდელებს: „ხოლო თჯთ მოქმედებითის ზმნების მომავალი დრო წარმოსდგება ნაკვეთითა „ვი-x-ებ“ (მყოფობითები კი ნაკვეთითა „ვე-x-ები“), სადაც x უდრის სახელზმნას, უკანასკნელ ხმოვან მოკვეცილსა; მაგრამ თუ სახელზმნა დაბოლოვდება მარცვლებზე: ება, ობა და ვა; მაშინ „x“ უდრის დანარჩენს ნაწილს სახელზმნისას, მაგ. ვი-გოდ-ებ, ვი-ჩან-ებ, ვი-წუხ-ებ, ვი-ტიტინ-ებ. თუ აწმყოსა აქვს ნაკვეთი: „ვი-x-ებ, ანუ ვ-x-ები“, მაშინ მომავალი, საზოგადო კანონისამებრ, იწარმოება თანდებულით, მაგ. ვიგვიანებ — დავიგვიანებ... (თ. ჟორდანია, 1889, გვ. 56). ანდა: „ვნებითი აწმყო იწარმოება ნაკვეთითა, „ვი-x-ები“, სადაც x უდრის სახელზმნას“ (გვ. 61); აწმყო იწარმოება ნაკვეთითა „ვ-x-დები“, რომელშიაც x უდრის ძირს ზმნისას („ება“ და „ობა“ მოკვეთილს)“ (იქვე, გვ. 62) და ა. შ. ფაქტი უდავოდ საინტერესოა.

2.6. საუღლებელ ერთეულთა ურთიერთმიმართების საკითხი და თანამიმდევრობა

საუღლებელ ერთეულთა ურთიერთმიმართებაზე წარმოების თვალსაზრისით მინიშნებები ანტონთანაც გვაქვს. XIX საუკუნის დასასრულს ეს საკითხები აქტუალური მსჯელობის საგანი ხდება. მხედველობაში გვაქვს კ. დოდაშვილის, თ. ჟორდანიასა და დ. ჩუბინაშვილის შრომები.

სამივე ავტორთან არის ცდა საუღლებელ ერთეულთა დალაგებისა საწარმოებელი ფუძის მიხედვით. კ. დოდაშვილმა, ფაქტობრივ, უარყო დროთა დალაგება კილოების მიხედვით, რასაც თავი ვერ დააღწიეს მთლიანად თ. ჟორდანიამ და დ. ჩუბინაშვილმა. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ თ. ჟორდანია როცა მსჯელობს

საუღლებელ ერთეულთა ურთიერთმიმართებაზე, ყურადღება მხოლოდ ფორმაწარმოებაზეა გამახვილებული; ისევე როგორც კ. დოდაშვილს, თ. ჟორდანიასაც ორი ჯგუფი აქვს გამოყოფილი:

I. **აწმყოსაგან** (ვჭრი) ნაწარმოები დროები:

ა) **დრო მომავალი** („წინდასმითა რომელსამე საზმნებო თანდებულების“) — გა-ვჭრი.

ბ) **ნამყო უსრული** (**დი** ან **ოდი** ელემენტთა მიმატებით) ვ-ჭრ-იდი, ვ-ქრებ-ოდი.

გ) **ნამყო ისტორიული** (მიმატებათა წინა ნაკვეთისა „მი“ (გვი, გი, უ) და ბოლო ნაკვეთისა „ია“; ხოლო დაბოლოებულნი აწმყოში „ავ“ და „ამ“ მიიღებენ „ავ“-ს და „ამ“-ს) — მი-ხევ-ია, მი-კლ-ავს.

II. **ნამყო სრულისაგან** (სჭრა) იწარმოება:

ა) **ნამყო უუსრულესი ან წინარე-წარსული** (წინადართვითა ნაკვეთებისა მე/გე, ე, გვე). მაგ. თხარა (მან) — მე-თხარა).

ბ) **ნამყო სრული ვნებითის სახისა**, ურთიერთობისა და სათუო სქესისა სრულად ჰგავს წინარე-წარსულს... მიიმატებს მარცვლებს „ოს“ ან „ას“. იგულისხმება **III კავშირებითი.**

გ) **სქესი ბრძანებითი** („განირჩევა ნამყო სრულისაგან მხოლოდ ნიშნითა მახვილით“ (იგულისხმება II ბრძანებითი).

დ) **დრო მომავალი და სათუო სქესისა** (დამატებითა ბოლოს ხმოვანთა „ო“, „ა“ ანუ იშვიათად „ე“) — მივაწებო... (თ. ჟორდანია, 1889, გვ. 56-57).

ვითარება დ. ჩუბინაშვილთანაც ამგვარივეა. ძირითადად ორ ჯგუფს გამოყოფს:

I. **აწმდგომისაგან** (ვჰსწერ) იწარმოება:

ა) **ქმნილი უსრული** (დი და ოდი მარცვალთა მიმატებით) — ვჰსწერდი,

ბ) **აწმდგომი ნამყობისა** (დე, ოდე-ს დართვით) — ვჰსწერდე,

გ) **ქმნილი უსრულესი** (ვჰ, ვა, ვი-ს მი-თ შეცვლისა და ია, იეს დართვით) — მიწერია, მიწერიეს.

შენიშვნა: საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავტორი გრძნობს თურმეობითის წარმოებაში საყრდენი ფუძის ორგვარ შესაძლებლობას და შენიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში აწმყოს ფუძეს მარცვალი მოეკვეცება...

II. **ქმნილი სრულისაგან** (ვჰსწერე) იწარმოება:

ა) **ქმნადი თუობითი** — ვჰსწერო,
ბ) **ქმნილი სრული თუობითი** — მეწერა.
(დ. ჩუბინაშვილი, 1887, გვ. XIV-XVII).

კ. დოდაშვილთან ეს უფრო სისტემური სახითაა წარმოდგენილი:

I ჯგუფი:

აწმყო (მოთხრობითი დახრა) — ვაკეთებ,
მომავალი (მოთხრობითი დახრა) — გავაკეთებ,
აწმყო (ნატვრითი დახრა) — ვაკეთებდე,
მომავალი (ნატვრითი დახრა) — გავაკეთებდე,
ნამყო უსრული (მოთხრობითი დახრა) — ვაკეთებდი,
ნამყო სრული (სათუო დახრა) — გავაკეთებდი.

II ჯგუფი:

ნამყო მრავალგზითი (მოთხრობითი დახრა) — ვაკეთე,
ნამყო სრული (მოთხრობითი დახრა) — გავაკეთე,
აწმყო (სათუო დახრა) — ვაკეთო,
მომავალი (სათუო დახრა) — გავაკეთო,
ნამყო უსრულესი (მოთხრობითი დახრა) — მიკეთია,
ნამყო უსრულესი (სათუო დახრა) — მეკეთოს,
ნამყო უსრული (სათუო დახრა) — მეკეთა.
(კ. დოდაშვილი, 1887, № 217; 1894, № 6).

შენიშვნა: ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირების პრინციპი კ. დოდაშვილისა ძირითადად დ. ყიფიანს ემყარება (I ვარიანტს, რთულს).
საგულისხმოა ისიც, რომ ზმნის ორთემიანობას პირვე-

ლად ყურადღება კ. დოდაშვილმა მიაქცია (კ. დოდაშვილი, 1887, № 214).

კ. დოდაშვილს საწარმოებელი ფუძის პრინციპი რომ ბოლომდე გაეტარებინა, III სერიის ხელოვნური ფორმები ჩნდება პარადიგმებში. ამის თაობაზე ნ. აბესაძე შენიშნავდა: „კ. დოდაშვილი ბრმად მისდევს თავის სქემებს და ამის მიხედვით ხშირად უჩვეულო, ხელოვნურ ფორმებს ქმნის“ (ნ. აბესაძე, 1960, გვ. 74). აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ პრინციპით დალაგებულ ორჯგუფიან სისტემაში III სერიის ფორმათა განაწილება არ მოხერხდა: III სერიაში ზმნათა ერთი ჯგუფი საყრდენად I სერიის ფუძეს იყენებს (უ-კეთებია...), მეორე ჯგუფი — II სერიის ფუძეს (აუ-ღ-ია...). ეს სირთულე კ. დოდაშვილმა ამ გზით მოხსნა (**უკეთებია** ფორმის ნაცვლად პარადიგმაში **უკეთია** ფორმა ჩასვა). ეს სქემათა ბრმად გამოკიდების შედეგი კი არ არის, სურვილი უნიფიცირებული სისტემის შექმნისა, ცდა პრინციპის ბოლომდე გატარებისა. შეცდომას საკვლევი საკითხის სირთულე შეაპირობებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სირთულე დღესაც არ არის დაძლეული. ამის თაობაზე ქვევით იქნება მსჯელობა.

ამგვარად, სამი ავტორის ფრიად საინტერესო ერთგვარ თვალსაზრისთან გვაქვს საქმე. საუღლებელი ერთეულები დალაგდა საწარმოებელი ფუძის მიხედვით; გამოიყო დრო-კილოთა ორი ჯგუფი: ა) აწმყოზე დამყარებული და ბ) წყვეტილზე დამყარებული.

იმ სირთულის მოხსნა, რამაც კ. დოდაშვილს ხელოვნური ფორმები აწარმოებინა, ნ. მარმა III ჯგუფის გამოყოფით ცადა (ნ. მარი, 1908). III ჯგუფში სამი საუღლებელი ერთეული შევიდა: I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი: „ეს სამი დრო ერთად უნდა იყოს, რადგანაც ისინი ნაწარმოებია ერთი და იმავე წესით, თუმცა ვერც ერთ მათგანს ვერ განვიხილავთ, როგორც საყრდენად ხმარებულ დროს, რომლისგანაც სხვები არიან წარმოქმნილი“ (ნ. მარი, 1931, გვ. 138. ვიმოწმებთ ნაშრომიდან: არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 98). როგორც ვხედავთ, სირთულე ამგვარ კლასიფიკაციასაც (III ჯგუფის გამოყოფას) ახლავს. ამის გათვალისწინებით საოცრად ფასეულად გვეჩვენება აღნიშნულ ავტორთა (და, განსაკუთრებით, კ. დოდაშვილის) ნააზრევი.

ორიგინალურია, მაგრამ ნაკლებფასეული, საუღლებელ ერთეულთა ს. ხუნდაძისეული დაჯგუფება. თუ აქამდე საუღლებელ ერთეულთა დალაგება ხდებოდა ძირითადად კილოთა, ანდა საწარმოებელი ფუძის მიხედვით, **ს. ხუნდაძე** დროთა მიხედვით აჯგუფებს მათ:

I.	**აწმყოს ჯგუფი:**	ვსწერ ვსწერდე
II.	**ნამყოს ჯგუფი:**	ვსწერდი ვსწერე (დავსწერე) მიწერია (დამიწერია) მეწერა (დამეწერა) მეწეროს (დამეწეროს) ვსწერდი (დავსწერდი)
III.	**მყოფადის ჯგუფი:**	ვსწერ (დავსწერ) ვსწერდე (დავსწერდე) ვსწერო (დავსწერო)

(ს. ხუნდაძე, 1907, გვ. 16-19).

ს. ხუნდაძესთან საინტერესო ფაქტად გვეჩვენება თითოეული საუღლებელი ერთეულისათვის კითხვის მისადაგება (სასწავლო მიზანი განაპირობებდა, როგორც ჩანს, ამას). I ნაწილში დროებს არც ასახელებს, კითხვების მიხედვით წარმოადგენს პარადიგმებს (მოსამზადებელი კლასის კურსში); მეორე ნაწილში დროთა დასახელებას მოსდევს კითხვები (დროთა მიხედვით): რას ვშვრები? რას უნდა ვშვრებოდე? რას ვშვრებოდი? რა ვქენი? რა მიქნია? რა მექნა? რა მექნას? რას ვიზამდი? რას ვიზამ? რა ვიზამდე? რა ვქნა? (ს. ხუნდაძე, 1907, გვ. 16-19; 139-143). როგორც ვხედავთ, ეს ის კითხვებია, რომლებიც დღეს ჩვენს პრაქტიკულ თუ სამეცნიერო გრამატიკებში გვხვდება. ეს უდავო დამსახურებაა ს. ხუნდაძისა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ცდა მ. ჯანაშვილთანაც გვაქვს: „თუ გვინდა გავიგოთ მოქმედების ვითარება და დრო, როდესაც იგი სწარმოებს, უნდა დავსოთ კითხვები. საკითხებად იხმარებიან მხოლოდ ზმნები **ჩადენა, ქმნა, შრომა, ყოფნა, კეთება**“ (მ. ჯანაშვილი, 1906, გვ. 74). კითხვებიც ასეთია, მაგ.: **აწმყო:** რას ჩადიხარ? რას იქ? რას შვრები? რას აკეთებ? რას იზამ? რაა? ვინაა?

როგორც ვხედავთ, მ. ჯანაშვილი კითხვას სვამს ზმნის სემანტიკის მიხედვით. ს. ხუნდაძემ მოახდინა განზოგადება და ისეთი კითხვა შეირჩა, რომელიც, მეტად თუ ნაკლებად, ყველა სემანტიკის ზმნას შეიძლება მიესადაგოს.

შენიშვნა: ძნელია ამ შემთხვევაში დაისვას მ. ჯანაშვილისა და ს. ხუნდაძის თვალსაზრისთა მიმართ უწინარესობა-შემდგომადობის საკითხი. ს. ხუნდაძის „ქართული გრამატიკის“ პირველი გამოცემა 1905 წელს გამოვიდა (ჩვენ ვსარგებლობთ II გამოცემით); მ. ჯანაშვილისა — 1906 წელს. რამდენადაც ს. ხუნდაძისეული თვალსაზრისი უფრო დახვეწილი ჩანს (და გამოირიცხება მ. ჯანაშვილის გავლენა), უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქმნებოდა ეს ორი თვალსაზრისი.

2.7. ზოგადი სურათი ასეთია

დრო-კილოთა სისტემის ანალიზის თვალსაზრისით პრაქტიკულმა გრამატიკებმა საკმაოდ მყარი საფუძველი მოუმზადეს XX საუკუნის ქართულ ენათმეცნიერებას სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის. პრაქტიკოს-გრამატიკოსებმა, უპირველეს ყოვლისა, ანტონმა, ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ქართული გრამატიკული აზრის განვითარებას. მრავალი მიგნება და დაკვირვება ფასეულია და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ყველა ავტორს საკადრისი უნდა მიეზღას. ყველა აზრსა და თვალსაზრისს ანგარიში უნდა გაეწიოს, ღირსეულად შეფასდეს და თავისი ადგილი უნდა მიეკუთვნოს ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში.

თავი II. დრო-კილოთა სისტემა. უღლების ტიპები

§ 3. დრო-კილოთა სისტემის ანალიზის მდგომარეობა და ამოცანები

საუღლებელ ერთეულთა (მწკრივთა) რაოდენობა ახალ ქართულში ძველისაგან განსხვავებულია. აღვნიშნეთ: პრაქტიკულ გრამატიკებში (კერძოდ, ანტონთან) ძველი ქართულის თითქმის ყველა ფორმა იყო შემჩნეული, მაგრამ ვერ მოხერხდა ყველა საუღლებელი ერთეულის გამოყოფა. როგორც ითქვა, მიზეზი ისაა, რომ XVIII- XIX საუკუნეებში იქმნებოდა იმდროინდელი ქართული სალიტერატურო ენის პრაქტიკული გრამატიკები (ზოგ შემთხვევაში ძველი ქართული ენის მასალაზე!). ამიტომ პრაქტიკულ გრამატიკებში შემჩნეულია ახალი ქართულის ყველა მწკრივის ფორმა, დალაგების პრინციპიც გამოიკვეთა, ჯგუფებადაც დაიყო. პრინციპი თითქოს ბოლომდე გატარდა, მაგრამ ვერ მოიცვა ყველა ტიპის ზმნის უღლება: გარდა ამისა, საქმე III სერიის ფორმებმა გაართულა. მართალია, ნ. მარისეული სისტემა ძველი ქართული ენის ვითარებას ასახავს, მაგრამ პრინციპი უღლების სისტემის დალაგება-დაყოფისა არაა განსხვავებული ძველი და ახალი ქართულისათვის. სხვაობას ძველსა და ახალ ქართულს შორის ქმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობა (ზოგჯერ ამა თუ იმ საუღლებელი ერთეულის ფუნქციური დატვირთვა და წარმოების წესი).

ამგვარად, პრაქტიკულ გრამატიკებში შეძლებისდაგვარად გამოიყო ახალი ქართულის თითქმის ყველა საუღლებელი ერთეული და ასევე გაირკვა კიდეც ამ ერთეულთა ურთიერთმიმართების საკითხები წარმოების თვალსაზრისით. ა. შანიძემ I სერიაში ექვსი მწკრივი გამოყო, რომლებიც ორ წრედ დაალაგა (ა. შანიძე, 1973). სისტემის ერთეულთა რაოდენობა არ შეცვლილა, ტერმინები დაზუსტდა და საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო საუღლებელ ერთეულთა სისტემამ:

1930 წ. „ქართული გრამატიკა“		**„ქართული გრამატიკის საფუძვლები“**
	I სერია	
	ა) აწმყოს წრე	ა) აწმყოს წრე
1.	აწმყო	1. აწმყო
2.	ნამყო უწყვეტელი	2. უწყვეტელი
3.	I კავშირებითი	3. აწმყოს კავშირებითი
	ბ) მყობადის წრე	ბ) მყოფადის წრე
4.	მყობადი	4. მყოფადი
5.	პირობითი	5. ხოლმეობითი
6.	I კავშირებითი	6. მყოფადის კავშირებითი
	II სერია	**II სერია**
7.	ნამყო წყვეტილი	7. წყვეტილი
8.	ნამყო ხოლმეობითი	8. ბრძანებითი
9.	ბრძანებითი (II სუბიექტური პირისა მხოლოდ და ისიც წართქმითად)	9. II ხოლმეობითი
10.	II კავშირებითი	10. II კავშირებითი
	III სერია	**III სერია**
11.	I თურმეობითი	11. I თურმეობითი
12.	II თურმეობითი	12. II თურმეობითი
13.	III კავშირებითი	13. III კავშირებითი

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1930 წლის გრამატიკაში ტერმინით **I კავშირებითი** ორი მწკრივია აღნიშნული. გავხაზავთ: ორ მწკრივს ერთი და იგივე სახელი ჰქვია. ეს უხერხულობა 1942 წლის გრამატიკაში გამოსწორდა: ერთს ეწოდა აწმყოს კავშირებითი, მეორეს — მყობადის კავშირებითი (ა. შანიძე, 1942, გვ. 213, 314), თუმცა სქე-

მაში ისევ I კავშირებითი დარჩა, ოღონდ ფრჩხილებში მიეთითა: I კავშირებითი (აწმყოსი), I კავშირებითი (მყობადისა) (ა. შანიძე, 1942, გვ. 217).

„საფუძვლებში“ სქემას ახლავს შენიშვნა, რომ ორი მწკრივი — ბრძანებითი და II ხოლმეობითი — კილოებშია შემონახული. თუმცა, როგორც ითქვა, საილუსტრაციოდ ბრძანებითისათვის სალიტერატურო ქართულის ფორმებია მოხმობილი: წერე (დაწერე), აშენე (ააშენე); ხოლო II ხოლმეობითისათვის — ძველი ქართულისა: ვწერი (დავწერი), ვაშენი (ავაშენი) (ა. შანიძე, 1973, გვ. 223).

მომდევნო მსჯელობაში ა. შანიძე შენიშნავს: „მწკრივებს რომ გამოვაკლოთ II ხოლმეობითი, რომელიც დღევანდელ ქართულში იშვიათადღა იხმარება და ბრძანებითი, რომელსაც სხვა მწკრივებისაგან განსხვავებული ფორმები თითქმის აღარ აქვს, 13 მწკრივისაგან 11 დაგვრჩება“ (ა. შანიძე, 1971, გვ. 233).

„ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ არნ. ჩიქობავა 10 მწკრივს წარმოადგენს (არნ. ჩიქობავა, 1950); არ ჩანს ე. წ. „მყოფადის კავშირებითი“ („აწმყოს კავშირებითი“ აღინიშნება ტერმინით „პირველი კავშირებითი“).

სქემა ასეთი სახისაა:

„**აწმყოს** წყებაში შედის:
1. აწმყო;
2. აწმყოსაგან ნაწარმოები **ნამყო უსრული**;
3. ნამყო უსრულისაგან ნაწარმოები **კავშირებითი პირველი**;
4. აწმყოსგანვე ნაწარმოები **მყოფადი** და
5. მყოფადისაგან ნაწაროებები **პირობითი**

ნამყო ძირითადის წყებაში შედის:
1. ნამყო ძირითადი (აორისტი) და
2. კავშირებითი მეორე.

თურმეობითის წრეში შედის
1. თურმეობითი პირველი (გარდამავალ ზმნებთან იწარმოება აწმყოსაგან ან ნამყო ძირითადისგან ინვერსიულად);
2. თურმეობითი მეორე (იწარმოება კავშირებითი მეორისაგან)“

(არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 062).

1967 წელს „მყოფადის კავშირებითი“ არნ. ჩიქობავას შეაქვს საუღლებელ ერთეულთა სისტემაში და უწოდებს მას „პირობით-კავშირებითს (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 48). ასე რომ, სხვაობა ა. შანიძის სისტემასთან მოიხსნა.

ამგვარად, საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, ახალ ქართულში 11 მწკრივი გვაქვს. ზოგ შემთხვევაში სხვაობას მხოლოდ ტერმინოლოგია ქმნის (ამჟამად ამას ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს).

ამჯერად მიღებული დაჯგუფება მწკრივთა სისტემისა ძირითადად საწარმოებელი ფუძის პრინციპზეა აგებული, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში ნ. მარის დანერგილად მიიჩნევა. როგორც ვიცით, უფრო ადრე მსგავსი პრინციპით საუღლებელ ერთეულთა დაჯგუფება სცადეს დ. ჩუბინაშვილმა, კ. დოდაშვილმა და თ. ჟორდანიამ. თუ საწარმოებელი ფუძის პრინციპი უმტკივნეულოდ შეიძლება გატარდეს I და II სერიაში, სირთულეს III სერიის მწკრივები ქმნის. ამ სირთულეს ნ. მარიც გრძნობს — ავტორი მესამე სერიის ცალკე ჯგუფად გამოყოფისა. III სერიას, განსხვავებით I და II სერიისაგან, არ გააჩნია საყრდენი მწკრივი. I თურმეობითის ფუძე არა თუ არ არის საყრდენი დანარჩენი მწკრივებისათვის, არამედ უმეტეს შემთხვევაში პრინციპულად სხვაობს კიდეც მათგან... ამ წინააღმდეგობის თაობაზე ნ. მარი აღნიშნავს, რომ: „ეს სამი დრო ერთად უნდა იყოს, რადგანაც ისინი ნაწარმოებია ერთი და იმავე წესით, თუმცა ვერცერთ მათგანს ვერ განვიხილავთ როგორც საყრდენად ხმარებულ დროს, რომლისგანაც სხვები არიან წარმოქმნილნი“ (ვიმოწმებთ არნ. ჩიქობავას ნაშრომიდან: არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 98). ეს საერთო წესი ინვერსიულობაა; ასევე, მესამე სერიის ფორმებს სინტაქსური კონსტრუქციის ერთგვაროვნებაც აერთიანებს... მაგრამ დაირღვა ძირითადი პრინციპი მწკრივთა დაჯგუფებისა: საწარმოებელი ფუძის პრინციპი. „ამოსავალი პრინციპის ცვლა კლასიფიკაციის ელემენტარული წესის დარღვევად ითვლება მეცნიერების ყველა დარგში; ენის მოვლენათა აღწერაც აქ გამონაკლისს ვერ შექმნის. მერეა: წყობის ცვლა — სინტაქსური კონსტრუქციის ცვლა — ახასიათებს გარდამავალ ზმნებს; გარდაუვალ ზმნებში ასეთი ცვლა არა გვაქვს... ამრიგად, წარმოების წესი და სინტაქსური კონსტრუქცია თურმეობითის ჯგუფის გამოსაყოფად მხოლოდ გარდამავალ ზმნებში შეუძლიათ იხმაროს, და აქაც იგი კლასიფიკაციის ძირითადი წესის დარღვევას ნიშნავს“ (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 98).

აღნიშნული სირთულის დაძლევის საინტერესო ცდაა ა. შანიძის მიერ მწკრივის რთულ კატეგორიად მიჩნევა და მწკრივის ელემენტებად აქტისა და თანამდევრობის ჩათვლა (პირის, რიცხვის, დროისა და კილოს კატეგორიებთან ერთად). ავტორის აზრით, მესამე სერიის მწკრივებს საერთო ფუნქცია აერთიანებთ — ესაა თურმეობითობა (უნახაობა) პროცესისა. მართალია, III სერიის ფორმებს „უნახავი აქტის მწკრივებად“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 222) მოიხსენიებს, მაგრამ ფაქტია, რომ უნახაობა პროცესისა მაინც არაა საერთო ფუნქცია III სერიის ფორმათათვის: „I თურმეობითში სამივე ელემენტია: დრო (წარს.), კილო (თხრ.) და აქტი (უნახავი)... (იქვე, გვ. 221) „შედგენილობის თვალსაზრისით II თურმეობითი I-საგან ერთი ელემენტით განსხვავდება, ეს ელემენტია თანამდევრობა (უწინარესი). ეს მწკრივი გადმოგვცემს ისეთ უნახავ მოქმედებას, რომელიც სხვას უსწრებდა“ (იქვე, გვ. 222). ამგვარად, თურმეობითისათვის საერთო ფუნქციაა უნახაობა (განმასხვავებელი — თანამდევრობა); მიუხედავად იმისა, რომ ერთგან III კავშირებითიც „უნახავი აქტის მწკრივად“ მოიხსენიება, მისი დახასიათებისას, რა თქმა უნდა, არაფერია თქმული უნახაობაზე მარტივი მიზეზის გამო — ამგვარ გაგებას არ შეიცავს ამ მწკრივის ფორმები (მწკრივი ხასიათდება მხოლოდ დროისა და კილოს მიხედვით). ფაქტია, აქტი და თანამდევრობაც ვერ გააერთიანებს III სერიის მწკრივებს ერთ ჯგუფად.

III სერიის ფორმათა ერთ ჯგუფად გაერთიანების საკითხზე სპეციალურად მსჯელობს არნ. ჩიქობავა. დასკვნა ასეთია: „თურმეობითი ჯგუფის ნაკვთები ვერ გაერთიანდება მათი ფუნქციის მიხედვით; კერძოდ, თურმეობითობა არ არის ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი: კავშირებითი მესამისათვის თურმეობითის გაგება უცხოა. თურმეობითი მეორე არ იძლევა თურმეობითის შინაარსს, როცა რისამე პირობაზე მიუთითებს; ხოლო როცა თხრობითი კილოს ფუნქცია აქვს თურმეობით მეორეს, მაშინ მისთვის განმსაზღვრელია სხვა დროსთან ფარდობა (ე. ი. „თანამიმდევრობა“)“ (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 100). „მხოლოდ ნაწილობრივ ეგუება ეს შინაარსი თურმეობითს მეორეს; თურმეობითს პირველშიც უნახაობა არ გადმოიცემა პირველს პირში, უარყოფითი ნაწილაკების ხმარებისას კი — სხვა პირებშიც“ (იქვე, გვ. 101).

„სამი ჯგუფის გამოყოფა ზმნის უღვლილებაში ნაწილობრივ გამართლებულია **სინტაქსური** თვალსაზრისით, ნაკვთების წარმოება კი სინტაქსის საგანი არ არის, იგი **ფუძეთა წარმოებას** განეკუთვნება და **მორფოლოგიის** საგანი უნდა იყოს (იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ამ რიგის ფუძეთა წარმოებას ახასიათებს)“ (იქვე, გვ. 101).

„ნაკვთების წარმოება არის ფუძეთა წარმოება და, მაშასადამე, ნაკვთების სისტემაში ამა თუ იმ ნაკვთმა ის ადგილი უნდა დაიკავოს, რაც მას ეკუთვნის წარმოების თვალსაზრისით“ (იქვე, გვ. 102).

ეს ვრცელი ამონაწერები იმისთვის მოვიყვანეთ, რომ ნათელი იყოს ავტორის თეორიული პოზიცია მწკრივთა სისტემის დაჯგუფების საკითხებზე (ეს პოზიცია ჩვენთვისაც ამოსავალია ამ საკითხებზე მსჯელობისას).

ამგვარი თეორიული საფუძველი — ფორმობრივი მონაცემების გათვალისწინება — არნ. ჩიქობავას საშუალებას აძლევს მწკრივები ორ წყებად დააჯგუფოს. ძირითად მწკრივებად, რომელთაგანაც იწარმოება ყველა სხვა მწკრივი უშუალოდ თუ შუალობით, პირდაპირი წყობით თუ ინვერსიულად, მიიჩნევა აწმყო და ნამყო ძირთადი და დაასკვნის: „ამისდაკვალად ნაკვთების წარმოებისას გვექნება ორი ჯგუფი: აწმყოს ჯგუფი და ნამყო ძირითადის ჯგუფი. აწმყოს ჯგუფი ამჟამად ყველაზე მრავალრიცხოვანია.

I. **გარდამავალი ზმნის აწმყოსაგან** (ცვლ-ი-ს) იწარმოება:

ა) **პირდაპირი** წყობის ნაკვთები:
1. ნამყო უსრული (ცვლ-ი-დ-ა) → 3. კავშირებითი პირველი (ცვლ-ი-დ-ე-ს).
2. მყოფადი (შე-ცვლ-ი-ს) → 4. მყოფადისეული ნამყო უსრული (შე-ცვლ-ი-დ-ა).

[5. 6. 7. თურმეობითი I, II, კავშირებითი III გარდაუვალ ორპირიან ზმნათა (ˮშეˮსცვლია, სცვლოდა, სცვლოდეს)].

ბ) **შებრუნებული (ინვერსიული) წყობისა:**
8. თურმეობითი პირველი გარდამავალ ზმნათა (უ-ცვლ-ი-ა).

II. **ნამყო ძირითადისაგან** (ცვალ-ა) იწარმოება ნაკვთები:

ა) **პირდაპირი წყობისა:** 9. ნამყო ძირითადის ხოლმეობითი (ძველ ქართულში); (ცვალ-ი-ს).
10. კავშირებითი მეორე (ცვალ-ო-ს).

ბ) **შებრუნებული (ინვერსიული) წყობისა:**
11. თურმეობითი მეორე გარდამავალ ზმნათა (ˮშეˮეცვალა).
12. კავშირებითი მეორე გარდამავალ ზმნათა (ˮშეˮეცვალოს)

(არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 107).

სქემას რამდენიმე სირთულე ახლავს: სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება სისტემა გარდამავალ და ორპირიან გარდაუვალ ზმნათათვის; ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა ვითარება არ აისახება; არაა წარმოდგენილი ე. წ. მყოფადის კავშირებითი („პირობით-კავშირებითი“ — ავტორის ტერმინით). გარდა ამისა, თუ **ცვლის — უცვლია, აკეთებს — უკეთებია** ტიპის გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი ამ პრინციპით აწმყოს ჯგუფში მოხვდება, **აქებს — უქია, აღებს — უღია** ტიპის გარდამავალ ზმნათა იგივე მწკრივი წყვეტილის ჯგუფში შევა (სქემაში ეს ფაქტი არ აისახა). მაშასადამე, გარდამავალ ზმნათათვისაც არაა მყარი წარმოდგენილი სისტემა.

მწკრივთა სისტემა, ამავე პრინციპით დაჯგუფებული (ოდნავ შეცვლილი ვარიანტი), არის წარმოდგენილი შემდეგდროინდელ ნაშრომში (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 48-50):

I. აწმყოს ჯგუფი

1. აწმყო — ზრდ-ი-ს, ა-შენ-ე-ბ-ს
2. ნამყო უსრული — ზრდ-ი-დ-ა, ა-შენ-ებ-დ-ა
3. I კავშირებითი — ზრდ-ი-დ-ე-ს, ა-შენ-ებ-დ-ე-ს
4. მყოფადი — გა-ზრდ-ი-ს, ა-ა-შენ-ებ-ს
5. პირობითი — გა-ზრდ--ი-დ-ა, ა-ა-შენ-ებ-დ-ა
6. პირობით-კავშირებითი — გა-ზრდ-ი-დ-ე-ს, ა-ა-შენ-ებ-დ-ე-ს
7. I შედეგობითი — გა-უ-ზრდ-ი-ა, უ-შენ-ებ-ი-ა.

II. ნამყო ძირითადის ჯგუფი

8. ნამყო ძირითადი — გა-ზარდ-ა, ა-ა-შენ-ა
9. ნამყო ჩვეულებითი (პერმანსივი) — გა-ზარდ-ი-ს, ა-ა-შენ-ი-ს
10. II შედეგობითი — გა-ე-ზარდ-ა, ა-ე-შენ-ებ-ინ-ა
11. III კავშირებითი — გა-ე-ზარდ-ო-ს, ა-ე-შენ-ებ-ინ-ო-ს.

ამ სქემაში მოიხსნა ის სირთულე, ერთი და იგივე მწკრივი სხვადასხვა ჯგუფში რომ იყო წარმოდგენილი; თუმცა სირთულეები დარჩა.

სქემა მხოლოდ გარდამავალ ზმნათათვისაა გამოსადეგი (მაგალითებიც გარდამავალ ზმნათა ახლავს). ზოგადი შენიშვნები იგივე რჩება, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. გარდა ამისა, რაც მთავარია, საწარმოებელი ფუძის პრინციპი მაინც დაირღვა: **ა-ა-შენ-ა, ა-ა-შენ-ო-ს** და **ა-ე-შენ-ებ-ინ-ა, ა-ე-შენ-ებ-ინ-ო-ს** ერთ ჯგუფში მოხვდა...

საერთოდ: მწკრივის ფორმათა წარმოების (საუღლებელ ერთეულთა ფუძის) საკითხებზე მსჯელობისას ხმოვანპრეფიქსების საკითხი გარკვევას მოითხოვს. ამ შემთხვევაშიც, თურმეობითებსა და III კავშირებითში ხმოვანპრეფიქსი გამოყოფილია, სხვა მწკრივებთან — არა... საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თუ I-II სერიის ფორმებში ერთი და იგივე ხმოვანპრეფიქსია წარმოდგენილი ყველა მწკრივში, განსხვავებულია ვითარება III სერიის მწკრივებთან: გარდამავალ ზმნებს I თურმეობითში სისტემებრ **უ-** პრეფიქსი დაერთვის, II თურმეობითსა და III კავშირებითში — **ე**; ორპირიანი გარდაუვალი ზმნები, რომელთაც I-II სერიაში **ე** (ეზრდება) ან **უ** (უკეთდება) პრეფიქსები აქვთ, III სერიის ფორმებს უპრეფიქსოდ იწარმოებს (გა-ზრდ-ია, გა-ზრდ-ოდ-ა; გა-ჰ-კეთ-ებ-ი-ა, გაჰ-კეთ-ებ-ოდ-ა). ეს წესი სისტემებრაა გატარებული. ზმნური ფორმაწარმოების საკითხებზე მსჯელობისას ამ ფაქტს, ალბათ, გვერდს ვერ ავუვლით. ეს ფაქტი გარკვეულწილად მხარს დაუჭერს მწკრივთა სამ სერიად დაჯგუფებას და, შესაბამისად, საწინააღმდეგო ჩვენებად გვესახება მწკრივთა ორ ჯგუფად წარმოდგენისას.

ამგვარად, მწკრივთა სისტემის ორ ჯგუფად წარმოდგენას, რომელსაც საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ვერ მივიჩნევთ წარმატებულ ცდად.

თუმცა, სანამ ჩვენ ამ დასკვნას გავაკეთებდით, თავად ავტორმა, არნ. ჩიქობავამ, 1984 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მწკრივთა სისტემა ტრადიციულ სამ სერიად წარმოადგინა. ფაქტს დასაბუთება არ ახლავს.

ნაშრომის სპეციფიკურობის გამო (დაწერილია ენციკლოპედიური ცნობარის — „მსოფლიოს ენები“ — შეკვეთით) დრო-კილოთა სისტემის სრული სქემაც არ არის წარმოდგენილი. თითო სერიიდან თითო მწკრივის ფორმაა დასახელებული სათანადო ნიმუშით. მაგალითად:

„გარდამავალი ზმნა
I სერია: აწმყო — **აქებს** ის მას
II სერია: ნამყო ძირითადი — **აქო** მან იგი
III სერია: I თურმეობითი: **უქია** მას იგი“
(არნ. ჩიქობავა, 1984, გვ. 27).

საერთოდ, არის კი შესაძლებელი მწკრივთა დაჯგუფებისას ფორმობრივი პრინციპის ბოლომდე გატარება? შესაბამისად, მწკრივთა სისტემის ორ ჯგუფად წარმოდგენა?

კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებლად მიგვაჩნია იმ შემთხვევაში, როცა გაირკვევა რიგი საკითხებისა: რა არის მწკრივი, რა არის მწკრივის ფუძე, რის საფუძველზე ხდება მწკრივის გამოყოფა და, შესაბამისად, როგორია მწკრივთა რაოდენობა და ურთიერთმიმართება წარმოების თვალსაზრისით.

§ 4. მწკრივის რაობა

4.1. რა არის მწკრივი?

არნ. ჩიქობავას აზრით, „ნაკვთი ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს უღვლილების ერთეულზე ამ ერთეულის ფუნქციის აღუნიშნავად. ამიტომ ნაკვთი ვერ იქნება გრამატიკული კატეგორია („უფუნქციო კატეგორია“ არ არის კატეგორია!) ისევე, როგორც გრამატიკულ კატეგორიას არ გულისხმობენ ტერმინები „ბგერა“, „მარცვალი“, „ხმოვანი“, „ფუძე“ (არნ. ჩიქობავა, 1948(1), გვ. 8). საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ვ. თოფურიამ (ვ. თოფურია, 1956(1)). ავტორის აზრით, რადგან მწკრივს არ გააჩნია გრამატიკული კატეგორიის არც ფუნქცია და არც ფორმა, ხოლო მწკრივის საწარმოებელ ნიშნებად მიჩნეული სუფიქსები (-ა, -ე, -ო, -ი...) დროის, კილოსა და ჯერობის მაწარმოებელი აფიქსებია, ამიტომ მწკრივი არ შეიძლება მივიჩნიოთ კატეგორიად.

შენიშვნა: სინონიმური ტერმინები „ნაკვთი“ და „მწკრივი“ საუღლებელი ერთეულის აღსანიშნავად იხმარება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში; პირველი მათგანი არნ. ჩიქობავამ შემოიღო, მეორე — ა. შანიძემ. როგორც აღვნიშნეთ, თითოეული მათგანის შემოღებას სათანადო ცნებების სხვადასხვაგვარი გაგებაც ახლდა. ამიტომ შეიძლება არც იყოს გამართლებული ამ ტერმინთა პარალელური გამოყენება; ამა თუ იმ ავტორის ნააზრევის მოხმობისას ზოგჯერ არ მოხერხდება გვერდი ავუაროთ იმ ტერმინს, რომელსაც იგი გამოიყენებს. ჩვენს შემთხვევაში პარალელური ხმარება ამ ტერმინებისა ამითაა შეპირობებული.

განსხვავებულ თვალსაზრისს წარმოადგენს ა. შანიძე. საკითხს

სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა 1941 წელს, რომელიც საფუძვლად დაედო მწკრივის შესახებ მოძღვრებას „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“. ავტორის აზრით, მწკრივი გრამატიკული კატეგორიაა. მსჯელობის თანამიმდევრობა ასეთია: „არის თუ არა მწკრივი გრამატიკული კატეგორია? სწორი პასუხი რომ გავცეთ ამ კითხვას, უნდა მოვიგონოთ: ყოველგვარი გრამატიკული კატეგორია ყალიბდება საპირისპირო ფორმათა არსებობის ნიადაგზე. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ მწკრივებს, დავრწმუნდებით, რომ ერთი რომელიმე ჯგუფი, რომელთაც საერთოდ მწკრივი ეწოდა, ისეთ მიმართებაშია დანარჩენებთან, როგორც სხვა რომელიმე — ყველა დანარჩენთან, ისინი ერთგვარ მოვლენას ასახავენ ენაში, ერთმანეთს თანაბრად შეეზომებიან, თითქოს ყველას ერთი და იგივე რაოდენობა აქვთ ფორმებისა (**სქოლიოში**: ბრძანებითის მწკრივში ფორმათა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე თხრობითში), თვითეულ მათგანთან გარკვეული ცნებაა დაკავშირებული და ყველა ერთად წარმოდგენას გვაძლევს, რომ ისინი შეადგენენ საპირისპირო სახეებს ზოგადი კატეგორიისას...“, „ოღონდ სხვა კატეგორიები მარტივია, დაუშლელი, მწკრივი კი რთულია და შეიცავს რამდენიმე კატეგორიას, ელემენტებად წოდებულს, ქართულში უმთავრესად დროსა და კილოს“ (იქვე, გვ. 217). სხვაგან: „ელემენტები დაერქვა მწკრივის ფარგლებში უცვალებელ კატეგორიებს, რომლებიც მის ხერხემალს წარმოადგენენ. ქართული მწკრივის ელემენტებია: დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 116).

ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით აღნიშნულ თვალსაზრისზე, რომ, ჩვენი აზრით, ზოგი რამ დაზუსტებასა და გარკვევას მოითხოვს.

ჯერ ერთი: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა და მწკრივი უღლების კატეგორიებია, ავტორის აზრით. ამათგან მწკრივის კატეგორია ელემენტებად შეიცავს დროის, კილოს, გზისობის, აქტისა და თანამდევრობის კატეგორიებს. სხვაგვარად: უღლების ეს კატეგორიები ელემენტებია იმავე უღლების სხვა კატეგორიისა... მსჯელობა თითქოს გარკვევას საჭიროებს...

მწკრივის კატეგორიის შემადგენელ კატეგორიათა შესახებ მსჯელობისას მინიშნებულია, რომ თითოეული მათგანი (დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა) არის ზმნის ფორმა, ისევე როგორც ზმნის ფორმად მიიჩნევა რიცხვისა და პირის კატეგორიები.

ამდენად, ელემენტებად წოდებული კატეგორიები მორფოლოგიურ

კატეგორიებადაა მიჩნეული; ამა თუ იმ ფორმისათვის დამახასიათებელ მუდმივ, უცვალებელ კატეგორიებად. გავიხსენოთ: „ელემენტები დაერქვა მწკრივის ფარგლებში **უცვალებელ კატეგორიებს,** რომლებიც მის ხერხემალს წარმოადგენენ. ქართული მწკრივის ელემენტებია: **დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა**“ (ხაზი ჩვენია — გ. გ.).

ჩვენთვის ასეთი კითხვა იჩენს თავს: არის თუ არა აღნიშნული კატეგორიები მორფოლოგიური კატეგორიები; შესაბამისად — უცვალებელნი ერთი მწკრივის ფარგლებში. აქედან გამომდინარე: შეიძლება თუ არა მორფოლოგიურად მწკრივის დახასიათება აღნიშნული ელემენტების მიხედვით?

ეს უხერხულობა უფრო ჩანს ამგვარ ჩამონათვალ'ში: „დავწერე“ ზმნაში უღლების კატეგორიათაგან წარმოდგენილია: პირი (თანაც სუბიექტური და ობიექტური), რიცხვი, დრო, კილო, ჯერობა, აქტი, თანამდევრობა, მწკრივი; წარმოქმნის კატეგორიათაგან: ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი, სიტუაცია (აკლია გეზი და ორიენტაცია)“ (ა. შანიძე, 1943, გვ. 367): თუ მწკრივი ელემენტებად შეიცავს დროის, კილოს... ა. შ. კატეგორიებს, ერთ ჩამონათვალში გვერდიგვერდ როგორ შეიძლება დავაყენოთ...

4.2. რა არის მორფოლოგიური კატეგორია?

სპეციალურ ლიტერატურაში მორფოლოგიური კატეგორიის განმარტებისას არაა ერთგვაროვანი შეხედულება. რიგ შემთხვევაში მორფოლოგიური კატეგორია გაიგივებულია გრამატიკულ კატეგორიასთან. სხვა თვალსაზრისით, მორფოლოგიური კატეგორია გრამატიკული კატეგორიის შემადგენელი ნაწილია სინტაქსურთან ერთად; სხვაგვარად: სინტაქსური და მორფოლოგიურ კატეგორიების ერთობლიობა ქმნის გრამატიკულ კატეგორიას. გრამატიკული კატეგორიის გაგება დღესაც კამათისა და დისკუსიის საგანს წარმოადგენს. აღნიშნავენ კიდეც: „სამწუხაროდ, ტერმინსა და ცნებას „გრამატიკული კატეგორია“ ჩვენსა და საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში არ მიუღია ერთგვაროვანი განმარტება და გამოყენება. ამას კარგად გვიჩვენებს ზოგი განმარტება და განსაზღვრა, თითქოსდა ალალბედზე მოცემული“ (ფ. ბერეზინი, ბ. გოლოვინი, 1979, გვ. 175) (წიგნში საამისო მრავალი მაგალითია მოყვანილი).

არ არის დავა იმის თაობაზე, რომ კატეგორია საპირისპირო

ფორმათა არსებობის საფუძველზე ყალიბდება. აღნიშნავენ, რომ „გრამატიკულ კატეგორიას გრამატიკული ფორმისა და გრამატიკული მნიშვნელობის ერთობა ქმნის“ (ვ. გაკი, 1986, გვ. 32) და რომ გრამატიკული (მორფოლოგიური) კატეგორიისათვის გრამატიკული (მორფოლოგიური) ნიშნის მქონებლობა მიიჩნევა არსებითად. არნ. ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მორფოლოგიური კატეგორია სათანადო აფიქსებით უნდა იქნეს წარმოდგენილი და არა ფუძის მნიშვნელობით“. ამა თუ იმ ფაქტის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევას „მორფოლოგიური ნიშნის ქონა-უქონლობა წყვეტს“. სხვაგვარად: „მორფოლოგიურ კატეგორიას ქმნის აფიქსით გადმოცემული მნიშვნელობა“ (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 267).

„გრამატიკული კატეგორიის გამოხატულების პლანი სისტემურად ორგანიზებული გრამატიკული საშუალებებია“ (ა. ბონდარკო, 1976, გვ. 30).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისია. უფრო კონკრეტულად: „ერთი და იმავე მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშნების გაერთიანების შედეგად მიღებული გრამემების ისეთ ერთობლიობას, რომელშიც ყოველი დიფერენციალური ნიშანი წარმოდგენილია თავისი ერთ-ერთი შესაძლებელი (დადებითი ან უარყოფითი) მნიშვნელობით, გრამატიკული კატეგორია ეწოდება. მაგალითად, მხოლობითი რიცხვის გრამემა და მრავლობითი რიცხვის გრამემა, ე. ი. ნიშნის „ერთი ~ მრავალი“ დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობებით შედგენილი ორი გრამემა ერთიანდება **რიცხვის გრამატიკულ** კატეგორიაში; I, II, III პირის გრამემები ქმნიან პირის გრამატიკულ კატეგორიას“ (თ. გამყრელიძე, 2003, გვ. 223).

ჩვენთვის ეს თვალსაზრისები არის საყრდენი.

4.3. დრო, როგორც ზმნის კატეგორია

არის თუ არა დრო მორფოლოგიური კატეგორია? მწკრივის ფორმათა ფუნქციებზე მსჯელობისას დროისა და კილოს კატეგორიებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მწკრივთა სახელდებაც ძირითადად ამ ორი მახასიათებლის მიხედვით ხდება. არც ისაა შემთხვევითი, რომ პრაქტიკული გრამატიკებიდან მოყოლებული საუღლებელ ერთეულს ასეც სახელდებდნენ — „დრო“, „დრო-კილო“; უღვლილების სისტემას — „დრო-კილოთა სისტემის“ სახელით მოვიხსე-

ნიებთ დღესაც. ჩვეულებრივ დროსა და კილოს მორფოლოგიურ კატეგორიებად მიიჩნევენ პირის, რიცხვის... კატეგორიათა გვერდით: „მორფოლოგიური კატეგორიებია: ...პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი... — ზმნისათვის“ (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 267). „ზმნა არის მოქმედების აღმნიშვნელი ფორმაცვალებადი სიტყვა, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვება: პირველ ყოვლისა პირი, რიცხვი, დრო და კილო“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 173). ზმნის მორფოლოგიური კატეგორიებია „პირი, რიცხვი, კილო, ქცევა, გვარი, დრო და სხვა“ (გ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე, 1972, გვ. 102). ეს საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისია. რამდენადაც დრო და კილო მორფოლოგიურ კატეგორიებად გაიაზრება, არის ცდა ამ კატეგორიათა მორფოლოგიური ნიშნის ძიებისა.

დროის მიხედვით ზმნური ფორმის კვალიფიკაციასა და დახასიათებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. დროის კატეგორია ერთ-ერთი რთული და სადავო კატეგორიაა არა მარტო ჩვენს სინამდვილეში, არამედ საერთოდ. არაა შემთხვევითი, რომ პრაქტიკულ გრამატიკებში, და ზოგჯერ სამეცნიეროშიც, საუღლებელი ერთეული და დრო გაიგივებულია; იმდენ დროზე საუბრობენ, რამდენი საუღლებელი ერთეულიცაა: მაგალითისათვის: ნ. მარის აზრით, ძირითადი დრო რვა არის: აწმყო, ნამყო უსრული, ნატვრითი, აორისტი, კავშირებითი (იგივე მომავალი), ნამყო სრული, წინარე წარსული, ნამყო კავშირებითი (ნ. მარი, 1925, გვ. 142). არნ. ჩიქობავა: „ახალ ქართულში გვაქვს ერთი აწმყო, ერთი მყოფადი და ოთხი ნამყო: ნამყო უსრული ანუ უწყვეტი: აკეთებდა, აშენებდა, შრომობდა...; ნამყო ძირითადი ანუ ნამყო წყვეტილი (აორისტი): აკეთა, აშენა, იშრომა...; თურმეობითი პირველი: უკეთებია, უშენებია, უშრომია..., თურმეობითი მეორე: ეკეთებინა, ეშენებინა, ეშრომა...“ (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 274). ა. შანიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „არევ-დარევა სუფევს დროის გაგებაში... ასეთი მცდარი შეხედულება „დროის“ შესახებ იქედან მომდინარეობს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გრამატიკული დროის პრობლემა სწორად არ არის დასმული და გადაწყვეტილი. საზოგადოდ დროის კატეგორიას რევენ მწკრივის ერთ-ერთ კატეგორიასთან (კილოსთან ან თანამიმდევრობასთან) ან თვით მწკრივთან და ეს აღრევა, რომელიც ჭრელად ასახავს ზოგადი საენათმეცნიერო საკითხის შესწავლის უმწეო მდგომარეობას ენის სტრუქტურულ ნაწილში, ქართულ ნიადაგზეც უკრიტიკოდ არის გადმოტანილი. საჭიროა და აუცილებელი, რომ დროის კატეგორია გა-

მოითიშოს სხვა კატეგორიებისაგან და მას თავისი ალაგი მიეჩინოს და სხვებსაც თავთავისი მოენახოს“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 201). „გრამატიკული დრო შეიძლება მხოლოდ სამი იყოს: ეხლანდელი, წარსული და მომავალი“ (იქვე, გვ. 199). ძირთადად ეს თვალსაზრისია გაზიარებული. ამჟამად: დროის სამწევრიან სისტემას განიხილავენ. საფუძველს კი დროის კატეგორიის ამგვარი გაგება ანტიკური გრამატიკებიდან იღებს.

შენიშვნა: დროის მორფოლოგიური კატეგორიის პრობლემა მხოლოდ ქართული ენათმეცნიერების წინაშე დასმული პრობლემა როდია.

აღნიშნავენ, რომ „არცერთი სხვა გარმატიკული პრობლემა არ არის ისეთი რთული, როგორც გრამატიკული დროის პრობლემა“ (პ. რობერტსი, 1954, გვ. 131). მაგალითისათვის: ვ. ვინოგრადოვი მიმოიხილავს დროის კატეგორიის შესწავლის ისტორიას რუსულ ენათმეცნიერებაში და აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი ყველაზე სადავო საკითხი, რომელიც აზრთა პრინციპულ სხვადასხვაობას იწვევდა, დროის კატეგორიაა. მ. ლომონოსოვმა 10 დრო გამოყო, ა. ვოსტოკოვმა — 8, ს. შაფრანოვმა — 7, ა. ბოლდირევმა — 2. ამგვარი სხვადასხვაობა დროისა და კილოს კატეგორიათა აღრევამ გამოიწვია. ამ აღრევასთან ბრძოლამ მ. კატკოვი და კ. აქსაკოვი დროის კატეგორიის უარყოფამდე მიიყვანა. ამავე აზრის იყო ნ. ნეკრასოვიც, რომელმაც სცადა „ეჩვენებინა ნებისმიერი რუსული ზმნური ფორმის შესაძლებლობა სრულიად განსხვავებული დროული მნიშვნელობების გამოხატვისა. ის გადაჭრით უარყოფდა რუსულ ზმნაში დროის მუდმივი გრამატიკული ფორმის არსებობას“ (ვ. ვინოგრადოვი, 1972, გვ. 426-428). თვით ვ. ვინოგრადოვი რუსულში ორ დროს გამოყოფს (წარსულსა და არაწარსულს), ხოლო რუსული ენის აკადემიურ გრამატიკაში სამი დროა გამოყოფილი (აწმყო, წარსული და მომავალი) (რუსული გრამატიკა, 1980, გვ. 627). საკითხი ამგვარად სხვა ენათა მიმართაც დგება. მაგალითისათვის, ვფიქრობთ, ესეც კმარა.

როგორც ითქვა, დროის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევამ თავისთავად დასვა საკითხი ამ კატეგორიის ნიშნის ძიებისა.

ახალ ქართულში წარსული დროის გაგება რამდენიმე მწკრივის ფორმას შეიძლება ჰქონდეს. სხვაგვარად: მწკრივთა დახასიათებისას წარსული დროის მნიშვნელობის გადმოცემა მიიჩნევა რამდენიმე მწკრივის ფორმისათვის ნიშანდობლივად: **ვწერდი, დავწერდი, დავწერე, დამიწერია, დამეწერა, დამეწეროს.** შესაბამისად იყო მცდელობა ნამყო დროის მორფოლოგიური ნიშნის გამოყოფისა.

არნ. ჩიქობავა წერს: „როგორც ზმნაში, ისე ნაზმნარ სახელებში (მიმღეობებში) დრო აფიქსებითაა გამოხატული (აკეთებ-**დ**-ა... აკეთ-ა ← აკეთ-**ე**-ა... **უ**-კეთებ-**ი**-ა... **ე**-კეთებ-**ინ**-ა... (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 275). მაგალითებში წარსული დროის გამომხატველ მორფოლოგიურ ნიშნებად გახაზულია: **-დ, -ე, -უ, -ი, -ნი.** დროის მორფოლოგიურ გამოხატვაზე მსჯელობა გრძელდება: შეიძლება დრო აღნიშნოს **ცალკე სიტყვამ**: გუშინ... შარშან... ძველად... წარსულში... წინათ — ნამყო დროზე მიუთითებს. მაგრამ ეს არ არის დრო გრამატიკული გაგებით, დროს აქ გადმოგვცემს **მთელი სიტყვა** და არა **მორფოლოგიური საშუალება**... **დრო მორფოლოგიური** (აფიქსებით გამოხატული) და „**დრო არამორფოლოგიური**“ (ლექსიკური საშუალებით გადმოცემული) ისევე უნდა განვასხვავოთ, როგორც მრავლობითი რიცხვი, რიცხვითი სახელით აღნიშნული („ასი კაცი“), და მრავლობითი რიცხვი, მორფოლოგიური ნიშნით წარმოდგენილი („კაცები“) (არნ. ჩიქობავა, იქვე).

შენიშვნა: იბერიულ-კავკასიურ ენებში უღლების ტიპების შესახებ მსჯელობისას არნ. ჩიქობავა წერს: „დრო, კილო და კილოსთან ფუნქციურად ახლო მდგომი მოდალური კატეგორიები (თანაობისა, საურთიერთო, უნებურობისა, განზრახვისა...) უპირატესად სემანტიკურ-სტილისტიკური ხასიათისა ჩანს!“ (არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 165).

ძველი ქართულის უწყვეტელში, I თურმეობითსა და წყვეტილში გამოვლენილ **-ე** სუფიქსს ვ. თოფურია „ნამყო სახეობათა საერთო ნიშნად მიიჩნევს“ (ვ. თოფურია, 1955), თუმცა დროის გამომხატველ აფიქსად მისი კვალიფიკაცია არ ხდება (იქვე, გვ. 73). თითქოსდა წინააღმდეგობრივია: „ნამყოს სახეობათა საერთო ნიშანი“ „დროს უთუოდ არ გამოხატავდა“. მაგრამ წყვეტილის **-ე** სუფიქსს ნამყო დროის

მორფოლოგიურ ნიშნად მიიჩნევს გ. მაჭავარიანი (მიმომხილველი, 1972, გვ. 532). იგივე ავტორი ნამყო დროის მაწარმოებლად მიიჩნევს აგრეთვე წყვეტილში გამოვლენილ **-ი** ბოლოსართს (იქვე).

ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში დროის კატეგორიის მორფოლოგიურ გამოხატვაზე მხოლოდ წარსულის მიმართ საუბრობენ. აწმყოსა და მყოფადის მორფოლოგიურ გამოხატვაზე (მორფოლოგიურ ნიშანზე) არაა მსჯელობა. გამოდის: დროის სამწევრიანი სისტემიდან მარკირებულია ერთი, არამარკირებული — ორი. ამ წინააღმდეგობის მოხსნას ცდილობს გ. მაჭავარიანი, რომელიც დროის ორწევროვან სისტემას გვთავაზობს: მარკირებული ნამყო — არამარკირებული აწმყო ზოგადი (მომავალი დრო დამატებითი გრამატიკული მნიშვნელობაა დიფერენციალურ ნიშანთა კონისათვის: **აწმყო ზოგადი + გრძლივი + სრული ასპექტი**. მსჯელობისა და აზრის მეტი სიცხადისათვის მოვიყვანთ ამონარიდს. ცნობისათვის: გ. მაჭავარიანის ნაშრომი „გრძლიობის, ასპექტისა და დროის კატეგორიების მიმართება ქართულში“ არ გამოქვეყნებულა (ნაშრომი დაკარგულია). ძირითადი დებულებები აღდგენილია მ. მაჭავარიანის მიერ. ჩვენც ამ დებულებებს ვემყარებით: „მეორე დიფერენციალური ნიშანი, რომლითაც უპირისპირდებიან ზმნური ფორმები ერთმანეთს, არის დრო. მარკირებულია ნამყო დრო. ალომორფები [(ოდ ~ დი)] ~ (დ ~დი)] მორფოლოგიურად შეპირობებული გრძლივი ფორმებით: **ვაკეთ-ებ-დი : ვაკეთ-ებ, ვხატ-ავ-დი : ვხატ-ავ, ვწერ-Ø-დი : ვწერ-Ø, ვტირ-Ø-ოდი : ვტირი** და სხვა), [ე ~ ი ‖ Ø] (მორფოლოგიურად შეპირობებული არაგრძლივი, წყვეტილი ფორმებით: **ვაკეთ-ე : ვაკეთ-ებ, ვკალი : ვკლ-ავ** და სხვა). მარკირებულ ნამყოს უპირისპირდება არამარკირებული აწმყო ზოგადი“ (გ. მაჭავარიანი, 1972, გვ. 531).

შენიშვნა: ასევე დროის ორწევრიან სისტემაზე მსჯელობს მ. მეგრელიშვილი; გამოყოფს წარსულსა და არწარსულ დროს: „წარსული დროის არაწარსულთან დაპირისპირება არსებობს დროის სამწევრა სისტემის შიგნით და დაფუძნებულია არა მარტო სემანტიკურ, არამედ სტრუქტურულ ნიშანზეც“ (მ. მეგრელიშვილი, 1986, გვ. 33). „გვაქვს როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური საფუძველი ჩავთვალოთ, რომ დაპირისპირება ახლანდელი-მომავალი არსებობს უფრო ფართო კატეგორიის — „არაწარსულის“ — ჩარჩოებში“ (იქვე, გვ.

82). ძნელია ამ თვალსაზრისის გაზიარება, რამდენადაც ავტორის მსჯელობა წინააღმდეგობრივია: ემყარება თვალსაზრისს, რომ გრამატიკულ კატეგორიას აქვს თავისი შინაარსი და ფორმა (შინაარსის პლანი და გამოხატულების პლანი); რომ დრო გრამატიკული კატეგორიაა (გვ. 45); მაგრამ როცა უღლების სისტემის ცხრილს წარმოადგენს და აანალიზებს ამ სისტემას დროის კატეგორიის თვალსაზრისით, დაასკვნის: „დროის გრამატიკულ კატეგორიას ამ ფორმებში არავითარი ცალკე აღებული ფორმალური ელემენტი არ შეესატყვისება“ (გვ. 79).

ნაშრომში არც იმ სტრუქტურულ ნიშნებზეა საუბარი, რომლებიც აპირისპირებს წარსულ დროს არაწარსულ დროსთან... აქედან გამომდინარე, შეიძლება კი დრო ჩაითვალოს გრამატიკულ კატეგორიად? გარკვევას მოითხოვს მსჯელობაც: „ძველ ქართულში მომავალი დროის ფორმა არ არსებობდა, ამიტომაც გამოხატულების პლანში დროთა სისტემა რთული არ იყო. ფუნქციონირებდა დროის მხოლოდ ორი ფორმა — წარსული და ახლანდელი“ (გვ.80). „მომავალი დროს ფორმა გამოიყო შედარებით გვიან“ (გვ. 81). იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მყოფადის მწკრივის ჩამოყალიბებამდე ქართულში მომავალი დროის გამოხატვა არ ხდებოდა... სადავო სხვაც შეიძლება იყოს ამ თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენთვის არსებითი ისაა, რომ მსჯელობა ორი დროის არსებობის თაობაზე კრიტიკას ვერ უძლებს.

წარსული დროის მორფოლოგიურ ნიშნებად გამოიყო: **-დ** (უწყვეტლისა), **-ე, -ი** (წყვეტილში), **უ-ი** (I თურმეობითში), **ე-ინ** (II თურმეობითში).

საგულისხმო ფაქტია, რომ დასახელებული აფიქსები ძირითადად სხვაგვარადაა კვალიფიცირებული (ზოგჯერ ერთსა და იმავე ავტორებთანაც!):

-დ — ნამყო უსრულის მწკრივის მაწარმოებელი (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 137; 1948, გვ. 99); უწყვეტლის მავრცობი (ა. შანიძე, 1973, გვ. 424); უწყვეტლის ნიშანი (ა. კიზირია, 1974, გვ. 95)...

ე- — ვნებითი გვარის ნიშანი (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 49; ა. შანიძე, 1973, გვ. 288); მიანიშნებს კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის პოვნიერებაზე (ბ. ჯორბენაძე, 1983, გვ. 105).

-ინ — კაუზატივის სუფიქსი (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 46); შუალობითი კონტაქტის ნიშანი (ა. შანიძე, 1973, გვ. 360).

-ე — ნამყო ძირითადის ფუძის მაწარმოებელი (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 49); წყვეტილის მწკრივის ნიშანი (ა. შანიძე, 1973, გვ. 429); აორისტის თემის მაწარმოებელი (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 240); თხრობითი კილოს მაწარმოებელი (ნ. კოტინოვი, 1986, გვ. 13).

-ი — წყვეტილის მწკრივის ნიშანი (ა. შანიძე, 1973, გვ. 427); უფუნქციო, ნართაული ელემენტი (არნ. ჩიქობავა, 1926); თხრობითი კილოს მაწარმოებელი (ნ. კოტინოვი, 1986, გვ. 13)...

როგორც ვხედავთ, წარსული დროის ნიშნად მიჩნეული აფიქსების მორფოლოგიური კვალიფიკაციის საკითხში არაა აზრთა ერთგვაროვნება. არსებობს ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისებიც, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად არსებითი ისაა, რომ ისინი არ არიან დროის გამომხატველი აფიქსები; აზრთა ასეთი სხვადასხვაობაც სწორედ ამის მიმანიშნებელია.

ა. შანიძესთან, რომლის გრამატიკულ ნააზრევშიც დრო ზმნის ერთ-ერთ ძირითად კატეგორიადაა მიჩნეული, დროის მორფოლოგიურ გამოხატვაზე არაა საუბარი. როგორც ვნახეთ, სხვა ავტორებთან დროის გრამატიკული კატეგორიის ნიშნად მიჩნეული აფიქსები აქ სხვაგვარადაა კვალიფიცირებული. ხაზგასმით აღნიშნავენ იმას, რომ „დრო ზმნის ისეთი კატეგორიაა, რომელსაც ნიშანი არ გააჩნია(!)“ (ლ. კვაჭაძე, 1981, გვ. 233).

თუ იმ თვალსაზრისს დავემყარებით, რომ „მორფოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცეს აფიქსის გარეშეც“ (ფ. ერთელიშვილი, 1965, გვ. 178), დროის მორფოლოგიური მნიშვნელობა ზმნის სათანადო სტრუქტურულ მოდელს დაუფლებული მნიშვნელობაა (იქვე, გვ. 179), შეიძლებოდა დროის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევა. მაგრამ რომელიმე წარსული დროის გამომხატველ ფორმათათვის —

ვ-წერ-დ-ი
და-ვ-წერ-დ-ი
და-ვ-წერ-ე
და-მ-ი-წერ-ია

და-მ-ე-წერ-ა
და-მ-ე-წერ-ო-ს —

გაჭირდება იმ საერთო სტრუქტურული მოდელის გამოყოფა, რომელსაც მივიჩნევდით წარსული დროის გამომხატველად. ასევე ითქმის სხვა დროის აღმნიშვნელ ფორმათა შესახებაც.

ამგვარად, იმ თვალსაზრისზე დამყარება, რომ „მორფოლოგიური კატეგორია სათანადო აფიქსებით უნდა იქნეს წარმოდგენილი“, „ამა თუ იმ ფაქტის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევას მორფოლოგიური ნიშნის ქონა-უქონლობა წყვეტს“ — დროს მორფოლოგიურ კატეგორიად ვერ გაგვააზრებინებს.

დროის გამოხატვა მორფოლოგიურად არ ხდება.

თუ დავუშვებთ, რომ დრო მორფოლოგიური კატეგორიაა, ესა თუ ის ზმნური ფორმა ამა თუ იმ დროის გამომხატველია, მაშინ, თავისთავად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერთი რომელიმე მწკრივის ფორმა ნებისმიერ კონტექსტში მხოლოდ ერთ დროულ მნიშვნელობას უნდა გადმოგვცემდეს. ა. შანიძე ასეც მსჯელობს: „ელემენტები დაერქვა მწკრივის ფარგლებში უცვალებელ ელემენტებს...“ ასე ნამდვილად არ არის...

*

* *

არის თუ არა დრო უცვალებელი ერთი მწკრივის ფარგლებში? სხვაგვარად: ერთი მწკრივის ფორმას აქვს თუ არა მხოლოდ ერთი დროის გაგება?

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ ამა თუ იმ მწკრივის ფორმამ, გარდა ძირთადი დროული მნიშვნელობისა, გარკვეულ კონტექსტში სხვა დროის მნიშვნელობა შეიძლება გადმოსცეს; მაგალითად, აღნიშნავენ, რომ „ერთმა და იმავე ფორმამ შეიძლება ეხლანდელის გაგებაც მოგვცეს და მომავლისაც“. ასეთი „პოლისემიური ფორმებია: ჭამს, ბრძანებს, ასწავლის, სცემს, განაგრძობს, უყურებს, იძინებს, შეადგენს, არჩენს, ათამაშებს და სხვ...“ „ერთი და იგივე ფორმა შეიძლება ერთ შემთხვევაში დროიანი იყოს, სხვა შემთხვევაში კი — უდროო“ (ა.შანიძე, 1973, გვ. 204). დროის მიხედვით ცვალებადობას ა. შანიძე ჩვეულებრივ მიანიშნებს მწკრივთა დახასიათებისას: „აწმყო... დრო უმეტესად ახლანდელია (ვსწავლობ, ვცხოვრობ, ვწერ, ვაშენებ), მაგრამ შეიძლება მომავლის გაგებაც ჰქონდეს (ვწერ, ვაშენებ,

ვასწავლი)“ (იქვე, გვ. 218); „აწმყოს კავშირებთი... დრო ეხლანდელია ან მომავალი“ (იქვე, გვ. 219); „მყოფადი... დრო უმეტსად მომავალია“ (იქვე, გვ. 219)... „კავშირებით კილოიან მწკრივში სამივე დრო შეიძლება იქნეს გადმოცემული: ეხლანდელი, წარსული და მომავალია“ (იქვე, გვ. 205), თუმცა ამგვარ მსჯელობას ძირითადი დებულება — „დრო უცვალებელი ელემენტია ერთი მწკრივის ფარგლებში“ — არ შეუცვლია.

მწკრივთა დროული მნიშვნელობის საკითხებს რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა ლ. გეგუჩაძემ. საკითხის დაწვრილებითმა შესწავლამ ძალზე საინტერესო სურათი წარმოაჩინა. ავტორის აზრით: „დროის გამოხატვის უნარის თვალსაზრისით მწკრივები შეიძლება პირობითად რამდენიმე ჯგუფად დავყოთ:

ა) მწკრივები, რომელთაც აქვთ მხოლოდ ერთი დროის მნიშვნელობა;

ბ) მწკრივები, რომელთაც უნარი აქვთ გადმოსცენ რამდენიმე დრო (ორი ან სამი);

გ) მწკრივები, რომელთა დროული მნიშვნელობის დადგენა ჭირს (ან შეუძლებელია);

ამ მრავალფეროვნებას განაპირობებს ის, რომ ერთი და იგივე მწკრივი სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა მწკრივთან ურთიერთობისას ხშირად განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს“ (ლ. გეგუჩაძე, 1984, გვ. 7).

ცალკეულ მწკრივთა დროული მნიშვნელობის ზოგადი სურათი ასეთია: **„აწმყოს მწკრივს** შეიძლება ჰქონდეს ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი, მ ო მ ა ვ ა ლ ი ან ე. წ. „ზ ო გ ა დ ი ა წ მ ყ ო ს“ მნიშვნელობა.

ნამყო უწყვეტელი მხოლოდ წ ა რ ს უ ლ ი დროის გამომხატველია.

აწმყოს კავშირებითი ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ან მ ო მ ა ვ ა ლ დროს ვარაუდობს.

მყოფადის მწკრივი გადმოგვცემს მ ო მ ა ვ ა ლ ან ა ხ ლ ა ნ დ ე ლ დროს. შეიძლება ჰქონდეს ზოგადი აწმყოს გაგებაც.

მყოფადის ხოლმეობითი წ ა რ ს უ ლ ი დროის გადმომცემი მწკრივია, მაგრამ შეუძლია შეითავსოს მ ო მ ა ვ ა ლ ი დროის მნიშვნელობაც.

მყოფადის კავშირებითი მხოლოდ მ ო მ ა ვ ა ლ ი დროის გაგებით გვხვდება.

წყვეტილის მწკრივს უნარი აქვს გამოხატოს როგორც წ ა რ ს უ ლ ი, ისე მ ო მ ა ვ ა ლ ი დრო.

II კავშირებითი მომავალთან ერთად ითავსებს ახლანდელი დროის მნიშვნელობასაც.

I თურმეობითი შეიძლება შეგვხვდეს ახლანდელი, წარსული ან მომავალი დროის ფუნქციით.

II თურმეობითი ძირითადად ნამყო დროს გადმოსცემს, მაგრამ მისი კავშირებითი კილოს ფუნქციით ხმარებისას შეფარდებით მომავალს გამოხატავს.

III კავშირებითი უპირატესად წარსულ დროს ითვალისწინებს, მას შეიძლება ჰქონდეს მომავალი დროის გაგებაც“ (ლ. გეგუჩაძე, 1978, გვ. 119).

ცხადია, ეს ანალიზი ამომწურავი არ არის; ზოგი რამ შეიძლება კიდევ დაზუსტებულიყო. მაგ.: წყვეტილის ფორმამ შეიძლება გარკვეულ შემთხვევაში აწმყო დროის გაგებაც გადმოსცეს. მიუთითებენ, რომ „ბრძანებითობა თავისი ბუნებით ისეთი აქტია, რომელიც შეიძლება აწმყოში ან მომავალში ხორციელდებოდეს“ (ფ. ერთელიშვილი, 1956, გვ. 307). აქედან გამომდინარე, წყვეტილის ფორმისათვის აწმყო დროის გაგებაც არ ჩანს უჩვეულო. სპეციალურ ლიტერატურაში ისიც არის შენიშნული, რომ უზმნისწინო ფორმებს ნამყო ძირითადისას ბრძანებითი კილოს შემთხვევაში აწმყო დროის გაგება აქვს (ფ. ერთელიშვილი, 1956). ეს ასეა და ამის დასტურად შეიძლება მაგალითები მოვიყვანოთ:

„**აქრე,** სინათლე **აქრე,** მე მაინც ავანთებ მას“ (ჭ. ლომთ.);

„**ისმინე,** სწავლის მძებნელო“ (დ. გურამ.)...

აწმყოს გაგებას შეიცავს აგრეთვე წყვეტილის პირველი პირის ფორმა ზოგი ზმნისა მსგავს შემთხვევაში:

„ელიზბარი: მე **წავედი** (წამოდგება), მირიანი: მოიცა“ (ა. ჩხ.);

„უცებ ქალბატონი დორა შეჩერდა და თქვა: „მე **წავედი**“ (თ. ჭილ.);

„აბა **გავიქეცი**, თორემ დამაგვიანდა“ (ო. მამფ.).

მიაჩნიათ, რომ „მე წავედი“, „გავიქეცი“ მართლაც აწმყოს გაგებას შეიცავს მოცემულ კონტექსტში, ოღონდ ისინი კალკებს წარმოადგენენ და ამავე დროს მათი გამოყენების არე ძალიან შეზღუდულია“ (გ. კვარაცხელია). ჩვენ ვსაუბრობთ ენობრივ ფაქტებზე, რომლებიც დასტურდება თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ენაში. მათ

წარმომავლობას ამჯერად ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს; ამგვარი წარმოშობის არაერთი ფორმა დღეს ბუნებრივ ქართულად აღიქმება. მთავარი ისაა, რომ ამგვარი ფორმების გამოყენება არ ტოვებს არაბუნებრიობის შთაბეჭდილებას.

შემთხვევითი არც ის ჩანს, რომ ანტონ პირველი ფორმებს — შეჰკარ, შეჰკართ... — „ბრძანებითისა სქესისა აწმყოს“ უწოდებს (ანტონი, გვ. 25...). და საერთოდ, ფორმათა სემანტიკური ანალიზისას ანტონის აზრი არაერთ კითხვის ნიშანს მოგვიხსნის...

ამგვარად, წყვეტილის ფორმისათვის აწმყო დროის გამოხატვაც არ არის უცხო.

ასევე: გარდა მყოფადი და აწმყო დროებისა, II კავშირებითის მწკრივს წარსული დროის მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს. ამ ტიპის — „თითქოს ეშინოდა, არავის არაფერი ვატკინოო“ — წინადადებათა ანალიზის შედეგად ა. პაპიძე ასეთ დასკვნას აკეთებს: „**თითქოს-ო** ნაწილაკიან კონსტრუქციაში მოქცეული II კავშირებითის ნაკვთი უკვე წარსული დროის კავშირებითის გამომხატველია, ოღონდ ისეთი წარსულის, რომელიც შემდგომია მთავარი წინადადების ზმნით აღნიშნულ დროსთან შედარებით“ (ა. პაპიძე, 1981(2), გვ. 153).

ეს საინტერესო მსჯელობაა, გაზიარებულია და, შესაბამისად, დასკვნაც მარტივია: II კავშირებითსაც, მსგავსად წყვეტილისა და I თურმეობითისა, სამივე დროის გამოხატვის უნარი შესწევს. თითო დროს გამოხატავს მხოლოდ უწყვეტელი და მყოფადის კავშირებითი; სხვა მწკრივები ორ-ორი დროის გამომხატველია.

მწკრივი	დრო
აწმყო	ახლანდელი, მომავალი, ზოგადი აწმყო.
უწყვეტელი	წარსული
აწმყოს კავშირებითი	ახლანდელი, მომავალი
მყოფადი	მომავალი, ახლანდელი
ხოლმეობითი	მომავალი, წარსული
მყოფადის კავშირებითი	მომავალი

წყვეტილი	წარსული
	მომავალი
	ახლანდელი
II კავშირებითი	მომავალი
	ახლანდელი
	წარსული
I თურმეობითი	ახლანდელი
	წარსული
	მომავალი
II თურმეობითი	წარსული
	მომავალი
III კავშირებითი	წარსული
	მომავალი

თერთმეტი მწკრივიდან მხოლოდ ერთ დროს გამოხატავს ორი მწკრივი; ორ დროს გამოხატავს ხუთი მწკრივი; სამ დროს — სამი მწკრივი; აწმყოს მწკრივს სამი დროული გაგება შეიძლება ჰქონდეს (ერთი — ზოგადი აწმყო, ანუ დაცლილია კონკრეტული დროული მნიშვნელობისაგან).

ფაქტი ძალიან შთამბეჭდავად გვეჩვენება. კითხვაზე — არის თუ არა დრო მორფოლოგიური კატეგორია? — უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს:

1. არ ხდება დროის გამოხატვა მორფოლოგიური საშუალებით;

2. ერთი და იგივე ფორმა ამა თუ იმ მწკრივისა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა დროის გაგებას იძენს. ანუ მწკრივის ფორმას დროულ მნიშვნელობას კონტექსტი ანიჭებს. კონტექსტის ბუნება და ხასიათი, კონსტრუქციაში შემავალი წევრები შეაპირობებენ ამ ფორმის დროულ გაგებას.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ორივე ამ მომენტზე გვხვდება მინიშნება, ძირითადი დებულება — დრო მორფოლოგიური კატეგორიაა; დრო უცვალებელი ელემენტია ფორმისა — ძალაში რჩება.

როგორც ჩანს, დაშვება იმისა, რომ დრო ცვალებადი ელემენტია მწკრივის ფორმისა, ნიშნავს დროის მორფოლოგიური კატეგორიის უარყოფას: თუ ფორმა თავისთავად შეიცავს ამა თუ იმ დროის მნიშვნელობას, მისი ცვლა არ უნდა ხდებოდეს კონტექსტის ცვლის შესაბა-

მისად. კონსტრუქციის სხვა წევრთა მნიშვნელობა და თავად კონსტრუქციის ტიპი დროული მნიშვნელობის ცვლას არ უნდა იწვევდეს. შედარებისათვის: მორფოლოგიური კატეგორიებია პირი, რიცხვი, ქცევა, კონტაქტი. ფორმა **ვ-ა-კეთებ-ინ-ებ-თ** ამ კატეგორიათა მიხედვით ასე დახასიათდება: I სუბიექტური პირი, მრავლობითი რიცხვი, ნეიტრალური ქცევა, შუალობითი კონტაქტი. ნებისმიერ კონტექსტში წარმოადგენილი ამ ფორმის მორფოლოგიური დახასიათება ამ კატეგორიათა მიხედვით უცვლელი იქნება. ანდა: **მ-ი-კეთ-ებ-ს** — III სუბიექტური პირი, I ობიექტური პირი, საობიექტო ქცევა, უშუალო კონტაქტი — ამ მორფოლოგიურ მახასიათებელთა ცვლა კონტექსტზე არაა დამოკიდებული. მიზეზი მარტივია: აღნიშნული კატეგორიები მორფოლოგიური (გრამატიკული) კატეგორიებია. დროის კატეგორია ვერ დადგება ამათ გვერდით.

როცა მიანიშნებენ ერთი და იმავე ფორმის მიერ სხვადასხვა დროული მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობაზე, საუბრობენ ძირითად დროულ ფუნქციაზე. რომელია ძირითადი დროული მნიშვნელობა **გააკეთე** ფორმისათვის — წარსული თუ მომავალი? წარსულში ერთგზისი, დასრულებული მოქმედების გამოხატვა თუ მომავალში შესასრულებელ მოქმედებაზე ყურადღების მიქცევა? **ვფიქრობთ, ორივე.** II პირის წართქმითი ბრძანებითის გამოხატვა მხოლოდ ამ ფორმით ხდება. რით შეიძლება აიხსნას ან დასაბუთდეს, რომ ფრაზაში — „გიბრძანებ, გააკეთე!“ — უკანასკნელი ფორმის დროული მნიშვნელობა წარსულია, მაგრამ ამ შემთხვევაში მომავალს გამოხატავს? ამგვარი მსჯელობა, ვფიქრობთ, ალოგიკურიც იქნება. პასუხს მოითხოვს კითხვაც: თუ **გააკეთე** ფორმის ძირითადი დროული მნიშვნელობა წარსულია, **რა ანიჭებს მას ამ გაგებას სათანადო კონტექსტში,** ანდა **რა იწვევს სხვა შემთხვევაში მომავალი დროის მნიშვნელობის მინიჭებას.** სხვაგვარად: წარსული დროის მნიშვნელობის გამოცვლას? და, საერთოდ, კონტექსტის გარეშე, იზოლირებულად, შეიძლება თუ არა ზმნური ფორმა დახასიათდეს დროული მნიშვნელობის მიხედვით?

როცა ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება სხვადასხვა დროული მნიშვნელობით მოგვევლინოს, თავისთავად ცხადია, კონტექსტის გარეშე დროულ მნიშვნელობაზე საუბარი გაუმართლებელი ხდება.

შედარებისათვის: ფორმა **კაც** კონტექსტის გარეშე არ შეიძლება დახასიათდეს როგორც სუბიექტი, ან ირიბი ობიექტი, ან პირდაპირი ობიექტი; სხვადასხვა შემთხვევაში ყველა მათგანის გამოხატვა შეიძლება იკისროს:

კაცს უთქვამს — სუბიექტია,
კაცს უთხრა — ირიბი ობიექტია,
კაცს კლავს — პირდაპირი ობიექტია.

როცა ვმსჯელობთ კონტექსტზე, ფორმის გარეთ არსებულ დროული მნიშვნელობის შემაპირობებელ მოვლენებზე, ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებთ ინტონაციას; მაგალითისათვის:

— მოიტანე. — პასუხი კითხვაზე: გამოიცან, მოვიტანე თუ არ მომიტანია?
— მოიტანე! — პასუხი კითხვაზე: მოვიტანო?

ორივე შემთხვევაში წყვეტილის ფორმა წინადადების ტოლფასია. სხვაობას ინტონაცია ქმნის. ეს სხვაობა დროული სხვაობის საფუძველია. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ინტონაციას სხვადასხვა კილოს გაგება შემოაქვს. სხვადასხვა კილოს გაგების შემოტანა სხვადასხვა დროული მნიშვნელობის საფუძველია. ამ შემთხვევაში ინტონაცია კონტექსტის ტოლფასია.

ეს უკანასკნელი მაგალითი იმის დასტურიცაა, რომ ცალკე აღებულ ზმნურ ფორმაზე მსჯელობა დროული მნიშვნელობის გასარკვევად შეუძლებლად მიგვაჩნია: ფორმის წარმოთქმას ყოველთვის ახლავს გარკვეული ინტონაცია; წყვეტილს, ჩვეულებრივ, თხრობითი. ეს კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ფორმის დროული მნიშვნელობა წარსულია.

შენიშვნა: ეს დასკვნა მოულოდნელი აღმოჩნდა ზოგი სპეციალისტისათვის, ამიტომ განცხადების დონეზე ხდება მისი უარყოფა: „ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოს კონტექსტის გარეშე არ შეიძლებოდეს მსჯელობა ამა თუ იმ მწკრივის დროულ მნიშვნელობაზე“ (ზ. ჭუმბურიძე, 2001, გვ. 197), თუმცა რატომ ვერ გაიზიარებს, ანდა რა კონტრარგუმენტები აქვს ავტორს ამ დებულების საწინააღმდეგოდ, არ ჩანს...

ასევე შეიძლებოდა მსჯელობა სხვა მწკრივის შესახებაც. კონტექტის გათვალისწინება ყოველთვის იქნება საჭირო დროის მიხედვით პოლისემანტიკური ფორმების დროულ მნიშვნელობებზე მსჯელობისას.

ამა თუ იმ ფორმის „ძირითად“ და „არაძირითად“ დროულ მნიშვნელობაზე მსჯელობა იმის მიხედვით, როგორია სიხშირე ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოვლენისა, ასევე არ ჩანს გამართლებული. ფაქტია: აწმყოს მწკრივის ფორმის ახლანდელი დროის მნიშვნელობით გამოყენე-

ბის შემთხვევები გაცილებით ჭარბობს იმავე ფორმის მომავალი დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს; ისევე როგორც წყვეტილის ფორმის შემთხვევში მომავალი დროის მნიშვნელობას — წარსული დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები. ნიშნავს ეს იმას, რომ აწმყოს მწკრივის ფორმის ძირითადი დროული მნიშვნელობა ახლანდელია, ხოლო წყვეტილისა — წარსული? ვფიქრობთ, არა. რადგან: აქ იმ ფაქტორის გათვალისწინებაა აუცილებელი, რომ **ენაში სიხშირე იმგვარ კონსტრუქციათა, რომლებშიც საანალიზო მწკრივის ფორმა ე. წ. „ძირთიადი დროული მნიშვნელობით“ გვხვდება, გაცილებით ჭარბობს ე. წ. „არაძირითად დროული მნიშვნელობის“ მიმნიჭებელ კონსტრუქციათა სიხშირეს.**

სწორედ ამ მსჯელობამ ათქმევინა ზ. ჭუმბურიძეს: „დიახ, სწორედ ეს ფაქტორი (სიხშირე — გ. გ.) განსაზღვრავს მწკრივის ძირითად დროულ მნიშვნელობას. მაგრამ ამჯერად თავი დავანებოთ იმას, თუ რა როლს ასრულებს სიხშირე ამა თუ იმ ფორმის „ძირითადი“ და „არაძირითადი“ დროული მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბებაში. ხომ ფაქტია, რომ წყვეტილის ძირითადი დროული მნიშვნელობა არის წარსული დროის გამოხატვა, სხვა დროების გამოხატვის ფუნქცია კი მას ეკისრება მხოლოდ საგანგებო კონტექსტში, განსაკუთრებულ შემთხვევაში!“ (ზ. ჭუმბურიძე, 2001, გვ. 197). არცერთ ჩვენს შეკითხვაზე პასუხი არ არის გაცემული და საპირისპირო დასკვნას წარმოადგენს ავტორი. „ხომ „ფაქტიაო“ — რატომ არის ფაქტი? რას ნიშნავს „საგანგებო კონტექსტი“, რომელიც ანიჭებს ფორმას ამ დროულ მნიშვნელობას? ე. ი. კონტექსტი განსაზღვრავს, ხომ?..

მსჯელობა გაგვიგრძელდა.

დასკვნა ასეთია: დრო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, რადგან: ა) არ ხდება მისი გამოხატვა მორფოლოგიურად; ბ) დროული მნიშვნელობა ცვალებადია ერთი მწკრივის ფარგლებში. კონტექსტი გარეშე ფორმის დროული მნიშვნელობა ვერ გაირკვევა; დროის გაგებას ფორმას კონტექსტი ანიჭებს.

შევნიშნავთ იმას, რომ ლ. გეგუჩაძის ზემოწარმოდგენილი მსჯელობა არის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ამგვარი დასკვნისა, თუმცა ავტორი ამგვარი შეფასებისაგან თავს იკავებს...

ის ფაქტები, რომ უწყვეტლისა და მყოფადის კავშირებითის ფორმებს მხოლოდ ერთი დროული მნიშვნელობა აქვთ, დასკვნას ვერ შეცვლის; აღნიშნულ მწკრივთა ფორმები არ არის შესაბამის დრულ

მნიშვნელობათა მორფოლოგიური გამოხატვა. ჩვენ ეს პრობლემა ასე გვესმის: ამ მწკრივთა ფორმების დროული მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობა ერთის ტოლია. არის მწკრივები, რომელთათვის ეს შესაძლებლობა ორის ტოლია და ისეთებიც, რომელთა შესაძლებლობა სამის ტოლია. უფრო მეტიც, ისეთი ფორმებიც გვაქვს, რომლებიც გარკვეულ კონტექსტში დაცლილია დროული მნიშვნელობისაგან (ე. წ. ზოგადი აწმყო). ე. ი. ერთსა და იმავე ზმნურ ფორმას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე დროული მნიშვნელობის გადმოცემის შესაძლებლობა. მათგან კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ერთ-ერთია რეალიზებული.

შედარებისათვის: მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ სუბიექტის ბრუნვაა. სხვა ფუნქციით იგი წინადადებაში არ შეიძლება შეგვხვდეს. სახელობითი — სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტისა; მიცემითი — სუბიექტის, პირდაპირი ობიექტისა და ირიბი ობიექტისა.

4.4. კილო, როგორც ზმნის კატეგორია

მწკრივთა დახასიათებისას დროის ტოლფას კატეგორიად მიიჩნევა კილოც. როგორც ითქვა, ეს იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ მწკრივის აღმნიშვნელ ტერმინად „დრო-კილოც“ იხმარება და, შესაბამისად, უღვლილების სისტემას „დრო-კილოთა“ სისტემას ვუწოდებთ.

გავიხსენოთ მსჯელობა: „ელემენტები დაერქვა მწკრივის ფარგლებში **უცვალებელ კატეგორიებს,** რომლებიც მის ხერხემალს წარმოადგენენ. ქართულში მწკრივის ელემენტებია: დრო, კილო...“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 116). კითხვას ამ შემთხვევაშიც ამგვარად ვსვამთ:

არის თუ არა კილო მორფოლოგიური კატეგორია და, შესაბამისად, უცვალებელი ერთი მწკრივის ფარგლებში?

კილო უფრო რთულ კატეგორიად გვესახება, ვიდრე დრო. კილოს კატეგორიასთან დაკავშირებულ საკითხთა სირთულეს ისიც შეაპირობებს, რომ ჯერჯერობით საკამათოა, ყოველ შემთხვევაში, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ამ კატეგორიაში შემავალ ერთეულთა რაოდენობა.

არნ. ჩიქობავას აზრით, კილო ქართულში ოთხია: თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი და პირობითი (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 48).

უფრო ადრინდელ შრომაში ავტორი ხუთ კილოს გამოყოფს: თხრობითი, ბრძანებითი, პირობითი, ნატვრითი, კავშირებითი (შენიშვნით: „კავშირებითის ქცევა კილოდ მეორეული მოვლენაა“) (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 276).

ა. შანიძის აზრით: „გვაქვს სამი კილო: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 204). საინტერესოა ის ფაქტი, რომ „საფუძვლებში“ შემდგომ მსჯელობაში განიხილება **თხოვნითი კილო** (მთის დიალექტებისათვის დამახასიათებლადაა მიჩნეული) (იქვე, გვ. 207) და **აკრძალვითი**: „აკრძალვითს, ანუ უკუთქმით ბრძანებითს, საკუთარი მწკრივი არ გააჩნდა და არც ამჟამად გააჩნია. საყურადღებოა, რომ ის წარმთქმითი ბრძანებითის მწკრივს კი არ სარგებლობს, არამედ სხვა კილოთაგან სესხულობს ფორმებს“ (იქვე, გვ. 207).

ავტორი კილოს კატეგორიის განხილვისას თანმიმდევრულად, ცალ-ცალკე პარაგრაფებად წარმოადგენს „თხრობით კილოს“ (§ 248), „კავშირებით კილოს“ (§ 249), „ბრძანებით კილოს“ (§ 250), „თხოვნით კილოს“ (§ 255). ამას მოსდევს პარაგრაფი „აკრძალვითი“ (§ 255). პარაგრაფში აკრძალვითს კილოდ არ მოიხსენიებს, მაგრამ მსჯელობის თანმიმდევრობა მას დასახელებულ კილოთა რიგში აყენებს. ცალკე პარაგრაფად გამოყოფაც ამას უნდა ნიშნავდეს.

კიდევ ორი კილოა გამოყოფილი „საფუძვლებში“: **პირობითი** და **შედეგობითი:** „პირობითია ზმნის ფორმა, რომელიც რომელსამე მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც აუცილებელ პირობას მეორე მოქმედების შესასრულებლად. ის გვხვდება დამოკიდებულ წინადადებაში. შედეგობითია ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება მოხდებოდა, თუ სათანადო პირობა იქნებოდა შესრულებული“ (იქვე, გვ. 209).

ამდენად, კილოს კატეგორიის განმარტებისას (§ 247. კილოს რაობა) სამი კილო იქნა გამოყოფილი: თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი. შემდგომ მსჯელობაში დაემატა: თხოვნითი, აკრძალვითი, პირობითი და შედეგობითი.

ამათგან პირველი სამი იმით განსხვავდება დანარჩენებისაგან, ავტორის აზრით, რომ „მწკრივების შექმნაში იღებენ მონაწილეობას“.

როგორც ვხედავთ, გამოიყო შვიდი კილო. მათი დაჯგუფება და დახასიათება ასეთია:

თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი — მონაწილეობენ მწკრივების შექმნაში;

თხოვნითი — მთის კილოებისთვისაა დამახასიათებელი;

აკრძალვითი — საკუთარი მწკრივი არ გააჩნია, სხვა კილოთაგან სესხულობს ფორმებს;

პირობითი, შედეგობითი — საკუთარი მწკრივის ფორმა არ გააჩ-

ნიათ; არც მწკრივების შექმნაში იღებენ მონაწილეობას.

მხოლოდ წარმოდგენილი თვალსაზრისების გაცნობაც საკმარისია, რომ გაკეთდეს დასკვნა, რამდენად რთულია და საკამათო კილოს კატეგორია. სამრავლე და აზრთა სხვადასხვაობა კილოს კატეგორიაში შემავალ ერთეულთა შესახებ პრაქტიკული გრამატიკებიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება.

შენიშვნა: ისევე როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, კილოს კატეგორიის რაობის საკითხი პრობლემურია და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სხვა ენებშიც. მაგალითისათვის: რუსულ ენაში „რაოდენობა, კილოს შემადგენლობა და ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის სხვადასხვა გრამატიკაში სხვადასხვაგვარად განისაზღვრება“. ა. შახმატოვი შვიდ ერთეულს გამოყოფს კილოს კატეგორიაში; ა. პოტებნია — ოთხს, ვ. ვინოგრადოვი — ოთხს (კილოთა სახეობანი არ ემთხვევა ა. პოტებნიას თვალსაზრისს). „რუსული ენის აკადემიურ გრამატიკაში“ სამი კილოა გამოყოფილი (1980, გვ. 619).

სასწავლო დანიშნულებისათვის გამიზნულ გამოცემებში კილოს სამწევრიანი სისტემაა წარმოდგენილი: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი (ა. შანიძე, 1980, გვ. 107; ლ. კვაჭაძე, 1981, გვ. 236). ჩვეულებრივ, ეს თვალსაზრისია გაზიარებული.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ერთ თვალსაზრისზე, კერძოდ იმ ცდაზე, რომლის მიხედვითაც კილოს ორი სახეობა შეიძლება გამოიყოს: **რეალური კილო** და **ირეალური კილო.** „საუღლებელ ერთეულთა ძირითადი ნაწილი კილოური თვალსაზრისით ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: 1) ნაკვთები, რომლებიც გადმოსცემენ რეალური მოქმედების, რეალური კილოს შინაარსს და ბ) ნაკვთები, რომლებიც ირეალური კილოს შინაარსს გადმოსცემენ. რეალური იქნება კილო, რომელშიც გამოხატულია მოსაუბრის თვალსაზრისი, — ზმნის მოქმედება გაგებულ იქნეს როგორც ფაქტი, — შესრულებული ან შესასრულებელი. ირეალური იქნება კილო, რომელშიც გამოხატულია მოსაუბრის თვალსაზრისი, — ზმნის მოქმედება გაგებული იქნეს როგორც საეჭვო, შესაძლებელი სავარაუდო მოვლენა, ირეალობა“ (ა. პაპიძე, 1984(1), გვ. 15). კილოს ტრადიციულ ერთეულებს (კავშირებითი, ნატვრითი, პირობითი...) ამ ორი ძირითადი ერთეულის (რეალური, ირეალური) სემანტი-

კურ ჯგუფში შემავალ ერთეულებად განიხილავს (იქვე): ავტორი მსჯელობს იმის თაობაზე, რომ კილო რთული კატეგორიაა; მისი სახეების გამოყოფა-განსაზღვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ პოზიციის გათვალისწინებას, რომელშიც საანალიზო ზმნაა მოქცეული (გვ. 14); რომ „ირეალურ მოქმედებათა სხვადასხვა სახის გადმოსაცემად ენაში მთელი სისტემაა შექმნილი: გრამატიკული ფორმა, ირეალურ და რეალურ მოქმედებათა გამომხატველი ზმნების ჰიპოტაქსური მიმართება, ნაწილაკ-მორფემოიდები და მათი ურთიერთმიმართებით შედგენილი მოდელები“ (გვ. 16); რომ „თანამედროვე ქართულში ირეალობის სხვადასხვა სახის, სხვადასხვა მოდალობის გადმოსაცემად ძირითადი და განმსაზღვრელია წინადადებათა კონსტრუქცია“ (გვ. 16) — გვაძლევს უფლებას, ეჭვი შევიტანოთ ამგვარად გაგებული კილოს კატეგორიის მორფოლოგიურობაში. ამას შემდგომი მსჯელობაც უჭერს მხარს. რაც ტოვებს აშკარა შთაბეჭდილებას, რომ კილო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, თუმცა ამგვარ დასკვნას ავტორი ერიდება...

ამდენად, კილოს კატეგორიის არსებობა სადავოდ არ არის გამხდარი. ყველა შემთხვევაში იგი მორფოლოგიურ (გრამატიკულ) კატეგორიად გაიაზრება. კატეგორიის ერთეულთა რაოდენობა კი სხვადასხვა ავტორთან მნიშვნელოვნად მერყეობს. მთლიანობაში კი ასეთი სურათი გვაქვს — გამოიყო კილო

1. თხრობითი
2. კავშირებითი
3. ბრძანებითი
4. თხოვნითი
5. აკრძალვითი
6. პირობითი
7. შედეგობითი
8. ნატვრითი და
9. რეალური
10. ირეალური (ეს ორი უკანასკნელი წესით ამათ რიგში არ უნდა ჩავაყენოთ, ისინი განცალკევებით დგანან და მოიცავენ დანარჩენებს როგორც თითოეულ მათგანში შემავალ სემანტიკურ ერთეულებს).

შევნიშნეთ ისიც, რომ სასწავლო მიზნებისათვის გამიზნულ გამოცემებში სამ ძირითად ერთეულს გამოყოფენ: თხრობითს, კავშირებითსა და ბრძანებითს.

როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, დაისვა საკითხი კილოს კატეგორიის ნიშნის ძიებისა (ცხადია: მორფოლოგიურ კატეგორიას ნიშანი უნდა ჰქონდეს!). კავშირებითის მწკრივებში გამოვლენილი **-ა, -ე, -ო** სუფიქსები კავშირებითი კილოს მორფოლოგიურ ნიშნებადაა გააზრებული (ნ. კოტინოვი, 1959, გვ. 388-389; 1986, გვ. 13).

შენიშვნა: უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, თუ ავტორი ერთ შემთხვევაში აღნიშნულ სუფიქსებს კავშირებითი კილოს მაწარმოებლად მიიჩნევს — „კავშირებითს ქართულში რამდენიმე მაწარმოებელი სუფიქსი მოეპოვება, ესენია: **-ე, -ა, -ი, -ო** სუფიქსები“ (ნ. კოტინოვი, 1986, გვ. 28) — სხვა შემთხვევაში აღნიშნული სუფიქსები მწკრივის მაწარმოებელ ელემენტებად გაიაზრება: „კავშირებითი მეორე ნამყო სრულის ფორმიდან მომდინარეობს. მისი მაწარმოებელი სუფიქსებია: **-ე, -ა, -ო**“ (იქვე, გვ. 14); „ძველ ქართულში კავშირებით პირველს ორი მაწარმოებელი აქვს...“ (იქვე, გვ. 22).

საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით კი, იგივე აფიქსები მწკრივის მაწარმოებელი ფორმანტებია და არა კილოსი (ა. შანიძე, 1973, გვ. 425, 433; არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 139, 142; ვ. თოფურია, 1967, გვ. 167...).

როცა არის მსჯელობა კილოს მორფოლოგიურ გამოხატვაზე, საუბარია მხოლოდ კავშირებითზე; თხრობითისა და ბრძანებითის კილოთა მორფოლოგიური გამოხატვა არ ხდებაო. გამოდის: კილოს სამწევრიანი სისტემიდან (როგორც ითქვა, ზოგი კლასიფიკაციით კილოთა რაოდენობა მეტია...) მარკირებულია ერთი; ეს თავისთავად ეჭვქვეშ სვამს საკითხს **ა, ე, ო** სუფიქსთა ამგვარი კვალიფიკაციისას. ამ წინააღმდეგობის მოხსნის ცდაა კილოს ორწევრიანი სისტემის დაშვება, რაც ასევე სადავოდ მიგვაჩნია.

შეიძლებოდა, არ გვეძებნა კილოს კატეგორიის გამომხატველი მორფოლოგიური ელემენტი და ამ კატეგორიის გამომხატველად ამა თუ იმ მწკრივის ფორმა ჩაგვეთვალა (ფორმის სტრუქტურა, ყალიბი), რომ ერთი არსებითი ხასიათის დაბრკოლება არ იყოს:

თუ დავუშვებთ, რომ მწკრივის ფორმა არის ამა თუ იმ კილოს მორფოლოგიური გამოხატულება, მაშინ ამა თუ იმ ფორმას მხოლოდ ერთი კილოური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. აღნიშნავენ კიდეც, რომ

კილოს კატეგორია ერთი მწკრივის ფარგლებში უცვალებელი კატეგორიაა (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...).

არის კი ასე? მივმართავთ ისევ სპეციალურ ლიტერატურას:

ა. შანიძე: „...შეიძლება, რომ მწკრივი, რომელიც უმთავრესად ერთ კილოს ემსახურება, ზოგ შემთხვევაში სხვა კილოს გადმოსაცემად იყოს გამოყენებული“ (1973, გვ. 208); „დამოუკიდებლად (უკავშიროდ) ხმარებული კავშირებითი შეიძლება ბრძანებითად იქნეს გამოყენებული: წავიდეს! წავიდეთ!“ (იქვე, გვ. 205); „ბრძანებითი კილოს საკუთარი ფორმები არ გააჩნია, იყენებს ან თხრობით, ან კავშირებით კილოს ფორმებს“ (იქვე, გვ. 206-207).

ლ. კვაჭაძე: „თხრობითი კილოს ფორმამ იმავე კილოს სხვა ფორმასთან მიმართებით შეიძლება ახალი კილოს მნიშვნელობა მოიპოვოს“ (1981, გვ. 238).

ა. პაპიძე: „ირეალური კილოს გამომხატველი ზმნური ერთეულები გარკვეულ შემთხვევაში იძენენ ირეალური კილოს შინაარსს“ (ა. პაპიძე, 1981(1) გვ. 14).

ნ. კოტინოვი: „კავშირებითი სხვა კილოებსაც გადმოსცემს: იგი ძველ ქართულში ძირითადი საშუალებაა თხრობითი კილოს მყოფადის გადმოსაცემად, ერთადერთი საშუალებაა პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ბრძანებითი კილოს გამოსახატავად და ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს მეორე და მესამე პირის ბრძანებითის გადმოსაცემად. გამოდის, რომ კავშირებითი კილო ასრულებს სამივე კილოს — კავშირებითის, თხრობითისა და ბრძანებითის — ფუნქციებს“ (ნ. კოტინოვი, 1986, გვ. 36).

შენიშვნა: კავშირებითის მწკრივების ფორმათა კილოს ფორმებად გააზრებამ ამგვარ მსჯელობამდეც მიგვიყვანა: კავშირებითი კილო გადმოსცემს თხრობით (ბრძანებით, კავშირებით) კილოს. რაც იგივეა, ვამტკიცოთ, მოთხრობითი ბრუნვა გადმოსცემს მიცემით ბრუნვას.

ამგვარად, ფაქტია, რომ ერთი და იგივე ზმნური ფორმა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა კილოური მნიშვნელობის გამომხატველი შეიძლება იყოს. სხვაგვარად: კილოური მნიშვნელობის ცვლა დამახასიათებელია ამა თუ იმ ზმნური ფორმისათვის; კილო არაა უცვალებელი კატეგორია ერთი მწკრივის ფორმებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც აღნიშნავენ, რომ კილოური

მნიშვნელობის გამოვლენას კონტექსტი შეაპირობებს.

გავიხსენოთ: უკავშიროდ ხმარებული კავშირებითის მწკრივი ბრძანებითი კილოს ფუნქციას იძენს (ა. შანიძე). გამოდის: კავშირებითის ფუნქცია კონტექსტითაა შეპირობებული. იმ კონტექსტური გარემოს მოშლა კილოური მნიშვნელობის ცვლას იწვევს.

ლ. კვაჭაძე: „ამ ორი კილოს გაგება (პირობითისა და შედეგობითის) თხრობითს ფორმას კონტექსტში ეძლევა“ (1981, გვ. 238); „კავშირებითის ფორმა ცალკე ნაკლებად იხმარება. იგი ჩვეულებრივ მთავართან რ ო მ კავშირით შეერთებულ წინადადებაში გვხვდება“ (იქვე, გვ. 236).

ა. პაპიძე: „ამ კონსტრუქციათა ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თანამედროვე ქართულში ირეალობის სხვადასხვა სახის, სხვადასხვა მოდალობის გადმოსაცემად ძირითადი და განმსაზღვრელია წინადადებათა კონსტრუქცია“ (1983, გვ. 16).

გარდა ამისა, ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გვეკვლია II სერიის მწკრივთა კილოური მნიშვნელობის საკითხი. აღმოჩნდა, რომ წყვეტილის ფორმას სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა კილოს გამოხატვის შესაძლებლობა აქვს:

კილო თხრობითია: „ამ ყოფით **გავშორდი** ვლადიკავკაზს და პირი ჩემი ქვეყნისაკენ ვქენი“ (ილია).

კილო ბრძანებითია: „შენ **აასრულე,** რასაც გიბრძანებენ!“ (აკაკი).

კილო კავშირებითია: „თუ ის იმერელი **წააქციე,** რაც გინდა მთხოვე“ (მ. ჯავახ.).

მაგალითების გაზრდა უსასრულოდ შეიძლება.

ასევე: მეორე კავშირებითის მწკრივის ფორმით შეიძლება გადმოიცეს როგორც კავშირებითი კილოს მნიშვნელობა, ასევე თხრობითი და ბრძანებითი კილოს მნიშვნელობები. მაგ.:

„ეგებ **დამძიროს** მორევმა“ (ვაჟა) — კილო კავშირებითია;

„**დავდგეთ** იქ, სადაც ქარიშხალია“ (გალაკტიონი) — კილო ბრძანებითია;

„ამ შემოდგომაზე ვეღარ **დაიჭიროს** ჩირიქმა ხელთ მაჭრის ჯამი“ (გ. ლეონიძე) — კილო თხრობითია (ა. პაპიძე, 1981(2), გვ. 150).

შენიშვნა: ამ საკითხებზე მსჯელობა გვქონდა წიგნში „დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში“ (გ. გოგოლაშვილი, 1984(2), გვ. 18-28).

მაგალითების გაზრდა ყველა შემთხვევისთვისაა შესაძლებელი. წარმოდგენილი მსჯელობა და ფაქტები ცხადყოფს, რომ ამა თუ იმ მწკრივის ფორმას ქართულში აქვს შესაძლებლობა სხვადასხვა კილოური მნიშვნელობის გამოხატვისა.

ისევე როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, აქაც მსჯელობენ „ძირითად, ამოსავალ“ და „მეორეულ, შეძენილ“ კილოურ მნიშვნელობაზე. თუმცა არ ჩანს პასუხი კითხვაზე: როცა ერთსა და იმავე ფორმას რამდენიმე კილოს გამოხატვის შესაძლებლობა აქვს, რის მიხედვით უნდა მიეცეს კვალიფიკაცია ძირითადი და არაძირითადი მნიშვნელობისა? სიხშირული მონაცემი ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოვლენისა არ უნდა იყოს ენობრივი ფაქტის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი; კითხვა, რომელიც დროის კატეგორიის მიმართ დაისვა, უნდა გავიმეოროთ: რა ანიჭებს მწკრივის ფორმას ე. წ. „ძირითად კილოურ მნიშვნელობას“; ანდა, რა არის ის, რაც ერთ კონტექსტში გამოვლენილი „ძირითადი კილოური მნიშვნელობის“ გაქრობას და ახალი კილოური მნიშვნელობის მინიჭებას იწვევს?

ფაქტია: 1. არ ხდება კილოს გამოხატვა მორფოლოგიური საშუალებებით.

2. ერთი და იგივე ფორმა ამა თუ იმ მწკრივისა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა კილოს გაგებას იძენს. სხვაგვარად: კილოურ მნიშვნელობას ამა თუ იმ მწკრივის ფორმას კონტექსტი ანიჭებს. კონტექსტის სახეობა, კონსტრუქციაში შემავალ წევრთა სემანტიკა შეაპირობებენ ფორმის კილოურ მნიშვნელობას.

როგორც ითქვა, სპეციალურ ლიტერატურაში ორივე ამ მომენტზე გვხვდება მინიშნება, მაგრამ ძირითადი დებულება — კილო მორფოლოგიური კატეგორიაა; კილო უცვალებელი ელემენტია ერთი მწკრივის ფარგლებში — ძალაში რჩებოდა.

საერთოდ, არის კი შესაძლებელი ცალკე აღებული, კონტექსტისაგან იზოლირებული, ზმნური ფორმის კილოურ მნიშვნელობაზე საუბარი? ვფიქრობთ, არა: როგორც ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისებიდან ჩანს, თითქმის ყველა შემთხვევაში ხდება გათვალისწინება კონტექსტის ხასიათისა, კონსტრუქციის სახეობისა ამა თუ იმ ფორმის კილოური მნიშვნელობის დახასიათებისას.

კილოური მნიშვნელობის გამოვლენა რომ კონტექსტზეა დამოკიდებული, ამის გამოა ისიც, რომ არაა ერთგვაროვანი აზრი კილოთა რაოდენობის შესახებ. მორფოლოგიური კატეგორია, ფორმობრივად შე-

პირობებული მნიშვნელობა ამგვარ სხვადასხვაობას კატეგორიის შემადგენელ ერთეულთა რაოდენობის შესახებ არ უნდა იძლეოდეს.

ისევე, როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, ამა თუ იმ ფორმის „ძირითად“ და „მეორეულ“ კილოურ მნიშვნელობაზე მსჯელობა იმის მიხედვით, თუ როგორია სიხშირე რომელიმე კილოური მნიშვნელობის გამოვლენისა, ასევე არ ჩანს გამართლებული. ფაქტია, წყვეტილის ფორმის გამოყენების შემთხვევები თხრობითი კილოს მნიშვნელობით უფრო ხშირია, ვიდრე ბრძანებითი თუ კავშირებითი კილოს მნიშვნელობით... ეს კი შედეგია იმისა, რომ ენაში იმგვარ კონსტრუქციათა სიხშირე, რომელშიც წყვეტილის ფორმას თხრობითი კილოს მნიშვნელობა აქვს, ჭარბობს იმ ტიპის კონსტრუქციათა სიხშირეს, რომელშიც იგივე ფორმა სხვა კილოურ მნიშვნელობას იძენს. ასევე შეიძლება ითქვას სხვა მწკრივის ფორმათა შესახებაც.

დასკვნა ასეთია: კილო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, რადგან: ა) არ ხდება მისი გამოხატვა მორფოლოგიურად; ბ) კილოური მნიშვნელობა ცვალებადია ერთი მწკრივის ფარგლებში. კონტექსტის გარეშე ფორმის კილოური მნიშვნელობა ვერ გაირკვევა; კილოურ მნიშვნელობას ფორმას კონტექსტი ანიჭებს.

ჩვენი ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ ითქვა: „ამა თუ იმ მწკრივის დახასიათება კონტექსტის გარეშე იმ დროისა და კილოს მიხედვით, რომლის აღმნიშვნელადაც ის უმეტესწილად გვევლინება, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია და საჭიროც არის“ (ზ. ჭუმბურიძე, 2001, გვ. 197). მიუხედავად ამგვარი კატეგორიული განცხადებისა, ვერც შესაძლებლობა დაგვანახა ოპონენტმა ამისა და ვერც საჭიროება...

შენიშვნა: ერთ ფაქტს გვინდა მივაქციოთ ყურადღება. გ. ახვლედიანის რედაქციით გამოსულ „ენათმეცნიერების შესავლის საკითხებში“ ვკითხულობთ: „სახელის კატეგორიებია ბრუნვა, რიცხვი, სქესი, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა, ხოლო ზმნისა — პირი, რიცხვი, კილო, ქცევა, გვარი, დრო და სხვა. განვიხილოთ თითოეული ეს კატეგორიები ცალ-ცალკე“ (გ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე, 1972, გვ. 202). საუბარია მორფოლოგიურ კატეგორიებზე, იქვე ასეთი თვალსაზრისიცაა წარმოდგენილი: „გრამატიკული კატეგორიის შესახებ ვლაპარა-

კობთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო გრამემები გვაქვს. რუსული ქცევას გამოხატავს არა გრამატიკული საშუალებებით, არამედ ლექსიკური საშუალებებით, და ამიტომ რუსულში ქცევის კატეგორია არ გამოიყოფა“ (გვ. 211). ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხილული სახელისა და ზმნის კატეგორიები, გარდა დროისა და კილოსი. ალბათ იმიტომ, რომ არ ხდება ამ კატეგორიათა გამოხატვა მორფოლოგიურად და ამიტომ სხვა გრამატიკულ კატეგორიათა გვერდით მათი დაყენება არ მოხერხდება.

საკითხი ამგვარადვე დაისმის გზისობის შესახებაც (ახალი ქართულისათვის).

4.5. გზისობა, როგორც ზმნის კატეგორია

როგორც ითქვა, ა. შანიძის მოძღვრების თანახმად, **გზისობა,** მსგავსად სხვა კატეგორიებისა (დრო, კილო, აქტი, თანამდევრობა), მწკრივის ელემენტია. გზისობა, ისევე როგორც დასახელებული კატეგორიები, უცვალებელად მოიაზრება: „ელემენტები დაერქვა მწკრივის ფარგლებში უცვალებელ კატეგორიებს... მწკრივის ელემენტებია დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 216).

რა არის გზისობა და არის თუ არა იგი მორფოლოგიური კატეგორია ახალ ქართულში; შესაბამისად — უცვალებელი კატეგორია?

„გზისობა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენგზის არის მოქმედება ჩადენილი, ერთგზის თუ მრავალგზის, ანუ ერთხელ თუ მრავალჯერ“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 209).

აქვე განმარტავს ავტორი, რომ გზისობას ორი ფორმა აქვს: ერთგზისი და მრავალგზისი: „**ერთგზისია** ფორმა, რომელიც ერთხელ მომხდარ მოქმედებას აღნიშნავს და **მრავალგზისია** ფორმა, რომელიც რამდენჯერმე განმეორებულ მოქმედებას გამოხატავს. მაგალითები: დაჯდა და დაჯდის, მოიტანა და მოიტანის, მოკლა და მოკლის და მისთ.“ (იქვე, გვ. 210).

გზისობასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების განხილვისას, როგორც დავინახეთ, ა. შანიძე მრავალგზისობის მაგალითად ძველი ქართულის (თუ თანამედროვე ქართულის მთის დიალექტების) მაგალითებს მოიხმობს: დაჯდ-ი-ს, მოიტან-ი-ს, მოკლ-ი-ს...

ფაქტობრივად, ამით ითქვა, რომ მრავალგზისობის მორფოლოგიური გამოხატვა ახალ ქართულში არ ხდება. აღნიშნავს კიდეც: მრავალგზისობის გამოსახატავად „ძველად საგანგებო მწკრივი იყო, რომელიც დღევანდელ მთის კილოებსა და ქიზიყურშია დაცული... ცოცხალ კილოთა უმეტესობამ და სალიტერატურო ქართულმა ეს მწკრივი დაკარგა, სამაგიეროდ **მათი გამოხატვა უწყვეტელსა** და მისგან ნაწარმოებ **ხოლმეობითის** მწკრივს დააკისრა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 210).

გზისობა, როგორც მწკრივის ელემენტი, უცვალებელია მწკრივის ფარგლებშიო, ზემოთ ითქვა. მრავალგზისობის გამომხატველ მწკრივთათვის (უწყვეტელი, ხოლმეობითი) მრავალგზისობა არ არის უცვალებელი ელემენტი. ამიტომაცაა, უწყვეტლის დახასიათებისას მწკრივის ელემენტთა მიხედვით გზისობაზე არ მიანიშნებს: „უწყვეტელი ჩვეულებრივ შედგება 2 ელემენტისაგან: დრო წარსულია, კილო — თხრობითი. ზოგჯერ ის თანამდევრობასაც შეიცავს, — სახელდობრ, ერთდროულობას წარსულში“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 218). ფაქტია, გზისობის მიხედვით შეიძლება ერთგზისიც იყოს და მრავალგზისიც:

ერთგზისია: ის რომ მოვიდა, დავალებას ვ წ ე რ დ ი
მრავალგზისია: სადილის შემდეგ დავალებას ვ წ ე რ დ ი, გაკვეთილებს ვ ს წ ა ვ ლ ო ბ დ ი და მერე ვ თ ა მ ა შ ო ბ დ ი ...

ხოლმეობითის მწკრივი „შედგება სამი ელემენტისაგან, დრო წარსული, კილო — თხრობითი, გზისობა — მრავალგზისი. სახელი უკანასკნელი კატეგორიისაგან არის მიღებული“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 219).

მრავალგზისობის გამომხატველ მაგალითებადაა მოყვანილი: „დილით გ ა ვ ი ღ ვ ი ძ ე ბ დ ი თუ არა, ა ვ დ გ ე ბ ო დ ი, პირს დ ა ვ ი ბ ა ნ დ ი, საჩქაროდ ჩ ა ვ ი ც ვ ა მ დ ი, ჯერ ჩაის დ ა ვ ლ ე ვ დ ი, შემდეგ მაგიდას მ ი ვ უ ჯ დ ე ბ ო დ ი და წერას გ ა ნ ვ ა გ რ ძ ო ბ დ ი“. — ყველა მაგალითი მრავალგზისობის გამომხატველია. თუმცა ა. შანიძე იქვე შენიშნავს, რომ „შეიძლება თხრობითი კილოს ნაცვლად ამავე მწკრივმა შედეგობითი გადმოგვცეს: „ეგ რომ მცოდნოდა, ადრე გ ა ვ ი ღ ვ ი ძ ე ბ დ ი, აქამდე ა ვ დ გ ე ბ ო დ ი და პირსაც დ ა ვ ი ბ ა ნ დ ი“ ამ შემთხვევაში ფრაზაში გზისობა არ არის. მწკრივის სახელი მაინც ხოლმეობითია (ა. შანიძე, იქვე). ე. ი. ამ მაგალითებში არ არის გამოხატული მრავალგზისი მოქმედება. გზისობა უცვალებელი კატეგორია არც ხოლმეობითის მწკრივშია.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **ხოლმე** ნაწილაკიან კონ-

სტრუქციაში მრავალგზისობა შეიძლება აწმყო-მყოფადის მწკრივის ფორმებითაც გადმოიცეს — „ბიძა-ჩემი სანადიროდან ზოგჯერ ხოხობსაც მოიტანს ხოლმე“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 211). თუმცა ეს მწკრივები ჩვეულებრივ ერთგზის მოქმედებას გადმოსცემენ.

ყოველივე თქმული კი იმის დასტურია, რომ გზისობა ცვალებადი კატეგორიაა მწკრივის ფარგლებში; ე. ი. **გზისობა არ არის მორფოლოგიური კატეგორია,** ახალ ქართულში არ ხდება ამ კატეგორიის მორფოლოგიური გამოხატვა.

4.6. აქტი, როგორც ზმნის კატეგორია

„აქტი ანუ საქმე არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება, თუ არა“. ქართულ ზმნას აქვს საშუალება, აღნიშნოს არა მარტო ისეთი მოქმედება, რომელსაც მოუბარი დასწრებია და უნახავს, არამედ ისეთიც, რომელსაც ის არ დასწრებია და არ უნახავს. ამის მიხედვით გვაქვს ორი აქტი: ნახული და უნახავი (ანუ დასწრებული და დაუსწრებელი) (ა. შანიძე, 1973, გვ. 211).

აქტი მწკრივის ელემენტად არის მიჩნეული და ისევე, როგორც სხვა ელემენტები მწკრივისა, „მწკრივის ფარგლებში უცვალებელ კატეგორიად“ მოიაზრება“ (იქვე, გვ. 216). ზემოთაც აღვნიშნეთ: უცვალებელ კატეგორიად შეიძლება მოვიაზროთ ის კატეგორია, რომელიც არის წარმოდგენილი ზმნის ამა თუ იმ ფორმაში და ნებისმიერ კონტექსტში ხდება მისი გამოხატვა ანუ: ნებისმიერ კონტექსტში აქვს ეს მნიშვნელობა. თუ ხდება ცვლა ამ მნიშვნელობისა სხვადასხვა კონტექსტში, უნდა აიხსნებოდეს ამ ცვლის მიზეზი; ანუ: ფორმას რამ დაუკარგა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მნიშვნელობა, ან რამ მიანიჭა სხვა კონტექსტში სხვა მნიშვნელობა. ამის თაობაზე დროის, კილოსა და გზისობის კატეგორიებზე საუბრის დროსაც მივანიშნებდი.

რა ვითარებაა ამ მხრივ **აქტის** კატეგორიასთან დაკავშირებით.

აქტი (უნახავი), როგორც მწკრივის ელემენტი, I თურმეობითში არის წარმოდგენილი: „I თურმეობითში სამი ელემენტია: დრო (წარს.), კილო (თხრ.) და აქტი (უნახავი)... უნახავი აქტის მოქმედება გვიჩვენებს მოქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია შედეგის მიხედვით ან სხვისგან არის გაგონილი“ (იქვე, გვ. 221). ა. შანიძე უნახავ აქტს მწკრივის ელემენტად ასახელებს II თურმეობითშიც: „შედგენილობის თვალსაზ-

რისით II თურმეობითი I-საგან ერთი ელემენტით განსხვავდება. ეს ელემენტია თანამიმდევრობა (უწინარესი). მწკრივი გადმოგვცემს ისეთ უნახავ მოქმედებას, რომელიც სხვას უსწრებდა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 112).

III სერიის მწკრივებს ა. შანიძე „უნახავი აქტის მწკრივებს“ უწოდებს (გვ. 222), თუმცა არ ჩანს, III კავშირებითსაც უნახავი აქტის მწკრივად მიიჩნევს თუ არა.

თუ თურმეობითები უნახავი აქტის მწკრივებია, ივარაუდება, რომ სხვა მწკრივები **ნახული აქტის** მწკრივებია.

არის თუ არა აქტი უცვალებელი კატეგორია თურმეობითის მწკრივებისათვის? საკითხი საგანგებოდ შეისწავლა ი. ქავთარაძემ. მისი აზრით, „უდავოა, რომ ქართულ ენაში თურმეობითის ნაკვთი ძალიან ხშირად იხმარება ისეთი მოქმედება-მდგომარეობის გადმოსაცემად, რომელიც სუბიექტმა თავისი თვალით ნახა, დაესწრო მას, უნახავი მოქმედების გამოსახატავად მისი გამოყენება სრულებითაც არაა ერთადერთი, პირიქით, ეს უფრო გვიანდელი ჩანს, როცა დროის გაგება მასში რამდენადმე დაიჩრდილა“ (ი. ქავთარაძე, 1956, გვ. 191). ანუ უნახაობა შეიძლება გადმოსცეს სხვა ფორმამაც და პირიქით... „ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულში არა გვაქვს უნახაობის კატეგორიის მორფოლოგიური წარმოების საშუალება, იგი არაა იმგვარად გამოხატული გრამატიკული კატეგორია, როგორადაც დრო, ქცევა და სხვა, რომელთაც მოეპოვებათ სპეციალური მორფემა, აგლუტინაციური ტიპის ქართული ენისათვის შესაფერისი“ (იქვე). ავტორი გახაზავს იმასაც, რომ მორფოლოგიურად არ ხდება დაპირისპირება, მაგრამ „დღევანდელ ქართულში ფაქტია ასეთი დაპირისპირება“ (იქვე); და კიდევ: „უნახაობის შინაარსის გამოსახატავად ქართულში გვაქვს ერთგვარი საშუალება (**თურმე** ნაწილაკი და პირველი თურმეობითი გარკვეულ შემთხვევაში) და არა გრამატიკული კატეგორია“ (იქვე, გვ. 192).

არნ. ჩიქობავას აზრით, „**უნახაობა,** საერთოდ, არ უნდა იყოს ნიშანდობლივი თურმეობითის შინაარსისათვის. ყოველ შემთხვევაში, უნახაობას ვერ ვივარაუდებთ, როცა რეალური სუბიექტი პირველ პირშია“ (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 101). ავტორი ეთანხმება ი. ქავთარაძეს და დაასკვნის: „ამრიგად: თურმეობითის ჯგუფის ნაკვთები ფუნქციური თვალსაზრისით ვერ გაერთიანდება; თურმეობას არ გულისხმობს კავშირებითი მესამე; მხოლოდ ნაწილობრივ ეგუება ეს შინაარსი თურმეობითს მეორეს; თურმეობთს პირველშიც უნახაობა არ გადმოიცემა პირველს პირში, უარყოფითი ნაწილაკების ხმარებისას კი — სხვა პირებშიც“ (იქვე).

წარმოდგენილი მსჯელობა და დასახელებულ ავტორთა მიერ ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ აქტი არ არის მორფოლოგიური კატეგორია და, შესაბამისად, უცვალებელი ერთი მწკრივის ფარგლებში. ასე რომ, ამ თვალსაზრისით **აქტი** დგება დროის, კილოსა და გზისობის გვერდით.

4.7. თანამდევრობა, როგორც ზმნის კატეგორია

მეხუთე კატეგორია, რომელსაც მწკრივის ელემენტად მიიჩნევს ა. შანიძე, არის თანამდევრობა: „თანამდევრობის სახელით აღვნიშნავთ ზმნის ფორმას, რომელიც გვაგებინებს, თუ როგორია დროული მიმართება ორი მოქმედებისა წარსულსა ან მომავალში. ორი მოქმედების შეფარდებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ორივე ერთ დროს მიმდინარეობს და გვაქვს **ერთდროულობა** მოქმედებისა, მაგრამ თუ განსხვავებაა დროში, მათ შორის ისეთი ურთიერთობა იქნება, რომ ერთი უნდა უსწრებდეს, მეორე მოსდევდეს. როგორც სწრება, ისე მოდევნება ხდება მხოლოდ ორ გრამატიკულ დროში, წარსულსა და მომავალში, მაგრამ ერთდროულობა მხოლოდ წარსულშია გამოხატული“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 212). „თანამდევრობის ფორმები ქართულში სამგვარია: **ერთდროულობა, უწინარესობა** და **შემდგომობა**“ (იქვე, გვ. 213). წარმოდგენილი მსჯელობიდან და მოხმობილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ზმნური ფორმის მიერ გამოხატული მოქმედების შეფასება ხდება რთულ კონსტრუქციებში; ანუ ზმნური ფორმის ერთდროულობა, უწინარესობა თუ შემდგომობა სხვა ზმნის მიერ შესრულებული მოქმედების მიხედვით გაირკვევა. ეს უკვე სინტაქსის სფეროა. როცა არნ. ჩიქობავა III სერიის გამოყოფის საფუძვლებზე მსჯელობს და განიხილავს აქტისა და თანამიმდევრობის კატეგორიებს, ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „სამი ჯგუფის გამოყოფა ზმნის უღვლილებაში ნაწილობრივ გამართლებულია **სინტაქსური** თვალსაზრისით, ნაკვთების წარმოება კი სინტაქსის საგანი არ არის, იგი ფუძეთა წარმოებას განეკუთვნება და მორფოლოგიის საგანი უნდა იყოს (იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ამ რიგის ფუძეთა წარმოებას ახასიათებს)“ (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 101).

ამგვარად, თანამდევრობა არ არის მორფოლოგიური კატეგორია და, შესაბამისად, არ შეიძლება იყოს უცვალებელი ერთი მწკრივის ფარგლებში.

*

* *

როგორც წარმოდგენილმა მსჯელობამ გვიჩვენა, ერთი მწკრივის ფორმას კონტექსტისდა მიხედვით შესაძლებლობა აქვს სხვადასხვა დროისა თუ კილოს მნიშვნელობის გადმოცემისა; ასევე ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედებისა; უნახავი ან ნანახი აქტისა; ასევე ერთდროული, უწინარესი თუ შემდგომი მოქმედების გამოხატვისა... (შევადაროთ: ბრუნვის ფორმა და ბრუნვათა ფუნქციები).

4.8. ასპექტი და მწკრივი

ა. შანიძის მოძღვრების მიხედვით, ასპექტი ქართულში არ არის მწკრივის ელემენტი, უღლების კატეგორია. იგი წარმოქმნის კატეგორიაა. „ასპექტი ძველად უღლების კატეგორია იყო: ის აუცილებელი ელემენტი იყო თვითეული მწკრივისა I-სა და II სერიაში, მაგრამ ახალ სისტემაზე გადასვლით ეს კატეგორია გამოვიდა უღლებიდან და წარმოქმნაში დაიჭირა ადგილი, რადგანაც ამ გზით მან ზმნის პარალელურ ფორმებს (უზმნისწინოსა და ზმნისწინიანს) მწკრივებში სხვადასხვა გრამატიკული მნიშვნელობა მისცა: გრიხა — დაგრიხა, გრიხოს — დაგრიხოს, უგრეხია — დაუგრეხია და სხვა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 270). ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ასპექტით განსხვავებული ფორმები არ ჩაითვლება სხვადასხვა მწკრივის ფორმებად: **წერა** და **დაწერა, წეროს** და **დაწეროს** ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია.

სხვაგვარი იყო ვითარება ძველ ქართულში: „ძველ ქართულში ასპექტი უღლების კატეგორია იყო და მწკრივში შედიოდა, როგორც მისი ელემენტი: I სერიის მწკრივები უსრული ასპექტიანი იყვნენ. II სერისა კი — სრულისანი. ზმნისწინს ამ საკითხში არავითარი ძალა არ ჰქონდა: ის ან გეზს აღნიშნავდა, ორიენტაციითურთ, ან ახალი ზმნის საწარმოებელი მორფემა იყო. ამიტომ აწმყოს მწკრივის ეხლანდელ დროს ზმნისწინის დართვა მომავლისად ვერ გადააქცევდა, ...სამაგიეროდ II სერიის მწკრივები ყველა სრულ-ასპექტიანი იყო“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 266). მომხდარი ცვლილების ძირითადი შედეგი, ა. შანიძის აზრით, არის ის, რომ I სერიის ფორმები ორ წრედ გაიყო: „პარალელურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით ახალმა სისტემამ აწმყოს ჯგუფის სამი წევრისაგან წარმოქმნა სამი ახალი მწკრივი, განსხვავებული ერთი-მეორისაგან შესაბამისად არა მარტო ასპექტის მიხედვით,

არამედ დროისა და სხვა ელემენტების მიხედვითაც“ (იქვე, გვ. 270).

ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ისიცაა, რომ „ასპექტი შეიძინა III სერიის ფორმებმა და სახელზმნებმა“ (იქვე, გვ. 271).

აქ ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ასპექტიან ზმნებში ზმნისწინი აპირისპირებს სრულ და უსრულ ფორმებს **სამსავე სერიაში და სახელზმნებში.** ამ ფაქტს კვლავაც მოვუბრუნდებით. მოსწრებულად თქვა მეცნიერმა: „ზმნისწინმა ზმნას მისცა ასპექტი ახალ საფუძველზე, მაგრამ ამ ასპექტმა უსრულობის შემთხვევაში ზმნას წაართვა ზმნისწინი“... (იქვე).

თუმცა ასე ერთმნიშვნელოვნად, როგორც ჩანს, ძნელია საუბარი. ა. შანიძე წერს: „ეჭვი არ არის, რომ **დღევანდელი ასპექტი საზოგადოდ წარმოქმნის კატეგორიაა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მას მთლად გაწყვეტილი ჰქონდეს კავშირი უღლებასთან**“ (იქვე, გვ. 276). სხვაგან: „დასკვნა: **ასპექტს უღლების ფარგლებიდან სულ გამოსულად ვერ მივიჩნევთ, მას რამდენადმე კიდევ შერჩენილი აქვს უღლების კატეგორიის ნიშნები**“ (იქვე, გვ. 277).

აქ ჩვენ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, შესავალში რომ ვწერდით: ერთი ენობრივი მოვლენა, ორგვარი კვალიფიკაცია... ასპექტი არ არის უღლების კატეგორია, ამიტომ დრო-კილოთა სისტემის აგებისას ასპექტით განსხვავებული ფორმები (აკეთა — გააკეთა, აკეთოს — გააკეთოს, უკეთებია — გაუკეთებია...) არ ჩაითვლება სხვადასხვა მწკრივის ფორმებად. ამიტომ სისტემა 11 ერთეულს (მწკრივს) შეიცავს. ეს ძირითადი თვალსაზრისია ავტორისა. თუმცა იმასაც უშვებს, რომ „ასპექტს უღლების ფარგლებიდან სულ გამოსულად ვერ მივიჩნევთ, მას რამდენადმე კიდევ შერჩენილი აქვს უღლების კატეგორიის ნიშნებიო“.

და აქ გვთავაზობს შემაჯამებელ პარაგრაფს — „ცხრილი“ (§ 343): „დაგვრჩა ერთი: შევაჯამოთ ზემოთ ნათქვამი (იგულისხმება ასპექტისადმი მიძღვნილი მსჯელობა) ცხრილში, რომელიც მოკლედ და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ასპექტის ვითარებას დღევანდელ ქართულში. მაგალითებად მოყვანილია სამი ზმნა: „ტეხა“ ზმნის **სრული უღლება** სუბიექტური პირების მიხედვით **თითო სერიის თითო მწკრივში** (I სერიაში ორივე წრისათვის), მერმე კი სამივე ზმნის 1-ლი სუბ. პირის ფორმები **თვითეულ მწკრივში,** გარდა წართქმ. ბრძანებითისა, სადაც მე-2 პირის ფორმებია მოყვანილი (ა. შანიძე, 1973, გვ. 278-279).

შეჯამებული სახით წარმოდგენილი **სრული უღლება თითო სერიის თითო მწკრივში** ფაქტობრივ ემთხვევა დიმიტრი ყიფიანის პრინციპს, რომელსაც „გრამატიკის საფუძვლებში“, სწორედ „ცხრილის“ წინ საგანგე-

ბო პარაგრაფი ეძღვნება — „დიმიტრი ყიფიანის ტაბულა“ (გვ. 288-278).

დ. ყიფიანს ორგვარი პარადიგმა აქვს — რთული და მარტივი; რთული — ზმნისწინიან და უზმნისწინო დაპირისპირებულ ფორმათა პარადიგმა — 16 ერთეული (მარტივი 8 ერთეულიანი იყო)... დ. ყიფიანის პარადიგმას კვლავაც გავიხსენებთ...

ა. შანიძის შეჯამებული ცხრილი სწორედ დ. ყიფიანის რთული პარადიგმის მსგავსია. ეს ცხრილი გარკვეულწილად მხარს დაუჭერს ჩვენს თვალსაზრისსაც. თუმცა ამის თაობაზე მოგვიანებით.

ახლა სრულად წარმოვადგენთ ა. შანიძის ცხრილს, ასპექტთან დაკავშირებით მოყვანილს.

I სერია

	აწმყო (უ ს რ უ ლ ი)	**მყოფადი** (ს რ უ ლ ი)
მხ.	1.3. ვტეხ	გა-ვტეხ
	2.3. სტეხ	გა-სტეხ
	3.3. ტეხს	გა-ტეხს
მრ.	1.3. ვტეხთ	გა-ვტეხთ
	2.3. სტეხთ	გა-სტეხთ
	3.3. ტეხენ	გა-ტეხენ

II სერია

წყვეტილი

(უ ს რ უ ლ ი)	(ს რ უ ლ ი)
ვტეხე	გა-ვტეხე
სტეხე	გა-სტეხე
ტეხა	გა-ტეხა
ვტეხეთ	გა-ვტეხეთ
სტეხეთ	გა-სტეხეთ
ტეხეს	გა-ტეხეს

III სერია

I თურმეობითი

(უ ს რ უ ლ ი)	(ს რ უ ლ ი)
მიტეხია	გა-მიტეხია
გიტეხია	გა-გიტეხია
უტეხია	გა-უტეხია

გვიტეხია	გა-გვიტეხია
გიტეხიათ	გა-გიტეხიათ
უტეხია(თ)	გა-უტეხია(თ)

I სერია

უსრული (აწმყოს წრე)

აწმყო	ვტეხ	ვაქებ	ვმალავ
უწყვ.	ვტეხდი	ვაქებდი	ვმალავდი
აწმყ. კავშ.	ვტეხდე	ვაქებდე	ვმალავდე

სრული (მყოფადის წრეში)

მყოფადი	გა-ვტეხე	შე-ვაქებ	და-ვმალავ
I ხოლმ.	გა-ვტეხდი	შე-ვაქებდი	და-ვმალავდი
მყოფ. კავშ.	გა-ვტეხდე	შე-ვაქებდე	და-ვმალავდე

II სერია

	(უ ს რ.)	(ს რ.)	(უ ს რ.)	(ს რ.)	(უ ს რ.)	(ს რ.)
წყვეტ.	ვტეხე	გა-ვტეხე	ვაქე	შე-ვაქე	ვმალე	და-ვმალე
II ხოლმ.	ვტეხი	გა-ვტეხი	ვაქი	შე-ვაქი	ვმალი	და-ვმალი
II კავშ.	ვტეხო	გა-ვტეხო	ვაქო	შე-ვაქო	ვმალო	და-ვმალო
ბრძან.	ტეხე	გა-ტეხე	აქე	შე-აქო	მალე	და-მალე

III სერია

	(უ ს რ.)	(ს რ.)	(უსრ.)	(ს რ.)	(უ ს რ.)	(ს რ.)
I თურმ.	მიტეხია	გა-მიტეხია	მიქია	შე-მიქია	მიმალავს	და-მიმალავს
II თურმ.	მეტეხა	გა-მეტეხა	მექო	შე-მექო	მემალა	და-მემალა
III კავშ.	მეტეხოს	გა-მეტეხოს	მექოს	შე-მექოს	მემალოს	და-მემალოს

(ა. შანიძე, 1973, გვ. 279)

არსებითი ამ ცხრილში ისაა, რომ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება ერთ პრინციპს ემყარება სამივე სერიაში; პარადიგმებიც ერთგვარადაა აგებული სამივე სერიაში. ამ ფაქტს კიდევ გავიხსენებთ...

ასპექტი და დრო-კილოთა სისტემა — ეს არის თემა ა. არაბულის რამდენიმე ნაშრომისა (ა. არაბული, 1984(1); ა. არაბული, 1992;

ა. არაბული, 1999). ასპექტი, ავტორის აზრით, დროისა და კილოს კატეგორიის გვერდით ძირითად კატეგორიადაა წარმოდგენილი: „ამგვარად, გვრჩება სამი კატეგორია: კილო, დრო და ასპექტი. ყოველი ნაკვთის ძირითადი მნიშვნელობები შეიძლება დახასიათდეს ამ სამი სემანტიკური მონაცემის გამოყენებით. მათი კომბინაცია გვაძლევს ნაკვთს, როგორც ფუნქციურ კატეგორიას“ (ა. არაბული, 1984, გვ. 4); რომ „ქართული ზმნის ნაკვთების სემანტიკური სტრუქტურის ძირითადი ერთეულები სწორედ დრო და ასპექტია. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ზმნის უღვლილების ერთეულები, ნაკვთები, სემანტიკურად დროულ-ასპექტური ერთეულებია. ამათგან დრო შედარებით მარტივი, ხოლო მოქმედების სახე, ანუ ასპექტი, ბევრად უფრო რთული კატეგორიაა“ (ა. არაბული, 1992, გვ. 105). ამ მსჯელობით, საუღლებელი ერთეულის გამოყოფისას ასპექტს მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ფაქტობრივ, ეს არის ზმნურ ფორმათა სემანტიკური ანალიზი და შედეგიც საინტერესო: „საუღლებელი სისტემის სემანტიკურმა ანალიზმა მხოლოდ თხრობითი კილოს ფორმათა სახით 9 ერთეული წარმოგვიდგინა“ (ა. არაბული, 1999, გვ. 43). ხოლო საერთო სურათზე, რომელიც სქემის სახის არის წარმოდგენლი, 16 მწკრივია; ა. შანიძის 11 მწკრივიანი სისტემის II და III სერიაში ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები სხვადასხვა მწკრივებად მიიჩნევა (ა. არაბული, 1999, გვ. 50). ეს შესაძლებელი გახდა ამგვარი მოთხოვნის შემდეგ: „ასპექტის კატეგორიამ თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს უღლების (პარადიგმატულ) კატეგორიათა რიგში და, შესაბამისად, ზმნისწინიანი საუღლებელი ფუძის (მწკრივის) ორგანულ ნაწილად უნდა იქნეს მიჩნეული“ (ა. არაბული, 1999, გვ. 48).

ჩვენ ზემოთ დ. ყიფიანის პრინციპზე ვსაუბრობდით და ა. შანიძის პარადიგმები წარმოვადგინეთ, სადაც ასპექტს, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ცხადია, დასაშვებია ამგვარი მსჯელობა, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სემანტიკურ პრინციპზე აგებულ პარადიგმებთან; სემანტიკური პარადიგმების ფორმათა სესხებას ჩვენ გავმიჯნავთ ფორმობრივი (უფრო სწორად, ფორმობრივ-სემანტიკური) პარადიგმებისაგან (იხ. აქვე, § 144).

ასპექტი არის ზმნის სემანტიკური მახასიათებელი, მაგრამ ზმნისწინი, რომელიც სრულ ასპექტს აწარმოებს, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ელემენტად, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ მწკრივს (ამის შესახებ უფრო ვრცლად აქვე, § 5).

4.9. მაინც რა არის მწკრივი?

თუ ე. წ. მწკრივის ელემენტები (დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა) არ არის მორფოლოგიური (გრამატიკული) კატეგორია, რას წარმოადგენენ ისინი?

მაგალითისათვის: ფაქტია, რომ ქართულში არსებობს დროის სემანტიკა, დროის ფუნქცია, მაგრამ არ ხდება მისი ფორმალური გამოხატვა. შესაბამისად, დროის კატეგორია სემანტიკური კატეგორიაა. ამის თაობაზე მიანიშნებს კიდეც არნ. ჩიქობავა მოგვიანო პერიოდის ნაშრომში: „დრო, კილო და კილოსთან ფუნქციურად ახლო მდგომი მოდალური კატეგორიები (თანაობისა, საურთიერთო, უნებურობისა, განზრახვისა...) უპირატესად სემანტიკურ-სტილისტიკური ხასიათისა ჩანს (არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 165). დროსა და კილოს სემანტიკურ კატეგორიად მიიჩნევს აგრეთვე ბ. ჯორბენაძე (1986, გვ. 134). სემანტიკურ კატეგორიათა შესახებ აღნიშნავენ, რომ: „სემანტიკური კატეგორიები, როგორც წესი, გამოიხატებიან სპეციალური მორფოლოგიური (ფორმალური) საშუალებით, მაგრამ შეიძლება გამოიხატოს არამორფოლოგიურად, ე. ი. აღწერითად, ლექსიკურად ან კონტექსტით. გამოიყენება სხვა საშუალებებიც (მაგალითად, ინტონაცია...)“ (ბ. ჯორბენაძე, 1986, გვ. 134-135). „სემანტიკური მახასიათებლები შეიძლება იცვალოს არა მხოლოდ ფორმის, არამედ კონტექსტის ცვლის შედეგადაც“ (ბ. ჯორბენაძე, 1984, გვ. 27). დრო და კილო ის სემანტიკური კატეგორიებია, რომელთა გამოსახატავად კონტექსტი და ინტონაცია გამოიყენება. ასევე, სემანტიკურ კატეგორიად უნდა იქნეს მიჩნეული „მწკრივის სხვა ელემენტებიც“ — გზისობა, აქტი, თანამდევრობა.

საბოლოოდ, ჩვენი თვალსაზრისი ასეთია: **დრო, კილო, გზისობა (ახალ ქართულში), აქტი და თანამდევრობა არ არის მორფოლოგიური კატეგორიები.** შესაბამისად: **ერთი მწკრივის ფორმათა მეორისაგან განმასხვავებლად ვერ მივიჩნევთ ე. წ. „მწკრივის ელემენტებს“. მწკრივის განსაზღვრა ამ „ელემენტების“ მიხედვით არ მოხერხდება.**

მწკრივი ზმნის სისტემაში ისეთივე ფორმობრივი მონაცემია, როგორიც ბრუნვა სახელის სისტემაში. რამდენადაც სახელის სისტემა გაცილებით მარტივია ზმნის სისტემასთან შედარებით, ბრუნვის რაობის განსაზღვრაც უფრო იოლად ხერხდება: გამოიყოფა ბრუნვის ფორმა, როგორც ფორმობრივი მონაცემი და შემდეგ ხდება მისი ფუნქციური დახასიათება. ზმნის სისტემაში პირიქით მოხდა: ფუნქციიდან ამოსვლით ხდება შეფასება ზმნური ფორმისა... ერთმა და იმავე ფორმამ

რომ რამდენიმე ფუნქცია შეიძლება იტვირთოს, ეს ბრუნვათა ანალიზიდანაც ცხადია. ამიტომ ზმნის სისტემაშიც ანალოგიური პროცედურაა საჭირო: არსებობს ფორმა და უნდა მოხდეს მისი ფუნქციური დახასიათება... ფორმობრივ-ფუნქციური ანალიზი ასე გვესმის...

შენიშვნა: ჩვენი დასკვნა პრინციპულად ეწინააღმდეგება სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულ თვალსაზრისს, კერძოდ ა. შანიძის მოძღვრებას მწკრივის შესახებ, მაგრამ ჩვენთვის მისაღები თვალსაზრისის საფუძველს ა. შანიძის გრამატიკულ ნააზრევშივე ვიპოვით. მოვიყვანთ ვრცელ ციტატას: „მწკრივს ფორმა ერთი აქვს, ფუნქცია კი — ხშირად სხვადასხვა. სახელი მწკრივს შეიძლება ერთი ფუნქციის მიხედვით ჰქონდეს დარქმეული, მაგრამ როგორსა და რამდენ ფუნქციასაც უნდა ასრულებდეს ამა თუ იმ შემთხვევაში, ფორმით ის მაინც ერთი ერთეულია. ნომენკლატურამ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში: აწმყოს მწკრივმა შეიძლება დრო მომავალი გადმოსცეს და მყოფადის მწკრივმა — ეხლანდელი... აღნიშნულ მოვლენას პარალელი მოვუძებნოთ სახელთა ბრუნვებში: სახელობითი მუდამ სახელობითია, ასრულებს ის სუბიექტის ფუნქციას, თუ ობიექტისას... ამგვარადვე, მიცემითი მუდამ მიცემითია, გადმოსცემს ის სუბიექტს, პირდაპირ ობიექტს თუ ირიბ ობიექტს...

ბრუნვა სახელის მიმოსახვრელი საშუალებაა, მწკრივი კი — ზმნისა. ფუნქცია ერთსაც და მეორესაც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა ჰქონდეს, მაგრამ თვითეული ბრუნვა და თვითეული მწკრივი თითო ერთეულია... მწკრივის ელემენტები მეტად მოძრავი რამეა და ბევრად **დამოკიდებული ზმნის ფორმის გარემოცვისაგან**...“ (ხაზი ჩვენია — გ. გ.) (ა. შანიძე, 1973, გვ. 224). როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი მსჯელობა პრინციპულად ეწინააღმდეგება ავტორისავე მოძღვრებას მწკრივის კატეგორიის შესახებ, კერძოდ, მწკრივის ელემენტთა უცვალებლობის შესახებ.

*

* *

მაინც: **რა არის მწკრივი?**

გავიხსენოთ: ერთი თვალსაზრისის მიხედვით, მწკრივი არ არის კატეგორია, იგი ტექნიკური ტერმინია. სხვა თვალსაზრისის მიხედვით, მწკრივი კატეგორიაა, მასთან რთული კატეგორია. ამ თვალსაზრისის შესახებ ზემოთ ვრცლად გვქონდა საუბარი. მწკრივის რაობის ამგვარი გაგება ჩვენთვის სადავოა, მაგრამ არ უარვყოფთ იმას, რომ მწკრივი კატეგორიაა.

მეტყველების ნაწილთაგან ფორმაცვალება სახელსა და ზმნას ახასიათებს. სახელის ფორმაცვალება ხდება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით, ბრუნვა და რიცხვი სახელის მორფოლოგიური კატეგორიებია — ხდება მათი გამოხატვა ფორმობრივად. ეს ცნობილი ფაქტია. რისთვის დაგვჭირდა ამის გახსენება:

მიუთითებენ, რომ „უღვლილება ზმნის მორფოლოგიაში იმავე რიგის მოვლენაა, რაც სახელთა მორფოლოგიაში ბრუნება. ორივე ერთი და იმავე პრინციპით უნდა იქნეს შესწავლილი“ (ბ. ჯორბენაძე, 1984, გვ. 17).

მწკრივი ისეთივე მონაცემია ზმნის სისტემაში, როგორიც ბრუნვა სახელის სისტემაში: „ნაკვთი არის ზმნის ფუნქციონირების (ენაში ზმნის არსებობისა და გამოყენების) ფორმა. ნაკვთს ფორმობრივ მოეპოვება თავისი ყალიბი, ფუძე და მაწარმოებელი“ (ბ. ჯორბენაძე, იქვე).

ბრუნვის კატეგორიის შესახებ მსჯელობისას აღნიშნავენ, რომ „იგივეობა ლექსიკური და სხვადასხვაობა გრამატიკული, — აი ბრუნვის ფორმათა არსებობის ნიშანი“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 44). შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ მწკრივის ფორმათა არსებობის ნიშანია ლექსიკური იგივეობა და გრამატიკული (ფორმობრივი) სხვადასხვაობა.

ბრუნვა მორფოლოგიური კატეგორიაა სახელისა; მწკრივი — ზმნისა, რამდენადაც სახელის სისტემა მარტივია ზმნის სისტემასთან შედარებით, იმდენად ბრუნვის კატეგორია მარტივია მწკრივის კატეგორიასთან შედარებით, რომელსაც აქვს საკუთარი ფორმა და ფუნქცია, რომელიც შესაბამის კონტექსტში გამოვლინდება.

მწკრივის ფორმობრივ სახეს მწკრივის ფუძე ქმნის. მწკრივის ფუძედ მიიჩნევა ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები; მას თავისი პარადიგმა აქვს. მწკრივის პარადიგმას ქმნის მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნებით განსხვავებული ფორმები:

ვ-აკეთებ	ვ-აკეთებ-თ
აკეთებ	აკეთებ-თ
აკეთებ-ს	აკეთებ-ენ

შენიშვნა: მწკრივის პარადიგმაზე მსჯელობისას გარკვევას მოითხოვს ზმნისწინის საკითხი: **აკეთებ-ს** და **გა-აკეთებ-ს** სხვადასხვა მწკრივის ფორმებად მიიჩნევა. **აკეთა** და **გა-აკეთ-ა** — ერთი მწკრივის ფორმებად. აქედან გამომდინარე, მეორე და მესამე სერიის მწკრივთა ფუძის განმარტებისას ესეც უნდა აისახოს: მწკრივის პარადიგმა აერთიანებს ზმნისწინით, პირისა და რიცხვის ნიშნებით განსხვავებულ ფორმებს. ამასვე ვერ ვიტყვით პირველი სერიის ფორმათა შესახებაც. თუმცა II და III სერიის მწკრივთა პარადიგმის ამგვარი განსაზღვრაც არ იქნება მთლად ზუსტი: ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა მონაცვლეობა ერთი მწკრივის ფარგლებში არაა ნიშანდობლივი ყველა ტიპის ზმნათათვის... ზმნისწინისა და ზმნური ფორმის საკითხი საგანგებო მსჯელობას ითხოვს.

საუბარი მწკრივთა რაოდენობაზე მწკრივის ფუძეთა რაოდენობის გარკვევას გულისხმობს, უღლების სისტემას მწკრივთა სისტემური დაჯგუფება ქმნის. უღლების სრულ პარადიგმას მწკრივთა სისტემა ქმნის.

უღლება — ზმნის მწკრივთა მიხედვით ცვლაა უღლების სრულ პარადიგმაში; მწკრივის ფარგლებში — ცვლა პირისა და რიცხვის მიხედვით (ა. შანიძე).

ამგვარად, უღლებას ორი მნიშვნელობით ვხმარობთ: ვიწრო მნიშვნელობით მწკრივის ფარგლებში ზმნის პირისა და რიცხვის მიხედვით ცვლას გულისხმობს; ფართო მნიშვნელობით — უღლების სისტემაში მწკრივთა მიხედვით ცვლას.

სემანტიკურად მწკრივის ცალსახად დახასიათება არ მოხერხდება. მწკრივი პოლისემანტიკური მონაცემია. დრო, კილო, ასპექტი, გზისობა, თანამდევრობა, აქტი — ამ სემანტიკურ კატეგორიათა ერთობლიობა ქმნის მწკრივის ფორმის სემანტიკას. როგორც აღინიშნა, ერთი და იმავე მწკრივის ფორმამ სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება სხვადასხვა დროის, კილოს... და ა. შ. მნიშვნელობა გადმოსცეს. მნიშვნელობის გამოვლენა კონტექსტზეა დამოკიდებული.

ამის მიხედვით ერთი და იმავე მწკრივის ფორმა შეიძლება სხვადასხვაგვარად დახასიათდეს:

გააკეთე! — დრო — მომავალი, კილო — ბრძანებითი, ჯერობა — ერთგზისი, აქტი — ნანახი...

გააკეთე. — დრო წარსული, კილო — თხრობითი, ჯერობა — ერთგზისი, აქტი — ნანახი...

ამავე დროს, სხვადასახვა მწკრივის ფორმა შეიძლება ერთნაირად დახასიათდეს:

გააკეთე! }
გააკეთოს! } დრო — მომავალი, კილო — ბრძანებითი, ჯერობა — ერთგზისი, აქტი — ნანახი...

სემანტიკური პოზიციებიდან ზმნურ ფორმათა შეფასება ამგვარ ფორმებს ერთ საუღლებელ ერთეულად წარმოადგენინებდა პრაქტიკოს გრამატიკოსებს, რაც სამეცნიერო გრამატიკში, თავისთავად ცხადია, გასწორდა.

ამგვარად, მწკრივი ფორმობრივი მონაცემია. იმდენი მწკრივია, რამდენიც განსხვავებული ფუძეა ზმნისა ერთი და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის მქონე.

ამ თვალსაზრისზე დგომა ახალ ქართულში მწკრივთა რაოდენობის გადასინჯვის საკითხსაც დასვამს; კერძოდ, საგანგებო მსჯელობას მოითხოვს პირველი სერიის აწმყოსა და მყოფადის წრეებად დაყოფის საკითხი.

§ 5. მწკრივთა რაოდენობა ახალ ქართულში

5.1. რა ხდება დღეს

როგორც აღინიშნა, ახალ ქართულში 11 მწკრივი გამოიყოფა. პირველი სერია 6 საუღლებელი ერთეულითაა წარმოდგენილი;

აწმყოს წრე

1. **აწმყო** — ვწერ
2. **უწყვეტელი** — ვწერდი
3. **აწმყოს კავშირებითი** — ვწერდე

მ ყ ო ფ ა დ ი ს წ რ ე

1. **მყოფადი** — დავწერ
2. **ხოლმეობითი** — დავწერდი
3. **მყოფ. კავშირებითი** — დავწერდე

ფორმობრივი თვალსაზრისით დაპირისპირება

ვწერ — და-ვწერ
ვწერდი — და-ვწერდი
ვწერდე — და-ვწერდე

იმავე რიგისაა, როგორც

ვწერე — და-ვწერე
ვწერო — და-ვწერო
მიწერია — და-მიწერია
მეწერა — და-მეწერა
მეწეროს — და-მეწეროს

თუ პირველი სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები სხვადასხვა მწკრივის ფორმებადაა მიჩნეული, მეორე და მესამე სერიის შემთხვევაში ამგვარადვე დაპირისპირებული ფორმები სხვადასხვა მწკრივისებად არ გაიგება:

ვწერ — აწმყო, მაგრამ ვწერე
და-ვწერ — მყოფადი, და-ვწერე
} წყვეტილი.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულშიც გვაქვს ამგვარივე დაპირისპირება პირველ სერიაში ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის, მაგრამ ზმნისწინით განსხვავებული ფორმები სხვადასხვა მწკრივად არ გაიაზრებოდა. ასპექტის სისტემაში მომხდარი ცვლილებები აწმყოს ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის დროული დაპირისპირების საფუძველი გახდა: უზმნისწინო ფორმამ აწმყო დროის გადმოცემა იტვირთა, ზმნისწინიანმა — მომავლისა. „პარალელურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით ახალმა სისტემამ აწმყოს ჯგუფის სამი მწკრივისაგან წარმოქმნა სამი ახალი მწკრივი, განსხვავებული ერთიმეორისაგან შესაბამისად არა მარტო ასპექტის მიხედვით, არამედ დროისა და სხვა ელემენტების მიხედვითაც. ეს მოხდა ისე, რომ გარეგნულად ახალი არაფერი არ ყოფილა შექმნილი, — გამოყენებული იქნა არსებული მარაგი ფორმებისა, ოღონდ გრამატიკული შინაარსის შე-

ცვლით!“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 270). „უზმნისწინო ფორმა ახლანდელ დროს აღნიშნავს, ზმნისწინიანი — მომავალს. ასე მივიღეთ ერთის ნაცვლად ორ მწკრივი: აწმყო და მყოფადი. ასევე გაიმიჯნა მათგან ნაწარმოები სხვა მწკრივებიც: უწყვეტელი და ხოლმეობითი, აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი“ (ზ. ჭუმბურიძე, 1986, გვ. 5).

ამგვარად, მყოფადის დამოუკიდებელ მწკრივად გამოყოფა დროის კატეგორიის საფუძველზე მოხდა. „მწკრივის ელემენტების“ მიხედვით თუ შევადარებთ აწმყოსა და მყოფადს, ასეთ სურათს მივიღებთ:

აწმყო:	დრო —	უმეტესად ახლანდელი	მყოფადი:	დრო —	მომავალი
	კილო —	თხრობითი		კილო —	თხრობითი

თუ დავუშვებთ, რომ ამგვარი დაპირისპირება საკმარისია **წერს** და **დაწერს** ფორმათა სხვადასხვა მწკრივებად მიჩნევისათვის, გაჭირდება ამგვარივე საფუძვლის მოძებნა **წერდა — დაწერდა** ფორმათათვის. ამ ფორმებს ასე ახასიათებენ:

უწყვეტელი	**ხოლმეობითი**
დრო — წარსული	დრო — წარსული
კილო — თხრობითი	კილო — თხრობითი
თანმდევრობა — ერთდროული	გზისობა — მრავალგზისი

გავითვალისწინოთ ისიც, რომ თანამდევრობას „ზოგჯერ შეიცავს“ და ასევე ზოგჯერ შეიძლება გამოხატოს მრავალგზისი მოქმედება (ა. შანიძე, 1973, გვ. 210).

როგორც ვხედავთ, „უღლების კატეგორიათა“ მიხედვით დახასიათება უწყვეტლისა და ხოლმეობითისა იდენტურია. მართალია, ა. შანიძე უწყვეტლის მწკრივის დახასიათებისას ხაზგასმით არ მიანიშნებს მრავალგზისობაზე, მაგრამ ხოლმეობითის კატეგორიაზე მსჯელობისას აღნიშნავს, „ცოცხალ კილოთა უმეტესობამ და სალიტერატურო ქართულმა ეს ფორმები (ე. ი. მრავალგზისობის გამომხატველი ფორმები — გ. გ.) დაკარგა, სამაგიეროდ მათი გამოხატვა უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ხოლმეობითის მწკრივს დააკისრა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 210). ლ. კვაჭაძე უწყვეტლის დახასიათებისას ხაზგასმით აღნიშნავს: „უწყვეტლის მწკრივით მრავალგზისობა გადმოიცემა“ (ლ. კვაჭაძე, 1981, გვ. 253). ამდენად, „უღლების კატეგორიათა“ მიხედვით უწყვეტლისა და ხოლმეობითის მწკრივებს შორის სხვაობა არაა. თუმცა ხოლ-

მეობითის მწკრივისაგან უწყვეტლისათვის განმასხვავებელ ნიშნად თანამდევრობაც მიიჩნევა: „ზოგჯერ ის თანამდევრობასაც შეიცავს, — სახელდობრ ერთდროულობას წარსულში“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 218). არაა შემთხვევითი, რომ ავტორი თანამდევრობას უწყვეტლის ფორმისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებლად არ მიიჩნევს („ზოგჯერ ის თანამდევრობასაც შეიცავს“...). როგორც აღვნიშნეთ, თანამდევრობა, თუკი საერთოდ შეიძლება ჩაითვალოს კატეგორიად, არაა მორფოლოგიური კატეგორია. მსჯელობა **„ერთდროულია** ზმნის ფორმა, რომელიც გვაგებინებს, რომ ერთი მოქმედება სხვა დასახელებულ (ან ნაგულისხმევ) მოქმედებასთან ერთად ხდებოდა“ — გულისხმობს, რომ თანამდევრობაზე მხოლოდ რთულ კონსტრუქციებში შეიძლება საუბარი. მოყვანილი მაგალითებიც ამის დასტურია: „შინ რომ მივედი, თოვდა“. „თოვდა“ ფორმით გამოხატული დრო ემთხვევა შინ დაბრუნების დროს“ (გვ. 213). მარტივ კონსტრუქციებში ხმარებულ უწყვეტლის ფორმით გამოხატულ თანამდევრობაზე ვერ ვისაუბრებთ. ფაქტობრივ თანამდევრობა გამოდის სხვადასხვა კონსტრუქციაში სხვადასხვა ზმნით გამოხატულ მოქმედებათა ურთიერთმიმართება დროის თვალსაზრისით, რაც ამა თუ იმ ზმნის მორფოლოგიურ მახასიათებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

გარდა ამისა, ა. შანიძე უწყვეტელსა და ხოლმეობითს შორის ასპექტურ სხვაობაზეც მიანიშნებს: უფრო ზუსტად, უწყვეტლისათვის დამახასიათებლად უსრული ასპექტის გამოხატვას მიიჩნევს: „ზოგჯერ აგრეთვე სრული ასპექტის გადმოცემა ეკისრება“ (გვ. 219). მაგრამ ასპექტი, ავტორის აზრით, წარმოქმნის კატეგორიაა და უღლების საკითხების განხილვისას, კერძოდ, მწკრივთა გამოყოფისას, მხედველობაში არ მიიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში **აკეთა** და **გააკეთა** სხვადასხვა მწკრივის ფორმებად ჩაითვლებოდა...

გამოდის, რომ აწმყო-მყოფადის გამოყოფა მოვახდინეთ უღლების ერთ-ერთი კატეგორიის — დროის — მიხედვით. უწყვეტელი და ხოლმეობითი უღლების კატეგორიათა მიხედვით არ განსხვავდება. მივიჩნევთ კი მაინც სხვადასხვა მწკრივებად აწმყოსა და მყოფადის მსგავსად.

ასეთივეა მიმართება აწმყოს კავშირებითსა და მყოფადის კავშირებითს შორის.

„აწმყოს კავშირებითი. შედგება ორი ელემენტისაგან: დროისა და კილოსაგან. დრო ეხლანდელია ან მომავალი, კილო — კავშირებითი“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 219).

„**მყოფადის კავშირებითი.** ამ მწკრივს მოეპოვება ორი ელემენტი: დრო (მომ.) და კილო (კავშ.)“ (იქვე, გვ. 220).

როგორც ვხედავთ, ორ მწკრივს შორის არსებითი სხვაობა არაა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ აწმყოს კავშირებითს, როგორც აღნიშნავენ, შეიძლება ზოგჯერ ახლანდელი დროის გაგებაც ჰქონდეს.

თუ ამ ფაქტს დავემყარებით, გამოვა, რომ აწმყოს კავშირებითი დამოუკიდებელ მწკრივად მაშინ უნდა მივიჩნიოთ, როცა ის აწმყო დროის გამომხატველია. თუ მას მომავალი დროის გაგება ექნება, მისი მახასიათებლები დაემთხვევა მყოფადის კავშირებითისას და, ამდენად, ცალკე მწკრივად მისი გააზრება არც იქნება შესაძლებელი.

რა განასხვავებს არსებითად უწყვეტელს ხოლმეობითისაგან და აწმყოს კავშირებითს მყოფადის კავშირებითისაგან? სხვაობა ასპექტურია: „აწმყოს წრის მწკრივები უსრული ასპექტისაა, მყოფადის წრისა კი — სრულისა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 263). **ვწერდი** და **ვწერდე** უსრული ასპექტის ფორმებია, **დავწერდი** და **დავწერდე** — სრულისა. ვიმეორებთ, სხვა განსხვავება ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის არ არის.

ანალოგიური ხასიათის სემანტიკური დაპირისპირებაა მეორე და მესამე სერიის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის:

უსრული ასპექტი	**სრული ასპექტია**
ვწერე	და-ვწერე
ვწეროთ	და-ვწეროთ
მიწერია	და-მიწერია
მეწერა	და-მეწერა
მეწეროს	და-მეწეროს

აშკარაა, რომ მწკრივთა გამოყოფის პროცესი დარღვეულია: თუ მეორე და მესამე სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთი მწკრივისებადაა მიჩნეული, სხვადასხვა მწკრივის ფორმებად არ უნდა ჩაითვალოს **წერდა** და **დაწერდა, წერდეს** და **დაწერდეს;** ანდა პირიქით — სხვადასხვა მწკრივის ფორმებად უნდა მივიჩნიოთ მეორე და მესამე სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტებიც (როგორც ეს გააკეთა დ. ყიფიანმა).

თითქოსდა სხვაგვარია ვითარება აწმყოსა და მყოფადის შემთხვევაში. მართალია, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს შორის ასპექ-

ტური სხვაობა აქაც ისეთივეა, როგორც სხვა შემთხვევაში — აწმყოს ფორმები უსრული ასპექტისა, მყოფადისა — სრულის (ა. შანიძე, 1973, გვ. 263) — მაგრამ მათ შორის დროული მიმართების საკითხი დგება განსხვავებულად. არის თუ არა ეს საკმარისი აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა მწკრივად მიჩნევისათვის?

ვფიქრობთ, არა:

აწმყო-მყოფადის ფორმათა დაპირისპირებაში ზმნისწინს განსაკუთრებული როლი აქვს მინიჭებული; როგორც ითქვა, აწმყოს საფუძველზე ორი მწკრივის გამოყოფა — აწმყოსა და მყოფადის — შედეგია ზმნისწინის მიერ დროული დაპირისპირების ფუნქციის შეძენისა. ზმნისწინს მწკრივთა მაწარმოებლადაც მიიჩნევენ: „ზმნისწინს ქართულში და, საერთოდ, ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, რამდენიმე ფუნქცია აკისრია: მიმართულების (გეზისა და ორიენტაციის) ჩვენება, სრული ასპექტის გამოხატვა, **მწკრივთა წარმოება** და ზმნის ფუძის მნიშვნელობის შეცვლა“ (ზ. ჭუმბურიძე, 1986, გვ. 97) (ხაზი ჩვენია — გ. გ.). მიუხედავად იმისა, რომ მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფა სამეცნიერო გრამატიკაში ა. შანიძემ დაამკვიდრა, მის ნააზრევში ზმნისწინის ფუნქციად მწკრივთა წარმოება არაა მიჩნეული. ა. შანიძე მიუთითებს ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის არსებულ დროულ დაპირისპირებაზე აწმყოსა და მყოფადს შორის და ამის საფუძველზე ახდენს ახალი მწკრივის გამოყოფას. აწმყო-მყოფადის ანალოგით ხდება მყოფადის წრის სხვა მწკრივთა გამოყოფაც: „პარალელურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით ახალმა სისტემამ აწმყოს ჯგუფის სამი მწკრივისაგან წარმოქმნა სამი ახალი მწკრივი, განსხვავებული ერთიმეორისაგან, შესაბამისად არა მარტო ასპექტის მიხედვით, არამედ დროისა და სხვა ელემენტების მიხედვითაც“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 270).

როგორც ვხედავთ, ასპექტის სისტემაში მომხდარი ცვლილებები იწვევს ზმნისწინთა ფუნქციების ზრდას, რაც საფუძვლად ედება მყოფადის წრის გამოყოფას. ავტორი თავს არიდებს, მიიჩნიოს ზმნისწინი მწკრივის მაწარმოებლად. ეს არის საფუძველი იმისა, რომ მწკრივთა წარმოების საკითხების განხილვისას ცალ-ცალკე არ განიხილავს აწმყოსა და მყოფადის წრის მწკრივთა წარმოებას; მიუთითებს კიდეც: „პირველ სერიაში ორი წრის მწკრივები შემოდის, მაგრამ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით არსებითად ერთი რომელიმე წრის მწკრივებია საკმარისი (მაგ., აწმყოს წრისა), რადგან ორ წრედ გაყოფა ერთი სერიისა ახალი სისტემის ასპექტის შექმნასთან დაკავშირებით მოხდა და განაყოფ მწკრი-

ვებს ერთნაირი ნიშნები აქვთ“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 423). ამიტომაც, ავტორი მსჯელობს აწმყოს წარმოებაზე და გულისხმობს მყოფადსაც...

აწმყო-მყოფადის მიმართების საკითხი რომ მხოლოდ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა მიმართების გარკვევით არ გადაწყდება, ეს, რა თქმა უნდა, აშკარა და ნათელია ავტორისათვის და ამიტომაცაა, რომ ზმნისწინს მწკრივის მაწარმოებლად არ მიიჩნევს. ა. შანიძე ხაზგასმით აღნიშნავს: „იმდენად მრავალფეროვანია წარმოქმნის ნუანსები ზმნისწინთა გამოყენების საკითხში, რომ შეუძლებელია, სპეციალური გამოკვლევის გარეშე, თუნდაც მიახლოვებით, აღინუსხოს ძირითადი ხაზები ამ საკითხში“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 253). ა. შანიძის მოძღვრების საფუძველზე შექმნილ ნაშრომებში კი ზმნისწინი მწკრივის მაწარმოებლადაა მიჩნეული (იხ. ლ. კვაჭაძე, 1981, გვ. 254; ა. კიზირია, 1984, გვ. 94; ზ. ჭუმბურიძე, 1986, გვ. 97).

5.2. მყოფადის წრის გამოყოფის ისტორია და მართებულობა

პასუხის გაცემას საჭიროებს კითხვები: არის კი ზმნისწინი ის ელემენტი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ აწმყო-მყოფადის განმასხვავებლად? სხვაგვარად: აწმყო-მყოფადის ფორმათა დაპირისპირება შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, როგორც დაპირისპირება სხვადასხვა საუღლებელი ერთეულებისა? საერთოდ, რა ფორმობრივი საფუძველი გვაქვს აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა საუღლებელ ერთეულებად მიჩნევისა?

ახლანდელი და მომავალი დროების გამოხატვა, რაც აწმყოსა და მყოფადის მწკრივთა სხვაობის საფუძვლადაა მიჩნეული, ყოველთვის არაა დაკავშირებული ზმნისწინთან. აქ. ზ. ჭუმბურიძის სამართლიანი შენიშვნით, „საკმაოდ ნაირფეროვანი სურათია“.

ა) მოქმედებითი გვარის ზმნათა უმრავლესობაში აწმყოსა და მყოფადის ფორმებს ზმნისწინი განასხვავებს:

აწმყო	**მყოფადი**
აკეთებს	გა-აკეთებს
აშენებს	ა-აშენებს
ხატავს	და-ხატავს
წერს	და-წერს და მრავალი სხვა.

შენიშვნა: როცა მყოფადის ფორმებში ზმნისწინთა შენაცვლება დროული მიმართების თვალსაზრისით არაფერს შეცვლის, მაგალითებში მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს წარმოვადგენთ, უფრო ნეიტრალურს, ზოგადი სემანტიკის გამომხატველს.

მაგრამ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება ამ ტიპის ზმნებშიც არაა ყოველთვის ერთგვარი. თუ ზმნისწინიანი ფორმა, ჩვეულებრივ, მხოლოდ მომავალ დროს გამოხატავს, უზმნისწინოს შესწევს უნარი გამოხატოს როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი დრო (ა. შანიძე, 1973, გვ. 218). ა. შანიძე ამ ტიპის მაგალითებად ასახელებს ზმნებს: ვჭამ, ვწერ, ვაშენებ, ვასწავლი... მაგალითების დასახელება შესაბამისად შეიძლება გაგრძელდეს. ფაქტია, ამგვარი ფორმები კონტექსტისდა შესაბამისად შეიძლება ერთ შემთხვევაში ახლანდელ დროს გამოხატავდეს, სხვა შემთხვევაში, მომავალს (ზოგჯერ შეიძლება დროული მნიშვნელობისაგან საერთოდ დაცლილი იყოს). ფორმათა განაწილება დროული თვალსაზრისით ასეთი იქნება:

ახლანდელი	**მომავალი**
ვჭამ	ვჭამ — შე-ვჭამ

ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება მომავალი დროის გამოხატვის შემთხვევაში ასპექტური იქნება, ისეთივე, როგორიცაა II და III სერიაში:

უსრული ასპექტი — ვჭამ, სრული ასპექტი — შევჭამ.

ბ) არის ერთი ნაწილი გარდამავალი ზმნებისა, რომლებიც „ზმნისწინის დართვის უნარს მოკლებულია“ და „ერთი და იმავე ფორმით გადმოსცემს როგორც ახლანდელ დროს, ისე მომავალს. ასე მაგალითად, **ადღეგრძელებს** ნიშნავს როგორც „სადღეგრძელოს ეუბნება“, ასევე „სადღეგრძელოს ეტყვის“ (ზ. ჭუმბურიძე, 1986, გვ. 36).

ამ ტიპის ზმნებია: აიძულებს, ანიშნებს, აგემებს, აკურთხებს, ამცნობს, ამხილებს, ანაცვალებს და სხვა.

შენიშვნა: მყოფადის წარმოების საკითხები — წარმოების საშუალებები — საფუძვლიანად არის შესწავლილი ზ. ჭუმბურიძის მონოგრაფიაში „მყოფადი ქართველურ ენებ-

ში“ (გვ. 85-130). ჩვენი მსჯელობა ძირითადად ამ ნაშრომს ემყარება.

ასეთივეა ვითარება მხოლოდ **უ-** პრეფიქსიანი მოქმედებითი გვარის ფორმებში: უანდერძებს, უბოძებს, უდეპეშებს, უთანაგრძნობს, უთვალთვალებს, უკარნახებს და მისთანანი (ზ. ჭუმბურიძე, 1986, გვ. 87).

ზმნისწინს არ დაირთავს აგრეთვე მოზრდილი ჯგუფი მოქმედებითი გვარის ზმნებისა, რომელთა უმეტესობა ნასახელარია და **ებ** თემის ნიშნით არის ნაწარმოები... ამ ტიპის ზმნათა საარვისო ქცევის ფორმა გვხვდება მოქმედებით გვარში როგორც ახლანდელის, ისე მომავალი დროის გაგებით: აბანაკებს, (არ) აბოგინებს, ადარდებს, ადღეგრძელებს, ავახშმებს, ათარეშებს, ათევზავებს... და მრავალი სხვა“ (იქვე).

„ახლანდელი და მომავალი დროის ფორმები გარჩეული არაა უზმნისწინო ზმნათა შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც, როგორიცაა, მაგალითად: აგებინებს, აკურთხებინებს, აზღვევინებს, აცემინებს, აბანავებინებს, თავს ადებინებს და სხვა“ (იქვე, გვ. 89).

გ) „არის ზმნათა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელიც მოქმედებას უპირატესად ხანგრძლივი პროცესის სახით წარმოგვიდგენს და უსრული ასპექტის ფორმით იხმარება. ასეთი ზმნები მყოფადში უფრო ხშირად უზმნისწინოდ გვხვდება, ასე რომ, აწმყოსა და მყოფადის (უსრული ასპექტის) ფორმათა დამთხვევა ამ ზმნებში სისტემატურ ხასიათს ატარებს. ასეთია, მაგალითად: აბოდებს, ათამაშებს, აკვნესებს, აკივლებს, აკოტრიალებს... და სხვანი“ (იქვე, გვ. 95-96).

ჩვენ ის შემთხვევები წარმოვადგინეთ, როცა უზმნისწინო ფორმა გამოხატავს როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი დროის მნიშვნელობას.

დ) „ფორმით აწმყოა და უმთავრესად ახლანდელი დროის გაგებას ატარებს, მაგრამ ამჟამად მომავალი დროის გაგებითაც შეიძლება შეგვხვდეს ენიანი ვნებითის ფორმები: ეალერსება, ეარშიყება, ებაასება, ედუდუნება, ეთამაშება... ზოგი ამგვარი ფორმა მყოფადში ზმნისწინითაც შეიძლება წარმოგვიდგეს, რითაც გაირჩევა მყოფადის სრული და უსრული ასპექტი; მაგალითად: ეალერსება — მოეალერსება, ეარშიყება — გაეარშიყება, ებაასება — გამოებაასება და სხვანი“ (იქვე, გვ. 96).

ე) არის შემთხვევები, როცა ზმნისწინიანი ფორმები გამოხატავს როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი დროის მნიშვნელობასაც. „ზმნები, რომლებიც აწმყოშიც ზმნისწინიანია, ზმნისწინს ვერ იცილებენ იმ შინაარსობრივი სხვაობის გამო, რაც ამ ზმნისწინის მეშვეობით არის

გამოხატული... მაგალითად: მი-ბრძანდება, მი-აგებს... მო-ასწავებს, მო-უწოდებს, მო-იხსენიებს... და-ედგომება, და-ეჯერება, და-იშვება... გადმო-ჰყურებს, გადმო-სცემს... შე-იცავს, შე-ეხება...“ (იქვე, გვ. 89).

„განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ასეთ შემთხვევაში აღ-, აღმო- და გან-, გამო- ზმნისწინები: აღ-აშფოთებს, აღ-ადგენს... აღმო-ფხვრის, აღმო-აცენებს, აღმო-ცენდება... გან-აგებს, გან-აგრძობს, გან-ავრცობს... გამო-რიცხავს, გამო-სახავს... და სხვანი...“ „რაკი ეს ზმნები აწმყოშიაც ზმნისწინიანი არიან, აწმყოსა და მყოფადს ვეღარ განასხვავებენ და ორივე მწკრივში ერთი ფორმით წარმოგვიდგებიან... საზიარო ფორმათა შორის განსხვავება კონტექსტის მეშვეობით მყარდება“ (იქვე, გვ. 89-90).

ვ) ისეთი შემთხვევებიც არის, როცა ზმნას აქვს როგორც უზმნისწინო, ასევე ზმნისწინიანი ფორმები, მაგრამ დროული მნიშვნელობა მხოლოდ ახლანდელისა აქვს; ასეთი ვითარება, ჩვეულებრივ, საშუალი გვარის ზმნებთან გვაქვს:

რბის — მირბის
ქრის — დაქრის
ხტის — დახტის და მრავალი სხვა.

ზ) არის შემთხვევებიც, როცა ზმნისწინიან თუ უზმნისწინო ფორმებს მხოლოდ მომავალი დროის გაგება აქვს:

ითამაშებს — გაითამაშებს
ირბენს — გაირბენს
იფრენს — გაიფრენს
იკითხავს — გაიკითხავს და მისთანანი.

ეს უკანასკნელი შემთხვევები სხვა მხრივაც არის საინტერესო: თუ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს მხოლოდ აწმყო დროის გაგება აქვთ, ისინი იმავე ფუძისაგან მყოფადს ვერ იწარმოებენ; ნასესხები ფორმებით ივსებენ ნაკლულ მწკრივებს:

რბი-ს — ირბენ-ს
ქრი-ს — იქროლებ-ს
ხტი-ს — იხტუნებ-ს

და, შესაბამისად, თუ ზმნისწინიან ან უზმნისწინო ფორმებს მხო-

ლოდ მომავალი დროის გაგება აქვთ, აწმყოში სხვა ფუძისაგან წარმოებული ფორმები ენაცვლებათ:

ითამაშებ-ს — თამაშობ-ს
იფრენ-ს — ფრენ-ს || ფრინავ-ს
იკითხავ-ს — კითხულობ-ს...

ეს იმითაა საინტერესო, რომ ამ ტიპის ზმნებში ზმნისწინებს დროული გაგება არ შეაქვთ...

თ) არის საგანგებო შემთხვევებიც, როცა მომავალი დროის მნიშვნელობის მქონე უზმნისწინო ფორმებს ზმნისწინის დართვა ახლანდელი დროის მნიშვნელობას ანიჭებს:

მომავალი დრო	ახლანდელი დრო
იგიჟებს — „გიჟივით მოიქცევა“;	**მოიგიჟებს** — „ცოტათი გიჟია, მთლად ჭკვიანი არ არის“;
იზარმაცებს — „ზარმაცობას დაიწყებს, ზარმაცობას მოჰყვება“;	**მოიზარმაცებს** — „ზარმაცის თვისებებს იჩენს, ოდნავ ზარმაცია“;
ითავხედებს — „თავხედობას გამოიჩენს, თავხედურად მოიქცევა“;	**წაითავხედებს** — „ცოტა არ იყოს, თავხედია“;
იკოჭლებს — „კოჭლობით ივლის“;	**მოიკოჭლებს** — „ოდნავ კოჭლია“;
იავადმყოფებს — „ავად იქნება გარკვეული დროის განმავლობაში“;	**მოიავადმყოფებს** — „ოდნავ ავად არის“;
იავადებს — „იგივეა, რაც იავადმყოფებს“;	**მოიავადებს** — „იგივეა, რაც მოიავადმყოფებს“;
ისულელებს — „სულელივით, სულელურად მოიქცევა, სისულელეს ჩაიდენს“	**მოისულელებს** — „ცოტა სულელია, მოსულელოა“.

შენიშვნა: განმარტებები აღებულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“.

ასევე: **იბრიყვებს** და **მოიბრიყვებს**;
იავებს და **წაიავებს**;
იბეჯითეს და **წაიბეჯითებს** და მისთანანი.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ 8 ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც ახ-

ლანდელი და მომავალი დროების გამოხატვის თვალსაზრისით პრინციპულ სხვაობას იჩენენ იმ ტიპის ზმნებისაგან, რომლებშიც ახლანდელ და მომავალ დროებს ზმნისწინი განასხვავებს. წარმოდგენილი შემთხვევების განხილვა აშკარად წარმოაჩენს, რომ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება არაა მყარი საფუძველი აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა მწკრივად გამოყოფისათვის; სხვაგვარად: აწმყოსა და მყოფადის მწკრივებზე მსჯელობისას განზოგადება იმისა, რომ მყოფადის ფორმა იწარმოება აწმყოსაგან ზმნისწინის დართვით, არ ჩანს გამართლებული, რადგან სურათი ასეთია:

უზმნისწინო ფორმას აქვს: 1. მხოლოდ აწმყოს გაგება
2. აწმყოსა და მყოფადის გაგება
3. მხოლოდ მყოფადის გაგება

ზმნისწინიან ფორმას აქვს: 1. მხოლოდ აწმყოს გაგება
2. მხოლოდ მყოფადის გაგება
3. აწმყოსა და მყოფადის გაგება

და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „დრო და კილო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, შესაბამისად: ერთი მწკრივის ფორმათა მეორისაგან განსხვავებულად ვერ მივიჩნევთ ე. წ. „მწკრივის ელემენტებს“. მწკრივის განსაზღვრა ამ ელემენტების მიხედვით არ მოხერხდება“ — დროის კატეგორიის საფუძველზე აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა მწკრივებად ჩათვლა გაჭირდება.

ამდენად, ფორმაწარმოების თვალსაზრისით ფორმათა დაპირისპირება

ა კ ე თ ე ბ ს — გ ა ა კ ე თ ე ბ ს
ა კ ე თ ე ბ დ ა — გ ა ა კ ე თ ე ბ დ ა
ა კ ე თ ე ბ დ ე ს — გ ა ა კ ე თ ე ბ დ ე ს იმავე რიგისაა, როგორც
ა კ ე თ ა — გ ა ა კ ე თ ა და სხვა.

ყველა შემთხვევაში განსხვავება ზმნისწინს ემყარება. ამიტომ I სერიაში ორი წრის გამოყოფის საკითხი მარტივად ვერ გადაწყდება: გვერდს ვერ ავუვლით გარეგნულად ამგვარადვე განსხვავებულ II და III სერიის ფორმებს, აქ ერთი არსებითი ხასიათის საკითხია გადასაჭრელი: რამდენადაც მწკრივთა სხვაობა ფუძეთა სხვაობაზეა დამყარებული, ზმნისწინისა და ზმნური ფუძის ურთიერთმიმართების საკითხი მოითხოვს გარკვევას.

5.3. შედის თუ არა ზმნისწინი ფუძეში?

სანამ ამ კითხვას გავცემთ პასუხს, გავიხსენოთ, რა არის ფუძე. ზმნური ფუძის განმარტებისას ყურადღება პირისა და რიცხვის ნიშნებზეა გამახვილებული („ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები“). ამ განმარტების შესაბამისად, ზმნისწინი, თავისთავად ცხადია, ფუძის ნაწილად გაიაზრება. პირველი სერიის მწკრივთა ანალიზი მხოლოდ ამ თვალსაზრისს უჭერს მხარს: ზმნისწინი აქ მწკრივებს განასხვავებს:

აკეთებს	—	გა-აკეთებს
აკეთებდა	—	გა-აკეთებდა
აკეთებდეს	—	გა-აკეთებდეს

სხვაგვარი ვითარება II და III სერიის შემთხვევაში: ზმნისწინის ქონა-არქონა მწკრივის ფორმათა განმასხვავებელი ფაქტორი არ არის; ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია:

აკეთა	და	გა-აკეთა
აკეთოს	და	გა-აკეთოს
უკეთებია	და	გა-უკეთებია
ეკეთებინა	და	გა-ეკეთებინა
ეკეთებინოს	და	გა-ეკეთებინოს

ზმნისწინი ამ შემთხვევაში ფუძისეულად აღარ გაიაზრება: წინააღმდეგ შემთხვევაში **აკეთა** და **გააკეთა** სხვადასხვა მწკრივის ფორმებად უნდა იქნეს გაგებული (როგორც აკეთებდა და გააკეთებდა), რამდენადაც მწკრივთა შორის სხვაობას ფუძეთა სხვაობა ქმნის.

მოკლედ: ზმნისწინისა და ზმნური ფუძის მიმართების საკითხი პრობლემურია და რთული. გარკვეული პასუხი კითხვაზე — ზმნისწინი შედის თუ არა ზმნურ ფუძეში (მწკრივის ფუძეში) — არაა გაცემული. მეტიც, ეს საკითხი არცაა დასმული სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვეულებრივ, ზმნურ ფუძეზე მსჯელობისას უზმნისწინო ფორმებს განიხილავენ. უფრო მეტიც, თუკი ამის შესაძლებლობა არსებობს, უღლების ტიპებსა და სახეობებზე მსჯელობისას ძირითადად უზმნისწინო ფორმებს წარმოგვიდგენენ.

არის ფაქტორები, რომლებიც ზმნისწინს ფუძისეულად გაგვააზრებინებს. ჯერ ერთი: ცალკეული ჯგუფის ზმნები ამა თუ იმ მწკრივის ფორმებში უზმნისწინოდ არ გვხვდება. მაგ.: „უწინდებულოდ დონიანი ვნებითი (კეთდა, შენდა, ძლიერდა...) ნამყო ძირითადში შეუძლებელია“ (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 81); ისიც ცნობილია, რომ ზმნისწინი ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას უცვლის: „წინდებულის დართვისას ფუძის მნიშვნელობა შეიძლება არსებითადაც შეიცვალოს. შდრ.: გა-იგო, მო-იგო, და-იგო“ (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 061). გარდა ამისა, „იშვიათად ისეთი ზმნებიც გვხვდება, რომლებიც უზმნისწინოდ არ იხმარება; გვაქვს: მი-ვიდა, მო-ვიდა... მაგრამ ცალკე ვიდა ამჟამად არ მოგვეპოვება“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 239). ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა სხვადასხვა სალექსიკონო ერთეულებად მიჩნევა (მაგ. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“) ზმნისწინის ფუძისეულობას დაუჭერდა მხარს და, როგორც ითქვა, აწმყოს წრისა და მყოფადის წრის მწკრივთა სხვადასხვა საუღლებელ ერთეულებად წარმოდგენა მხოლოდ ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით შეიძლება; ზმნათა უმრავლესობაში აწმყოსა და მყოფადის წრის მწკრივთა ფორმების დაპირისპირება მხოლოდ ზმნისწინის საშუალებით ხდება.

მაგრამ ზმნისწინის ფუძისეულად გააზრებას ზმნურ ფორმაწარმოებაში რამდენიმე სირთულე ახლავს. პირველ რიგში, როგორც ითქვა, II და III სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები (წერა — დაწერა, ან ჩაწერა...) სხვადასხვა საუღლებელ ერთეულებად უნდა იქნეს გაგებული, როგორც ეს პირველ სერიაშია; ანდა, სხვადასხვა ზმნის (წერს, დაწერს, ჩაწერს...) — ერთი და იმავე მწკრივის ფორმებად. მაგრამ ამგვარად გადაწყვეტა საკითხისა წინააღმდეგობაში მოვა პირველი სერიის მწკრივთა გამოყოფის პრინციპთან.

თუ ზმნისწინს ფუძისეულად გავიაზრებთ, იმდენი ფუძე გვექნება, ერთი და იმავე ზმნური ძირისაგან წარმოებული, რამდენიც ზმნისწინიანი ვარიანტიც გვაქვს ამა თუ იმ შემთხვევაში. მაგ.: დაწერს, ჩაწერს, მიწერს, მოწერს, გაწერს, აღწერს, ამოწერს, გადაწერს, გამოწერს, ჩამოწერს, გადმოწერს... დღეს მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, ყველა ეს ფორმა ერთი და იმავე **წერს** ზმნის მყოფადის ფორმებია, ზმნისწინით განსხვავებული. სხვადასხვა ფუძეზე ან სხვადასხვა ზმნაზე ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ არ საუბრობენ. ზოგადად მიენიშნება, რომ ფორმა ზმნისწინიანია და ნიმუშად რომელიმე მათგანს (ჩვეულებრივ ნეტრალური, ზოგადი სემანტიკური მნიშვნელობისას) წარმოადგენენ (მაგ. **წერს** ზმნისათვის **დაწერს** ფორმას). თუ ზმნისწინს ფუძისეულად

გავიაზრებთ, იმდენ ფუძეზე უნდა ვილაპარაკოთ, რამდენი ზმნისწინიანი ფორმაც გვაქვს.

არის კიდევ ერთი არსებითი ხასიათის ფაქტორი: ა. შანიძე წერს — „ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებული სახელისათვის. ერთიც და მეორეც დამოუკიდებელი სიტყვა იყო ერთ დროს, მაგრამ დამოუკიდებლობა დაკარგეს და შეეზარდნენ სახელს ან ზმნას. მსგავსება ამით არ ამოიწურება. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე „სიტყვა“ (ოდესღაც დამოუკიდებელი) სახელთან თანდებულად არის გამოყენებული, ზმნასთან კი — ზმნისწინად“) (ა. შანიძე, 1973, გვ. 260). ტმესის მოვლენა ძველი ქართულისათვის ამ თვალსაზრისის ნათელი დადასტურებაა. სავსებით გასაზიარებელია ა. შანიძის დასკვნა, ამ მოვლენის განხილვის შედეგად გაკეთებული: „როგორც მაგალითებიდან ჩანს, ზმნისწინს ერთგვარი დამოუკიდებლობა აქვს, ის აუცილებლად მიკრული არ არის ზმნაზე... დიდი არ არის ეს დამოუკიდებლობა, მაგრამ მაინც გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც ზმნისწინს გაუვლია სრული დამოუკიდებლობიდან სრულ დაქვემდებარებამდე და მორფემად ქცევამდე. დღეს ტმესისა შორეული მოგონებაღა გვაქვს, რამდენადაც ზმნა და ზმნისწინი მაინც იყოფა პირისა, ქცევისა და გვარის ნიშნებად ან მიმღეობათა აფიქსებად“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 260).

ზმნური ფორმაწარმოების საკითხების განხილვისას ჩვენ ამ უკანასკნელ თვალსაზრისს დავეყრდნობით; „ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებული სახელისათვის“. **ეს თვალსაზრისი ზმნისწინს ფუძისეულად არ გაგვააზრებინებს.**

მართალია, ამგვარი მსჯელობის საფუძველზე ზმნისწინის არაფუძისეულად მიჩნევა ერთგვარად პირობითია, მაგრამ ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხების განხილვისას ამ პირობითობას აქვს საფუძველი: მწკრივის ფუძეთა წარმოება არაა მჭიდრო კავშირში ზმნისწინთან; სხვადასხვა ზმნისწინთა მონაცვლეობა ერთი და იმავე მწკრივის ფორმასთან ასევე არ ქმნის პრობლემას ფორმაწარმოების თვალსაზრისით. ყველა მწკრივის ფორმათა გათვალისწინებით შესაძლებელია ზმნისწინთა ფუნქციების განზოგადება; ფუძის სემანტიკიდან გამომდინარე, ზმნისწინი ან მიმართულებას აღნიშნავს, ან ასპექტურ დაპირისპირებას ახდენს, ან ლექსიკურ მნიშვნელობას უცვლის ზმნას (აწმყო-მყოფადის დაპირისპირების შემთხვევაშიც). განზოგადება არ მოხერხდება, როცა ზმნისწინი დროულ მიმართებას ცვლის, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი მხოლოდ დროული მნიშვნელობით დაპირისპირებას არასოდეს არ ახდენს: სხვა ფუნქციებიც არ გამოირიცხება ზმნისწინისა.

შენიშვნა: როგორც ითქვა, ზმნისწინის ფუნქციის განზოგადება პირველად დ. ყიფიანმა მოახდინა. შედეგად გამარტივდა უღლების სისტემა და ანალიზიც გაიოლდა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნისწინი პოლისემანტიკური მონაცემია — ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მნიშვნელობის შემცველი. რომელიმე კონკრეტულ ზმნურ ფუძესთან რა მნიშვნელობაც აქვს მას ერთ შემთხვევაში, იგივე მნიშვნელობა ექნება ამავე ზმნის სხვა მწკრივის ფორმებთან. სხვაობას რიგ შემთხვევაში აწმყო ქმნის (დროის ფაქტორი შემოდის აქ), მაგრამ ეს არ არის ზოგადი კანონზომიერება აწმყო-მყოფადის დაპირისპირებისა და, შესაბამისად, საფუძველი იმისა, რომ აწმყო და მისგან ნაწარმოები მწკრივები განვასხვავოთ მყოფადისა და მისგან ნაწარმოები მწკრივებისაგან.

ამგვარმა გადაწყვეტამ გააბუნდოვნა ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხი: ერთგვარი წარმოების შემთხვევები სხვადასხვა მწკრივად იქნა აღქმული:

ა წ მ ყ ო		მ ყ ო ფ ა დ ი
ი-კეთ-ებ-ს	და	ი-მეფ-ებ-ს
უ-თვალთვალ-ებ-ს	და	უ-პატრონ-ებ-ს
და-ფრინ-ავ-ს	და	და-ხატ-ავ-ს

რა თქმა უნდა, ეს სირთულე აწმყო-მყოფადის დაპირისპირებაში შემჩნეული იყო. ა. შანიძე საკითხს ასე სვამს: „თუ წარმოებას მივაქცევთ ყურადღებას, **ისინი ყველა აწმყოს ფორმებია,** მაგრამ მნიშვნელობით უთუოდ მყოფადის წრის ზმნებთან ერთად არიან. აწმყოში მათ სხვა ზმნები ენაცვლებიან... და, ამის მიხედვით მათ მყოფადში აქვთ მოპოვებული ადგილი: „ვნახავ“ მყოფადის ფორმაა, „ვნაყავ“ კი — აწმყოსი, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარად ნაწარმოები ფორმებია“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 275). ამ შემთხვევაში, თუ ფორმას ორივე დროის გაგება შეიძლება ჰქონდეს, ზმნისწინიანები მყოფადში უნდა მოვათავსოთ (მაგ.: განსაზღვრავს, აღნიშნავს...), ხოლო უზმნისწინოები — აწმყოში (მაგ.: ადღეგრძელებს, ავახმებს...) (იქვე). გამოდის, რომ თუ ფორმა პოლისემიურია დროს თვალსაზრისით, ანგარიშს ვუწევთ მხოლოდ ფორმას და უგულებელვყოფთ აწმყო-მყოფადის დაპირისპირების სემანტიკურ საფუძველს; ხოლო თუ ფორმა არაა პოლისემიური დროის მიხედვით, ანგარიშს ვუწევთ სემანტიკას და უგულებელყოფილი რჩება

აწმყო-მყოფადის დაპირისპირების ფორმობრივი საფუძველი. ე. ი. თავს იჩენს წინააღმდეგობა.

ზ. ჭუმბურიძეს მიაჩნია, რომ თუ ფორმა პოლისემიურია დროის თვალსაზრისით, ანგარიშს ვუწევთ მხოლოდ ფორმას და უგულებელვყოფთ აწმყო-მყოფადის დაპირისპირების სემანტიკურ საფუძველს; ხოლო თუ ფორმა არაა პოლისემიური დროის მიხედვით, ანგარიშს ვუწევთ სემანტიკას და უგულებელყოფილი რჩება აწმყო-მყოფადის დაპირისპირების ფორმობრივი საფუძველი. ე. ი. თავს იჩენს წინააღმდეგობა. ე. ი.:

ზ. ჭუმბურიძის აზრით, „მართებული იქნება, რომ ის ზმნისწინიანი თუ უზმნისწინო ფორმები, რომლებიც გვხვდება როგორც ახლანდელი, ისე მომავალი დროის გაგებით, მწკრივის მიხედვითაც პოლისემიურად ვცნოთ და, თუ ახლანდელი დროა, აწმყოს მწკრივს მივაკუთვნოთ, მომავლის გაგებით კი — მყოფადის მწკრივს“ (ზ. ჭუმბურიძე, 1986, გვ. 91). მწკრივთა გამოყოფის ფორმობრივი საფუძველი აქაც ირღვევა; თუ რომელი მწკრივია, გარჩევა მხოლოდ კონტექსტის მიხედვით უნდა მოხდეს. თუმცა ა. შანიძე გარკვევით წერს: „ამ ტიპის უზმნისწინო ფორმები „მწკრივის თვალსაზრისით“ აწმყო, ხოლო ზმნისწინიანი — „მწკრივის თვალსაზრით“ მყოფადი (ა. შანიძე, 1973, გვ. 266). ფორმობრივი საფუძველი დაპირისპირებისა ირღვევა მაშინაც, როცა ზმნისწინიან ფორმებს მხოლოდ ახლანდელი დროის გაგება აქვს, ანდა უზმნისწინო ფორმებს — მხოლოდ მომავალი დროისა. საბოლოოდ, აწმყო-მყოფადის გამოყოფა ძირითადად სემანტიკურ პრინციპს ემყარება და არა ფორმობრივს. ფორმობრივი პრინციპის გატარება სემანტიკურს დაარღვევს...

თუ ერთსა და იმავე ფორმას დროული მნიშვნელობის სხვაობის მიხედვით სხვადასხვა მწკრივად მივიჩნევთ აწმყოსა და მყოფადში, ამ პრინციპით ბრძანებითის მწკრივის გამოყოფაც იქნებოდა შესაძლებელი ახალ ქართულში; მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში სემანტიკური სხვაობა უფრო მკვეთრია (კილოს მიხედვითაც განსხვავდება); ვიდრე აწმყო-მყოფადის შემთხვევაში (აქ მხოლოდ დრო ქმნის სხვაობას); მაგრამ სრულიად სამართლიანად „გააკეთე“ და „გააკეთე!“ სხვადასხვა მწკრივის ფორმებად არ მიიჩნევა. ეს ფაქტიც უნდა იქნეს გათვალისწინებული აწმყო-მყოფადის მწკრივთა საკითხის გადაწყვეტისას.

როგორც ვხედავთ, აწმყოსა და მყოფადის დამოუკიდებელ მწკრივებად გამოყოფის საკითხი სერიოზულ სირთულეებს აწყდება. უპირველეს ყოვლისა, ირღვევა ზოგადი პრინციპი. ხოლო ხოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის დამოუკიდებელ მწკრივებად მიჩნევა არა მარ-

ტო არღვევს ამ პრინციპს, არამედ არსებითად ეწინააღმდეგება მას. თუ აწმყო-მყოფადის შემთხვევაში ზოგჯერ შეიძლება სემანტიკური მომენტი (დროული დაპირისპირება) მოგვეშველიებინა, მყოფადის წრის სხვა მწკრივთა შემთხვევაში ესეც გამოირიცხება.

ვიმეორებთ: მყოფადის წრის გამოყოფის გამართლება ზმნისწინს ფუძისეულად გაგვააზრებინებს. მაშინ, ასევე უნდა გადაწყდეს II და III სერიების მწკრივთა ფუძის საკითხიც — ზმნისწინს აქაც უნდა გაეწიოს ანგარიში; ამგვარი დაშვების შემთხვევაში ასპექტი გამოვა ის სემანტიკური მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს სხვადასხვა მწკრივად ჩავთვლიდით, ასე კი საკითხი ჯერ არ დასმულა და, ალბათ, არც უნდა დაისვას. როგორც აღინიშნა, ანგარიშგასაწევია და გასაზიარებელი დ. ყიფიანისეული გადაწყვეტა საკითხისა: „აუცილებელია, უნდა შემოკლდეს როგორმე ეს უღვლილება... განა არ შეიძლება, ერთხელ ითქვას და ამით გათავდეს, რომ ზმნას სახე სრული ყოველთვის მაშინ მიეცემა, როდესაც თავს პრეფიქსად ერთერთი მიმძღოლი თანდებული მიუჯდებაო“ (დ. ყიფიანი, 1982, გვ. 104).

ამ თვალსაზრისს ისიც დაუჭერს მხარს, რომ, ჩვენი აზრით, დრო და კილო, ისევე როგორც თანამდევრობა, გეზი და ორიენტაცია, არაა მორფოლოგიური კატეგორიები და მხოლოდ დროული და კილოური მნიშვნელობების მიხედვით განსხვავებული ფორმები დამოუკიდებელ მწკრივებად არ უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, ზმნის ფუძის განმარტებისას ჩვენთვის ძალაში რჩება ტრადიციული თვალსაზრისი შემდეგი დაზუსტებით: **მწკრივის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები.**

რამდენადაც მწკრივთა გამოყოფა და დაჯგუფება საწარმოებელი ფუძის პრინციპს ემყარება, იმდენ მწკრივზე უნდა ვისაუბროთ, რამდენი განსხვავებული ფუძეც არსებობს.

მწკრივის ფუძის ამგვარი გაგების საფუძველზე უღლების სისტემა უნდა გაიმართოს იმ პრინციპზე, რა პრინციპითაც არის წარმოდგენილი II და III სერიაში. ეს თვალსაზრისი I სერიაში სამი მწკრივის გამოყოფას ვარაუდობს. ამისდაკვალად, ახალ ქართულში ზმნური ფორმები დაჯგუფდება სამ სერიად და 8 მწკრივად.

I სერია

1-ლი მწკრივი (აწმყო-მყოფადი) — (ზმნისწ.)-ა კ ე თ ე ბ ს

მე-2 მწკრივი (უწყვეტელი-ხოლმეობითი) — (ზმნისწ.)-აკეთებდა
მე-3 მწკრივი (I კავშირებითი) — (ზმნისწ.)-აკეთებდეს

II სერია

მე-4 მწკრივი (წყვეტილი) — (ზმნისწ.)-აკეთა
მე-5 მწკრივი (II კავშირებითი — (ზმნისწ.)-აკეთოს

III სერია

მე-6 მწკრივი (I თურმეობითი) — (ზმნისწ.)-უკეთებია
მე-7 მწკრივი (II თურმეობითი) — (ზმნისწ.)-ეკეთებინა
მე-8 მწკრივი (III კავშირებითი) — (ზმნისწ.)-ეკეთებინოს

შენიშვნა: 1. რამდენადაც ერთსა და იმავე ზმნასთან შესაძლებელია სხვადასხვა ზმნისწინთა მონაცვლეობა, ვამჯობინებთ, პირობითად მივანიშნოთ მათზე.

2. ტერმინთა პირობითობის თაობაზე ზემოთაც ითქვა. I სერიაშიც ამჯერად ტრადიციული ტერმინების დატოვებას ვამჯობინებთ. გარკვეულ უხერხულობას შეიძლება ქმნიდეს პირველი და მეორე მწკრივის სახელები (აწმყო-მყოფადი, უწყვეტელ-ხოლმეობითი), მაგრამ ახალი ქართულისათვის მსჯელობის გასაადვილებლად ეს პირობითობაც დასაშვებად მიგვაჩნია.

5.4. დრო-კილოთა სისტემა და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“

განსახილველ პრობლემებთან დაკავშირებთ საინტერესო და ანგარიშგასაწევია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ჩვენება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიამ ტრადიციისაგან განსხვავებით ზმნის პირიანი ფორმა მიიჩნია ძირითად სალექსიკონო ერთეულად. უპირატესობა მიენიჭა აწმყოს მესამე პირის ფორმას: „ზმნის ლექსიკურ ერთეულად კომისიამ მიიღო **აწმყოს** (მყოფადის) მესამე პირი ყველა იმ წარმოებისა, რაც ზევით აღვნიშნეთ: **თესავს, ითესავს, უთესავს, ათესვინებს, ეთესება, ითესება, თესია, უთესია** (თითოეული მათგანი დროებს აწარმოებს: თესავდა, თესავდეს, თესა, თესოს, უთესავს, ეთესება, ეთესოს, მაგრამ ესენი ლექსიკურ ერთეულებად **არ მიიჩნევა** და ლექსიკონში არ შედის“ (ქეგლ, 1950, გვ.

011). ისიც გავიხსენოთ, „**რაც** ზევით აღვნიშნეთ“: „ზმნის ექსპრესიული ძალა დიდია. ზმნას შეუძლია, წარმოგვიდგინოს მოქმედება: როგორც პასიური პროცესი და როგორც სუბიექტის აქტიური ობის გამოვლენა: **ითესება** და **თესავს;** როგორც სუბიექტისთვის განკუთვნილი და როგორც საობიექტო (მასთან — აქტიური, პასიური): **ითესავს, უთესავს, ეთესება;** როგორც სუბიექტის ნამოქმედარი და როგორც სხვისი მეშვეობით შესრულებული: **თესავს** და **ათესვინებს;** როგორც მდგომარეობა, სტატიკურს ყოფაში: თესია (ე. ი. დათესილია; კუთვნილების აღნიშვნით: უთესია), და როგორც პროცესი, დინამიკა: თესავს, ითესება, ითესავს და სხვ.“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, განსხვავებულ სალექსიკონო ერთეულებადაა მიჩნეული სხვადასხვა გვარის (აქტიური თუ პასიური), სხვადასხვა ქცევის, კაუზატიური თუ არაკაუზატიური, სტატიკური თუ დინამიკური ზმნების აწმყოს მწკრივის III პირის ფორმები:

თესავს
ითესავს
უთესავს
ათესვინებს
ითესება
ეთესება
თესია
უთესია

ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „თითოეული მათგანი დროებს იწარმოებს“, ე. ი. სხვადასხვა მწკრივის ფორმა მოეპოვება.

ე. ი. სალექსიკონო ფორმაა: თ ე ს ა ვ ს
მისგან ნაწარემოები დროებია: თესავდა
თესავდეს
თესა
თესოს
უთესია
ეთესა
ეთესოს

რვა მწკრივის (დროის) ფორმაა წარმოდგენილი:

აწმყო, უწყვეტელი, I კავშირებითი, წყვეტილი, II კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი. ქეგლ-ის წინა-

სიტყვაობაში არაფერია თქმული ე. წ. მყოფადის წრის მწკრივთა ფორმების შესახებ: თუმცა აქვე, ქეგლის I ტომში, მთავარი რედაქტორის „ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ I სერია ასე წარმოდგენილი:

„**აწმყოს** წყებაში შედის:

1. აწმყო;
2. აწმყოსგან ნაწარმოები ნამყო უსრული;
3. ნამყო უსრულისაგან ნაწარმოები კავშირებითი პირველი;
4. აწმყოსგანვე ნაწარმოები მყოფადი და
5. მყოფადისაგან ნაწარმოები პირობითი“ (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 062).

წინასიტყვაობაში მწკრივთა ფორმების ჩამოთვლისას მყოფადი და პირობითი არაა წარმოდგენილი: **დათესავს, დათესავდა. დათესავს** სალექსიკონო ერთეულადაა წარმოდგენილი (III ტომი) არა როგორც **თესავს** ზმნის სხვა დროის (მწკრივის) ფორმა, არამედ როგორც დამოუკიდებელი სალექსიკონო ერთეული; დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებადაა წარმოდგენილი თესავს ზმნის ყველა ზმნისწინიანი ფორმა (მორფოლოგიურად მყოფადის მწკრივის ფორმა): დათესავს, გამოთესავს, განთესავს, მითესავს, მოთესავს, შეთესავს... ივარაუდება, რომ ყველა ეს ფორმა ფორმობრივად და ლექსიკურად ტოლფასია თესავს ზმნისა. ეს არის პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობა ქეგლ-ის წინასიტყვაობისა და ქართული ენის ზოგად დახასიათებაში წარმოდგენილი თვალსაზრისებისა.

ვიმეორებთ: სალექსიკონო ერთეულის (თესავს) სხვა მწკრივის ფორმები „ლექსიკურ ერთეულებად არ მიიჩნევაო და ლექსიკონში არ შედის“. აქედან გამომდინარე, ის რაც ლექსიკური ერთეულებია, არ შეიძლება ერთი მეორის მიმართ მწკრივის ფორმებად იქნეს კვალიფიცირებული. თითოეულ სალექსიკონო ერთეულს — აწმყოს (მყოფადის) ფორმას — თავისი მწკრივის ფორმები ექნება, რომლებიც „ლექსიკურ ერთეულებად არ მიიჩნევა.“ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც ლექსიკონში შედის, „დროის ფორმები“ არ არის...

რამდენადაც თავად ლექსიკონში ზმნა იმ პრინციპითაა წარმოდგენილი, რაც წინასიტყვაობაშია მოცემული, ფაქტია, რომ „მყოფადის ფორმა“ არის არა „აწმყოს ფორმის“ პარადიგმის წევრი, არამედ მისი ტოლფასი.

თავად ის ფაქტი, რომ წინასიტყვაში ამგვარადაა მოცემული —

აწმყო (მყოფადი), ერთ ოდენობად არის მიჩნეული (ფრჩხილების ფუნქცია ამ შემთხვევაში ასე გვესმის ჩვენ). ეს არ არის **აწმყო ან მყოფადი,** ეს არის **აწმყო ანუ მყოფადი.**

ფაქტობრივ, ქეგლ-ის რვატომეულში ზმნის წარმოდგენის პრინციპი მხარს უჭერს შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ფორმობრივი თვალსაზრისით მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფა გაუმართლებელია.

ძალიან საინტერესოა ქეგლ-ის ერთტომეულის (1986 წ.) წინასიტყვაობაში არნ. ჩიქობავას განმარტება სალექსიკონო ერთეულის შესახებ: „სალექსიკონო ერთეულის საკითხი სახელისათვის მარტივია, სახელობითი ან სახელობითის ფ უ ძ ე, რამდენადაც ლექსიკური მნიშვნელობა ფ უ ძ ე ს თ ა ნ არის დაკავშირებული. რაც შეეხება ზმნას, ქართული ზმნის რიგი კატეგორია ლექსიკურად განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია, ე. ი. ახალ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს; იგულისხმება: **ქცევა, გვარი, კაუზატივი,** აგრეთვე, **მიმღეობა, პრევერბიანი** (ზმნისწინიანი) **ვარიანტები (შლის: იშლის, უშლის, იშლება, ეშლება; აშლევინებს... გაშლილი, გასაშლელი... აშლის, წაშლის, მოშლის, გადაშლის, გადმოშლის...).** სახელში მსგავსი ნაწარმოები ფუძეები იქნებოდა: ძმ-ურ-ი, ძმ-ობ-ა, მო-ძმ-ე, სა-ძმ-ო; კაც-ურ-ი, უ-კაც-ურ-ი, კაც-ობ-ა, სა-კაც-ე, უ-კაც-რ-ავ-ად...“ (არნ. ჩიქობავა, 1986, გვ. 6).

როგორც ვხედავთ, ზმნისწინი (და მიმღეობა) გრამატიკული კატეგორიების რანგში არის აყვანილი: პრევერბიანი ვარიანტები გვარის, ქცევისა თუ კაუზატივის ფორმათა ტოლფასადაა მიჩნეული; ამოსავალი ფორმისაგან (შლის) პრევერბით განსხვავებული ფორმები (წაშლის, მოშლის...) ისეთივე დამოუკიდებელ ფუძეებად არის მიჩნეული, როგორც სახელის შემთხვევაში **კაც-ი / სა-კაც-ე / უ-კაც-რ-ავად...**

ამავე წინასიტყვაობაში საუბარია იმის თაობაზე, რომ „აწმყოს ეს ფუძე, ე. ი. ამოსავალი ფუძე მასდარისა, ე. ი. ის, რაც მასდარის საყრდენია, ავირჩიეთ ზმნის ლექსიკურ ერთეულად“ (იქვე)... „მთავარია ის, რომ სალექსიკონო ერთეულად შერჩეულია ზმნის ის ფუძე, რისგანაც მასდარი (სახელზმნა) იწარმოება და რამაც ქართული ზმნის ლექსიკურ-სემანტიკური სიმდიდრის გამოვლენა ლექსიკონში შეგვაძლებინა“ (იქვე). ამ უკანასკნელ მსჯელობაში, მართალია, უზმნისწინო ვარიანტებია მოხმობილი მაგალითებად, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ზმნისწინიანი ვარიანტები ამათ ტოლფასად მოიაზრება; ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტები არა ერთი-მეორის მიმართ მწკრივის ფორმებად, არა-

მედ ერთი და იმავე მორფოლოგიური ღირებულების ერთეულებად მოიაზრება. ამ წინასიტყვაში (განსხვავებით რვატომეულის წინასიტყვაობისაგან) საუბარია მხოლოდ აწმყოზე (როგორც პირიან ფორმათა სალექსიკონო ერთეულზე) და **მყოფადი** (როგორც დრო ანუ მწკრივი) ნახსენებიც არ არის. ე. ი. ყველა სალექსიკონო პირიანი ფორმა ზმნისა ერთი მორფოლოგიური ოდენობაა, აქ წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით, **აწმყოს** ფორმა... ეს კი მხარს უჭერს ჩვენს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ **მყოფადი** (ზმნისწინიანი ვარიანტები) არ არის **აწმყოსაგან** განსხვავებული მწკრივის ფორმა, ისეთი, როგორიცაა სხვა მწკრივის ფორმები... თუმცა მთავარი რედაქტორის წინასიტყვაობაში წარმოდგენილ ამ თვალსაზრისს უპირისპირდება (უფრო სწორად ეწინააღმდეგება) წინასიტყვაობაში „ლექსიკონის სარგებლობის შესახებ“ მოხმობილი მსჯელობა: „ზმნები წარმოდგენილია აწმყოს (წინდებულიანები —მყოფადის) ფუძით, მესამე პირის მხოლობით რიცხვში... ზმნის უწინდებულო ფუძე, ჩვეულებრივ, გაგზავნილია სათანადო წინდებულიანთან (**ბარავ-ს** იხ. დაბარავს), ხოლო თუ უწინდებულო ფუძეს ნამყო ძირითადში (უნდა იყოს მყოფადი? ყოველ შემთხვევაში ილუსტრაციები ამას მიანიშნებს — გ. გ.) ორ- და მეტწინდებულიანი ზმნები შეესაბამება, მაშინ მათ ცალცალკე მივუთითებთ და ვურთავთ სათანადო საილუსტრაციო ფრაზებს: **აბამ**-ს 1. იხ. გააბამს, თოკს აბამს. 2. იხ. დააბამს. ძაღლს აბამს. 3. იხ. მიაბამს, მოაბამს. მატარებელს ვაგონს აბამენ. 4. იხ. ურემში ხარებს აბამს“ (გვ. 9).

ამ მსჯელობით უწინდებულო (ე. ი. უზმნისწინო) აწმყო და წინდებულიანი მყოფადი ორივე სალექსიკონო ერთეულებია, თუმცა ტერმინები **აწმყო** და **მყოფადი** მწკრივის მნიშვნელობითაა ნახმარი: აწმყოს მწკრივის ფორმა და მყოფადის მწკრივის ფორმა. აქ უკვე ისეთივე წინააღმდეგობაა, როგორც აღვნიშნეთ რვატომეულის შემთხვევაში: აწმყო და მყოფადი მწკრივებია, ერთი პარადიგმის წევრები, თუმცა ორივე სალექსიკონო ერთეულია, განსხვავებით სხვა მწკრივის ფორმათაგან! — ეს დასკვნა თეორიული მსჯელობის საფუძველზე კეთდება. პრაქტიულად, ლექსიკონში ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთ და იმავე მორფოლოგიურ ოდენობადაა გააზრებული და ეს ვარიანტი აისახა კიდეც ერთტომეულში მთავარი რედაქტორის წინასიტყვაობაში.

ასე რომ, თავად ლექსიკონი (განსაკუთრებით რვატომეული) პრაქტიკულად თანმიმდევრულია ე. წ. აწმყო-მყოფადის ფორმათა გააზრებაში; ამ გააზრების მიხედვით აწმყო-მყოფადი ერთი მწკრივია... ეს დასკვნა მეტ დამაჯერებლობას იძენს იმ ტიპის ზმნათა განხილვისას,

რომლებშიც ზმნისწინი ახლანდელ და მომავალ დროებს არ აპირისპირებს (დარაჯობს — უდარაჯებს, მეფობს — იმეფებს, დგას — იდგება და სხვა).

ის წინააღმდეგობა, რაც ლექსიკონის თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებს შორის არის, ზოგჯერ საფუძველი ხდება არათანმიმდევრულობისა. მაგალითი: **შლის** ზმნის შემთხვევაში იქვე მითითებულია ზმნისწინიანი ფორმები: „იხ. გაშლის. სუფრას შ. 2. იხ. გადაშლის. წიგნს შ. 3. იხ. დაშლის. საათს შ. 4. იხ. ჩაშლის. ძნას შ. 5. იხ. წაშლის. დაწერილს შ.“ (გვ. 505). ამ პრინციპზე რომ აგებულიყო, რვატომეულში უფრო რთული ვითარება იქნებოდა — **შლის** ზმნასთან 14 ზმნისწინი გამოიყენება (გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1989, გვ. 313)... **წერს** ზმნის შემთხვევაში ზმნისწინიანი (მყოფადის!) ფორმა არ მიეთითება (გვ. 561), თუმცა ამავე ლექსიკონში სათანადო ადგილას წარმოდგენილია ფორმები — აღწერს, გადაწერს, დაწერს, მისწერს, მოსწერს, ჩაწერს... ამათ კავშირზე წ ე რ ს ზმნასთან მინიშნება არაა.

ასეთი არათანმიმდევრულობა და წინააღმდეგობები მოიხსნებოდა, აწმყო-მყოფადს თუ ერთ მორფოლოგიურ ოდენობად გავიაზრებდით...

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აწმყოსა და მყოფადის ერთ მწკრივად წარმოდგენას მხარს დაუჭერს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მონაცემები; პრინციპი აწმყოსა და მყოფადის ცალ-ცალკე მწკრივის ფორმებად გააზრებისა გაუმართლებელი ჩანს.

საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ კ. ჩხენკელის ციურიხში გამოცემულ „ქართულ-გერმანულ ლექსიკონში“ ვითარება უფრო დაზუსტებული ჩანს. როგორც მიუთითებენ, „ზმნა წარმოდგენილია არა საწყისის, არამედ აწმყოს დროის III პირის ფორმით (იგულისხმება აწმყოს მწკრივის — გ. გ.), როგორც ეს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია“. იქვეა მითითებული მყოფადის, წყვეტილისა და თურმეობითი I-ის ფორმები. აღნიშნულია ზმნისწინთა ყველა დასაშვები ვარიანტი თარგმანითურთ (მაგ.: ვაგებ, ავაგებ, ამოვაგებ, გავაგებ, გამოვაგებ, გადავაგებ, დავაგებ, მოვაგებ, წავაგებ, წამოვაგებ) ქცევის, კონტაქტის, გვარის მიხედვით განსხვავებული ფორმები (ვაგებ, ვიგებ, ვუგებ, ვაგებინებ, იგება, ვეგები, მეგება, უგია, აგია, გამეგება...)“ (რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი, 1997, გვ. 36). აშკარაა, რომ მყოფადი, წყვეტილი და I თურმეობითი ერთი დონის მორფოლოგიური ოდენობებია, მწკრივებია და ამიტომაც სალექსიკონოდ გატანილი აწმყოს ფორმის განმარტებისათვის გამოიყენება...

5.5. დრო-კილოთა სისტემა და ქართული ენის დიალექტთა პირველი ხოლმეობითი

I სერიაში მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფის საკითხი რომ გადასასინჯია, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ქართული ენის დიალექტებში გამოვლენილი I ხოლმეობითი და საენათმეცნიერო ლიტერატურაში მისი ანალიზი.

მწკრივთა რაოდენობის მიხედვით ქართული ენის დიალექტები სხვადასხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს, მაგრამ არსებითია ის ფაქტი, რომ სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი ყველა მწკრივი გვაქვს ყველა დიალექტში. შესაძლოა, ამა თუ იმ მწკრივის ხმარების სიხშირე განსხვავებულიც იყოს დიალექტთა მიხედვით. მაგალითად: მიუთითებენ, რომ III კავშირებითის ფორმათა გამოყენება შეზღუდულია დიალექტთა ერთ ჯგუფში, მის ნაცვლად II თურმეობითი იხმარება (თითქმის ისეთივე ვითარებაა, როგორც ახალ ქართულში); საპირისპირო ვითარებაა რაჭულში — II თურმეობითის ფორმათა სიმცირე და მის ნაცვლად III კავშირებითის ფორმათა გამოყენება. მაგრამ, როგორც ვთქვით, ამჯერად ჩვენთვის არსებითია ის, რომ სალიტერატურო ქართულის მწკრივთა სისტემა სრულადაა წარმოდგენილი ყველა დიალექტში. ხდება მხოლოდ ცალკეულ დიალექტში მისი გართულება.

ჩვენი მსჯელობა I ხოლმეობითს შეეხება. კერძოდ, გვაინტერესებს, დიალექტებში, სადაც I ხოლმეობითის მწკრივი გვაქვს, როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი I სერიის მწკრივთა სისტემა.

სამწუხაროდ, დიალექტოლოგიურ გამოკვლევებში, ჩვეულებრივ, უღლების სრული პარადიგმები არაა წარმოდგენილი. მიანიშნებენ მხოლოდ სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებულ ვითარებაზე, ფაქტებზე. სხვაგვარად: წარმოჩენილია მხოლოდ თავისებურებანი; ხოლო ეს თავისებური ვითარება, ამა თუ იმ დიალექტისათვის ნიშანდობლივი ფორმები რა ადგილს იჭერს სისტემაში და როგორ მიემართება სისტემის დანარჩენ წევრებს, ამის შესახებ თითქმის არაფერია თქმული. ეს ფაქტი, თავისთავად, ხშირ შემთხვევაში ართულებს სისტემის სრული სახით წარმოდგენას. მაგრამ, რამდენადაც ძირითადი პრინციპი, რომლის საფუძველზეც ეს გამოკვლევები აიგება, ასეთია, რომ სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებულის თაობაზეა მხოლოდ საუბარი, ივარაუდება: რაზეც არაა საუბარი, სალიტერატურო ქართულის იდენტურია. არის კი ასე?

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია მეტ-ნაკლებად კარგადაა შემო-

ნახული. I ხოლმეობითი ყველა დიალექტშია დაცული. მართალია, ქართლურსა და კახურში ნაშთის სახითღაა შემორჩენილი და მხოლოდ ცალკეულ რეგიონში გამოვლინდება, მაგრამ მთის დიალექტებისათვის იგი ჩვეულებრივი ფაქტია.

შენიშვნა: აღმოსავლურ დიალექტთაგან ინგილოურში ხოლმეობითის ორგანული წარმოება ამჟამად არ დასტურდება. ხოლმეობითობა ამ დიალექტში ყე (ყ) ნაწილაკიანი ფორმებით გამოიხატება (გ. იმნაიშვილი, 1966): ფერეიდნულში, ისტორიულად კახურის განაყარ დიალექტში, ხოლმეობითის ორგანული წარმოება შენარჩუნებულია (არნ. ჩიქობავა, 1927).

ძირითადი პრინციპი I ხოლმეობითის წარმოებისა ყველა დიალექტში ერთგვარია — საყრდენად უწყვეტლის ფუძეა (უფრო სწორად, უწყვეტლის საყრდენი ფუძე) გამოყენებული. განსხვავებულია მწკრივის ფორმათა წარმოების საშუალებები. ამ თვალსაზრისით სამი შემთხვევა განირჩევა:

ა) მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში, ქართლურსა და კახურში I ხოლმეობითი ძველი ქართულისებურად იწარმოება (ი. ქავთარაძე, 1985; გ. იმნაიშვილი, 1974; ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, 1956; ბ. ჯორბენაძე, 1989).

ვ-ა-კეთ-ებ-დ-ი
ა-კეთ-ებ-დ-ი
ა-კეთ-ებ-დ-ი-ს

ვ-ა-კეთ-ებ-დ-ი-თ
ა-კეთ-ებ-დ-ი-თ
ა-კეთ-ებ-დ-ი-ან

ბ) ხევსურულსა და თუშურში I ხოლმეობითის პარადიგმა სუპლეტურია: I-II პირის ფორმები **-იდ** ელემენტითაა გართულებული, III პირის ფორმა ძველი ქართულისებურია (ა. ჭინჭარაული, 1960; თ. უთურგაიძე, 1960; გ. ცოცანიძე, 1970).

ვ-ა-კეთ-ებ-დ-იდ-ი̆
ა-კეთ-ებ-დ-იდ-ი̆
ა-კეთ-ებ-დ-ი-ს

ვ-ა-კეთ-ებ-დ-იდ-ი-თ
ა-კეთ-ებ-დ-იდ-ი-თ
ა-კეთ-ებ-დ-ი-ან

გ) სუპლეტურია I ხოლმეობითის პარადიგმა ფშაურშიც, ოღონდ ამ შემთხვევაში I-II პირის ფორმებს **-ოდ** ელემენტი ართულებს (ა. ჭინჭარაული, 1960; გ. ცოცანიძე, 1978):

ვ-ა-კეთ-ებ-დ-ოდ-ი
ა-კეთ-ებ-დ-ოდ-ი
ა-კეთ-ებ-დ-ი-ს
ვ-ა-კეთ-ებ-დ-ოდ-ი-თ
ა-კეთ-ებ-დ-ოდ-ი-თ
ა-კეთ-ებ-დ-ი-ან

ისიც გავიხსენოთ, რომ სალიტერატურო ქართულში I სერიის ექვსი მწკრივი ორ წრედაა დაჯგუფებული:

I წრე	II წრე
აწმყო	მყოფადი
უწყვეტელი	ხოლმეობითი
აწმყოს კავშირებითი	მყოფადის კავშირებითი

როგორც ითქვა, რამდენადაც ამის თაობაზე მინიშნება არაა დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში, ივარაუდება, რომ ეს სისტემა ყველა დიალექტისათვისაა მისაღები. დავუშვათ, ასეა, მაშინ: სად დაიჭერს ადგილს I ხოლმეობითი და ის პრინციპი, რის საფუძველზეც გამოიყო ორი წრე, გატარდება თუ არა ბოლომდე?

ეს საკითხი არ დასმულა სამეცნიერო ლიტერატურაში. თუ პირველ სერიაში ერთი და იმავე ზმნის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტები სხვადასხვა მწკრივის ფორმებად გაიაზრება —

აკეთებდა და გა-აკეთებდა.

აკეთებდეს და გა-აკეთებდეს, — საკითხი ასევე უნდა დასმულიყო I ხოლმეობითის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტების თაობაზე. ფაქტობრივ კი, I ხოლმეობითზე მსჯელობისას გვერდიგვერდ განიხილება ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტები. სხვაგვარად: ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთი მწკრივის ფორმებადაა მიჩნეული.

მოხეურისათვის: ბევრი ცხორი ჲჳოცებოდეს; ვაკეთებდი-კე, ვქსოვდით-კე, იკერავდიან-კე და დახფარავდის, დავხედავდი-კე, დავაგდებინებდი-კე.

ფშაურისათვის: ვთიბდოდი, ვხდიდოდი, ვაკეთებდოდი, ვდღვებდოდი, მატირებდოდი და ჩამოვხვეტდოდით, ამასწურავდიან, შაინახდიან, დაიძროდის (ი. ქავთარაძე, 1985; გ. ცოცანიძე, 1978).

მაგალითების მოყვანა სხვა დიალექტებიდანაც შეიძლება. ფაქტია, ყველა შემთხვევაში ასეთი ვითარებაა. ისე კი, ჩვეულებრივ I ხოლმეობითის წარმოებაზე მსჯელობისას უზმნისწინო ფორმებია გაანალიზებული. პარადიგმაც უზმნისწინო ფორმათაგანაა შედგენილი.

საინტერესო გამონაკლისია, ჩვენი თვალსაზრისით, გ. ცოცანიძის გამოკვლევა „თუშური ხოლმეობითის შესახებ“ (გ. ცოცანიძე, 1970). ავტორი მხოლოდ უზმნისწინო ფორმათა პარადიგმას წარმოადგენს როგორც პირველ, ასევე მეორე სერიაში და შესაბამისად პირველ სერიაში ე. წ. „მყოფადის წრე“ არ ფიგურირებს. ფაქტი საინტერესოა, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ფაქტს კომენტარი არ ახლავს. ძნელია ვიმსჯელოთ, ავტორი არ თვლის მართებულად მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფას, თუ კონკრეტულად ამ შემთხვევისათვის არ მიიჩნევს საჭიროდ. ყოველი შემთხვევისათვის, სისტემის ამ სახით წარმოდგენას მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფის კრიტიკად მივიჩნევთ. თავისთავად ეს ფაქტი იმ სირთულის მანიშნებელია, რაც ახლავს მყოფადის წრის გამოყოფას.

თუ მართებულად მივიჩნევთ I სერიაში მყოფადის წრის გამოყოფას, მაშინ მყოფადის წრეშიც შესაბამისი ზმნისწინიანი ხოლმეობითის მწკრივი უნდა გამოიყოს. ჩვენი თხოვნით ავთანდილ არაბულმა ხევსურული ზმნის უღლების სრული პარადიგმა შეადგინა. არსებული სისტემის საკლასიფიკაციო პრინციპის თანმიმდევრულად გატარების შედეგად I სერიაში ხოლმეობითის ორი მწკრივი წარმოადგინა:

I.	II.
ვ-თიბდიდი	მა-ვ-ს-თიბდიდი
ს-თიბდიდი	მა-ს-თიბდიდი
თიბდი-ს	მა-ს-თიბდი-ს
ვ-თიბდიდი-თ	მა-ვ-ს-თიბდიდი-თ

ს-თიბდიდი-თ	მა-ს-თიბდიდი-თ
თიბდი-ან	მა-ს-თიბდი-ან

ვიმეორებთ: არსებული სისტემის გათვალისწინებით ლოგიკურია საკითხისადმი ასეთი მიდგომა. თუმცა უნდა გაიხაზოს, რომ არცერთ დიალექტოლოგიურ გამოკვლევაში, რომლებშიც I ხოლმეობითის შესახებაა მსჯელობა, ეს საკითხი არ დასმულა. გარკვევით წერენ: მოხეურში „ნამყო უსრულის ფუძეს ერთვის ცნობილი უძველესი **-ი** სუფიქსი და მესამე პირის დაბოლოების მიხედვით გადმოიცემა ე. წ. პირველი ხოლმეობითი“ (ი. ქავთარაძე, 1985, გვ. 58). „თუშური ზმნის უღვლილების სისტემაში, სალიტერატურო ქართულთან და რიგ დიალექტებთან შედარებით, ორი ნაკვთი მეტია: ერთი მათგანი დრო-კილოთა აწმყოს წყებაშია, ეყრდნობა ნამყო უსრულის ფუძეს და, I და II პირის ფორმები ეწარმოება **-იდ (ი)** სუფიქსით, ხოლო III პირის ფორმები **-ი**-თი...“ (გ. ცოცანიძე, 1970, გვ. 35) ფშაურში „პირველი ხოლმეობითი საწარმოებელ ფუძედ ნამყო უსრულს იყენებს“ (გ. ცოცანიძე, 1978, გვ. 78), „ფშაურ-ხევსურულ-თუშურში პირველი ხოლმეობითი აწმყოს ფუძიდან იწარმოება ნამყო უსრულის მეშვეობით“ (ა. ჭინჭარაული, 1960, გვ. 113); „მთიულურ-გუდამაყრულში მკვიდრია ხოლმეობითის წარმოება, რომელიც სამი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: არქაული, **-ი** სუფიქსიანი წარმოება: უყორდ-ი-ს, ჭამდ-ი-ს (I ხოლმეობითი); ჭამ-ი-ს, გაანიავ-ი-ს, ებ-ი-ს (II ხოლმეობითი)... (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 283).

ფაქტია, ამგვარი მსჯელობის მიხედვით I ხოლმეობითის ადგილი აწმყოს წრეშია. ამიტომაცაა, როცა I ხოლმეობითის წარმოებაზე მსჯელობენ, ჩვეულებრივ უზმნისწინო ფორმებს მოიხმობენ, მაგრამ როგორც ვნახეთ, მაგალითების ჩამოთვლისას ზმნისწინიანებიც გაერევა ხოლმე...

ზმნისწინიანი I ხოლმეობითის ფორმათა შემთხვევაში ზმნისწინის ფუნქციაზე კი საუბარი არ არის.

ანალოგიისათვის საინტერესო ფაქტის გახსენება შეიძლება: აკეთებდეს და გააკეთებდეს ა. შანიძემ 1930 წლის „ქართულ გარმატიკაში“ ერთი და იმავე მწკრივის ფორმებად მიიჩნია: ორივე I კავშირებითად გაიაზრებოდა. საფუძველი ალბათ ის იყო, რომ ეს ორი ფორმა ერთმანეთისაგან არ განსხვავდება იმ ელემენტთა მიხედვით, რომელთაც ავტორი „მწკრივის ელემენტებს“ უწოდებს. სხვაობა ამ ფორმათა შორის ასპექტურია; ასპექტი კი წარმოქმნის კატეგორიაა და არა უღლებისა. ამიტომ ამ ფუნქციურ სხვაობაზე დამყარებული ფორმები ერთ მწკრივად იქნა გააზრებული. ვითარება ამ შემთხვე-

ვაში ისეთივეა, როგორც II და III სერიაში: აკეთა — გააკეთა, უკეთებია — გაუკეთებია... — ერთი მწკრივის ფორმებია. ამიტომ, სავსებით სამართლიანად, მწკრივთა შესახებ თავისივე მოძღვრებიდან ამოსვლით ა კ ე თ ე ბ დ ე ს და გ ა ა კ ე თ ე ბ დ ე ს ერთი მწკრივის ფორმებად იქნა გააზრებული. მაგრამ ყოველივე ამან მწკრივთა სისტემაში წარმოქმნა უხერხულობა — I სერია ასეთი სახით წარმოგვიდგა:

ა) აწმყოს წრე	ბ) მყოფადის წრე
1. აწმყო	4. მყოფადი
2. ნამყო უწყვეტელი	5. პირობითი
3. I კავშირებითი	6. I კავშირებითი

მესამე და მეექვსე ნომრად ერთი და იგივე მწკრივი — I კავშირებითი — არის წარმოდგენილი! უხერხულობის გასწორების ორი გზა არსებობდა: ა) ან უარი უნდა გვეთქვა იმ პრინციპზე, რის მიხედვითაც მყოფადის წრე გამოიყო, ბ) ანდა I კავშირებითის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები სხვადასხვა მწკრივის ფორმებად მიგვეჩნია, რითაც ირღვეოდა მწკრივთა გამოყოფს პრინციპი (ორ მწკრივს ერთმანეთისაგან უღლების კატეგორიები უნდა განასხვავებდეს და არა წარმოქმნისა). ა. შანიძე მეორე ვარიანტს ამჯობინებს სალიტერატურო ქართულისათვის: I სერიაში ორი კავშირებითი გამოიყო: აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი. ასეთივე კომპრომისია უწყვეტლის ზმნისწინიანი ვარიანტისაგან ახალი მწკრივის გამოყოფა (ამის შესახებ ზემოთ იყო საუბარი).

სხვაობა I სერიის ხოლმეობითის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის ასპექტურია (ვემყარებით ა. არაბულის, მ. კობაიძისა და გ. ცოცანიძის აზრს); ე. ი. ისეთივე, როგორ II და III სერიიის მწკრივებს შორის. როგორც ვიცით, ასპექტური თვალსაზრისით დაპირისპირებული II და III სერიის ფორმები სხვადასხვა მწკრივის ფორმებად არ გაიაზრება. ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია

ა კ ე თ ა	და	გ ა ა კ ე თ ა
ა კ ე თ ო ს	და	გ ა ა კ ე თ ო ს
უ კ ე თ ე ბ ი ა	და	გ ა უ კ ე თ ე ბ ი ა
ე კ ე თ ე ბ ი ნ ა	და	გ ა ე კ ე თ ე ბ ი ნ ა
ე კ ე თ ე ბ ი ნ ო ს	და	გ ა ე კ ე თ ე ბ ი ნ ო ს

აქედან გამომდინარე, მართებულია ის პოზიცია, რაც ქართულ დალექტოლოგიურ ლიტერატურაშია დამკვიდრებული: I ხოლმეობითის უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები ერთი მწკრივად რომ არის ჩათვლილი. ოღონდ ერთია, უნდა მოხდეს შეგუება ამ პოზიციისა დროკილოთა არსებულ სისტემასთან. მონაცემთა მიხედვით მხოლოდ სამი მწკრივი შეიძლება გამოიყოს:

I მწკრივი (აწმყო-მყოფადი) (გა)-აკეთებს
II მწკრივი (უწყვეტელი-ხოლმეობითი) (გა)-აკეთებდა
III მწკრივი (I კავშირებითი) (გა)-აკეთებდეს

ის, რისი დასაბუთებაც ჩვენ თეორიულად ვცადეთ, ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში პრაქტიკულად გატარებულია: როგორც ითქვა, I ხოლმეობითის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები საყოველთაოდ ერთ მწკრივადაა მიჩნეული. I სერიის მწკრივთა სისტემა ჩვენთვის საინტერესო დიალექტებში ამ სახით წარმოგვიდგება (მოვიყვანთ ხევსურულის მაგალითებს):

1.	აწმყო:	(მა)-ვ-(ს)-თიბ	(მა)-ვ(ს)-თიბ-თ
		(მა)-ს-თიბ	(მა)-ს-თიბ-თ
		(მა)-(ს)-თიბ-ს	(მა)—(ს)-თიბ-ენ
2.	უწყვეტელი:	(მა)-ვ-(ს)-თიბ-დ̆	(მა)-ს-თიბ-დ-ი-თ
		(მა)-ს-თიბ-დ-ა̆	(მა)-ს-თიბ-დ-ი-თ
		(მა)-(ს)-თიბ-დ-ა	(მა)-ვ-(ს)-თიბ-დ-ეს
3.	I კავშირებითი:	(მა)-ვ-(ს)-თიბ-დ-ʳაˀ	(მა)-ვ-(ს)-თიბ-დ-ა-თ
		(მა)-ს-თიბ-დ-ʳაˀ	(მა)-ვ-(ს)-თიბ-დ-ა-თ
		(მა)-(ს)-თიბ-დ-ა-ს	(მა)-(ს)-თიბ-დ-ა-ნ
4.	I ხოლმეობითი:	(მა)-ვ-(ს)-თიბ-დ-იდ-ა̆	(მა)-ვ-(ს)-თიბ-დ-იდ-ი-თ
		(მა)-ს-თიბ-დ-იდ-ა̆	(მა)-ს-თიბ-დ-იდ-ი-თ
		(მა)-(ს)-თიბ-დ-ი-ს	(მა)-(ს)-თიბ-დ-ი-ან

დაბოლოს: საკითხები, რომლებიც I ხოლმეობითმა აღძრა, ვფიქრობთ, დამატებითი არგუმენტებია ჩვენი თვალსაზრისისათვის: I სერიაში მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფა ფორმობრივად გაუმართლებელია.

5.6. ზოგადი შენიშვნა

მწკრივთა რაოდენობის საკითხი მხოლოდ ფორმობრივი პრინციპის მიხედვით არ გაირკვევა. გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევებიც:

ი-თქ-მ-ი-ს	და	ი-თქმ-ებ-ა
შე-ვ-ი-პყარ	და	შე-ვ-ი-პყრ-ე
და-ვ-ა-მყნ-ა	და	და-ვ-ა-მყნ-ო
და-უ-ხატ-ავ-ს	და	და-უ-ხატ-ი-ა
გა-ე-კეთ-ა	და	გა-ე-კეთ-ებ-ინ-ა

და მისთანანი.

მხოლოდ ფუძეთა სხვაობის პრინციპი თუ დაედება საფუძვლად საუღლებელ ერთეულთა გამოყოფას, წარმოდგენილ წყვილთა შემადგენელი ცალები სხვადასხვა ფუძის შემცველნი არიან; შესაბამისად სხვადასხვა მწკრივად უნდა იქნეს გაგებული. საკითხის ამგვარად დასმა, თავისთავად ცხადია, უმართებულოა იმდენად, რამდენადაც წარმოდგენილ პარალელურ ფორმებს ერთსა და იმავე კონტექსტში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.

მაგ.: მხატვარს სურათი დაუხატავს;
მხატვარს სურათი დაუხატია.

ანდა: ყველასთან ყველაფერი არ ითქმის;
ყველასთან ყველაფერი არ ითქმება.

ამგვარად, ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა ფუძის მქონე ფორმები სხვადასხვა მწკრივად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერ კონტექსტში მათი ჩანაცვლება შესაძლებელია; სხვაგვარად: ერთსა და იმავე კონტექსტში განსხვავებული ფუძის მქონე ფორმათა სემანტიკა იდენტურია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მწკრივის ფორმათა წარმოების თავისებურებებთან, რაც ცალკე კვლევის საგანია.

5.7. უღლების ნიმუში ახალი ქართულისათვის

I სერია

1. **აწმყო (მყოფადი)**

(და)-ვ-წერ	(და)-ვ-წერ-თ
(და)-წერ	(და)-წერ-თ
(და)-წერ-ს	(და)-წერ-ენ

2. **უწყვეტელი (ხოლმეობითი)**

(და)-ვ-წერ-დ-ი	(და)-ვ-წერ-დ-ი-თ
(და)-წერ-დ-ი	(და)-წერ-დ-ი-თ
(და)-წერ-დ-ა	(და)-წერ-დ-ნენ

3. **I კავშირებითი**

(და)-ვ-წერ-დ-ე	(და)-ვ-წერ-დ-ე-თ
(და)-წერ-დ-ე	(და)-წერ-დ-ე-თ
(და)-წერ-დ-ე-ს	(და)-წერ-დ-ნენ

II სერია

4. **წყვეტილი**

(და)-ვ-წერ-ე	(და)-ვ-წერ-ე-თ
(და)-წერ-ე	(და)-წერ-ე-თ
(და)-წერ-ა	(და)-წერ-ეს

5. **II კავშირებითი**

(და)-ვ-წერ-ო	(და)-ვ-წერ-ო-თ
(და)-წერ-ო	(და)-წერ-ო-თ
(და)-წერ-ო-ს	(და)-წერ-ო-ნ

III სერია

6. **I თურმეობითი**

(და)-მ-ი-წერ-ი-ა	(და)-გვ-ი-წერ-ი-ა
(და)-გ-ი-წერ-ი-ა	(და)-გ-ი-წერ-ი-ა-თ
(და)-უ-წერ-ი-ა	(და)-უ-წერ-ი-ა-თ

7. **II თურმეობითი**

და-მ-ე-წერ-ა	და-გვ-ე-წერ-ა
და-გ-ე-წერ-ა	გა-გ-ე-წერ-ა-თ
და-ე-წერ-ა	და-ე-წერ-ა-თ

8. **III კავშირებითი**

და-მ-ე-წერ-ო-ს	და-გვ-ე-წერ-ო-ს
და-გ-ე-წერ-ო-ს	და-გ-ე-წერ-ო-თ
და-ე-წერ-ო-ს	და-ე-წერ-ო-თ

§ 6. მწკრივთა რაოდენობა ძველ ქართულში

6.1. ნიკო მარის თვალსაზრისიდან დღემდე

ნ. მარი ძველი ქართულისათვის 8 მწკრივს (დროს — ავტორის ტერმინოლოგიით) გამოყოფს:

I ჯგუფი:	1.	აწმყო (ვაქებ)
	2.	ნამყო უსრული I (ვაქებდი)
	3.	ნამყო უსრული II (ნატვრითი — ვაქებდე)
II ჯგუფი:	4.	აორისტი (ვაქე)
	5.	კავშირებითი (ვაქო)
III ჯგუფი:	6.	ნამყო სრული (წიგნური — მიქიეს, ხალხური — მიქია)
	7.	წინარეწარსული (მექო)
	8.	ნამყო კავშირებითი (მექოს)

(ნ. მარი, 1908)

თითქოსდა მოულოდნელია, მაგრამ ფაქტია, რომ ნ. მარი ამჩნევს ხოლმეობითის ფორმებს, ზოგი ზმნის უღლებისას მსჯელობს მათზე და უწოდებს „ნამყო ჩვეულებითს“; თუმცა მწკრივთა სისტემაში ცალკე საუღლებელ ერთეულად არ წარმოგვიდგენს.

როგორც ითქვა, ხოლმეობითის ფორმა ნ. მარამდე დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად მიიჩნია თ. ჟორდანიამ (უწოდებს მას „დროს სამარადისოს ანუ გახშირებითს“). ა. შანიძემ ამ ფორმას ადგილი მეორე სერიაში მიუჩინა და უწოდა „ნამყო მრავალგზითი“ და ახასიათებს მას: „ნამყო მრავალგზითი, კაცმა რომ თქვას, განსაზღვრული დრო არ არის: იგი გამოხატავს ხოლმე მოქმედებას არა რომელსამე დროში განსაზღვრულს (ნამყოსა, აწმყოსა თუ მყოფადში), არამედ ისეთს, რომელიც ყოველთვის ჩვეულებრივია და მარად დამახასიათებელია მოქმედი პირისათვის. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მრავალგზითი ნამყოს ფორმები ქართული ზმნის უძველესი ფორმაციის დროისა უნდა იყოს“ (ა. შანიძე, 1920, გვ. 6).

შენიშვნა: ამავე შრომის რუსულ ვარიანტში ტერმინი **პერმანსივია** ხმარებული (ა. შანიძე, 1957, გვ. 52). საბოლოოდ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ადგილი დაიმკვიდრა ტერმინმა **ხოლმეობითი,** რომელიც ა. შანი-

ძემ 1930 წლის გრამატიკაში ნამყო ჩვეულებითის სინონიმად იხმარა. ამავე მწკრივის აღსანიშნავად არნ. ჩიქობავამ გამოიყენა ტერმინი **ჰაბიტუალისი** (არნ. ჩიქობავა, 1968, გვ. 146).

1920 წელს ა. შანიძე საუღლებელ ერთეულთა სისტემას ამგვარი სახით წარმოადგენს:

A (ნამყო სრულის ჯგუფი)

1. ნამყო სრული
2. მყობადი (ანუ ნატვრთი კ.)
3. ნამყო მრავალგზითი
4. ბრძანებითი კ.

B (აწმყოს ჯგუფი)

5. აწმყო ერთგზითი
6. აწმყო მრავალგზითი
7. ნამყო უსრული (ანუ ნატვრითი კ.)
8. ბრძანებითი კ. (ა. შანიძე, 1920, გვ. 6-7).

შენიშვნა: ა) III სერიის ფორმები არ არის განხილული ნაშრომში, ამიტომ სქემაშიც არ აისახება.

ბ) საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სქემის მიხედვით ავტორი პირველ ჯგუფად (სერიად) ნამყო სრულის ჯგუფს მიიჩნევს.

ძველი ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოში ავტორი საუღლებელ ერთეულთა სამ ჯგუფს (სერიას, წყებას) წარმოადგენს. აქ უკვე ნამყო სრულის ჯგუფი მეორე სერიადაა წარმოდგენილი ისევე, როგორც 1930 წლის გრამატიკაში; ტერმინები დაზუსტებულია და სისტემა ასეთ სახეს იღებს:

I წყება (სერია)

1. აწმყო
2. აწმყო ხოლმეობითი
3. ნამყო უწყვეტელი
4. I კავშირებითი

II წყება (სერია)

5. ნამყო წყვეტილი (ანუ აორისტი)
6. ნამყო ხოლმეობითი
7. მეორე კავშირებითი (იგივე მყოფადი)
8. წართქმითი ბრძანებითი

III წყება (სერია)

9. პირველი თურმეობითი
10. მეორე თურმეობითი
11. მესამე კავშირებითი (ა. შანიძე, 1935, გვ. 025)

უფრო მოგვიანებით I სერიას კიდევ ერთი მწკრივი დაემატა: **უწყვეტლის ხოლმეობითი,** რომელიც, ავტორის აზრით, პირნაკლია (ა. შანიძე, 1945, გვ. 835); თუმცა 1976 წლის „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ სრული პარადიგმითაა წარმოდგენილი (ა. შანიძე, 1976, გვ. 90). 1946 წელს ა. შანიძე აქვეყნებს ნაშრომს „ერთი უცნობი მწკრივი ქართულში“ (ა. შანიძე, 1946(2)), სადაც საუბარია „ებრძანის“ ტიპის ფორმათა შესახებ. მათ ავტორი **III ხოლმეობითად** მიიჩნევს. ამ მწკრივს ადგილი მესამე სერაში მიეჩინა. ა. შანიძის სქემას კიდევ ერთი მწკრივი დაემატა მეორე სერიაში — **შერეული კავშირებითი** (მისცოდიან) (ა. შანიძე, 1948).

შენიშვნა: ამ ფორმებს პირველად ყურადღება მიაქცია კ. კეკელიძემ, რომელიც აღნიშნავს: „საყურადღებოა არაჩვეულებრივი, თითქოსდა დიალექტური ფორმები ზმნისა: აღასრულნოდიან, ეზიარნოდიან, ყოდიან, განათიოდიან“ და უდარებს მათ ვაჟა-ფშაველასთან დადასტურებულ ფშაური კილოს ფორმებს — „საფლავი გამოთხაროდი, მიწანი მომაყაროდი“ (კ. კეკელიძე, 1946, გვ. 168).

საბოლოოდ, დაზუსტებული ტერმინოლოგიითა და შევსებული სახით დრო-კილოთა სისტემა ა. შანიძის შრომათა მიხედვით ასეთ სახეს მიიღებს:

I სერია

1. აწმყო
2. აწმყოს ხოლმეობითი
3. უწყვეტელი
4. პირველი ბრძანებითი
5. უწყვეტლის ხოლმეობითი
6. პირველი კავშირებითი (პირველი მყოფადი)

II სერია

7. წყვეტილი
8. მეორე ბრძანებითი
9. მეორე ხოლმეობითი
10. მეორე კავშირებითი (მეორე მყოფადი)
11. შერეული კავშირებითი (შერეული მყოფადი)

III სერია

12. პირველი თურმეობითი
13. მეორე თურმეობითი
14. მესამე ხოლმეობითი
15. მესამე კავშირებითი

როგორც ვხედავთ, ა. შანიძისეული სქემა სისტემისა ნ. მარის სქემასთან შედარებით 7 ერთეულით გაიზარდა. დამოუკიდებელ მწკრივებად გამოიყო:

I სერიაში

1. აწმყოს ხოლმეობითი
2. პირველი ბრძანებითი
3. უწყვეტლის ხოლმეობითი

II სერიაში

4. მეორე ბრძანებითი
5. მეორე ხოლმეობითი
6. შერეული კავშირებითი

III სერიაში

7. III ხოლმეობითი

ძველი ქართულის უღლების სისტემის უფრო რთულ ვარიანტს გვთავაზობს ლ. კიკნაძე. ავტორის აზრით, II სერიაში დამატებით შესაძლებელია სამი მწკრივის გამოყოფა:

1. შერეული ნამყო
2. შერეული ხოლმეობითი
3. შერეული ბრძანებითი

ხოლო მესამე სერიაში — I თურმეობითის ხოლმეობითისა.

შენიშვნა: ფორმებს, რომელთაც ლ. კიკნაძე I თურმეობითის ხოლმეობითს უწოდებს (უცნობიენ, შეგირაცხიენ), ყურადღება მიაქცია ი. აბულაძემ და მას მიიჩნევს ოდესღაც არსებული კიდევ ერთი ხოლმეობითის გადმონაშთად (ი. აბულაძე, 1954, გვ. 145). ამ თვალსაზრისს იზიარებს ზ. სარჯველაძე და მიიჩნევს, რომ **უცნობიენ** ტიპის ფორმები უნდა იწოდოს „მესამე ხოლმეობითად“, ხოლო **ებრძანის** ტიპის ფორმები — IV ხოლმეობითად (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 406). თუმცა „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ (1997) ეს არ აისახა.

ასე რომ, მწკრივთა რაოდენობა უღლების სისტემაში 19-მდე გაიზარდა. ლ. კიკნაძის თვალსაზრისს შერეული წყვეტილის, ბრძანებითისა და ხოლმეობითის მწკრივთა არსებობის თაობაზე იზიარებს და მაგალითებითაც ადასტურებს ზ. სარჯველაძე (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 454-457) („გრამატიკაში“ წარმოდგენილ პარადიგმებში არც ეს აისახება).

ი. იმნაიშვილი ა. შანიძის თვალსაზრისზე დგას და თავის ტაბულებში 15 მწკრივს წარმოადგენს (ი. იმნაიშვილი, 1982).

არნ. ჩიქობავას აზრით, დრო-კილოთა სისტემა ძველ ქართულში შედარებით მარტივია. ავტორის ნაშრომთა მიხედვით სქემა ამგვარ სახეს მიიღებს:

პირველი ჯგუფი

1. აწმყო
2. ნამყო უსრული
3. კავშირებითი I
4. ნამყო უსრულის ხოლმეობითი

მეორე ჯგუფი

5. ნამყო ძირითადი (აორისტი)
6. ხოლმეობითი
7. კავშირებითი მეორე

მესამე ჯგუფი

8. თურმეობითი პირველი
9. თურმეობითი მეორე
10. კავშირებითი მესამე

(არნ. ჩიქობავა, 1968, გვ. 144-151; 1948, გვ. 55).

შენიშვნა: არნ. ჩიქობავა ნაშრომში „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ (I, 1948) მე-9 პარაგრაფში აწმყოს მწკრივთა წყებას 4 ერთეულით წარმოადგენს: აწმყო, ნამყო უსრული, კავშირებითი I, ნამყო უსრულის ხოლმეობითი; 26-ე პარაგრაფში უღლების სრული სისტემის წარმოდგენისას ნამყო უსრულის ხოლმეობითს აღარ ასახელებს. ჩვენ პირველ ვარიანტს ვემყარებით.

როგორც ვხედავთ, ნ. მარიდან მოყოლებული მწკრივთა რაოდენობა ძველ ქართულში რვიდან ცხრამეტამდე მერყეობს.

ძირითადად ოთხი ვარიანტია უღლების სისტემისა; სურათი ასეთია:

ნ. მარის სქემა — 8 საუღლებელი ერთეული;
არნ. ჩიქობავას სქემა — 10 საუღლებელი ერთეული;
ა. შანიძის სქემა — 15 საუღლებელი ერთეული;
ლ. კიკნაძის სქემა — 19 საუღლებელი ერთეული.

ყველა ის მწკრივი, რომელიც ნ. მარის სქემაზეა წარმოდგენილი,

მეორდება სხვა ავტორებთანაც. ამ სისტემის შემადგენელ ერთეულთა დამოუკიდებელ მწკრივად მიჩნევის საკითხი დავას არ იწვევს. გამოყოფის პრინციპი — ფორმობრივ-ფუნქციური — ამ სისტემაში დაცულია. ყველა საუღლებელი ერთეული დამოუკიდებელი ფორმობრივი მონაცემია; მწკრივთა შორის სხვაობას ფუძეთა სხვაობა ქმნის:

I სერია

აწმყო — ვ-ა-ქ-ებ
უწყვეტელი — ვ-ა-ქ-ებ-დ-(ი)
I კავშირებითი — ვ-ა-ქ-ებ-დ-ე

II სერია

წყვეტილი — ვ-ა-ქ-ე
II კავშირებითი — ვ-ა-ქ-ო

III სერია

I თურმეობითი — მ-ი-ქ-ი-ე-ს
II თურმეობითი — მ-ე-ქ-ო (← *მ-ე-ქ-ე-ო)
III კავშირებითი — მ-ე-ქ-ო-ს

დავას არ იწვევს I სერიაში უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივის გამოყოფა: ვ-ა-ქ-ებ-დ-ი, ა-ქ-ებ-დ-ი, ა-ქ-ებ-დ-ი-ს; ფუძეთა სხვაობას უწყვეტელსა და უწყვეტლის ხოლმეობითს შორის, როგორც ცნობილია, **-ი** სუფიქსი ქმნის, რომელიც მწკრივის მაწარმოებლად გაიაზრება; უწყვეტელში გამოვლენილი **ი** ელემენტი ფონეტიკური დანართია, ფუძისეულად არ გაიაზრება.

შენიშვნა: ის ფაქტი, რომ ერთმანეთს ემთხვევა დონიანი ზმნების უწყვეტლის I და II პირის ფორმები მრავლობითში (და მხოლობითშიც, თუ **-ი** ელემენტი დაერთვის), არ დასვამს საერთო ფუძის საკითხს ამ ორი მწკრივისათვის და, შესაბამისად, მათი ერთ მწკრივად მიჩნევისას. სხვაობს ჩვეულებრივ პარადიგმის მესამე წევრი (III პირის ფორმები). ფუძეთა სხვაობა ამ შემთხვევაში აშკარაა:

უწყვეტელი	უწყვეტლის ხოლმეობითი
ვ-წერ-დ-(ი)	ვ-წერ-დ-ი
ს-წერ-დ-(ი)	ს-წერ-დ-ი
წერ-დ-ა	წერ-დ-ი-ს
ვ-წერ-დ-ი-თ	ვ-წერ-დ-ი-თ
ს-წერ-დ-ი-თ	ს-წერ-დ-ი-თ
წერ-დ-ეს	წერ-დ-ი-ან

I შემთხვევაში **ი** არ შეიძლება გავიაზროთ ფუძისეულად: იგი აშკარა დანართი ელემენტია, მხოლობითში სპორადულად გამოვლენილი. II შემთხვევაში — ფუძის ორგანული კუთვნილება.

სხვაგვარია ვითარება **ოდ**-იანი ზმნების შემთხვევაში: უწყვეტლის ხოლმეობითსა და I კავშირებითის პარადიგმები იდენტურია:

ვ-ტირ-ოდ-ი	ვ-ტირ-ოდ-ი-თ
ს-ტირ-ოდ-ი	ს-ტირ-ოდ-ი-თ
ტირ-ოდ-ი-ს	ტირ-ოდ-ი-ან

რომ ყველა შემთხვევაში (ე. ი. **-დ** და **-იდ** სუფიქსიანებშიც) ასეთი ვითარება გვქონდეს, თავისთავად ცხადია, დადგებოდა საკითხი ამ ფორმათა ერთი მწკრივის ფორმებად მიჩნევისა, მაგრამ არსებითი ისაა, რომ ფორმათა დამთხვევა ხდება მხოლოდ ერთი ტიპის (**-ოდ** სუფიქსიან) ზმნებში და არა ყველა შემთხვევაში. მწკრივის ფორმათა წარმოების საკითხებზე მსჯელობისას ეს ფაქტი აღინიშნება, მაგრამ არ დგება საკითხი მწკრივთა იდენტიფიკაციისა...

ასევე ითქმის II ხოლმეობითზეც — ძველი ქართულისათვის აშკარად გამოკვეთილი დამოუკიდებელი ფორმისა და ფუნქციის მწკრივზე: ვ-ა-ქ-ი, ა-ქ-ი, ა-ქ-ი-ს... ფორმობრივი და ფუნქციური თვალსაზრისით კანონზომიერია ე-ბრძან-ი-ს ტიპის ფორმათა დამოუკიდებელ მწკრივად — მესამე ხოლმეობითად — გამოყოფაც.

შენიშვნა: დავა III ხოლმეობითის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში არ არის. არნ. ჩიქობავას შრომებში ამ მწკრი-

ვის შესახებ მსჯელობა არაა. თუმცა არნ. ჩიქობავას რედაქციით გამოსულ ა. ჭინჭარაულის მონოგრაფიაში „ხევსურულის თავისებურებანი“ (1961) ამ მწკრივის თაობაზე არის საუბარი (გვ. 144-145).

6.2. ე. წ. სადავო მწკრივების შესახებ

სამეცნიერო ლიტერატურაში არაა აზრთა ერთგვაროვნება შერეული კავშირებითის მწკრივის შესახებ. როგორც ითქვა, ამ ფორმებს პირველად ყურადღება კ. კეკელიძემ მიაქცია, მაგრამ მისი ცალკე მწკრივად გამოყოფა და მორფოლოგიურ-სემანტიკური დახასიათება ა. შანიძის სახელთანაა დაკავშირებული: „წარმოების თვალსაზრისით ისინი II სერიას ეკუთვნიან — მის ფუძეს ეყრდნობიან, მაგრამ ზედ ურთავენ **ოდ** სავრცობს, რომელიც I სერიიდან არის აღებული. ამის გამო ისინი ორმაგ ბუნებას იჩენენ: სინტაქსური თავისებურებანი II სერიის მწკრივებისა აქვთ (გარდამავალი ზმნები ქვემდებარეს მოთხრობითში შეიწყობენ, პირდ. დამატებას კი — სახელობითში), ხოლო ერთი მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით ისინი I სერიის მწკრივთა რიგში დგანან: ასპექტი უსრული აქვთ. დრო მათ მომავალი აქვთ, კილო — თხრობითი ან კავშირებითი, ზოგჯერ ბრძანებითიც“ (ა. შანიძე, 1948, გვ. 18).

შენიშვნა: შეიძლება დაზუსტებას მოითხოვდეს განმარტება, რომ **-ოდ** სუფიქსი „I სერიიდან არის აღებული“. **-ოდ** სუფიქსი გვხვდება I სერიის მწკრივებთანაც, III სერიის მწკრივებთანაც და, როგორც ვხედავთ, II სერიის მწკრივთანაც. ასე რომ, სავრცობიანი მწკრივები ყველა სერიაში გვაქვს. ამიტომ პრიორიტეტი I სერიას ალბათ არ უნდა მიენიჭოს.

არნ. ჩიქობავა „აღიღ-ოდ-ი-ს“, „მისც-ოდ-ი-ს“ ტიპის ფორმებს დამოუკიდებელი მწკრივის ფორმებად არ გაიაზრებს. ავტორი მას „ხოლმეობითისაგან ნაწარმოებ ნამყო უსრულს“, ანდა „არქაულ ნამყო უსრულს“ უწოდებს. წარმოების მიხედვით განარჩევს ორგვარ ნამყო უსრულს:

ა) **აკეთებდა** — აწმყოს ფუძისაგან ნაწარმოები ორდინალური (რიგითი) ნამყო უსრული;

ბ) **ვიდოდა** — ხოლმეობითისაგან ნაწარმოები არქაული ნამყო უსრული (არნ. ჩიქობავა, 1948(1), გვ. 58).

ვფიქრობთ: „აღ-ი-ღ-ოდ-ი-ს“... ტიპის ფორმათა ანალიზი ამ ტიპის წარმოების დამოუკიდებელ მწკრივად მიჩნევას დაუჭერს მხარს. ფაქტია, გვაქვს განსხვავებული ფუძე (I სერიის **-ოდ** სუფიქსიან წარმოებასთან თემის ნიშნით განსხვავებული) განსხვავებული ფუნქციებით.

შენიშვნა: ა) ძველ ქართულში უწყვეტლის ფუნქციებად ასახელებენ: „დრო — წარსული, კილო — თხრობითი, ასპექტი — უსრული (ა. შანიძე);
შერეული კავშირებითის ფუნქციებია: დრო — მომავალი, კილო —თხრობითი (ან კავშირებითი, ან ბრძანებითი), ასპექტი — უსრული.
ბ) ა. შანიძე ამ მწკრივის ერთ-ერთ თავისებურებად იმასაც მიიჩნევს, რომ II სერიის სხვა მწკრივთაგან განსხვავებით ობიექტის მრავლობითობის ნ(←ენ) ფორმანტი **-ოდ** სუფიქსის წინაა: შეწირნოდის (მან იგინი). ეს ფაქტი ა. შანიძეს იმის საბუთად მიაჩნდა, რომ „მწკრივი უთუოდ მეორეული წარმოშობისაა“ (ა. შანიძე, 1948, გვ. 18). დაკვირვება უდავოდ საინტერესოა, მაგრამ ამ მწკრივის მეორეული (გვიანდელი) წარმომავლობის საბუთად ეს ფაქტი შეიძლება არ გამოდგეს: **-ენ** სუფიქსი მხოლოდ მეორე სერიის ფორმებთან გვხვდება და იგი ჩვეულებრივ უშუალოდ მარტივ ფუძეს (resp. ძირს) მიერთვის; პირისა და რიცხვის ნიშნები თუ მწკრივის მაწარმოებლები, ჩვეულებრივ, **-ენ (→ნ)** სუფიქსს მოსდევს:

და-წერ-ენ,	და-წერ-ენ-ი-თ,
და-წერ-ნ-ა,	და-წერ-ნ-ეს
და-წერ-ენ-ი-ნ,	და-წერ-ნ-ედ,
და-წერ-ნ-ი-ს,	და-წერ-ნ-ი-ან,
და-წერ-ნ-ე-ს,	და-წერ-ნ-ე-ნ,

ასეთივე ვითარებაა შერეული კავშირებითის შემთხვევაშიც:

შე-წირ-ნ-ოდ-ი-ს, აღა-სრულ-ნ-ოდ-ი-ან.

არ გვაქვს შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით შევუდაროთ სხვა -ოდ ფორმანტიანი მწკრივები — I და III

სერიაში -ენ(→ნ) სუფიქსი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობისა არა გვაქვს. II სერიის ფორმათა ანალიზი კი შერეული კავშირებითის ვაითარებას განცალკევებით არ წარმოგვიდგენს.

აქ ალბათ იმ საკითხის დასმაც შეიძლება, რომ სხვა მწკრივთა ფორმების გააზრებიდან **ოდი** ერთ მორფემად ხომ არ უნდა იქნეს გააზრებული:

დავ-წერ-ენ
დავ-წერ-ნ-ი
დავ-წერ-ნ-ე
დავ-წერ-ნ-ოდი...

სხვაგვარია ვითარება აწმყოს ხოლმეობითის და, შესაბამისად, I და II ბრძანებითის შემთხვევაში. სამივე მწკრივის პარადიგმა პირნაკლია.

აწმყოს ხოლმეობითის პარადიგმაში მხოლოდ III პირის ფორმებს წარმოადგენენ:

წერ-ნ (იგი მას) წერ-ედ (იგინი მას)

I და II ბრძანებითის პარადიგმები II და III პირის ფორმებითაა წარმოდგენილი:

	I ბრძანებითი		**II ბრძანებითი**
1.	— — —	1.	— — —
2.	წერ-დ-(ი)	2.	და-წერ-ე
3.	წერ-დ-ი-ნ	3.	და-წერ-ე-ნ
1.	— — —	1.	— — —
2.	წერ-დ-ი-თ	2.	და-წერ-ე-თ
3.	წერ-დ-ედ	3.	და-წერ-ედ

ამ სამი მწკრივის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არაა აზრთა ერთგვაროვნობა. აზრთა სხვადასხვაობის საფუძველს ის ქმნის, რომ მათ საკუთარი ფუძე არ გააჩნიათ. „აწმყოს ხოლმეობითი და I ბრძანებითი საკუთარი ფუძის არმქონე, პირნაკლი მწკრივებია“ (ლ. კიკნაძე, 1961, გვ. 231) აწმყოს ხოლმეობითის ფუძე იდენტურია აწმყოს ფუძისა; I ბრძანებითის ფუძე — უწყვეტლის ფუძისა, ხოლო II ბრძანებითის ფუძე — წყვეტილის ფუძისა. ეს ცნობილი ფაქტია.

ფუნქციური სხვაობა აშკარაა აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის, უწყვეტლისა და I ბრძანებითის, წყვეტილისა და II ბრძანებითის ფორმებს შორის:

ა) **აწმყო** — „დრო ეხლანდელია, კილო — თხრობითი“.
აწმყოს ხოლმეობითი — „კილო თხრობითია, გამოხატავს მრავალგზის გამეორებულ მოქმედებას წარსულში ან ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივია და მარადის ხდება“.

ბ) **უწყვეტელი** — „დრო წარსულია, კილო თხრობითი“.
I **ბრძანებითი** — „დრო ეხლანდელი ან მომავალი, კილო — ბრძანებითი“.

გ) **წყვეტილი** — „დრო წარსულია, კილო — თხრობითი“.
II ბრძანებითი — „დრო მომავალია, კილო — ბრძანებითი“
(ა. შანიძე, 1976, გვ. 69-70).

მაგრამ არის კი საკმარისი მხოლოდ ფუნქციური სხვაობა ამ წყვილთაგან თითოეულის დამოუკიდებელ მწკრივად მიჩნევისათვის? ფორმობრივად მათ შორის სხვაობას ქმნის ის, რომ სუბიექტურ მესამე პირში განსხვავებულ სუფიქსებს მიიღებენ:

აწმყო	**აწმყოს ხოლმეობითი**
წერ-ს	წერ-ნ
წერ-ენ	წერ-ედ
უწყვეტელი	**I ბრძანებითი**
წერ-დ-ა	წერ-დ-ი-ნ
წერ-დ-ეს	წერ-დ-ედ
წყვეტილი	**II ბრძანებითი**
და-წერ-ა	და-წერ-ე-ნ
და-წერ-ეს	და-წერ-ედ

როგორც ვხედავთ, ვითარება სამივე შემთხვევაში ერთგვარია: ფაქტობრივ, პირის ნიშანთა სხვაობას ეფუძნება დამოუკიდებელ მწკრივთა გამოყოფა. არის კი ეს საკმარისი მწკრივთა გამოყოფისათვის?

საკითხის ამგვარად დასმას სამეცნიერო ლიტერატურაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. აზრთა ერთგვაროვნება ჯერაც არაა მიღწეული.

ერთი თვალსაზრისის მიხედვით, **არ-ნ — არი-ედ** ფორმები აწმყოს ფორმებია, სუბიექტის უძველესი **-ნ, -ედ** სუფიქსებით; სხვაგვარად: ა რ - ს და ა რ - ნ, ა რ - ი - ა ნ და ა რ - ი - ე დ პარალელური ფორმებია აწმყოს მწკრივისა; პარალელიზმს სხვადასხვა პირის ნიშანთა გა-

მოყენება ქმნის (არნ. ჩიქობავა, 1940, 1948(1), 1968; ვ. თოფურია, 1953; გ. როგავა, 1968; ა. არაბული, 1980).

მეორე თვალსაზრისის მიხედვით, სუბიექტური მესამე პირის სუფიქსებით განსხვავებული ფორმები სხვადასხვა მწკრივის ფორმებია (ა. შანიძე, 1976; ი. აბულაძე, 1954; ი. იმნაიშვილი, 1982; ლ. კიკნაძე, 1961; 1967; ზ. სარჯველაძე, 1984).

ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის მისაღებია პირველი თვალსაზრისი. რა შეიძლება ითქვას მეორე თვალსაზრისზე?

მკვლევართა უმეტესობა აწმყოს ხოლმეობითს პირნაკლ მწკრივად მიიჩნევს; ეს არის მწკრივი, რომელსაც მხოლოდ სუბიექტური მესამე პირის ფორმები მოეპოვება (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი...). თუ აწმყოს ხოლმეობითს დამოუკიდებელ მწკრივად მივიჩნევთ, სავსებით მართებული იქნება ზ. სარჯველაძის მიერ საკითხის ასე დასმა: „ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ისეთ მნიშვნელოვან მწკრივს, როგორიცაა აწმყოს ხოლმეობითი, არ ჰქონოდა I და II სუბიექტური პირის ფორმები. როგორც ჩანს, აწმყოს ხოლმეობითის I და II პირის ფორმები აწმყოს I და II პირის ფორმებს ემთხვევა. გარჩეული იყო მხოლოდ III პირის ფორმები“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 425). ამგვარად, აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის მწკრივთა პარადიგმები ასეთ სახეს მიიღებდა:

აწმყო	**აწმყოს ხოლმეობითი**
ვ-კლ-ავ	ვ-კლ-ავ
ჰ-კლ-ავ	ჰ-კლ-ავ
კლ-ავ-**ს**	კლ-ავ-**ნ**
ვ-კლ-ავ-თ	ვ-კლ-ავ-თ
ჰ-კლ-ავ-თ	ჰ-კლ-ავ-თ
კლ-ვ-**ენ**	კლ-ვ-**ედ**

სხვაობას ამ ორ პარადიგმას შორის III პირში სუფიქსები **-ს** და **-ნ, -ენ** და **-ედ** ქმნიან. არ დავობენ იმის თაობაზე, რომ ეს სუფიქსები სუბიექტური მესამე პირის ფორმანტებია; **-ნ** და **-ედ** სუფიქსთა გამოყენება მიიჩნევა აწმყოს ხოლმეობითის მწკრივებისათვის სპეციფიკურ მოვლენად. მაგრამ ფაქტია, რომ **ისინი სუბიექტური მესამე პირს გამოხატავენ სხვა მწკრივებშიც;** კერძოდ, მიუთითებენ, რომ

ა) „ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით, **-ედ** მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში იხმარება **I და II ბრძანებით-**

ში: იმალვოდ-ედ (იგინი); **დაწერ-ედ** (მათ იგი); **აწმყოს ხოლმეობითში: წერ-ედ** (იგინი მას); **II ბრძანებითში** — ისეთ ზმნებთან, რომელთაც მწკრივის ნიშანი არ დაერთვის: **თქუ-ედ** (მაგ იგი)“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 394). გარდა ამისა, **-ედ** სუფიქსი სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში დადასტურდა **უწყვეტლის ხოლმეობითსა** (ზრუნ-ვ-იდ-ი-ედ...) და **II ხოლმეობითში** (და-სხდ-ი-ედ...) (ი. აბულაძე, 1954), II კავშირებითსა (იქმნედ...) და I თურმეობითში (შეუმოსიედ...) (ზ. სარჯველაძე, 1984).

ბ) „S_3 პირის ნიშნად მხოლობით რიცხვში **-ნ** გვხვდება: **აწმყოს ხოლმეობითში** (**ზინ, წერნ**), **I ბრძანებითსა** (**წერდინ, კლევდინ**) და **II ბრძანებითში** (**მოკალნ, თქუნ**) (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 403)“. გარდა ამისა, **-ნ** სუბიექტური III პირის ნიშნად დადასტურდა **I თურმეობითშიც** (უცნობიენ) (ი. აბულაძე, 1954) და **II ხოლმეობითშიც** (**ითქჳნ, იყვინ**) (ზ. სარჯველაძე, 1984).

რა ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით:

მხოლობით რიცხვში სუბიექტურ მესამე პირს გამოხატავს **-ნ:**

აწმყოს ხოლმეობითში;
I ბრძანებითში;
II ბრძანებითში;
II ხოლმეობითში;
I თურმეობითში.

სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვს გამოხატავს **-ედ:**
აწმყოს ხოლმეობითში;
I ბრძანებითში;
უწყვეტლის ხოლმეობითში,
II ბრძანებითში;
II ხოლმეობითში;
II კავშირებითში;
I თურმეობითში.

ამდენად, **-ნ** და **-ედ** სუფიქსთა გმოყენების სფერო საკმაოდ ფართოა. ამ დროს სამი მწკრივის — **აწმყოს ხოლმეობითის, I ბრძანებითისა** და **II ბრძანებითის** — დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად მიჩნევა მხოლოდ ამ ნიშანთა გამოვლენას ეფუძნება, მაშინ როცა პირის ნიშნით ასევე განსხვავებული ფორმები **უწყვეტლის ხოლმეობითში, II ხოლმეობითში, II კავშირებითსა** და **I თურმეობითში** დამოუკი-

დებელ საუღლებელ ერთეულად არ გაიაზრება. თუკი ეს ფაქტორი (პირის ნიშანთა სხვაობა) საუღლებელ ერთეულთა გამოყოფის პრინციპად შეიძლება მივიღოთ, გამოდის, რომ ეს პრინციპი ირღვევა. ჩვენი მსჯელობის საწინააღმდეგოდ შეიძლება გვითხრან, რომ აწმყოს ხოლმეობითსა და I-II ბრძანებითის შემთხვევაში ფუნქციური სხვაობაც ხდება, სხვა შემთხვევაში — არა. მართალია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხშირია შემთხვევები, როცა

I. აწმყო გვაქვს იქ, სადაც კონტექსტის მიხედვით აწმყოს ხოლმეობითი არის მოსალოდნელი;

II. ერთსა და იმავე წინადადებაში ერთმანეთის გვერდით დასტურდება აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმები;

III. ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ნუსხები საკმაოდ ხშირად ერთმანეთს იმითაც უპირისპირდებიან, რომ ერთი და იმავე ზმნის ფორმას განსხვავებულად წარმოგვიდგენენ. ერთ ნუსხაში რომ აწმყოს ხოლმეობითია, სათანადო ადგილას მეორე ნუსხა აწმყოს მწკრივს გამოავლენს;

IV. ერთსა და იმავე წინადადებაში აწმყოს გვერდით დასტურდება ზმნები, რომლებიც უწყვეტლის ხოლმეობითის ან III ხოლმეობითის ფორმით არიან წარმოდგენილი. ამდენად, ასეთ შემთხვევებში აწმყოს ხოლმეობითი იყო მოსალოდნელი, გვაქვს კი აწმყო;

V. გადამწერს მცდარად მიუჩნევია აწმყოს ფორმები და მის „გააზრიანებას“ ცდილა (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 427). და ყოველივე ეს IX-XI საუკუნის ძეგლებში დასტურდება.

როგორც ვხედავთ, **-ს/-ენ** სუფიქსებიან ფორმებსაც შესწევს უნარი ზოგადი აწმყოს ფუნქციის გადმოცემისა.

შენიშვნა: ყველა ჩამოთვლილი შემთხვევა ავტორთან გამონაკლისად და ნორმიდან გადახვევად მიიჩნევა, რომ „აწმყოს ხოლმეობითის მწკრივი იშლება, მას თავისუფლად ენაცვლება აწმყო“. წარმოდგენილ შემთხვევათა მაგალითების სიმრავლე, თანაც ძველი ქართულისათვის ისეთ მნიშვნელოვან პერიოდში, როგორიცაა IX-XI საუკუნეები, ვფიქრობთ, იმის მაუწყებელია, უპირველეს ყოვლისა, რომ ზოგადი და კონკრეტული აწმყოს გამოხატვა ფორმობრივ მკვეთრად არაა გამიჯნული.

დავუშვათ, რომ მესამე სუბიექტური პირის ნიშნის მიხედვით განსხვავებული ფორმები სისტემებრ დაპირისპირებულია ფუნქციურადაც. არის კი ეს საკმარისი მათი სხვადასხვა მწკრივის ფორმებად მიჩნევისათვის?

არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ ა. შანიძე აწმყოს ხოლმეობითს პირნაკლ მწკრივად წარმოადგენს. ვ-წერ, ს-წერ, ვ-წერ-თ, ს-წერ-თ ავტორისათვის მხოლოდ აწმყოს ფორმებია; რა თქმა უნდა, ალბათ, ყველაზე კარგად ა. შანიძისათვის იყო ცნობილი ის ფაქტი, რომ ამ ფორმებს შესწევთ უნარი როგორც კონკრეტული, ასევე ზოგადი აწმყოს (ხოლმეობითის) ფუნქციის გადმოცემისა, მაგრამ არ სვამს საკითხს ამ ფორმათა ორი მწკრივის სახით წარმოდგენისას. ეს დაარღვევდა ა. შანიძის მოძღვრებას მწკრივის კატეგორიის შესახებ: „**ზმნის ფორმათა ისეთ ჯგუფს, რომელიც აერთიანებს ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს, მწკრივი ჰქვია**“ (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, 1980, გვ. 109); რომ „**ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები, მწკრივის ფუძე ჰქვია**“ (იქვე, გვ. 11). რომ „**ზმნას სხვადასხვა მწკრივში სხვადასხვა ფუძე აქვს**“ (იქვე, გვ. 121).

ამ მოძღვრების საფუძველზე **ვ-წერ** ფორმა არ შეიძლება ჩაითვალოს ერთ შემთხვევაში აწმყოდ და სხვა შემთხვევაში აწმყოს ხოლმეობითად, მიუხედავად იმისა, როგორია კონტექსტში მისი ფუნქციები...

შენიშვნა: ზ. სარჯველაძის აზრით, „აწმყოს ხოლმეობითის I და II პირების ფორმები აწმყოს I და II პირების ფორმებს ემთხვეოდა. მსგავსი ვითარება გვაქვს **-დ** სუფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა უღლებისას II სერიაში, სადაც „წყვეტილისა და II ხოლმეობითის I და II პირების ფორმები საზიაროა“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 425). ვფიქრობთ, ამგვარი ანალოგია სადავოა: წყვეტილისა და მეორე ხოლმეობითის I-II პირების ფორმათა დამთხვევა ხდება მხოლოდ ერთი ჯგუფის ზმნებში და არა საერთოდ. სხვა შემთხვევაში ამ ორი მწკრივის ფორმები მკვეთრადაა განსხვავებული I-II პირებში. აქ საქმე გვაქვს ერთი ტიპის ზმნათა წყვეტილის წარმოების თავისებურებებთან. სხვაგვარია ვითარება აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის შემთხვევაში — ფორმათა დამთხვევა (თუკი სხვადასხვა მწკრივად მივიჩნევთ)

ყველა ტიპის ზმნათათვის იქნება ჩვეულებრივი. შედარებისათვის სახელთა ბრუნებიდან: ახალ ქართულში ხდება ფუძეუკვეცელ სახელთა მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა დამთხვევა (**წყაროს** წყალი და **წყაროს** წავაწყდი). ეს ფაქტი რომ დამახასიათებელი ყოფილიყო ყველა ტიპის სახელთა ბრუნებისათვის, ორი ბრუნვა აღარ გამოიყოფოდა. წყვეტილისა და II ხოლმეობითის ფორმათა დამთხვევა ამ ვითარების ანალოგიურად გვესახება.

ა. შანიძის წარმოდგენილი მოძღვრება მწკრივის რაობის შესახებ საყოველთაოდაა გაზიარებული. როგორ შეეგუება ამ მოძღვრებას **წერ-ს** და **წერ-ნ** ფორმათა სხვადასხვა მწკრივის ფორმებად მიჩნევა (შესაბამისად: უწყვეტლისა და I ბრძანებითის, წყვეტილისა და II ბრძანებითის)? ცხადია, კითხვა პრობლემურია.

აღმოჩნდება, რომ სისტემებრ აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითს, უწყვეტელსა და I ბრძანებითს, წყვეტილსა და II ბრძანებითს ერთი და იგივე ფუძე აქვთ:

აწმყო	აწმყოს ხოლმეობითი
წერ-ს	**წერ**-ნ
წარ-**ი-ყვან-ებ**-ს	წარ-**ი-ყვან-ებ**-ნ
ს-**ცნ-ობ**-ს	ს-**ცნ-ობ**-ნ
თხზ-ავ-ს	**თხზ-ავ**-ნ

უწყვეტელი	I ბრძანებითი
წერ-დ-ა	**წერ-დ**-ი-ნ
წარ-**ი-ყვან-ებ-დ**-ა	წარ-**ი-ყვან-ებ-დ**-ი-ნ
ს-**ცნ-ობ-დ**-ა	ს-**ცნ-ობ-დ**-ი-ნ
თხზ-ვ-იდ-ა	**თხზ-ევ-დ**-ი-ნ

წყვეტილი	II ბრძანებითი
ს-**წერ-ე**	**წერ-ე-ნ**
წარ-**ი-ყვან-ე**	წარ-**ი-ყვან-ე**-ნ
ს-**ცან**	**ცან**-ი-ნ
შე-ს-**თხაზ**	შე-**თხაზ**-ნ

შენიშვნა: სრული ფუძე რომ წარმოჩენილიყო, წყვეტილში S_2 პირის ფორმები მოვიყვანეთ.

კვლავ გავიხსენოთ: „ზმნას სხვადასხვა მწკრივში სხვადასხვა ფუძე აქვს“. **ეს დებულება და მოყვანილი მაგალითები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.** ამ დებულების საფუძველზე აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითს, უწყვეტელსა და I ბრძანებითს, წყვეტილსა და II ბრძანებითს სხვადასხვა მწკრივად ვერ მივიჩნევთ.

აღნიშნულ წყვილთა სხვადასხვა მწკრივად მიჩნევა მწკრივის განმარტების დაზუსტებას მოითხოვს: ან მწკრივთა შორის ფუძეთა სხვაობის პრინციპი უნდა შეიცვალოს, ან მწკრივის ფუძის განმარტება.

მწკრივის ფუძის განმარტების შეცვლა ფუძეში პირის ნიშანთა შეტანას ივარაუდებდა (წერ-ს და წერ-ნ მხოლოდ პირის ნიშნებით განსხვავდება). საკითხის ასე დასმა, თავისთავად ცხადია, დაუშვებელია: გვექნება იმდენი ფუძე (შესაბამისად, იმდენი მწკრივიც), რამდენი ფორმაცაა პირისა და რიცხვის ნიშნებით განსხვავებული!

თუ ფუძეთა სხვაობას არ მივიჩნევთ აუცილებლად მწკრივთა გამოყოფისათვის და მხოლოდ ფუნქციურ სხვაობას დავემყარებით, იმგვარ შედეგს მივიღებდით, რა ვითარებაც პრაქტიკულ გრამატიკებში გვქონდა: ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა დროის (მწკრივის) ფორმად რომ გაიაზრებოდა! ეს მეორე უკიდურესობაა. და რაც მთავარია: **წერ-ს** და **წერ-ნ...** ფორმათა სხვადასხვა მწკრივად მიჩნევა დაარღვევს იმ ძირითად პრინციპს, რაც ნ. მარმა დანერგა სამეცნიერო გრამატიკაში — საწარმოებელი ფუძის პრინციპს. ეს იქნება, ფაქტობრივ, მიბრუნება იმ პრინციპისაკენ, რაც პრაქტიკულ გარმატიკებში იყო დამკვიდრებული.

სუბიექტური მესამე პირის ნიშნებით განსხვავებულ ფორმათა სხვადასხვა საუღლებელ ერთეულებად მიჩნევამ გამოუვალ წინააღმდეგობაში ჩაგვაგდო.

ყოველივე ეს იმ თვალსაზრისს დაუჭერს მხარს, რომ აწმყოს ხოლმეობითი, I და II ბრძანებითები ძველ ქართულში არის დამოუკიდებელი მწკრივები.

მაინც რჩება ერთი საკითხი: რა ვუყოთ იმ ფუნქციურ სხვაობას, რომელიც **წერ-ს** და **წერ-ენ** ფორმათა შორისაა (და, შესაბამისად, **წერ-ე-ნ** და **წერ-ა, წერ-დ-ი-ნ** და **წერ-დ-ა** ფორმებს შორის).

წერ-ს და **წერ-ნ** ფორმათა განმასხვავებელი ელემენტები სუბიექ-

ტური მესამე პირის მორფემებია. ფორმათა შორის ფუნქციური სხვაობაა. ფაქტია, ფორმათა განმასხვავებელი ელემენტები არაა განსხვავებულ მნიშვნელობათა მორფოლოგიური ნიშანი...

როგორც ითქვა, პარალელური — **ნ**არიანი და **ს**ანიანი — წარმოება მესამე სუბიექტური პირისა დასტურდება რამდენიმე მწკრივში:

აწმყოში, უწყვეტელში, წყვეტილში, II ხოლმეობითში, I თურმეობითში.

შენიშვნა: თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **-ედ** სუფიქსიანი წარმოება სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვში, გარდა ჩამოთვლილისა, გვაქვს უწყვეტლის ხოლმეობითსა და II კავშირებითში, შეიძლებოდა ამ მწკრივების დასახელებაც პარალელურ ფორმიან მწკრივებშიც.

ამათგან დამოუკიდებელი მწკრივების გამოყოფას ვარაუდობენ (სხვადასხვა ფუნქციის საფუძველზე) მხოლოდ აწმყოსაგან, უწყვეტლისა და წყვეტილისაგან. უწყვეტლის ხოლმეობითში, II ხოლმეობითში, II კავშირებითში პარალელური ფორმების არსებობა არ გამხდარა საფუძველი ახალი მწკრივების გამოყოფისა. თუ დავუშვებთ, რომ **-ნ/-ედ** სუფიქსებს პირველ შემთხვევაში შესწევთ ძალა მწკრივთა დაპირისპირებისა, რატომ არ ხდება ეს მეორე შემთხვევაში? თუ **-ნ/-დ** მწკრივის ფორმათა დამაპირისპირებელი ელემენტებია, რატომ გვხვდება ისინი მეორე რიგის მწკრივებთან? და კიდევ, რატომ ახდენს **-ნ/-დ** დაპირისპირებას სხვადასხვა ფუნქციური თვალსაზრისით?

ვფიქრობთ, საქმე ისაა, რომ აწმყო, უწყვეტელი და წყვეტილი დროულ-კილოური თვალსაზრისით პოლიფუნქციური მწკრივებია: აწმყოს ფორმას შესწევს უნარი კონკრეტული (აწმყო) დროის გადმოცემისაც და ზოგადი აწმყოს მნიშვნელობაც აქვს (ანუ: დაცლილია კონკრეტული დროული მნიშვნელობისაგან); ეს სხვაობა საფუძველი ხდება ასპექტური სხვაობისაც (კერძოდ, ერთგზისი და მრავალგზისი მნიშვნელობების გადმოცემის); ასევე, უწყვეტელსა და წყვეტილს შესწევთ უნარი თხრობითი და ბრძანებითი კილოს მნიშვნელობების გადმოცემისა (რაც ხდება საფუძველი დროული სხვაობისა; თხრობითი კილოს გადმოცემის შემთხვევაში დრო წარსულია, ბრძანებითი კილოს შემთხვევაში — დრო მომავალია).

იდეალურია ვითარება, როცა ენაში განსხვავებული ფუნქცია გან-

სხვავებული ფორმით გადმოიცემა... წარმოდგენილ სამ მწკრივში არსებული ფორმობრივი პარალელიზმი მესამე სუბიექტურ პირში ენამ ფუნქციური სხვაობისათვის გამოიყენა: ენაში უკვე არსებულმა ფორმებმა შეითავსეს ასევე ენაში უკვე არსებული შინაარსი. ეს შესაძლებლობა არ იყო I და II პირის ფორმებთან (ანუ I და II პირში არ გვქონდა პარალელური წარმოება), ამიტომ ეს ფორმები კვლავინდებურად პოლისემანტიკური დარჩა დროისა თუ კილოს თვალსაზრისით. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ თვით იმ მწკრივებშიც კი არ გატარდა სისტემებრ ეს პრინციპი: **ს**ანიანი ფორმა აწმყოსი ორივე მნიშვნელობას ითავსებდა (კონკრეტულსაც და ზოგადსაც), ე. ი. ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა ორივე ფორმით გადმოიცემოდა — **ს**ანიანითა და **ნ**არიანით.

ვფიქრობთ, ეს ვითარება სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემაში მომხდარ ცვლილებასთან უშუალო კავშირში უნდა იყოს.

სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემა ძველ ქართულში ამგვარი სახით წარმოგვიდგება:

მხ. რიცხვი:	-დ	მრ. რიცხვი:	-ედ
	-ნ		-ენ/-ან/-ნ
	-ს		-ეს
	-ა		
	(-ო)		

სალიტერატურო ენის ისტორია ნათლად გვიჩვენებს ამ სისტემის ცვლილების სურათს: მხოლობით რიცხვში გამოყენების არეს იფართოებს **-ს** სუფიქსი და იჭერს იმავე ფუნქციით აღჭურვილი **-ნ** და **-დ** ფორმანტების ადგილს. იმავდროულად **-ს** სუფიქსის ადგილს რიგ შემთხვევაში **-ა** სუფიქსი იკავებს (დინამიკურ გარდაუვალ ზმნათა აწმყოში). მრავლობით რიცხვში გამოყენების არეს იფართოებს **ნ**არიანი მაწარმოებლები, კერძოდ, **-ენ** სუფიქსი. **-ედ** ფორმანტი დაიკარგა, ხოლო **-ეს** სუფიქსის გამოყენების არე დავიწროვდა.

ამრიგად, ცვლილების ტენდენცია ასეთია: ენამ ვერ იგუა ერთი და იმავე ფუნქციით რამდენიმე ფორმანტი და მხოლობით რიცხვში თანხმოვან სუფიქსთაგან **-ს** გაბატონდა, მრავლობითში — **-ენ** სუფიქსი იჩენს ამგვარ მიდრეკილებას. ეს ტენდენცია ამჟამად ქვემოიმერულ დიალექტში წარმოგვიდგება თითქმის დასრულებული სახით: აქ **-ეს** სუფიქსი გარდამავალ ზმნათა წყვეტილში **-ენ**-მა შეცვალა (გააკეთ-ენ, აა-

შენ-ენ...). **-ენ** იჭერს **-ან** სუფიქსის ადგილსაც (ტირი-ენ, მოდი-ენ...).

აქ მარტივად წარმოდგენილი სისტემის ცვლილების ტენდენცია საკმაოდ ხანგრძლივია და რთული პროცესი ჩანს (ამ საკითხს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ მე-12 პარაგრაფში). ყველა დეტალის გათვალისწინებას და ყველა ცვლილების შეფასებას ჩვენ ამჯერად არ ვთვლით საჭიროდ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ **ნ**არიან და **ს**ანიან ფორმათა შორის ფუნქციათა გადანაწილება (მაგალითად: ზოგადი და კონკრეტული აწმყოს ფუნქციათა გამოხატვა) ამ რთული პროცესის ამსახველი ერთ-ერთი ეტაპი უნდა იყოს. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს იყო ჩანასახი ტენდენციისა, რომელიც არც ბოლომდე გატარდა და არც ყველა მწკრივის შემთხვევა მოიცვა.

ვიმეორებთ: პროცესი თავისთავად ძალზე საინტერესოა ფორმათა შორის ფუნქციათა გადანაწილების პროცესის გასააზრებლად (განსხვავებული ფორმები განსხვავებულ ფუნქციებს ითავსებს...), მაგრამ არაა საკმარისი **ნ**არიან და **ს**ანიან ვარიანტთა სხვადასხვა მწკრივის ფორმებად მიჩნევისათვის...

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით **აწმყოს ხოლმეობითის, I** და **II ბრძანებითის** დამოუკიდებელ მწკრივებად გამოყოფა არ მიგვაჩნია გამართლებულად. ვეთანხმებით იმ თვალსაზრისს, რომ ისინი აწმყოს, უწყვეტლისა და წყვეტილის ფორმობრივი ვარიანტებია, სუბიექტური მესამე პირის ნიშნებით განსხვავებული. ამ მწკრივთა პარადიგმები ასეთი სახით წარმოგვიდგება:

აწმყო:	ვ-წერ	ვ-წერ-თ
	ს-წერ	ს-წერ-თ
	წერ-ს ‖ ნ (‖ დ)	წერ-ენ ‖ ედ
უწყვეტელი:	ვ-წერ-დ-(ი)	ვ-წერ-დ-ი-თ
	ს-წერ-დ-(ი)	ს-წერ-დ-ი-თ
	წერ-დ-ა ‖ წერ-დ-ი-ნ	წერ-დ-ეს ‖ ედ
წყვეტილი:	ვ-წერ-ე	ვ-წერ-ე-თ
	ს-წერ-ე	ს-წერ-ე-თ
	წერ-ა ‖ წერ-ე-ნ	წერ-ეს ‖ -ედ

შენიშვნით: სუბიექტური მესამე პირის -ნ/-ედ სუფიქსიანი ფორმები აწმყოს შემთხვევაში ზოგადი აწმყოს მნიშვნელობის გამომხატველია, ხოლო წყვეტილისა და უწყვეტლის შემთხვევაში ბრძანებითი კილოს მნიშვნელობას იტვირთავს.

როგორც ითქვა, II სერიაში ლ. კიკნაძემ კიდევ სამი მწკრივი გამოყო: **შერეული ნამყო, შერეული ბრძანებითი** და **შერეული ხოლმეობითი.** უკვე აღინიშნა, რომ ძველი ქართულისათვის ფაქტია **შერეული კავშირებითის** მწკრივის არსებობა. ლ. კიკნაძე მსჯელობს: „რაკი შერეული კავშირებითი ფუნქციით I კავშირებითის ტოლია და ოდ-იანი ზმნების ამ მწკრივს ფორმითაც ჰგავს, მის გვერდით უნდა არსებულიყო ის მწკრივიც, რომელიც ფუნქციით უწყვეტლის ხოლმეობითის ტოლი იქნებოდა, ხოლო ფორმით (გარეგნულად) არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული შერეული კავშირებითისაგან... **ფორმით შერეული კავშირებითის მსგავს** ამ მწკრივს... **შერეული ხოლმეობითი** უნდა ეწოდოს“ (ხაზი ავტორისაა — გ. გ.) (ლ. კიკნაძე, 1967. გვ. 187). რომ **დადვოდიან** და **დაიბან(ნ)ოდიან** ტიპის ფორმებს „ხან **შერეული კავშირებითის** ფუნქცია აქვს და ხან **შერეული ხოლმეობითისა**“ (იქვე, გვ. 190). ამგვარად, პარადიგმა:

მი-ვ-ს-ც-ოდ-ი	მი-ვ-ს-ც-ოდ-ი-თ
მი-ს-ც-ოდ-ი	მი-ს-ც-ოდ-ი-თ
მი-ს-ც-ოდ-ი-ს	მი-ს-ც-ოდ-ი-ა-ნ

კონტექსტში გამოვლენილი ფუნქციისდა მიხედვით სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მწკრივად გაიაზრება! ეს აზრი გაიზიარა ზ. სარჯველაძემ: „იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში შერეული წყვეტილი, შერეული ხოლმეობითი, შერეული ბრძანებითი, შერეული კავშირებითი უფრო ხშირია.

ამ მწკრივთა (! — გ. გ.) ნიმუშები უპირატესად გვხვდება ისეთ ძეგლებში, რომლებიც დაწერილია, ნათარგმნია ან გადაწერილია სამხრეთ საქართველოს მწიგნობრულ კერებში, ან ამ კუთხის წარმომადგენელთა მიერ. შეიძლება დავასახელოთ: ადიშის ოთხთავი, პარხლის მრავალთავი, Sin.-97, პარიზის ლექციონარი, Sin.-43 და სხვა.

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ეს მოვლენა დიალექტიზმად უნდა ჩავთვალოთ“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 457).

თუმცა ავტორმა „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ პარადიგმებში არ შეიტანა... თავისთავად ცხადია, ამგვარი გააზრება არსებითად ეწინააღმდეგება მწკრივთა სისტემის აგების პრინციპს. ფაქტობრივ, ნ. მარის უდიდესი დამსახურება — საწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით გამოყოფა საუღლებელი ერთეულებისა — აქ უგულებელყოფილია. ესაა მობრუნება პრაქტიკული გრამატიკებისაკენ — ერ-

თი და იგივე ფორმა სხვადასხვა ფუნქციის გამოხატვის შემთხვევაში სხვადასხვა საუღლებელ ერთეულად რომ გაიაზრებოდა!

შერეული ხოლმეობითის მწკრივის გამოყოფა ძველი ქართულისათვის გაუმართლებელია.

ასევე, ამ პოზიციიდან გაუმართლებლად მიგვაჩნია **შერეული ნამყოსა** და **შერეული ბრძანებითის** მწკრივების გამოყოფაც. მოვუსმინოთ ავტორს: „ა. შანიძეს მოგჯსენენ ფორმის ადგილას, რომელიც აქ II ბრძანებითია, ხოლო სხვა ადგილას შეიძლება წყვეტილი იყოს, აღუდგენია მომიჯსენნოდე, იმ მწკრივის ფორმა, რომელიც შერეულ ხოლმეობითთან და შერეულ კავშირებითთან ერთად უნდა არსებულიყო და რომლისთვისაც შეიძლებოდა შერეული ბრძანებითი გვეწოდებინა“ (ლ. კიკნაძე, 1967, გვ. 192).

მომიჯსენნოდე ფორმა რომ რეალურად არსებულიყო ძველ ქართულში, თავისთავად ცხადია, შეიძლებოდა მსჯელობა დამოუკიდებელ მწკრივზე, მაგრამ არარსებულ ფორმათა პარადიგმის რეალურ მწკრივად გამოცხადება და სისტემაში მისთვის ადგილის მიჩენა გაჭირდება...

ამგვარი დაშვება ავტორს კიდევ ახალი მწკრივის გამოყოფის საფუძველს აძლევს: „რაკი ა. შანიძეს შერეული ბრძანებითის ფორმა აღუდგენია, ცხადია, მას ისიც გათვალისწინებული ჰქონია, რომ თავის დროზე ის მწკრივიც უნდა არსებულიყო, რომლის ფუძეც გამოყენებული იქნებოდა შერეული ბრძანებითისათვის და რომლისთვისაც შეიძლებოდა შერეული ნამყო დაგვერქმია: რაკი არც I ბრძანებითს და არც II ბრძანებითს საკუთარი ფუძე არ ჰქონდა (I ბრძანებითი უწყვეტლის ფუძეს იყენებდა და II ბრძანებითი — წყვეტილისას), ცხადია, არც შერეულ ბრძანებითს ექნებოდა საკუთარი ფუძე და მას სათანადო შერეული მწკრივის ფუძე უნდა გამოეყენებინა“ (იქვე, გვ. 192-193).

მომიჯსენნოდე ტიპის ფორმები რომ რეალურად არსებულიყო, მათი ორ მწკრივად მიჩნევა (შერეულ ნამყოდ და შერეულ ბრძანებითად) პრინციპულად გაუმართლებელი იქნებოდა. ამ შემთხვევაში კი, რამდენადაც რეალურად ამგვარი ფორმები არ დასტურდება, ამ მწკრივებზე საუბარიც ზედმეტი გვეჩვენება.

შენიშვნა: 1. ლ. კიკნაძის მსჯელობიდან ის შთაბეჭდილებაც რჩება, რომ თითქოს შერეული ნამყოსა და შერეული ბრძანებითის გამოყოფა საფუძველს ა. შანიძის ნააზრევიდან იღებს. მართალია, ა. შანიძე აღადგენს

ფორმას **მომიჯსენნოდე,** მაგრამ არ სვამს საკითხს მისი დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად მიჩნევის თაობაზე. საფუძველს მოკლებული გვეჩვენება მტკიცებაც, რომ „მას (ა. შანიძეს) ისიც გათვალისწინებული ჰქონია, რომ თავის დროზე ის მწკრივიც უნდა არსებულიყო, რომლის ფუძეც გამოყენებული იქნებოდა შერეული ბრძანებითისათვის“. ა. შანიძის შრომებში ამგვარი მწკრივების — შერეული ბრძანებითი, შერეული ნამყო, შერეული ხოლმეობითი — შესახებ არაა მსჯელობა. „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“, რომელიც 1976 წელს დაიბეჭდა (ლ. კიკნაძის ნაშრომი 1967 წელს გამოქვეყნდა), ამ მწკრივებს ვერ ვხვდებით. როგორც ჩანს, ა. შანიძე არ იზიარებდა წარმოდგენილ თვალსაზრისს. ა. შანიძის დებულება — „ზმნას სხვადასხვა მწკრივში სხვადასხვა ფუძე აქვს“ — სხვაგვარი დასკვნის უფლებას არ გვაძლევს.

2. ლ. კიკნაძის თვალსაზრისის შემაგრებას ფაქტობრივი მასალით ცდილობს ზ. სარჯველაძე. **აღიღოდა, ეყვოდე, თჳს-ეყვოდა, თჳს-ეყვოდეს** — შერეული წყვეტილის ფორმებადაა მიჩნეული, ხოლო ფორმა **აღიღოდიდ** — შერეულ ბრძანებითად. თუმცა კატეგორიულად ამის მტკიცებას ავტორი არ ცდილობს. მსჯელობა — „არის რამდენიმე შემთხვევა, როცა შერეული წყვეტილია საგულვებელი“ და „თითქოს შერეული ბრძანებითიც გვხვდება გელათის ბიბლიაში“ — გვაფიქრებინებს, რომ ავტორისათვისაც მთლად სარწმუნო არ არის ფორმათა ამგვარი კვალიფიკაცია (იხ. ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 456-457). ამიტომაც ავტორს ეს მწკრივები არ შეუტანია ძველი ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოში (ზ. სარჯველაძე, 1997).

I თურმეობითის იშვიათი ფორმები — **უცნობიენ, შეგირაცხიენ, მიუგებიენ**... ტიპისა — როგორც ითქვა, დამოუკიდებელი მწკრივის ფორმებად გაიაზრება (ი. აბულაძე, 1954, გვ. 145; ლ. კიკნაძე, 1967, გვ. 192; ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 404-405). ამ მწკრივს „III ხოლმეო-

ბითი“ (ი. აბულაძე) ან „I თურმეობითის ხოლმეობითი“ (ლ. კიკნაძე) უწოდეს.

ჩვენ სარწმუნოდ და დამაჯერებალდ მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ამ შემთხვევაში, ისევე როგორც „აწმყოს ხოლმეობითის“ შემთხვევაში, საქმე გვაქვს I თურმეობითის არქაულ ფორმებთან; III სუბიექტური პირის ნიშნით განსხვავებულ პარალელურ წარმოებასთან (ა. არაბული, 1980, გვ. 39). აწმყოს ხოლმეობითის თაობაზე ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ანალოგიას ამ შემთხვევაშიც იპოვის...

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, ძველ ქართულში დრო-კილოთა სისტემა ამ სახით წარმოგვიდგება:

I სერია —
1. აწმყო — (დას)წერ-ს
2. უწყვეტელი — (დას)წერ-დ-ა
3. უწყვეტლის ხოლმეობითი — (დას)წერ-დ-ი-ს
4. I კავშირებითი — (დას)წერ-დ-ე-ს

II სერია —
5. წყვეტილი — (და)წერ-ა
6. II ხოლმეობითი — (და)წერ-ი-ს
7. II კავშირებითი — (და)წერ-ო-ს
8. შერეული კავშირებითი — (და)წერ-ოდ-ი-ს

III სერია —
9. I თურმეობითი — (და)უწერ-იე-ს
10. II თურმეობითი — (და)ეწერ-ა
11. III ხოლმეობითი — (და) ეწერ-ი-ს
12. III კავშირებითი — (და)ეწერ-ო-ს

როგორც ვხედავთ, განსხვავებას ახალი ქართულის სისტემისაგან ოთხი მწკრივი ქმნის: უწყვეტლის ხოლმეობითი, II ხოლმეობითი, შერეული კავშირებითი, III ხოლმეობითი. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ შერეული კავშირებითის ფორმები ჩვეულებრივ ხოლმეობითის ფუნქციასაც ითავსებენ (რის გამოც შერეული ხოლმეობითიც ეწოდა ამ ფორმებს), შეიძლება დავასკვნათ, **რომ ძველი და ახალი ქართულის დრო-კილოთა სისტემათა შორის არსებული განსხვავების მიზეზი ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორიის გაქრობაა.**

6.3. უღლების ნიმუში ძველი ქართული ენისათვის

1. **აწმყო**

და-ვ-ს-წერ	და-ვ-ს-წერ-თ
და-ს-წერ	და-ს-წერ-თ
და-ს-წერ-ს	და-ს-წერ-ენ

შენიშვნა: I სერიის მწკრივებში, როგორც ცნობილია, პარალელური — ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტები გვაქვს. ნიმუშისათვის ზმნისწინიან ვარიანტს მოვიხმობთ — აქ უკეთ წარმოჩნდება თავისებურებანი.

2. **უწყვეტელი**

და-ვ-ს-წერ-დ-(ი)	და-ვ-ს-წერ-დ-ი-თ
და-ს-წერ-დ-(ი)	და-ს-წერ-დ-ი-თ
და-ს-წერ-დ-ა	და-ს-წერ-დ-ეს

3. **I ხოლმეობითი**

და-ვ-ს-წერ-დ-ი	და-ვ-ს-წერ-დ-ი-თ
და-ს-წერ-დ-ი	და-ს-წერ-დ-ი-თ
და-ს-წერ-დ-ი-ს	და-ს-წერ-დ-ი-ან

4. **I კავშირებითი**

და-ვ-ს-წერ-დ-ე	და-ვ-ს-წერ-დ-ე-თ
და-ს-წერ-დ-ე	და-ს-წერ-დ-ე-თ
და-ს-წერ-დ-ე-ს	და-ს-წერ-დ-ე-ნ

II სერია

5. **წყვეტილი**

და-ვ-წერ-ე	და-ვ-წერ-ე-თ
და-ს-წერ-ე	და-ს-წერ-ე-თ
და-წერ-ა	და-წერ-ეს

6. **II ხოლმეობითი**

და-ვ-წერ-ი	და-ვ-წერ-ი-თ
და-ს-წერ-ი	და-ს-წერ-ი-თ
და-წერ-ი-ს	და-წერ-ი-ან

7. **II კავშირებითი**

და-ვ-წერ-ო	და-ვ-წერ-ო-თ
და-ს-წერ-ო	და-ს-წერ-ო-თ
და-წერ-ო-ს	და-წერ-ო-ნ

8. **შერეული ხოლმეობითი** (კავშირებითი)

და-ვ-წერ-ოდ-ი	და-ვ-წერ-ოდ-ი-თ
და-ს-წერ-ოდ-ი	და-ს-წერ-ოდ-ი-თ
და-წერ-ოდ-ი-ს	და-წერ-ოდ-ი-ან

III სერია

9 **I თურმეობითი**

ა) ობიექტური წყობით

. და-მ-ი-წერ-ი-ე-ს	და-მ-ი-წერ-ი-ე-ს (და-გუ-ი-წერ-ი-ე-ს)
და-გ-ი-წერ-ი-ე-ს	და-გ-ი-წერ-ი-ე-ს
და-უ-წერ-ი-ე-ს	და-უ-წერ-ი-ე-ს

ბ) სუბიექტური წყობთ

და-უ-წერ-ი-ე	და-უ-წერ-ი-ე-თ
და-უ-წერ-ი-ე	და-უ-წერ-ი-ე-თ
და-უ-წერ-ი-ე-ს	და-უ-წერ-ი-ან

10. **II თურმეობითი**

და-მ-ე-წერ-ა	და-მ-ე-წერ-ა (და-გუ-ე-წერ-ა)
და-გ-ე-წერ-ა	და-გ-ე-წერ-ა
და-ე-წერ-ა	და-ე-წერ-ა

11. **III ხოლმეობითი**

და-მ-ე-წერ-ი-ს	და-მ-ე-წერ-ი-ს (და-გუ-ე-წერ-ი-ს)
და-გ-ე-წერ-ი-ს	და-გ-ე-წერ-ი-ს
და-ე-წერ-ი-ს	და-ე-წერ-ი-ს

12. **III კავშირებითი**

და-მ-ე-წერ-ო-ს	და-მ-ე-წერ-ო-ს (და-გუ-ე-წერ-ო-ს)
და-გ-ე-წერ-ო-ს	და-გ-ე-წერ-ო-ს
და-ე-წერ-ო-ს	და-ე-წერ-ო-ს

შენიშვნა: ნიმუშისათვის მხოლოდ I თურმეობითში წარმოვადგინეთ სუბიექტური და ობიექტური წყობის მაგალითები. სხვადასხვა ტიპის ზმნათა წარმოების თავისებურებებზე II ნაწილში ვისაუბრებთ.

§ 7. დრო-კილოთა სისტემა ქართული ენის დიალექტებში

7.1. ზოგადი ვითარება

მწკრივთა რაოდენობის მიხედვით ქართული ენის დიალექტები არაერთგვაროვან ვითარებას გვიჩვენებს.

ის რვა მწკრივი, რომელიც ახალ ქართულში გვაქვს, დასტურდება ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში. ვამბობთ თითქმისო, იმიტომ, რომ თავისებური ვითარებაა მესამე კავშირებითთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ მესამე კავშირებითი ახალ ქართულში ყველაზე ნაკლებად ხმარებული მწკრივია; მის ნაცვლად მეორე თურმეობითი გამოიყენება (ა. შანიძე, 1973, გვ. 223; შ. ძიძიგური, 1970, გვ. 250; ა. პაპიძე, 1979, გვ. 54). მიუთითებენ, რომ მესამე კავშირებითის ხმარება დიალექტებში ისევე შეზღუდულია, როგორც სალიტერატურო ქართულში (ა. ჭინჭარაული, 1960, გვ. 144; კ. კუბლაშვილი, 1985, გვ. 167 და სხვა). აქაც, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, მას მეორე თურმეობითი ცვლის. გამონაკლისს რაჭული დიალექტი ქმნის, სადაც კარგად შემოგვენახა III კავშირებითი. უფრო მეტიც, იგი ხშირად ცვლის II თურმეობითს. ეს ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია რაჭული

დიალექტისა (შ. ძიძიგური, 1970, გვ. 194...). ამგვარივე მოვლენაზე მიუთითებენ ინგილოურსა და ატენის ხეობის ქართლურშიც (გ. იმნაიშვილი, 1952, გვ. 329). მიუხედავად იმისა, როგორია III კავშირებითისა თუ II თურმეობითის გამოყენების სიხშირე ამა თუ იმ კილოში, ფაქტია, რომ ორივე მწკრივი დასტურდება ქართულ დიალექტებში.

ასე რომ, დრო-კილოთა სისტემის გამარტივება არ ხდება დიალექტებში; გართულება — კი.

7.2. დრო-კილოთა სისტემა აღმოსავლურ დიალექტებში

დრო-კილოთა სისტემის შედგენილობის თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. დიალექტები, რომლებიც მწკრივთა რაოდენობის თვალსაზრისით ახალი ქართულისაგან არ განსხვავდებიან — დრო-კილოთა სისტემაში რვა ერთეულია წარმოდგენილი. დიალექტთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება: აჭარული, მესხური, ჯავახური, იმერხეული და ინგილოური.

შენიშვნა: 1. ამ ნიშნის მიხედვით ინგილოური დიალექტი სამხრულ-დასავლურ დიალექტთა გვერდით აღმოჩნდა. სხვაობას აღმოსავლური დიალექტებიდან, კერძოდ, კახურისაგან (რომელთანაც ინგილოურს მრავალი შეხვედრის წერტილი აქვს), ხოლმეობითის მწკრივების ქონა-არქონა ქმნის... თუმცა, ხოლმეობითის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით, ინგილოური ამ ჯგუფისაგან მაინც განცალკევებით დგას: ყე (||ყ) ნაწილაკიანი ფორმების ხოლმეობითის გამოხატვა ნიშანდობლივია ამ დიალექტისათვის (იხ. გ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 121), რაც უცხოა ამ ჯგუფის სხვა კილოებისათვის.

2. მოდტანით, შადნახით, გადგი, დადნახი... ტიპის ფორმები, წყვეტილის მნიშვნელობით რომ გვხვდება ინგილოურში, არ შეიძლება ჩაითვალოს ისტორიული ხოლმეობითის ფორმებად (შდრ. გ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 121), იგი უნიფიცირებული წყვეტილის ფორმებია, ანალოგიას ეს მოვლენა ხევსურულში იპოვის.

3. თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული მეტყველების დიალექტური დაყოფის შესახებ არაა

აზრთა ერთგვაროვნება. სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა დიალექტს გამოყოფს. შ. ფუტკარაძის აზრით, ოთხი დიალექტი უნდა გამოიყოს:

1. იმერხეული
2. ლივანური
3. მაჭახლური
4. ტაოს ქართული (შ. ფუტკარაძე, 1995, გვ. 2).

მ. ფაღავას აზრით, სამი დიალექტი უნდა გამოიყოს:

1. შავშური (კილოებითურთ მაჭახლური და იმერხეული).
2. კლარჯული (იგივე ლივანური)
3. ტაოური (მ. ფაღავა, 2004, გვ. 809).

ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე არ არის საკმარისი მასალა იმის სამტკიცებლად, თუ რამდენი დიალექტია სამხრეთ საქართველოში. მ. ფაღავას მსჯელობა სამხრული დიალექტების ფონემატური სტრუქტურის ანალიზს ემყარება, შ. ფუტკარაძისა — ცალკეულ ნაირსახეობათა ლინგვისტურ ანალიზს; თუმცა რა ვითარება არის ზმნის უღლების თვალსაზრისით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჭირს... ამიტომაც ჩვენ ჯერჯერობით ტრადიციულ თვალსაზრისზე ვრჩებით და სამხრულ მეტყველებას იმერხეული (კლარჯული) დიალექტით წარმოვადგენთ.

2. განცალკევებით დგას ხევსურული დიალექტი. ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია ამ დიალექტში ყველაზე უკეთ და სრულად შემოგვენახა: დასტურდება სამივე ხოლმეობითი:

I ხოლმეობითი (უწყვეტლის ხოლმეობითი) — (გა)-აკეთებ-დ-ი-ს
II ხოლმეობითი — (გა)-აკეთ-ი-ს
III ხოლმეობითი — (გა)-ეკეთ-ი-ს
(ალ. ჭინჭარაული, 1960; ა. არაბული, 1978).

შენიშვნა: ძველი ქართულის იდენტური ვითარება I და II ხოლმეობითის წარმოებაში მხოლოდ III პირის ფორმებთან გვაქვს. I-II სუბიექტური პირის ფორმებში **-იდ** სავრცობი იჩენს თავს:

I ხოლმეობითი	—	ვაკეთებდ-**იდ**-ი	ვაკეთებდ-**იდ**-ით
		აკეთებდ-**იდ**-ი	აკეთებდ-**იდ**-ი-თ
		აკეთებდ-ი-ს	აკეთებდ-ი-ან
II ხოლმეობითი	—	ვაკეთ-**იდ**-ი	ვაკეთ-**იდ**-ი-თ
		აკეთ-**იდ**-ი	აკეთ-**იდ**-ი-თ
		აკეთ-ი-ს	აკეთ-ი-ან

III ხოლმეობითის მწკრივის შემონახვაა ის ფაქტორი, რომელიც ხევსურულს განცალკევებით წარმოგვიდგენს.

3. ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებს ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული და მოხეური (გ. ცოცანიძე, 1978; ი. ქავთარაძე, 1985; 1961). ამ დიალექტებში შემონახულია I და II ხოლმეობითის მწკრივები. მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით მთიულურ-გუდამაყრული და მოხეური ძველი ქართულის ვითარებას ასახავს:

I ხოლმეობითი	—	ვაკეთებდ-ი	ვაკეთებდ-ი-თ
		აკეთებდ-ი	აკეთებდ-ი-თ
		აკეთებდ-ი-ს	აკეთებდ-ი-ან
II ხოლმეობითი	—	ვაკეთ-ი	ვაკეთ-ი-თ
		აკეთ-ი	აკეთ-ი-თ
		აკეთ-ი-ს	აკეთ-ი-ან

ფშაურში ამ მწკრივთა წარმოების პრინციპი ხევსურულის მაგვარია. სხვაობას ის ქმნის, რომ ხევსურულში გამოყენებული **-იდ** სუფიქსის ნაცვლად ფშაურში **-ოდ** სუფიქსი იხმარება:

I ხოლმეობითი	—	ვაკეთებდ-**ოდ**-ი	ვაკეთებდ-**ოდ**-ი-თ
		აკეთებდ-**ოდ**-ი	აკეთებდ-**ოდ**-ი-თ
		აკეთებდ-ი-ს	აკეთებდ-ი-ან
II ხოლმეობითი	—	ვაკეთ-**ოდ**-ი	ვაკეთ-**ოდ**-ი-თ
		აკეთ-**ოდ**-ი	აკეთ-**ოდ**-ი-თ
		აკეთ-ი-ს	აკეთ-ი-ან

ის, რაც ამ დიალექტებს სხვებისაგან გამოარჩევს, თხოვნით-ბრძანებითია (თხოვნით-წაქეზებითი), II სერიის მწკრივი:

ვაკეთ-ოდ-ე	ვაკეთ-ოდ-ე-თ
აკეთ-ოდ-ე	აკეთ-ოდ-ე-თ
აკეთ-ოდ-ე-ს	აკეთ-ოდ-ე-ნ

შენიშვნა: 1. განსხვავებულია ამ მწკრივთა ხმარების სიხშირე აღნიშნულ დიალექტებში: თუ ფშაურში მათი გამოყენება ჩვეულებრივი ფაქტია, მოხეურსა და მთიულურ-გუდმაყრულში შედარებით იშვიათია.

2. მოხეურში არის ტენდენცია ხოლმეობითობის ორგანული წარმოების ნაწილაკიანი წარმოებით შეცვლისა, „ხოლმეობითის გამოყენების საჭიროება დარჩა, მაგრამ გამოხატვის ფორმა შეიცვალა... ფართოდ გავრცელდა **-კე** ნაწილაკის გამოყენება „ხოლმეს“ ფუნქციით“ (ი. ქავთარაძე, 1985, გვ. 57). საინტერესო სურათია: გვერდიგვერდ დასტურდება სამი ვარიანტი — არქაული, გარდამავალი და ახალი:

I ხოლმეობითი — აკეთებდის, აკეთებდის-კე, აკეთებდა-კე;
II ხოლმეობითი — აკეთის, აკეთის-კე, აკეთა-კე.

4. ერთგვაროვანია ვითარება თუშურში, კახურში, ქართლურსა და ფერეიდნულ დიალექტებში (თ. უთურგაიძე, 1960; გ. ცოცანიძე, 1970; ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, 1956; გ. იმნაიშვილი, 1953; არ. ჩიქობავა, 1927; ბ. ჯორბენაძე, 1989...). ამ დიალექტებში სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული ორი მწკრივი დასტურდება: I და II ხოლმეობითები. წარმოების პრინციპითა და საშუალებებით თუშური ხოლმეობითები ხევსურულის იდენტურია; ქართლური, კახური და ფერეიდნული ხოლმეობითები ძველი ქართულისებურია.

ამ დიალექტების ხევსურულისაგან III ხოლმეობითის არქონა განასხვავებს; ფშაურის, მოხეურისა და მთიულურ-გუდამაყრულისაგან — თხოვნით-წაქეზებითი მწკრივის არქონა.

7.3. დრო-კილოთა სისტემა დასავლურ დიალექტებში

სპეციფიკურ ვითარებას ქმნის ქართული ენის დასავლურ დიალექტთა ერთი ჯგუფი — იმერული, ლეჩხუმური, რაჭული და გურული.

დიალექტთა ამ ჯგუფში გამოიყო IV სერია სამი მწკრივით: თურმეობითი III (მინავალა, ნაწერა), თურმეობითი IV (მინავალიყო, ნაწერიყო) და კავშირებითი IV (მინავალიყოს, ნაწერიყოს) (გ. როგავა, 1953). ამ ტიპის წარმოება მეგრულის გავლენით იხსნება (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 146). „ქართული ენის დასავლურ კილოებს შორის ქვემოიმერული ერთა-

დერთია, რომელშიც აწმყოს ჯგუფის თურმეობითის მწკრივები (ე. ი. IV სერიის მწკრვები — გ. გ.) ყველაზე უფრო მწყობრ სისტემას ქმნის“ (კ. კუბლაშვილი, 1985, გვ. 170). როგორც ითქვა, IV სერიის მწკრივები დასტურდება აგრეთვე ლეჩხუმურში, რაჭულსა და გურულში (გ. როგავა, 1953; ვ. თოფურია, 1954; ბ. ჯორბენაძე, 1989). ამ ტიპის ფორმები გამოვლენილია ზემოიმერულშიც (ქ. ძოწენიძე, 1973). ქვემოიმერულის მაგალითზე წარმოვადგენთ IV სერიის მწკრივთა პარადიგმებს:

III თურმეობითი:	ვ-ნაკეთებ-ვარ	ვ-ნაკეთებ-ვართ
	ნაკეთებ-ხარ	ნაკეთებ-ხართ
	ნაკეთებ-ა	ნაკეთებლარიენ
IV თურმეობითი:	ვ-ნაკეთებ-იყავი	ვ-ნაკეთებ-იყავით
	ნაკეთებ-იყავი	ნაკეთებ-იყავით
	ნაკეთებ-იყო	ნაკეთებ-იყვენ
IV კავშირებითი:	ვ-ნაკეთებ-იყო	ვ-ნაკეთებ-იყოთ
	ნაკეთებ-იყო	ნაკეთებ-იყოთ
	ნაკეთებ-იყოს	ნაკეთებ-იყონ

მიუთითებენ, რომ კავშირებითი IV-ის „ნაკვთი (შესაძლებელი ფორმა) ისევე იშვიათია, როგორც კავშირებითი მესამის ფორმა“ (გ. როგავა, 1953, გვ. 23). იმასაც აღნიშნავენ, რომ „ქართულის კილოებში მეოთხე ჯგუფის მწკრივები ჩვეულებრივ მესამე პირის ფორმით გვხვდება: ნაწერა, მინავალა, მინავალიყო, ნაზოგავა, განარება და სხვ... პირველი და მეორე პირის ფორმებში იგი იშვიათად გვხვდება... პირის პრეფიქსები იხმარება უმთავრესად **ნა-** მიმღეობის აფიქსის წინ: ვ-ნაკეთებვარ, ვ-ნაწერვარ, მ-ნაყვარება და სხვ... ზოგან კი **ნა-** პრეფიქსსა და ზმნის ფუძეს შორისაა მოთავსებული პირის ნიშანი... შენა-გვ-ძლება“ (გ. როგავა, 1953, გვ. 29).

7.4. ტენდენციები

როგორც ვხედავთ, სალიტერატურო ქართულისათვის ნიშანდობლივი მწკრივთა სისტემა არის ის, რაც აერთიანებს დიალექტებში დადასტურებულ სისტემებს. სხვაობას სალიტერატურო ქართულთან მიმართებით ავლენს 12 დიალექტი, თანხვედრა გვაქვს ხუთ შემთხვევაში (ინგილოურ, მესხურ, ჯავახურ, აჭარულ და იმერხეულ დიალექტებში). დიალექტები, რომლებიც სხვაობენ სალიტერატურო ქართულთან შედა-

რებით, ზოგადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: „რომლებშიც არქაული ვითარებაა დაცული (მხედველობაში გვაქვს ხოლმეობითების მწკრივები): ხევსურული, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, მოხეური, თუშური, ქართლური, კახური, ფერეიდნული; 2. დიალექტები, რომელთა უღლების სისტემას სალიტერატურო ქართულისაგან ახალწარმონაქმნი მწკრივები განასხვავებს (მხედველობაში გვაქვს IV სერიის მწკრივები): იმერული, ლეჩხუმური, რაჭული, გურული. არის გარკვეული კანონზომიერებაც: პირველ ჯგუფში შედის აღმოსავლური დიალექტები (და ფერეიდნული, რომელიც, ფაქტობრივ, კახური დიალექტის განაყარია), ხოლო მეორე ჯგუფში — დასავლური დიალექტები.

პირველი ჯგუფის დიალექტებისათვის დამახასიათებელია სისტემის გამარტივების — სალიტერატურო ქართულთან დაახლოების — ტენდენცია. ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია იშლება. ბარის დიალექტებმა — კახურმა და ქართლურმა — ნაწილობრივ შეინარჩუნეს I და II ხოლმეობითის ფორმები (მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში); მთის დიალექტთაგან მოხეურში მიიღო ამ ტენდენციამ გამოკვეთილი სახე: ორგანული წარმოების ფორმებს ცვლის აღწერითი წარმოება. ყველაზე სრულად და მყარად ხოლმეობითის მწკრივები ხევსურულშია დაცული; შემდგომ თუშურსა და ფშაურში. აქაც თითქოს ნათლად ჩანს გზა სისტემის გამარტივებისა ხევსურულიდან ქართლურ-კახურამდე... საერთო ჩანს თითქოს მოხეურში ამჟამად მიმდინარე პროცესიც ხოლმეობითის ორგანული წარმოების აღწერითი წარმოებით შეცვლისა...

მეორე ჯგუფის დიალექტებისათვის დამახასიათებელია სისტემის გართულების — სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავების — ტენდენცია. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის გათვალისწინება გვავარაუდებინებს, რომ ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია ამ დიალექტებისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ამჟამად დასავლურ დიალექტებში ამის კვალიც არა ჩანს. ძველი ქართულის რთული სისტემა ხოლმეობითის დაკარგვის ხარჯზე გამარტივდა და აქვე იჩინა თავი სხვა თვალსაზრისით სისტემის გართულების ტენდენციამ: ჩამოყალიბდა IV სერია...

ძველი ქართული სალიტერატურო ენის, ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და თანამედროვე ქართული დიალექტების დრო-კილოთა სისტემის ვითარების გათვალისწინება ერთიან პროცესად წარმოგვადგენინებს დრო-კილოთა სისტემაში მიმდინარე პროცესებს. ქართული ენის დიალექტებმა შემოგვინახეს ამ ხანგრძლივი და საინტერესო პროცესის ყველა ეტაპი ძველი ქართულის დრო-კილოთა სისტემი-

დან დასავლური დიალექტების სისტემამდე.

ყოველივე ეს მეტად რთულ და საინტერესო ვითარებას ქმნის. საკვლევი და ასახსნელი ამ პროცესში ბევრი რამაა. ამჯერად ჩვენ მხოლოდ აღწერით ვკმაყოფილდებით.

შენიშვნა: როგორც აღვნიშნეთ, დიალექტოლოგიური ხასიათის გამოკვლევებში არაა საუბარი იმის თაობაზე, უნდა გამოიყოს თუ არა მყოფადის წრე ამა თუ იმ დიალექტებში. **აკეთებს — გააკეთებს** ფორმათა შორის რამდენადაც დროული სხვაობა ყველა დიალექტშია და ამ საკითხზე რაიმე შენიშვნა არ კეთდება, ივარაუდება, რომ გაზიარებულია თვალსაზრისი მყოფადის წრის გამოყოფის თაობაზე. ეს, ერთი მხრივ, ტერმინოლოგიის საკითხის გადასინჯვას მოითხოვდა დიალექტებში, რომლებშიც I ხოლმეობითის მწკრივია დამოწმებული: მყოფადის წრის ხოლმეობითი (გააკეთებდა) და იქვე I ხოლმეობითი (აკეთებდის) ტერმინოლოგიურ შეუსაბამობას შექმნიდა... მეორე მხრივ, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირების საფუძველზე მწკრივთა გამოყოფის საკითხი პირველი ხოლმეობითის ზმნისწინიან ფორმათა დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად გამოყოფის საკითხსაც დასვამდა: **აკეთებდის — გააკეთებდის.** ტრადიციულ თვალსაზრისზე დგომა მსჯელობას მოითხოვს: თუ **აკეთებდა — გააკეთებდა** სხვადასხვა მწკრივია, რატომ არ დგება ასევე საკითხი **აკეთებდის — გააკეთებდის** ფორმათა მიმართ.

ვიმეორებთ, ის, რომ არ დგას საკითხი **აკეთებდის — გააკეთებდის** ფორმათა სხვადასხვა საუღლებელ ერთეულად მიჩნევისა, მხარს უჭერს ჩვენს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ **აკეთებდა — გააკეთებდა** ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია (ამ საკითხს განვიხილავდით მე-5 პარაგრაფში: 5.5).

7.5. უღლების ნიმუშები ქართული ენის დიალექტებში

წარმოვადგენთ ორ დიალექტში — ხევსურულსა (შეადგინა ა. არაბულმა) და იმერულში ზმნის უღლების ნიმუშს:

ხევსურული დიალექტი

I სერია —	1. აწმყო:	(მა)ვ(ს)თიბ	(მა)ვ(ს)თიბთ
		(მა)სთიბ	(მა)სთიბთ
		(მას)თიბს	(მას)თიბენ
	2. უწყვეტელი:	(მა)ვ(ს)თიბდი̆	(მა)ვ(ს)თიბდით
		(მა)სთიბდი̆	(მა)სთიბდით
		(მას)თიბდ˹ა˺	(მას)თიბდეს
	3. I კავშირებითი:	(მა)ვ(ს)თიბდ˹ა˺	(მა)ვ(ს)თიბდათ
		(მა)სთიბდ˹ა˺	(მა)სთიბდათ
		(მას)თიბდას	(მას)თიბდან
	4. I ხოლმეობითი:	(მა)ვ(ს)თიბდიდი̆	(მა)ვ(ს)თიბდიდით
		(მა)სთიბდიდი̆	(მა)სთიბდიდით
		(მას) თიბდის	(მას) თიბდიან
II სერია —	5. წყვეტილი:	(მა)ვთიბი̆	(მა)ვთიბეთ
		(მა)სთიბი̆	(მა)სთიბეთ
		(მა)თიბ˹ა˺	(მა)თიბეს
	6. II კავშირებითი:	(მა)ვთიბ˹ა˺	(მა)ვთიბათ
		(მა)სთიბ˹ა˺	(მა)სთიბათ
		(მა)თიბას	(მა)თიბან
	7. II ხოლმეობითი:	(მა)ვთიბიდი̆	(მა)ვთიბიდით
		(მა)სთიბიდი̆	(მა)სთიბიდით
		(მა)თიბის	(მა)თიბიან
III სერია —	8. I თურმეობითი:	(მა)მითიბავ(ის)	(მა)გვითიბავ(ის)
		(მა)გითიბავ(ის)	(მა)გითიბავ(ის)
		(მა)უთიბავ(ის)	(მა)უთიბავ(ის)
	9. II თურმეობითი:	(მა)მეთიბ	(მა)გვეთიბ
		(მა)გეთიბ	(მა)გეთიბათ
		(მე)ეთიბ	(მე)ეთიბათ
	10. III კავშირებითი:	(მა)მეთიბას	(მა)გვეთიბას
		(მა)გეთიბას	(მა)გეთიბასთ
		(მე)ეთიბას	(მე)ეთიბას
	11. III ხოლმეობითი:	(მა)მეთიბის	(მა)გვეთიბის
		(მა)გეთიბის	(მა)გეთიბისთ
		(მე)ეთიბის	(მე)ეთიბის

ქვემოიმერული დიალექტი

I სერია —	1. აწმყო:	(გე)ვიკეთებ	(გე)ვიკეთებთ
		(გე)იკეთებ	(გე)იკეთებთ
		(გე)იკეთებს	(გე)იკეთებენ
	2. უწყვეტელი:	(გე)ვიკეთებდი	(გე)ვიკეთებდით
		(გე)იკეთებდი	(გე)იკეთებდით
		(გე)იკეთებდა	(გე)იკეთებდენ
	3. I კავშირებითი:	(გე)ვიკეთებდე	(გე)ვიკეთებდეთ
		(გე)იკეთებდე	(გე)იკეთებდეთ
		(გე)იკეთებდეს	(გე)იკეთებდენ
II სერია —	4. წყვეტილი:	(გე)ვიკეთე	(გე)ვიკეთეთ
		(გე)იკეთე	(გე)იკეთეთ
		(გე)იკეთა	(გე)იკეთენ
	5. II კავშირებითი:	(გე)ვიკეთო	(გე)ვიკეთოთ
		(გე)იკეთო	(გე)იკეთოთ
		(გე)იკეთოს	(გე)იკეთონ
III სერია —	6. I თურმეობითი:	(გა)მიკეთებია	(გა)გვიკეთებია
		(გა)გიკეთებია	(გა)გიკეთებიათ
		(გო)უკეთებია	(გო)უკეთებიათ
	7. II თურმეობითი:	(გე)მეკეთებია	(გე)გვეკეთებია
		(გე)გეკეთებია	(გე)გეკეთებიათ
		(გე)ეკეთებია	(გე)ეკეთებიათ
	8. III კავშირებითი:	(გე)მეკეთებიოს	(გე)გვეკეთებიოს
		(გე)გეკეთებიოს	(გე)გეკეთებიოთ
		(გე)ეკეთებიოს	(გე)ეკეთებიოთ
IV სერა —	9. III თურმეობითი:	(გა)ვნაკეთებვარ	(გა)ვნაკეთებვართ
		(გა)ნაკეთებხარ	(გა)ნაკეთებხართ
		(გა)ნაკეთება	(გა)ნაკეთებან
	10. IV თურმეობითი:	(გა)ვნაკეთებიყავი	(გა)ვნაკეთებიყავით
		(გა)ნაკეთებიყავი	(გა)ნაკეთებიყავით
		(გა)ნაკეთებიყო	(გა)ნაკეთებიყონ
	11. IV კავშირებითი:	(გა)ვნაკეთებიყო	(გა)ვნაკეთებიყოთ
		(გა)ნაკეთებიყო	(გა)ნაკეთებიყოთ
		(გა)ნაკეთებიყოს	(გა)ნაკეთებიყონ

§ 8. მწკრივთა დაჯგუფებისა და თანამიმდევრობის საკითხისათვის

ითქვა, რომ მწკრივები საწარმოებელი ფუძის მიხედვითაა დაჯგუფებული. ეს პრინციპი „ნ. მარმა დანერგა სამეცნიერო გრამატიკაში და ეს მისი უთუო დამსახურება არის“ (არნ. ჩიქობავა). ისიც აღინიშნა, რომ საწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით თუ პირველი და მეორე სერიის გამოყოფა დავას არ იწვევს, ამას ვერ ვიტყვით მესამე სერიის მიმართ. „თურმეობითის ჯგუფს არ მოეპოვება საერთო ფუძე, ამოსავლად რომ გვქონდეს წარმოებისას, ამით განსხვავდება თურმეობითის ჯგუფი აწმყოს და ნამყო ძირითადის (ნ. მარით: აორისტის) ჯგუფისაგან: აწმყოს ჯგუფი აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, ნამყო ძირითადისა — ნამყო ძირითადის ფუძეზე. თუ მესამე ჯგუფი (თურმეობითის ჯგუფი) მაინც გაერთიანდა, ეს იმიტომ, რომ ამ ჯგუფში შემავალი დროები „ერთი და იმავე წესით იწარმოება. მართლაც, ამ ჯგუფში ინვერსიული წყობა გვაქვს მაშინ, როდესაც აწმყოსა და ნამყო ძირითადის ჯგუფებში წყობა პირდაპირია...“ პირველ და მეორე ჯგუფში „წარმოებაა ამოსავალი, მესამე ჯგუფი სხვა პრინციპს დაემყარა“ (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 93).

ის, რაც მესამე ჯგუფის თაობაზე ითქვა, ზუსტია და გამართლებული ძველი სალიტერატურო ქართულისათვის. მესამე ჯგუფის მწკრივთა წარმოებაში არსებითი ხასიათის ცვლილებები განხორციელდა და, ჩვენი აზრით, ამ ცვლილებებმა საინტერესო სახე მიიღო. ამის თაობაზე მესამე სერიის მწკრივთა წარმოებისას ვისაუბრებთ. თუმცა მესამე სერია ახალ ქართულშიც ძირითადად არ ეთანხმება მწკრივთა დაჯგუფების იმ პრინციპს, რომელიც I და II სერიაში გატარდა. როგორც ითქვა, I და II სერიაში მკაცრად გატარებული საუღლებელი ფუძის პრინციპი III სერიაში სხვა სახეს იღებს. დაირღვა კლასიფიკაციის ერთიანი პრინციპი.

კლასიფიკაციის ერთიანი პრინციპის გატარების ცდამ მწკრივთა ორ ჯგუფად დალაგების საკითხი დასვა (არნ. ჩიქობავა). თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა (ამის თაობაზე ზემოთაც ითქვა). როცა ამ საკითხზე ვსაუბრობდით, კითხვა დავსვით: არის კი შესაძლებელი საკლასიფიკაციო ნიშნად საწარმოებელი ფუძის პრინციპის ბოლომდე გატარება, ე. ი. მწკრივთა ორ სერიად დაჯგუფება? უკვე, როცა გამოიკვეთა ჩვენი თვალსაზრისი მწკრივის რაობისა და მწკრივთა რაოდენობის შესახებ, ვფიქრობთ, შესაძლებელია ამ საკითხზე მსჯელობაც.

საწარმოებელი ფუძის პრინციპი გულისხმობს იმის გარკვევას, წარმოების თვალსაზრისით როგორ მიემართება ერთი რომელიმე მწკრივის საყრდენი ფუძე მეორეს.

შენიშვნა: 1. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, მწკრივის საყრდენ ფუძეს ვუწოდებთ იმ ნაწილს ზმნური ფორმისას, რომელსაც დაერთვის მწკრივის მაწარმოებლები.

2. მწკრივის მაწარმოებლად განიხილება ის ელემენტი ზმნური ფორმისა, რომელიც გვხვდება ამა თუ იმ მწკრივის ფორმაში და არ გადაჰყვება სხვა მწკრივში. შესაბამისად: **ვაკეთებდ-ე** ფორმაში **-ე** მწკრივის მაწარმოებელი იქნება (შდრ.: ვაკეთებდ-ი) **ვ-ა-კეთებ** ტიპის ფორმებში მივიჩნევთ, რომ ნულოვანი წარმოებაა მწკრივისა. მწკრივის საყრდენი ფუძე და მწკრივის ფუძე ამ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა.

გავიხსენოთ: ფუძეთა შენების ორ პრინციპს გამოყოფენ — **ხაზოვანი პრინციპი** და **ჩანაცვლების პრინციპი.** მწკრივთა წარმოებაში ხაზოვანი პრინციპის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აწმყო-მყოფადისა და უწყვეტელ-ხოლმეობითის მიმართება: **აკეთებ → აკეთებ-დ.** ე. ი. ხაზოვანია მიმართება, როცა ერთი ფუძე სრულად მეორდება მეორეში. ჩანაცვლების პრინციპით მიემართება ერთმანეთს ფუძეები, თუ მათ საერთო საყრდენი ფუძე აქვთ:

აკეთ-ე / აკეთ-ო (ბ. ჯორბენაძე, 1980(2), გვ. 129).

ფუძეთა წარმოების ამ ორი პრინციპის საფუძველზე არის ფაქტობრივ დაჯგუფებული I და II სერიებში მწკრივები. თავად სერიებს საერთო ფუძე მოეპოვებათ (იგივე **თემა**). სწორია მსჯელობა, რომ „აწმყოს ჯგუფი აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, ნამყო ძირითადისა — ნამყო ძირითადის ფუძეზე“, მაგრამ ზოგი რამ მაინც დაზუსტებას მოითხოვს: კერძოდ, როგორც ითქვა, უნდა გაირჩეს მწკრივის ფუძე და მწკრივის საყრდენი ფუძე. აწმყო-მყოფადის ფუძე ვნებითი გვარის ზმნებში **-ი** ელემენტიან ფორმებს ვარაუდობს: **ვ-თბებ-ი, ვ-ბერდებ-ი, ვ-იზრდებ-ი**... მწკრივის ფუძის კუთვნილება **-ი** ელემენტი მწკრივის მაწარმოებლად გაიაზრება იმიტომ, რომ I სერიის სხვა მწკრივებში იგი არ გადაჰყვება.

ვ-თბ-ებ-ი	ვ-იზრდებ-ი
ვ-თბ-ებ-ოდ-ი	ვ-იზრდებ-ოდ-ი
ვ-თბ-ებ-ოდ-ე	ვ-იზრდებ-ოდ-ე

I სერიის მეორე და მესამე მწკრივში ფიგურირებს აწმყო-მყოფადის საყრდენი ფუძე — **თბ-ებ.** აწმყო-მყოფადის მწკრივის ფუძე კი არის **თბ-ებ-ი.** ასე რომ, როცა მწკრივთა ფუძეების ურთიერთმიმართების საკითხს ვსვამთ, უნდა დაისვას მწკრივის საყრდენ ფუძეთა ურთიერთმიმართების საკითხი და არა მწკრივის ფუძეთა მიმართების საკითხი.

*

* *

I სერიაში უწყვეტელ-ხოლმეობითისა და I კავშირებითის საყრდენ ფუძეთა შორის სხვაობა არ არის. ეს ორი მწკრივი ერთსა და იმავე საყრდენ ფუძეს გამოიყენებს. სხვაობას მათ შორის მწკრივის მაწარმოებლები ქმნის. ანუ ამ ორ მწკრივს საერთო აქვთ მწკრივის საყრდენი ფუძე; განსხვავებული — მწკრივის ფუძე. საყრდენი ფუძე იქნება **აკეთებ-დ;** მწკრივთა ფუძეები **ა-კეთ-ებ-დ-ი, ა-კეთ-ებ-დ-ე.** ამგვარად, მიმართება აწმყო-მყოფადისა უწყვეტელ-ხოლმეობითთან და I კავშირებითთან ხაზოვან პრინციპზეა დამყარებული, ხოლო წყვეტილს, ხოლმეობითსა და I კავშირებითს შორის — ჩანაცვლების პრინციპზე:

აწმყ.-მყოფ. — აკეთ-ებ → აკეთ-ებ-დ
- აკეთ-ებ-დ-ი — უწყვ.-ხოლმ.
- აკეთ-ებ-დ-ე — I კავშ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ „აწმყოსაგან ნაწარმოებ ნამყო უსრულზე“, მაგრამ არ შეიძლება ვისაუბროთ „ნამყო უსრულისაგან ნაწარმოებ კავშირებით პირველზე“ (შდრ.: არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 062).

ანუ: I კავშირებითიც ისევე იწარმოება აწმყოსაგან, როგორც უწყვეტელ-ხოლმეობითი:

აწმყ.-მყოფ. — აკეთ-ებ
- აკეთ-ებ-დ-ი — უწყვეტელ-ხოლმ.
- აკეთ-ებ-დ-ე — I კავშირებითი

შენიშვნა: უწყვეტელ-ხოლმეობითის **ი** ელემენტის ისტორიის გათვალისწინება საკითხს სხვაგვარად არ დაგვასმევინებს. **-ი**-ს გარეშე ახალ ქართულში ამ მწკრივის ფორმა არ გვხვდება, ამიტომაცაა, რომ იგი მწკრივის მაწარმოებლად კვალიფიცირდება (ა. შანიძე, 1973, გვ. 424). ამ მწკრივთა (უწყვეტლისა და I კავშირებითის) მიმართების საკითხი ასევე დაისმის ძველ ქართულშიც. თუ **-დ** ფორმანტიან ზმნებში იქმნება შთაბეჭდილება, რომ **აკეთებდ** და **აკეთებდე** ფორმები ერთმანეთს ხაზოვანი პრინციპით მიემართებიან, სხვაგვარია ვითარება **-ოდ** ფორმანტიან ზმნებთან: აქ მიმართება ჩანაცვლების პრინციპს ემყარება:

უწყვეტელი — **ტირ-ოდ-ე**
I კავშირებითი — **ტირ-ოდ-ი**

ეს ფაქტი **-დ** სუფიქსიან ფორმებში ნულოვანი წარმოების საკითხს დაგვასმევინებს:

უწყვეტელი — **ა-კეთ-ებ-დ-0/ი**
I კავშირებითი — **ა-კეთ-ებ-დ-ე**

ამ შემთხვევაშიც ჩანაცვლების პრინციპზე უნდა ვისაუბროთ.

II სერიის მწკრივები — წყვეტილი და II კავშირებითი — ერთმანეთს ჩანაცვლების პრინციპით მიემართებიან. საყრდენი ფუძე საერთოა:

წყვეტელი — **ა-კეთ**-ე
II კავშირებითი — **ა-კეთ**-ო

ამგვარად, I და II სერიაში სამი საყრდენი ფუძე გამოიყო: **აკეთ — აკეთ-ებ — აკეთ-ებ-დ,** რომლებიც ერთმანეთს ხაზოვანი პრინციპით მიემართება. პირველი მათგანი საყრდენია მეორე სერიის მწკრივებისათვის:



II საყრდენი ფუძისაგან აწმყოს მწკრივის ფუძე იწარმოება:

აკეთ-ებ — აკეთ-ებ-0

III საყრდენი ფუძისაგან — უწყვეტელ-ხოლმეობითი და I კავშირებითი.



I-II სერიის მწკრივების დაჯგუფება საყრდენი ფუძის ურთიერთმიმართების მიხედვით ასეთ სურათს მოგვცემს:

წყვეტილი — **აკეთ-ე**
II კავშირებითი — **აკეთ-ო**
} საყრდენი ფუძე **აკეთ**

აწმყო-მყოფადი — **აკეთ-ებ-0** — საყრდენი ფუძე **აკეთ-ებ**

უწყვეტელ-ხოლმეობითი — **აკეთ-ებ-დ-ი**
I კავშირებითი — **აკეთ-ებ-დ-ე**
} საყრდენი ფუძე **აკეთ-ებ-დ**

თუ ზედმიწევნით თანმიმდევრულნი ვიქნებით საწარმოებელი ფუძის პრინციპის ბოლომდე გატარებაში, მწკრივები ზემოწარმოდგენილი თანმიმდევრობით უნდა დალაგდეს. მეორე სერიად მიჩნეული მწკრივების საყრდენი ფუძე შედარებით მარტივია. I სერიის მწკრივთა საყრდენი ფუძე რთულია, მარტივისაგან წარმოებული. ფაქტი ცნობილია, მაგრამ სისტემის გადაჯგუფების საკითხი არ დასმულა. აქ, ალბათ, ტრადიციას გაეწია ანგარიში. და მეორეც, როგორც ჩანს, დროულ სემანტიკას ეწეოდა ანგარიში, როცა უღლების ერთეულთა დასახელებას აწმყო დროის გამომხატველი მწკრივით იწყებდნენ... სამეცნიერო გრამატიკაში ამ ტრადიციის დარღვევის ცდაა ა. შანიძის მიერ ადრეულ ნაშრომში საუღლებელ ერთეულთა პირველ (A) ჯგუფად „ნამყო სრულის ჯგუფის“ მიჩნევა, ხოლო მეორე ჯგუფად (B) — „აწმყოს ჯგუფის“ წარმოდგენა (ა. შანიძე, 1920, გვ. 6-7).

მიღებული თანამიმდევრობის შეცვლის სხვა ცდა არ ყოფილა. ამ შემთხვევაში ტრადიციას ანგარიში უნდა გაეწიოს.

კიდევ: როგორი უნდა იყოს თანმიმდევრობა ურთიერთჩანაცვლებულ ფუძეთა? როგორც ითქვა, წყვეტილი და II კავშირებითი წარმოების მიხედვით არაა ერთიმეორეზე დამოკიდებული მწკრივები. თანმიმდევრობის შეცვლა საწარმოებელი ფუძის პრინციპს არ დაარღვევდა. მაგრამ ტრადიციულ თანმიმდევრობას ფორმობრივი გამართლებაც აქვს: რედუცირებადი ხმოვნის შემცველ ფუძეებში წყვეტილი ამოსავალი ხმოვნიანი ვარიანტითაა წარმოდგენილი, II კავშირებითი — რედუცირებულით:



ამოსავალი ვარიანტი, ბუნებრივია, წინ უსწრებდეს მის მეორეულ, ფონეტიკურ ვარიანტს. თუმცა საგულვებელია, რომ ტრადიციული თანმიმდევრობისათვის სემანტიკური მომენტია ამოსავალი. ურთიერთჩანაცვლებულ ფუძეთაგან, ორივე შემთხვევაში, ერთი უპირატესად თხრობითი კილოს გამომხატველია, მეორე — კავშირებითისა. თანმიმდევრობის საკითხიც, როგორც ჩანს, ამ ფაქტმა გადაწყვიტა. გავიხსენოთ: პრაქტიკული გრამატიკებიდან მოყოლებული (და არა მხოლოდ ქართულში) ყველა შემთხვევაში ჯერ თხრობითი კილოს გამომხატველი ფორმები განიხილებოდა, შემდეგ — კავშირებითისა და ა. შ.

როგორია III სერიის მწკრივის ფორმათა ფუძის სტრუქტურა და არის თუ არა შესაძლებელი საწარმოებელი ფუძის მიხედვით მათი I ან II სერიაში ჩართვა?

შენიშვნა: III სერიაში მომხდარ ფორმობრივ ცვლილებებს ცალკე თავი (VI) დაეთმობა ამ წიგნში. ეს საკითხებიც იქ უფრო დაწვრილებით იქნება განხილული...

როგორც ითქვა, „თურმეობითის ჯგუფს არ მოეპოვება საერთო ფუძე“ (არნ. ჩიქობავა). მსჯელობა არ ითვალისწინებს ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა შემთხვევას. ეს ერთადერთი გამონაკლისია, როცა III სერიის სამივე მწკრივის წარმოება ერთგვაროვან პრინციპზეა დამყარებული:

I თურმეობითი	—	გამბთარ-ხარ,	გაზრდილ-ხარ
II თურმეობითი	—	გამბთარ-იყავი,	გაზრდილ-იყავი
III კავშირებითი	—	გამბთარ-იყო,	გაზრდილ-იყო

ფორმაწარმოების თვალსაზრისით III სერიის მწკრივთა ცალკე ჯგუფად გამოყოფას მხოლოდ ამ ტიპის ზმნათა წარმოება დაუჭერდა მხარს... მაგრამ ეს საგანგებო შემთხვევაა — აღწერითი წარმოება მიმღეობურ ფორმათა გამოყენებით. ეს პრინციპულად განასხვავებს ამ ტიპის ფორმებს სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის წარმოებისაგან, რომლებშიც აღწერითი წარმოება ზმნურ ფუძეზეა დამყარებული: ვ-ზი-ვარ, ვ-ტირი-ვარ (შდრ.: ვ-ზი, ვ-ტირი...)... და-უხატავ-ხარ, ა-უშენებ-ი-ხარ... საგულისხმოა ისიც, რომ ამ შემთხვევაში აღწერითი წარმოება I-II სუბიექტური პირის ფორმებთან გვაქვს; III სუბიექტურ პირში ორგანული წარმოებაა: ზი-ს, ტირი-ს... დაუხატავს, აუშენები-ა...

თვითონ ის ფაქტიც, რომ მესამე სერიის მწკრივთა წარმოებაში ასეთი პრინციპული სხვაობაა, მას განცალკევებით დააყენებს. ყოველ შემთხვევაში, **გამთბარხარ** ტიპის ზმნათა I ან II სერიაში გადანაწილების საკითხი არ შეიძლება დადგეს.

ყველა სხვა ტიპის ზმნასთან I თურმეობითის წარმოება სხვაობს II თურმეობითისა და III კავშირებითის წარმოებისაგან. ეს სხვაობა პრინციპული ხასიათისაა.

პირველ ყოვლისა, ყურადღება გვინდა მივაქციოთ ხმოვანპრეფიქსთა საკითხს. მწკრივის ფუძის განმარტება ხმოვანპრეფიქსს ფუძისეულ ელემენტად წარმოგვიდგენს (გავიხსენოთ: მწკრივის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები), I და II სერიის მწკრივთა პარადიგმებში ხმოვანპრეფიქსი უცვალებელი ელემენტია (ვსაუბრობთ მოქმედებითი გვარის ზმნებზე, პრეფიქსიან ვნებითებსა და ორპირიან სუფიქსიან ვნებითებზე):

0-ხატავს,	0-ხატავდა,	0-ხატავდეს,	0-ხატა,	0-ხატოს
ა-კეთებს,	ა-კეთებდა,	ა-კეთებდეს,	ა-კეთა,	ა-კეთოს
ი-კეთებს,	ი-კეთებდა,	ი-კეთებდეს,	ი-კეთა,	ი-კეთოს
უ-კეთებს,	უ-კეთებდა,	უ-კეთებდეს,	უ-კეთა,	უ-კეთოს
ე-ზრდება,	ე-ზრდებოდა,	ე-ზრდებოდეს,	ე-ზარდა,	ე-ზარდოს...

III სერია სხვაობს I-II სერიისაგან ხმოვანპრეფიქსთა თვალსაზრისით:

გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში I და II სერიაში გამო-

ყენებული **0, ა, ი, უ** ხმოვანპრეფიქსთა მონაცვლედ საობიექტო ქცევის **უ(ჲ)** პრეფიქსი გვევლინება:

0-ხატავს	—	და-უ-ხატავს
ა-კეთებს	—	გა-უ-კეთებია
ი-კეთებს	—	გა-უ-კეთებია
უ-კეთებს	—	გა-უ-კეთებია

დამთხვევა ხდება მხოლოდ საობიექტო ქცევის შემთხვევაში. ამავე ტიპის ზმნებთან სრულიად განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს II თურმეობითი და III კავშირებითი: ყველა შემთხვევაში ხმოვანპრეფიქსთა მონაცვლედ **ე-** გვევლინება.

0-ხატავს	—	და-ე-ხატა,	და-ე-ხატოს
ა-კეთებს	—	გა-ე-კეთებინა,	გა-ე-კეთებინოს
ი-კეთებს	—	გა-ე-კეთებინა,	გა-ე-კეთებინოს
უ-კეთებს	—	გა-ე-კეთებინა,	გა-ე-კეთებინოს

ხმოვანპრეფიქსთა თვალსაზრისით ერთფეროვანია ვითარება გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში, განსხვავებული I-II სერიისაგან; ასევე: ერთფეროვანია ვითარება II თურმეობითსა და III კავშირებითში, განსხვავებული, ერთი მხრივ, I-II სერიისაგან და, მეორე მხრივ, I თურმეობითისაგან.

თუ ფუძის წარმოდგენილ განმარტებას გავიზიარებთ, საწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით III სერიის ფორმები განსახილველ ზმნათა I და II სერიაში ვერ გადანაწილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო გახდება ფუძის განმარტების შეცვლა — ხმოვანპრეფიქსთა უგულებელყოფა.

საკითხი ასევე დადგება **ე-** პრეფიქსიან ზმნათა მიმართაც: ზმნები, რომელთაც I-II სერიაში **ე-** პრეფიქსი აქვთ, III სერიაში ჩვეულებრივ ხმოვანპრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი:

ე-ზრდება — გა-ზრდია
— გა-ზრდოდა
— გა-ზრდოდეს

III სერია ამ შემთხვევაში ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებს და განსხვავდება პრინციპულად I-II სერიისაგან.

ი- პრეფიქსიან ერთპირიან ზმნებშიც ვითარება ანალოგიურია: III სერიაში აღწერითი წარმოება გვაქვს და ხმოვანპრეფიქსის საკითხი არ დგას:

ი-შლება — გა-შლილ-ა
გა-შლილ-იყო
გა-შლილ-იყოს

ხმოვანპრეფიქსთა ვითარების გათვალისწინება მხარს დაუჭერს III სერიის მწკრივთა ცალკე ჯგუფად გამოყოფას. ეს ითქმის, პირველ ყოვლისა, ყველა ტიპის ვნებითი გვარის ზმნათა შესახებ. როგორც ითქვა, გარდამავალი ზმნები ამ ნიშნის მიხედვით ვერ გაერთიანდება I ან II სერიასთან, თუმცა მათი ერთ ჯგუფად გაერთიანებაც არ იქნება გამართლებული: I თურმეობითი სხვაობს დანარჩენი მწკრივებისაგან (შევნიშნავთ იმასაც, რომ ა. შანიძე ხმოვანპრეფიქსს თემაში არ განიხილავს...).

ვითარებას არ გაამარტივებს ხმოვანპრეფიქსთა მონაცემების გათვალისწინებლობაც. ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ უკვე ითქვა. ეს ჯგუფი განცალკევებით დგას.

ისევე როგორც ხმოვანპრეფიქსების შემთხვევაში, ფუძის სტრუქტურის თვალსაზრისითაც ყველა შემთხვევაში სხვადასხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს, ერთი მხრივ, I თურმეობითი, ხოლო, მეორე მხრივ, II თურმეობითი და III კავშირებითი. ამ შემთხვევაშიც ერთგვარია ვითარება ამ ორი მწკრივის წარმოებისა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხმოვანპრეფიქსებს, I თურმეობითის ფუძის სტრუქტურა ერთ შემთხვევაში ემთხვევა აწმყო-მყოფადის ფუძის სტრუქტურას; აწმყო-მყოფადის საყრდენი ფუძეა გამოყენებული საყრდენად I თურმეობითისათვისაც. ამგვარ ვითარებას გვიჩვენებს ერთი ნაწილი გარდამავალი ზმნებისა:

აწმყო	—	I თურმეობითი	—
ხატ-ავ-ს			და-უ-ხატ-ავ-ს
დგ-ამ-ს			და-უ-დგ-ამ-ს
ა-კეთ-ებ-ს			გა-უ-კეთ-ებ-ი-ა
დრეკ-ს			მო-უ-დრეკ-ი-ა

ერთი ჯგუფის გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი საყრდენად II სერიის ფუძეს იყენებს:

წყვეტილი	—	ა-ქ-ო	I თურმეობითი	—	უ-ქ-ი-ა (შდრ. აწმყო — ა-ქ-ე-ბ-ს)
		გა-ა-თბ-ო			გა-უ-თბ-ი-ა (შდრ. აწმყო — ა-თბ-ობ-ს)

თავისებურია ვითარება გარდაუვალი ორპირიანი ზმნებისა: I თურმეობითის საყრდენი ფუძე არ ემთხვევა არც I და არც II სერიის ფუძეებს:

აწმყო-მყოფადი	—	უ-**კეთ-დ-ებ**-ა	ე-**ზრდ-ებ**-ა	უ-**დნ-ებ**-ა
წყვეტილი	—	გა-**უ-კეთ-დ**-ა	გა-ე-**ზარდ**-ა	გა-უ-**დნ**-ა
I თურმეობითი	—	გა-ჰ-**კეთ-ებ**-ი-ა	გა-**ზრდ**-ი-ა	გა-ს-**დნ-ობ**-ია

ამგვარად, რელატიურ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითი ერთ შემთხვევაში I სერიის ფუძეს დაემყარება, მეორე შემთხვევაში — II სერიის ფუძეს, ხოლო მესამე შემთხვევაში განცალკევებით დადგება. თუ ხმოვანპრეფიქსთა მონაცემსაც გავითვალისწინებთ, შეუძლებელი აღმოჩნდება I თურმეობითის I ან II სერიის მწკრივებთან გაერთიანება საწარმოებელი ფუძის მიხედვით.

ასეთივე დასკვნა გაკეთდება II თურმეობითისა და III კავშირებითის ფორმათა ანალიზის საფუძველზედაც; რამდენადაც, როგორც ითქვა, საყრდენი ფუძე ამ ორი მწკრივის იდენტურია, ე. ი. ეს ორი მწკრივი ერთმანეთს ჩანაცვლების პრინციპით მიემართება, მხოლოდ მეორე თურმეობითის მაგალითს მოვიყვანთ:

ა) გარდამავალ ზმნათა ერთი ჯგუფის II თურმეობითი II სერიის ფუძეს ემყარება:

აწმყო-მყოფადი	—	**ხატ-ავ**-ს	ა-**ქ-ებ**-ს	**დრეკ**-ს
წყვეტილი	—	და-**ხატ**-ა	შე-ა-**ქ**-ო	მო-**დრიკ**-ა
II თურმეობითი	—	და-ე-**ხატ**-ა	შე-ე-**ქ**-ო	მო-ე-**დრიკ**-ა

ბ) II თურმეობითის საყრდენ ფუძეს აწმყო-მყოფადის საყრდენი ფუძისაგან **-ინ** ფორმანტი განასხვავებს:

აწმყო-მყოფადი	—	ა-**კეთ-ებ**-ს	ა-**შენ-ებ**-ს
II თურმეობითი	—	გა-ე-**კეთ-ებ-ინ**-ა	ა-ე-**შენ-ებ-ინ**-ა...

შენიშვნა: ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, **ინ** დაბოლოება ერთიანი სუფიქსია, თუ შეიძლება მისი დაშლა — **ი–ნ**.

გ) ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II თურმეობითის ფუძის სტრუქტურა განსხვავებულია როგორც I სერიის, ისე II სერიის მწკრივის ფუძეთა სტრუქტურისაგან. განსხვავებას ქმნის **–ოდ** სუფიქსი, რომელიც ყველა შემთხვევაში გამოვლინდება. იგივე **–ოდ** უწყვეტელშიც გვაქვს, მაგრამ სხვაობას ზოგ შემთხვევაში ვნებითობის სუფიქსის უქონლობა ქმნის, სხვა შემთხვევაში — თემის ნიშანი; სურათი ასეთია:

უწყვეტელი	II თურმეობითი
უ-**კეთ–დ–ებ–ოდ**-ა	გა-ჰ-**კეთ–ებ–ოდ**-ა
ე-**ზრდ–ებ–ოდ**-ა	გა-**ზრდ–ოდ**-ა
ე-**მალ–ებ–ოდ**-ა	და-**მალ–ვ–ოდ**-ა
უ-**შრ–ებ–ოდ**-ა	გა-**შრ–ობ–ოდ**-ა
უ-**კვდ–ებ–ოდ**-ა	მო-**კვდ–ომ–ოდ**-ა

თუ ამ შემთხვევაშიც ხმოვანპრეფიქსთა ვითარებას გავითვალისწინებთ, სხვაობა III სერიის მწკრივთა საყრდენ ფუძეებსა და I-II სერიის ფუძეთა შორის უფრო აშკარა გახდება...

ის, რაც ვთქვით III სერიის ფორმათა წარმოების თაობაზე, ცნობილი ფაქტებია. ჩვენს მიზანს არ შეადგენს მწკრივთა წარმოების საკითხების გამოწვლილვითი ანალიზი. გვსურდა მხოლოდ ზოგადი სურათი წარმოგვედგინა და გვეჩვენებინა, რომ საყრდენი ფუძის სტრუქტურის თვალსაზრისით III სერიაში საკმაო სიჭრელეა, არაა ერთგვაროვნება, რაც გამორიცხავს შესაძლებლობას საწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით ამ მწკრივთა I და II სერიაში გადანაწილებისას.

ამგვარად, სირთულე და არაერთგვაროვნება III სერიის მწკრივთა ფორმების წარმოებისა შეაპირობებს ამ სერიის ცალკე ჯგუფად გამოყოფას. ვფიქრობთ, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი მწკრივთა დაჯგუფებისა ნ. მარისეული ვარიანტია იმ ნაკლოვანებით, რაც თვით ავტორმა აღნიშნა თავის დროზე.

შენიშვნა: უკვე ითქვა: თავისებურებამ და სირთულემ III სერიის ფორმათა წარმოებისამ ა. ქუთათელაძე ამ ფორმათა

უარყოფამდე მიიყვანა: „სათუო დახრაში უარვყავით ყველა ნამყო, რადგან ისინი შეცდომით იყვნენ შეპარულნიო“. ესეც თავისებური გამოსავალია სირთულის დაძლევისა, თუმცა მიუღებელი.

III სერიაში მომხდარ (და მიმდინარე) ფორმობრივ ცვლილებებზე გვექნება საუბარი.

§ 9. უღლება, უღლების ტიპები

9.1. ტერმინისათვის

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნის ფორმაცვალების აღსანიშნავად ორი ტერმინი გამოიყენება: **უღლება** და **უღვლილება.** ფორმობრივად განსხვავებული ეს ტერმინები შინაარსობრივად არ განსხვავდება, აბსოლუტურად იდენტურია. ტერმინის შექმნის საფუძველი **უღელ** ფუძეა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული **აუღვლებს** ფორმას განმარტავს (ქეგლ, I, 1950) და **უღვლილებაზე** აგზავნის მკითხველს. ყურადღებას მივაქცევთ ფორმაში **ვ** თანხმოვანს. ორთოგრაფიული ლექსიკონი სწორ ფორმად მიიჩნევს **აუღლებს** (**ვ**-ს გარეშე) (ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, 1998 წ.). აღსანიშნავია, რომ **ქეგლ**-ის რვატომეულის ახალი გამოცემის I ტომში (2008 წ.) სწორედ ეს ფორმაა (**აუღლებს**) წარმოდგენილი. საინტერესოდ გვეჩვენება ქეგლ-ის I და II გამოცემათა განმარტებანიც.

I გამოცემა (1950 წ.): „**აუღვლებს** (აუღვლა, უუღვლებია) უღვლილებას აწარმოებს (იხ. უღვლილება)“.

II გამოცემა (2008 წ.) „**აუღლებს** (აუღლა, უუღლებია) ზმნის უღლებას, უღვლილებას აწარმოებს“

ქეგლ-ის პირველ გამოცემაში წარმოდგენილი ფორმის ამგვარი გააზრება მოხდა:

უღელი — უღლავს — აუღვლებს (← აუღლ-ვ-ებ-ს) **უღვლება — უღვლილება.** თუმცა ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის ბოლო ფორმის გააზრება.

ქეგლი **უღლებასა** და **უღვლილებას** სინონიმურ ტერმინებად მიიჩნევს: „**უღლება** იგივეა, რაც **უღვლილება**“ არადა, საენათმეცნიერო ლიტერატურის ერთ ნაწილში **უღლება** არის დამკვიდრებული (ა. შა-

ნიძე და სხვანი); ხოლო მეორე ნაწილში — **უღვლილება** (არნ. ჩიქობავა და სხვები).

ერთი მხრივ, სირთულე **უღვლილება** ტერმინის წარმოებისა (როგორც ითქვა, რაც მთლად ნათელი არ არის ჩვენთვის) და, მეორე მხრივ, სიმარტივე და გამჭვირვალობა **უღლება** ტერმინისა ამ უკანასკნელისათვის დაგვაჭერინებს მხარს. მით უმეტეს, რომ ქეგლ-ის II გამოცემა, ფაქტობრივ, მას დაუჭერს მხარს.

ა. შანიძემ ტერმინ **უღლება**-ს განმარტებისას სამ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება:

„ა) პირველ ყოვლისა იგი აღნიშნავს პირიან ზმნათა ფლექსიას და ამ მხრით იგი უპირისპირდება უპირო ზმნათა და საკუთრივ სახელთა ფლექსიას. თუ სახელთა ფლექსია ანუ მიმოხრა ნიშნავს სიტყვის ცვალებას ბრუნვათა მიხედვით ერთ-ერთ რიცხვში (...), სამაგიეროდ პირიან ზმნათა მიმოხრა ნიშნავს სიტყვის ცვალებას პირთა მიხედვით ერთ-ერთ მწკრივში და ერთ-ერთ რიცხვში (მხოლობითში ან მრავლობითში) ან ორივე რიცხვში (უმეტესად) (ა. შანიძე, 1973, გვ. 488). ფაქტობრივ, ეს არის **უღლება ვიწრო გაგებით** — ზმნის ფორმაცვალება პირისა და რიცხვის მიხედვით ერთი მწკრივის ფარგლებში.

„ბ) მეორე გაგებით „უღლება“ აღნიშნავს პირიანი ზმნის ფორმაცვალებას ყველა მწკრივში, რომელიც კი მოეპოვება აღებულ ზმნას“ (იქვე). ფაქტობრივ ეს არის **უღლება ფართო გაგებით** — ზმნის ფორმაცვალება მწკრივთა მიხედვით, მწკრივის შიგნით — პირისა და რიცხვის მიხედვით.

და მესამე მნიშვნელობა: „გ) მესამე გაგებით „უღლება“ გულისხმობს ტიპს, რომელსაც მისდევს ესა თუ ის ზმნა სამივე სერიის ფორმათა წარმოების დროს“ (იქვე, გვ. 489).

9.2. თვალსაზრისები უღლების ტიპებად დაყოფის თაობაზე

უღლების ტიპებად დაყოფა, ზმნათა კლასიფიკაცია ტიპების გამოყოფის გზით არაა ახალი მოვლენა. ჯერ კიდევ პრაქტიკულ გრამატიკებში ცდილობდნენ ავტორები უღლების ტიპების გამოყოფას სხვადასხვა ზმნური კატეგორიებისა თუ ფორმაწარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ორი თვალსაზრისია გატარებული ქართული ზმნების კლასიფიკაციის, უღლების ტიპების გამოყოფისა. ჩვეულებრივ ზმნათა დაჯგუფება ხდება რამდენიმე ნიშნის მიხედვით. ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრით, „მთავარი ეს არის:

როგორია ურთიერთობა სამივე სერიის ფორმებს შორის წარმოების თვალსაზრისით“. ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად გვარის კატეგორია არის მიჩნეული, დამატებით ნიშნად — სტატიკურობა-დინამიკურობა.

I ტიპი. უღლება მოქმ. გვარის ზმნებისა. ამათი მთავარი თავისებურება ის არის, რომ ისინი III სერიის ფორმებს ინვერსიულად აწარმოებენ. ამას გარდა, პირდაპირი მიმართების ფორმები მხოლოდ აქ არის შესაძლებელი.

II ტიპი. უღლება დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებისა, ძირითადი განსხვავება პირველი ტიპის ზმნათა უღლებისაგან III სერიაში იჩენს თავს. თანაც აქ ზმნები განიყოფა იმის მიხედვით, ერთპირიანია ფორმა თუ ორპირიანი: ამას თავისი წარმოება აქვს და იმას — თავისი. ამას გარდა, ამ ტიპის ზმნებს პირველი ტიპის ზმნათაგან განასხვავებს სავრცობი (**ოდ**).

III ტიპი. უღლება საშუალ-მოქმედებითი (მედიოაქტივი) ზმნებისა. ამ ზმნებს შენაცვლების წესით აქვთ ნაწარმოები II და III სერიის ფორმები, აგრეთვე I სერიის მყოფადის წრისა. შენაცვლებისას გამოყენებულია იმავე ფუძის მოქმედებითის სათავისოს ან სასხვისოს ფორმები.

IV ტიპი. უღლება საშუალ-ვნებითი (მედიოპასივი) ზმნებისა და სტატიკური ვნებითი გვარის ზმნებისა. ამათ ყველას აერთიანებს მწკრივების კლება (ან მეორე სერიისა მთლიანად, ან უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითისა I სერიიდან). ამას გარდა, აწმყოში ესენი მეშველ ზმნას დაირთავენ პირველსა და მეორე პირში.

თითოეული ტიპის შიგნით კიდევ არის თავ-თავისი დაყოფილება...“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 489).

როგორც ვხედავთ, საკლასიფიკაციოდ რამდენიმე ნიშანია გამოყენებული: გვარის კატეგორია, ინვერსიულობა, მწკრივთა წარმოების შესაძლებლობა, მწკრივთა წარმოების თავისებურებანი. კლასიფიკაციის ამგვარმა თვალსაზრისმა საჭირო გახადა სხვა მორფოლოგიური კატეგორიების გათვალისწინებაც და ამისდაკვალობაზე — ქვეტიპების გამოყოფა. ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება თემაზე, თემის ნიშნებზე, მწკრივის ფუძეთა ურთერთმიმართებაზე, ვნებითის წარმოების ტიპზე, რა საშუალებით ხდება ნაკლული მწკრივების შევსება... ფონეტიკური პრინციპიც იჩენს თავს — „იკუმშება ფუძე თუ არა“...

არსებობს სხვა თვალსაზრისიც; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს აზრით, „ქართული ზმნების ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულებია: სტატიკური და დინამიკური ზმნები, ერთი მხრივ, გარდაუვალი და გარდმავა-

ლი ზმნები, მეორე მხრივ“ (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 051). ამისდაშესაბამისად, სამი ტიპი გამოიყო:

I. დინამიკური ზმნები (**ი-** ვნებითიანი ტიპი)
II. დინამიკური ზმნები (**დ-** ვნებითიანი ტიპი)
III. სტატიკური ზმნები (ორი ქვეტიპით:
ა) სტატიკური ერთპირიანი ზმნები
ბ) სტატიკური ორპირიანი ზმნები...) (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 063-074).

ტიპების გამოყოფა ერთი საკლასიფიკაციო ნიშნის — დინამიკურობა-სტატიკურობის — მიხედვით უდავოდ საინტერესო ფაქტია, ოღონდ მთლად ნათელი არაა ამ შემთხვევაში I და II ტიპების გამოყოფის აუცილებლობა: ვნებითის წარმოების ტიპის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფის წარმოდგენა. მესამე ტიპი ვნებითის ფორმათა საკითხიც გარკვევას საჭიროებს... გამოდის, რომ: **ზრდის** და **იზრდება / ეზრდება** ერთი ტიპის უღლების ზმნებია, **ტეხს** და **ტყდება** — მეორისა, ხოლო **წუხს, ცხოვრობს** და **უყვარს** — მესამისა... **დგას, ზის** და ა. შ. ტიპის ზმნებიც, ალბათ, აქ შემოვა (თუმცა ამის თაობაზე მითითება არაა).

როგორც პირველი, ასევე მეორე თვალსაზრისის მიხედვით ძირითადი ყურადღება ზმნურ ფორმათა წარმოების თავისებურებაზეა გამახვილებული. კლასიფიკაციის ამგვარ პრინციპებზე დამყარება გამოყოფილ ერთეულთა სიმრავლეს ქმნის და, რაც მთავარია, არ ხერხდება ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ყველა სახის ზმნის გათვალისწინებაც. გარდა ამისა, არაა ერთგვაროვანი პრინციპი გატარებული: სხვადასხვა თვალსაზრისით ხდება გამოყოფილი ტიპების დახასიათება; პრინციპის ცვლა კი „კლასიფიკაციის ელემენტარული წესის დარღვევად ითვლება მეცნიერების ყველა დარგში. ენის მოვლენათა აღწერაც აქ გამონაკლისს ვერ შექმნის“ (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 98).

9.3. ფორმათა „სესხების“ საკითხი

სანამ მსჯელობას გავაგრძელებთ უღლების თვალსაზრისით ზმნათა დაჯგუფების საკითხზე, გვინდა შევეხოთ „ფორმათა სესხების“ საკითხს. ე. წ. საშუალი გვარის ზმნათა უღლების თაობაზე როცა მსჯელობენ, მიანიშნებენ, რომ „ამ ზმნებს შენაცვლების წესით აქვთ ნაწარმოები II და III სერიის ფორმები, აგრეთვე I სერიის მყოფადის წრისა. შენაცვლებისას გამოყენებულია იმავე ფუძის მოქმედებითის სა-

თავისოს ან სასხვისოს ფორმები“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 489); რომ ეს ზმნები ნაკლული მწკრივების შესავსებად „იყენებს დინამიკური ზმნებისაგან ნასესხებ ნაკვთებს“ (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 072...). ამგვარი კომენტარით საშუალი გვარის ზმნათა უღლების სრულ პარადიგმას წარმოადგენენ:

1. მაგალითი ფორმათა „სესხებისა“

საკუთარი ფორმები „აწმყოს წრეში“		**„ნასესხები“** ფორმები „მყოფადის წრეში“	
აწმყო	ვ-ტირ-ი	მყოფადი	ვ-ი-ტირ-ებ
	ს-ტირ-ი		ი-ტირ-ებ
	ტირ-ი-ს		ი-ტირ-ებ-ს
	ვ-ტირ-ი-თ		ვ-ი-ტირ-ებ-თ
	ს-ტირ-ი-თ		ი-ტირ-ებ-თ
	ტირ-ი-ან		ი-ტირ-ებ-ენ
უწყვეტელი	ვ-ტირ-ოდ-ი	ხოლმეობითი	ვ-ი-ტირ-ებ-დ-ი
	ს-ტირ-ოდ-ი		ი-ტირ-ებ-დ-ი
	ტირ-ოდ-ა		ი-ტირ-ებ-დ-ა
	ვ-ტირ-ოდ-ი-თ		ვ-ი-ტირ-ებ-დ-ი-თ
	ს-ტირ-ოდ-ი-თ		ი-ტირ-ებ-დ-ი-თ
	ტირ-ოდ-ნენ		ი-ტირ-ებ-დ-ნენ
აწმყ. კავშ.	ვ-ტირ-ოდ-ე	მყოფ. კავშ.	ვ-ი-ტირ-ებ-დ-ე
	ს-ტირ-ოდ-ე		ი-ტირ-ებ-დ-ე
	ტირ-ოდ-ე-ს		ი-ტირ-ებ-დ-ე-ს
	ვ-ტირ-ოდ-ე-თ		ვ-ი-ტირ-ებ-დ-ე-თ
	ს-ტირ-ოდ-ე-თ		ი-ტირ-ებ-დ-ე-თ
	ტირ-ოდ-ნენ		ი-ტირ-ებ-დ-ნენ

შენიშვნა: 1. რამდენადაც II და III სერიის მწკრივთა ფორმები ფორმობრივად გაგრძელებაა „ნასესხებ“ ფორმათა პარადიგმისა, ამდენად მათ აღარ მოვიყვან.

2. პირის ნიშანთა მართლწერა (ვთქვათ, ს-ტირ-ი) ა. შანიძის მიხედვითაა წარმოდგენილი.

2. მაგალითი ფორმათა სესხებისა

აწმყო	**მყოფადი**
ვ-დგა-ვარ	ვ-ი-დგ-ებ-ი
დგა-ხარ	ი-დგ-ებ-ი
დგა-ს	ი-დგ-ებ-ა
ვ-დგა-ვართ	ვ-ი-დგ-ებ-ი-თ
დგა-ხართ	ი-დგ-ებ-ი-თ
დგან-ან	ი-დგ-ებ-ი-ან

უწყვეტელი	**ხოლმეობითი**
	ვ-ი-დგ-ებ-ოდ-ი
	ი-დგ-ებ-ოდ-ი
	ი-დგ-ებ-ოდ-ა
	ვ-ი-დგ-ებ-ოდ-ი-თ
	ი-დგ-ებ-ოდ-ი-თ
	ი-დგ-ებ-ოდ-ნენ

აწმყოს კავშირებითი	**მყოფ. კავშირებითი**
	ვ-ი-დგ-ებ-ოდ-ე
	ი-დგ-ებ-ოდ-ე
	ი-დგ-ებ-ოდ-ე-ს
	ვ-ი-დგ-ებ-ოდ-ე-თ
	ი-დგ-ებ-ოდ-ე-თ
	ი-დგ-ებ-ოდ-ნენ

II და III სერიაში გაგრძელება აქვს მყოფადის პარადიგმას.

3. მაგალითი ფორმათა „სესხებისა“

აწმყო			**მყოფადი**
მ-ი-ყვარ-ს	მ-ე-ყვარ-ებ-ა	/	შე-მ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ა
გ-ი-ყვარ-ს	გ-ე-ყვარ-ებ-ა	/	შე-გ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ა
უ-ყვარ-ს	ე-ყვარ-ებ-ა	/	შე-უ-ყვარ-დ-ე-ბ-ა
გვ-ი-ყვარ-ს	გვ-ე-ყვარ-ებ-ა	/	შე-გვ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ა
გ-ი-ყვარ-თ	გ-ე-ყვარ-ებ-ა-თ	/	შე-გ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ა-თ
უ-ყვარ-თ	ე-ყვარ-ებ-ა-თ	/	შე-უ-ყვარ-დ-ე-ბ-ა-თ

უწყვეტელი	**ხოლმეობითი**	
მ-ი-ყვარ-დ-ა	მ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ა	/ შე-მ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა
გ-ი-ყვარ-დ-ა	გ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ა	/ შე-გ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა
უ-ყვარ-დ-ა	ე-ყვარ-ებ-ოდ-ა	/ შე-უ-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა
გვ-ი-ყვარ-დ-ა	გვ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ა	/ შე-გვ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა
გ-ი-ყვარ-დ-ა-თ	გ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ა-თ	/ შე-გ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა-თ
უ-ყვარ-დ-ა-თ	ე-ყვარ-ებ-ოდ-ა-თ	/ შე-უ-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ა-თ

აწმყ. კავშირებითი	**მყოფ. კავშირებითი**	
მ-ი-ყვარ-დ-ე-ს	მ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს	/ შე-მ-ი-ყვარ-დ-ებ-ოდ-ე-ს
გ-ი-ყვარ-დ-ე-ს	გ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს	/ შე-გ-ი-ყვარ-დ-ებ-ოდ-ე-ს
უ-ყვარ-დ-ე-ს	ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს	/ შე-უ-ყვარ-დ-ებ-ოდ-ე-ს
გვ-ი-ყვარ-დ-ე-ს	გვ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს	/ შე-გვ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ე-ს
გ-ი-ყვარ-დ-ე-თ	გ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-თ	/ შე-გ-ი-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ე-თ
უ-ყვარ-დ-ე-თ	ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-თ	/ შე-უ-ყვარ-დ-ე-ბ-ოდ-ე-თ

შენიშვნა: II და III სერიაში გაგრძელება მყოფადის მეორე ვარიანტს ექნება: შე-მ-ი-ყვარ-დ-ა, შე-მ-ი-ყვარ-დ-ე-ს, შე-მ-ყვარ-ებ-ი-ა...

4. მაგალითი ფორმათა „სესხებისა“

აწმყო	**მყოფადი**	
ვ-ბობოქრ-ობ	ვ-ი-ბობოქრ-ებ	/ ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ი
ბობოქრ-ობ	ი-ბობოქრ-ებ	/ ა-ბობოქრდ-ებ-ი
ბობოქრ-ობ-ს	ი-ბობოქრ-ებ-ს	/ ა-ბობოქრდ-ებ-ა
ვ-ბობოქრ-ობ-თ	ვ-ი-ბობოქრ-ებ-თ	/ ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ი-თ
ბობოქრ-ობ-თ	ი-ბობოქრ-ებ-თ	/ ა-ბობოქრდ-ებ-ი-თ
ბობოქრ-ობ-ენ	ი-ბობოქრ-ებ-ენ	/ ა-ბობოქრდ-ებ-ი-ან

უწყვეტელი	**ხოლმეობითი**	
ვ-ბობოქრ-ობ-დ-ი	ვ-ი-ბობოქრ-ებ-დ-ი	/ ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი
ბობოქრ-ობ-დ-ი	ი-ბობოქრ-ებდ-ი	/ ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი
ბობოქრ-ობ-დ-ა	ი-ბობოქრ-ებ-დ-ა	/ ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ა
ვ-ბობოქრ-ობ-დ-ი-თ	ვ-ი-ბობოქრ-ებ-დ-ი-თ	/ ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი-თ

ბობოქრ-ობ-დ-ი-თ	ი-ბობოქრ-ებ-დ-ი-თ	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი-თ
ბობოქრ-ობ-დ-ნენ	ი-ბობოქრ-ებ-დ-ნენ	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ნენ

აწმყ. კავშ.	**მყოფ. კავშირებითი**		
ვ-ბობოქრ-ობ-დ-ე	ვ-ი-ბობოქრ-ებ-დ-ე	/	ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი
ბობოქრ-ობ-დ-ე	ი-ბობოქრ-ებდ-ე	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი
ბობოქრ-ობ-დ-ე-ს	ი-ბობოქრ-ებ-დ-ე-ს	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ა
ვ-ბობოქრ-ობ-დ-ე-თ	ვ-ი-ბობოქრ-ებ-დ-ე-თ	/	ა-ვ-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი-თ
ბობოქრ-ობ-დ-ე-თ	ი-ბობოქრ-ებ-დ-ე-თ	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ი-თ
ბობოქრ-ობ-დ-ნენ	ი-ბობოქრ-ებ-დ-ნენ	/	ა-ბობოქრდ-ებ-ოდ-ნენ

II და III სერიაში გაგრძელება აქვს მყოფადის ორივე ვარიანტს.

ფორმობრივი თვალსაზრისით „აწმყოს წრისა“ და „მყოფადის წრის“ ფორმათა ერთ პარადიგმაში მოქცევა, ცხადია, არ მოხერხდება; ეს იგივე იქნება, **აკეთებს** ზმნას **გაიკეთა** დავუყენოთ გვერდით და **უკეთებს** ზმნას — **გაკეთდა.**

ყალიბის მიხედვით პირველი რიგის ზმნები სულ სხვა პარადიგმის წევრებია და მეორე რიგისა — სხვა პარადიგმის. „სესხებაც“ ამიტომ დაერქვა პარადიგმათა ამგვარ „შევსებას“.

ამგვარი „სესხებით“ ირღვევა ფორმობრივი პრინციპი.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ **ტირის** და **იტირა, დგას** და **იდგება, უყვარს** და **ეყვარება / შეუყვარდება** თუ **ბობოქრობს** და **იბობოქრებს** არ შეიძლება ერთ პარადიგმაში მოექცეს, ოღონდ ერთია: **უნდა განსხვავდეს სემანტიკური და ფორმობრივ-სემანტიკური პარადიგმები.**

სემანტიკურ პარადიგმას ვუწოდებთ იმ **პარადიგმას,** რომელშიც ფორმობრივი პრინციპი დარღვეულია და სხვადასხვა ფუძის მქონე ზმნები ერთ პარადიგმაში მხოლოდ სემანტიკური პრინციპითაა გაერთიანებული.

ფორმობრივ-სემანტიკურს ვუწოდებ იმ **პარადიგმას, რომელშიც ორივე პრინციპია გატარებული — ფორმობრივიც და სემანტიკურიც.** შეიძლება მარტივად **ფორმობრივი პარადიგმაც** ვუწოდოთ. ასე რომ, სესხებით შევსებული პარადიგმა ჩვენთვის სემანტიკური პარადიგმაა და სხვა, მოქმედებითი თუ ვნებითი გვარის ზმნათა პარადიგმები — ფორმობრივი (ე. ი. ფორმობრივ-სემანტიკური) პარადიგმებია.

სემანტიკური პარადიგმები რამდენიმე სახის შეიძლება იყოს:

1. როცა პარადიგმის წევრები ერთი და იმავე ძირეული მორ-

ფემისაგან იწარმოება. თუმცა აქაც გამოიყოფა რამდენიმე ქვეჯგუფი:

ა) როცა „აწმყოს წრის“ მწკრივთა პარადიგმას „მყოფადის წრესა“ და II-III სერიაში ერთი პარადიგმა ავსებს:

მეფ-ობ-ს	ი-მეფ-ებ-ს
მეფ-ობ-დ-ა	ი-მეფ-ებ-და
მეფ-ობ-დ-ე-ს	ი-მეფ-ებ-დ-ე-ს
	ი-მეფ-ა
	ი-მეფ-ო-ს
	უ-მეფ-ი-ა
	ე-მეფ-ა
	ე-მეფ-ო-ს

ბ) როცა მხოლოდ აწმყოს ფორმა აქვს ზმნას და „მყოფადის წრისა“ თუ II-III სერიის ფორმებს ივსებს სხვა ფორმობრივი პარადიგმით.

წევ-ს	ი-წვ-ებ-ა
	ი-წვ-ებ-ოდ-ა
	ი-წვ-ებ-ოდ-ე-ს
	ი-წვ-ა
	ი-წვ-ე-ს
	(წოლილ-ა
	წოლილ-იყო
	წოლილ-იყოს)

გ) როცა „აწმყოს წრის“ მწკრივთა პარადიგმის შევსება ხდება „მყოფადის წრეში“ ორგვარი ფორმობრივი პარადიგმით, რომელთაგან ერთ-ერთს აქვს გაგრძელება II და III სერიაში

ს-ძულ-ს	ე-ძულ-ებ-ა	/	შე-ს-ძულ-დ-ებ-ა
ს-ძულ-დ-ა	ე-ძულ-ებ-ოდ-ა	/	შე-ს-ძულ-დ-ებ-ოდ-ა
ს-ძულ-დ-ე-ს	ე-ძულ-ებ-ოდ-ე-ს	/	შე-ს-ძულ-დ-ებ-ოდ-ე-ს
—	—		შე-ს-ძულ-დ-ა
—	—		შე-ს-ძულ-დ-ე-ს

—	—	შე-ს-ძულ-ებ-ი-ა
—	—	შე-ს-ძულ-ებ-ოდ-ა
—	—	შე-ს-ძულ-ებ-ოდ-ე-ს

დ) როცა „აწმყოს წრის“ მწკრივთა პარადიგმის შევსება ხდება „მყოფადის წრისა“ და II-III სერიის ფორმების ორგვარი პარადიგმით:

ბიბინ-ებ-ს	ი-ბიბინ-ებ-ს	/	ა-ბიბინ-დ-ებ-ა
ბიბინ-ებ-დ-ა	ი-ბიბინ-ებ-დ-ა	/	ა-ბიბინ-დ-ებ-ოდ-ა
ბიბინ-ებ-დ-ე-ს	ი-ბიბინ-ებ-დ-ე-ს	/	ა-ბიბინ-დ-ებ-ოდ-ეს
	ი-ბიბინ-ა	/	ა-ბიბინ-დ-ა
	ი-ბიბინ-ო-ს	/	ა-ბიბინ-დ-ე-ს
	უ-ბიბინ-ი-ა	/	აბიბინებულ-ა
	ე-ბიბინ-ა	/	აბიბინებულ-იყო
	ე-ბიბინ-ო-ს	/	აბიბინებულ-იყოს

2. მეორე რიგის სემანტიკური პარადიგმის წევრები სხვადასხვა ძირეული მორფემისაგან წარმოებული ზმნური ფორმებია: **ამბობს — იტყვის — თქვა.**

ამბობ-ს	ი-ტყვ-ი-ს	
ამბ-ობ-დ-ა	ი-ტყ-ოდ-ა	
ამბ-ობ-დ-ე-ს	ი-ტყ-ოდ-ე-ს	
		თქვ-ა
		თქვ-ა-ს
		უ-თქვ-ამ-ს
		ე-თქვ-ა
		ე-თქვ-ა-ს

შვრება — იზამს — ქნა

შვრ-ებ-ა	ი-ზამ-ს	
შვრ-ებ-ოდ-ა	ი-ზამ-დ-ა	
შვრ-ებ-ოდ-ე-ს	ი-ზამ-დ-ე-ს	
		ქნ-ა
		ქნ-ა-ს

უ-ქნ-ი-ა
ე-ქნ-ა
ე-ქნ-ა-ს

არის — იქნება— იყოს

არ-ი-ს

ი-ქნ-ებ-ა
ი-ქნ-ებ-ოდ-ა
ი-ქნ-ებ-ოდ-ე-ს

ი-ყ-ო
ი-ყ-ო-ს

ყოფილ-ა
ყოფილ-იყო
ყოფილ-იყოს

შენიშვნა: 1. საგულისხმო ფაქტია — III სერია ყველა შემთხვევაში II სერიის ფუძეს იმეორებს. 2. აქ იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ **ამბ** მარტივი ფუძისაგან წარმოებული ნეიტრალური ქცევის ფორმა სემანტიკურ პარადიგმას ქმნის.

ამ პარადიგმების გაცნობა ერთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს: როგორც მეორე რიგის პარადიგმები (ამბობს... არის... შვრება...) არ შეიძლება ჩაითვალოს ფორმობრივ პარადიგმად და, შესაბამისად, მორფოლოგიური ანალიზის ფაქტად, ისე პირველი რიგის პარადიგმები არ შეიძლება ჩაითვალოს ფორმობრივ პარადიგმად. სხვაგვარად: „სესხება“ არ არის მორფოლოგიური ფაქტი... ეს სემანტიკის სფეროა.

რაც შეეხება იმას, რომ **ამბობს — იტყვის — თქვა** ერთ პარადიგმად წარმოგვიდგება, მორფოლოგიური ანალიზის დროს უნდა ითქვას, რომ **ამბობს** არის ზმნა (ის ზმნური ფორმა), რომელსაც მხოლოდ აწმყოს დროული მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობა აქვს; შესაბამისად: **იტყვის** არის ის ზმნა (ზმნური ფორმა), რომელსაც არა აქვს აწმყოს გამოხატვის შესაძლებლობა, გამოხატავს მხოლოდ მომავალ დროს და, შესაბამისად, ასევე ითქმის **თქვა** ფორმაზეც — იგი წარსული დროის მნიშვნელობას გადმოსცემს. ამ მარტივი ფუძის აწლანდელი და მომავალი დროის გამოხატვა არ ხდება. ასევე შეიძლება ითქვას **მეფობს** და **იმეფებს, დგას** და **იდგება, ბრუნავს** და **იბრუ-**

ნებს და სხვა მრავალი მსგავსი შემთხვევის შესახებ; ანუ იმ ზმნების შესახებ, რომლებიც „სესხების გზით ივსებენ ნაკლულ მწკრივებს“.

და ყოველივე ეს ხდება განსხვავებით იმ ზმნებისაგან, რომლებიც ერთი და იმავე მარტივი ფუძით, ერთი მორფოლოგიური პარადიგმის ფარგლებში ახდენენ ამ დროულ დაპირისპირებას: **წერ-ს — და-წერს — დაწერა.** ახლანდელი და მომავალი დროის განსხვავება ერთი მწკრივის ფარგლებში ხდება ზოგ შემთხვევაში ზმნისწინის მეშვეობით, ზოგ შემთხვევაში — კონტექსტის დახმარებით (იხ. § 5).

შენიშვნა: სემანტიკური პარადიგმის აგების საინტერესო ცდას გვთავაზობს ა. არაბული. საუღლებელი სისტემის სემანტიკურმა ანალიზმა მხოლოდ თხრობითი კილოს ფორმათა სახით 9 ერთეული წარმოადგინა (ა. არაბული, 1992); ასპექტის კატეგორიის „უღლების (პარადიგმატულ) კატეგორიათა რიგში“ გატანამ და, შესაბამისად, „ზმნისწინის საუღლებელი ფუძის (მწკრივის) ორგანულ ნაწილად“ მიჩნევამ; „მთელი პარადიგმის (უღლების სისტემის) ფორმალური (ფუძისა) და სემანტიკური („დიფერენციალურ ნიშანთა“) მახასიათებლების გათვალისწინებით გადაწერამ“ 16 მწკრივი მოგვცა (ა. არაბული, 1999).

9.4. ზმნათა დაჯგუფება მწკრივთა წარმოების შესაძლებლობის მიხედვით

ზმნისწინის როლზე, ასპექტის კატეგორიის მნიშვნელობაზე და ე. წ. მწკრივის ელემენტთა (ანუ უღლების კატეგორიათა) შესახებ მწკრივის რაობის გარკვევისას ვისაუბრეთ; ე. წ. სემანტიკური დიფერენციალური ნიშნები რომ არაა უცვალებელი და მათი მიხედვით მწკრივთა დახასიათება არასტაბილურია, ამის თაობაზეც გვქონდა საუბარი... მაგრამ ეს ყოველივე ეხებოდა ფორმობრივ პარადიგმას. სემანტიკურად დასაშვებია საკითხის ასე დასმა, მით უმეტეს, თუ ერთ პარადიგმად გავიაზრებთ ცხოვრობს — იცხოვრა, არის — იყო — იქნება ფორმებს... ჩვენი და წარმოდგენილი თვალსაზრისის სხვაობის საფუძველი მიზანია — ვაგებთ ფორმობრივ თუ სემანტიკურ პარადიგმას... ფორმობრივი (ანუ ფორმობრივ-სემანტიკური) პრინციპის გათვალისწინება საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს ამა თუ იმ ზმნის მიერ მწკრივთა წარმოების შესაძლებლობის მიხედვით.

ანუ: რა შესაძლებლობა აქვს ამა თუ იმ ზმნას ზმნური ფორმების წარმოებისა.

თუ ამ პრინციპის მიხედვით ვეცდები ზმნათა დაჯგუფებას, აღმოჩნდება, რომ შესაძლებელია ზმნები სამ ჯგუფად დალაგდეს: ა) ზმნები, რომელთაც მხოლოდ ერთი — აწმყო-მყოფადის — მწკრივის ფორმა მოეპოვება; ბ) ზმნები, რომელთაც მხოლოდ I სერიის მწკრივთა ფორმები მოეპოვება და გ) ზმნები, რომელთაც ყველა მწკრივის ფორმა მოეპოვება; სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

ა)	ბ)	გ)
აწმყო-მყოფადი;	აწმყო-მყოფადი უწყვეტელ-ხოლმეობითი I კავშირებითი	აწმყო-მყოფადი უწყვეტ.-ხოლმეობითი I კავშირებითი წყვეტილი II კავშირებითი I თურმეობითი II თურმეობითი III კავშირებითი

უღლების ჯგუფების გამოყოფის დროს ამ ფაქტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. გავიხსენოთ: „**უღლება** აღნიშნავს პირიანი ზმნის ფორმაცვალებას ყველა მწკრივში, რომელიც კი მოეპოვება აღებულ ზმნას“ (ა. შანიძე). დაზუსტება — „რომელიც კი მოეპოვება აღებულ ზმნას“ — გულისხმობს იმას, რომ ყველა ზმნას არა აქვს შესაძლებლობა ყველა მწკრივის ფორმათა წარმოებისა; ანუ: ზმნები განსხვავდება ერთმანეთისაგან იმის მიხედვითაც, თუ რა შესაძლებლობა აქვს მას მწკრივთა წარმოებისა. ვფიქრობთ: ზმნის ფორმობრივი ანალიზისას ზმნათა დაჯგუფება ამ ნიშნის მიხედვით უნდა მოხდეს: როგორია შესაძლებლობა ზმნისა მწკრივის ფორმათა წარმოებისა; სხვაგვარად: შესწევს თუ არა ზმნას უნარი ყველა მწკრივის ფორმათა წარმოებისა.

მწკრივის ფორმათა წარმოების შესაძლებლობის მიხედვით ზმნები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ; შესაბამისად გვექნება სამი ტიპი უღლებისა:

I ტიპის უღლებას განეკუთვნება ის ზმნები, რომელთაც მხოლოდ ერთი მწკრივის (აწმყო-მყოფადის) ფორმები მოეპოვებათ (ზემოწარმოდგენილ მსჯელობის საფუძველზე ე. წ. „ნასესხებ“ ფორმებს მხედვე-

ლობაში არ ვიღებთ). ამ ჯგუფში შემოვა: ა) ე. წ. სტატიკური ვნებითის ფორმები: **აბია, აბარია, აბადია, ჰბურავს, ხურავს** და მისთანანი. ბ) ე. წ. მედიოპასიური ზმნათა ერთი ნაწილი: **წევს, დგას, ძევს, სხედან** და სხვა.

ამ ტიპის ზმნები შეიძლება იყოს როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი: **აბია / უბია, აგია / უგია, აგდია / უგდია, ასვია / უსვია, აფენია / უფენია**... **დგას / უდგას, ზის / აზის / უზის**...

ამ ტიპის ზმნათა უღლების ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ I და II სუბიექტური პირის ფორმებს მეშველი ზმნით იწარმოებენ:

ვ-დგა-ვარ	ვ-ზი-ვარ		ვ-წევარ
დგა-ხარ	ზი-ხარ		წევ-ხარ
ვ-დგა-ვართ	ვ-ზი-ვართ	ვ-სხედ-ვარ-თ	ვ-წევარ-თ
დგა-ხართ	ზი-ხართ	სხედ-ხარ-თ	წევ-ხარ-თ

ანდა:

ვ-აბარი-ვარ	ვ-აგდი-ვარ
აბარი-ხარ	აგდი-ხარ

ზოგი ზმნისათვის I-II სუბიექტური პირის ფორმები არ ჩანს ბუნებრივი: ჰბურავს, ხურავს...

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ ტიპის ზმნები ზმნისწინს არ დაირთავენ. დროული გაგება ამ ზმნებისა სტაბილურია — აწმყოს გაგება აქვთ (ზოგადისა თუ კონკრეტულისა).

II ტიპის უღლებას განეკუთვნება ის ზმნები, რომლებიც მხოლოდ I სერიის მწკრივთა ფორმებს იწარმოებს:

აწმყო-მყოფადი

ვ-მეფ-ობ	ვ-თამაშ-ობ	ვ-ამბ-ობ	ვ-იტყვ-ი	ვ-იც-ი
მეფ-ობ	თამაშ-ობ	ამბ-ობ	იტყვ-ი	იც-ი
მეფ-ობ-ს	თამაშ-ობ-ს	ამბ-ობ-ს	იტყვ-ი-ს	იც-ი-ს
ვ-მეფ-ობ-თ	ვ-თამაშ-ობ-თ	ვ-ამბ-ობ-თ	ვ-იტყვ-ი-თ	ვ-იც-ი-თ
მეფ-ობ-თ	თამაშ-ობ-თ	ამბ-ობ-თ	იტყვ-ი-თ	იც-ი-თ
მეფ-ობ-ენ	თამაშ-ობ-ენ	ამბ-ობ-ენ	იტყვ-ი-ან	იც-ი-ან

უწყვეტელ-ხოლმეობითი

ვ-მეფ-ობ-დ-ი	ვ-თამაშ-ობ-დ-ი	ვ-ამბ-ობ-დ-ი	ვ-იტყ-ოდ-ი	ვ-იც-ოდ-ი
მეფ-ობ-დ-ი	თამაშ-ობ-დ-ი	ამბ-ობ-დ-ი	იტყ-ოდ-ი	იც-ოდ-ი
მეფ-ობ-დ-ა	თამაშ-ობ-დ-ა	ამბ-ობ-დ-ა	იტყ-ოდ-ა	იც-ოდ-ა
ვ-მეფ-ობ-დ-ი-თ	ვ-თამაშ-ობ-დ-ი-თ	ვ-ამბ-ობ-დ-ი-თ	ვ-იტყ-ოდ-ი-თ	ვ-იც-ოდ-ი-თ
მეფ-ობ-დ-ი-თ	თამაშ-ობ-დ-ი-თ	ამბ-ობ-დ-ი-თ	იტყ-ოდ-ი-თ	იც-ოდ-ი-თ
მეფ-ობ-დ-ნენ	თამაშ-ობ-დ-ნენ	ამბ-ობ-დ-ნენ	იტყ-ოდ-ნენ	იც-ოდ-ნენ

I კავშირებითი

ვ-მეფ-ობ-დ-ე	ვ-თამაშ-ობ-დ-ე	ვ-ამბ-ობ-დ-ე	ვ-იტყ-ოდ-ე	ვ-იც-ოდ-ე
მეფ-ობ-დ-ე	თამაშ-ობ-დ-ე	ამბ-ობ-დ-ე	იტყ-ოდ-ე	იც-ოდ-ე
მეფ-ობ-დ-ე-ს	თამაშ-ობ-დ-ე-ს	ამბ-ობ-დ-ე-ს	იტყ-ოდ-ე-ს	იც-ოდ-ე-ს
ვ-მეფ-ობ-დ-ე-თ	ვ-თამაშ-ობ-დ-ე-თ	ვ-ამბ-ობ-დ-ე-თ	ვ-იტყ-ოდ-ე-თ	ვ-იც-ოდ-ე-თ
მეფ-ობ-დ-ე-თ	თამაშ-ობ-დ-ე-თ	ამბ-ობ-დ-ე-თ	იტყ-ოდ-ე-თ	იც-ოდ-ე-თ
მეფ-ობ-დ-ნენ	თამაშ-ობ-დ-ნენ	ამბ-ობ-დ-ნენ	იტყ-ოდ-ნენ	იც-ოდ-ნენ

ძირითადად ამ ჯგუფში შემოდის ის ზმნები, რომელთაც მედიოაქტიურ ზმნებს ვუწოდებთ — სწავლობს, ცხოვრობს, ამხანაგობს, ცრუობს, ტყუის... გარდა ამისა, რამდენიმე გარდამავალი დინამიკური ზმნა, ე. წ. მწკრივში მონაცვლე ზმნები — **ამბობს, იტყვის; შვრება, იზამს**... სტატიკური ზმნები — **იცის, უწყის**... და გარდაუვალი დინამიკური ზმნები — **იქნება, გაეძლება, გაემტყუნება**...

II ჯგუფის ზმნათა უმეტესობა უზმნისწინოა, ზმნისწინს ვერ იგუებს. ერთი ნაწილი მედიოაქტიური ზმნებისა ზმნისწინიანია, მაგრამ ზმნისწინი დროისა და ასპექტის გამოხატვის უნარს მოკლებულია; ეს ძირითადად მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნებია: **მიდის, მირბის, მიფრინავს...** ასეთი შეიძლება იყოს **მი-თამაშობს, მო-თამაშაობს** ტიპის ფორმებიც.

არის ზმნათა ერთი ნაწილი, რომელიც ყოველთვის ზმნისწინიანია. ზმნისწინი ამ შემთხვევაში ზმნური ფორმის ლექსიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს — **გაეძლება, გაემტყუნება, გაეწყობა...**

შენიშვნა: 1. ამა თუ იმ ტიპის უღლების ზმნათა დახასიათება მორფოლოგიური თუ სემანტიკური თვალსაზრისით ცალკე კვლევის საგნად გვესახება. ამ შემთხვევაში ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგადი მითითებით ზმნათა ფორმობრივ-სემანტიკურ თავისებურებებზე.

2. ზმნისწინისა და ზმნური ფორმის ურთიერმიმართების საკითხი არსებით მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც, როგორც ვნახეთ და ვნახავთ, არის შემთხვევები, ა) როცა ზმნა ზმნისწინს საერთოდ ვერ იგუებს — **მეფობს, ამბობს, იტყვის, იცის**... **ადღეგრძელებს, ადარდებს**... ბ) როცა ზმნური ფორმა ზმნისწინის გარეშე არ გვხვდება (ერთი და იმავე სემანტიკით) — **მიაგებს, მოასწავებს; დაეჯერება, დაიშვება... აღმოცენდება, განაგრძობს...** გ) როცა პარალელური ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტები თანაბრადაა დასაშვები (ცხადია, ზმნისწინს გარკვეული ფუნქციები აქვს ამ შემთხვევაში): **წერს** და **დაწერს**, **ქრის** და **მოქრის**...

ყოველივე ამის გათვალისწინება ამა თუ იმ ზმნის უღლების პარადიგმის შედგენისას აუცილებლად მიგვაჩნია.

3. ზმნისწინიან ზმნებში, ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე მარტივ ფუძესთან რამდენიმე ზმნისწინი შეიძლება შეგვხვდეს. ზმნისწინთა რაოდენობის საკითხი სხვადასხვა ფუძესთან სხვადასხვაგვარია. „ზმნური ფუძეების ლექსიკონი“ ამ თვალსაზრისით ნათელ სურათს იძლევა (იხ. გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1989). უმეტეს შემთხვევაში ზმნისწინთა შენაცვლება ფორმაწარმოებაზე გავლენას ვერ ახდენს. ასეთ შემთხვევაში მსჯელობისას მხოლოდ ერთ-ერთ ზმნისწინს მოვიყვანთ, ჩვეულებრივ, ნეიტრალური სემანტიკისას (ნეიტრალური ზმნისწინის შესახებ იხ. ც. კვანტალიანი, 1998).

III ტიპის უღლებას მივაკუთვნებთ იმ ზმნებს, რომელთაც ყველა მწკრივის ფორმა მოეპოვებათ. ზმნისწინი ამ ტიპის ზმნებთან საგანგებო ყურადღებას იქცევს. წინა შენიშვნა უპირატესად ზმნებს შეეხებოდა. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ზმნისწინის მიმართება ზმნურ ფორმასთან, რამდენიმე ქვეჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

1. ზმნები, რომელთაც პარალელური — ზმნისწინიანი და უზმნისწინო — ფორმები აქვს ყველა მწკრივში (მსჯელობის სიმარ-

ტივისა და სურათის სიცხადისათვის მხოლოდ III პირის ფორმას მოვიხმობთ):

აწმყო-მყოფადი	— (და)-წერს	(გა)-აკეთებს	(მო)-დრეკს
უწყვეტ.-ხოლმ.	— (და)-წერდა	(გა)-აკეთებდა	(მო)-დრეკდა
I კავშირებითი	— (და)-წერდეს	(გა)-აკეთებდეს	(მო)-დრეკდეს
წყვეტილი	— (და)-წერა	(გა)-აკეთა	(მო)-დრიკა
II კავშირებითი	— (და)-წეროს	(გა)-აკეთოს	(მო)-დრიკოს
I თურმეობითი	— (და)-უწერია	(გა)-უკეთებია	(მო)-უდრეკია
II თურმეობითი	— (და)-ეწერა	(გა)-ეკეთებინა	(მო)-ედრიკა
III კავშირებითი	— (და)-ეწეროს	(გა)-ეკეთებინოს	(მო)-ედრიკოს

ამ ჯგუფში შემოვა მოქმედებითი გვარის ზმნათა ძირითადი ნაწილი.

2. ზმნები, რომელთაც მხოლოდ უზმნისწინო ფორმები მოეპოვება ყველა მწკრივში:

აწმყო-მყოფადი	— გვემს	იცხოვრებს	იჯდება
უწყვეტ.-ხოლმ.	— გვემდა	იცხოვრებდა	იჯდებოდა
I კავშირებითი	— გვემდეს	იცხოვრებდეს	იჯდებოდეს
წყვეტილი	— გვემა	იცხოვრა	იჯდა
II კავშირებითი	— გვემოს	იცხოვროს	იჯდეს
I თურმეობითი	— უგვემია	უცხოვრია	მჯდარა
II თურმეობითი	— ეგვემა	ეცხოვრა	მჯდარიყო
III კავშირებითი	— ეგვემოს	ეცხოვროს	მჯდარიყოს

ამ ქვეჯგუფში შემოვა ძირითადი ნაწილი იმ ზმნებისა, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში საშუალი გვარის ზმნათა მონაცვლედ მიიჩნევა მყოფადის წრესა და II-III სერიების მწკრივებში: იაზროვნებს, იარსებებს, იმეტყველებს, იტრიალებს (ის), იეჭვიანებს, იექიმებს, იგულისხმებს... იდგება, იწვება...

აქ გაერთიანდება ასევე ნაწილი დინამიკური გარდამავალი თუ გარდაუვალი ზმნებისა: ამხილებს, აწამებს, ბრძანებს, შობს, უდეპეშებს, თანაუგრძნობს, უმზერს... ასაზრდოებს, აშრომებს და სხვა.

3. ზმნები, რომელთაც მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმები მოეპოვებათ ყველა მწკრივში:

აწმყო-მყოფადი	—	აღ-იქვამს	გან-აგრძობს	აღმო-ცენდება
უწყვეტ.-ხოლმ.	—	აღ-იქვამდა	გან-აგრძობდა	აღმო-ცენდებოდა
I კავშირებითი	—	აღ-იქვამდეს	გან-აგრძობდეს	აღმო-ცენდებოდეს
წყვეტილი	—	აღ-იქვა	გან-აგრძო	აღმო-ცენდა
II კავშირებითი	—	აღ-იქვას	გან-აგრძოს	აღმო-ცენდეს
I თურმეობითი	—	აღ-უქვამს	გან-უგრძვია	აღმო-ცენებულა
II თურმეობითი	—	აღ-ექვა	გან-ეგრძო	აღმო-ცენებულიყო
III კავშირებითი	—	აღ-ექვას	გან-ეგრძოს	აღმო-ცენებულიყოს

ამ ქვეჯგუფში შემოვა უმთავრესად ის ზმნები, რომელთაც ზმნისწინთა არქაული ფორმები შემოინახეს (აღიარებს, აღნუსხავს, აუთქვამს, აღჭურავს... განმუხტავს, განავრცობს... წარმოშობს... შთააგონებს...). არის სხვა შემთხვევებიც (დასძენს, მიირთმევს, მიქარავს, მოუწოდებს...), უმთავრესად ისეთი, როცა ზმნისწინის მოშორება ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას შეუცვლის....

4. ზმნები, რომელთაც I სერიის მწკრივებში პარალელური — ზმნისწინიანი და უზმნისწინო — ფორმები მოეპოვებათ, ხოლო II და III სერიის მწკრივებში — მხოლოდ ზმნისწინიანი:

აწმყო-მყოფ.	—	(გა)-თბება	(და)-ემალება	(გა)-კეთდება
უწყვ.-ხოლმ.	—	(გა)-თბებოდა	(და)ემალებოდა	(გა)-კეთდებოდა
I კავშირ.	—	(გა)-თბებოდეს	(და)-ემალებოდეს	(გა)-კეთდებოდეს
წყვეტილი	—	გა-თბა	და-ემალა	გა-კეთდა
II კავშირ.	—	გა-თბეს	და-ემალოს	გა-კეთდეს
I თურმ.	—	გა-მთბარა	და-მალვია	გა-კეთებულა
II თურმ.	—	გა-მთბარიყო	და-მალვოდა	გა-კეთებულიყო
III კავშირ.	—	გა-მთბარიყოს	და-მალვოდეს	გა-კეთებულიყოს

ამ ქვეჯგუფში შემოვა უმთავრესად ვნებითი გვარის ზმნები.

III ტიპის უღლების ზმნებში ზმნისწინი პოლიფუნქციურია: ხშირად ერთდროულად რამდენიმე ფუნქციის გამომხატველი.

შენიშვნა: ა) ე. წ. მედიოაქტიურ ზმნებთან არის ტენდენცია **მო-, წა-** ზმნისწინთა სპეციფიკური ფუნქციით გამოყენებისა (წაიბავშვებს, წაიპოეტებს... მოიბეჯითებს, მოისულელებს...). ზმნები, რომლებიც ამგვარი ფუნქციით გა-

მოიყენებს ზმნისწინებს, მესამე ჯგუფში შევა — ზმნისწინს ყველა მწკრივში შეინარჩუნებს.

ბ) იმისდა მიხედვით, თუ რა სემანტიკას ანიჭებს ზმნისწინი ზმნურ ფორმას, ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა ზმნისწინით შეიძლება სხვადასხვა ჯგუფში მოხვდეს.

გ) ასევე: შეიძლება ერთი და იგივე ზმნა ზოგჯერ სხვადასხვა ტიპის უღლებაში მოხვდეს იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობით გამოიყენება. მაგ.: **სცემს** — მნიშვნელობით „დედა ბავშვს სცემს“ III ტიპის უღლებისა იქნება, ხოლო მნიშვნელობით „თმა კოჭებამდე სცემს“ — II ტიპის უღლებისა. ასევე: **ცრის** — მნიშვნელობით „ქალი ფქვილს ცრის“ III ტიპის უღლების ზმნაა, ხოლო მნიშვნელობით „წვიმა ცრის“ — II ტიპის უღლებისა.

მწკრივის ფორმათა წარმოების შესაძლებლობათა მიხედვით ზმნების დაჯგუფებამ ერთი საინტერესო ფაქტიც წარმოაჩინა:

ა) თუ ზმნას აქვს უწყვეტელ-ხოლმეობითისა და I კავშირებითის ფორმები, აუცილებლად ექნება აწმყო-მყოფადის ფორმაც. ბ) თუ ზმნას აქვს II და III სერიის მწკრივთა ფორმები, აუცილებლად ექნება I სერიის მწკრივთა ფორმებიც.

წესი შექცევადი არაა: ზმნას შეიძლება ჰქონდეს აწმყო-მყოფადის ფორმა, მაგრამ არ ეწარმოებოდეს სხვა მწკრივის ფორმები. ანდა: ზმნას შეიძლება ჰქონდეს I სერიის მწკრივთა ფორმები, მაგრამ არ ეწარმოებოდეს II და III სერიის ფორმები.

ეს ფაქტები გარკვეულად **მხარს უჭერს მწკრივთა ტრადიციულ დაჯგუფებას, მის მართებულობას...**

ერთი საინტერესო კანონზომიერებაც ირკვევა: თუ ზმნას აქვს უწყვეტელ-ხოლმეობითის ფორმა, ექნება I კავშირებითიც. ასევე — თუ ზმნას აქვს წყვეტილის ფორმა, ექნება II კავშირებითიც. ფაქტი იმითაა საინტერესო, რომ უწყვეტელ-ხოლმეობითი და I კავშირებითი, ერთი მხრივ, და წყვეტილი და II კავშირებითი, მეორე მხრივ, ურთიერთჩანაცვლებული ფორმებია. ასეთივე დამოკიდებულება არაა აწმყო-მყოფადსა და უწყვეტელ-ხოლმეობითს შორის. ეს ორი მწკრივი ერთმანეთს ხაზოვანი პრინციპით მიემართება.

შენიშვნა: ის, რაც ითქვა ახალი ქართულის სისტემის მაგალითზე, ითქმის ძველი ქართულისა და დიალექტების სისტემათა მიმართაც. განსხვავებული მწკრივები ამ კანონზომიერებას არ არღვევს. I ხოლმეობითი (უწყვეტლის ხოლმეობითი) ჩანაცვლების პრინციპით მიემართება უწყვეტელსა და I კავშირებითს, ხოლო II ხოლმეობითი — წყვეტილსა და II კავშირებითს. შესაბამისად, თუ ზმნას აქვს უწყვეტლის ფორმა, ექნება უწყვეტლის ხოლმეობითიც; ასევე: თუ გვაქვს წყვეტილის ფორმა, გვექნება II ხოლმეობითიც. სხვაგვარად: ურთიერთჩანაცვლებად ფორმათაგან თუ არსებობს ერთ-ერთი, იქნება დანარჩენიც.

ჩვენი აზრით, ჯერჯერობით ამოუხსნელი, მაგრამ საინტერესო კანონზომიერება ჩანს დაფარული ამ ფაქტებში.

§ 10. სუპლეტივიზმი მწკრივთა წარმოებაში

აღინიშნა, რომ მწკრივის პარადიგმაში ერთიანდება ზმნის პირიანი ფორმები, რომლებიც განსხვავებულია ერთმანეთისაგან მხოლოდ ზმნისწინით, პირისა და რიცხვის ნიშნებით. ზმნისწინის, პირისა და რიცხვის ნიშნების ჩამოშორებით მწკრივის ფუძეს ვიღებთ. ესე იგი: მწკრივის პარადიგმის წევრებისათვის ფუძე საერთოა.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა მწკრივის პარადიგმაში შემავალი რომელიმე წევრის ფუძე სხვაობს მწკრივის საერთო ფუძისაგან; ერთი და იმავე მწკრივის პარადიგმაში სხვადასხვა ფუძე იყრის თავს. ამგვარად, წარმოიქმნება სუპლეტური პარადიგმები.

საერთოდ, ლინგვისტური ლექსიკონების მიხედვით, სუპლეტივიზმი ისეთი გრამატიკული მოვლენაა, როცა ერთი პარადიგმის ფარგლებში ხდება ძირისა თუ ფუძის მონაცვლეობა (ჟ. მარუზო, 1960; ო. ახმანოვა, 1969).

ქართული ენის მასალაზე მსჯელობისას ზმნის სისტემაში სუპლეტურად მიიჩნევა ე. წ. რიცხვისა თუ მწკრივის მიხედვით მონაცვლე ზმნები:

დაჰდა ის — **დასხდნენ** ისინი
აბია ის მას — **ასხია** ისინი მას

ანდა: **არის — იქნება — იყო**
შვრება — იზამს — ქნა

ყველა შემთხვევაში საუბარია მარტივ ფუძეთა მონაცვლეობაზე: უღლების სისტემაში ერთსა და იმავე მწკრივში თუ სხვადასხვა მწკრივში სხვადასხვა ზმნებია წარმოდგენილი. ფაქტობრივ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სემანტიკური პრინციპის მიხედვით სხვადასხვა ზმნათა ერთ პარადიგმაში გაერთიანებისა. ამგვარ შემთხვევებს ჩვენ სემანტიკური პარადიგმები ვუწოდეთ.

განმარტების მიხედვით სუპლეტივიზმად უნდა ჩაითვალოს არა მარტო მარტივ ფუძეთა, არამედ მწკრივთა პარადიგმაში საყრდენი ფუძეების სხვაობის შემთხვევაც.

როგორც ვთქვით, ქართულში არის შემთხვევები, როცა ერთი მწკრივის პარადიგმაში სხვადასხვა საყრდენი ფუძეა გამოყენებული. მაგალითად, ძველი ქართულის:

ვალ
ხ-**ვალ**
ვალ-ს
ვალ-თ
ხ-**ვალ**-თ
ვლენ-ან

მრავლობითი რიცხვის III პირის **ვლენ** საყრდენი ფუძე განსხვავებულია სხვა პირის ფორმათა საყრდენი ფუძისაგან — **ვალ.** ამგვარ შემთხვევებს ვუწოდებთ ჩვენ სუპლეტივიზმს.

სუპლეტური პარადიგმები ქართულში ძირითადად აწმყოს ფორმებში იჩენს თავს; მოვიყვანთ ძველი ქართულის ნიმუშებს:

წევ	და	**წვან**	ვ-**წევ**	ვ-**წევ**-თ
			ს-**წევ**	ს-**წევ**-თ
			წევ-ს	**წვან**-ან
გავ	და	**გვან**	ვ-ჰ-**გავ**	ვ-ჰ-**გავ**-თ

			ჰ-**გავ**	ჰ-**გავ**-თ
			ჰ-**გავ**-ს	ჰ-**გვან**-ან
ჯამ	და	**ჯმან**	ვ-**ჯამ**	ვ-**ჯამ**-თ
			ჰ-**ჯამ**	ჰ-**ჯამ**-თ
			ჯამ-ს	**ჯმან**-ან
რწამ	და	**რწმან**	ვ-ჰ-**რწამ**	ვ-ჰ-**რწამ**-თ
			ჰ-**რწამ**	ჰ-**რწამ**-თ
			ჰ-**რწამ**-ს	ჰ-**რწმან**-ან
დგა	და	**დგან**	ვ-**დგა**	ვ-**დგა**-თ
			ს-**დგა**	ს-**დგა**-თ
			დგა-ს	**დგან**-ან

შენიშვნა: 1. **წევ — წვან, ყავ — ყვან, გავ — გვან, დგა — დგან** ზმნათა პარადიგმები სუპლეტურია ახალ ქართულშიც. სხვაობას ძველი ქართულისაგან ის ქმნის, რომ I-II პირის ფორმებმა მეშველი ზმნა დაირთეს:

ვ-დგა-ვარ	ვ-დგა-ვართ
დგა-ხარ	დგა-ხართ
დგა-ს	დგან-ან

2. ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ შეადგენს III პირის მრავლობითის ფორმაში დადასტურებული **ან** ელემენტის რაობის კვლევა. არსებითი ისაა ჩვენთვის, რომ ეს ელემენტი საყრდენი ფუძის ნაწილია. თუმცა ვთქვათ ისიც, რომ ა. შანიძის აზრით, ამ ფორმებში **ან** თემის ნიშანია, ნაშთის სახით შემორჩენილი (ა. შანიძე, 1973, გვ. 416).

სუპლეტურ პარადიგმებს დიალექტებშიც ვადასტურებთ. იმერულის მაგალითებია:

მე-ვ-**იტან**	მე-ვ-**იხმარ**	წე-ვ-**იყვან**
მე-**იტან**	მე-**იხმარ**	წე-**იყვან**
მე-**იტან**-ს	მე-**იხმარ**-ს	წე-**იყვან**-ს

მე-ვ-**იტან**-თ	მე-ვ-**იხმარ**-თ	წე-ვ-**იყვან**-თ
მე-**იტან**-თ	მე-**იხმარ**-თ	წე-**იყვან**-თ
მე-**იტანებ**-ენ	მე-**იხმარებ**-ენ	წე-**იყვანებ**-ენ

მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა **-ებ** თემის ნიშანს წარმოაჩენს, რაც სხვა ფორმებში არ დასტურდება.

მიუთითებენ აგრეთვე, რომ ზემოიმერულში **-ავ** თემისნიშნიანი ყველა ზმნა სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვში **-ევ** სუფიქსს დაირთავს **-ავ**-ის ნაცვლად.

ვ-**ხნავ**	ვ-**ხნავ**-თ	
ხნავ	**ხნავ**-თ	
ხნავ-ს	**ხნევ**-ენ	(ქ. ძოწენიძე, 1973).

საყრდენ ფუძეთა სხვაობა აქაც ფაქტია: **ხნავ** და **ხნევ**. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ხმოვანმონაცვლეობასთან, არამედ **ავ** და **ევ** ელემენტთა სხვაობასთან. მსგავს ვითარებაზე მიანიშნებენ ზემორაჭულშიც (შ. ძიძიგური, 1970).

საინტერესო ვითარებაა მესხურში. აქ თავისებურია თემის ნიშანთა სისტემა: სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელ თემის ნიშნებს აქ **ნ**არიანი ფორმანტები ცვლის: ვ-ბაძ-**ან** (ვ-ბაძ-ავ). ვ-კრ-**ან** (ვ-კრ-ავ), ვ-რგ-**ან** (ვ-რგ-ავ), ვ-აქ-**ენ** (ვ-აქ-ებ), ვ-იცვ-**ან** (ვ-იცვ-ამ), ვ-აპ-**ონ** (ვ-აპ-ობ), ვ-გრძნ-**ონ** (ვ-გრძნ-ობ), ვ-ყ-**ონ** (ვ-ყ-ოფ)... მაგრამ „აწმყოს მრ. რ. III პირში აქ ნებისმიერი **ნ**არიანი სუფიქსის ნაცვლად დამოწმებულია **-ებ**“ (მ. ბერიძე, 1980).

ვ-**ბაძ-ან**	ვ-**ბაძ-ან**-თ
ბაძ-ან	**ბაძ-ან**-თ
ბაძ-ან-ს	**ბაძ-ებ**-ენ.

ამგვარად, ერთი პარადიგმის ფარგლებში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი საყრდენი ფუძე **ბაძ-ან** და **ბაძ-ებ** და სხვა.

ასევე: ვ-**კრ-ან** და **კრ-ებ**-ენ, ვ-**რგ-ან** და **რგ-ებ**-ენ, ვ-**ა-ქ-ენ** და **ა-ქ-ებ**-ენ, ვ-**ი-ცვ-ან** და **ი-ცვ-ებ-**ენ, ვ-**ა-პ-ონ** || **ენ** და ა-**პ-ებ**-ენ || **ა-პ-ობ**-ენ, ვ-**გრძნ-ონ** და **გრძნ-ებ**-ენ || **გრძნ-ობ**-ენ, ვ-**ყ-ონ** და **ყ-ებ**-ენ („ყოფენ“) და მისთ.

განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ერთი მწკრივის პარადიგმაში განსხვავებულ ფუძეს სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა გამოიყენებს. თუ ძველი ქართულის **ვალ**-ს და **ვლენ**-ან ტიპის სუპლეტივიზმს რაიმე არქაული მოვლენის ნიშნად მივიჩნევთ, ამასვე ვერ ვიტყვით დიალექტურ მონაცემთა მიმართ: აქ აშკარად ახალ ტენდენციასთან გვაქვს საქმე, თუმცა პრინციპი სუპლეტივიზმისა არაა ახალი, ფაქტია ძველ ქართულშიც.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ძველ ქართულში **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის წარმოება.

როგორც ცნობილია, **ავ** და **ამ** თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის პარადიგმაში განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს I-II პირის ფორმები III პირთან მიმართებით.

ვ-**კლ-ევ-დ**-(ი)	ვ-**დგ-ემ-დ**-(ი)
ჰ-**კლ-ევ-დ**-(ი)	ს-**დგ-ემ-დ**-(ი)
კლ-ვ-იდ-ა	**დგ-მ-იდ**-ა
ვ-**კლ-ევ-დ**-ი-თ	ვ-**დგ-ემ-დ**-ი-თ
ჰ-**კლ-ევ-დ**-ი-თ	ს-**დგ-ემ-დ**-ი-თ
კლ-ვ-იდ-ეს	**დგ-მ-იდ**-ეს

ვვარაუდობთ, რომ III პირის ფორმებში გამოვლენილი **-იდ** მორფოლოგიურად დამოუკიდებელი ოდენობაა, **დ**-ს ბადალი (იხ. § 14). **ვ, მ** კი **-ავ, -ამ** სუფიქსთა ფონეტიკური (ხმოვანდაკარგული) ვარიანტი. ამდენად, I-II პირისათვის **კლ-ევ-დ** საყრდენი ფუძე გამოიყოფა, III-სათვის **კლ-ვ-იდ.** საყრდენ ფუძეთა სხვაობა აშკარაა. სუპლეტივიზმიც ფაქტია. საინტერესოდ გვეჩვენება ის, რომ ამ შემთხვევაშიც III პირის ფორმა უპირისპირდება I-II პირის ფორმებს...

მსგავსი ვითარება ქართული ენის დიალექტებშიცაა დამოწმებული: თუშურში, ხევსურულსა და ფშაურ დიალექტებში, როგორც აღინიშნა, ხოლმეობითის წარმოება ამავე პრინციპზეა დამყარებული: I-II პირის ფორმაში **-იდ** (თუშურ-ხევსურულში) ან **-ოდ** (ფშაურში) ფორმანტებია წარმოდგენილი, მესამე პირში — არა:

ხევსურული	—	ვ-**აღ-იდ**-ი	ვ-**აღ-იდ**-ი-თ
		აღ-იდ-ი	**აღ-იდ**-ი-თ
		აღ-ი-ს	**აღ**-ი-ან

ფშაური	—	ვ-**აღ-ოდ**-ი	ვ-**აღ-ოდ**-ი-თ
		აღ-ოდ-ი	**აღ-ოდ**-ი-თ
		აღ-ი-ს	**აღ**-ი-ან

მესამე პირის ფორმათა საყრდენი ფუძე I-II პირისაგან აქაც სხვაობს. სუპლეტივიზმი აქაც ფაქტია.

თუ ძველ ქართულში აწმყოსა და უწყვეტელში სუპლეტური წარმოება მწკრივთა პარადიგმებისა მხოლოდ გარკვეული ტიპის ზმნათათვისაა დამახასიათებელი (აწმყოში სტატიკურ ზმნებთან, ხოლო უწყვეტელში **ავ** და **ამ** თემისნიშნებთან), ზოგმა დიალექტმა (მაგ. მესხურმა) ეს პრინციპი აწმყოში ყველა ზმნაზე გაავრცელა... ასევე ბოლომდეა გატარებული ეს პრინციპი ხოლმეობითების წარმოებაში თუშურში, ხევსურულსა და ფშაურში.

ძველი თუ ახალი სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემთა გამოწვლილვით შესწავლა ალბათ ფაქტებს გაამრავლებს. საკითხის დასმისათვის, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

სუპლეტივიზმი მწკრივთა წარმოებაში საგანგებო მოვლენაა. იგი არღვევს მწკრივის პარადიგმის აგების საერთო პრინციპს — მწკრივის საყრდენი ფუძის პრინციპს (გავიხსენოთ: მწკრივი აერთიანებს მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნებით განსხვავებულ ფორმებს): ერთი მწკრივის პარადიგმაში შემავალ ფორმებს საერთო საყრდენი ფუძე უნდა ჰქონდეთ; სხვადასხვა საყრდენი ფუძე სხვადასხვა მწკრივის ფორმათა წარმოების საფუძველია... სუპლეტივიზმის მოვლენა ახსნას მოითხოვს... ჩვენ ამჯერად ფაქტის აღწერით ვკმაყოფილდებით.

ნაწილი მეორე ზმნური ფორმაწარმოების საკითხები

თავი მესამე პირისა და რიცხვის ნიშანთა სისტემის საკითხები ქართულში

თავი მეოთხე I სერიის ფორმათა წარმოების საკითხები

თავი მეხუთე II სერიის ფორმათა წარმოების საკითხები

თავი მეექვსე III სერიის ფორმათა წარმოების საკითხები

თავი III. პირისა და რიცხვის ნიშანთა სისტემის საკითხები ქართულში

§ 11. კითხვები და შენიშვნები სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა შესახებ

11.1 „ხანმეტობა“—„ჰაემეტობის“ თაობაზე

მგონი არცერთ მოვლენას ქართული ზმნის ანალიზისას იმდენი ყურადღება არ მიქცევია, რამდენიც სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე (S_2O_3) პირის ნიშნებს. პრაქტიკულ გრამატიკებს არ ვგულისხმობ მე ამჯერად (იქაც ჯეროვნად იყო მასზე მსჯელობა).

ეს მოვლენა საგანგებო მეცნიერული შესწავლის საგანი გახდა ა. შანიძის გამოკვლევაში „ქართული კილოები მთაში“ (1915 წ.) და მისივე სადოქტორო დისერტაციაში(1919 წ.).

მოვლენის განვითარების ისტორიაში სამი ეტაპი გამოიყოფა — ხანმეტობა, ჰაემეტობა და სანნარევობა.

ხანმეტი ძეგლები თარიღდება V-VII საუკუნეებით, ჰაემეტი ძეგლები — VII-IX საუკუნეებით, სანნარევი ძეგლები დასტურდება IX საუკუნიდან.

მოვლენის შესწავლის ისტორიიდან:

ხანმეტობისათვის პირველად (ჩვენი თვალსაწიერიდან) გიორგი მთაწმიდელს მიუქცევია ყურადღება: „ვინც ვინ დასწერდეთ, თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერად, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ; და თუ არა რადმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად — **ხანმეტნიცა** და საბაწმინდურნიცა“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 283)... ტერიმნი „ხანმეტი“ გამოცანად რჩებოდა...

გასული საუკუნის ოციან წლებში ქართულ ფილოლოგიაში სწორუპოვარ აღმოჩენად იქნა მიჩნეული ხანმეტი ტექსტების მიკვლევა; გაირკვა ტერმინი **ხანმეტ**-ის მნიშვნელობა; ანალოგიით შეიქმნა ტერმინი **ჰაემეტი**.

ხანმეტი ტექსტების აღმოჩენას მისი აღმომჩენი ივანე ჯავა-

ხ ი შ ვ ი ლ ი ასე აფასებს: „ვითარცა საქრისტიანო მწერლობის უძველს ძეგლებს, მათ მნიშვნელობა აქვთ, რასაკვირველია, საერთოდ მეცნიერებისათვის — სახარებისა, დაბადებისა და აპოკრიფულ ნაწარმოებთა ტექსტის ისტორიისა და კრიტიკისათვის, მაგრამ მეტადრე ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვისაა ძვირფასი. ეს ძეგლები, მისთვის უნდა შეიქმნეს ქვაკუთხედად როგორც ქართული დამწერლობისა და მწერლობის ძეგლები, ეს ხელნაწერები არა ერთი ქართული ენათმეცნიერებისა, მწერლობისა და კულტურის ისტორიის პირველხარისხოვანი სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებასაც გვაძლევენ“ (ი. ჯავახიშვილი, 1949, გვ. 297-298).

ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს შეფასება: „უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენა ფართო ჰორიზონტებს გვიშლის თვალწინ მრავალმხრივ. თუ ჯერჯერობით არ ხერხდება მათი ქრონოლოგიურად განსაზღვრა სრული ზედმიწევნილობით, ის მაინც ცხადია, რომ აქ, ყოველ შემთხვევაში, არაბობამდელ ლიტერატურასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, არაბთა შემოსევის წინა ხანებში (ე. ი. მეშვიდე საუკუნის ნახევრამდე) არსებული ქართული მწერლობა არ დაღუპულა ისე კატასტროფულად, როგორც ეს აქამომდე გვეგონა, ვინაიდან, ჩვენდა ბედად, ზოგი რამ ამ ეპოქისა დაღუპვისაგან გადაურჩენია პალიმფსესტებს. ეს ფაქტი უაღრესი მნიშვნელობისაა როგორც ლიტერატურისა და ენის ისტორიის, ისე პალეოგრაფიისათვისაც. ამიერიდან ქართული ისტორიული დიალექტოლოგია მკვეთრ საფუძველს პოულობს და შესაძლებელი ხდება მრავალი ბუნდოვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის გამორკვევა“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 281-282).

გახსენებისათვის: ხ ა ნ მ ე ტ ძეგლებში **ხ** გამოხატავდა: ა) სუბიექტურ მეორე პირს (**ხ**-არ, **ხ**-აკეთებ...); ბ) ობიექტურ მესამე პირს (შე-**ხ**-უაბთ, მი-**ხ**-ცა...); გ) აწარმოებდა უფროობითი ხარისხის ფორმებს (**ხ**-უმჯობჱს, **ხ**-უდიდჱს...); დ) გვქონდა **ი**-ნიან ვნებითებში (**ხ**-იყო, **ხ**-იქმნა...).

ჰაემეტ ძეგლებში **ხ**ანის ადგილს **ჰ**აე იჭერს (ჰცემდეს, ჰჭამთ, ჰჯყავ...).

საწნარევ პერიოდში გარკვეულ ფონეტიკურ გარემოში **ჰ**-ს ენაცვლება **ს** (დთტ ძცწ ჯჩჭ თანხმოვნების წინ); დანარჩენი თანხმოვნების წინ **ჰ** არის წარმოდგენილი. სხვა შემთხვევაში (ხმოვნებისა და ზოგჯერ ზოგიერთ თანხმოვანთა წინ) **ჰ** იკარგება.

საინტერესოა: რა ცვლილებასაც განიცდის პრეფიქსი ერთ შემთხვევაში (გამოყენების ოთხი შემთხვევიდან), იგივე ცვლილება ხდება

სხვა შემთხვევაშიც. ერთი „გამონაკლისი“: ჰაემეტ და სანნარევ ძეგლებში შემორჩენილია ორი ხანმეტი ფორმა: **ხ**-არ, **ხ**-ვალ (**ხ**-ვედ). და ერთერთი არსებითი კითხვა: **რამ გამოიწვია ამ ორი ფორმის შემონახვა?** ამას ფონოლოგიური საფუძველი არ უნდა ჰქონდეს.

ვ-არ მო-ვედ
ხ-არ მო-**ხ**-უედ
არ-ს მო-ვიდა

ერთგან ხმოვნისწინა პოზიციაშია შემონახული პრეფიქსი, მეორეგან — თანხმოვნისწინა პოზიციაში; თუ მეორე შემთხვევაში შეიძლება დაშვება იმისა, რომ I და II პირის ფორმათა სხვაობისათვის შემოგვენახა **ხ** (შდრ.: ბრძანებითი II პირისა — მო-ვედ!), ამასვე ვერ ვიტყვით პირველ შემთხვევაში — სხვაობა ისედაც გვექნებოდა... არადა, ეს ორი ზმნა ამ ფორმით გვხვდება ქართული ენის განვითარების ყველა ეტაპზე, ყველა დიალექტსა თუ სამწერლობო ქართულში.

რა ხდება? ახსნა ჭირს... გამონაკლისია...

შენიშვნა: ვ. თოფურიას მოწაფე (ბ. ჯორბენაძე) იგონებდა: ვ. თოფურია იტყოდა, **ანალოგია და გამონაკლისი გაჭირვების ახსნააო...** ცნობილი შეგონებაა: ყველა „გამონაკლისს“ აქვს წესი... „გამონაკლისად“ რჩება ფაქტი მანამ, სანამ ამ წესს მივაგნებთ... ზემოწარმოდგენილი გამონაკლისის წესი უცნობია...

პრინციპული ხასიათისა არის პრობლემა ხ ა ნ მ ე ტ ო ბ ი ს ა და ჰ ა ე მ ე ტ ო ბ ი ს ურთიერთმიმართებისა.

გავიხსენებთ: ხ ა ნ მ ე ტ ი ძ ე გ ლ ე ბ ი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰ ა ე მ ე ტ ძ ე გ ლ ე ბ ს. უდავოდ მომხიბლავი ჩანს ა. შ ა ნ ი ძ ი ს ე უ ლ ი ახსნა ამ ფაქტისა: „ჩემთვის უეჭველია, რომ განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენად დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენად სხვადასხვა კილოს. ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი — მეორეზე“ (ა. შანიძე, 1923, გვ. 311). საერთოდ, ერთი და იმავე ფაქტის ორგვარი (ან მრავალგვარი) გამოხატვის შემთხვევაში სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობის მოშველიება შეიძლება მარტივ გამოსავლად მივიჩნიოთ (ისევე, როგორც ანალოგია და

გამონაკლისი — ხშირ შემთხვევაში), მაგრამ გვგონია, რომ ხანმეტობა-ჰამეტების შემთხვევაში დიალექტური ფაქტორის მოშველიება დამაჯერებელი ჩანს. აქ ერთი სერიოზული კითხვაა: დიალექტური სახესხვაობანი ერთი და იმავე ქრონოლოგიური დონის მონაცემები უნდა იყოს; აქ კი სხვადასხვა დონის მონაცემებზეა საუბარი: ხანმეტობა V-VII საუკუნეების ფაქტია, ჰაემეტობა — VII-IX საუკუნეების. ა. შანიძის პასუხი ამ კითხვაზე: „ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე, რა თქმა უნდა, თავისთავად ჯერ კიდევ არ წყვეტს საკითხს იმის შესახებ, თითქო ქართული ლიტერატურა პარალელურად არ არსებობდა ჰაემეტ კილოზედაც; ან კიდევ, რომ ხანმეტი ლიტერატურა საზოგადოდ უეჭველად ხნიერი იყოს ჰაემეტზე. მაგრამ კიდევაც რომ გამოირკვეს საბოლოოდ, რომ სწორედ ხანმეტი იყო ის კილო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ სალიტერატურო ენას, ეს მაინც არ მოგვცემს იმის საბუთს, რომ **ჰ**აე ისტორიულად **ხ**ანის განვითარების მეორე საფეხურად ვცნოთ... ხანმეტი კილო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო (ასე ვთქვათ, მცხეთა-ბოლნისის რაიონსა და მიმდგომ მხარეებში), ხოლო ჰაემეტი კილო კი მის დასავლეთით“ (ა. შანიძე, იქვე, გვ. 361).

ხანმეტობა-ჰაემეტობის დიალექტური ურთიერთმიმართების საკითხი დასვამს ამ მაწარმოებელთა ურთიერთმიმართების საკითხს — **რომელია ამოსავალი ვარიანტი?**

ი. ჯავახიშვილის აზრით, ამოსავალია ქრონოლოგიურად უწინარესი: **ხ** პრეფიქსი საერთო-ქართველური მონაცემი ჩანს, ამოსავალი სახეა პრეფიქსისა და **ჰ** მისგან მივიღეთ — **ხ** → **ჰ** (ი. ჯავახიშვილი, 1922-23, გვ. 365).

ა. შანიძე პირიქით პროცესს ვარაუდობს — **ხ**-საგან **ჰ**-ს მიღება არაა მოსალოდნელი: „**ხ** პრეფიქსი არ შეიძლებოდა ფონეტიკურ ნიადაგზე გადასულიყო **ჰ**-ში, რამდენადაც ქართულ ენას საერთოდ არ ახასიათებს **ხ**-ს დასუსტება და **ჰ**-თი შეცვლა“ (ა. შანიძე, იქვე).

არნ. ჩიქობავას აზრით, როგორც ერთი (**ხ**), ისე მეორე (**ჰ**) პრეფიქსისათვის ამოსავალია **ს**: „საფიქრებელია, ეს **ს-** პრეფიქსი (წარმომავლობით ნივთის გრამატიკული კლასის ნიშანი — გ. გ.) იყო ამოსავალი ხ||ჰ ფორმანტებისათვის, S_2 და O_3-ის როლში რომ გამოდიან: რაღაც გარდამავალი ბგერა (ჰ||ს) ერთ შემთხვევაში **ს**-დ ყალიბდება, მეორეში **ჰ**-დ ქცეულა, შემდეგ იკარგვის (ზანურში). ამ გარდამავალი ბგერისაგან შეიძლებოდა **ხ**-ც მიგვეღო“ (არნ. ჩიქობავა, 1953, გვ. 59).

რ. ენუქიშვილი თვლის, რომ **ჰ** და **ხ** ერთმანეთს გენეტურად არ უკავშირდება: „თავდაპირველად, ქართველური ენების ერთობის ადრინდელ საფეხურზე, S_2 და O_3 პირებს სხვადასხვა ნიშანი გამოხატავდა: S_2 ხანით აღინიშნებოდა (....), ხოლო O_3 — ჰაეთი...“ (რ. ენუქიშვილი, 1976, გვ. 178).

საინტერესო სურათია:

ა) ხ → ჰ

ბ) ჰ → ხ

გ) ს → ჰ||ხ

დ) ჰ და ს არაა ერთმანეთთან გენეტურ კავშირში და, ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესო ვარიანტი: S_2O_3-ის „პრეფიქსების ორი სახეობა **ჰ-** და **ხ-** არ უნდა ყოფილიყო ფონემურად განსხვავებული ორი ბგერა **ჰ** და **ხ**. მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების აღმნიშვნელად დასახელებულ ეპოქაში (და უფრო ადრეც) ქართულ ზმნებს უნდა ჰქონოდა ერთი და იგივე ლარინგალური (თუ: ლარინგალურ-ფარინგალური) სპირანტი **ჰ,** რომელიც, ზოგან უფრო ღრმად გამოთქმული, იძლეოდა უკანაენისმიერი **ხ** სპირანტის შთაბეჭდილებას. ზოგ ძეგლში ამ აფიქსის ხანითა და ზოგში ჰაეთი აღნიშვნა არსებითად გრაფიკული ხასიათის სხვაობა უნდა ყოფილიყო. ე. ი. ერთმა ლიტერატურულმა სკოლამ ამ ლარინგალურ-ფარინგალური ბგერის გადმოსაცემად **ჰ**აე ასო იხმარა, ხოლო მეორემ **ხ**ანი აირჩია“ — ეს გ. როგავას აზრია (გ. როგავა, 1991, გვ. 147). ე. ი. ავტორის აზრით, სხვაობა გრაფიკულ გამოხატულებაშია. ერთი და იგივე ბგერა სხვადასხვაგვარად გამოიხატება ორ დიალექტურ ზონაში... ისე ისიც ითქმის: ისეთი ზუსტი ანბანური სისტემის (ვგულისხმობ შესაბამისობას ბგერით სისტემასთან) შემთხვევაში რამდენად მოსალოდნელია ასეთი გრაფიკული შეუსაბამობა?.. და მაინც: ეს თვალსაზრისი გვიბიძგებს ამგვარი დაზუსტებისაკენ: **S_2O_3-ს აღმნიშვნელი ჰ და ს პრეფიქსები რეფლექსებია უკანანენისმიერი რთული ბგერისა; იგი დაიკარგა და დიალექტთა ორ ჯგუფში მოგვცა სხვადასხვა რეფლექსი: ერთგან ჰ, მეორეგან ხ.**

ეს თვალსაზრისი (ამგვარი დაზუსტებით) მხარს უჭერს ხანმეტობა-ჰაემეტობის დიალექტურ თეორიას; მაგრამ რას შეიძლება დაემყაროს ეს თვალსაზრისი?

ამგვარი რამ, რთული ბგერის დაშლა და სხვადასხვა რეფლექსის წარმოდგენა სხვადასხვა იდიომაში, არაა უცხო ქართული ენისათვის (აღარას ვამბობ, ვთქვათ, დაღესტნის ენების რთულ ბგერათა რეფლექ-

სებზე. ამის თაობაზე იხ. არნ. ჩიქობავა, 1979; მ. ქურდიანი, 2007...).

ქართულში დადასტურებულია შემთხვევები, როცა დეზაფრიკატიზაცია შეიძლება მოხდეს ორივე მიმართულებით: აფრიკატმა მოგვცეს, ერთი მხრივ, ხშული ბგერა და, მეორე მხრივ, — სპირანტები:

ა) **აფრიკატი → ხშული**

ძ → დ: ე**ძ**ება → სამხრეთ ქართლური: ე**დ**ება; კორ**ძ**ებიანი → სამხრეთ ქართლური: კორ**დ**ებიანი...

ც → თ ზარმა**ც**ი → იმერული: ზარმა**თ**ი; ფი**ც**ხლავ → ქართლური: ფი**თ**ხლავ...

წ → ტ: ს**წ**ავლობს → გურული, იმერული: ს**ტ**ავლობს; ს**წ**ორი → ს**ტ**ორი...

ბ) **აფრიკატი → სპირანტი**

ძ → ზ: ნი**ძ**ლავი → იმერული: ნი**ზ**ლავი; ტაძარი → იმერული: ტა**ზ**არი, მოი**ძ**ულე → იმერული: მოი**ზ**ულე...

ც → ს: **ც**ისკარი → ხევსურული: **ს**ისკარი; **ც**ხიმი → მოხეური: **ს**ხიმი...

წ → ზ: აი**წ**ევა → იმერული: ეი**ზ**ევა (ბ. ჯორბენაძე, 1997, გვ. 483...).

ამგვარი პროცესის არსებობის შესაძლებლობა ქართულში ერთი მხარეა ამ დაშვებისათვის; მეორე, რაც ამყარებს, ჩვენი აზრით, ამ ვარაუდს, არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართულში (და, საერთოდ, კავკასიურ ენებში) ამოსავალი იყო თანხმოვანთა რთული სისტემა:

გ. როგავას აზრით, „ქართველურ ენებში ფარინგალური ხშულებიც, როგორც საერთოდ ხშულები, უნდა ყოფილიყო ოთხეულებრივი სისტემისა“ (გ. როგავა, 1946, გვ. 6);

საერთო ქართველურში სისინ-შიშინა სპირანტთა და აფრიკატთა ორმაგ წყვილეულებს ვარადუობს ვაცლავ პოლაკი (ვ. პოლაკი, 1955, გვ. 77...).

სისინ-შიშინა ბგერათა უფრო რთულ სისტემას ვარაუდობენ ქართველურ ენათა ერთობის ხანისათვის კ. ჰ. შმიდტი (კ. შმიდტი, 1962) და გ. მაჭავარიანი (გ. მაჭავარიანი, 1965).

ისტორიულად **ლატერალების** არსებობას ვარაუდობს ქართულში ბელგიელი ენათმეცნიერი ვან-გინეკენი (ვან-გინეკენი, 1938)...

მართალია, ამ თვალსაზრისთაგან ზოგმა სერიოზული კრიტიკა

დაიმსახურა (იხ.: არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 74...), მაგრამ ეს არ არის ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანი, ჩვენი დაშვებისათვის, ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი... კერძოდ: S_2O_3 პრეფიქსები **ხ** და **ჰ** ისტორიულად არსებული რთული ბგერის რეფლექსები შეიძლება იყოს...

11.2. კითხვები S_2O_3-ის გამოხატვის გამო; „ძირითადი“ და „არაძირითადი“ წესი...

კითხვები, ცხადია, კვლავაც დარჩება; თუნდაც, მასალობრივად (და, ალბათ, გენეტურადაც) ერთი და იგივე პრეფიქსები რატომ გამოხატავენ მორფოლოგიურად ასე მკვეთრად განსხვავებულ ოდენობებს — II სუბიექტურ პირსა და III ობიექტურ პირს?

არნ. ჩიქობავას აზრით: „პიროვანი უღვლების თვალსაზრისით გაუგებარია და ახსნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე პრეფიქსი (ხ-, ჰ-) აღნიშნავს მეორე პირის სუბიექტსაც და მესამე პირის ობიექტსაც მიცემითში (თუ აქ ომონიმურ პრეფიქსებთან არ გვაქვს საქმე)...“ ეს ფაქტი „კლასოვანი უღვლილების გამოძახილი ჩანს“ (არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 181). ამ თემაზე მსჯელობის გაგრძელებას არ ვაპირებთ; ახსნა ფრიად საინტერესო გვეჩვენება, თუმცა კითხვის ნიშანი მაინც არ მოიხსნება...

არის ერთი არსებითი ხასიათის შეკითხვა; შეკითხვის წინაპირობა ასეთია:

როგორც პირველი, ისე მეორე და მესამე სუბიექტური პირების ნიშანთა გამოვლენა არაა დამოკიდებული, რომელი ბრუნვის ფორმითაა გამოხატული ესა თუ ის სუბიექტური პირი; ყველა შემთხვევაში პირის ნიშანი ერთგვარადაა წარმოდგენილი. საკითხი ასევე დგას I და II ობიექტური პირების შემთხვევაში — არ არის გარჩევა პირდაპირი და ირიბი ობიექტებისა გამოხატვის თვალსაზრისით. როგორც თვლიან, მხოლოდ მესამე ობიექტური პირის გამოხატვა არის განსხვავებული იმის მიხედვით, პირდაპირი ობიექტია თუ ირიბი.

ძველი ქართულისათვის განვიხილავთ სანნარევი ძეგლების ვითარებას; ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში ძირითადი წესი იგივეა, მაგრამ საანალიზო მასალის სიმცირეა. ამიტომ გვიჯობს სანნარევ პერიოდზე საუბარი. „მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი არის **ჰ** ან მისი ბგერანაცვალი, ე. ი. ხმოვნების წინ არაფერი (რადგანაც აქ **ჰ** დაკარგულია), კბილისმიერისა და ნუნისმიერი თანხმოვნების წინ არის **ხ**, მიღებული

ჱ-საგან. ეს თანხმოვნებია: ტდთ; წძც; ჭჯჩ“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 65).

„**მე-3 პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშანი**. გარდამავალი ზმნის პირდაპირ-ობიექტურ პირს II სერიის ფორმებში ნიშანი არა აქვს... I სერიაში კი პირდაპირ-ობიექტურ პირს შეიძლება ნიშანი ჰქონდეს გარკვეულ შემთხვევაში“ (ა. შანიძე, იქვე). ეს „გარკვეული შემთხვევები“ შემდეგ ზუსტდება: „საყურადღებოა, რომ პირდაპირი ობიექტი, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას II სერიის მწკრივთა ფორმებთან, თუ იგი მე-3 პირისაა, ზმნაში არ აისახება (იქ შეიძლება მისი რიცხვიც აისახოს). მაგრამ I სერიაში იგი აისახება ზმნისწინიან ფორმებში თითქმის ყველგან, უზმნისწინოში კი — არა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 91). ამ ზოგიერთ გამონაკლისზე ვისაუბრებთ, მაგრამ აქ რამდენიმე საინტერესო კითხვა დაისმის:

რატომ არ აისახება სახელობითში დასმული ობიექტი? არნ. ჩიქობავას აზრით, ამგვარ კითხვასაც შორეულ ისტორიულ წასრულში აქვს კვალი: „ამრიგად, ზმნაში მიცემითი ბრუნვის პირი აღინიშნება, მრავლობითობა — არა, სახელობითში თუა ობიექტი, მისი პირი არ აღინიშნება, მრავლობითობა კი აღინიშნება... ძველი ქართულის ეს თავისებურება კლასოვანი უღვლილების ცნობილ პრინციპს წარმოგვიდგენს: გარდამავალი ზმნა კლასოვანი უღვლილების ნორმების შესაბამისად მხოლოდ ობიექტს („უახლოეს ობიექტს“) ეთანხმება: ამ ობიექტის კლასსა და რიცხვს აღნიშნავს (სუბიექტის არც კლასი, არც რიცხვი გარდამავალი ზმნის ფორმებში არა ჩანს)“ (არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 182-183).

პირდაპირი ობიექტის გამოხატვა I სერიაში რატომაა დამოკიდებული ზმნისწინის მქონეობაზე, როცა საკითხი ასე არ დგას ირიბი ობიექტის მიმართ? სხვაგვარად რომ ვთქვათ: თუ პირდაპირი ობიექტი I სერიაში იმიტომ გამოისახება, რომ მიცემითშია, ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები რა შუაშია? თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ აწმყოსა და წყვეტილის პარადიგმებს ორპირიანი (მხოლოდ პირდაპიროობიექტური) და სამპირიანი (სადაც ირიბი ობიექტიცაა) ზმნებისათვის:

ორპირიანი		სამპირიანი	
ვ-წერ	და-ვ-ს-წერ	ვ-ს-ცემ	მი-ვ-ს-ცემ
ს-წერ	და-ს-წერ	ს-ცემ	მი-ს-ცემ
წერ-ს	და-ს-წერ-ს	ს-ცემ-ს	მი-ს-ცემ-ს

ვ-წერ-თ	და-ვ-ს-წერ-თ	ვ-ს-ცემ-თ	მი-ვ-ს-ცემ-თ
ს-წერ-თ	და-ს-წერ-თ	ს-ცემ-თ	მი-ს-ცემ-თ
წერ-ენ	და-ს-წერ-ენ	ს-ცემ-ენ	მი-ს-ცემ-ენ

ვ-სუამ	შე-ვ-ჰ-სუამ	ვ-ჰ-კითხავ
ჰ-სუამ	შე-ჰ-სუამ	ჰ-კითხავ
სუამ-ს	შე-ჰ-სუამ-ს	ჰ-კითხავ-ს

ვ-სუამ-თ	შე-ვ-ჰ-სუამ-თ	ვ-ჰ-კითხავ-თ
ჰ-სუამ-თ	შე-ჰ-სუამ-თ	ჰ-კითხავ-თ
სუმ-ენ	შე-ჰ-სუმ-ენ	ჰ-კითხვ-ენ

ამ მოვლენის გამო თ. უთურგაიძე წერს: „ძველ ქართულში მიცემითში დასმული ობიექტის მესამე პირი ყოველთვის გამოიხატებოდა. არა ჰქონდა მნიშვნელობა იმას, ობიექტი ირიბი იყო თუ პირდაპირი. აქედან კარგად ჩანს, რომ **ჱ** > **0** ფონემატურ ნიადაგზე დაწყებულა უზმნისწინო ფორმებში /ჰ/-ს ფონემატური შეუთავსებლობის გამო. ზმნისწინიან ფორმებში კი მას დაკარგვისაგან ზნისწინის ხმოვანი იცავდა გარკვეული დროის განმავლობაში“ (თ. უთურგაიძე, 1980, გვ. 21-22).

კითხვა მაინც ჩნდება: თუ პირის ნიშნის შენარჩუნება ორპირიანი ზმნების ზმნისწინიან ვარიანტში და, შესაბამისად, დაკარგვა უზმნისწინოებში ფონოლოგიური პროცესების შედეგია, იგივე პროცესები რატომ არ ხდება სამპირიან ზმნებში (ანუ სადაც გვაქვს ირიბი ობიექტი)? ეს წესი (მიცემითში დასმულ პირდაპირ ობიექტს ნიშანი აქვს ზმნისწინიან ფორმებში) მკაცრად არის გატარებული ხევსურულ დიალექტში, რომელშიც არაერთი არქაული მოვლენაა შემორჩენილი (ი. იმნაიშვილი, 1971, გვ. 139). ეს ფაქტი, ვფიქრობთ, კიდევ უფრო აქტუალურს ხდის დასმულ კითხვას: რა შუაშია ზმნისწინი?..

მით უმეტეს, არის ერთი ჯგუფი ორპირიანი გარდამავალი ზმნებისა, რომლებიც I სერიაში უზმნისწინო ფორმებშიც გამოავლენენ O_3-ის ნიშნებს: **ჱ**-გუემს, **ჱ-**პოვებს, **ს**-სტანჯავს, **ს**-ცნობს... ეს ის ზმნებია, რომლებიც არ დაირთავენ ზმნისწინს; არის ისეთი ზმნებიც, რომლებსაც მოეპოვებათ ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები და ორივე შემთხვევაში დაირთავენ O_3-ის ნიშანს: **ხ**-დევნის — წარ-**ხ**-დევნის, **ჱ**-გმობს — გან-**ჱ**-გმობს, **ხ**-ითხოვს — გამო-**ხ**-ითხოვს, **ჱ**-კურნებს — გან-**ჱ**-კურნებს, **ს**-ტკებნის — და-**ს**-ტკებნის, **ჱ**-ფარავს — და-**ჱ**-ფარავს, **ჱ**-ყოფს — გან-**ჱ**-ყოფს და სხვანი (ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, გვ. 42-43)...

აქ საუბრობენ „ძირითად წესზე“ და „გამონაკლისებზე“ და ძირითადი წესიდან გადახვევასა და ამ ფორმებს დიალექტური წარმოშობით ხსნიან („ერთ-ერთი ძველი დიალექტის შემონატანი უნდა იყოსო“ — ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, გვ. 46). საერთოდ, დიალექტური სახესხვაობით ახსნა მოვლენისა საინტერესოა, მაგრამ ზოგჯერ, როგორც ვთქვით, „დიალექტურობა“ „ანალოგიისა“ და „გამონაკლისის“ გვერდით დგება და „გაჭირვების ახსნას“ უფრო ჩამოჰგავს...

ნიშანდობლივია ისიც, რომ ყველა ამ შემთხვევაში II სერიის ფორმები პირის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი. ეს, თავისთავად, ადასტურებს იმას, რომ ობიექტის ბრუნვას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ **წერ-ს, ჰამ-ს** და **ჰ-ყოფს, ჰ-გვემს** ტიპის ფორმათა არსებობა მაინც ასახსნელია... რატომ არის „ყოვლად შეუძლებელი“ ჰკლავს ან მოკლავს, ჰმუსრავს ან შემუსრავს, სწერს ან დაწერს... (ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, გვ. 42), მაგრამ შესაძლებელია ჰ-გმობს და გან-ჰ-გმობს და მისთანანი... ეს რთულ კითხვად გვეჩვენება...

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ე. წ. „დაჰბადა“ ტიპის ზმნებიც. ეს ორპირიანი ზმნებია პირდაპირ ობიექტიანი, და არა მხოლოდ I სერიაში, II სერიაშიც დაირთავენ პირის ნიშნებს: და-ჰ-ბადა (მან იგი), აღ-ჰ-მართა და-ჰ-ფლა, და-ჰ-მარხა, და-ჰ-ნერგა, და-ჰ-ბეჭდა, და-ს-თესა, და-ჰ-ჴშა და სხვა, სულ ოციოდე ზმნა. ამ ზმნათა ისტორიის გათვალისწინებით მოვლენის ახსნა ხერხდება: „ეს ზმნები წარმოშობით სამპირიანებია, ამას ადასტურებს ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება მათგან — ვნებითი მათ **ე**-თი აქვთ ნაწარმოები, როგორც ჩვეულებრივ სამ-პირიან ზმნებს — და-ჰ-ბადა — და-ე-ბადა...“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 103). ე. ი. დაეკარგა ირიბი ობიექტი (და-ჰ-ბადა მან იგი *მას), ფორმა უცვლელი დარჩა და პირის ნიშანმა „მისამართი შეიცვალა“ — ზმნაში დარჩენილ პირდაპირ ობიექტს მიემართა; ეს არის არსებითი ცვლილება, რომელიც ამ ტიპის ზმნებმა განიცადეს; ასე რომ: და-ჰ-ბად-ა მან იგი — ჰ მიემართება პირდაპირ ობიექტს, თუმცა ისტორიულად მისი ნიშანი არ იყო. დღევანდელი ანალიზით პირდაპირი ობიექტის ნიშნად აღიქმება. თუმცა ეგეც კითხვის საგანია: თუ **ს**-ძინავ-ს ფორმაში **-ს** დაკარგული პირის ნიშნად გაიაზრება და არა „ზედმეტ“ პირის ნიშნად, რატომ არ ვთვლით **დაჰბადა** ტიპის ზმნებში **ჰ**-ს დაკარგული პირის ნიშნად და რატომ მივიჩნევთ ანალიზისას მას ზმნაში წარმოდგენილი ობიექტის ნიშნად?...

„შემდეგ და შემდეგ ზმნის შინაარსის შეცვლამ მხარი აუბა ფორმებსაც და ჰ და ს თანდათან გაქრა“ (ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, გვ.

61). შინაარსობრივი და ფორმობრივი ცვლილებების ურთიერთმიმართების თაობაზე „დაჰბადა“ ტიპის ზმნებში მომხდარი ცვლილებები უაღრესად საინტერესოა:

იყო: და-ჰ-ბად-ა მან იგი მას. მისი კონვერსიული ფორმაა და-ე-ბად-ა იგი მას.

შემდეგი ეტაპი — და-ჰბად-ა მან იგი (მასზედ — ირიბი ობიექტი იქცა უბრალო დამატებად და შემდეგ საერთოდ ქრება) კონვერსიული ფორმაა და-ე-ბადა იგი. მორფოლოგიურად შეუსაბამობაა: სახელობითში დასმულ პირს აქვს **ჰ-** პრეფიქსი; ერთპირიანი ვნებითი არის **ე**-ნიანი. შინაარსი და ფორმა აცდა ერთმანეთს. ხდება ფორმის მისადაგება შინაარსთან:

შემდეგი ეტაპი — დაბადა მან იგი; კონვერსიული ფორმაა და-**ი**-ბადა იგი. შინაარსსა და ფორმას შორის შესაბამისობა ზუსტია. შეიძლებოდა გვეფიქრა: და-ჰ-ბადა ტიპის ზმნებში **ჰ**-ს დაკარგვა იმ პერიოდის ფაქტია, როცა იწყება აღრევა ამ პრეფიქსთა (ჰ, ს) ხმარებაში და არა რაღაც კანონზომიერების გამოვლენა (შესაბამისობა ფორმასა და შინაარსს შორის); მაგრამ ვნებითის ფორმებში მომხდარი ცვლილება (დაებადა — დაიბადა) გვაფიქრებინებს, რომ აქ სწორედ ფორმისა და შინაარსის შესაბამისობის საკითხი დგას.

როგორც ვხედავთ, „სწორი ფორმების“ გვერდით „უსწორ-მასწორო ფორმებიც“ (ა. შანიძის ტერმინია) მრავლადაა; „ძირითადი წესის“ გვერდით არაერთი წესია გამონაკლისისა (დაჰბადა ტიპის ზმნათათვის; ჰყოფს ტიპის ზმნათათვის...). ამ რიგის ფაქტად მიიჩნევა **ქადაგებს** ტიპის ზმნებიც; ეს ის ჯგუფია ზმნებისა, რომელთაც ობიექტი მიცემითში აქვთ, მაგრამ პრეფიქსს არ დაირთავენ (ა. შანიძე, 1981, გვ. 189)...

ე. ი. „ძირითადი წესი“ ასეთია: „ძველ სალიტერატურო ქართულში მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი აუცილებლად მოეპოვება არა ყოველ ზმნას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც მიცემითის დამატებას მოითხოვს როგორც აწმყოში, ისე ნამყოსრულში“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 194); მერე განივრცობა „ძირითადი წესი“: და ისეთები, რომლებიც მიცემითის დამატებას მოითხოვს მხოლოდ აწმყოში და დაირთავენ ზმნისწინს (ა. შანიძე, 1976, გვ. 91); თუმცა მრავლად არის ისეთი შემთხვევები, როცა ეს წესი ირღვევა და „გამონაკლისებს“ თავისი წესი აქვს:

ა) უნდა იყოს პრეფიქსი და არ არის (ქადაგებს ტიპი);

ბ) არ უნდა იყოს პრეფიქსი და არის (ჰყოფს ტიპი);

გ) ისტორიულად ეძლევა გამართლება პრეფიქსის ქონას, მაგრამ სინქრონულად — არა (დაჰბადა ტიპი);

დ) „შერეული აწმყო“: „ზოგიერთი ზმნა აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კილოებში არც **ჰყოფს** ტიპის უღლებას მისდევს მთლად და არც **ქადაგებს** ტიპისას, არამედ ხან ერთს მიჰყვება და ხან მეორეს და ამიტომ ფორმები შერეული აქვს“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 191) (კაფა იგი — კაფს || ჰკაფს მას...)

მოგვიანებით ზ. სარჯველაძის კვლევა-ძიებამ ანომალიების შემთხვევები ძველი ქართულისათვის გაამრავლა... „ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: I. სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, S_2 ან O_3 პირების ნიშნები (**ჰ**-, ან **ს-**) უნდა იყოს, მაგრამ არაა. II. **ჰ**-ს ნაცვლად **ს**- არის დაწერილი ისეთ შემთხვევებში, სადაც **ჰ**- და **ს-** პრეფიქსთა განაწილების წესების მიხედვით **ჰ-** უნდა იყოს. III — „პირის ნიშანი“ ზედმეტადაა დაწერილი“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 383). ყოველი მათგანის მაგალითი მრავლადაა. ზედმეტ ნიშნებზე როცაა საუბარი, აქ ერთ საინტერესო შემთხვევასაც მივაქციოთ ყურადღება: არცთუ იშვიათია შემთხვევები „მრჩობლი პრეფიქსის“ ხმარებისა: **ჰ-ს-**თხოვო, მი-**ჰ-ს-**ცეს, **ჰ-ს-**დგეთ, **ჰ-ს-**ტირ, **ჰ-ს-**წუხდეთ... **ჰ-ს-**ცა (მაგალითები ლიტერატურიდანაა)... (გავიხსენებთ: S_2 ისევე იქცევა, როგორც O_3) და ეს მაგალითები „ძირითადი წესის“ გვერდით გვხვდება... ამ ტიპის ანომალიები იმითაცაა საინტერესო, რომ მოგვიანო პერიოდშიც (XIX საუკუნეშიც) გვხვდება...

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მისაღებია დასკვნა, რომელსაც ა. შანიძე გვთავაზობს: „აწმყოს წარმოების დროს ძველ სალიტერატურო ქართულს მესამე ობიექტური პრეფიქსის ხმარების საკითხში აკლია ის ერთსახეობა, მთლიანობა და გარკვეული სისტემა, რომელიც მას ნამყო სრულში ამშვენებს“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 195); და ეს ხდება იმიტომ, რომ ძველ ქართულში „მესამე ობიექტური პირის პრეფიქსის ხმარების საკითხში ორი დიალექტური მიმართულება ებრძვის ერთიმეორეს: ერთი მიისწაფვის, რომ აწმყოს წარმოების დროს შესრულებული იყოს ფორმალური მხარე, რომელიც გამომდინარეობს ზმნის სინტაქსური აგებულებისაგან, ე. ი. რომ აწმყოს უღლებაში ზმნას მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი გაუჩნდეს; მეორე მიმართულებას კი არა ჰსურს ყური ათხოვოს სინტაქსურ კონსტრუქციას და იმის ცდაშია, რომ ზმნას აწმყოშიც იგივე უღლების წესი შეუნარჩუნოს, რომელიც მას ნამყო სრულში ჰქონდა. ზოგი ზმნის უღლებაში ერთი მიმარ-

თულება იმარჯვებს, ზოგისაში — მეორე. და ზოგში კიდევ ხან ერთი მიმართულება იჩენს თავს და ხან — მეორე“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 180). მსჯელობა ლოგიკურია და საინტერესო, მაგრამ ზოგიერთი „გამონაკლისის“ წესის სახით წარმოდგენა უფრო ზუსტი ახსნის სურვილს ბადებს...

11.3. სისტემის რღვევა თუ ახალი სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა? ნორმა და რეალობა

ძველი ქართულის ვითარების გაცნობამ საკმაოდ რთული ზოგადი სურათი დაგვიხატა: S_2O_3-ის პრეფიქსების ხმარების თვალსაზრისით მძიმე ვითარებაა. რაც უფრო აქეთ მოვდივართ V საუკუნიდან, მით უფრო რთულდება ვითარება. საშუალი ქართულის მონაცემები არ იძლევა შესაძლებლობას, რაიმე ზოგადი კანონზომიერება დადგინდეს: ვითარება ა. შანიძემ ასე შეაფასა: „ჯერ კიდევ ძველ ქართულში დაიწყო გაუგებრობა და ფორმების არევა. ეს გაუგებრობა თანდათან იზრდებოდა და მატულობდა საშუალ ქართულში: აირია ხმოვნიანი და თანხმოვნიანი ფუძეები, წაიშალა ფორმალური განსხვავება ბრძანებითსა და თხრობითს შორის, ობიექტური პრეფიქსი გაჩნდა სახელობით დამატებიან ზმნებში და სხვანი, და სხვანი. ერთი სიტყვით, როცა ძველის მიერ ნაანდერძევ ქონებას საშუალი ქართულის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში კეთილშენაძენი მიემატა, ისეთი არევ-დარევა შეიქნა ფორმებისა, რომ ძნელი საქმე იყო მათი გამორკვევა და რაიმე სისტემით დალაგება“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 218).

ანტონ კათალიკოსმა სცადა (ამ სფეროშიც) აღრეული ვითარების დალაგება, წესის ფარგლებში მოქცევა, თუმცა მისი პარადიგმების მიხედვით ძნელია რაიმე კანონზომიერების დაჭერა. მიზანი ანტონისა კეთილშობილურია — წესი გაუჩინოს, სწორ კალაპოტში ჩააგდოს მდინარება მოვლენისა, მაგრამ შედეგი სავალალო მივიღეთ. „კათალიკოზისათვის ამ პრეფიქსს (ცალად **ჱ**-ს, ტყუბად **ჱს**-ს) წმინდა მორფოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს: **მისთვის იგი არც S_2-ია და არც O_3, არამედ რაღაც სამკაული, რომელიც საჭიროა ზმნის ფორმაში აკუსტიკური შთაბეჭდილების გასაძლიერებლად**“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 221). მაგრამ, როგორც მიუთითებენ, ანტონმა ეს საკითხი გაიტანა თეორიული კვლევა-ძიების ფარგლებიდან და პრაქტიკულ ნიადაგზე გადაიტანა. თავისი სამეცნიერო თუ საღვთისმეტყველო თხზულებათა წყალობით, ერთი მხრივ, და მისივე მიმდევრების მეშვეობით, მეორე მხრივ, ფართო ასპარეზი მოუპოვა თავის პოზიციას და საკმაოდ მძიმე

დაღი დაასვა სალიტერატურო ენის განვითარებას... თუმცა, მოდით ისიც ვთქვათ: ანტონამდე გეზი ამ სალიტერატურო ენის განვითარებისა უკვე გამრუდებული იყო, ვითარება აღრეული იყო S_2 O_3-ის ხმარებაში, ანტონმა ვერ შეძლო მისი შეჩერება და, შეიძლება რაღაც ოდენობით, დააჩქარა კიდეც ეს პროცესი.

ასეთი მძიმე მემკვიდრეობა მიიღო XIX საუკუნემ...

XX საუკუნეში შემუშავებული ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ვითარება თითქოს მოწესრიგდა. დადგინდა წესები. საკმაოდ კატეგორიულია მოთხოვნა — „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა დადასტურდეს შემდეგი წესი:

ა) არ იქნეს ხმარებული **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები II სუბიექტური პირის აღსანიშნავად;

ბ) იხმარებოდეს **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად“ (ნორმები, 1986, გვ. 193). წესი შემდეგ ზუსტდება: „**ჰ-** დატოვებულ იქნეს **გ, კ, ქ, ბ, პ, ფ, ყ** თანხმოვანთა წინ. **ს-** III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად ყველგან უნდა იხმარებოდეს (ე. ი. **დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ** თანხმოვანთა წინ)“ (იქვე, გვ. 194). წესები თითქოს ნათელია და მარტივიც; მაგრამ, როგორც ჩანს, ისეთი ზმნებიც აღმოჩნდა, ამ წესებში რომ ვერ მოთავსდა და დამატებით ითქვა: „რამდენიმე ზმნა თანამედროვე ქართულში ისეთი აგებულებისაა, რომ აქ დადგენილი წესების მიხედვით ამ ზმნებში პრეფიქსი **ს-** არ უნდა იხმარებოდეს. მიუხედავად ამისა, ამ ზმნებში **ს** პრეფიქსი უნდა დარჩეს, რამდენადაც **ს-** აქ ფუძესაა შეხორცებული“ (ნორმები, 1986, გვ. 202). საუბარია ზმნებზე გა-ს-ტანს, გა-ს-წევს, ა-ს-წევს, გამო-ს-ცემს, გა-ს-ცემს... ჯერ ერთი, ნათელი არ არის, რას ნიშნავს „ფუძესთან შეხორცება“: პირველი პირის ფორმაში თუ სახელზმნებში ის არ ჩანს (გამო-ვ-ცემ, გამო-ს-ცემ... გამო-ცემა, გამომ-ცემ-ელი...). მეორეც, არანაირი კრიტერიუმი არ არსებობს ამ ზმნათა ამოსაცნობად. მინიშნება — „ასეთი ზმნები ორთოგრაფიულ ლექსიკონშია შეტანილი“ — ვითარებას ვერ ამარტივებს. გამონაკლისები ახსნას არ ექვემდებარება.

ფაქტობრივ, რეალური ვითარება და წესი ერთმანეთს შორდება. ნორმად მიჩნეული ფორმები — შე-**გ-ს**-დავებივარ, შე-**გ-ს**-ცილებივარ, შე-**გ-ს**-ჭიდებივარ — არ არის რეალური ფორმები დღეისათვის. არა მგონია, საქმეს ამარტივებდეს დაზუსტება: „იმ შემთხვევაში, როცა ზმნის ფორმაში III ირიბობიექტურ პირთან ერთად I სუბიექტური პირია წარმოდგენილი, I სუბიექტური პირის ნიშნის **ვ-** პრეფიქსის შემ-

დეგ **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები შეიძლება არ იხმარებოდეს: **ჰ-** და **ს-** პრეფიქსიანი ფორმების გვერდით დარჩება უპრეფიქსო ფორმები“ (იქვე, გვ. 201) და წარმოდგენილ ფორმათა თანაბარუფლებიან ფორმებად ცხადდება: შევგებებივარ, გავპარვივარ, მოვფერებივარ... შევდავებივარ, შევცილებივარ, შევჭიდებივარ... ეს ფორმები რეალურია, პარალელური ნორმატური ფორმები კი — არარეალური... ეგ ერთი მხარეა...

მეორე და არსებითი: ძნელია დავასახელოთ მეორე ისეთი შემთხვევა, მასობრივ ხასიათს რომ იძენს ნორმის დარღვევა. მოვიყვანთ ერთ-ერთი კვლევის შედეგებს. კერძოდ ჟურნალ „ცისკრის“ 1968 წლის ნომერში გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით ჩატარებულ ანალიზს. მძიმე დასკვნაა: „ზმნებში ყველაზე მოუგვარებელი და ჭრელ-ჭრელი ფორმები პირის ნიშნებთანაა დაკავშირებული. მართალია, აქ მტკიცე წესები ნორმების სახით, სამწუხაროდ, არა გვაქვს, მაგრამ ყველაზე მარტივად ყველასთვის ადვილად გასაგები წესები მაინც უნდა დავიცვათ. ასე, მაგალითად, ყველამ კარგად იცის, რომ ერთპირიან ზმნებს მხოლოდ ერთი ნიშანი აქვს — სუბიექტისა, ობიექტის ნიშანი ერთპირიან ზმნებს არ შეიძლება ჰქონდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ ობიექტი არა აქვთ. ჟურნალში კი ამ საქმეში დიდი არევ-დარევაა: სადაც ნიშანი საჭიროა, ბევრგან არ წერენ, ხოლო სადაც საჭირო არაა, ასევე ბევრგან წერენ (ი. იმნაიშვილი, 1976, გვ. 207)... ვითარება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ძველ ქართულში იყო...

11.4. მწერლის ენობრივი თავისუფლება და SƷO3 ახალ ქართულში

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ა. შანიძე საშუალი ქართულის ვითარების განხილვის შემდეგ შენიშნავდა, რომ „საბოლოოდ ვერც ერთმა მიმართულებამ ვერ მოიკიდა ფეხი სალიტერატურო ენაში და დღესაც ერთად-ერთი საზომი ჰაესა და სანის ხმარების საკითხის გადასაჭრელად არის თვითეული მწერლის სურვილი და მოწონება: ვისაც როგორ მოსწონს, იმგვარად ხმარობს საუბარშიცა და წერაშიც“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 224). ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა (ნორმებიც დაწესდა!), მაგრამ შენიშვნა „თვითეული მწერლის სურვილი და მოწონება“ — ძალაში დარჩა.

და მაინც: არის კი ისე, ვისაც როგორ სურს და, მეორეც, რას ნიშნავს მწერლის, „სურვილი და მოწონება“?

ენობრივი ნორმა თუ ე. წ. „კეთილხმოვნების პრინციპი“?

შენიშვნა: პრაქტიკულ გრამატიკებში საუბრობდნენ ე. წ. „კეთილხმოვნების პრინციპის“ შესახებ. მაგალითად, ს. ხუნდაძე თვლიდა, რომ ჰ არ არის ორგანული ქართული ბგერა და მიუღებელია კეთილხმოვნების თვალსაზრისითაც... (ს. ხუნდაძე, 1901, გვ. 49). თ. უთურგაიძის აზრით, „ამ დებულების საფუძველია შემდეგი: (1) **ჰ** ქართულ სიტყვებში ან დაიკარგა, ან **ხ**-დ იქცაო (ჰაერი — აერი / ხაერი); (2) არაკეთილხმოვნების საფუძველი ის იყო, რომ ერთი მორფემის ფარგლებში **ჰ** სხვა თანხმოვნებთან კომბინაციაში არ შედის“ (თ. უთურგაიძე, 1980, გვ. 21).

რა განსაზღვრავს ე. წ. „კეთილხმოვნების პრინციპს?“ ეს არის ვითომ „მწერლის სურვილი და მოწონება?“ ეს მხოლოდ გემოვნების საკითხია თუ უფრო მეტი — **მწერლური ინტუიციის წყალობით დანახული ისეთი რამ, რაც შეიძლება ჩვენთვის ძნელი დასანახი იყოს?**

მაგალითად: რატომ სთხოვდა ვაჟა-ფშაველა თავის გამომცემლებს, **ჰ**-ს არ შეხებოდნენ?: „ამასთან გთხოვთ უმორჩილესად, ბგერა „ჰ“ დაიცვათ ჩემს ნაწერებში ისე, როგორც მე ვხმარობ“ (ვაჟა, ტ .X, გვ. 194).

ი. ჭავჭავაძის ავტოგრაფების შესწავლისას გაირკვა რომ მწერალი **ჰ**-სა და **ხ**-ს ზოგან ჩაამატებს, ზოგან ამოშლის და ფიქრობენ, რომ „ამ პრეფიქსთა ხმარების მხრივ ილიას ენაში რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნება“ (ზ. ჭუმბურიძე, 1994, გვ. 79)...

არაერთი ჩანაწერი აქვს მ. ჯავახიშვილს ამ თემაზე თავის ცნობილ „ბლოკნოტებში“; ხშირად აღიზიანებს კიდეც „მშრალი“ გრამატიკული წესები: „მარტო გრამატიკოსს ჯერ არსად შეუქმნია ენა. საჭიროა დიდი შემომქმედიც, ან დავდაპირველად შემომქმედი, რომელიც სანიმუშო დროშას ჰქსოვს ეპოქისათვის. და მებრძოლ ლაშქარსაც, ბედმა თუ განგებამ, უცებ მოუვლინა მედროშე“ (მ. ჯავახიშვილი, ტ. VI, გვ. 318).

აკაკი წერეთლის სახუმარო კომენტარიც გავიხსენოთ „ჰყვავის გურია“-ს მაგალითზე: ყვავების გურიაზეა საუბარი თუ აყვავებულ გურიაზეო (**ჰ**ყვავის თუ ყვავისო)...

ვრცლად მსჯელობს ამ თემაზე კ. გამსახურდია და ეს მაგალითიც იმისთვის გვჭირდება, რომ მწერლურ ხედვას ანგარიში უნდა გაეწიოს — ანუ მწერლის „სურვილსა და მოწონებას“.

კ. გამსახურდია: „აკადემიკოსი თოფურია კვლავ მტრულადაა განწყობილი „ჰ“ და „ს“-ს მიმართ... ჩვენი ლინგვისტები ამტკიცებენ, „ჰ“ ყრუა და ამიტომ აღარ გვესაჭიროებაო. ეს გახლავთ სმენის ამერაციის შედეგი სიტყვებში: „ჰქონდა“, „მიჰქრის“, სრულიად არაა ეს ასონიშანი ყრუ. მიქრის — ეს ხომ ღიმილის მომგვრელი სიტყვაა... იგივეა „ჰყვავის“ ნაცვლად „ყვავის“ რომ ითქვას... მე გაოცებული ვარ, რამ შეაძულათ ჩვენს ენათმეცნიერებს ჰაე... სავსებით გაუგებარია, რად შეიძულეს ასონიშანი **ს**ანი. „ჩანს“ — რა ქართულია; უცილოდ უნდა დაიწეროს „სჩანს“, „სწერს“ და არა „წერს“ (კ. გამსახურდია, 1967, გვ. 261).

ცხადია, მეცნიერული კამათი აქ წარმოდგენილი აზრების შესახებ შედეგს ვერ მოგვცემს. ჩვენ შეიძლება კითხვა დავსვათ: რატომ უჩნდებათ სურვილი მწერლებს, ეკამათონ ენათმეცნიერებს? ხომ არის საკითხები, რომლებშიც ისინი ეთანხმებიან ლინგვისტებს? აქ რა ხდება? რას ხედავენ მწერლები ამ ფორმებში (ჰყვავის, სჩანს...) ისეთს, რასაც ვერ ვამჩნევთ ენათმეცნიერები? რატომ მიაჩნიათ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში **ჰყვავის, სჩანს** და მისთანანია (ე. ი. არანორმატული) სწორი და არა, ასე ვთქვათ, ნორმატული (ყვავის, ჩანს...) ფორმები?

ხომ არ დადგა დრო, **ვისაუბროთ ჰ და ს პრეფიქსების რაღაც სხვა ფუნქციებზე** ამ ტიპის (ე. წ. არანორმატულ) ფორმებში?

ერთი კონკრეტული მაგალითი: ძველ ქართულში S_2 პირის ნიშანი ბრძანებითის ფორმებში არ გვქონდა:

თხრობითი:	და-ს-წერე ჰ-კითხე	ბრძანებითი:	და-წერე! კითხე!

და ეს იყო წესი.

თანამედროვე ქართულში ხშირ შემთხვევაში თუ თხრობითში S_2 **ჰ** ან **ს** დაკარგულია, ბრძანებითის ფორმებში ჩნდება:

არ **გასტყდეთ**, ქართვლის შვილებო! (გ. ლეონ.)
აღ-ს-დექ, საქართველოვ! (გ. ლეონ.)
გა-ს-წი, გა-ჰ-კურცხლე, ჩემო მერანო! (ნ. ბარათ.)
ნუ **ს-ტირი,** მშვენიერო! (ვ. ბარნ.)
ნუ **ს-ჩქარობ,** ყაფლან! (ბ. ბარნ.)
დროშა ქვეით **და-ს-წიე!** (მ. ჯავახ.)
არ **გა-ჰ-ბედო!** (მ. ჯავახ.)
ს-თქვით, **მიამბეთ**, რა მოხდა! (მ. ჯავახ.)
მიდი, **და-ჰ-კა**! (მ. ჯავახ.)
რატომ არის „**ადექი**.“, მაგრამ „**შე-ს-დექ!**“ და მისთანანი.

არ ჩანს შემთხვევითი ეს ფაქტები. აქ S_2 პირის ნიშანს დამატებითი ნიუანსი შემოაქვს, არა გრამატიკული, არამედ სტილისტური... თითქოსდა რაღაც ინტენსიური მოქმედება აისახება... ეს ფაქტი შესწავლას საჭიროებს... ვთქვათ, იმავე კ. გამსახურდიასთან, მ. ჯავახიშვილთან, ვ. ბარნოვთან, ო. ჩხეიძესთან ამ კუთხით აუცილებელიცაა საკითხის განხილვა... ჰ- და ს- პრეფიქსთა ფუნქციების რეინტერპრეტაცია ხდება. ეს არ ჩანს ახალი დაწყებული. ამ თვალსაზრისით უნდა გადაიხედოს ახალი ქართული ენის ძეგლები, დიალექტები. ამიტომ საუბარი იმის თაობაზე, რომ მწერალი არღვევს ენობრივ ნორმებს და უშვებს შეცდომებს, საფრთხილოა...

11.5. სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნები თანამედროვე ქართულ დიალექტებში

როგორც ვხედავთ, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მანძილზე სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის გამოხატვას სირთულე და პრობლემები ყოველთვის ახლდა. ეს სირთულე ვერ გაამარტივა სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენამ; თანამედროვე ქართულის ვითარება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ოდესმე იყო. მხედველობაში გვაქვს სალიტერატურო ენისა და დიალექტების ვითარება; განსაკუთრებით ამ უკანასკნელისა. ჩვენ შევეცადეთ საერთო სურათის დახატვას დიალექტოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით. მონაცემთა სიზუსტეზე, ცხადია, პასუხს ამ შემთხვევაში ამა თუ იმ დიალექტის მკვლევარი აგებს, ვის ნაშრომებსაც ვემყარებით.

ორგვარ ცხრილს წარმოვადგენთ: ერთში მოცემულია ვარიანტები S_2O_3 პრეფიქსებისა და მათი გავრცელების არე; მეორე ცხრილში ამ ვარიანტთა დამადასტურებელი მაგალითები მოგვყავს.

I სქემა:

	Ø	ჰ	ს	ზ	შ	ჟ	ხ	ღ	ჲ	ჲჰ	ჲს	ჲხ	ჲზ	ჲშ	ფ	ჰხ	ჰშ	ჰს
ქართლური	+	+	+	+	+		+		+	+	+							
კახური	+	+	+	+	+				+	+	+					+	+	+
ინგილოური:	+	+	+		+		+		+							+	+	+
ფერეიდნული	+	+	+															
ხევსურული	+	+	+	+	+	+	+	+										

მთიულური	+	+	+															
მოხეური	+	+	+	+	+		+	+							+	+		
თუშური	+	+	+	+	+	+	+	+										
ფშაური	+	+	+	+	+		+				+	+	+	+				
ჯავახური	+	+	+	+	+		+		+							+		
აჭარული	+	+	+		+	+	+									+	+	+
იმერული	+	+	+				+											
გურული	+	+	+				+											
ლეჩხუმური	+	+	+		+		+											
რაჭული	+	+	+				+											
კლარჯული	+	+	+															

II სქემა:

მაგალითები (ვასახელებთ რამდენიმე შემთხვევას ამა თუ იმ დიალექტიდან):

Ø	აკეთებ, აშენებ, უკეთებ, უშენებ... კითხა, მიწერა (იმერ.)
ჰ	გაჰყვა, მოჰკვდომია... ვჰფქოვდით (მოხ.) აჰტკივდა (აჭარ.)
ს	სძინავს, სწყდება, შესწევდა, გასთავებია..
ზ	მოვზჯარდით (ხევს.), ზდგები (კახ.), გადაზდისა (ქართლ.)
შ	მოშჭრა, გაშჭირებია (ქართლ.), შეშჭამთო (კახ.), გაშჩეხა (აჭარ.)
ჟ	ჟჯობნია, დაჟჯერდა (აჭარ.), ჟჯღვლემს (თუშ.), დაჟჯერდან (ხევს.)
ხ	დახფარავენ (ხევს.), დავხპატიჟე (მოხ.), ხპარავს, ხქონდა (თუშ.), ახკიდებს (აჭარ.)
ღ	წაღლალავს (ხევს.), გავღლესთ (მოხ.), ღნახიდი (თუშ.)
ჲ	წაჲბრძანდები, აჲდგები (კახ.), დაჲთანხმდა, დაჲკითხა (ქართლ.)
ჲჰ	აჲჰყვა, გაჲჰკრა (ქართლ.), ჩაჲჰყო (კახ.), დაჲჰფქავდენ (ფშ.)
ჲს	დაჲსწვდა, წაჲსწყვიტა (ქართლ.), დაჲსწვერთ (კახ.)
ჲხ	ჲხყავ, ჲხჴოცდენ, ჲხჴნავდა, გდაჲხყოლიყო (ფშ.)
ჲზ	გამაჲზძახს (ფშ.)
ჲშ	დაჲშჭყივლა, შაჲშჭამს, დაჲშჭრიდენ (ფშ.)
ჶ	გაჶფხეკ (← გაჰფხეკ) (მოხ.)
ჰს	მიჰსცა, ავჰსწონევით, ავჰსწიე (აჭარ.), მივჰსცემ (ინგ.)
ჰშ	შეჰშჭამდა, გაჰშჭრა, დაჰშჭირდება (აჭარ.), მოჰშჭრა (ინგ.)
ჰხ	ჩაჰხყვეს, მიჰხვდა (აჭარ.), ჰხყიდი, დაჰხხურა (ინგილ.)

სულ დადასტურებულია 18 ფონეტიკური ვარიანტი. ყველაზე მეტი კახურ დიალექტშია წარმოდგენილი (ცხადია, კილოკაური თვალსაზრისითაც არის სხვაობა, მაგრამ ჩვენ ამჯერად ამას ვერ გამოვედევნებით); ყველაზე ნაკლები ვარიანტი კლარჯულში გვაქვს (ესეც შეიძლება იმით

აიხსნეს, რომ ეს დიალექტი, თუ დიალექტთა ჯგუფი შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი).

ორიოდე შენიშვნა: **ჰ-** და **ს-** პრეფიქსების შემდეგ ყველაზე მეტ დიალექტში **ხ-** პრეფიქსია წარმოდგენილი (ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ **ხ-არ** და **ხ-ვალ / ხ-ვედ** ზმნებს — ხ- პრეფიქსი ამ ზმნებში ქართული ენის ისტორიის ყველა ეტაპზე დასტურდება). ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ამ შემთხვევაში **ხ-** ისეთივე ფონეტიკური პროცესების შედეგია, როგორც სხვა ვარიანტები. მთის დიალექტებისათვის ფონეტიკური პროცესების სქემას ბ. ჯორბენაძე ასე წარმოგვიდგენს (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 627, 629).

ჰ- → | ს- → შ- → ჟ
| ხ- → ღ-
| Ø

ბარის დიალექტებისათვის (კერძოდ, ქართლურისა და კახურისათვის)

ჰ- → | ჲ ‖ ჲჰ
| ს- → | ჲ- ‖ ჲჰ- ‖ ჲჰს-
| | ზ- ‖ ჲზ-
| | შ- ‖ ჲშ-
| Ø

სქემები არც ყველა ვარიანტს მოიცავს და არც ყველა პროცესს (თუმცა სრული სურათის შესახებ თუ ვიმსჯელებთ, სქემაში ადგილი ყველა ვარიანტს მოეძებნება), მაგრამ არსებითი ის არის, რომ მაწარმოებელთა სიმრავლე ფონეტიკურადაა შეპირობებული. პრინციპულად გაუმართლებლად მიგვაჩნია დაშვება იმისა, რომ **ხ** პრეფიქსი ამ სისტემაში ხანმეტობის დროინდელი ნაშთია (მ. მიქაუტაძე, 2009, გვ. 26).

და კიდევ: ძველი ქართულის ძეგლებში დასტურდება ორმაგი გამოხატვა პირისა. როგორც ჩანს, ეს ვარიანტიც ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე გვხვდება: საშუალ ქართულში საკმაოდ მრავლადაა; XIX საუკუნეშიც (ილიას ენაშიც) და, როგორც ვხედავთ, დღევანდელ დიალექტებშიც (ჰს, ჰშ, ჰხ). ის ფაქტი, რომ საშუალი ქართულის მონაცემი ორთოგრაფიის პრობლემად მოიაზრება, შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სწორედ დიალექტურმა მონაცემებმა: დიალექტებში დადასტურებული ორმაგი პრეფიქსები არ შეიძლება ჩაითვალოს ორთოგრაფიული აღრევის შედეგად...

დაბოლოს, სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის

ნიშნები მრავალ კითხვას აღძრავენ... საგანგებო კვლევაა საჭირო ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად...

§ 12. სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემა

12.1. ზოგადი სურათი

ჩვენ ვისაუბრეთ სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა შესახებ. ვითარება საკმაოდ რთული იყო. სირთულეს ძირითადად ამ აფიქსთა ფონეტიკური სახესხვაობები და მათი განაწილების საკითხი ქმნიდა... ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს სუბიექტური პირველი და პირველ-მეორე ობიექტური პირის ნიშნები... მაგრამ ფაქტია, ყველა მათ (სუბიექტურ I-II, ობიექტურ I-II-III პირთა ნიშნებს) გამოხატვის ერთი საერთო პრინციპი აქვთ — ისინი პრეფიქსებია და მათი გამოხატვა ძირითადად აგლუტინაციურ პრინციპს ემყარება (გარკვეულწილად თავისებურ ვითარებას ქმნის ობიექტური I პირი, განსაკუთრებით ძველ ქართულში, მაგრამ ამის თაობაზეც ბევრი თქმულა).

მთელ ამ სისტემაში (სუბიექტურ და ობიექტურ პირთა გამოხატვა მაქვს მხედველობაში) განსაკუთრებულ ვითარებას ქმნის სუბიექტური მესამე პირი: პირისა და რიცხვის ნიშნები სუფიქსებია და, მეორე, მხოლობით რიცხვში სხვა ნიშნები გვაქვს, მრავლობით რიცხვში — სხვა ნიშნები; გავიხსენოთ: I და II სუბიექტურ პირებში პირის ნიშანი ორივე რიცხვში ერთი და იგივეა; მრავლობითი რიცხვი ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე სუფიქსით გადმოიცემა: ვ-წერ და ვ-წერ-თ, ს-წერ და ს-წერ-თ...

სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემა ასეთ სურათს ქმნის ძველი ქართულისათვის:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
-ა	-ეს
-ო	-ენ
-ს	-ან
-ნ	-ნ
-დ	-ედ

ახალი ქართულის ვარიანტი უფრო მარტივია: არა გვაქვს მხოლობითში **-ნ, -დ** და მრავლობითში **-ედ** სუფიქსები; სამაგიეროდ გაჩნდა **-ნენ** სუფიქსი. „**-ნენ** იმდენად შეიძლება მთლიანად ჩაითვალოს მრავლობითი რიცხვის მე-3 პირის სუბიექტურ ნიშნად, რამდენადაც შიგ შემავალი პირველი **ნ** ვისამე ენაში მხოლოდ მე-3 პირში გვხვდება და იმავე რიცხვის 1-ლისა და მე-2 პირის ფორმებში კი — არა (ა. შანიძე, 1973, გვ.). ამ რთული სუფიქსის ჩამოყალიბება ჩვენ თვალწინ მოხდა: მეორე კომპონენტი **ნ-ენ** სუფიქსისა იგივე **-ენ** სუფიქსია, რომელიც მრავლობითის მაწარმოებელთა რიგშია; პირველი კომპონენტი (**ნ**) ხმოვანდაკარგული ვარიანტია ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითის **-ენ** ბოლოსართისა (**მოვკალ** მე იგი — მოვკლ-**ენ** მე იგინი). ცნობილი ფაქტია: როცა პირდაპირი ობიექტის მრავლობითის გამოხატვის საჭიროება აღარ იყო ქართულ ზმნაში, **-ენ** სუფიქსის ბედი ორი გზით წარიმართა:

ა) დასავლურ დიალექტებში ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის მოშლის შემდეგ -ენ (→ -ნ) სუფიქსი ქრება სამივე პირის ფორმიდან;

ბ) აღმოსავლურ დიალექტებში იგივე სუფიქსი ქრება I-II პირის ფორმებში; ხოლო III პირის ფორმაში მიუხორცდა მრავლობითობის -ენ სუფიქსს **ნ-ენ:**



ამ პროცესში საინტერესო ისიცაა, რომ პარადიგმის „სისწორის“ თვალსაზრისით წყვეტილის ნიშნის (-ე სუფიქსის) დაკარგვის პირობა მეორე შემთხვევაში არა გვაქვს:

გა-იზარდ-ა ← გა-იზარდ-ე-ა
და-იზარდ-ენ ← და-იზარდ-ე-ენ

აღმოსავლურ პარადიგმაში მესამე პირის ფორმა ძველი პარადიგმიდანაა აღებული, I-II პირის ფორმები — ახალი პარადიგმიდან. მივიღეთ, ასე ვთქვათ, შერეული პარადიგმა:

გა-ვ-იზარდ-ენ-ი-თ	**გა-ვ-იზარდ-ე-თ**
გა-იზარდ-ენ-ი-თ	**გა-იზარდ-ე-თ**
გა-იზარდ-ნ-ენ	გა-იზარდ-(ე)-ენ

ასე რომ, **ნენ** სუფიქსი სპეციფიკურ ვითარებას ქმნის. მის კომპონენტებზე საგანგებოდ ვიმსჯელებთ შესაბამის პარაგრაფებში, როცა S_3 ნიშანთა სისტემის ანალიზის დროს S_3 **-ენ** სუფიქსს განვიხილავთ...

ამგვარად, ძველი ქართული რთული სისტემა ახალ ქართულში ასეთ სახეს იღებს:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
ა	ეს
ო	ენ
ს	ან
	ნ

ჩვენ თვალს გავადევნებთ სისტემის გამარტივების გზას. მანამდე ორ საკითხს განვიხილავთ: რა მიმართებაა, ერთი მხრივ, მრავლობითის **ნ**არიან მაწარმოებლებსა და, მეორე მხრივ, ხმოვანსუფიქსებს (-ა, -ო) შორის.

12.2. მრავლობითის ნარიან მაწარმოებელთა ურთიერმიმართებისათვის

როგორც ვნახეთ, ქართულში სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის მაწარმოებელთაგან სამი აფიქსი **ნ**არის შემცველია: **-ენ, -ან, ნ.** რა მიმართებაა მათ შორის?

განსხვავებულ სუფიქსთაგან თითოეულს ხმარების გარკვეული არე აქვს; მათ განაწილებას ძირითადად ფონოლოგიური საფუძველი ედება: ა) **-ენ** სუფიქსი გვხვდება თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში: აკეთებ-**ენ**, მალავ-**ენ**... ბ) **-ნ** გვხვდება **ა, ე, ო** ხმოვნების მომდევნო პოზიციაში: მოკლა-**ნ**, გათბე-**ნ**, გააკეთო-**ნ**... გ) **-ან** სუფიქსი გვხვდება **ი** ხმოვნის (ეს **ი** ჩვეულებრივ ზმნური სუფიქსია) მომდევნო პოზიციაში: ტირ-ი-**ან**, მიდი-**ან**, იცი-**ან**... და ამ ნათელ განაწილებას ერთგვარად არღვევს ის შემთხვევა, როცა **-ან** სუფიქსი დაერთვის რამდენიმე სტატიკურ ზმნას: სხედ-**ან**, დგან-**ან**, დუმ-**ან**, წუხ-**ან**... ერთი შეხედვით განაწილების ფონოლოგიურ პრინციპს მორფოლოგიური „შეეშველება“...

როგორც ჩანს, ის ფაქტი, რომ თითოეული მაწარმოებელი გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში გამოვლინდება, გახდა საფუძველი

იმისა, რომ ისინი ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებად იქნა გააზრებული. **-ენ, -ან, -ნ** სუფიქსთაგან ამოსავლად **ე** ხმოვნიანი ვარიანტი მიიჩნევა. კერძოდ, ივარაუდება შემდეგი ფონეტიკური პროცესები:

-ა-ენ → **-ა-ნ:** მოკლ-ა-ენ → მოკლ-ა-ნ...
-ე-ენ → **-ე-ნ:** გათბ-ე-ენ → გათბ-ე-ნ...
-ო-ენ → **-ო-ნ:** დაწერ-ო-ენ → დაწერ-ო-ნ...

ანუ, ითვლება, რომ ხმოვანკოპლექსები **აე, ეე, ოე** გამარტივდა მეორე კომპონენტის ჩავარდნის გზით (ა. შანიძე, 1973, გვ. 433; ბ. ფოჩხუა, 1961, გვ. 60-62; ვ. თოფურია, 1953, გვ. 520). **ეე** → **ე** შემთხვევაში ხმოვანთა შერწყმასაც ვარაუდობენ (ბ. ფოჩხუა, 1961, გვ. 62).

ფონეტიკური პროცესის შედეგად **ენ**-ის სახეცვლილ ვარიანტად მიიჩნევა **-ან** სუფიქსიც: **ი-ენ** → **ი-ან** (მკი-ენ → მკი-ან) (გ. როგავა, 1968, გვ. 76).

არიან თუ არა **-ენ, -ან, -ნ** სუფიქსები ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტები; სხვაგვარად, მოქმედი ფონეტიკური პროცესის შედეგი და, საერთოდ, არის თუ არა შესაძლებელი ამგვარი ფონეტიკური პროცესები ზმნურ ფორმებში?

როგორ აღვნიშნეთ, **-ნ** სუფიქსი მიიჩნევა **-ენ** სუფიქსის ხმოვანდაკარგულ ვარიანტად: ენ → ნ. სუფიქსისეული ხმოვნის რედუქცია არაა უცხო ქართული ენისათვის (ა. შანიძე, 1957, გვ. 316), მაგრამ როცა საუბრობენ ამ პროცესზე, მიუთითებენ მომდევნო ხმოვანსუფიქსის გავლენაზე: მოკლ-ნ-ა ← მოკლ-ენ-ა... ასეა ეს როგორც ზმნებში, ისე სახელებში. ფუძისეულ (ან სუფიქსისეულ) და სუფიქსისეულ ხმოვანთა შეხვედრისას წარმოქმნილ ხმოვანთკომპლექსებში ფონეტიკურ პროცესთა სამი შემთხვევა გაირჩევა: ა) როცა იკარგება კომპლექსის პირველი კომპონენტი: ე-ა → ა (აკეთე-ა → აკეთ-ა); ბ) როცა ხმოვნები გაითიშება **ვ** თანხმოვნით ე-ა → ე-ვ-ა (ახე-ებ-ს → ახე-ვ-ებს)... და გ) წარმოიქმნება ხმოვანთკომპლექსი ყოველგვარი გამარტივებისა და ხმოვანთგამყარის გარეშე — აახლ**ო-ებ**-ს...

შენიშვნა: ახე-ვ-ებ-ს ტიპის ფორმებში **ვ**-ს რაობის შესახებ იხ. § 20.

ამგვარად, წარმოქმნილ ხმოვანთკოპლექსთა გამარტივება მომდევნო ხმოვნის დაკარგვის გზით არაა დამახასიათებელი ისტორიულად ქართულისათვის. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ფაქტები დადასტურებული არაა. ასეა ეს ამჟამადაც (გ. გოგოლაშვილი, 1987, გვ. 108).

შენიშვნა: სახელებში გვაქვს გამონაკლისი: ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეული **ი** იკარგება ფუძეუკანასკნელ სახელებთან. საკითხის სპეციალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ეს არის ერთადერთი შემთხვევა ფუძისეულ (resp. სუფიქსისეულ) და სუფიქსისეულ ხმოვანთა შეხვედრისას წარმოქმნილ კომპლექსებში მეორე წევრის ჩავარდნისა (გ. გოგოლაშვილი, 1987, გვ. 109). გამონაკლისი შემთხვევითი არ უნდა იყოს (არც რაიმე კანონზომიერების გამოვლენა) — **-ის, -ით** სუფიქსები რთული შედგენილობისაა, **ი** არ უნდა იყოს ორგანული ნაწილი **ს** და **თ** თანხმოვნებისა (არნ. ჩიქობავა, 1956). ვფიქრობთ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მომხდარ პროცესში.

ხმოვანთკომპლექსებში ფონეტიკური პროცესები საკმაოდ გავრცელებულია და რთულ სურათს ქმნის დღევანდელ ქართულ დიალექტებსა და ზანურში, მაგრამ ყველა შემთხვევაში კომპლექსის მეორე წევრი დაცულია — ფონეტიკური პროცესები მიმდინარეობს კომპლექსის პირველი კომპონენტის ცვლის ხარჯზე.

ყოველივე ზემოთქმული ეჭვქვეშ აყენებს **-ენ** სუფიქსისეული ხმოვნის დაკარგვის საკითხს ხმოვნის მომდევნო პოზიციაში. ამგვარი, დადასტურებული კანონზომიერების საწინააღმდეგო, პროცესის მოქმედების დასამტკიცებლად ერთი შემთხვევა არაა საკმარისი.

ჩვენ არ უარვყოფთ **-ნ** და **-ენ** სუფიქსებს შორის შესაძლო გენეტურ კავშირს; აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სხვაობა მათ შედგენილობას შორის არაა მომხდარი ზმნურ ფორმებში. ისინი არ წარმოადგენენ ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებს მათი ზმნურ აფიქსებად ჩამოყალიბების შემდეგ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ **-ან** სუფიქსი მიჩნეულია **-ენ**-ის ფონეტიკურ ვარიანტად. კერძოდ, **ი**-ს მომდევნო პოზიციაში **ე** დისიმილირდება და გვაძლევს **ა**-ს. ამავე დროს შენიშნავენ, რომ „**იე** კომპლექსის გადასვლა **ია**-ში პრინციპში იგივეა, რაც ქართულისათვის დამახასიათებელი **ეა** კომპლექსის გადასვლა **ია**-ში“ (გ. როგავა, 1968, გვ. 76). საკითხის ამგვარად დასმა სადავოა. **იე** → **ია** პროცესი რეგრესულ გავლენაზეა დამყარებული და ხდება ფართო ხმოვნის დავიწროება. ორივე ეს მოვლენა ბუნებრივია და კანონზომიერი ქართულისათვის (შ. ძიძიგური,

1946; გ. გოგოლაშვილი, 1974). **იე → ია** პროცესის დროს კი საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე — გავლენა პროგრესულია და ხდება ვიწრო ხმოვნის გაფართოება, რაც არაბუნებრივია ქართულისათვის. გამონაკლისის არსებობა მოქმედ ფონეტიკურ პროცესში დასაშვებია, მაგრამ ამჯერად არ ხერხდება ამ გამონაკლისის ახსნა, ვფიქრობთ, არცა გვაქვს საფუძველი მისი დაშვებისათვის.

იე → ია პროცესის არსებობის შესახებ სერიოზულ ეჭვს ბადებს აგრეთვე ისიც, რომ **-ან** სუფიქსი დასტურდება თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში და ეს ისეთ ზმნებთან, რომლებიც უძველესი ფორმაციის ზმნებადაა მიჩნეული: წ უ ხ -**ან,** დ უ მ **-ან...** თუ ეს შემთხვევა შეიძლება იმით აიხსნას, რომ ამ ტიპის ზმნებს **ი** სუფიქსი ჰქონდათ და ის იყო მიზეზი **ენ → ან** პროცესისა, იმავეს ვერ ვიტყვით დ გ ა ნ - **ან,** ყ ვ ა ნ - **ან...** ტიპის ფორმებზე, სადაც **ი** სუფიქსის არსებობა არც დადასტურებულია და არც თეორიულად სავარაუდო. საეჭვოა აგრეთვე ანალოგიის პროცესის დაშვებაც.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ **იე** კომპლექსი არ ჩანს არაბუნებრივი ქართულისათვის. ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებულია **იე** დაბოლოება სტატიკური ზმნების აწმყოსა და გარდამავალი ზმნების პირველ თურმეობითში: უ პ ყ რ **ი ე** ს, ჰ გ **ი ე** ს... დ ა უ წ ე რ **ი ე** ს, გ ა უ კ ე თ ე ბ **ი ე** ს... **იე** კომპლექსის **ია**-თი შეცვლა ახალ ქართულში (უ პ ყ რ **ი ა** , დ ა უ წ ე რ **ი ა** ...) არ ჩანს ფონეტიკური პროცესის შედეგი, არამედ აღნიშნულ ფორმათა წარმოების ტიპის შეცვლას უნდა უკავშირდებოდეს.

იე კომპლექსის ბუნებრიობას უნდა უჭერდეს მხარს ისიც, რომ **-ან** სუფიქსის ადგილს რიგ დიალექტში იჭერს **-ენ** სუფიქსი და წარმოიქმნება სწორედ ის კომპლექსი, რომლის გამარტივების შედეგად მიღებულადაც ივარაუდება **-ან** სუფიქსი: მ ო დ ი - ე ნ , ა რ ი - ე ნ , ტ ი რ ი - ე ნ , ყ ვ ი რ ი - ე ნ...

ამგვარად, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ **-ან** სუფიქსი არ არის **-ენ**-ის ფონეტიკური ვარიანტი, წარმოქმნილი მისი ზმნურ აფიქსად ჩამოყალიბების შემდეგ.

ყოველივე ეს კი გამორიცხავს **-ენ** სუფიქსის პირველადობას; იგი არაა ამოსავალი **-ან** და **-ნ** სუფიქსებისათვის ზმნურ ფორმებში.

-ენ სუფიქსის პირველადობის ერთ-ერთ საბუთად მიიჩნევა ზანურში დადასტურებული **-ან** სუფიქსი, რომელიც ითვლება ქართულის კანონზომიერ შესატყვისად. ამგვარი რამ დასაშვებია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ **-ან** ვარიანტი გვაქვს ქართულშიც, რო-

მელიც, ჩვენი აზრით, არ წარმოადგენს **-ენ**-ის ფონეტიკურ ვარიანტს და, თუ სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობის **-ეს** სუფიქსი ზანურში ქართულიდან შესულად ივარაუდება (ბ. ფოჩხუა, 1961, გვ. 60), ზანურში გვაქს **-ნ** სუფიქსიც, რომელიც ქართულის იდენტურია (შესატყვისობაზე საუბარი ამ შემთხვევაში ძნელია), რატომ არ შეიძლება ზანური **-ან** იგივე ქართული **-ან** სუფიქსი იყოს და არა **-ენ**-ის შესატყვისი?

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ **-ნ, -ენ**, **-ან** სუფიქსებს შორის არსებული ფონეტიკური სხვაობა არ უნდა იყოს მომხდარი ზმნურ ფორმებში. თუ მათ შორის გენეტიური კავშირი არსებობს (ვამბობთ „თუ“-ს, იმიტომ რომ ფუნქციური და მასალობრივი მსგავსება არ უნდა იყოს საკმარისი აფიქსთა გენეტური კავშირის სამტკიცებლად...), ფორმობრივი დიფერენციაცია ამ ელემენტთა ზმნურ აფიქსებად ჩამოყალიბებამდეა მომხდარი. ვარიანტთა განაწილება ზმნურ ფორმებში წარმოქმნილ ბგერათკომპლექსთა ბუნებრიობის მიხედვით უნდა იყოს მომხდარი.

12.3. -ა და -ო სუფიქსთა ურთიერთმიმართებისათვის

როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში **-ო** სუფიქსის გამოვლენა უშუალოდაა დაკავშირებული წყვეტილის წარმოებასთან, ამიტომ ამ სუფიქსის თაობაზე ძირითადად წყვეტილის წარმოებისას ვისაუბრებთ (აქვე, § 23, 24). თუმცა სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემის ანალიზისას მოგვიწევს ზოგიერთი მოსაზრების წინასწარ „გამეორება“ (უფრო დაწვრილებით იხილეთ § 23).

-ო სუფიქსი გვხვდება წყვეტილსა და მეორე თურმეობითში: აიღ-**ო,** აეღ-**ო**... ამ მწკრივებში S_3 პირს გამოხატავს აგრეთვე **-ა** სუფიქსი: დაწერ**ა**, დაეწერ**ა**... ე. ი. რომელ მწკრივშიც გვაქვს **-ო**, გვაქვს **-ა** სუფიქსიც. წესი პირუკუ არ მოქმედებს: **-ა** გვაქვს ახალ ქართულში აწმყოსა (თბებ-**ა**...) და უწყვეტელში (წერდ-**ა**...) როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში; სწორედ ესეცაა საფუძველი იმისა, რომ **ო** სუფიქსს გენეტურად აკავშირებენ **-ა**-სთან.

-ო სუფიქსის გამოვლენის შემთხვევათა ანალიზი მაგალითებს ორად დაგვაჯგუფებინებს: ერთი მხრივ, იყ**ო** (აგრეთვე დიალექტური ჩაიც**ო**, გამოართ**ო**...) ტიპის ფორმები და, მეორე მხრივ, აიღ**ო**, გაიგ**ო**, შეაქ**ო** ტიპის ფორმები. პირველ შემთხვევაში **ო** მოქმედი ფონეტიკური პროცესის შედეგი ჩანს:

ვ-ი-ყავ	ჩა-ვ-ი-ცვ-ი
ი-ყავ	ჩა-ი-ცვ-ი
ი-ყავ-ა → ი-ყო	ჩა-ი-ცვ-ა → ჩა-ი-ც-ო

ფაქტობრივ, აქ **ო**-ს გამოყოფა სუფიქსად არ შეიძლება: იგი ფუძისეული თანხმოვნისა და S_3 **-ა** სუფიქსის შერწყმის შედეგია...

სხვა ვითარებაა აიღ-**ო** ტიპის ფორმებში. ამ ტიპის ზმნათა შემთხვევაში **-ო** თავისთავადი სუფიქსია და მისი გამოვლენა არაა დაკავშირებული **ვ-ა** კომპლექსის არსებობასთან. სხვაგვარად: პირველ შემთხვევაში **ო** ფონეტიკური პროცესის პროდუქტია, მეორე შემთხვევაში — თავისთავადი, დამოუკიდებელი სუფიქსი.

-ო სუფიქსის გამოვლენას ქართულში (სალიტერატურო ენის განვითარების ყველა ეტაპზე) ორი პირობა განსაზღვრავს: ა) წყვეტილის საყრდენი ფუძე უნდა იყოს უმარცვლო და ბ) წყვეტილის მაწარმოებელი — **ე:**

ავი-**ლ-ე**	გავა-**თბ-ე**	დავა-**ტკბ-ე**
აი-**ლ-ე**	გაა-**თბ-ე**	დაა-**ტკბ-ე**
აი-**ლ-ო**	გაა-**თბ-ო**	დაა-**ტკბ-ო**

წესი უგამონაკლისოა. ყველა ე. წ. გამონაკლისი იხსნება (იხ. § 24).

ასე რომ, **-ო** ძველ ქართულში უკვე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სუფიქსად, **-ა** ბოლოსართის ტოლფასად. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ „**ო** მიღებული იყოს ვა/ვე/ჷა/ჷე-საგან უფრო ადრინდელ პერიოდში ან საერთო ქართველური ფუძე ენის დიფერენციაციამდე“ (ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1973, გვ. 76). **-ა**-ს და **-ო**-ს განაწილებას ფონოლოგიური საფუძველი აქვს.

აქედან გამომდინარე, S_3 პირის ნიშანთა სისტემაში მათ დამოუკიდებელი, თავისთავადი ადგილი უჭირავთ; თუმცა მის მეორეულობაზე საუბარი შესაძლებელია. ამიტომაც, ერთი მხრივ, სისტემის ისტორიის გათვალისწინება და, მეორე მხრივ, სისტემის წევრთა ურთიერთშესაბამისობა და განაწილების პრინციპი საშუალებას გვაძლევს, სქემა ასე წარმოვადგინოთ:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
ა, (ო)	ეს
ს	ენ, ან, ნ
ნ	ედ
დ	

12.4. S_3 პირის ნიშანთა განაწილება ძველ ქართულში

როგორ ნაწილდება ძველ ქართულში ამ უაღრესად რთული სისტემის წევრები; როგორია მხოლობითისა და მრავლობითის მაწარმოებელთა ურთიერმიმართება.

წარმოვადგენთ მაწარმოებელთა განაწილებას მწკრივთა მიხედვით — რომელ მწკრივებში გვხვდება ესა თუ ის მაწარმოებელი (იხ. ი. იმნაიშვილი, 1971, გვ. 159-160):

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი ს ა ფ ი ქ ს ე ბ ი

-ა — უწყვეტელში (წერდ-**ა**...)
წყვეტილში (და-წერ-**ა**...)
II თურმეობითში (და-ეწერ-**ა**...)

შენიშვნა: აწმყოში **-ა** სუფიქსი ახალი ქართულის ფაქტად მიიჩნევა, თუმცა სტატიკურ ზმნებში (გიპყრი**-ა**, სწერი-**ა**...) იგი „პირველად „სინურ მრავალთავში“ იჩენს თავს“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 415). მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ **ია** დაბოლოება გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში ჰაემეტ ტექსტებშიც დასტურდება, **-ა** სტატიკური ზმნების აწმყოშიც IX საუკუნეზე ადრინდელ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ: ცნობილი ფაქტია, რომ ქართული ენის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე (დღევანდელი დიალექტების ჩათვლით), როგორიც არის დაბოლოება გარდამავალ ზმნათა I თურმეობითისა, ისეთივეა სტატიკურ ზმნათა აწმყოშიც (და პირიქით). და კიდევ, **ია** დაბოლოება თუ ძნელად აღწევს სალიტერატურო ქართულში, არ ნიშნავს, რომ იგი გვიანდელია... ჩვენ არ ვდავობთ, რომ **იე**-ს დაბოლოება წინა საფეხურია, **-ია** — მომდევნო, მაგრამ, ვფიქრობთ, როცა ვსაუბრობთ **-ა** სუფიქსის თაობაზე, უნდა ითქვას, რომ იგი აწმყოშიც გამოიყენება ძველ ქართულში...

-ო წ ყ ვ ე ტ ი ლ შ ი (განაღ-**ო**...)
II თ უ რ მ ე ო ბ ი თ შ ი (განეღ-**ო**...)

-ს ა წ მ ყ ო შ ი (წერ-**ს**... იწერები-**ს**... მასმიე-**ს**...)
I კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ შ ი (წერდე-**ს**... ტიროდე-**ს**...)

I ხოლმეობითში (წერდი-**ს**... ტიროდი-**ს**...)
II ხოლმეობითში (დაწერი-**ს**...)
II კავშირებითში (დაწერო-**ს**...)
შერეულ კავშირ. (მისცოდი-**ს**...)
I თურმეობითში (დაუწერიე-**ს**...)
II ხოლმეობითში (ებრძანი-**ს**...)
III კავშირებითში (დაეწერო-**ს**...)

შენიშვნა: ავტორი ჩვეულებრივ **წერა** ზმნის პარადიგმას წარმოადგენს, მაგრამ იშვიათად ხმარებული მწკრივების შემთხვევაში იმ ფორმას მოიხმობს, რომელიც ტექსტებში დასტურდება.

-ნ — აწმყოში (წერ-**ნ**...)

შენიშვნა: ვთქვით, რომ ვემყარებით ი. იმნაიშვილის ნაშრომს, სადაც მსგავსი ფორმები აწმყოს ხოლმეობითადაა მიჩნეული; შესაბამისად, მისი აზრით, **-ნ** აწმყოში არ გვხვდება; იგივე ითქმის I და II ბრძანებითებზეც, რომელთაც ჩვენ თანმიმდევრულად უწყვეტლისა და წყვეტილის ფორმებად მივიჩნევთ (იხ. აქვე § 6.2.).

უწყვეტელში (წერდი-**ნ**...)
წყვეტილში (დაწერე-**ნ**...)
II ხოლმეობითში (ითქჳ-**ნ**, იყვი-**ნ**... ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 406).
I თურმეობითში (შეგირაცხიე-**ნ**...)

-დ — აწმყოში (ჰნთიე-**დ**...)
უწყვეტელში (ითქუმოდე-**დ**, იტყოდე-**დ**, იქმნებოდე-**დ** (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 396).
I კავშირებითში — (ემაგალითებოდე-**დ**, ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 396).
წყვეტილში — (ჭამე-**დ**, გამოიღე-**დ**...) (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 397)
II კავშირებითში — (დადუმნე-**დ**, განჳდე-**დ**... ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 397).
I თურმეობითში (წარუგდებიე-**დ**...)

მრავლობითი რიცხვის აფიქსები

-ეს	უწყვეტილში	(წერდ-**ეს**...)
	წყვეტილში	(დაწერ-**ეს**... წარვიდ-**ეს**...)
	II თურმეობითში	(დაეწერნ-**ეს**...)
-ენ	აწმყოში	(წერ-**ენ**...)
	I თურმეობითში	(შეუპყრი-**ენ**... ფაქტს აღნიშნავს ა. არაბული, 1984(2), გვ. 54)
-ან	აწმყოში	(თხრი-**ან**... იწერები-**ან**... ჰგი-**ან**...)
	I ხოლმეობითში	(წერდი-**ან**... იწერებოდი-**ან**...)
	I კავშირებითში	(იწერებოდი-**ან**...)
	II ხოლმეობითში	(დაწერი-**ან**...)
	II კავშირებითში	(უწოდი-**ან**...)
	შერ. კავშირ.	(მისცოდი-**ან**...)
	I თურმეობითში	(დაუწერი-**ან**...)
	III ხოლმეობითში	(მოესრნი-**ან**...)
-ნ	I კავშირებითში	(წერდე-**ნ**...)
	II კავშირებითში	(დაწეროო-**ნ**...)
	III კავშირებითში	(დაეწერნე-**ნ**...)
-ედ	აწმყო	(წერ-**ედ**...)
	უწყვეტელში	(წერდ-**ედ**...)
	I ხოლმეობითში	(სცვიდი-**ედ** — იშვიათად...)
	წყვეტილში	(დაწერ-**ედ**...)
	II ხოლმეობითში	(მოვიდი-**ედ**...)
	I თურმეობითში	(შეგირაცხი-**ედ**... წარუტაცები-**ედ**... ფაქტს აღნიშნავს ა. არაბული; იხ.: ა. არაბული, 1984(2), გვ. 53).

ვითარება საკმაოდ რთულია. ეს სირთულე კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ დავალაგებთ მწკრივთა მიხედვით:

	მხ. რიცხვი					მრ. რიცხვი				
აწმყო	(-**ა**),		-ს,	-ნ	-დ		-ენ,	-ან,		-ედ
უწყვეტელი	-ა			-ნ	-დ	-ეს				-ედ
I ხოლმეობითი			-ს					-ან		-ედ

I კავშირებითი			-ს		-დ			-ან	-ნ	
წყვეტილი	-ა,	-ო		-ნ	-დ	-ეს				-ედ
II ხოლმეობითი			-ს	-ნ				-ან		-ედ
II კავშირებითი			-ს		-დ			-ან	-ნ	
შერეული კავშ.			-ს					-ან		
I თურმეობითი			-ს	-ნ	-დ		-ენ,	-ან		-ედ
II თურმეობითი	-ა,	-ო				-ეს				
III ხოლმეობითი			-ს					-ან		
III კავშირებითი			-ს						-ნ	

12.5. ისევ კითხვები და შენიშვნები

ამ სქემებიდან, ერთი შეხედვით, ბევრი რამ არის საყურადღებო.

ჯერ ერთი: უცნაურია და ახსნას საჭიროებს, რატომაა ერთ სისტემაში, ერთი მხრივ, ოდენხმოვნიანი და, მეორე მხრივ, ოდენთანხმოვნიანი სუფიქსები:

ა(ო) — ს, ნ, დ

მეორეც: როგორ უნდა აიხსნას ოდენთანხმოვნიანი (მხოლობითში) და თანხმოვნისშემცველი (მრავლობითში) სუფიქსების ურთიერთმიმართება (და საერთოდ, თუ შეიძლება ამ მიმართებაზე საუბარი და რა კუთხით):

ს — ეს
ნ — ენ
დ — ედ

ეს მიმართებაც ხომ არ იქნება დამატებითი არგუმენტი **-ენ** სუფიქსის პირველადობისა **ნ**არიან მაწარმოებელთა შორის (თუკი ისინი გენეტურად ერთმანეთს უკავშირდებიან)... ყოველ შემთხვევაში, მრავლობითობის **-ან** და **-ნ** განცალკევებით დგას... თუკი ამ მიმართების საკითხი შეიძლება დაისვას, რა სახის მიმართებაა?.. თუკი მათი გენეტური კავშირის საკითხის დასმა შეიძლება (მასალობრივი მსგავსება ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ მათი გენეტური იგივეობა), რა არის საფუძველი რიცხვის მიხედვით მათი ასეთი გადანაწილებისა: ოდენთანხმოვნიანი მხოლობითში, ხმოვანი და თანხმოვანი — მრავლობითში...

ყოველ შემთხვევაში, თითქოსდა გამოკვეთილი პოზიცია (ფუნქციები) უჩანს მხოლობითში **ა** (ო) და მრავლობითში **ეს** სუფიქსებს: გვხვდება უწყვეტელსა და წყვეტილში.

შენიშვნა: 1. ეს მაწარმოებლები გვხვდება II თურმეობითშიც, მაგრამ რამდენადაც II თურმეობითი „ნაწარმოებია რო-

გორც სტატიკური ვნებითის წყვეტილი, ე. ი. ენით, ფორმა მთლიანად ემთხვევა დინამიკური ვნებითის ორპირიანი ზმნის წყვეტილს, ენით ნაწარმოებს და იზიარებს ყველა მის თავისებურებას“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 438); ამდენად ფორმაწარმოების საკითხებზე მსჯელობისას ცალკე II თურმეობითზე აღარ ვსაუბრობთ.

2. **-ო** გვხვდება წყვეტილში (წინა შენიშვნის გამო ასე ვამბობთ) და, როგორც ითქვა, **-ა**-სა და **-ო**-ს განაწილებას ფონოლოგიური საფუძველი აქვს. ვიმეორებთ, არ გამოვრიცხავთ **-ა**-ს პირველადობას. სწორედ ეს ამოსავალი ვითარება უნდა იყოს დაცული ხევსურულში (მოხეურსა და ინგილოურშიც ნაწილობრივ): **-ო** სუფიქსი S_3 პირის ნიშნად არ დასტურდება — ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში **-ა** გვაქვს (იხ. აქვე, § 23).

ვფიქრობთ, სინამდვილეს არ შეეფერება ძველი ქართულისათვის S_3 პირისა და რიცხვის ნიშანთა გადანაწილების საფუძვლად მორფოლოგიური ფაქტორის დასახელება: „პირის მორფემის ალომორფთა განაწილება შეპირობებულია არა ფონოლოგიურად, არამედ — მორფოლოგიურად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღნიშნულ ალომორფთა გამოვლენას განაპირობებს არა ფონოლოგიური გარემოცვა, არამედ რომელიმე მორფოლოგიური კატეგორია (მწკრივი, კილო, გვარი...)“ (ა. ონიანი, 1978, გვ. 170). მიდგომა ერთგვარია ძველი და ახალი ქართულის სისტემისადმი: „ფაქტობრივ, ასეთივეა ვითარება ძველ ქართულშიც: S_3 მორფემის **/-ს/**, **/-ა/**, **/-ო/**, **/-ნ/**, **/-დ/** ალომორფების განაწილება მორფოლოგიურ პრინციპს ემყარება“ (იქვე). ამ თვალსაზრისს იზიარებს ლ. ბარამიძე (იხ. ლ. ბარამიძე, 2008, გვ. 90).

სწორედ ამის გამოა, რომ ამ ალომორფებს მკვლევარი აკავშირებს იმ ზმნურ კატეგორიებთან, რომლებიც, მისი აზრით, არის საფუძველი ალომორფთა განაწილებისა.

დავხედოთ სქემას და გავითვალისწინოთ: ერთი მხრივ, **-ა** და **-ო,** ხოლო, მეორე მხრივ, **-ენ, -ან, -ნ** სუფიქსთა განაწილებას ეძებნება ფონოლოგიური საფუძველი (ამის თაობაზე ითქვა); ვფიქრობთ, მათი განაწილებისათვის არაა საჭირო მორფოლოგიური საფუძვლის ძიება; საერთოდ, II სერიაში **-ა** და **-ო** სუფიქსთა გამოვლენის დაკავშირება I სერიაში გამოყენებულ თემის ნიშნებთან, ასევე შეცდომა გვგონია (იხ.

ა. ონიანი, იქვე). სხვა შემთხვევაში ვითარება რთულია: **-დ** სუფიქსი, მართალია, იშვიათად გამოიყენება, მაგრამ გვხვდება აწმყოში, უწყვეტელში, I კავშირებითში, წყვეტილში, II კავშირებითში, I თურმეობითში; მის გამოვლენას, დღემდე ცნობილი შეხედულებების მიხედვით, რაიმე მორფოლოგიური ან ფონოლოგიური საფუძველი არ გააჩნია.

ის ფაქტი, რომ **-ს** გვხვდება კავშირებითში, არ შეიძლება მისი კავშირებითობასთან დაკავშირება; შდრ.: **-ს** „ისტორიულად კავშირებითის მორფემის შემადგენელი ელემენტი იყო, მისი S_3 მორფემის წარმომადგენლად ქცევა კი შედარებით გვიანდელი მოვლენაა“ (ა. ონიანი, 1978, გვ. 172). საკითხის ასე დასმა არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ იგივე **-ს** არის ძველ ქართულში ერთადერთი მაწარმოებელი ხოლმეობითებისა, აწმყოსი და I თურმეობითისა... რატომ ეძლევა უპირატესობა კავშირებითებს, არ ჩანს...

-ს / -ნ / -დ სუფიქსებს შორის მორფოლოგიური თვალსაზრისით (განაწილებას ვგულისხმობ) რომ სხვაობა არაა, ამას ისიც ადასტურებს, რომ „ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციებმა შეიძლება სამივე ვარიანტი გვიჩვენოს: და რაჟამს განქარდის, არა აჳსოვნ, რაჲ **უქმნიედ** (აპოკრ. 37, 23. **Ѳ**); LD: **უქმნიეს;** F: **უქმნიენ.** იგივე ფორმანტები მონაცვლეობენ სტატიკურ ზმნათა აწმყოს III პირში...“ (ა. არაბული, 1984(2), გვ. 52).

შექმნილი ვითარება უბიძგებს ენას, მოხდეს, ერთი მხრივ, მორფოლოგიურად იდენტურ აფიქსთა სისტემის გამარტივება და, მეორე მხრივ, სინონიმურ აფიქსთა ფუნქციური გადანაწილება.

მხოლობითისა და მრავლობითის სუფიქსები დაწყვილდნენ:

-ა (-ო)	—	-ეს
-ს	—	-ენ, -ან, -ნ
-ნ	—	-ედ

სისტემის გამარტივება იწყება **-დ** სუფიქსის დაკარგვის ხარჯზე; მას მეწყვილე არა აქვს. ამ ეტაპზე ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება **-ნ — -ედ** სუფიქსთა დაწყვილება: ეს სუფიქსები, სხვა სუფიქსთა პარალელურად, გამოიყენებოდა სხვადასხვა მწკრივში:

-ნ — აწმყოში, უწყვეტელში, წყვეტილში, II ხოლმეობითსა და I თურმეობითში;

-ედ — აწმყოში, უწყვეტელში, I ხოლმეობითში, წყვეტილში, II ხოლმეობითში, II კავშირებითში, I თურმეობითში;

ამ მწკრივთაგან აწმყო, უწყვეტელი და წყვეტილი დროისა და კილოს თვალსაზრისით პოლიფუნქციური მწკრივებია: **აწმყოს** მწკრივს დროული თვალსაზრისით შეუძლია გამოხატოს როგორც კონკრეტული აწმყო (ახლანდელი დრო), ისე ზოგადი აწმყო (აწმყო ჩვეულებითი) — დაცლილი კონკრეტული დროული მნიშვნელობისაგან. უწყვეტელსა და წყვეტილს შეუძლია გადმოსცენ როგორც თხრობითი კილო, ისე — ბრძანებითი. სხვა მწკრივები, სადაც **-ნ** და **-ედ** სუფიქსები გვხვდება, დრო-კილოს თვალსაზრისით მონოფუნქციურია. ენამ გამოიყენა ფორმობრივი პარალელიზმის შემთხვევები და დროისა თუ კილოს განსხვავებულ ფუნქციებს განსხვავებული ფორმები მიუსადაგა; აწმყოს შემთხვევაში განასხვავა კონკრეტული და ზოგადი აწმყო:

კონკრეტული აწმყო	**ზოგადი აწმყო**
წერ-**ს** იგი	წერ-**ნ** იგი
წერ-**ენ** იგინი	წერ-**ედ** იგინი

მეორე რიგის ფორმებს აწმყოს ხოლმეობითი უწოდეს და დამოუკიდებელ მწკრივად აღიარეს... რამდენადაც ფორმობრივი პარალელიზმი გვქონდა მხოლოდ III სუბიექტურ პირში, ამდენად I-II პირის ფორმები (ვ-წერ, ს-წერ...) იტვირთავდნენ როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი აწმყოს გადმოცემას. და ამიტომაცაა, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი ე. წ. აწმყოს ხოლმეობითს პირნაკლ მწკრივად მიიჩნევს (I-II სუბიექტურ პირს საკუთარი ფორმა არა აქვსო), მეორე ნაწილი სრულ პარადიგმას წარმოადგენს — I-II პირის ფორმები ემთხვევა აწმყოსას (ამის თაობაზე ვრცლად იხ. აქვე, § 6.2.).

აწმყო	**„აწმყოს ხოლმეობითი“**
ვ-წერ	ვ-წერ
ს-წერ	ს-წერ
წერ-ს	**წერ-ნ**
ვ-წერ-თ	ვ-წერ-თ
ს-წერ-თ	ს-წერ-თ
წერ-ენ	**წერ-ედ**

როგორც ითქვა (§ 6), ესაა ერთი მწკრივის პარადიგმა, სადაც ფორმობრივი პარალელიზმი III პირში გამოყენებული იქნა ფუნქციური სხვაობის აღსანიშნავად.

წერ-ნ / წერ-ედ ფორმათათვის ხოლმეობითის ფუნქციის მინიჭება რომ მეორეულია, ისიც მიანიშნებს, რომ ამავე ფუნქციას წარმატებით ითავსებს **წერს / წერენ** ფორმები; „აწმყო გვაქვს იქ, სადაც კონტექსტის მიხედვით აწმყოს ხოლმეობითია მოსალოდნელი“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 427 და შმდ.); საკითხი ვრცლად განიხილება, მაგრამ თითქოს არა ჩანს ისეთი შემთხვევები, როცა **წერნ / წერედ** ფორმები კონკრეტული აწმყოს მნიშვნელობით გამოიყენებოდეს... ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ უკანასკნელ ფორმათათვის ხოლმეობითის გამოხატვა გვიანდელი ფუნქცია ჩანს...

საკითხი მსგავსადვე დაისმის უწყვეტლისა და წყვეტილის პარალელურ ფორმათა შესახებ. უწყვეტელი და წყვეტილი ჩვეულებრივ თხრობითი კილოს გამომხატველი მწკრივებია. ეს მწკრივები გამოიყენება წართქმითი ბრძანებითების გადმოსაცემად; ამ შემთხვევაშიც ენამ გამოიყენა ფორმობრივი პარალელიზმის შემთხვევა პირთა გამოხატვაში და ასე განასხვავა თხრობითი და ბრძანებითი ფორმები.

თხრობითი	**ბრძანებითი**
ვ-წერ-დ-(ი)	—
ს-წერ-დ(ი)	წერდ-(ი)
წერდ**-ა**	წერდ-ი-**ნ**
ვ-წერდ-ი-თ	—
ს-წერდ-ი-თ	წერდ-ი-თ
წერდ**-ეს**	წერდ**-ედ**

II პირში ვარიანტები — ს-/Ø-
III პირში ვარიანტები — -ა/-ნ, -ეს/-ედ
ასევეა წყვეტილის შემთხვევაშიც:

თხრობითი	**ბრძანებითი**
ვ-წერ-ე	—
ს-წერ-ე	წერე
წერ**-ა**	წერე-**ნ**
ვ-წერე-თ	—
ს-წერე-თ	წერე-თ
წერ**-ეს**	წერ**-ედ**

ცხადია, არც ამ შემთხვევაში შეიძლება მეორე რიგის პარადიგმათა დამოუკიდებელ მწკრივებად მიჩნევა (იხ. § 6).

როგორც ჩანს, ამგვარი გადანაწილება ფუნქციებისა დაიწყო ძველი ქართული ენის ადრეულ საფეხურზევე — V-VIII ს.ს.-ში, მაგრამ სისტემის გამარტივების ტენდენცია უფრო ძლიერი აღმოჩნდა და **-ნ** — **-ედ** წყვილი ასპარეზიდან გადის. ეს პროცესი იწყება ძველი ქართული ენის გვიანდელ საფეხურზე; შესაბამისად ქრება ე. წ. აწმყოს ხოლმეობითი და ე. წ. ბრძანებითები...

სისტემა ასეთ სახეს იღებს:

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
-ა (-ო)	-ეს
-ს	-ენ, -ან, -ნ

ფაქტობრივ, მხოლობითში თანხმოვანსუფიქსთაგან გაბატონდა **-ს.** მრავლობითში ასეთივე მიდრეკილებას იჩენს **ნ**არიანი მაწარმოებლები: ძველი ქართულიდან მოყოლებული **-ეს** სუფიქსის გამოყენების არე ვიწროვდება:

თუ ძველ ქართულში **-ეს** გამოხატავდა S_3 პირის მრავლობითობას უწყვეტელსა და წყვეტილში, ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტების უმრავლესობაში **-ეს** სუფიქსი გამოიყენება მხოლოდ წყვეტილში და ისიც ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებში (მოქმედებითი და საშუალ-მოქმედებითი გვარისა): მათ გააკეთ-ეს, ითამაშ-ეს, იმეფ-ეს... ბრუნვაუცვლელსუბიექტიან ზმნებში **ნ**არიანი მაწარმოებელი იჭერს მის ადგილს: ისინი მოვიდ-ენ/ნენ, გაიზარდ-ენ/ნენ... ტენდენცია აშკარად გამოკვეთილია: **-ეს** ადგილს უთმობს **ნ**არიან მაწარმოებლებს. ეს ტენდენცია დასრულებულ სახეს იღებს ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (ქვემოიმერულში, გურულში...): წყვეტილში ყველა ტიპის ზმნასთან სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვს **-ენ** სუფიქსი გამოხატავს: მათ გააკეთ-**ენ**, დაწერ-**ენ**... ისინი მევიდ**-ენ**, გეიზარდ-**ენ**...

ანუ, ძველი ქართულის ეს სისტემა:

-ა (-ო)	-ეს
-ს	-ენ, -ან, -ნ
-ნ	
-დ	-ედ

საბოლოოდ ამგვარ სახეს იღებს:

-ა (-ო)	-ენ, -ან, -ნ
-ს	

მხოლობითში გაბატონდა (თანხმოვანსუფიქსთაგან) **ს**ანი, მრავლობითში — **ნ**არიანი მაწარმოებლები. პროცესი ძალიან ხანგრძლივი ჩანს და ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, თვალი გავადევნოთ მას.

და კიდევ ერთი, ფრიად საინტერესო ფაქტი:

თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში დასტურდება **-ეს** სუფიქსსა და **ნ**არიან მაწარმოებელთა შორის ფუნქციების გადანაწილების რთული და ხანგრძლივი პროცესის განვითარების სამი ძირითადი ეტაპი:

1. როცა **-ეს** სუფიქსი გამოხატავს სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობას უწყვეტელსა და წყვეტილში (ხევსურული, თუშური, მოხეური...)

2. როცა **-ეს** გვხვდება მხოლოდ წყვეტილში ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებთან (ქართლური, კახური...)

3. როცა **-ეს** სუფიქსი აღარ გამოიყენება, მოხდა სრული ჩანაცვლება **ნ**არიანი მაწარმოებლებით (ქვემოიმერული, გურული, აჭარული...).

გამარტივებულ სისტემაში მრავლობითობის **ნ**არიან მაწარმოებელთა განაწილებას, როგორც აღინიშნა, ფონოლოგიური საფუძველი აქვს; ფონოლოგიური პრინციპი ედება საფუძვლად **-ა** და **-ო** სუფიქსთა განაწილებასაც; მოსალოდნელი არის, ფონოლოგიური იყოს საფუძველი **-ა** (-ო) და **-ს** სუფიქსთა განაწილებისაც. არის კი ასე? შევეცდებით ამ კითხვასაც გავცეთ პასუხი.

12.6. ია დაბოლოების ა კომპონენტის თაობაზე აწმყოსა და I თურმეობითში

სანამ დასმულ კითხვას ვუპასუხებთ, ერთი საკითხი უნდა გაირკვეს: რას წარმოადგენს **ია** დაბოლოების **-ა** კომპონენტი სტატიკური ზმნების ერთ ნაწილსა და გარდამავალი ზმნების პირველ თურმეობითში სუბიექტური მესამე პირის ფორმებში რომ გვაქვს (აწერ-**ია**, უკეთ-**ია**... დაუწერ-**ია**, გაუკეთებ-**ია**...). **ა** მეშველზმნური წარმოშობისააო (არს → ა), როგორც ამას მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს (ნ. მარი, 1925, გვ. 125; ა. შანიძე, 1973, გვ. 436; ლ. ბარამიძე, 2008, გვ. 24); სხვა თვალსაზრისის მიხედვით, **-ა** კომპონენტი სუბიექტური მესა-

მე პირის ნიშანია (ნ. ნათაძე, 1955(2), გვ. 91; ვ. თოფურია, 1955, გვ. 456; ა. არაბული, 1984 (2), გვ. 51).

ჩვენთვის სარწმუნოა მეორე თვალსაზრისი. ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ზმნათა პარადიგმის I-II პირის ფორმები მეშველზმნიანია (ვ-წერ-ი-ვარ, ს-წერ-ი-ხარ...), რაც მთავარი არგუმენტია პირველი თვალსაზრისისათვის, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ხელისშემშლელი (კონტრარგუმენტი) მეორე შეხედულებისათვის: ქართულში არის ტენდენცია ერთი მწკრივის პარადიგმაში I-II პირის ფორმათა წარმოების პრინციპის განსხვავებისა მესამე პირის ფორმისაგან (ამის თაობაზე უფრო ვრცლად იხ. აქვე, § 10). სხვადასხვა შემთხვევაში, სხვადასხვა ტიპის ზმნებთან ეს ტენდენცია სხვადასხვაგვარად გამოვლინდა:

ა) ძველ ქართულში **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის I-II პირის ფორმები III პირისას თემის ნიშნითა და სავრცობით დაუპირისპირდა:

ვ-ხატ-**ევ-დ**	ვ-აბ-**ემ-დ**
ჰ-ხატ-**ევ-დ**	აბ-**ემ-დ**
ხატ-**ვ-იდ**-ა (← ხატ-ავ-იდა)...	აბ-**მ-იდ**-ა (← აბ-ამ-იდა)...

ბ) ამ მიზნით სტატიკურ ზმნათა ერთმა ნაწილმა ძველ ქართულში **ან** ელემენტი გამოიყენა: ვ-წევ-თ
ს-წევ-თ
წვ-**ან**-ან...

გ) ეს პრინციპი ფართოდ გავრცელდა დიალექტებში. ფშაურმა, ხევსურულმა და თუშურმა დიალექტებმა I-II ხოლმეობითის მწკრივთა წარმოება მთლიანად ამ პრინციპს დაამყარეს — პირველ-მეორე პირის ფორმები სავრცობით განასხვავეს მესამე პირის ფორმისაგან:

ფშაური	— ვ-აკეთ-**ოდ**-ი	ხევსურული	— ვ-აკეთ-**იდ**-ი
	აკეთ-**ოდ**-ი		აკეთ-**იდ**-ი
	აკეთ-ი-ს...		აკეთ-ი-ს...

დ) ზემოიმერულმა დიალექტმა მესამე პირის თემისნიშნიანი ფორმა დაუპირისპირა I-II პირის უთემისნიშნო ფორმებს ერთი ტიპის ზმნებში (მრავლობით რიცხვში):

მე-ვ-იტან-თ
მე-იტან-თ
მე-იტან-**ებ**-ენ...

ე) სტატიკურმა ზმნებმა აწმყოში მეშველი ზმნა გამოიყენეს:

ვ-ზი-**ვარ**	ვ-დგა-**ვარ**
ზი-**ხარ**	დგა-**ხარ**
ზი-ს	დგა-**ს**

ეს პროცესი დიალექტებში უფრო შორსაა წასული:

ვ-ფიქრობ-**ვარ**	ვ-იცინი-**ვარ**
ფიქრობ-**ხარ**	იცინი-**ხარ**
ფიქრობ-ს	იცინი-ს...

ვ) ჩვენი აზრით, ასეთივე ვითარებაა **ია** დაბოლოების შემთხვევაშიც: I-II პირის ფორმები მეშველზმნიანია, მესამე პირისა — არა:

ვ-ანთი-**ვარ**	ა-ვ-უშენები-**ვარ**	შდრ.:	მო-ვ-უკლავ-**ვარ**
ანთი-**ხარ**	ა-უშენები-**ხარ**		მო-უკლავ-**ხარ**
ანთი-**ა**...	ა-უშენები-**ა**...		მო-უკლავ-**ს**...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ია** დაბოლოების **ა** კომპონენტი კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც სუბიექტური მესამე პირის ნიშანი.

12.7. სუბიექტური მესამე პირის -ს, -ა, -ო სუფიქსთა განაწილებისათვის ახალ ქართულში

როგორც ვიცით, ახალ ქართულში სუბიექტური მესამე პირის მხოლობით რიცხვს სამი სუფიქსი აღნიშნავს: **-ს, -ა, -ო.** თითოეულ მათგანს გამოყენების მკაცრად განსაზღვრული სფერო აქვს. ერთი და იმავე ზმნის ერთსა და იმავე ფორმასთან არ ხდება მათი თავისუფალი მონაცვლეობა. **-ა** და **-ო** სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობის მაგალითად ასახელებენ **დარგა / დარგო, მორწყა / მორწყო** ტიპის პარალელურ ფორმებს: „ამგვარ ზმნებთან (იგულისხმება **-ავ** თემისნიშნიანები) **/-ო/**-ს ზოგჯერ თავისუფლად ენაცვლება **/-ა/**“ (ა. ონიანი, 1978, გვ. 60). ამ ტიპის ზმნებში პარალელიზმს სხვა საფუძველი აქვს: ისინი სხვადასხვა პარადიგმის წევრები არიან (დაწვრილებით იხ. აქვე, § 24).

-ს, -ა, -ო სუფიქსები, ერთი შეხედვით, განაწილების თვალსაზრისით რთულ სურათს ქმნიან. გავიხსენოთ ისიც, რომ ჩვენთვის სარწმუნოა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც **-ო** ბოლოსართი ისტორიულად **-ა**-საგან არის მიღებული (ამოსავალი ფონეტიკური ვითარება იყო **ვ’**ს მეზობლობა), მაგრამ შემდეგ **-ო** ანალოგიის მიხედვით სხვა ზმნებსაც

გაუჩნდათ — ყველგან **ა'**ს ადგილას“ (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 053). რადგან ეს ასეა, ვისაუბრებთ **-ა** და **-ს** სუფიქსთა განაწილების საფუძველზე და შემდეგ შევეცდებით ვაჩვენოთ, რა შემთხვევაში გამოვლინდება **-ო** სუფიქსი **-ა'**ს ადგილას.

სამეცნიერო ლიტერატურაში **-ს** და **-ა** სუფიქსთა განაწილების საფუძვლად მორფოლოგიური პრინციპია მიჩნეული. ზმნის გვარისა და მწკრივის კატეგორიათა მიხედვით ამ სუფიქსთა განაწილების სურათია წარმოდგენილი ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 423 და შმდ.). საკითხს სპეციალურად განიხილავს ა. ონიანი (ა. ონიანი, 1978). ნაშრომში სრულად არის აღწერილი ყველა ის შემთხვევა, სადაც განსახილველი **-ა** და **-ს** სუფიქსები გამოვლინდება. შედეგი ასეთია: „აღნიშნული ალომორფები არსებითად მწკრივთა მიხედვით ნაწილდებიან“ (იქვე, გვ. 57). აწმყო-მყოფადის მწკრივში ეს წესი არ აღმოჩნდა საკმარისი — ერთსა და იმავე მწკრივში გვხვდება როგორც **-ა,** ასევე **-ს.** საჭირო გახდა დამატებითი წესების შემოტანა ზმნის გვარის, სუბიექტის ბრუნვაცვალებადობისა თუ უცვლელობის, თემისა თუ მწკრივის ნიშანთა გათვალისწინებით“ (იქვე, გვ. 58-59). მართალია, ამგვარი კვლევა შესაძლებლობას იძლევა სრულად აღიწეროს ყველა ის შემთხვევა, სადაც ხდება **-ა** და **-ს** სუფიქსთა გამოვლენა, მაგრამ დასკვნა — „აღნიშნულ ალომორფთა გამოვლენას განაპირობებს არა ფონოლოგიური გარემოცვა, არამედ რომელიმე მორფოლოგიური კატეგორია (მწკრივი, კილო, გვარი)...“ (იქვე, გვ. 170) — სადავოდ გვეჩვენება, რადგან არ ხდება ერთი რომელიმე პრინციპის ბოლომდე გატარება ამ სუფიქსთა განაწილების საფუძვლად. საკლასიფიკაციო პრინციპის ცვლა ერთი რომელიმე მოვლენის კლასიფიკაციისას ამ კლასიფიკაციის ნაკლია. როგორც აღვნიშნეთ, მწკრივთა მიხედვით განაწილება არ იძლევა ამომწურავ პასუხს; სუბიექტის ბრუნვაცვალებადობა თუ უცვლელობაც არ არის გადამწყვეტი (**-ს** გვაქვს ორივე შემთხვევაში), **-ი** სუფიქსის მომდევნო პოზიციაშიც ორივე სუფიქსი დასტურდება (იწვ-ი-**ს**, მაგრამ აფენ-ი-**ა**...); **-ავ** თემის ნიშანთან, მართალია, გვხვდება მხოლოდ **-ს,** მაგრამ სხვა თემის ნიშნები ამგვარ ჩვენებას არ იძლევიან. მედიოპასიურ ზმნებთანაც ორივე სუფიქსი შეიძლება შეგვხვდეს (დევ-**ს**, წევ-**ს**, მაგრამ უნდ-**ა**, სჯერ-**ა**...).

ამდენად, ამგვარი პრინციპის მიხედვით შეიძლება მოხერხდეს აღწერა **-ს** და **-ა** სუფიქსთა გამოვლენის შემთხვევებისა, მაგრამ ახსნა, როგორც ჩანს, შეუძლებელია.

მიუთითებენ იმასაც, რომ „ფაქტობრივ ასეთივე ვითარებაა ძველ

ქართულში: S_2 მორფემის **/-ს/, /-ა/, /-ო/, /-ნ/, /-დ/** ალომორფების განაწილება მორფოლოგიურ პრინციპს ემყარება“ (იქვე).

როგორც ვნახეთ, ძველ ქართულში საკმაოდ რთული ვითარებაა; ძველი ქართულის მდგომარეობა ამჟამინდელ ვითარებას ვერ აგვიხსნის. უფრო სწორად, ძველ ქართულში სუბიექტური მესამე პირის მხოლობითი რიცხვის სუფიქსთა განაწილების წესებს ვერ გავავრცელებთ ახალ ქართულზე, რადგან პრინციპული სხვაობა არსებობს სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემის თვალსაზრისით ძველსა და ახალ ქართულში.

ახალი ქართულის მარტივმა სისტემამ ძველი ქართულის რთული სისტემის ადგილი დაიჭირა. ყოველივე ეს კი უფლებას გვაძლევს, განსხვავებულად მივუდგეთ ამ აფიქსთა განაწილების საკითხს ძველსა და ახალ ქართულში.

რა არის საფუძველი სუბიექტური მესამე პირის **-ს** და **-ა** სუფიქსთა განაწილებისა, შესაძლებელი არის თუ არა მათი გამოვლენის ყველა შემთხვევას შორის რაიმე საერთო ნიშნის დაძებნა? ვფიქრობთ, კი.

სუბიექტური მესამე პირის **-ს** და **-ა** სუფქსთა გამოვლენისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს საყრდენი მორფემის თვისობას.

შენიშვნა: გავიხსენოთ: საყრდენს ვუწოდებთ იმ მორფემას, რომელსაც უშუალოდ დაერთვის ჩვენთვის საინტერესო, ამ შემთხვევაში სუბიექტური მესამე პირის, ნიშანი.

ახალ ქართულში, ფაქტობრივ, სუბიექტური მესამე პირის ნიშნის საყრდენი მორფემა ყველა შემთხვევაში მარცვლოვანია. საყრდენი მორფემა შეიძლება იყოს როგორც ძირეული (**წერ**-ს, **დრეკ**-ს...), ასევე სუფიქსური (აკეთ-**ებ**-ს, ხატ-**ავ**-ს...). სუფიქსურის შემთხვევაში შეიძლება იყოს ოდენხმოვნიანი (გააკეთ-**ო**-ს...) და ხმოვნისა და თანხმოვნის შემცველიც (თამაშ-**ობ**-ს...). როცა ვამბობთ, რომ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საყრდენი მორფემის თვისობას, ვგულისხმობთ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობას.

აქ, რა თქმა უნდა, დადგება საკითხი იმის შესახებ, რომ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობა არის საფუძველი სუფიქსთა გამოვლენისა, თუ თვითონ სუფიქსებია საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლე-

ობის მიზეზი. სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარადაც იხსნება ეს საკითხი: „თვით ეს ალომორფები აპირობებენ ძირეული მორფემის ნაირსახეობას და არა ძირეული მორფემის ფონოლოგიური აგებულება ამა თუ იმ ალომორფის (**/ს-/**ს ან **/-ა/**-ს) გამოვლენას“ (ა. ონიანი, 1978, გვ. 61). მხოლოდ სუბიექტური მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ფორმები ამ საკითხის გადასაწყვეტად, ვფიქრობთ, არ გამოგვადგება, რადგანაც ამ შემთხვევაში საკითხის ორივეგვარად დასმა შეიძლება (ერთი მხრივ, **წერ-** უკუმშველია და იმიტომ დაირთავს **-ს’**ს, მეორე მხრივ, **-ს** რომ დაერთვის, იმიტომ არის უკუმშველი).

ერთსაც შევნიშნავთ. როცა ვსაუბრობთ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობაზე, ვგულისხმობთ პროცესს ერთი პარადიგმის ფარგლებში. მაგ.: **-ავ** თემისნიშნისეული ხმოვანი შეიძლება საერთოდ გაუჩინარდეს (ხატ-**ვ**-ა ← ხატ-**ავ**-ა), მაგრამ აწმყო-მყოფადის ფორმებში ყოველთვის სრული სახითაა წარმოდგენილი ახალ ქართულში და, ამდენად, ამ ფორმებზე მსჯელობისას ვამბობთ, რომ **-ავ** თემისნიშნისეული ხმოვნის თვისობა არ არის ნულთან მონაცვლეობა ახალ ქართულში. ძველში **ა** მონაცვლეობს ნულთან).

საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობის ძირითადი საკონტროლო საშუალება ჩვენთვის სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის ფორმებია: აკეთ-**ებ**-ენ, ხატ-**ავ**-ენ, თამაშ-**ობ**-ენ, ჭრ-**ი**-ან, ყ-**ოფ**-ენ ფორმებში საყრდენი მორფემისეული ხმოვანი არ მონაცვლეობს ნულთან, სხვა შემთხვევაში იგი ნულთან მონაცვლეა:

ავაშენ-**ე**	—	ააშენ-**ეს** (← ააშენ-ე-ეს)
მოვ-**კალ**	—	მო-კლ-**ეს**

შენიშვნა: „მოვკალ“ ტიპის ზმნებში **-ი** ელემენტს არ მივიჩნევთ საყრდენ მორფემად, რამდენადაც იგი მორფოლოგიური ოდენობა არ არის. მისი თავისუფალი მონაცვლეობა ნულთან (**მოვკალი || მოვკალ**) ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს. განსხვავებულ ოდენობად გვესახება ის **-ი** ელემენტი, რომელიც თავისუფლად არ მონაცვლეობს ნულთან (ავშენდ-**ი**, გავთბ-**ი**...) (იხ. აქვე, § 23).

ვთქვით, კავშირებითის ფორმებში სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობის **-ნ** სუფიქსი **-ენ** სუფიქსიდან

შეიძლება მომდინარეობდეს, მაგრამ ეს პროცესი არ ხდება ამჟამად ზმნის სისტემაში.

ამ თვალსაზრისით სირთულეს ქმნის კავშირებითის მაწარმოებელთა თვისობის საკითხი. არა გვაქვს შემთხვევა, რომ კავშირებითის **-ა, -ე, -ო** მაწარმოებლებს ხმოვნით დაწყებული სუფიქსი დაერთვოდეს. ამ შემთხვევაში საკითხი სხვაგვარად დაისმის.

ოდენხმოვნიან სუფიქსთა ნულთან მონაცვლეობა არ არის ტოლფასი თანხმოვნის შემცველი სუფიქსისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობისა. გარკვეული მორფოლოგიური დანიშნულების თანხმოვნის შემცველი სუფიქსისეული ხმოვნის დაკარგვა არ ქმნის საშიშროებას სათანადო ფუნქციის მიჩქმალვისას — თანხმოვნითი ელემენტი (resp. უხმოვნო ალომორფი) ამ დანიშნულებას ასრულებს. შდრ.: ძველი ქართ. მოვკლ**-ენ** / მოკლ**-ნ-**ა. სხვაგვარი ვითარებაა ოდენხმოვნიან აფიქსთა შემთხვევაში: მისმა გაუჩინარებამ შეიძლება გამოიწვიოს სათანადო ფუნქციის მიჩქმალვა, რადგან აღარ გვაქვს ფორმაში იმ ფუნქციის მატარებელი ელემენტი და დაკარგული ხმოვანსუფიქსის კომპენსაცია არ ხდება.

შენიშვნა: საინტერესო ფაქტია: ხევსურული დიალექტი დაკარგული ხმოვანსუფიქსის კომპენსაციას მახვილით ახდენს (იხ. ა. არაბული, 1981, გვ. 12).

ოდენხმოვნიანი სუფიქსის ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობის ძირითადი პირობა, ჩვენი აზრით, ამ აფიქსთა ფუნქციური დატვირთვაა. ოდენხმოვნიანი სუფიქსი შეიძლება მონაცვლეობდეს ნულთან იმ შემთხვევაში, თუ ეს მონაცვლეობა ფორმის შინაარსის ცვლას არ გამოიწვევს; ხოლო თუ ხმოვნის სავარაუდო დაკარგვა ფორმის შინაარსის ცვლას გამოიწვევს, დაკარგული ხმოვანსუფიქსის ფუნქცია გაუჩინარდება, ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა არ მოხდება: **დედოფალ-ა, ჭრიჭინ-ა** ფუძეთა ბოლოკიდური ხმოვანსუფიქსი ფორმაწარმოებისას არ იკვეცება იმიტომ, რომ აღარ მოხდებოდა გარჩევა **დედოფალ-, ჭრიჭინ-** ფუძეთა სათანადო ფორმებთან; ხოლო **მე-თევზ-ე** ტიპის ფუძეთა ბოლოკიდური ხმოვანსუფიქსი იკვეცება, რადგან ამ ფონეტიკური ცვლით მიღებული ფორმა არ გაიგივდება ამოსავალ ფუძესთან: **მე-თევზ-ის / თევზ-ის**...

კავშირებითის მაწარმოებელთა დაკარგვა კავშირებითის ფუნქცი-

ის გაუჩინარებას გამოიწვევდა: I კავშირებითის ფორმა უწყვეტელთან გაიგივდებოდა, მეორე კავშირებითისა — წყვეტილთან. წყვეტილის მაწარმოებლის გაუჩინარების შემთხვევაში ეს საფრთხე არა გვაქვს: არ მოხდება ფორმის დამთხვევა სხვა პარადიგმის წევრთან... აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ კავშირებითის **-ა, -ე, -ო** სუფიქსთა მორფოლოგიური დანიშნულება და სრულ პარადიგმაში მათი მიმართებანი შეაპირობებს იმ ფაქტს, რომ ისინი ნულთან არ მონაცვლეობენ. უფრო სწორად, ლოგიკურად მათი ნულთან მონაცვლეობა გამორიცხულია.

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სუბიექტური მესამე პირის **-ს, -ა, -ო** სუფიქსები კი არ შეაპირობებენ საყრდენი მორფემის ფონოლოგიურ სახეს, არამედ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის თვისობა ნულთან მონაცვლეობა-არმონაცვლეობისა არის განმსაზღვრელი პირობა ამ სუფიქსთა გამოვლენისათვის, მათი განაწილების საფუძველი.

-ს და **-ა** სუფიქსთა განაწილების შემთხვევათა ანალიზი ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: სუბიექტური მესამე პირის **-ა** სუფიქსი გამოვლინდება ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველ საყრდენ მორფემასთან:

მოვ-კალ — მო-კლ-ა ← მო-კალ-ა,

გავაკეთ-ე — გააკეთა ← გააკეთ-ე-ა. ხოლო **ს-** სუფიქსი გამოვლინდება ნულთან არამონაცვლე ხმოვნის შემცველ საყრდენ მორფემასთან: აკეთ-ებ-ს, ხატ-ავ-ს, ააშენ-ო-ს...

შენიშვნა: მ. კრავეიშვილისა და გ. ნახუცრიშვილის წიგნში „ქართული ენისა და წერა-კითხვის თვითმასწავლებელი ინგლისურის მცოდნეთათვის“ (II სერია, თბილისი, 1972 წ.) სუბიექტური მესამე პირის **-ს, -ო, -ა** სუფიქსთა განაწილების ასეთი წესია წარმოდგენილი: „სამივე პირში თანხმოვანზე ან ხმოვანზე დაბოლოებული ზმნები დაირთავს **-ს** მორფემას. **ე**'ზე დაბოლოებული ზმნები პირველ და მეორე პირში და შეკუმშულფუძიანი ზმნები მესამე პირში **ო**-ს დაირთავს, სხვა ზმნები კი **ა** ბოლოსართს დაირთავს“ (გვ. 38). მიუხედავად იმისა, რომ აქ ჩვენთვის ზოგი რამ სადავოა, ეს წესი მაინც

საინტერესოდ გვეჩვენება იმ თვალსაზრისით, რომ სუფიქსთა განაწილების საფუძვლად ზმნური ფუძის სტრუქტურაა მიჩნეული.

ამ წესიდან გამომდინარე, საინტერესოა **-ია** დაბოლოების მქონე სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის **-ა** სუფიქსის საკითხი.

როგორც აღვნიშნეთ, მკვლევართა ერთი ჯგუფი **-ა** ბოლოსართს პირის ნიშნად მიიჩნევს (იმავე ოდენობად, რაც გააკეთ-ა ფორმაშია); ხოლო ზოგი მკვლევრის აზრით, **ა** დაბოლოება **არს** მეშველი ზმნის ნაშთია.

ჩვენ გავიზიარეთ პირველი თვალსაზრისი. თუ **-ა შეუპყრი-ა** ფორმაში პირის ნიშანია, მაშინ მის წინ ხმოვანი უნდა იყოს გაუჩინარებული. ასეც ვარაუდობენ: შეუპყრიე-ა → შეუპყრი-ა (ლ. ბარამიძე, 2008, გვ. 23); I-II პირის ფორმებში **ს** ბოლოსართის არარსებობის (შევუპყრი-ვარ, შეუპყრი-ხარ) თაობაზე ითქვა: „საფიქრებელია, რომ III პირის ფუძე განზოგადდა შემდეგ სხვა პირებში“ (იქვე). ეს თვალსაზრისი გაზიარებულია: „შეკვეცილი ფუძე III პირიდან ჩანს გადასული, მეორეც, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ **-ე** აფიქსი ნამყო დროისაა (ვ. თოფურია) და დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს; მეშველი ზმნაც ძირითადი ზმნის ფუძეში გადმოცემული მოქმედების რეზულტატს სტატიკურად წარმოადგენს, გარკვეულად შედეგს იძლევა, მოქმედების დასრულებას გულისხმობს, ამიტომაც ამ პოზიციაში **-ე** სუფიქსი ფუნქციურადაც ნულის ტოლი აღმოჩნდებოდა (შეუპყრიხარ)“ (ა. არაბული, 1984 (2), გვ. 51). და ეს ბოლო არგუმენტი ხელს შეუწყობდა ანალოგიის პროცესს (III პირის ფორმის გავრცელებას I-II პირებში). ასე რომ, ეს შემთხვევაც ჩვენ მიერ შემოთავაზებული წესის ფარგლებში ექცევა: **-ა** სუფიქსისათვის საყრდენია **-ე,** რომელიც მონაცვლეობს ნულთან.

თავი IV. I სერიის ფორმათა წარმოქმნის საკითხები

§ 13. თემა. თემის ნიშნები

13.1. თემის რაობისათვის

შესავალში ითქვა: რომ „ფუძე უნდა განვიხილოთ, როგორც პერმანენტულად ცვლადი მონაცემი“, რომელიც „საყრდენია ფორმათა სისტემისათვის“ (ბ. ჯორბენაძე). და თუკი ფუძე არის პერმანენტულად ცვლადი მონაცემი, საყრდენი ფორმათა სისტემისათვის, მაშინ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ფუძეზე უნდა იყოს საუბარი და ასეც არის: „ყველაფერი ის, რაც საყრდენია ნებისმიერი ფორმისა ან ფორმათა სისტემისათვის, ფუძედ უნდა იწოდოს“. მაგრამ ზმნურ ფორმათა ანალიზმა მოითხოვა ტერმინოლოგიურადაც განსხვავებულიყო სხვადასხვა ფორმისა თუ ფორმათა სისტემისათვის გამოყენებული ფუძე და შემოვიდა პირობითი ტერმინები: ფუძე (= მწკრივის ფუძეს), თემა (= სერიის ფუძეს) და „ძირი“ (= სრული პარადიგმის ფუძეს). მწკრივის ფუძე იმდენია, რამდენი მწკრივიც გამოიყოფა. რა არის **თემა?** ტერმინისა თუ შესაბამისი ცნების დამკვიდრება ქართულ გრამატიკაში ა. შანიძის დამსახურებაა.

მოვიყვანთ ამონარიდს 1930 წლის გრამატიკიდან (ვფიქრობთ, მოვლენის არსი აქ უკეთაა გამოხატული): „პირიელი ზმნის ჩონჩხს წარმოადგენს თემა, რომელზედაც ასხმულია ფორმა. თემა ჰქვია უცვალებელ ნაწილს ზმნისას, რომელიც გასდევს ხოლმე ერთ-ერთი სერიის ყველა ფორმაში, ე. ი. რომლის დაპირისპირებითაც ცვალებადია პ ი რ ი ს ა, რ ი ც ხ ვ ი ს ა, ქ ც ე ვ ი ს ა, დ რ ო ი ს ა და კ ი ლ ო ს ნიშნები (ხაზი ჩვენია — გ. გ.). თემათა სხვადასხვაობა საფუძვლად უდევს დროკილოთა ორ სერიად დაყოფას ქართულში ზმნათა დიდი უმრავლესობისთვის მორფოლოგიურადაც“ (ა. შანიძე, 1930, გვ. 138). სწორედ თემათა განსხვავება დაედო საფუძვლად საუღლებელი ფუძის პრინციპით ზმნათა დაჯგუფებას სერიებად; უფრო სწორად, I და II სერიის გამოყოფას. „რაიცა შეეხება III სერიას, მას საკუთარი თემა არ გააჩნია

და ჩვეულებრივ იგი ან პირველი სერიის თემას სარგებლობს (უფრო ხშირად), ან არადა მეორისას (უფრო იშვიათად), ან კიდევ სულ სხვა პრინციპზე აგებს თავის ფორმებს, ვიდრე პირველისა და მეორე სერიის დრო-კილოები“ (ა. შანიძე, 1930, გვ. 138). ამიტომაცაა, რომ თემაზე საუბრისას განიხილავენ I და II სერიის ვითარებას; III სერიის შემთხვევაში საერთო ფუძის პრინციპი ახალ ქართულში ძველისაგან არსებითად განსხვავებულია, თუმცა ეს საგანგებო მსჯელობას საჭიროებს. ამ საკითხს III სერიის ფორმათა წარმოების განხილვისას დავუბრუნდებით (§ 27).

I სერიის მწკრივთათვის საყრდენ ფუძეს I სერიის თემა ეწოდება, II სერიის მწკრივთათვის საყრდენ ფუძეს — II სერიის თემა.

გამოყოფენ ერთთემიან და ორთემიან ზმნებს: „ერთ-თემიანია ზმნა, რომელსაც პირველისა და მეორე სერიის ფორმები ერთსა და იმავე ბაზისზე აქვს დაყრდნობილი.

ორ-თემიანია ზმნა, რომელსაც პირველსა და მეორე სერიაში განსხვავებული თემები მოეპოვება“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 388). მაგალითად,

ერთემიანია	ორთემიანია
(და)ვ-**წერ**	(და)ვ-**ხატ-ავ**
(და)ვ-**წერ**-დ-ი	(და)ვ-**ხატ-ავ**-დ-ი
(და)ვ-**წერ**-დ-ი	(და)ვ-**ხატ-ავ**-დ-ე
(და)ვ-**წერ**-ე	(და)-ვ-**ხატ**-ე
(და)-ვ-**წერ**-ო	(და)ვ-**ხატ**-ო

მეორე შემთხვევაში **ხატ** მარტივი თემაა, **ხატ-ავ** — რთული. მარტივ და რთულ თემათა განმასხვავებელ ელემენტს **თემის ნიშანი** დაერქვა (ა. შანიძე, 1973, გვ. 388). თემის ნიშნებად გამოყოფენ სუფიქსებს: -ი, -ავ, -ამ, -ებ, -ობ, -ოფ, -ემ...

საუბრობენ გავრცობილ და გაუვრცობელ თემაზეც; I სერიის ორ მწკრივში „თემა გავრცობილი აქვს **-დ,** ან **-ოდ**-ის დართვით, რომელთაც სავრცობს ვეძახით“ (იქვე, გვ. 388).

ორთემიანად მიიჩნევა ფუძის გახმოვანებით დაპირისპირებული ზმნებიც:

I სერია	**II სერია**
ვ-გრ**ე**ხ	ვ-გრ**ი**ხ-ე
ვ-გრ**ე**ხ-დ-ი	ვ-გრ**ი**ხ-ო
ვ-გრ**ე**ხ-დ-ე	

საუბარია მხოლოდ იმ შემთხვევაზე, როცა I სერიის თემა **ე** გახმოვანებითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე სერიის თემა — **ი** გახმო-

ვანებით. ვფიქრობთ, უნდა ვისაუბროთ გახმოვანების სხვა ვარიანტზეც: როცა I სერიის თემა უხმოვნოა, მეორე სერიისა — **ა**-ხმოვნიანი:

ვ-ზრდ-ი
ვ-ზრდ-იდი
ვ-ზრდ-იდე
ვ-ზარდ-ე
ვ-ზარდ-ო

თუმცა სანამ ამ საკითხზე ვისაუბრებთ, ამგვარ ზმნებში **-ი** სუფიქსის რაობა არის გასარკვევი.

რა არის ვ-ზრდ-**ი**, ვ-თლ-**ი,** ვ-თვლ-**ი** ტიპის ზმნებში **-ი** ბოლოსართი?

13.2. -ი ელემენტის თაობაზე ზრდ-ი-ს ტიპის ზმნებში

სამეცნიერო ლიტერატურაში **ვ-ზრდ-ი** ტიპის ზმნებთან აწმყოში გამოვლენილი **ი** ელემენტი თემის ნიშნად გაიაზრება (ა. შანიძე, 1973, გვ. 388 და შემდეგ). ყველა სახის გამოკვლევასა თუ სახელმძღვანელოში ეს აზრი გაზიარებულია.

საფუძველი ამგვარი გააზრებისა ის არის, რომ **ი** გასდევს I სერიის პარადიგმას ყველა მწკრივში:

(გა)-ვ-ზრდ-**ი**	შდრ.:	ვ-კლ-**ავ**
(გა)-ვ-ზრდ-**ი**დი		ვ-კლ-**ავ**-დი
(გა)-ვ-ზრდ-**ი**დე		ვ-კლ-**ავ**-დე

მიღებული განმარტებების მიხედვით, **ზრდ-ი** საერთო ფუძეა პირველი სერიის მწკრივთათვის, ამიტომ I სერიის თემად იქნა მიჩნეული: ამ ზმნის მეორე სერიის თემა იქნება **ზარდ:**

ვ-**ზარდ**-ე
ვ-**ზარდ**-ო

I და II სერიების თემათა შეპირისპირებამ ხელი შეუწყო **ი** ელემენტის თემის ნიშნად გააზრებას.

ვფიქრობთ: **ი** სხვადასხვა ოდენობაა აწმყოსა და I სერიის სხვა მწკრივებში; აწმყოში **-ი** მწკრივის ნიშნად უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო სხვა მწკრივებში **ი** ხმოვნითი ნაწილი ჩანს **იდ** სუფიქსისა. რა გვაძლევს ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს?

1. თემის ნიშანთა სისტემაში **ი** განცალკევებით დგას. თემის ნიშ-

ნებად გამოიყოფა **ავ, ამ, ებ, ობ, ემ, ოფ, ევ** (ა. შანიძე, 1973, გვ. 389 და შემდ.).

შენიშვნა: ა. შანიძე ერთ შემთხვევაში თემის ნიშნად მოიხსენიებს **-ო** სუფიქსს წავაქცი(ვ)**ო** ფორმაში, თუმცა იმავე **ო**-სა და მსგავს სუფიქსებს სხვაგან, და ჩვეულებრივ, მწკრივის ნიშნებად მიიჩნევს და ჩვენც ასე განვიხილავთ.

სტრუქტურა თემის ნიშნებისა ყველა შემთხვევაში ერთგვარია: **VC**. განსხვავებული სტრუქტურისა ერთადერთი იქნება **ი**, თუკი მას მივიჩნევთ თემის ნიშნად...

2. **ი** არის ერთადერთი თემის ნიშნად მიჩნეული ელემენტი, რომელიც არ ჩანს საწყისში; სხვა თემის ნიშნები საწყისში ჩვეულებრივ იჩენს თავს: ცნობილია: „საწყისის ნიშანია **ა**, რომელიც დაერთვის I სერიის თემას, გაუვრცობელს, ე. ი. იმ თემას, რომელიც აწმყოს (ან მყოფადის) ფორმებში ჩანს“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 560).

-ავ:	ხატ-**ვ**-ა,	მალ-**ვ**-ა,	პარ-**ვ**-ა...
-ამ:	დგ-**მ**-ა,	ბ-**მ**-ა,	ჩა-ც-**მ**-ა...
-ებ:	კეთ-**ებ**-ა,	შენ-**ებ**-ა,	გა-ღ-**ებ**-ა...
-ოფ:	ყ-**ოფ**-ა...		
-ემ:	ც-**ემ**-ა...		
-ევ:	და-ბნ-**ევ**-ა...		

მაგრამ: ზრდ-**ი**-ს — ზრდ-ა
თლ-**ი**-ს — თლ-ა
შლ-**ი**-ს — შლ-ა
ყრ-**ი**-ს — ყრ-ა...

ა. შანიძე თვლის, რომ „ა-ს დართვის გამო **ი**ან ზმნებში იკვეცება თემის ნიშანი **ი**“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 560). ეს დასკვნა ძნელი გასაზიარებელია: ოდენხმოვნიანი ელემენტის უკვალოდ გაქრობა არაა მოსალოდნელი: მორფოლოგიური თვალსაზრისით გართულდებოდა ფორმის მნიშვნელობის გაგება... ამიტომ, საწყისებში გამოვლენილი **-ა** სუფიქსის გავლენას ვერ მივაწერთ **ი** ელემენტის არქონას **ზრდ-ა** ტიპის ფორმებში: თემის ნიშნები ყველა შემთხვევაში იქნა შენარჩუნებული; სხვა ზმნებში საჭიროების შემთხვევაში მოხდა სხვადასხვა ელემენტთა ჩართვა (**ნ, ოლ, ომ**...).

ი ელემენტის არქონა საწყისურ ფორმებში ეჭვს შეგვატანინებს იმაში, რომ **ი** თემის ნიშანია.

3. ჩვეულებრივ I სერიის თემას ემყარება მოქმედებითი გვარის მიმღეობაც:

ხატ-**ავ**-ს	—	და-მ-ხატ-**ვ**-ელ-ი
დგ-**ამ**-ს	—	და-მ-დგ-**მ**-ელ-ი
აშენ-**ებ**-ს	—	მ-შენ-**ებ**-ელ-ი
თმ-**ობ**-ს	—	და-მ-თმ-**ობ**-ი
ყ-ოფ-ს	—	გა-მ-ყ-ოფ-ი...
მაგრამ: ზრდ-**ი**-ს	—	მ-ზრდ-ელ-ი...

მიიჩნევენ, რომ **-ი**, ისევე როგორც საწყისში, ფონეტიკურ ნიადაგზე არის გაუჩინარებული (მომდევნო **ე** ხმოვნის გავლენით) (ა. შანიძე, 1973, გვ. 570), თუმცა ისევე როგორც საწყისის შემთხვევაში, არც ამ ფორმაშია მოსალდნელი „**ი**-ს მოკვეცა“.

შენიშვნა: 1. თავის დროზე მორფემათა მიჯნაზე წარმოქმნილ ხმოვანკომპლექსებში მიმდინარე ფონეტიკური პროცესების შესწავლისას მივედით ასეთ დასკვნამდე: „ქართულში მორფემათა მიჯნაზე წარმოქმნილ ხმოვანთკომპლექსთა გამარტივება — ელიზია — ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ბოლოხმოვნიან სიტყვას ხმოვნით დაწყებული სუფიქსი დაერთვის. ელიზიაში ძირითადად მოქმედებს რეგრესული გავლენის პრინციპი. თუ გვხვდება პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია, ამ შემთხვევაში ელიზირებულ ხმოვანზე გარდა მაელიზირებელი ხმოვნის გავლენისა, უნდა მოქმედებდეს მეორეული ფაქტორებიც. ელიზიის განხორციელება დამოკიდებულია ხმოვანთა აწეულობასა და წარმოების რიგზე: რაც უფრო მაღალი აწეულობისაა ხმოვანი, ერთი მხრივ, მით მეტია მისი გამძლეობა ელიზიისადმი და, მეორე მხრივ, მისი მაელიზირებელი ძალა“ (გ. გოგოლაშვილი, 1987, გვ. 110). ამ დასკვნიდან გამომდინარე, არაა მოსალოდნელი **ი** ხმოვნის მოკვეცა, მით უმეტეს, **ა** და **ე** ხმოვანთა გავლენით.

2. და კიდევ: როცა საუბრობენ **-ი** „თემის ნიშნის“

მოკვეცაზე საწყისის ან მიმღეობის მაწარმოებელთა გავლენით, ანალოგიურ მაგალითებად მოჰყავთ **ავ** და **ამ** თემის ნიშანთა შემთხვევები: ხატ-**ვ**-ა, და-დგ-**მ**-ა... შევნიშნავთ: ოდენხმოვნიან სუფიქსთა ნულთან მონაცვლეობა არ არის ტოლფასი **VC** ტიპის სუფიქსისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობისა (იხ. §12.7). გარკვეული მორფოლოგიური დანიშნულების **VC** ტიპის სუფიქსისეული ხმოვნის დაკარგვა არ ქმნის საშიშროებას შესაბამისი ფუნქციის მიჩქმალვისას — თანხმოვნითი ელემენტი (უხმოვნო ალომორფი) ამ დანიშნულებას ასრულებს. სხვაგვარია ვითარება ოდენხმოვნიანი აფიქსის გაუჩინარების შემთხვევაში: მისი დაკარგვა გამოიწვევს სათანადო ფუნქციის გაუჩინარებას. ესაა ჩვენთვის ერთ-ერთი არგუმენტი, როცა გამოვრიცხავთ სახელზმნებში **ზრდ-ი-ს** ტიპის ზმნების აწმყოში დადასტურებული **ი** ელემენტის მოკვეცას.

4. ძველ ქართულში I თურმეობითის წარმოება ერთგვაროვანია ყველა თემისნიშნიან ზმნაში: I სერიის რთული თემა არის საყრდენი:

აღუ-**შენ-ებ**-იეს, აღუ-**ლ-ებ**-იეს, განუ-**ტფ-ობ**-იეს, მიუ-**ც-ემ**-იეს, დაუ-**მალ-ავ**-ს, დაუ-**დგ-ამ**-ს...

მარტივთემიანი (ერთემიანი, ფუძედრეკადი) ზმნები მარტივ თემაზე დაირთავენ **-იეს** დაბოლოებას:

დაუ-**წერ**-იეს, მოუ-**დრეკ**-იეს...

სწორედ მარტივთემიანი ზმნების მსგავსად იწარმოებს I თურმეობითს ე. წ. **ი** თემისნიშნიანი ზმნები:

განუ-**ჴრწნ**-იეს, მოუ-**გურ**-იეს, უ**ლუწ**-იეს...

ეს ფაქტიც, ჩვენი აზრით, დასტურია იმისა, რომ **-ი** ელემენტი **ზრდ-ი-ს** ტიპის ზმნებში არ არის თემის ნიშანი.

არსებითი კითხვა: **-ი** I სერიის მთელ პარადიგმაში რომ მეორდება, ეს როგორც აიხსნეს?

(გა)ზრდ-**ი**-ს
(გა)ზრდ-**ი**-დ-ა
(გა)ზრდ-**ი**-დ-ე-ს

მთავარი სათქმელი: **-ი** ელემენტი არ არის ერთი და იგივე ოდენობა აწმყო-მყოფადსა და სხვა მწკრივებში; აწმყო-მყოფადში **ი** მწკრივის კუთვნილებაა; ასე ვთქვათ,

მწკრივის ნიშანია; ისეთივე ბოლოსართია (თავისი ფუნქციით), როგორიც ვნებითებში (ვთბ-ებ-**ი**, ვიზრდებ-**ი**...) თუ სტატიკურ ზმნებში (ვიცი, ვუწყი, ვიცინ-ი, ვტირ-ი...); მე არ ვსაუბრობ ამ ზმნებში წარმოდგენილი **ი** ელემენტის გენეტურ იგივეობაზე; ფუნქციაა მათი ერთი და იგივე: დაერთვის აწმყოს ფორმას და არ გადაჰყვება სხვა მწკრივებში. რაც შეეხება უწყვეტელსა და I კავშირებითს, ამ ფორმებში წარმოდგენილი **-ი -იდ** სუფიქსის ხმოვნითი ნაწილია. პარადიგმა ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

ვ-ზრდ-ი
ვ-ზრდ-**იდ**-ი
ვ-ზრდ-**იდ**-ე

-იდ მორფოლოგიურად ისეთივე ოდენობაა, როგორიც **-დ** და **-ოდ** შესაბამის სავრცობიან მწკრივებში.

არის კი ასე? შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას (§ 14).

მანამდე კიდევ რამდენიმე საკითხი თემის ნიშანთან დაკავშირებით.

13.3. -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში

ახალ ქართულში ზმნურ ფორმაწარმოებაში მომხდარ ცვლილებათაგან ყურადღებას იქცევს **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმების **-ებ** სუფიქსიან წარმოებაზე გადასვლის ფაქტი:

ძვ. ქართ.:	ი-მალ-ვ-ი-ს	ახ. ქართ.:	ი-მალ-ებ-ა
	ი-კარგ-ვ-ი-ს		ი-კარგ-ებ-ა
	ი-თქმ-ი-ს		ი-თქ-მ-ებ-ა...

ვითარება თითქოს მარტივია — შეიცვალა ვნებითის წარმოების ტიპი. რამდენიმე ზმნამ ძველი წარმოებაც შემოგვინახა: იწვის, იძვრის, ერთვის და მისთ. ეს ცნობილი ფაქტია.

ახალ ქართულში **-ავ** თემისნიშნიანი ზმნები ვნებითის წარმოების მიხედვით ორ ჯგუფად უნდა გაიყოს:

1. როცა **-ავ** თემის ნიშანი **-ებ** სუფიქსიან ვნებითებში შენარჩუნებულია (ფონეტიკურად სახეცვლილი — ხმოვანგაუჩინარებული):

რგ-**ავ**-ს — ი-რგ-**ვ**-ებ-ა
რწყ-**ავ**-ს — ი-რწყ-**ვ**-ებ-ა
ხშ-**ავ**-ს — ი-ხშ-**ვ**-ებ-ა...

2. როცა **-ავ** თემის ნიშანი **-ებ** სუფიქსიან ვნებითებში არ გადაჰყვება ზმნას:

მალ-**ავ**-ს — ი-მალ-**ებ**-ა
ხატ-**ავ**-ს — ი-ხატ-**ებ**-ა
თეს-**ავ**-ს — ი-თეს-**ებ**-ა...

რაც შეეხება **-ამ** თემის ნიშანს, იგი ვნებითის ფორმებში ყოველთვის შენარჩუნებულია (რა თქმა უნდა, ფონეტიკურად სახეცვლილი — ხმოვანგაუჩინარებული):

ა-ბ-**ამ**-ს — ე-ბ-**მ**-ებ-ა
ა-დგ-**ამ**-ს — ე-დგ-**მ**-ებ-ა
აღ-ი-ქვ-**ამ**-ს — აღი-ქ-**მ**-ებ-ა (←აღიქვმება)...

შეინიშნება კანონზომიერება: **-ავ** თემის ნიშანი ვნებითის ფორმებში გადაჰყვება ზმნებს, რომელთა ძირეული მორფემა უმარცვლოა; მარცვლოვანი ძირეული მორფემის მქონე ზმნები **-ავ** თემის ნიშანს ვნებითის ფორმებში არ გამოავლენენ. რამდენადაც **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა მორფემა ყველა შემთხვევაში უმარცვლოა, ვნებითის ფორმებში **-ამ** თემის ნიშანი ყოველთვისაა წარმოდგენილი.

ამდენად, უმარცვლო ძირეული მორფემის შემცველი **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანი ზმნები მოქმედებითისეულ თემას ვნებითის ფორმებში სრულად წარმოგვიდგენს... კითხვაზე — რა ხდება? — პასუხის გაცემა იოლად ხერხდება. კითხვაზე რატომ? — პასუხი ჭირს.

უმარცვლო ძირის მქონე **-ავ** თემისნიშნიანი ზმნა არცთუ ცოტაა:

რგ-ავ-ს — ი-რგ-ვ-ებ-ა
რთ-ავ-ს — ი-რთ-ვ-ებ-ა
კლ-ავ-ს — ი-კლ-ვ-ებ-ა → იკვლება
სხლ-ავ-ს — ი-სხლ-ვ-ებ-ა → ისხვლება
თხზ-ავ-ს — ი-თხზ-ვ-ებ-ა
წნ-ავ-ს — ი-წნ-ვ-ებ-ა → იწვნება
ხნ-ავ-ს — ი-ხნ-ვ-ებ-ა → იხვნება
კრ-ავ-ს — ი-კრ-ვ-ებ-ა → იკვრება
ძრ-ავ-ს — ი-ძრ-ვ-ებ-ა → იძვრება

	ხრ-ავ-ს	—	ი-ხრ-ვ-ებ-ა → იხვრება
	მიუ-ზღ-ავ-ს	—	მიე-ზღ-ვ-ებ-ა
	რწყ-ავ-ს	—	ი-რწყ-ვ-ებ-ა
	ხშ-ავ-ს	—	ი-ხშ-ვ-ებ-ა
ასევე:	წვ-ავ-ს	—	ი-წვ-ებ-ა ← ი-წვ-ვ-ებ-ა
	ფქვ-ავ-ს	—	ი-ფქვ-ებ-ა ← ი-ფქვ-ვ-ებ-ა

-ამ თემისნიშნიან ზმნებში:

ა-ბ-ამ-ს	—	ე-ბ-მ-ებ-ა
ა-დგ-ამ-ს	—	ე-დგ-მ-ებ-ა
სვ-ამ-ს	—	ი-სვ-მ-ებ-ა → ისმება
გამო-თქვ-ამ-ს	—	გამო-ი-თქვ-მ-ებ-ა → გამოიქთმება
აღი-ქვ-ამ-ს	—	აღ-ი-ქვ-მ-ებ-ა → აღიქმება
ჩამო-ა-ცვ-ამ-ს	—	ჩამო-ე-ცვ-მ-ებ-ა → ჩამოეცმება
ჩა-ნთქ-ამ-ს	—	ჩა-ი-ნთქ-მ-ებ-ა
შემო-ა-რტყ-ამ-ს	—	შემო-ე-რტყ-მ-ებ-ა
განა-რთხ-ამ-ს	—	გან-ე-რთხ-მ-ებ-ა
ჩაა-სხ-ამ-ს		ჩა-ი-სხ-მ-ებ-ა...

ჩვენს ყურადღებას ვნებითის ფორმათა ანალიზი იქცევს.

ფაქტია, რომ ვნებითში მოქმედებითის ფორმათა თემის ნიშნები შენარჩუნებულია (ფონეტიკურად სახეცვლილი):

რგ-**ავ**-ს	—	ი-რგ-**ვ**-ებ-ა
დგ-**ამ**-ს	—	ი-დგ-**მ**-ებ-ა

უჩვეულო თითქოს არაფერია: ქართულში არის შემთხვევები, როცა **-ავ** თემისნიშნიანი ზმნაა, მაგრამ ცურ-ა(ვ)-ობ-ს ტიპის ზმნათა ფორმებში **-ობ** თემის ნიშანი რთულ თემას დაერთო (ამ რიგის მაგალითებია ხტუნავს და ხტუნა(ვ)ობს, გორავს და გორა(ვ)ობს და მისთ...).

ასევე: შ-ობ-ს — შვ-ა **-ობ** (← ვ-ებ) თემისნიშნიანი ზმნაა. დიალექტებში ამგვარი ფორმებიც დასტურდება: შობ-ამ („ვშობამ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ვშობამ“ — ილია).

მაგრამ ამ რიგის მაგალითებში **-ავ** თუ **-ობ** თემის ნიშანი ფუძეს შეხორცებული ელემენტია, რამდენადაც ისინი II სერიის ფორმებშიც

გადაჰყვება ზმნას და, ამდენად, მათი თემის ნიშნად გააზრება აღარ ხდება: ცურ-ავ-ობ-ს — ი-ცურ-ავ-ა; შობ-ამ-ს — შობ-ა (ამის თაობაზე იხ. § 17)...

ამგვარად, ცურ-ავ-ობ-ს თუ შობ-ამ-ს ტიპის ფორმათა შემთხვევაში ფაქტი ნათელია. იცვლება ფუძის სტრუქტურა, ფორმაწარმოებაში ეს სირთულეს არა ქმნის: ძველი თემის ნიშანი ფუძისეულ ელემენტად გაიაზრება და ზმნა ახალ თემის ნიშანს დაირთავს.

სხვაგვარია ვითარება ჩვენს შემთხვევაში. ი-რგ-ვ-ებ-ა — ი-დგ-მ-ებ-ა ტიპის ფორმებს ვ(← ავ) და მ(← ამ) ელემენტები II სერიაში აღარ გადაჰყვება:

ი-რგ-ვ-ებ-ა — და-ი-რგ-ა
ი-დგ-მ-ებ-ა — და-ი-დგ-ა...

რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ვ(← ავ) და მ(← ამ) ელემენტებს განსახილველ ფორმებში?

თუ მათ თემის ნიშნებად მივიჩნევთ, გამოდის, რომ ერთ სტრუქტურაში ერთი სისტემის ორი ელემენტია წარმოდგენილი, რაც თავისთავად დაუშვებელია და, საერთოდ, არის კი შესაძლებელი ვ(← ავ), მ(← ამ) და -ებ ელემენტების დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ელემენტებად მიჩნევა? ვფიქრობთ, რომ არა: ვ-ებ(← ავ-ებ), მ-ებ(← ამ-ებ) განსახილველი ტიპის ზმნებში ერთი მორფოლოგიური ოდენობაა და მისი დაშლა მორფოლოგიის დონეზე არ მოხერხდება. ყოველ შემთხვევაში, თუ დავშლით, შეუძლებელი იქნება მათთვის ცალ-ცალკე ფუნქციის მისადაგება.

აღნიშნულ ფორმათა საანალიზოდ სხვა ტიპის ვნებითების მოშველიება (მაგ.: ხატ-ავ-ს — ი-ხატ-ებ-ა...) და ამის საფუძველზე ი რ გ ვ ე ბ ა - ი დ გ მ ე ბ ა ფორმებში ოდენ -ებ სუფიქსის გამოყოფა, არ იქნებოდა გამართლებული.

ვებ (← ავ-ებ), მებ (← ამ-ებ), ჩვენი აზრით, ერთი მორფოლოგიური ოდენობაა; ისინი განსახილველი ტიპის ზმნათა I სერიის ფუძის მაწარმოებლად უნდა მივიჩნიოთ და კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც რთული თემის ნიშნები; ამდენად, თემის ნიშანთა სისტემაში მარტივ (-ავ, -ამ, -ებ, -ობ...) თემის ნიშანთა გვერდით უნდა იქნეს წარმოდგენილი რთული **ვებ**(← ავებ), **მებ**(← ამებ) თემის ნიშნებიც, რომლებიც უმარცვლო ძირის მქონე -ავ და -ამ თემისნიშნიან მოქმედებითი გვარის ზმნათა შესაბამის ვნებითებთან გამოიყენება.

13.4. ევ/ივ სუფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში

ევ/ივ სუფიქსი გვხვდება როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ზმნებში (-ევ პირველი სერიის ფორმებთან, -ივ→ი — მეორე სერიის ფორმებთან):

	მოქმ.	ვნებ.
აწმყო:	(ა)-ი/უ-რ-ევ-ს	(ა)-ი/ე-რ-ევ-ა
აორისტი:	ა-ი/უ-რ-ი(ვ)-ა	ა-ი/ე-რ-ი(ვ)-ა

ახალ ქართულში ვნებითი გვარის ზმნათა უმეტესობას -ევ(→ივ) სუფიქსი მეორე სერიის ფორმებში აღარ გადაჰყვება (დაინგრა, დაიმსხვრა, შეინძრა, დაიბნა...); -ევ სუფიქსიან ზმნათა მცირე ნაწილმა ძველი ვითარება შემოინახა (აირ-ი-ა, გაიწ-ი-ა, დაილ-ი-ა, დაეტ-ი-ა...); ზმნათა ერთმა ჯგუფმა პარალელური ფორმები გაიჩინა (დაეხვა || დაეხვია, დაიხა || დაიხია, შეემთხვა || შეემთხვია, გაეთრა || გაეთრია...). -ევ სუფიქსიან ზმნათა ვნებითის ფორმების ახალი ტიპის წარმოებაზე გადასვლის პროცესი დასრულებული არ არის. ტენდენცია აშკარაა და ხანგრძლივი ისტორია აქვს (სათავეს ძველ ქართულში იღებს).

ეს მოვლენა სამეცნიერო ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, შენიშნულია (ა. შანიძე, 1973, გვ. 413). მეორე სერიის ფორმებში ივ ფორმანტის დაკარგვა ინიან ვნებითებში ომოფორმათა თავიდან აცილებით (შდრ.: დაინგრია მან ის / დაინგრია ის > დაინგრა), ხოლო ენიან ვნებითებში ანალოგიით (დაენგრა < დაენგრია პროცესი დაინგრა ფორმის ანალოგიით ხდებაო) აიხსნება.

ვფიქრობთ, შესაძლებელია საკითხის სხვაგვარად დასმა:

ახალ ქართულში ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს წარმოების ორი ძირითადი ყალიბი არსებობს: ა) ძირი + თემის ნიშანი + ი (თბ-ებ-ი, ე-რთ-ობ-ი...).

ბ) ძირი + დ + თემის ნიშანი + ი (ბერ-დ-ებ-ი...).

ყველა ტიპის ვნებითი ამ ორ ყალიბში თავსდება. გამონაკლისს ქმნიდა მხოლოდ -ევ/-ივ სუფიქსიანი ზმნები (ევ/ივ აღწერის დონეზე ძირეულ მასალად განიხილება — ა-რევ-ს / ა-რივ-ა; შდრ.: დრეკ-ს (დრიკ-ა).

ყალიბის გავლენის შედეგად განსახილველი ტიპის ზმნებში მოხდა -ევ/-ივ ფორმანტის გადააზრიანება და ფუნქციურად მისი გაიგივება თემის ნიშნებთან (-ებ, -ავ...); ამან კი მეორე სერიის ფორმებში -ივ

ფორმანტის გაქრობა გამოიწვია : ი-ნგრ-ევ-ა / და-ი-ნგრ-ა (შდრ.: ი-შლ-ებ-ა / გაი-შალ-ა).

ამგვარად, ჩვენი აზრით, ვნებითი გვარის -ევ სუფიქსიან ზმნათა ახალი ტიპის წარმოებაზე გადასვლის ტენდენცია შინაარსობრივად იდენტურ ფორმათა ფორმობრივად ერთგვარ ყალიბში მოქცევის ფაქტია.

ამ ფაქტმა არსებითი ხასიათის კორექტივი შემოიტანა ენაში: გენეტურად (და ფუნქციურად) ერთი და იგივე -ევ ფორმანტი ვნებითებსა და შესაბამის მოქმედებითებში სხვადასხვაგვარად უნდა იქნეს კვალიფიცირებული: ვნებითებში — როგორც თემის ნიშანი; მოქმედებითებში — ძირს შეხორცებული, ამჟამად მორფოლოგიურად უფუნქციო ელემენტი.

§ 14. თემის გავრცობა. სავრცობი

14.1. სავრცობის რაობისათვის

თუ როგორ უნდა იქნეს გააზრებული **-იდ** დაბოლოება — ერთ მორფოლოგიურ ოდენობად თუ ორ მორფემად, ამ საკითხის გარკვევა უწყვეტლის წარმოებასთანაა დაკავშირებული.

ვიცით: უწყვეტელი აწმყოსაგან ხაზოვანი პრინციპით ნაწარმოები მწკრივია; ასეა ეს ყველა ტიპის ზმნასთან.

უწყვეტლის ფუძეს აწმყოს ფუძისაგან ე. წ. სავრცობი აწარმოებს:

ვ-**წერ** → ვ-**წერ-დ**,
ვა-**კეთ-ებ** → ვა-**კეთ-ებ**-დ,
ვ-**ტირ**-ი → ვ-**ტირ-ოდ**-ი...

სავრცობიან ფუძეს გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ თ ე მ ა ს უწოდებენ (ა. შანიძე, 1973, გვ. 388).

სავრცობად ჩვეულებრივ მიიჩნევენ **-დ** და **-ოდ** მორფემებს (გავრცელებული ტერმინოლოგიით — **დ**ონიანი ზმნები და **ოდ**იანი ზმნები).

თითქოსდა იძებნება **-დ** და **-ოდ** სუფიქსთა განაწილების პრინციპიც: „გავრცობილი თემა ვნებითი გვარის ზმნისა ყოველთვის **ოდ**-ით არის ნაწარმოები: ვი-**ქებ**-ი — ვი-**ქებ-ოდ**-ი; ვ-**შავდ-ებ**-ი — ვ-**შავდ-ებ-ოდ**-ი; ვ-**თბებ-ოდ**-ი და მისთ. ამავე სავრცობს დაირთავს საშუალი

ზმნები, რომელთაც აწმყოში მწკრივის ნიშნად **ი** აქვთ (...): **ხტ**-ი-ს — **ხტ-ოდ**-ა, ჰ-**შვენ**-ი-ს — ჰ-**შვენ-ოდ**-ა... გამონაკლისის სახით ეგევე **ოდ** აქვს რამდენიმე გარდამავალ ზმნას, რომელთაც გაფორმების თვალსაზრისით ვნებითისებრი ნიშნები აქვს აწმყოში (ან მყოფადში): ისვრ-ი-ს — ისვრ-**ოდ**-ა, იტყვ-ი-ს — იტყ-**ოდ**-ა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 417).

ყველა დანარჩენი ზმნა **დ** სავრცობს დაირთავს...

ვითარება თითქოს მარტივია, მაგრამ პრობლემა შექმნა **-ავ/-ამ** თემისნიშნიანმა ზმნებმა ძველ ქართულში. გავიხსენოთ -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის პარადიგმა:

ვ-კლ-**ევ-დ**-(ი)	ვ-სუ-**ემ-დ**-(ი)
ჰ-კლ-**ევ-დ**-(ი)	ჰ-სუ-**ემ-დ**-(ი)
კლ-**ვ-იდ**-ა	სუ-**მ-იდ**-ა
ვ-კლ-**ევ-დ**-ი-თ	ვ-სუ-**ემ-დ**-ი-თ
ჰ-კლ-**ევ-დ**-ი-თ	ჰ-სუ-**ემ-დ**-ი-თ
კლ-**ვ-იდ**-ეს	სუ-**მ-იდ**-ეს

შენიშვნა: 1. ამ შემთხვევაშიც **-ამ** თემისნიშნიანები ისევე იუღვლიან, როგორც **-ავ** თემისნიშნიანები. ამიტომ ვისაუბრებთ **-ავ** თემისნიშნიანებზე. დასკვნები გავრცელდება **-ამ** თემისნიშნიანებზეც.

2. III პირის დაბოლოება **-ვიდ-** არის წარმოდგენილი I ხოლმეობითისა და I კავშირებითის ყველა ფორმაში; ასევე: ე. წ. „I ბრძანებითის“ III პირის მრავლობითის ფორმაში (კლ-ვიდ-ედ); ამავე ე. წ. „I ბრძანებითის“ სხვა ფორმებში I-II პირთა ვარიანტია წარმოდგენილი **-ევ-დ** (კლ-ევდ, კლ-ევდ-ი-ნ...).

ეს პარადიგმა მრავალ კითხვას აღძრავს:

— რას წარმოადგენს I და II პირის ფორმებში გამოვლენილი **ე** ხმოვნიანი ვარიანტი -ევ/-ემ?

— რა მიმართებაა აწმყოში გამოვლენილ **ა** ხმოვნიან ვარიანტებსა (-ავ/-ამ) და **ე** ხმოვნიან ვარიანტებს შორის?

— რომელი სუფიქსის უხმოვნო ვარიანტია III პირის ფორმებში გამოვლენილი **-ვ/-მ**?

— რას წარმოადგენს III პირის ფორმებში გამოვლენილი **ი** ხმოვანი: დამოუკიდებელი ელემენტია თუ **იდ** ბოლოსართის ნაწილი?

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო მცდელობა ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისა. შევეცდებით თვალი გადავავლოთ ამ საკითხის შესახებ არსებულ მოსაზრებებს და ჩვენეული შეფასება მივცეთ ფაქტებს...

14.2. -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა პარადიგმა ძველ ქართულში და მასთან დაკავშირებული პრობლემები

მსჯელობას დავიწყებთ ბოლო კითხვიდან: როგორ უნდა იქნეს გააზრებული **-იდ** დაბოლოება:

III პირის ფორმას ა. შანიძე ასეთ ახსნას აძლევს: „იმ ზმნებს, რომელთაც თემის ნიშნად **-ავ** და **-ამ** აქვთ, უწყვეტლის 1-ლისა და მე-2 სუბ. პირის ფორმებში (სათანადოდ I ბრძანებითის ფორმებში) თემის ნიშნის ხმოვანი **ა** შეეცვლებათ **ე**-დ, ხოლო მე-3 სუბ. პირის ფორმებში **ი**-ნის საშუალებით დაუკავშირდება **დ** სავრცობს, რის გამოც წინამავალი ხმოვანი, თემის ნიშნისა, ამოღებულ იქნება: ვკლავ, ჰკლავ, კლავს, ვკლევდ(ი), ჰკლევდ(ი), კლვიდა; შევაბემდ(ი), შეაბემდ(ი), შეაბმიდა. მე-3 სუბ. პირში ამგვარად მიღებული ფუძე გადადის უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითის (I მყოფადის) ყველა სუბ. პირში: ვკვლიდი, ვკვლიდე, შევაბმიდი, შევაბმიდე და სხვა“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 94).

მოვლენის ახსნა ამგვარივეა „გრამატიკის საფუძვლებში“: „**ავ**იან და **ამ**იან ზმნებში ძველად **ა**-ს **ე** ცვლიდა პირველსა და მეორე სუბ. პირში, მესამეში კი **დ**ნის წინ **ი** ჩნდებოდა, რომელიც წინამავალ ხმოვანს ამოიღებდა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 425).

სურათი ასეთია:

1. **ავ** → **ევ** (მიზეზი არ სახელდება)
2. **ევ-დ** → **ევ-ი-დ** (**ი** ჩნდებაო; თანხმოვანგამყარი?)
3. **ევ-ი-დ** → **ვ-ი-დ** (რედუქცია ივარაუდება)

შენიშვნა: ფაქტობრივ, ეს თვალსაზრისი არის წარმოდგენილი და გაცილებით უფრო „ღრმად“ ლ. კიკნაძის საკმაოდ ვრცელ ნაშრომში (ლ. კიკნაძე, 1947, გვ. 317-344), თუმცა მსჯელობას დამაჯერებლობა აკლია. ლ. კიკნაძის ნაშრომზე დაყრდნობით ამავე აზრს ეთანხმებიან ი. და ვ. იმნაიშვილები (ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, გვ. 126-129).

პროცესის ამგვარი გააზრება კითხვებს ამრავლებს:

ა) რა არის მიზეზი **ა→ე** გადაბგერებისა?
ბ) რა ფონეტიკური აუცილებლობა იყო **ი** ხმოვნის გაჩენისა III პირში, როცა ასეთი რამ არ ხდება I-II პირებში (იგივე თანხმოვანკომპლექსი წარმოიქმნება — **ვდ**)?
გ) გაჩენილ ხმოვანს (თანხმოვანგასაყარს!) შესწევს კი ძალა სუფიქსისეული ხმოვნის რედუქციისა? ცხადია, არა.

ყველა ეს კითხვა ეჭქვეშ დაგვაყენებინებს მოვლენის ახსნის წარმოდგენილი ვარიანტის ჭეშმარიტებას.

III პირის ფორმაში წარმოდგენილ დაბოლოებას (იდ) ერთ ოდენობად არ განიხილავს არნ. ჩიქობავაც. თუმცა მოვლენის ახსნა პრინციპულად განსხვავებულია: ავტორი, ერთი მხრივ, I-II და, მეორე მხრივ, III პირის ფორმებში წარმოდგენილ ფუძეთა სხვაობას ამგვარად ხსნის: „აქ **ორი განსხვავებული წარმოება** უნდა გვქონდეს: ერთი **-ევ-** სუფიქსიანია, მეორე **-ავ-** სუფიქსიანი. ორივე ეს სუფიქსი „აწმყოსია“, ოღონდ პირველს არაფერი დაერთვის, მეორეს კი **-ი** დაერთვოდა“ (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 99).

ორგვარი პარადიგმა ივარაუდება აწმყოში:

I.	ვ-ჰ-კითხ-ევ	II.	ვ-ჰ-კითხ-ვ-ი (← ვჰკითხავი)
	ჰ-კითხ-ევ		ჰ-კითხ-ვ-ი
	ჰ-კითხ-ევ-ს		ჰ-კითხ-ვ-ი-ს

შესაბამისად უწყვეტლის პარადიგმა იქნებოდა:

ვ-ჰ-კითხ-ევ-დ	ვ-ჰ-კითხ-ვ-ი-დ
ჰ-კითხ-ევ-დ	ჰ-კითხ-ვ-ი-დ
ჰ-კითხ-ევ-დ-ა	ჰ-კითხ-ვ-ი-დ-ა

ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტს, რომ **ი** აწმყოდან გადმოყოლილ სუფიქსად გაიაზრება და იგი გატოლებულია **ქმნ-ი-ს** ტიპის ზმნათა აწმყოში გამოვლენილ **ი** სუფიქსთან, რომელიც უწყვეტელშიც გადაჰყვება: ქმნ-**ი**-დ-ა; ეს იგივე ე. წ. **ი** თემის ნიშანია...

ამგვარი განმარტებით **-ავ** სუფიქსისეული ხმოვნის დაკარგვის საფუძველი **-ი** სუფიქსია...

საგულისხმოდ მიგვაჩნია ის დაკვირვებაც, რომ უწყვეტლის ორივე პარადიგმის ყველა წევრი რეალური ფორმაა, ძველ ქართულში: „**-ვიდ-**

(ჰკითხვიდა) მესამე პირში გვხვდება, **-ევ-დ-** (ვჰკითხევდ, ჰკითხევდ) პირველსა და მეორეშიო; ეს მთლად ზუსტი არაა; მართალია, **-ვ-ი-დ-** ჩვეულებრივად მესამე პირში დასტურდება, მაგრამ პირველსა და მეორე პირშიც შეიძლება შეგვხვდეს. ამისდა კვალად **-ვ-ი-დ-** ტიპს საკუთარი სამივე პირი ეწარმოებოდა: ვჰკითხვიდ-ი, ჰკითხვიდ-ი, ჰკითხვიდ-ა. **-ევ-დ-** თითქოს მხოლოდ და მხოლოდ პირველი ორი პირითაა წარმოდგენილი; მაგრამ არ ითქმის, მესამეში არ გვხვდებაო, მეტად იშვიათად, მაგრამ მესამე პირშიც გვაქვს“ (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 99). ეს განსაკუთრებით ითქმის საშუალი ქართულის შესახებ (ი. ღუტიძე, 1999-ბ).

I პარადიგმის III პირის (-ევ-დ-ა/ეს) არაერთი მაგალითი დაადასტურა ზ. სარჯველაძემ X-XI საუკუნეების ძეგლებში (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 448), თუმცა ავტორი მათ მეორეულად მიიჩნევს, „ხდება პარადიგმის გასწორებაო“.

არნ. ჩიქობავას აზრით, მოხდა I და II პარადიგმის ფორმათა შერწყმა: „**-ევ-დ-** (პირველი ორი პირისა) და **-ვ-ი-დ-** მესამე პირისა“ (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 100); მივიღეთ ე. წ. „შერეული პარადიგმა“, რაც არაა უჩვეულო მოვლენა ქართულისათვის. ამგვარი შერევის შედეგია სუპლეტური პარადიგმები (იხ. § 10); ასეთი არაა იშვიათი წყვეტილის წარმოებაშიც (იხ. § 24.4). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოვლენას დიალექტური ახსნა ეძლევა: „**-ევ-დ-** ერთი დიალექტური წრის ფაქტი ჩანს, **-ვ-ი-დ-** მეორისა (**-ე-ვ-დ-** წარმოებასაც, **-ვ-ი-დ** წარმოებასაც თავისი ყველა პირი მოეპოვებოდა“) (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 100).

ამ უკანასკნელი თვალსაზრისის დასტურად გვეჩვენა ის ფაქტიც, რომ ახალი ქართულის დიალექტებში ორივე ტიპის პარადიგმა გვაქვს (ცხადია, სალიტერატურო ნორმატიული პარადიგმის გვერდით):

I. ვ-მალ-**ავ-დ**-ი	II. ვ-მალ-**ევ-დ**-ი	III. ვ-მალ-**ვ-იდ**-ი
მალ-**ავ-დ**-ი	ვ-მალ-**ევ-დ**-ი	მალ-**ვ-იდ**-ი
მალ-**ავ-დ**-ა	ვ-მალ-**ევ-დ**-ა	მალ-**ვ-იდ**-ა

I პარადიგმა, როგორც ვთქვით, გვაქვს სალიტერატურო ქართულსა და დიალექტეთა უმრავლესობაში (ქართლური, კახური, ქვემოიმერული...); II პარადიგმა გვაქვს ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებსა და ზემოიმერულში; III პარადიგმა — გურულსა და აჭარულში (სპორადულად რაჭულშიც) (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 377-379; ი. ღუტიძე, 1999-ა).

ასე რომ, ძველი ქართულისათვის (და ახალი ქართულის დიალექტებისათვის) ფაქტია **-ავ/-ევ, -ამ/-ემ** სუფიქსთა პარალელური პოვნიერება. არსებობს ა/ე ხმოვანთა ურთიერთმიმართების სხვაგვარი ახსნაც: უწყვეტლის პარადიგმაში **-ავ/-ამ** სუფიქსისეული ხმოვნის უმლაუტი მოახდინა **-იდ** სუფიქსისეულმა **ი**-მ, თავად კი დაიკარგაო; ანუ: მალ-ავ-იდ-ა → მალ-ევ-იდ-ა → მალ-ევ-დ-ა (გ. დეეტერსი, 1930, გვ. 134). მისაღებია ამ თვალსაზრისის კრიტიკა (არნ. ჩიქობავა, 1964, გვ. 129). სხვა თვალსაზრისით, შორეულ ისტორიულ წარსულში პარალელურ ვარიანტთაგან ამოსავლად **ე** ხმოვანიანი ვარიანტი მიიჩნევა (არნ. ჩიქობავა, 1964, გვ. 128); თუმცა ამჯერად ჩვენი ინტერესი ასე შორს არ მიდის.

ერთი კია: პარალელური **ა** || **ე** (და **ო**-ც) ხმოვნიანი ვარიანტების არსებობა სუფიქსებისა არაა უჩვეულო ქართულისათვის. ვ. თოფურია ამგვარი სახით წარმოგვიდგენს სუფიქსთა სისტემას ქართულში:

-ავ,	**-ამ,**	***-აბ,**	***-აფ**	**-ან,**	**-ალ,**	**-არ,**	**-ად,**
-ევ,	**-ემ,**	**-ებ,**	***-ეფ**	**-ენ,**	**-ელ,**	**-ერ,**	**-ედ,**
-ოვ,	**-ომ,**	**-ობ,**	**-ოფ**	**-ონ**	**-ოლ,**	**-ორ,**	**-ოდ.**

(ვ. თოფურია, 1942, გვ. 489)

ამგვარად, **ა** და **ე** ხმოვნიანი ვარიანტების არსებობა **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა უღლებაში გამონაკლისი არ ჩანს, თუმცა კითხვა ისევ იჩენს თავს: რატომ მოხდა უწყვეტლის პარადიგმაში ფორმათა შერევა? არც ეს მოვლენა ჩანს უცხო და უჩვეულო ქართულისათვის: I-II პირის ფორმათა ერთგვაროვნება და განსხვავება III პირის ფორმისაგან. ამ მოვლენაზე ვრცლად გვქონდა საუბარი (იხ. § 10).

ზემოწარმოდგენილი მსჯელობებიდან ფაქტია, რომ **-ვიდ-** დაბოლოებაში **ი** და **დ** ელემენტები სხვადასხვა ოდენობებადაა მიჩნეული (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ლ. კიკნაძე...).

-ავ თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის ფორმებზე მსჯელობისას **იდ** დაბოლოებას დაუშლელად, ერთ მორფოლოგიურ ოდენობად წარმოადგენს გ. დეეტერსი (გ. დეეტერსი, 1930, გვ. 134). მისი აზრით, **-ევ-დ-** და **-ვ-იდ-** დაბოლოებათათვის ამოსავალია **-ავ-იდ-.** ერთი მხრივ, **-ავ-იდ** დაბოლოების **ი** იკარგება და იწვევს წინამავალი **ა** ხმოვნის უმლაუტს (ა → ე); მეორე მხრივ, **ი** იწვევს წინამავალი ხმოვნის რედუქციას. ანუ, ამოსავალი **-ავ-იდ-** დაბოლოების განვითარების ორი

გზის შედეგად მივიღეთ ორგვარი დაბოლოება, რომლებიც ერთი პარადიგმის ფარგლებში გადანაწილდა:



რამდენად არის შესაძლებელი ორგვარი განვითარება მოვლენისა და რატომ მოხდა ეს ერთი პარადიგმის ფარგლებში, ამის თაობაზე არაფერია თქმული... მაგრამ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ორ მომენტს: ა) **ვ** (ვიდ დაბოლოებისა) არის **ავ** სუფიქსის ხმოვანდაკარგული ვარიანტი და ბ) **იდ** ერთ მორფოლოგიურ ოდენობად არის გააზრებული. თუმცა არაა საუბარი **იდ** ფორმანტის რაობაზე. ორივე ეს თვალსაზრისი ჩვენთვის მისაღებია და დამაჯერებელი...

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ვ. თოფურიას თვალსაზრისი ჩვენთვის საინტერესო დაბოლების (**იდ**) შესახებ. 1931 წელს „სვანურ ზმნაში“ ნამყო უსრულის ფორმანტთა ფუნქციების განხილვისას ავტორი შენიშნავს: „ქართულსა და მეგრულში ნამყოუსრულს **-დ** აწარმოებს (თუ, რა თქმა უნდა, **-ი** სუფიქსიან გარდაუვალებში გამოვლენილ **-ო**-ს [ვდი-ო-დ-ი, ტირ-ო-დ-ა] მხედველობაში არ მივიღებთ). სქ.: და აგრეთვე -ავ, -ამ სუფიქსიანებში სავარაუდებელ **-იდ**'საც“ (ვ. თოფურია, 1967, გვ. 103).

უწყვეტლის **-დ** სუფიქსის გვერდით აყენებს ავტორი **ოდ** და **იდ** (-ავ/-ამ სუფიქსიანებში გამოვლენილ) სუფიქსებს.

შენიშვნა: **ოდ** სუფიქსის (ტირ-**ოდ**-ა) დაშლილი სახით წარმოდგენა, ვფიქრობთ, ხაზგასმაა **დ** და **ოდ** სუფიქსთა გენეტურ (და ფუნქციურ?) იგივეობაზე.

სვანურის ნამყო უსრულის ფორმანტთაგან — **-დ, -და, -გდ, -გდა** — ვ. თოფურიას აზრით, „ძირითადი ფორმანტია **-გდ**. აი, აქ გრძელდება მსჯელობა ჩვენთვის საინტერესოდ (სქოლიოში):

„დამაფიქრებელია ძველს ქართულსა და დიალექტებში ნამყოუსრულისა და კონიუნქტივი I-ის წარმოებისას **-ავ** და **-ამ** სუფიქსიან ზმნათა ფუძის შეცვლა, სახელდობრ:

შ ე ვ ს წ ი რ - ე ვ - დ მადლობასა (წყაროთა მითითებას ციტატაში

აღარ გადმოვწერთ — გ. გ.) — შ ე ვ ს წ ი რ - ვ - ი დ - ე - თ.

შ ე ს წ ი რ - ე ვ - დ - ი თავსა თჯსსა მსხუერპლად;

შ ე ს წ ი რ - ვ - ი დ - ა მსხუერპლთა სულიერთა;

გ ა ს თ ე ლ - ე ვ - დ - ა (ხევს.)... კლ-ევ-დ-ეს, უზ-ემ-დ-ა, უბ-ემ-დ-ით, ფარ-ვ-იდ-ა, დგ-მ-იდ-ა (ფერეიდნ.)... და ასე ზემოიმერულსა, ჯავახურსა და სხვაში. თუ დამტკიცდა, რომ შესწირვიდა ← *შესწირ-ავ-იდ-ა, ხოლო შევსწირ-ევ-დ ← *შევსწირ-ავ-იდ, ე. ი. პირველ მაგალითში **-ა**-ს რედუქციას აქვს ადგილი და მეორეში კი ამოღებული **-ი**-ს მიერ წინამავალი **-ა**-ს დამსგავსებას, მაშინ ქართ. ნამოყოფსრულის მაწარმოებელ **-იდ** ფორმანტის შესატყვისად სვანურში **-გდ** თავისუფლად დაიშვება“ (ვ. თოფურია, 1967, გვ. 105).

საგულისხმოა, რომ ვ. თოფურია ფაქტობრივ იზიარებს გ. დეეტერსის თვალსაზრისსა და შეამაგრებს მას სვანურ შესატყვის მასალასთან შედარებით, თუმცა გ. დეეტერსის ნაშრომზე მითითება არ ხდება. სხვა შემთხვევაში ვ. თოფურია განმარტავს: „ეს საყურადღებო გამოკვლევა (გ. დეეტერსი, 1930 — გ. გ.), სამწუხაროდ, მხოლოდ მაშინ შევძელით დაგვემუშავებინა, როცა გვერდები შეკრული იყო, ამიტომ იგი სათანადო ადგილას არ არის გამოყენებული“ (ვ. თოფურია, 1967, გვ. 242). ეს შენიშვნა იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც შეხედულება **-იდ** სავრცობის თაობაზე დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული ჩანს; მით უმეტეს, სვანურ მასალასთან მისი დაკავშირება. ვფიქრობთ, სავსებით გასაზიარებელია ვარაუდი — **-ავ-იდ** → **ვ-იდ** — პროცესის თაობაზე; თუმცა, როგორც გ. დეეტერსის შეხედულებასთან დაკავშირებით ვთქვით, დამაჯერებლობა აკლია **ავ-იდ** → **ავ- დ** → **ევ -დ** პროცესის დაშვებას.

იდ დაბოლოებას ერთ ფორმანტად გაიაზრებს ზ. სარჯველაძეც; -ავ/-ამ თემისნიშნიანი ზმნების შესახებ მსჯელობისას დაასკვნის: „თუ თემის ნიშანი უხმოვნო ვარიანტითაა წარმოდგენილი (-ვ, -მ), სავრცობად **-იდ** გვევლინება“ (ზ. სარჯველაძე, 1997, გვ. 113). თუმცა ამ თვალსაზრისს წიგნის რედაქტორი, პროფ. კ. დანელია, სადავოდ მიიჩნევს (იქვე, გვ. 4).

-დ სუფიქსის ტოლფას ოდენობად გაიაზრებს **-იდ** დაბოლოებას ბ. ჯორბენაძეც (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 376).

-იდ დაბოლოების **-დ** და **-ოდ** სავრცობთა ტოლფას ოდენობად გააზრებისათვის ღირსსაცნობია მთის დიალექტთა ჩვენება:

ფშაურის, ხევსურულისა და თუშურის ხოლმეობითის მწკრივთა წარმოება ნათელი მაგალითია იმისა, რომ **-იდ** და **-ოდ** სხვადასხვა დი-

ალექტთა მიერ ერთი და იმავე მორფოლოგიური დანიშნულებით გამოყენებული სუფიქსებია:

თუშურ-ხევსურული	**ფშაური**
I ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი	
ვ-წერ-დ-**იდ**-ი(თ)	ვ-წერ-დ-**ოდ**-ი(თ)
ს-წერ-დ-**იდ**-ი(თ)	ს-წერ-დ-**ოდ**-ი(თ)
წერ-დ-ი-ს/ან	წერ-დ-ი-ს/ან
II ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი	
(და)-ვ-წერ-**იდ**-ი(თ)	(და)-ვ-წერ-**ოდ**-ი
(და)-ს-წერ-**იდ**-ი(თ)	(და)-ს-წერ-**ოდ**-ი
(და)-წერ-ი-ს/ან	(და)-წერ-ი-ს

ამ საკითხს ვრცლად განვიხილავთ 26-ე პარაგრაფში. წინსწრებით დავიმოწმებთ მომდევნო მსჯელობას: ის ფაქტი, რომ თუშურში, ხევსურულსა და ფშაურში ხოლმეობითის მწკრივთა წარმოებაში არსებითი მსგავსებაა — I-II პირის ფორმათა გართულება ხდება სავრცობი ელემენტით (-ოდ/-იდ) — კონვერგენციის პროცესის მოქმედების შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული.

რაც შეეხება არსებით განსხვავებას — თუშურ-ხევსურული **-იდ**, ფშაური — **-ოდ** — დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციის მოქმედების შედეგი უნდა იყოს: ამ შემთხვევაში დიალექტური განსხვავებულობისადმი, დიალექტური თავისებურებებისადმი დამოკიდებულება შეგნებულია — ენობრივი ცნობიერების დონეზე ხდება. ფშაველი თავის ფშავლობას განსხვავებული ენობრივი ფორმებით წარმოადგენს. ისევე, როგორც ხევსური (თუ თუში) თავის ხევსურობას (თუ თუშობას) სწორედ ხევსურული (თუ თუშური) მეტყველების თავისებურებებით გამოავლენს.

ამჯერად ჩვენთვის არსებითი ის არის, რომ ერთი და იმავე მიზნით ტოლფასი ენობრივი საშუალებებიდან (-იდ/-ოდ) ერთი დიალექტი ერთ მაწარმოებელს გამოიყენებს, მეორე — სხვას.

ამას მივიჩნევთ ჩვენ ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად იმის სამტკიცებლად, რომ **-იდ** არის **-დ** და **-ოდ** ფორმანტთა ტოლფასი მორფოლოგიური ოდენობა.

14.3. -დ, -იდ, -ოდ სავრცობთა განაწილების საფუძველი I სერიაში

დავუბრუნდეთ თემის სავრცობთა თაობაზე გამოთქმულ თვალსაზრისს:

-ოდ ს ა ვ რ ც ო ბ ს დ ა ი რ თ ა ვ ს —

ა) ვნებითი გვარის ყველა ზმნა (იზრდება — იზრდებ-ოდ-ა, ემალება — ემალებ-ოდ-ა, ბერდება — ბერდებ-ოდ-ა, თბება — თბებ-ოდ-ა). გავიხსენოთ: მწკრივის ნიშნად აწმყოში ვნებითებს **-ი** აქვთ.

ბ) საშუალი გვარის ის ზმნები, რომლეთაც აწმყოში მწკრივის ნიშნად **ი** აქვთ (ხტ-ი-ს — ხტ-ოდ-ა, ყვავ-ი-ს — ყვა(ვ)-ოდ-ა...)

გ) ე. წ. დეპონენსები: (ისვრის — ისრ-ოდ-ა, იტყვის — იტყ-ოდ-ა)

დ) გარდამავალ სტატიკურ ზმნებს: იც-ი-ს — იც-ოდ-ა, უწყ-ი-ს — უწყ-ოდ-ა...

მოქმედებითი გვარის ზმნებს, ა. შანიძის აზრით, „იქნება ეს თემა მარტივი თუ რთული, სულ ერთია, ორთავ უნდა დაემატოს **-დ**, რომელსაც სავრცობი ჰქვია“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 409). ვთქვით ისიც, რომ ა. შანიძისათვის **-იდ** სავრცობი არ არსებობს...

ჩვენი ზემოწარმოდგენილი მსჯელობიდან გავიხსენოთ: **ზრდ-ი-ს** ტიპის ზმნებში **-ი** მწკრივის ნიშანია და, შესაბამისად: სავრცობიან მწკრივებში სავრცობი **-იდ** სუფიქსია:

ვ-ზრდ-ი	ვ-ქმნ-ი	ვ-თოხნ-ი
ვ-ზრდ-**იდ**-ი	ვ-ქმნ-**იდ**-ი	ვ-თოხნ-**იდ**-ი
ვ-ზრდ-**იდ**-ე	ვ-ქმნ-**იდ**-ე	ვ-თოხნ-**იდ**-ე

მივაქციოთ ყურადღება: სამი ჯგუფი გამოიყოფა ე. წ. **ი** თემისნიშნიან ზმნებში (ა. შანიძე, 1973, გვ. 394):

ა) ზმნები, რომელთა საყრდენ ძირეულ მორფემაში **ა** ხმოვანია რედუცირებული:

ვ-**ზრდ**-ი	—	ვ-**ზარდ**-ე
ვ-**თლ**-ი	—	ვ-**თალ**-ე
ვ-**თხრ**-ი	—	ვ-**თხარ**-ე
ვ-**სჭ**-ი	—	ვ-**საჭ**-ე
ვ-**ღვრ**-ი	—	ვ-**ღვარ**-ე
ვ-**ცდ**-ი	—	ვ-**ცად**-ე...

ბ) ზმნები, რომელთა საყრდენ ძირეულ მორფემაში **ე** ხმოვანი არის რედუცირებული:

ვ-**ბრდღვნ**-ი	—	(და)ვ-**ბრდღვენ**-ი
ვ-**ქმნ**-ი	—	(შე)-ვ-**ქმენ**-ი
ვუ-**ძღვნ**-ი	—	ვუ-**ძღვენ**-ი
ვ-**ცრ**-ი	—	(გა)-ვ-**ცერ**-ი
ვ-**ჭრ**-ი	—	(გა)-ვ-**ჭერ**-ი...

გ) ზმნები, რომელთაც „თემის ნიშნის წინ ინფიქსი **ნ** აქვს“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 394):

ვ-გზავნ-ი	ვ-თოხნ-ი
ვ-კოცნ-ი	ვი-პოვნ-ი
ვ-ძებნ-ი	ვ-ჯობნ-ი

როგორც ვთქვით, ბოლოკიდური **ნ** აფიქსად მიიჩნევა; ჩვეულებრივ არ ჭირს მისი გამონაწევრება (შდრ.: ა-კოც-ა, ე-ძებ-ა, ი-პოვ-ა, ა-ჯობ-ა...); თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ I და II ჯგუფის ზმნათათვის აწმყოს ფორმის საყრდენი შეკუმშული მორფემაა, III ჯგუფის ზმნათა **ნ** ბოლოსართიც ხმოვანდაკარგულ სუფიქსად უნდა იქნეს გააზრებული. შესაბამისად, ე. წ. **ი** თემისნიშნიანი ყველა ზმნისათვის **ი** სუფიქსის საყრდენი მორფემა ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველი მორფემაა; ანუ: **-იდ** სავრცობს დაირთავს ის მოქმედებითი გვარის ზმნები, რომელთა საყრდენი მორფემა რედუცირებადი ხმოვნის შემცველი მორფემაა (ძირეული თუ სუფიქსური)...

ხოლო, რომელთა საყრდენი მორფემა მარცვლოვანია და არ კარგავს ხმოვანს, **-დ** სუფიქსს დაირთავს უწყვეტელში: ვ-**წერ**-დ-(ი), ვა-კეთ-**ებ**-დ-(ი), ვ-**გრეხ**-დ-(ი)...

გავიხსენოთ, **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნები ძველ ქართულში ფორმაწარმოებისას ყველა შემთხვევაში ხმოვანს კარგავდნენ: მალ-**ავ**-ს — მალ-**ვ**-ენ, მალ-**ვ**-ა; დგ-**ამ**-ს — დგ-**მ**-ენ, დგ-**მ**-ა...

შესაბამისად უწყვეტელში, სადაც **ავ/ამ** თემისნიშნიანი ფორმებია, სავრცობი არის **-იდ-**:

მალ-**ვ-იდ**-ა, სუ-**მ-იდ**-ა...

შევადაროთ: **-ევ/-ემ** სუფიქსები ფორმაწარმოებისას ხმოვანს არ კარგავენ; შესაბამისად, უწყვეტლის ფორმებში, სადაც **-ევ/-ემ** ივარაუდება, **-იდ** სავრცობი გვაქვს:

ვ-მალ-**ევ-დ**-(ი), ვ-სუ-**ემ-დ**-(ი)...

ღირსსაცნობი ფაქტია ისიც, რომ დიალექტთა იმ ჯგუფში, სადაც **-ავ/-ამ** თემის ნიშნები აწმყოში ხმოვანს კარგავენ, უწყვეტლს **-იდ** სავრცობით იწარმოებენ (გურული, აჭარული, რაჭული):

აწმყო: მალ-**ვ-ენ**, დგ-**მ-ენ**...

უწყვეტელი: მალ-**ვ-იდ**-ა, დგ-**მ-იდ**-ა... აჭარულსა და რაჭულში პარალელურად შეიძლება **-ევ/-ემ** სუფიქსიანი უწყვეტელიც შეგვხვდეს; შესაბამისად სავრცობი იქნება **-დ**:

მალ-**ევ-დ**-ა, დგ-**ემ-დ**ა...

დიალექტებში, სადაც **-ავ/-ამ** არ არიან კუმშვადნი, უწყვეტელს **-დ** სავრცობით იწარმოებენ:

მალ-**ავ-ენ** — მალ-**ავ-დ**-ა

დგ-**ამ-ენ** — დგ-**ამ-დ**-ა...

ამგვარად: ე. წ. **ი** თემისნიშნიანი ზმნების, **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა ძველი ქართულის უწყვეტლის პარადიგმისა და თანამედროვე ქართულის დიალექტთა მონაცემების გათვალისწინება ასეთი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა: მოქმედებითი (და საშუალ-მოქმედებითი) გვარის ზმნები სარვცობიან მწკრივებს **-დ** და **-იდ** სუფიქსებით იწარმოებენ. **-დ** გვაქვს მარცვლოვანი საყრდენი მორფემის შემთხვევაში (**წერ-დ-ა,** აკეთ-**ებ-დ**-ა, მეფ-**ობ-დ**-ა, **ყოფ-დ-ა,** ც-**ემ-დ**-ა...); **-იდ** დაერთვის ხმოვანდაკარგულ უმარცვლო საყრდენ მორფემას (**ზრდ-იდ**-ა, **ცრ-იდ**-ა, მალ-**ვ-იდ**-ა, დგ-**მ-იდ**-ა).

ამ დასკვნას ისიც უნდა დაემატოს, რომ თემის ნიშანთა სისტემაში **-ი** არ უნდა იქნეს განხილული: იგი აწმყოს მწკრივის საკუთრებაა.

14.4. სავრცობთა გამოყენება სხვა სერიებში და აღძრული კითხვები

-დ, -ოდ, -იდ სუფიქსები სავრცობად იწოდება; ერთ შემთხვევაში მას თემის სავრცობს უწოდებენ (ა. შანიძე, 1930, გვ. 138), სხვა ავტორთან მწკრივის სავრცობს (ზ. სარჯველაძე, 1997, გვ. 84). საუბრობენ მარტივ, რთულ და გავრცობილ თემაზედაც (ა. შანიძე, 1930, გვ. 138). უწყვეტლის სუფიქსსაც უწოდებენ (ა. შანიძე, 1920, გვ. 154). წარმოდგენილ სუფიქსებს მარტივად ს ა ვ რ ც ო ბ ს ა ც უწოდებენ (ა. შანიძე, 1973, გ. 388)...

არნ. ჩიქობავა **-დ** სუფიქსს ნამყო უსრულის (ე. ი. უწყვეტლის) სუფიქსად მიიჩნევს (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 54 და შმდ.). საინტერე-

სოა ის, რომ **-ოდ** სუფიქსს მკვლევარი რთულ ოდენობად გაიაზრებს და უწყვეტლის სუფიქსად ამ შემთხვევაშიც **-დ**-ს მიიჩნევს — „**-ო** ცხადყოფს ამოსავალ ფუძეში **-ი**-ს თანაპოვნიერებას: ვიდ-ი-ს — ვიდ-ო-დ-ა (შდრ. ყჯრ-ი-ს — ყჯრ-ო-დ-ა)“ (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 56). ასევე რთულად გაიაზრებს **-იდ** სუფიქსაც **ი-დ**: „**ზრდიდა** ტიპის ფორმებში **ი** აწმყოს სუფიქსია“ (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 062), ხოლო ხევსურულ-თუშურ ხოლმეობითებში (ვთქვ-**ი-დ**-ი) **დ**-ს წინა **ი** ხოლმეობითის ნიშანია; საკმაოდ რთულად გაიაზრება **ო**-ს (ო-დ) რაობაც: „**-დ** სუფიქსს ხევსურულში **-ი-** უსწრებს, ფშაურში — **-ო**; **არც ერთი და არც მეორე ნამყო უსრულის სუფიქსის კუთვნილება არაა**: -ი-(-ო-) საყრდენი ფუძისა, ხოლმეობითისაა; ხევსურულში იგი უცვლელად გადაჰყვება ნამყო უსრულში, ფშაურში — **-ი**-ს ადგილას **-ო-** იჭერს (საფიქრებელია, რომ ეს **-ო-** მიღებული იყო წინამავალ **-ვ**-სთან შერწყმით; ამ **ვ**-ს მქონებლობა დიალექტური ნორმა უნდა ყოფილიყო)...

ხევსურული **-ი-დ,** ფშაური **-ო-დ** და არქაული ნამყო უსრულის **-ო-დ** (იგულისხმება შერეული კავშირებითი — გ. გ.) სუფიქსები გარდაუვალობა — გარდამავლობას არ განასხვავებს; სალიტერატურო ქართულში კი **ო-დ** გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება, **-ი-დ-** — გარდამავალთან; ამ სუფიქსთა ასეთი გამოყენება მეორეული უნდა იყოს“ (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 86-87). ამ მსჯელობას წინააღმდეგობები ახლავს, რასაც ავტორიც ხედავს. ჩვენთვის არსებითი იყო ჩვენება აზრთა სხვადასხვაობისა.

ცხადია, დღეს **-ოდ** (და -იდ!) სუფიქსის დაშლის საფუძველს ვერ ვხედავთ, მით უმეტეს, დაშლის შემთხვევაში დამოუკიდებელ ფუნქციებს. არათუ დამოუკიდებელ ფუნქციებს **ო** და **დ** ელემენტებისა, თავად **-დ, -ოდ** და **-იდ** სუფიქსთა მორფოლოგიური დანიშნულებაც (ფუნქციაც) არ არის ნათელი.

ძველისა თუ ახალი ქართულის მონაცემთა გათვალისწინება **-დ, -იდ** და **-ოდ** სუფიქსთა გამოყენების განსხვავებულ არეალებს წარმოაჩენს (ესეც მიანიშნებს მათ განსხვავებულობაზე...).

ყველაზე მეტად შეზღუდული **-დ** სუფიქსის გამოყენებაა (მხედველობაში მაქვს მწკრივთა წარმოების შესაძლებლობა): იგი არის საყრდენი ფუძის ნაწილი მხოლოდ I სერიის მწკრივთათვის: ახალ ქართულში უწყვეტლისა და I კავშირებითისათვის; ძველ ქართულში — უწყვეტლის, I ხოლმეობითისა და I კავშირებითისათვის:

	ახალი ქართული	ძველი ქართული
უწყვეტელი	ვ-წერ-**დ**-ი	ვ-წერ-**დ**-(ი)
I კავშ.	ვ-წერ-**დ**-ე	ვ-წერ-**დ**-ე
I ხოლმ.		ვ-წერ-**დ**-ი

-იდ სუფიქსი ახალ სალიტერატურო ქართულში საყრდენი ფუძის ნაწილია უწყვეტლისა და I კავშირებითისათვის; ძველ ქართულში — დამატებით I ხოლმეობითისათვის; დიალექტებში (ხევსურულსა და თუშურში) აგრეთვე II ხოლმეობითში:

	ახ. ქართული	ძვ. ქართული	ხევსურული
უწყვ.	ვ-თლ-**იდ**-ი	ვ-თლ-**იდ**-(ი)	ვ-თლ-**იდ**-ი
I კავშ.	ვ-თლ-**იდ**-ე	ვ-თლ-**იდ**-ე	ვ-თლ-**იდ**-ა
I ხოლმ.	—	ვ-თლ-**იდ**-ი	ვთლ-იდ-**იდ**-ი (ვ-წერ-დ-**იდ**-ი)
II ხოლმ.		ვ-თალ-ი	ვ-თალ-**იდ**-ი

-ოდ ახალ სალიტერატურო ქართულში საყრდენი ფუძის ნაწილია უწყვეტლისა და I კავშირებითისათვის; გამოიყენება II თურმეობითსა და III კავშირებითში ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან; ძველ ქართულში ამას ემატება I ხოლმეობითი და შერეული კავშირებითი; ფშაურში I ხოლმეობითი და II ხოლმეობითი:

	ახ. ქართული	ძვ. ქართული	ფშაური
უწყვ.	ვ-თბებ-**ოდ**-ი	ვ-ტფ-ებ-**ოდ**-ე	ვ-თბ-ებ-**ოდ**-ი
I კავშ.	ვ-თბებ-**ოდ**-ე	ვ-ტფ-ებ-**ოდ**-ი	ვ-თბ-ებ-**ოდ**-ე
I ხოლმ.	—	ვ-ტფ-ებ-**ოდ**-ი	ავაშენებ-დ-**ოდ**-ი
II ხოლმ.	—	—	ავაშენ-**ოდ**-ი
შერ. კავშ.	—	შევ-წირ-**ოდ**-ი	—
II თურმ.	გავ-ზრდ-**ოდ**-ი	დავ-მალვ-**ოდ**-ე	გავ-ზრდ-**ოდ**-ი
III კავშ.	გავ-ზრდ-**ოდ**-ე	დავ-მალვ-**ოდ**-ი	გავ-ზრდ-**ოდ**-ე

როგორც ვხედავთ, სავრცობიანი მწკრივებია (სხვადასხვა ტიპის ზმნათათვის და სხვადასხვა სავრცობთათვის):

უწყვეტელი (ძვ. ქართ., ახალი ქართ., დიალექტები)
I კავშირებითი (ძვ. ქართ., ახალი ქართ., დიალექტები)
I ხოლმეობითი (ძვ. ქართ., დიალექტები)

II ხოლმეობითი (დიალექტები)
შერეული კავშ. (ძვ. ქართული)
II თურმეობითი (ძვ. ქართ., ახალი ქართ., დიალექტები)
III კავშირებითი (ძვ. ქართ., ახალი ქართ., დიალექტები)

სავრცობთა გამოყენების თვალსაზრისით:

უწყვეტელი	—	-დ,	-იდ,	-ოდ
I კავშირ.	—	-დ,	-იდ,	-ოდ
I ხოლმ.	—	-დ,	-იდ,	-ოდ
II ხოლმ.	—	—	-იდ,	-ოდ
შერ. კავშ.	—	—	—	-ოდ
II თურმ.	—	—	—	-ოდ
III კავშ.	—	—	—	-ოდ

ამ ვითარების გათვალისწინება არაერთ კითხვას დაგვასმევინებს:

1. რა არის ფუნქცია სავრცობისა? მხოლოდ ფუძის წარმოება?

2. შეიძლება თუ არა **-დ** და **-იდ** სუფიქსები ჩაითვალოს ერთმანეთის ვარიანტებად (**-იდ** გახმოვანების სრულ საფეხურზე და **-დ** გახმოვანების ნულ საფეხურზე), თუ გავითვალისწინებთ I სერიაში მათი განაწილების საფუძველს: **-იდ** გვხვდება უმარცვლო საყრდენ მორფემასთან, **-დ** გვხვდება მარცვლოვან საყრდენ მორფემასთან: **ჭრ-იდ**-ა, **თლ-იდ**-ა, ერთი მხრივ, და **წერ-დ**-ა, აკეთ-**ებ-დ**ა, მეორე მხრივ...

3. რა არის მიზეზი იმისა, რომ ძველ ქართულში უწყვეტლისა და I კავშირებითის მაწარმოებლები (-ე, -ი) პირუკუ დაერთვის:

უწყვ.	—	დ-(**ი**);	იდ-(**ი**);	მაგრამ	—	ოდ-**ე**
I კავშ.	—	დ-**ე**;	იდ-**ე**;	მაგრამ	—	ოდ-**ი**

მაგალითები:

უწყვ.	—	ვ-წერ-**დ-(ი)**,	ვ-თლ-**იდ-(ი)**,	მაგრამ	ვ-ტირ-**ოდ-ე**
I კავშ.	—	ვ-წერ-**დ-ე**,	ვ-თლ-**იდ-ე**,	მაგრამ	ვ-ტირ-**ოდ-ი**

გავითვალისწინოთ: სხვაობა გვაქვს I და II პირებში; სუბიექტური მესამე პირის ფორმები იდენტურად იწარმოება: წერ-დ-**ა** / წერ-დ-**ეს**, თლ-იდ-**ა** / თლ-იდ-**ეს** ტირ-ოდ-**ა** / ტირ-ოდ-**ეს**... I ხოლმეობითი კი ორივე ტიპის წარმოებას ერთგვარი აქვს — **ი** სუფიქსიანი:

ვ-წერ-**დ-ი**, ვ-თლ-**იდ-ი**, ვ-ტირ-**ოდ-ი**; ამიტომაც I კავშირებითი და I ხოლმეობითი **ოდ**-იან ზმნებში ერთმანეთს ემთხვევა...

4. რა გახდა საფუძველი იმისა, რომ უწყვეტლისა და I კავშირებითის ფორმათა წარმოების გაერთფეროვნება მოხდა ახალ ქართულში:

უწყვ. ვ-წერ-**დ-ი**, ვ-თლ-**იდ-ი**, ვ-ტირ-**ოდ-ი**,
I კავშ. ვ-წერ-**დ-ე**, ვ-თლ-**იდ-ე**, ვ-ტირ-**ოდ-ე**...

5. ამ ფორმობრივ ცვლილებებთან არის თუ არა კავშირში ის ცვლილება, სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის **-ეს** სუფიქსს **ნ**არიანი მაწარმოებელი რომ ჩაენაცვლა:

ძვ. ქართ.:	ახ. ქართ.:
წერ-დ-ეს (იგინი)	წერ-დ-ენ/ნენ
თლ-იდ-ეს	თლ-იდ-ენ/ნენ
ტირ-ოდ-ეს	ტირ-ოდ-ენ/ნენ

და მაინც (საფიქრებელია): სავრცობთან თუ თემასთან დაკავშირებულ ფორმობრივ ცვლილებებთან ეს ცვლილება (ტირ-ოდ-**ეს** → ტირ-ოდ-**ნენ**) კავშირში არ უნდა იყოს; ეს უკანასკნელი სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემაში მომხდარი სისტემური ცვლილების ასახვაა (იხ. § 12).

5. კითხვათა წყებას აღძრავს თუშურ-ხევსურულ-ფშაური ხოლმეობითები: მაშინ, როდესაც არის ტენდენცია ხოლმეობითის ორგანული წარმოების მოშლისა (იხ. § 26), რატომ გახდა საჭირო ამ დიალექტებში ორგანული წარმოების ფორმათა გართულება (შდრ. მთიულურში, მოხეურში ხოლმეობითები: შენარჩუნებულია ძველი ქართულისებური წარმოებით)? სადაც სავრცობით გართულება არ მოხდა ორგანული წარმოებისა, იქ ნაწილაკიანი წარმოების განვითარება ხდება (მაგ. მოხეურში. იხ. § 26). რატომ?

რატომ არის ერთგან **-იდ** და მეორეგან **-ოდ**, ამ კითხვას თითქოს პასუხიც გავეცით, მაგრამ რატომ მხოლოდ I-II პირის ფორმებს დაერთვის სავრცობი? ეს კითხვა რჩება და ამ დიალექტთა ხოლმეობითის ფორმები დგებიან იმ ფორმათა გვერდით, რომლებშიც წარმოების თვალსაზრისით დაპირისპირებულია, ერთი მხრივ, I-II და, მეორე მხრივ, III პირის ფორმები (იხ. § 10).

7. რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს -იდ/-ოდ ელემენტს ხოლმეობითის დიალექტურ ფორმებში?

I სერია	II სერია
ვა-კეთ-ებ	
ვა-კეთ-ებ-დ-ი	ვა-კეთ-ე
ვა-კეთ-ებ-დ-ე	ვა-კეთ-ო
ვა-კეთ-ებ-დ-ოდ-ი	ვა-კეთ-ოდ-ი

კეთ-ებ — I სერიის თემაა; **კეთ** — მეორე სერიისა; **დ** სავრცობია. ურთიერთჩანაცვლებად მწკრივთათვის საერთო მორფოლოგიური ოდენობა; **-ი, -ე** უწყვეტელსა და I კავშირებითში მწკრივის ნიშნებია; **ოდი?** (შესაბამისად დაისმის კითხვა **-იდ-ი**-ს თაობაზეც)...

იგივე კითხვა დაისმის II სერიაშიც: **-ე, -ო** მწკრივის ნიშნებია; **ოდ-ი** (ანდა: იდ-ი?).

ოდი (იდი) საერთოა I და II ხოლმეობითისათვის. ხოლმეობითის სისტემაში I და II ხოლმეობითები წარმოების თვალსაზრისით ყოველთვის ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებდნენ: მწკრივის (თუ ხოლმეობითის) ნიშანი ჰქონდათ საერთო — **-ი** (აკეთებდ-**ი**-ს, აკეთ-**ი**-ს). ასეა ახლაც. **ოდ** ერთ მორფოლოგიურ ოდენობად ხომ არ უნდა იქნეს გააზრებული, ურთიერთჩანაცვლებად მწკრივთა რიგში მწკრივის ნიშნად?

დავ-წერ-**ე**,
დავ-წერ-**ო**,
დავ-წერ-**ოდი** (დავ-წერ-**იდი**)...

კითხვები სხვაც შეიძლებოდა, პასუხს მომავალი გასცემს...

§ 15. თემის საკითხისათვის -ი ელემენტიან ზმნებში

ი ელემენტს აწმყოში რამდენიმე ტიპის ზმნა დაირთავს.

ა) ვნებითი გვარის ზმნები (ყველა ტიპისა):

ვ-ი-ზრდებ-ი
ვ-ე-მალებ-ი
ვ-ბერდებ-ი
ვ-თბებ-ი

ვნებითებისათვის **ი** დამახასიათებელი იყო ძველ ქართულშიც. არსებითი განსხვავება ახალ ქართულთან ის არის, რომ ძველად აწმყოში ყველა პირის ფორმა დაირთავდა **-ი**-ს, ახალში III პირის მხ. რიცხვის ფორმაში არ გვხვდება:

ძვ. ქართ.:	ვ-ტფ-ებ-ი	ახ. ქართ.:	ვ-თბ-ებ-ი
	ს-ტფ-ებ-ი		თბ-ებ-ი
	ტფ-ებ-ი-ს		თბ-ებ-ა
	ვ-ტფ-ებ-ი-თ		ვ-თბ-ებ-ი-თ
	ს-ტფ-ებ-ი-თ		თბ-ებ-ი-თ
	ტფ-ებ-ი-ან		თბ-ებ-ი-ან

ძნელი სათქმელია: მხ. რიცხვის მესამე პირის ფორმაში **ა**-ს დართვამ გამოიწვია **-ი**-ს დაკარგვა, თუ **ი**-ს დაკარგვის გამო მოხდა **-ს**-ს ჩანაცვლება **-ა** სუფიქსით. უფრო მეტად საგულვებელი ჩანს, **-ი** ელემენტმა შეიცვალა თვისობა და ამის გამო მოხდა **-ა** სუფიქსით ჩანაცვლება... თუმცა მრავლობითში რატომ იქნა შენარჩუნებული, ეს სერიოზული კითხვაა...

თემის საკითხს ეს არ ართულებს: **ი** ელემენტი მხოლოდ აწმყოს მწკრივის საკუთრებაა; იგი ყოველთვის იყო წარმოდგენილი აწმყოს ფორმაში და მასთან აკავშირებენ **-ოდ** სავრცობის გამოვლენას (ა. შანიძე, 1973, გვ. 410, 417), თუმცა მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე საუბარი არ ყოფილა...

ბ) **ი** ელემენტს დაირთავს ერთი ტიპის საშუალი გვარის ზმნები: ვ-ტირ-**ი**, ვ-ჩივ-**ი**, ვ-ყვირ-**ი**, ვ-კივ-**ი**, ვ-კვნეს-**ი**, ვი-ცინ-**ი**... ეს ის ზმნებია, რომლებიც ტენდენციას იჩენენ მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლისას (იხ. § 19). **-ი** ყველა პირის ფორმაში არის აწმყოში (ჩივ-ა, ყივ-ა... დიალექტური ვარიანტებია). სავრცობად ამ ზმნებსაც **-ოდ** მოუდის. აქვე შემოვა ალბათ ვი-ც-ი, ვუ-წყ-ი ზმნებიც. **-ი**-ს ქცევა ამგვარივეა ამ ზმნებშიც:

	ვ-ტირ-ი	ვ-ი-ც-ი
	ს-ტირ-ი	ი-ც-ი
	ტირ-ი-ს	ი-ც-ი-ს
	ვ-ტირ-ი-თ	ვ-ი-ც-ი-თ
	ს-ტირ-ი-თ	ი-ც-ი-თ
	ტირ-ი-ან	ი-ც-ი-ან
და	ვ-ტირ-ოდ-ი,	ვ-ი-ც-ოდ-ი...

თემის საკითხი ამ შემთხვევაშიც მარტივად წყდება: თემა მარტივია, სავრცობად **-ოდ**-ის გამოვლენის მოტივაცია წინა ჯგუფის მაგვარია, თუმცა ერთია: ტირ-ოდ-ა გარდაუვალია, იც-ოდ-ა — გარდამავა-

ლი. არადა მიუთითებენ: „სალიტერატურო ქართულში კი **-ოდ-** გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება, **-იდ-ი** — გარდამავლებთან“ (არნ. ჩიქობავა, 1948(1), გვ. 87)... ასეთ შემთხვევებს ვეძახით გამონაკლისებს, თუმცა ამ გამონაკლისის ახსნის სერიოზული ცდა გვქონდა (არნ. ჩიქობავა, 1948).

გ) განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს დ-ი-ს (დ-ენა), რბ-ი-ს (რბ-ოლა) ზმნები. **ი** ელემენტი გასდევს I სერიის მწკრივთა ფორმებს I შემთხვევაში ახალ ქართულშიც, II შემთხვევაში — მხოლოდ ძველ ქართულში:

დ-ი-ს	რბ-ი-ს	ახალი:	რბ-ი-ს
დ-ი-ოდ-ა	რბ-ი-ოდ-ა		რბ-ოდ-ა
დ-ი-ოდ-ეს	რბ-ი-ოდ-ეს		რბ-ოდ-ეს

თემა (არსებული განმარტებით) პირველი ზმნისათვის არის **დი**, თუმცა ვერ ვისაუბრებთ ზმნის ორთემიანობაზე, რადგან არა გვაქვს იგივე ფუძე II სერიაში; ვერც თემის სირთულეზე ვისაუბრებთ, რადგანაც არა გვაქვს შესაბამისი მარტივი თემა. ამისდაკვალად, არ შეიძლება **ი**-ს მივცეთ თემის ნიშნის კვალიფიკაცია.

ასეთივე მსჯელობა შეიძლება **რბ**-ის ზმნის ძველი ქართულის პარადიგმაზე; ახალი ქართულის ვითარება კი ისეთივეა, როგორც **ტირ-ი-ს** ზმნის შემთხვევაში...

დ) უფრო რთულია ვითარება **ზრდ-ი-ს** ტიპის შემთხვევაში (ე. წ. „**-ი** თემისნიშნიან“ ზმნებში).

-ი ელემენტის მწკრივის ნიშნად გააზრების შემდეგ ჩვენთვის მოიხსნა საკითხი ამ ტიპის ზმნათა რთულთემიან ზმნებად მიჩნევისა:

ვ-ზრდ-ი
ვ-ზრდ-იდ-ი
ვ-ზრდ-იდ-ე

თუმცა ორთემიანობის საკითხი არ მოხსნილა:

ზრდის ტიპის ფორმები ხმოვანმონაცვლე ზმნათა რიგში ჩადგება.

საერთოდ ხმოვანმონაცვლეობის ორ სახეს განიხილავენ:

ე — ი (ვ-**დრეკ** — ვ-**დრიკ**-ე) — დრეკადი ფუძეები და

ა — Ø (**ზრდ**-ი-ს — **ზარდ**-ა) — კუმშვადი ფუძეები (ა. შანიძე, 1973, გვ. 390 და შემდ.; 393 და შემდ., ფ. ერთელიშვილი, 1970, გვ. 88, 99; ასევე: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965; თ. გამყრელიძე, 2003; დ. მელიქიშვილი, 2001; რ. ქურდაძე, 2005 და სხვ.).

სწორედ ფუძედრეკადობის გამო მიიჩნევა **ე-ი** ხმოვანმონაცვლე ზმნები ორთემიანად:

ვ-**დრეკ**	ვ-**დრიკ**-ე
ვ-**დრეკ**-დი	ვ-**დრიკ**-ო
ვ-**დრეკ**-დე	

ორივე შემთხვევაში თემა მარტივია, თუმცა თავს იჩენს ტენდენცია ხმოვანმონაცვლეობის მოხსნისა და რთული და მარტივი თემების დაპირისპირებისა:

ვ-**დრიკ-ავ**	ვ-**დრიკ**-ე
ვ-**დრიკ-ავ**-დი	ვ-**დრიკ**-ო
ვ-**დრიკ-ავ**-დე	

(ამ ტენდენციის თაობაზე იხ. § 17).

ხმოვანმონაცვლეობა Ø—ა პრინციპულად ასეთივე დაპირისპირებაა (სხვადასხვა გახმოვანება სხვადასხვა სერიაში), მაგრამ ეს დაპირისპირება არ მიიჩნეოდა ორთემიანობის საფუძვლად. **ზრდ-ი-ს** ტიპის ზმნებში ორთემიანობის საფუძვლად „**-ი** თემის ნიშანი“ ითვლებოდა.

ცხადია, როცა მოიხსნა საკითხი **ი**-ს თემისნიშნობისა, დაპირისპირება Ø—ა ხდება ისეთივე ძალისა ფუძეთა დაპირისპირების თვალსაზრისით, როგორიცაა **ე — ი**:

ვ-**ზრდ**-ი	ვ-**ზარდ**-ე
ვ-**ზრდ**-იდ-ი	ვ-**ზარდ**-ო
ვ-**ზრდ**-იდ-ე	

ანუ აბლაუტური ხმოვანმონაცვლეობის სახეობად მოიაზრება (ცნებისათვის იხ. გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 210). ამ დაპირისპირების ბუნების გააზრება კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ **ი** აწმყოს სუფიქსია და არა თემის ნიშანი: წინააღმდეგ შემთხვევაში ჭარბი აღმოჩნდებოდა I და II სერიის დაპირისპირებაში ერთ-ერთი ნიშანი (ხმოვანმონაცვლეობა და თემის ნიშანი).

შევადაროთ: როცა გამოიკვეთა ტენდენცია ფუძედრეკად ზმნებზე თემის ნიშნის დართვისა, დაპირისპირება **ე — ი** მოიხსნა:

დრეკ-ს — **დრიკ**-ა, მაგრამ

(დრეკ-ავ-ს →) **დრიკ-ავ**-ს — **დრიკ**-ა...

ზმნა რჩება ორთემიანად, მაგრამ ხმოვანმონაცვლეობით გამოწვეული ორთემიანობა იცვლება რთულ და მარტივ თემათა დაპირისპირებით...

ე) სხვაგვარია ვითარება **ჭრ-ი**-ს ტიპის ზმნათა შემთხვევაში. ეს არის ზმნები, რომელთა ძირეული საყრდენი მორფემა I სერიის მწკრივებში უმარცვლოა; მეორე სერიაში რედუცირებული ხმოვანი აღდგება; მაგრამ განსხვავებით **ზრდის** ტიპის ზმნათაგან, მხოლოდ წყვეტილის I და II პირებში:

I სერია:	ვ-ჭრ-ი	ვა-მყნ-ი
	ვ-ჭრ-იდ-ი	ვა-მყნ-იდ-ი
	ვ-ჭრ-იდ-ე	ვა-მყნ-იდ-ე

ხმოვანმონაცვლეობა **ა / Ø** თუ წინა შემთხვევაში (ზრდ — ზარდ) ფუნქციური ხასიათისაა (მორფოლოგიური პროცესია), აბლაუტის შემთხვევად უნდა განვიხილოთ; **ჭრ — ჭერ** მარტივი ხმოვანმონაცვლეობაა, ფონეტიკური პროცესის შედეგია: ხმოვანი იკარგება გარკვეულ ფონეტიკურ გარემოში (ხმოვანსუფიქსის წინა პოზიციაში); სრულადაა წარმოდგენილი, როცა ძირეულ მორფემას ხმოვანსუფიქსი არ მოსდევს:

ვ-ჭრ-**ი**	ვა-მყნ-**ი**
ვ-ჭრ-**იდ**-ი	ვა-მყნ-**იდ**-ი
ვ-ჭრ-**ა**	ვა-მყნ-**ა**

ხმოვანი აღდგება წყვეტილის I-II პირის ფორმებში:

(გა)-ვ-ჭერ-(ი)	(და)-ვ-ა-მყენ-(ი)
(გა)-ჭერ(-ი)	(და)-ა-მყენ-(ი), მაგრამ
გა-ჭრ-**ა**	(და)-ა-მყნ-**ა**

ასე რომ, ძირეული მორფემისათვის უმარცვლობა დამახასიათებელია როგორც I, ისე II სერიის ფორმათათვის. შესაბამისად **ჭრ**-ი-ს ტიპის ზმნები ერთთემიან ზმნებად უნდა იქნეს გაგებული. აქედან გამომდინარე, ერთთემიანია როგორც **წერ**-ს ტიპის ზმნები, ისე — **ჭრ**-ი-ს ტიპის ზმნები.

ერთთემიანად უნდა მივიჩნიოთ **ტირ**-ი-ს ტიპის ზმნები, თუმცა ეს პრინციპულად განსხვავებული ერთთემიანობაა: **ტირ** მხოლოდ I სერიის მწკრივებში გვხვდება, სხვა სერიის ფორმებს ამ ტიპის ზმნები ვერ იწარმოებს. და რამდენადაც არ არსებობს შესაძლებლობა სხვადასხვა სერიის თემათა შეპირისპირებისა, ერთთემიანობა-ორთემიანობის საკითხი შეიძლებოდა არც დასმულიყო...

§ 16. ხმოვანპრეფიქსები და თემა

ხმოვანპრეფიქსები და ფუძე — საყურადღებო თემაა. ფუძის განმარტებისას ა. შანიძემ მხოლოდ 1930 წლის გრამატიკაში მიაქცია ყურადღება ხმოვანპრეფიქსებს: „პირიელი ზმნისათვის ფუძე ჰქვია იმ ნაწილს, რომელიც უცვალებელია პირისა, რიცხვისა და ქცევის ნიშანთა მიმართ“ (ა. შანიძე, 1930, გვ. 148). სხვა გამოცემებში ხმოვანპრეფიქსებზე ყურადღება აღარაა გამახვილებული, თუმცა თემაზე მსჯელობისას მოყვანილ მაგალითებში ხმოვანპრეფიქსებს თემისაგან გამოყოფს:

ვა-**გებებ**, ვი-**გერებ**, ვა-**ლაგებ**, ვუ-**ტევებ** და სხვა (ა. შანიძე, 1973, გვ. 398).

ვნებითი გვარის ზმნათა თემაზე საუბრისას ვნებითი გვარის ნიშანთაგან ხმოვანპრეფიქსები არ მიიჩნევა თემის ნაწილად:

მო-ვ-ი-**სპ-ობ**-ი, მო-ვ-ი-**სპ**-ე,
ვ-ე-**ნდ-ობ**-ი, ვ-ე-**ნდ**-ე და მისთ.

ა-ვ-ი-**რევ**-ი, ა-ვ-ი-**რი(ვ)**-ე
მი-ვ-ე-**ჩვევ**-ი, მი-ვ-ე-**ჩვი(ვ)**-ე და მისთ.

ხოლო ვნებითობის **-დ** სუფიქსი თემის ნაწილადაა გააზრებული:

გა-ვ-**კეთ-დ-ებ**-ი, გა-ვ-**კეთ-დ**-ი
გა-ვ-**შავ-დ-ებ**-ი, გა-ვ-**შავ-დ**-ი და მისთ.
(ა. შანიძე, 1973, გვ. 412).

არადა, თემის განმარტების შესაბამისად (საერთო ნაწილი სერიის ყველა მწკრივისათვის) ხმოვანპრეფიქსი თემის ნაწილად უნდა ყოფილიყო გაგებული...

როცა I-II სერიის ფორმებში ასეთი დამოკიდებულებაა ხმოვანპრეფიქსებისადმი, გასაგებია, რატომ არ არის გათვალისწინებული ხმოვანპრეფიქსები III სერიის ფორმებზე მსჯელობისას: „ქცევა მხოლოდ ზმნის პირიან ფორმებს მოეპოვება და ისიც I-სა და II სერიაში. რაც შეეხება III სერიას, იქ ქცევების გარჩევას ადგილი არა აქვს, რადგანაც ზმნას აკლია საპირისპირო ფორმები, კუთვნილება დანიშნულების მიხედვით განსხვავებული“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 338) „ქცევიანი“ და „უქცეო“ ფორმები ასეა გადანაწილებული:

ქცევიანი ფორმები				უქცეო ფორმები	
	I სერია	**II სერია**		**III სერია**	
			I თურმ.	II თურმ.	III კავშ.
საარვ.	**ა**-შენებს	ა-**ა**-შენა	ა-უ-შენებია,	ა-ე-შენებინა,	ა-ე-შენებინოს
სათავ.	**ი**-შენებს	ა-**ი**-შენა			
სასხვ.	**უ**-შენებს	ა-**უ**-შენა			

„III სერიაში ფორმა განმარტოებულია, უცალოა, ამიტომ უკუთვნელია, თუმცა კი წარმოების მიხედვით სასხვისოა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 339).

ამ ფაქტზე იმიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას, რომ თემის საკითხის განხილვისას III სერიაში (და, საერთოდ, III სერიის ფორმათა წარმოების საკითხთა განხილვისას) ხმოვანპრეფიქსს საგანგებო ყურადღება მიექცევა.

მაინც ალბათ ასე მარტივად ვერ გადაწყდება ხმოვანპრეფიქსთა ფუძესთან (ნებისმიერი სახისა — მწკრივის ფუძესთან, თუ სერიის ფუძესთან, თუ სრული პარადიგმის ფუძესთან) მიმართების საკითხი: ხმოვანპრეფიქსით განსხვავებული ფორმები, ვთქვათ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულად გაიაზრება:

ა-კეთებს, **ი**-კეთებს, **უ**-კეთებს... კეთდება, **უ**-კეთდება; ზრდის, **ი**-ზრდის, **უ**-ზრდის... **ი**-ზრდება, **ე**-ზრდება და მისთ. ყველა წარმოდგენილი ფორმა სხვადასხვა ლექსიკური ერთეულია; ანუ: ხმოვანპრეფიქსს შესწევს ძალა ლექსიკურ ერთეულთა განსხვავებისა; ასეთ შემთხვევაში უნდა იქნეს თუ არა ზმნური ფორმის ფუძის ნაწილად გააზრებული?..

როგორც ვხედავთ, ფუძეზე მსჯელობისას პირობითობას ვერ ავცდებით. ამ პირობითობით ხმოვანპრეფიქსი თემის ნაწილად არ გაიაზრება. ჩვენთვის ეს პირობითობა მისაღებია; ამგვარი პირობითობით III სერიაში თემის საკითხზე მსჯელობა გამარტივდება (იხ. თავი VI).

§ 17. თემის ნიშანთა მონაცვლეობა

17.1. თემის ნიშანთა მონაცვლეობა მოქმედებითი გვარის ზმნებში

თუ თვალს გავადევნებთ ქართული ზმნის ფორმობრივი განვითარების გრძელ გზას, აშკარად დავინახავთ: თემის ნიშანთა სისტემა ერთ-ერთი ყველაზე არამყარი, ცვალებადი სისტემაა; თუ თანამედროვე ქართული ენის დიალექტებს ამ მხრივ გადავხედავთ, სურათი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება.

რა სახის ცვლილებები ხდება ისტორიულად, ეს, ერთი მხრივ, და სინქრონულად (დღევანდელ დიალექტებში), ეს, მეორე მხრივ.

შენიშვნა: ადრეც გვითქვამს, **ავ** და **ამ** თემის ნიშნები ამ სისტემაში ერთნაირად იქცევიან. თუ სალიტერატურო ენაში **-ავ** თემისნიშნიანები ჭარბობს **-ამ**-იანებს, დიალექტებში (აღმოსავლურსა თუ სამხრულში) **-ავ**-ის ჩანაცვლება ხდება **-ამ**-ით და, შესაბამისად, ჭარბობს **-ამ**-იანები: ბარ-ამ, ხატ-ამ, მალ-ამ... არის პირუკუ პროცესიც: **ამ**-ს ენაცვლება **ავ**-ი (სვ-ავ-ს, დგ-ავ-ს...), ორივე ეს შემთხვევა (ავ → ამ, ამ → ავ) განცალკევებით დგას იმ ცვლილებათაგან, რომლის შესახებაც გვსურს საუბარი ამ პარაგრაფში: **ავ**-ი იქნება თუ **-ამ**-ი, ერთგვაროვანია მათი მიმართება სისტემის სხვა წევრებთან და მათი როლი ამ რთულ პროცესში. ამიტომ **ავ**-ზე ვისაუბრებთ თუ **-ამ**-ზე, ამ პროცესისათვის არა აქვს მნიშვნელობა...

1. **ებ → Ø**

მოქმედებითი გვარის რამდენიმე **-ებ** თემისნიშნიანი ზმნა კარგავს თემის ნიშანს:

ძვ. ქართული		**ახ. ქართული**
აღა-დგინ-**ებ**-ს	→	აღა-დგენ-ს,
წარგა-ვლინ-**ებ**-ს	→	წარგა-ვლენ-ს,
შემი-ყვან-**ებ**-ს	→	შემი-ყვან-ს,
შეს-ძინ-**ებ**-ს	→	შეს-ძენ-ს,
აწ-ყინ-**ებ**-ს	→	აწ-ყენ-ს,
მოი-თმინ-**ებ**-ს	→	მოი-თმენ-ს,
მოუ-ლხინ-**ებ**-ს	→	მოუ-ლხენ-ს,
ა-მხილ-**ებ**-ს	→	ა-მხელ-ს,
მოი-სმინ-**ებ**-ს	→	მოი-სმენ-ს,
გამოა-ჩინ-**ებ**-ს	→	გამოა-ჩენ-ს,
მოი-წყინ-**ებ**-ს	→	მოი-წყენ-ს
აღი-ხილ-**ებ**-ს	→	აა-ხელ-ს და სხვა.

აქვე უნდა შემოვიტანოთ მსგავსი შემთხვევა:

შეს-ცვალ-**ებ**-ს → შე-ცვლ-ის,
მიუ-ძღვან-**ებ**-ს → მიუ-ძღვნ-ის,
დაა-ცად-**ებ**-ს → დაა-ცდ-ის...

შენიშვნა: მაგალითებს ვიმოწმებთ სამეცნიერო ლიტერატურდან; წარმოვადგენთ იმ ფორმით, რა ფორმითაცაა წყაროში. ძირითადი ლიტერატურა ძველი ქართულისათვის (ა. შანიძე, 1976; ი. იმნაიშვილი, 1971; ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996; ზ. სარჯველაძე, 1997, ლ. ბარამიძე, 2009); დიალექტური მასალისათვის (გ. იმნაიშვილი, 1966; თ. სარალიძე, 1978; ა. მარტიროსოვი, 1984; ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, 1956; მ. ბერიძე, 1980; გ. იმნიაშვილი, 1974(1); ვ. აბაშვილი, 2009).

ეს პროცესი — **ებ → Ø** მოქმედებითი გვარის ზმნებში კახურსა და ჯავახურში დადასტურდა:

ვ-ტოვ-**ებ** → ვ-ტოვ, დავ-ტოვ
ა-გროვ-**ებ**-ს → ა-გროვ-ს, დაა-გროვ-ს
მოვ-კიდ-**ებ** → მოვ-კიდ-დ-ი
ვი-ჯერ-**ებ** → ვი-ჯერ-ი
ვი-თამაშ-**ებ** → ვი-თამაშ-ი
დავა-ჩუმ-**ებ** → დაა-ჩუმ
ვა-ხსენ-**ებ** → ვა-ხსენ-დ-ი
მი-ტოვ-**ებ**-ს → მი-ტოვ-ს

2. **-ებ → -ავ**

ძვ. ქართული		**ახ. ქართული**
განჰ-კურნ-**ებ**-ს	→	გან-კურნ-**ავ**-ს,
აღჰ-მართ-**ებ**-ს	→	აღ-მართ-**ავ**-ს,
შეჰ-ყინ-**ებ**-ს	→	გა-ყინ-**ავ-ს**,
განუ-მარტ-**ებ**-ს	→	განუ-მარტ**-ავ**-ს...

ამ ტიპის მონაცვლეობა დამახასიათებელია აღმოსავლური და სამხრული დიალექტებისათვის (ქართლურისათვის, კახურისათვის, ჯავახუ-

რისა და მესხურისათვის). მონაცვლეობის ვარიანტები სხვადასხვაა: **ებ** → **ავ**, **ებ** → **ამ**, **ებ** → **ან**; ჩვენ ერთ-ერთ ვარიანტს დავიმოწმებთ:

გა-ნებ-**ებ**-ს	→	გა-ნებ-**ამ**-ს
გი-ჯერ-**ებ**-ს	→	გი-ჯერ-**ამ**-ს
ა-წიოკ-**ებ**-ს	→	ა-წიოკ-**ამ**-თ
ა-ხოცინ-**ებ**-ს	→	ა-ხოცინ-**ამ**-თ
ა-კეთ-**ებ**-ს	→	ა-კეთ-**ან**-ს
დაჰ-ბად-**ებ**-ს	→	დაჰ-ბად-**ავ**-ს
დავალევინ-**ებ**	→	დავალეინ-**ამ**-თ
გავა-სწორ-**ებ**-ს	→	გავა-სწორ-**ამ**
მივა-ყუდ-**ებ**	→	მივ-ყუდ-**ამ** და სხვა...

3. **ობ** → **ამ**

კახურსა და ჯავახურში შეგვხვდა **ობ** თემის ნიშნის **-ამ** თემის ნიშნით შენაცვლების შემთხვევა:

გი-ამბ-ობ → გი-ამბ-ამ, უ-ამბ-ამ...

ამ პროცესთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი შემთხვევა კახურიდან: **შ-ობ-ს** ზმნაში მოხდა თემის ნიშნის ფუძესთან შეხორცება და **-ამ** თემის ნიშნის დართვა:

აწმყო:	ვ-შ-ობ	→	ვ-შობ-ამ
			↓
წყვეტ.:	ვ-შევ (ვ-შვ-ი)		ვ-შობ-ე

ცნობილი მაგალითი ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან“:

„— ერთი ვაჟიშვილი **შობე**...

— **ვშობამ**, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, **ვშობამ**“...

4. ე. წ. „**ი** თემისნიშნიანი“ → **-ამ**. პროცესი დასტურდება ქართლურსა და კახურში:

ი-ყიდ-ის	→	ი-ყიდ-ამ-ს
უ-ზრდ-ის	→	უ-ზარდ-ამ-ს
გა-ხდ-ის	→	გა-ხად-ამ-ს
და-გვ-ის	→	და-გავ-ამ-ს

ს-წველ-ის → ს-წველ-ამ-ს
წონ-ის → წონ-ამ-ს
ტენ-ის → ტენ-ამ-ს...

ერთი მხრივ, აქ შემოვიდა ორთემიანი ხმოვანმონაცვლე ზმნები (ზრდ-ის, ხდ-ის...); მეორე მხრივ — ერთთემიანი ზმნები (ყიდ-ის, წონ-ის, ტენ-ის...)...

შენიშვნა: როცა ვამბობთ, დადასტურდა ამა თუ იმ დიალექტშიო, არ ვგულისხმობთ იმას, რომ სხვა დიალექტებში ამგვარი ცვლილება არ შეიძლება შეგვხვდეს; ჩვენი საჭიროებისათვის საკმარისი მასალის მოპოვების შემდეგ ჩვენ ძიება აღარ გაგვიგრძელებია. საკითხის უფრო ჩაღრმავებითა და გამოწვლილვით შესწავლა მომავლის საქმეა...

5. **Ø → -ავ**

ისტორიულად მოქმედებითი გვარის ერთთემიანი ზმნების **-ავ** თემისნიშნიანებში გადარიცხვა ცნობილი პროცესია:

ვ-თიბ → ვ-თიბ-ავ
ვ-თეს → ვ-თეს-ავ
ვ-ჩეჩ → ვ-ჩეჩ-ავ
ვ-ხოც → ვ-ხოც-ავ და სხვა მრავალი (იხ. ა. შანიძე, 1973, გვ. 389)

ის მაგალითები, რომლებიც ერთთემიანად მიიჩნევა (ა. შანიძე, 1973, გვ. 389), უმეტესობა სასაუბრო მეტყველებასა და, საერთოდ, დიალექტებში ორთემიანია (-ავ/-ამ თემისნიშნიანია):

კეც-ს → კეც-ავ-ს
კვეც-ს → კვეც-ავ-ს
პენტ-ს → პენტ-ავ-ს
ტეხ-ს → ტეხ-ავ-ს
ჩეჩ-ს → ჩეჩ-ავ-ს
ჭედ-ს → ჭედ-ავ-ს
მოი-ხვეჭ-ს → მოი-ხვეჭ-ავ-ს და სხვა.

ისეთი ზმნებიც კი, როგორიცაა **წერ-ს, ფენ-ს** დიალექტებში ორთემიანია: წერ-ავ/-ამ-ს, ფენ-ავ/-ამ-ს და სხვა.

6. ქართულ დიალექტებში ფართოდ გავრცელებული პროცესია ფუძედრეკად ზმნებზე **-ავ/-ამ** თემის ნიშნის დართვა. პროცესი ორსაფეხურიანია: I ეტაპზე ხდება **ე** ხმოვნიან ფუძეებზე თემის ნიშნის დართვა:

დრ-ეკ-ს → დრეკ-ავ-ს; ფაქტობრივ ამ შემთხვევაში ხდება ორმაგი დაპირისპირება I და II სერიის თემათა შორის (ხმოვანმონაცვლეობითა და თემის ნიშნით)

დრეკ-ავ-ს — დრიკ-ა.

ცხადია, ერთ-ერთი ჭარბია; ამიტომაც, რადგან ტენდენციაა **-ავ** თემის ნიშნის დართვა, გახმოვანებით დაპირისპირება მოიხსნება და ვიღებთ მეორე საფეხურს ცვლილებისას — **დრიკ-ავ**-ს ე. ი.:

დრეკ-ს → დრეკ-ავ-ს → დრიკ-ავ-ს

შენიშვნა: დრეკ-ავ-ს / დრიკ-ავ-ს ფორმათა შესახებ ითქვა, რომ ერთ შემთხვევაში არჩევანი გაკეთდა I სერიის თემაზე (დრეკ), მეორე შემთხვევაში — II სერიის თემაზე. ცხადია, შედეგის მიხედვით (დრიკ-ავ-ს) შეიძლება ასე ვიფიქროთ, მაგრამ აქ ალბათ ფუძეთა შეუღლების პრინციპის გახსენებაც არ იქნებოდა ურიგო: **-ავ** სუფიქსის დართვამ მოითხოვა რედუცირებული ფუძე (შდრ.: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965).

დავასახელებთ ზოგ მაგალითს:

გლეჯ-ს	→	გლეჯ-ავ-ს / გლიჯ-ავ-ს
ჭყლეტ-ს	→	ჭყლეტ-ავ-ს / ჭყლიტ-ავ-ს
ხვრეტ-ს	→	ხვრეტ-ამ-ს / ხვრიტ-ამ-ს
კბენ-ს	→	კბენ-ამ-ს / კბინ-ამ-ს

როგორც ირკვევა, ეს პროცესი ყველა დიალექტისთვისაა დამახასიათებელი, გარდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისა (რ. ქურდაძე, 2005, გვ. 28-94). ამჯერად ჩვენს ინტერესს არ წარმოადგენს, რომელ დიალექტში რა საფეხურია დადასტურებული; ჩვენთვის პროცესია მთავარი: ფუძედრეკადი ზმნები **-ავ/-ამ** თემის ნიშნებს დაირთავენ...

7. დასტურდება ორსაფეხურიანი ცვლილებაც:
-ებ → Ø → -ამ

წარი-ყვან-**ებ**-ს (ძვ.) — წაი-ყვან-ს (ახ.) — ავი-ყვან-**ამ** ჯავახ.
წარი-ტან-**ებ**-ს — მოი-ტან-ს — მოგი-ტან-**ამ** და მისთ.

17.2. თემის ნიშანთა მონაცვლეობა ვნებითი გვარის ზმნებში

ამ პროცესთან დაკავშირებით (თემის ნიშანთა მონაცვლეობა) ვნებითი გვარის ზმნებში ერთი ცვლილება ხდება:

ძველ ქართულში **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნებს თემის ნიშანი ვნებითებშიც გადაჰყვებოდა მოქმედებითიდან:

მოქმედებითი	ვნებითი
მალ-**ავ**-ს	ი-მალ-**ვ**-ის
ხატ-**ავ**-ს	ი-ხატ-**ვ**-ის
კლ-**ავ**-ს	ი-კლ-**ვ**-ის
დგ-**ამ**-ს	ი-დგ-**მ**ის
აბ-**ამ**-ს	დაი-ბ-**მ**-ის და ა. შ.

როგორც ვიცით, ყველა სხვა შემთხვევაში ვნებითი გვარის ზმნები I სერიაში **-ებ** თემის ნიშანს დაირთავდა:

ი-ზრდ-**ებ**-ი-ს
ე-ზრდ-**ებ**-ი-ს
და-ბერ-დ-**ებ**-ი-ს
გან-ჭაბუკ-ნ-ე-**ებ**-ი-ს...

ახალ ქართულში -ავ/-ამ თემისნიშნიანმა ზმნებმაც ვნებითებში **-ებ** თემის ნიშანი დაირთეს:

ი-მალ-**ებ**-ა
ი-ხატ-**ებ**-ა...

უმარცვლო ძირებთან **-ავ/-ამ** თემის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტებიც იქნა შენარჩუნებული:

იხვნება (← ი-ხნ-**ვ**-ებ-ა)
იკვლება (← ი-კლ-**ვ**-ებ-ა)
იდგ-**მ**-ებ-ა
ი-თქ-**მ**-ებ-ა (იხ.: § 13.3).

17.3. თემის ნიშანთა მონაცვლეობა საშუალი გვარის ზმნებში

საინტერესო პროცესები ხდება საშუალი გვარის ზმნებში: სისტემატურად სასაუბრო მეტყველებაში **-ებ** თემის ნიშანს უჩნდება პარალელური ვარიანტები **-ობ** თემისნიშნიანი (იხ.: გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1989).

ებ → ობ

ბარბაც-**ებ**-ს	→	ბარბაც-**ობ**-ს
კაშკაშ-**ებ**-ს	→	კაშკაშ-**ობ**-ს
რაკრაკ-**ებ**-ს	→	რაკრაკ-**ობ**-ს
ბიბინ-**ებ**-ს	→	ბიბნ-**ობ**-ს
ყიყინ-**ებ**-ს	→	ყიყინ-**ობ**-ს
გუგუნ-**ებ**-ს	→	გუგუნ-**ობ**-ს
ღრიალ-**ებ**-ს	→	ღრიალ-**ობ**-ს და მრავალი სხვა

არის ერთი ჯგუფი **-ავ** თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნებისა, რომლებშიც ხდება **-ავ** თემის ნიშნის ფუძეში გადარიცხვა და ახალი თემის ნიშნის (-ობ) დართვა.

გვაქვს, ერთი მხრივ:

გორ-**ავ**-ს	(ი-გორ-ა),
ხტუნ-**ავ**-ს	(ი-ხტუნ-ა),
ცურ-**ავ**-ს	(ი-ცურ-ა),
ბუქნ-**ავ**-ს	(ჩა-ბუქნ-ა),
ყვინთ-**ავ**-ს	(ჩა-ყვინთ-ა).

და გვაქვს, მეორე მხრივ:

გორავ-**ობ**-ს	(ი-გორავ-ა),
ხტუნავ-**ობ**-ს	(ი-ხტუნავ-ა),
ცურავ-**ობ**-ს	(ი-ცურავ-ა),
ბუქნავ-**ობ**-ს	(ი-ბუქნავ-ა),
ყვინთავ-**ობ**-ს	(ი-ყვინთავ-ა).

ასეთი მაგალითებიც დასტურდება:

მო-ცურ-**ავ**-ს → მო-ცურ-ს (ილია)

ვი-ლოც-**ავ** → ვ-ლოცულ-**ობ**

რას ნიშნავს ეს ცვლილებები; რა არის „მიზანი“ ამ ცვლილებათა და რა შედეგი გვაქვს (უფრო სწორად, რას ველოდებით)? მთავარი კითხვა: რა არის საფუძველი თემის ნიშანთა განაწილებისა; ცვლილებები სისტემური ხასიათისაა და ერთმანეთთან დაკავშირებული, თუ, ასე ვთქვათ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ქაოტური ხასიათისა?

ამთავითვე ვიტყვით: ქაოტური ხასიათის ცვლილებები ენაში მოსალოდნელი არ არის. მაშ, რა კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე?

§ 18. თემის ნიშანთა განაწილებისათვის

როგორც დავინახეთ, თემის ნიშანთა სისტემა ძველსა და ახალ ქართულს შორის სერიოზულ სხვაობას ავლენს.

თემატურ და ათემატურ ფუძეთა დაპირისპირება უცვლელია: I სერიის მწკრივები თემატურია (თემისნიშნიანია), II სერიისა — ათემატური (უთემისნიშნო).

გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით: თემის ნიშანთა გამოყენება III სერიაში პრინციპულად განსხვავებულია ძველსა და ახალ ქართულს შორის (იხ. VI თავი). ცხადია, თემის ნიშანთა განაწილებაზე საუბრისას გვერდის ავლა მესამე სერიისათვის არ მოხერხდება, მაგრამ I-II სერიის ვითარების გარკვევის შემდეგ დავუბრუნდებით III სერიას.

რა ხდება I-II სერიაში. რა ფუნქცია ეკისრება თემის ნიშანს და როგორ აიხსნება სისტემაში მიმდინარე ცვლილებები?

გავიხსენოთ: თემის ნიშნები გვხვდება I სერიაში, არა გვაქვს II სერიაში. საინტერესოდ გვეჩვენება გ. მაჭავარიანის თვალსაზრისი.

შენიშვნა: გ. მაჭავარიანის ნაშრომი „გრძლიობის, ასპექტისა და დროის კატეგორიების მიმართება თანამედროვე ქართულში“ „წაკითხულია მოხსენებად თსუ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გაფართოებულ ღია სხდომაზე 1968 წ. მოხსენების თეზისები და ტექსტი ჯერჯერობით დაკარგულია. ძირითადი დებულებები აღდენილია მაია მაჭავარიანის მიერ, ავტორთან საუბრის საფუძველზე“ („მიმომხილველი“, 1972, გვ. 531). ჩვენი მსჯელობა სწორედ ამ აღდგენილ დებულებებს ემყარება, ამავე კრებულში („მიმომხიველი“, 6-9, 1972) დაბეჭდილს.

მსჯელობა თანამედროვე ქართულის ვითარებას ასახავს: „ავტორი გამოყოფს ახალ ზმნურ კატეგორიას — **გრძლიობას**. გამოხატულების პლანში მას შეესაბამება ე. წ. „თემის ნიშნები“. გრძლიობის კატეგორიის მორფემა შეიცავს ალომორფებს: [-ებ, -ობ, -ამ, -ავ, -ი, -O...]. ამ ალომორფთა შემცველი (მარკირებული) ფორმები უპირისპირდება არამარკირებულ, არაგრძლივ, წყვეტილ ფორმებს, ვხატ-ავ : ვ-ხატე, ვაკეთ-ებ : ვაკეთე, ვწერ-O : ვწერე, ვაწუხ-ებ-დი : ვაწუხე და სხვა“ („მიმომხილველი“, 1972, გვ. 531).

ამ მსჯელობიდან გამომდინარე, ეს ფორმები ასე დალაგდება :

გრძლივი	**არაგრძლივი**
ვხატ-ავ	ვხატე
ვაკეთ-ებ	ვაკეთე
ვწერ-O	ვწერე
ვაწუხ-ებ-დი	ვაწუხე

ძნელი სათქმელია, IV მაგალითში რატომ არის შემოტანილი უწყვეტლის ფორმა. თუ თემის ნიშანი არის გრძლიობის მორფოლოგიური ნიშანი, რატომ აწმყოს ფორმა არ არის მოხმობილი (ვაწუხ-ებ : ვაწუხე), როგორც სხვა შემთხვევაში.

არაგრძლიობა და წყვეტილობა არის გაიგივებული („უპირისპირდება არამარკირებულ, არაგრძლივ, წყვეტილ ფორმებსო“). შესაბამისად გაიგივებულია **მარკირებული, გრძლივი, უწყვეტელი** ფორმები. ე. ი. დაპირისპირება ასეთია:

ვ-ხატ-**ავ** — გრძლივი, უწყვეტელი
ვ-ხატე — არაგრძლივი, წყვეტილი

აქვე საუბარია IV დიფერენციალურ ნიშანზე: „მეოთხე პარადიგმატული დიფერენციალური ნიშანია ასპექტი, მარკირებულია სრული ასპექტი, არამარკირებულია — უსრული. ვაკეთ-ებ : გა-ვაკეთ-ებ, ვაკეთ-ე : გა-ვაკეთ-ე, ვაკეთ-ებ-დი : გა-ვაკეთ-ებ-დ-ი, ვაკეთ-ებ-დ-ე : გა-ვაკეთ-ებ-დ-ე, ვაკეთ-ო : გა-ვაკეთ-ო და სხვა“ (იქვე).

სრული ასპექტის მარკერი **ზმნისწინია;**

გრძლიობის მარკერი — **თემის ნიშანი.** გრძლიობა — იგივე უწყვეტლობაა; არაგრძლიობა — წყვეტილობა. მაგრამ რა სხვაობაა გ რ ძ ლ ი ო ბ ა ს ა და უ ს რ უ ლ ო ბ ა ს, ა რ ა გ რ ძ ლ ი ო ბ ა ს ა და ს რ უ ლ ო ბ ა ს შორის, არ ჩანს. გრძლიობა-არაგრძლიობა ასპექტური

დაპირისპირება ჩანს; რა მიმართებაა ასპექტთან (სრული-უსრული), ამ ზეპირად აღდგენილი დებულებების მიხედვით ძნელი სათქმელია.

ისიც საგულისხმოა: გრძლიობაზე საუბრისას ზმნისწინი უგულებელყოფილია (უფრო სწორად, უზმნისწინო ფორმათა მაგალითებია მოყვანილი)...

ამავე დროს, ასპექტური თვალსაზრსით (თუნდაც გრძლიობა-არაგრძლიობის) ახალ ქართულში რა არის საერთო I სერიის მწკრივებს შორის, რითაც ისინი განსხვავდებიან II სერიის მწკრივთაგან, ძნელი სათქმელია.

არის ერთი საგულისხმო ფაქტიც: თუ **თემის** ნიშანი არის გრძლიობის მარკერი, რა არის სხვაობა სხვადასხვა თემის ნიშანს შორის, მათი განაწილების საფუძველი? ვფიქრობთ, ფორმობრივი თვალსაზრისით ამაზე საუბარი შესაძლებელია. ფუნქციური ანალიზი მომავლის საქმე ჩანს.

ერთი კია: თემის ნიშანთა ფუნქციაზე როცა ვსაუბრობთ, ასპექტის ფაქტორი ანგარიშგასაწევია ძველი ქართულისათვის: „ძველ ქართულში უპირისპირდება I სერიის ფორმები II სერიისას იმ მხრივ, რომ ასპექტიან ზმნებში I სერიის ფორმები უ ს რ უ ლ მოქმედებას გადმოსცემენ, II სერიისა კი — სრულს“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 68). ეს უდავო ფაქტია. სხვაობას I და II სერიას შორის ფორმობრივი თვალსაზრისით **თემა** ქმნის... შესაბამისად, თემათა დაპირისპირება ასპექტური დაპირისპირების საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ... ეს ძველ ქართულში.

ახალ ქართულში ამ თვალსაზრისითაც პრინციპული ხასიათის ცვლილებები მოხდა: I სერიაში ისევე ხდება სრული და უსრული ასპექტის დაპირისპირება, როგორც მეორე სერიაში; ანუ: ასპექტური დაპირისპირება არა თემისა, არამედ ზმნისწინის ფუნქციად იქცა: „ზმნისწინმა ზმნას მისცა ასპექტი ახალ საფუძველზე, მაგრამ ამ ასპექტმა, უსრულობის შემთხვევაში, ზმნას წაართვა ზმნისწინი და ამით მოუსპო მას საშუალება, დამოკიდებულება ჰქონოდა სხვადასხვა ვითარებაში მდებარე პუნქტებთან სივრცეში“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 271).

ზმნურ ფორმათა ფუნქციური ანალიზი არ არის ჩვენი მიზანი. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ფუნქციურად **თემა** (შესაბამისად — **თემის ნიშანი**) **ძველ ქართულში ასპექტთან უნდა იყოს დაკავშირებული.** ა ს პ ე ქ ტ ი ს ს ი ს ტ ე მ ი ს ც ვ ლ ა პ რ ი ნ ც ი პ ულ კ ა ვ შ ი რ ში უ ნ დ ა ი ყ ო ს თ ე მ ი ს ნ ი შ ა ნ თ ა ს ი ს ტ ე მ ა ში მ ო მ ხ დ ა რ ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ თ ა ნ (და არა მხოლოდ მასთან): „ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა, ასე ვთქვათ, დიდი მოხვეული ქართული სა-

ლიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული მიჯნა დაიდო ძველ ქართულსა და ახალს შორის“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 271).

ფაქტია: თემა კავშირშია ასპექტთან, მაგრამ თემის ნიშანთა განაწილების საფუძველი ძველი ქართულისათვის (ვთქვათ, რატომ ერთი ჯგუფის ზმნებთან ერთი თემის ნიშანი და მეორესთან — სხვა) ჩვენთვის გაურკვეველია. ერთი აშკარაა: გვარის კატეგორიას თემის ნიშანთა განაწილებასთან ძველ ქართულში კავშირი არა აქვს: ერთი და იგივე თემის ნიშანი გვაქვს როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი და ისე საშუალი გვარის ზმნებთან:

აშენ-ებ-ს	და	შენდ-ებ-ის...
მალ-ავ-ს	და	იმალ-ვ-ის
დგ-ამ-ს	და	დაიდგ-მ-ის
შევიპყრ-ობ	და	შეიპყრ-ობ-ის...

რაც შეეხება ახალ ქართულს, გვარის კატეგორიას, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თემის ნიშანთა გადანაწილებისათვის. ყოველ შემთხვევაში, მომხდარი ფორმობრივი ცვლილებები ამის მაჩვენებელია.

გავიხსენოთ წინა პარაგრაფში თქმული: რა სახის ცვლილებები მოხდა თემის ნიშანთა სისტემაში მოქმედებითი გვარის ზმნებთან:

ა) **-ებ** თემის ნიშნიანი გახდა უთემისნიშნო:
აღა-**დგინ-ებ**-ს — აღა-**დგენ**-ს,
ა-**გროვ-ებ**-ს — ა-**გროვ**-ს...

ბ) **-ებ** თემის ნიშანს ჩაენაცვლება **-ავ/-ამ**:
გან-**კურნ-ებ**-ს — გან-**კურნ-ავ**-ს,
ა-**კეთ-ებ**-ს — ა-**კეთ-ამ**-ს...

გ) **-ობ** თემისნიშნიანი გახდა **-ავ/-ამ** თემისნიშნიანი:
გი-**ამბ-ობ**-ს — გი-**ამბ-ამ**-ს...
შ-**ობ**-ს — შობ**-ამ**-ს...

დ) უთემისნიშნო **ი** ელემენტიანი ზმნები დაირთავენ **ამ**-ს:
ზრდ-ი-ს — **ზარდ-ამ**-ს,
წონ-ი-ს — **წონ-ამ**-ს...

ე) ერთთემიანი ზმნები დაირთავენ **-ავ**-ს
თიბ-ს — **თიბ-ავ**-ს
წერ-ს — **წერ-ავ**-ს...

ვ) ფუძედრეკადი ზმნები დაირთავენ **-ავ**-ს:

დრეკ-ს — (დრეკ-ავ-ს) — **დრიკ-ავ-ს**,
კბენ-ს — (კბენ-ამ-ს) — **კბინ-ამ-ს**...

ცვლილებების შედეგი არის ის, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებში მკვიდრდება **-ავ/-ამ** თემის ნიშნები (ჩაენაცვლება სხვა თემის ნიშანს, ერთი მხრივ, და ჩნდება უთემისნიშნო ზმნებში, მეორე მხრივ).

II. რა ხდება ვნებითი გვარის ზმნებში:

-ავ/-ამ თემის ნიშნებს ცვლის (ანდა დაემატება) **-ებ** თემის ნიშანი:

ი-**მალ-ვ**-ის — ი-**მალ-ებ**-ა,
დაი-**ბ-მ**-ის — დაი-**ბ-მებ**-ა...

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ვნებითი გვარის ზმნათა უმრავლესობა **-ებ** თემისნიშნიანია, შეიძლებოდა დაგვესკვნა: ვნებითი გვარის ზმნებში არის ტენდენცია **-ებ** თემის ნიშნის დამკვიდრებისა.

III. საშუალი გვარის ზმნებში მომხდარი ცვლილებები:

ა) **-ებ** თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნები იჩენენ ტენდენციას **-ობ** თემის ნიშანზე გადასვლისა:

ტრიალ-ებ-ს — **ტრიალ-ობ**-ს,
ყიყინ-ებ-ს — **ყიყინ-ობ**-ს...

ბ) **-ავ** თემის ნიშანი გადაირიცხა ფუძეში და დაირთო **-ობ**:

გორ-**ავ**-ს — **გორავ**-ობ-ს,
ცურ-**ავ**-ს — **ცურავ**-ობ-ს...

გ) ასეთი შემთხვევაც დსტურდება, როცა **-ავ** იკარგება და ზმნა უთემისნიშნო ხდება:

მოცურ-ავ-ს — მო-ცურ-ს

დ) ანდა, **-ავ** თემისნიშნიანი **-ობ** თემისნიშნიანი ხდება:

ვი-ლოც-**ავ** → ვ-ლოცულ-**ობ**...

დასკვნა ასეთია: საშუალი გვარის ზმნებში არის ტენდენცია **-ობ** თემის ნიშნის დამკვიდრებისა...

საბოლოოდ შეიძლება ითქვას: თემის ნიშანთა სისტემაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ ახალ ქართულში თემის ნიშანთა განაწილებას საფუძვლად გვარის კატეგორია ედება: **-ავ/-ამ** თემის ნიშნები მკვიდრდება მოქმედებითი გვარის ზმნებში; **-ებ** თემის ნიშანი მკვიდრდება ვნებითი გვარის ზმნებში და **-ობ** თემის ნიშანი — საშუალი გვარის ზმნებში. ყველა მომხდარი ცვლილება ამ ტენდენციის გამოვლენაა.

§ 19. სტატიკურ ზმნათა აწმყოს მეშველზმნიანი ფორმების შესახებ

სტატიკური ზმნების აწმყოს ფორმათა წარმოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ახალ ქართულში.

ძველ ქართულში ყველა ტიპის სტატიკური ზმნა აწმყოს ფორმებს ორგანულად იწარმოებს (გამოვყოფთ სამ ჯგუფს):

I.	ვ-დგ-ა	ვ-ზი	ვ-წევ	ვ-რბ-ი	ვ-ჰ-გავ
	ს-დგ-ა	ჰ-ზი	ს-წევ	ჰ-რბ-ი	ჰ-გავ
	დგ-ა-ს	ზი-ს	წევ-ს	რბ-ი-ს	ჰ-გავ-ს
	ვ-დგ-ა-თ	ვ-სხედ-თ	ვ-წევ-თ	ვ-რბ-ი-თ	ვ-ჰ-გავ-თ
	ს-დგ-ა-თ	ჰ-სხედ-თ	ს-წევ-თ	ჰ-რბ-ი-თ	ჰ-გავ-თ
	დგან-ან	სხენ-ან	წვან-ან	რბ-ი-ან	ჰ-გვან-ან
II.	ვ-ტირ	ვ-ყივ-ი	ვ-ყვავ-ი	ვ-კუნეს-ი	
	ს-ტირ	ჰ-ყივ-ი	ჰ-ყვავ-ი	ჰ-კუნეს-ი	
	ტირ-ს	ყივ-ი-ს	ყვავ-ი-ს	კუნეს-ი-ს	
	ვ-ტირ-თ	ვ-ყივ-ი-თ	ვ-ყვავ-ი-თ	ვ-კუნეს-ი-თ	
	ს-ტირ-თ	ჰ-ყივ-ი-თ	ჰ-ყვავ-ი-თ	ჰ-კუნეს-ი-თ	
	ტირ-ან	ყივ-ი-ან	ყვავ-ი-ან	კუნეს-ი-ან	

III.	ვ-ი-ც-ი	ვ-ცურ-ავ	ვ-ამპარტავნ-ობ
	ი-ც-ი	ს-ცურ-ავ	ამპარტავნ-ობ
	ი-ც-ი-ს	ცურ-ავ-ს	ამპარტავნ-ობ-ს
	ვ-ი-ც-ი-თ	ვ-ცურ-ავ-თ	ვ-ამპარტავნ-ობ-თ
	ი-ც-ი-თ	ს-ცურ-ავ-თ	ამპარტავნ-ობ-თ
	ი-ც-ი-ან	ცურ-ავ-ენ	ამპარტავნ-ობ-ენ

ახალი ქართულისათვის უჩვეულოა I ჯგუფის ზმნათა ფორმები (მაგალითებს ვიმოწმებთ: ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, გვ. 87-89):

აჰა ესერა მე წინაშე **ვდგა**; ჩემ თანა **სდგა** და განუშორებელი ხარ.

მე აქა მშჯდობით **ვზი**; შენ **ჰზი** აქა პარეხსა ამას მარტოდ.

მე უკვე აწ ეგრე **ვრბი**, ვითარცა არა უჩინოდ; ხოლო შენ მოკლვად **ჰრბი**.

აწ ჩუენ რაჲსა **ვსხედთ**? რომელთა შორის თქუენ **ჰსხედთ**.

გარეშჱ **ვჩანთ** მდაბლად; ნუცა შენ აქა **სჩან**.

და მე **ვწუხ**; რაჲსა სტირ და **სწუხ**.

შენ **სწევ** და ჰკუნესი...

(ვრცლად ამ საკითხზე იხ.: ლ. ბარამიძე, 1964).

რაც შეეხება II და III ჯგუფის ზმნებს, მათი ორგანული (მეშველი ზმნის გარეშე) ფორმები ბუნებრივია ახალი ქართულისათვისაც; თუმცა საინტერესოა ტენდენცია, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ქართულში ჩაისახა.

დაიწყო სტატიკური ზმნების მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლა. ეს პროცესი რამდენიმე ეტაპად განვითარდა.

თუ ძველი ქართულის ვითარებას (ყველა სტატიკური ზმნა ორგანული წარმოებისაა) მივიჩნევთ **პირველ ეტაპად**, მომდევნო ეტაპად განვიხილავთ იმ პერიოდს, როცა I ჯგუფის ზმნებმა დაიწყეს მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლა.

ტენდენცია ასეთია: მეშველზმნიანი პარალელური ფორმები გაჩნდა I და II სუბიექტურ პირებში (მხოლობითშიც და მრავლობითშიც).

ვ-ზი	‖	ვ-ზი-ვარ	ვ-სხედ-თ	‖	ვ-სხედ-ვართ
ჰ-ზი	‖	ჰ-ზი-ხარ	ჰ-სხედ-თ	‖	სხედ-ხართ.

პარალელური ფორმები გვხვდება ერთსა და იმავე ეპოქაში, ზოგჯერ ერთსა და იმავე ძეგლშიც (მაგალითებს ვიმოწმებთ: ლ. ბარამიძე, 1964, გვ. 123-126):

მე ლაპარაკად აქა **ვზი**; მზესთან მთვარე ვითა **ვზივარ** (შაჰნამე).
თქვეს: **ვწუხთო** აქ არ დამხდომნი; რასთვის **სწუხარ** პირად მზეო (არჩილი);
ვწევ; **სწევ** (ვისრამიანი), **ვწევარ** (შვდ. მთ.), **სწევხარ** (შაჰნამე);
სხედთ (ვისრამიანი); **ვსხედვართ** (შაჰნამე)...

ამ ეტაპზე პარალელური ფორმები იმ ზმნებმა გაიჩინეს, რომლებიც დღეს მხოლოდ მეშველზმნიანნი არიან. II და III ტიპის ზმნათა პარალელური ფორმები ამ პერიოდის ძეგლებში ვერ დავადასტურეთ. „ვეფხისტყაოსანში“ **ტირის** ზმნის I-II პირის 11 ფორმა დასტურდება (ა. შანიძე, 1956). არცერთი არ არის მეშველზმნიანი:

ვტირი ცრემლითა ცხარითა...
უბრძანა, ნუ **სტირ**, ასულო...

II ეტაპი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი
ვ-ზი ‖ ვ-ზი-ვარ	ვ-ტირ	ვ-ცურავ
ჰ-ზი ‖ ჰ-ზი-ხარ	ს-ტირ	ს-ცურავ
ზი-ს	ტირ-ს	ცურავ-ს

პროცესი არაერთგვაროვნად წარიმართა: თუ მეორე ეტაპზე I ჯგუფის ზმნათა პარალელური ფორმები გვაქვს, მომდევნო ეტაპზე (დავარქვათ III ეტაპი) I ჯგუფის ზმნებში მხოლოდ მეშველზმნიანი ფორმები გვაქვს, II ჯგუფის ზმნები იჩენენ პარალელურ მეშველზმნიან ვარიანტებს:

მე **ვტირი**, რამეთუ ძალუმ მყვარებია (ანა);
ეს სიხარულის ცრემლებია, როდი **ვტირივარ** (ანა)...

ვჩივი ‖ ვჩივივარ, ვყვირი ‖ ვყვირივარ, ვკვნესი ‖ ვკვნესივარ... ამ ტიპის პარალელიზმი ჩვეულებრივია...

I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი
ვ-ზი-ვარ	ვ-ტირ-ი ‖ ვ-ტირ-ი-ვარ	ვ-იც-ი, ვ-ფიქრობ

ზი-ხარ ს-ტირ-ი || ს-ტირ-ი-ხარ იცი, ფიქრობ
ზი-ს ტირ-ი-ს იცის, ფიქრობ-ს

ეს არის ფაქტობრივ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მდგომარეობა. I და III ჯგუფის ზმნები პრობლემას არ ქმნის. II ჯგუფის ზმნებში პარალელიზმმა ნორმის შემოღების საჭიროება შექმნა და 2002 წელს ქართული ენის სახელმწიფო კომისიამ დაადგინა: „უნდა ვთქვათ და ვწეროთ:

ვტირი, ტირი, ნუ ტირი!
ვყვირი, ყვირი, ნუ ყვირი!
ვტყუი, ტყუი, ნუ ტყუი და მისთანანი“ (ახ. ნორმები, 2003).

ანუ მეშველზმნიანი ფორმები უკუგდებულია. მიიჩნევენ, რომ I და II ჯგუფის ზმნათა მესამე პირის ფორმათა წარმოების იდენტურობა (ზის... ტირის...) არის საფუძველი იმისა, რომ I ჯგუფის ზმნათა ანალოგიით მეორე ჯგუფის ზმნებმა I-II პირთა მეშველზმნიანი ფორმები განავითარა: „როგორც ჩანს, აღნიშნული მსგავსების საფუძველზე მათი პირველ-მეორე პირის ფორმებიც ადრე ჩამოთვლილი ზმნების მიბაძვით იქნა ნაწარმოები ყ ო ფ ნ ა ზმნის საშუალებით. ასე მივიღეთ უმართებულო ფორმები: ვმღერივარ, მღერიხარ; ვტირივარ, ტირიხარ; ვყვირივარ, ყვირიხარ; ვტყუივარ, ტყუიხარ“ (იქვე, გვ. 8)...

სადავოა ამგვარი დასკვნა, მაგრამ ამ თემაზე სხვაგან გვქონდა საუბარი (გ. გოგოლაშვილი, 2009(2)); ჩვენთვის არსებითი ის არის, რომ ამგვარ დასკვნათა გამოტანისას არ ხდება სისტემური ცვლილებების გათვალისწინება: **ვტირი || ვტირივარ** ფორმათა პარალელიზმი არის ერთ-ერთი ეტაპი სტატიკურ ზმნებში მიმდინარე ცვლილებათა კანონზომიერი განვითარებისა.

პროცესი ამ ეტაპზე არ ჩერდება. სასაუბრო მეტყველებაში (და განსაკუთრებით ბავშვების ენაში) არაა იშვიათი **ვიცინივარ, ვფიქრობვარ** ტიპის ფორმები;

საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ ინგილოურ დიალექტში ეს პროცესი უფრო შორს არის წასული; II ჯგუფის ზმნები იქ ჩვეულებრივ მეშველზმნიანია; III ტიპის ზმნებში გვაქვს პარალელიზმი; მეტიც, უმეტესად — მეშველზმნიანი წარმოება: ჟავრობ-ხარ (ჯავრობ), ფიქროვარ (ვფიქრობ), დარდობხარ (დარდობ)...

ვიცი-ვარ ვიცი-ვართ
იცი-ხარ იცი-ხარ-თ...

ვერ ვიცივარ (არ ვიცი) (გ. იმნაიშვილი, 1966; ვ. აბაშვილი, 2003).

ეს არის **IV ეტაპი** სტატიკურ ზმნათა ფორმაცვალებისა:

I ჯგუფი	II ჯგუფი		III ჯგუფი
ვ-ზი-ვარ	ვ-ტირი-ვარ	ვ-იცი ‖ ვ-იცი-ვარ	ვ-ფიქრობ ‖ ვ-ფიქრობ-ვარ
ზი-ხარ	ტირი-ხარ	იცი ‖ იცი-ხარ	ფიქრობ ‖ ფიქრობ-ხარ
ზი-ს	ტირი-ს	იცი-ს	ფიქრობ-ს

როგორც ითქვა, სალიტერატურო ქართული და დიალექტთა უმეტესობა III ეტაპზეა გაჩერებული; IV ეტაპზე, ფაქტობრივ, ინგილოური დიალექტი დგას; თუმცა მთლად უცხო ეს ეტაპი არც სხვა დიალექტებისთვისაა (ვიცინივარ, ვფიქრობვარ...). საკითხი უფრო გამოწვლილვით ანალიზს საჭიროებს...

შენიშვნა: ზემოთ ნორმა ვახსენეთ — **ვტირივარ, ვყვირივარ** ფორმათა მცდარად გამოცხადება დაფიქრებას მოითხოვს. ანალოგიით („მიბაძვით“) მათი ახსნა (იხ.: ახ. ნორმ.) არ იქნება გამართლებული. **ვ-ზი-ვარ** და **ვ-ტირ-ი-ვარ** საერთო ენობრივი ტენდენციის გამოვლენის ორ ეტაპად წარმოგვიდგენია. ამ შემთხვევაში XIX საუკუნის მონაცემთა საფუძველზე XXI საუკუნეში დასკვნის გაკეთებაც არ გვეჩვენება მართებული: ამგვარი ენობრივი ტენდენციისათვის საუკუნე-ნახევარს ანგარიში უნდა გაეწიოს; ის, რაც ბუნებრივია დღეს, შეიძლება იშვიათი მოვლენა ყოფილიყო საუკუნე-ნახევრის წინათ... ამის თაობაზე აქ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ (იხ. გ. გოგოლაშვილი, 2009(2)).

ამგვარად, სტატიკურ ზმნებში მეშველზმნიან ფორმათა განვითარების თვალსაზრისით ოთხი ეტაპი გამოვყავით:

I ეტაპი: სამივე ჯგუფის ზმნათა აწმყოს მწკრივის ფორმათა წარმოება ორგანულია.

II ეტაპი: I ჯგუფის ზმნებმა პარალელური მეშველზმნიანი ფორმები გაიჩინა;

III ეტაპი: I ჯგუფი — მხოლოდ მეშველზმნიანი, II ჯგუფი — პარალელური: მეშველზმნიანი და ორგანული, III ჯგუფი — მხოლოდ ორგანული;

IV ეტაპი: I-II ჯგუფი მხოლოდ მეშველზმნიანი; III ჯგუფი — პარალელუ-

რი; — ორგანული და მეშველზმნიანი (უპირატესობა ამ უკანასკნელს აქვს).

I და II ეტაპი ისტორიის საკუთრებაა; III და IV ეტაპი თანამედროვე ქართულის ვითარებას ასახავს...

§ 20. ნასახელარ ზმნათა ფუძის საკითხისათვის

სახელის ფუძისაგან ზმნური ფორმების წარმოება ქართულში ჩვეულებრივი პროცესია.

სახელური ფუძეებისაგან ზმნური ფორმების წარმოების სამი შემთხვევა გაირჩევა:

ა) სახელური ფუძე უცვლელადაა წარმოდგენილი ზმნურ ფორმებში:

სახლ-ი — დაა-**სახლ**-ებს
კაც-ი — **კაც**-ობს
ბრალ-ი — ა-**ბრალ**-ებს
დიდ-ი — ა-**დიდ**-ებ-ს...

ბ) სახელის ფუძისეული ხმოვანი ზმნურ ფორმებში გაუჩინარებულია:

მართალ-ი — გაა-**მართლ**-ებს,
სალამ-ი — გამოა-**სალმ**-ებს,
გროვა — მოა-**გროვ**-ებს,
გუბე — დაა-**გუბ**-ებს...

გ) სახელური ფუძე **ვ** ელემენტითაა გართულებული:

ხე — გაა-**ხე-ვ**-ებს
ქვა — გაა-**ქვა-ვ**-ებს
ბრმა — დაა-**ბრმა-ვ**-ებს
ტყვე — დაა-**ტყვე-ვ**-ებს

კუმშვად და კვეცად ფუძეთაგან წარმოებულ ზმნურ ფორმებში (II შემთხვევა) ფუძე ჩვეულებრივ ფონეტიკურად სახეცვლილია (შეკუმშულია ან შეკვეცილია). ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა ზმნურ ფორ-

მებში ფონეტიკურ პროცესად გაიაზრება: „სახელის ფუძე ზმნაში იმიტომ იკუმშება, რომ მას აქ სრული ხმოვნები მოსდევს (ა, ე, ო)“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 418). სირთულეს დონიანი ვნებითი ქმნის: გა-**მართლ-დ**-ება, გა-**წითლ-დ**-ება; და-**გუბ-დ**-ება, შე-**გროვ-დ**ება... თანხმოვანსუფიქსური ფონეტიკურ პროცესს ვერ გამოიწვევს. ორგვარი ახსნა არსებობს ამ სირთულისა: „ვნებითის ფორმანტი ძველად **ედ** (**ენ**) უნდა ყოფილიყო. ე. ი. ხმოვნით დაწყებული აფიქსი, რომელიც ფუძეში შეკუმშვას იწვევდა. მაშასადმე, შეკუმშვა ისტორიულად შემუშავდა და დღევანდლამდე დარჩა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 418). სხვა თვალსაზრისით, შეკუმშული ფუძე მოქმედებითიდან გადმოჰყვა (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 76).

არის თვალსაზრისიც, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ორივეგვარ ახსნას: ნასახელარ ზმნებში მოქმედებითი და ვნებითი (ან საშუალი) ერთი მეორის კონვერსიული ფორმა კი არ არის, არამედ თითოეული მათგანი (ერთი და იმავე სახელისაგან ნაწარმოები სხვადასხვა გვარის ფორმები) უშუალოდ სახელური ფუძისაგან მომდინარედ მიიჩნევა:





არსებითი ამ დებულებისათვის ისაა, რომ „არის შემთხვევები, როცა სახელისაგან ზმნა კი იწარმოება, მაგრამ მას გვარის მხოლოდ ერთი ფორმა და მისი სტატიკური (გარდაუვალი) ვარიანტი მოეპოვება: ჩრდილი, აჩრდილებს, ჩრდილობს („ჩრდილსაც ჩრდილობთ“, ხალხური...), ან მხოლოდ სტატიკური — ხილი: „ხილსაც ხილობთ“ (ხალხური...), მაგრამ უკანასკნელ ფორმას მოქმედებითი და ვნებითი არა აქვს“ (ბ. ჯორბენაძე, 1975, გვ. 128-129).

ეს საგულისხმო ფაქტია: ყოველ კონკრეტულ ფორმაში ვნებითისა (თუ საშუალო გვარის ზმნისა) არ უნდა ხდებოდეს გააზრება შესაბამისი მოქმედებითისა: ენაში შექმნილია ზოგადი მოდელები და ამა თუ იმ მოდელში ხდება ჩასმა სახელური ფუძისა. როცა არსებობს ვნებითის ფორმა **გაკომუნისტდა**, არ ივარაუდება, რომ არსებობს ფორმაც **აკომუნისტებს**...

თუ ეს ასეა (და, ვფიქრობთ, რომ ასეა), როგორ ავხსნათ კუმშვადი და კვეცადი ფუძეების საკითხი?

ჩვენი აზრით, როცა არსებობს სახელური ფუძის ორი ვარიანტი — სრული და არასრული (შეკუმშული ან შეკვეცილი), ზმნური ფორმაწარმოებისათვის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი გამოიყენება; ანუ: ფონეტიკური პროცესი არ ხდება ზმნურ ფორმაში; ზმნა სახელური პარადიგმიდან მზამზარეულ ფუძეს გამოიყენებს (და არა მის ამოსავალ სრულ ვარიანტს):



პოეტურ მეტყველებაში დასაშვებია სრულფუძიანი ვარიანტიც:

სალამ — მიე-**სალამ**-ა (ერთი პაწია ჩიორა მუხიდან **მომესალამა** — ანა)



არის შემთხვევები, როცა სახელური ფუძის ორი ვარიანტიდან (სრული, არასრული) ზმნაში სრული ვარიანტი გამოიყენება.







ერთ შემთხვევაში რატომ გამოიყენება სრული ფუძე და მეორე შემთხვევაში — არასრული ფუძე, მომავალი კვლევა-ძიების საქმეა; ფაქტი ერთია: ფონეტიკური გარემო ერთგვარი, შედეგი — სხვადასხვა...

ვითარება ანალოგიურია ხმოვანფუძიან სახელებშიც:

და- — ძმა —
დ- — დ-ობს, ძმ — **ძმ**-ობს

მაგრამ:

მამა — **მამა**-ობს (რუსთ ხელმწიფესთან **მამაობს** — დ. გურამ.)
მამ — **მამ**-ობს

მ ე ო რ ე მ ხ რ ი ვ :

ქვა — ა-**ქვა-ვ**-ებს
ქვა-ვ-დება
ქვ — ———————

ხე — ა-**ხე-ვ**-ებს
ხე-ვ-დება
ხ — ———————

„ზმნური ფუძეების ლექსიკონში“ ვწერდით: „რამდენადაც კუმშვად და კვეცად სახელთა ფუძის ორი ვარიანტიდან (მართალ — მართლ, მცირე — მცირ) ზმნის სისტემაში ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია გამოყენებული მთელ პარადიგმაში, ნასახელარ ზმნათა ფუძედ ამ შემთხვევაში წარმოვადგენთ არასრულ ვარიანტს და არა მის ამოსავალ ფონეტიკურ სახეობას“ (გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1989, გვ. 5; იხ. აგრეთვე: გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი, 1991).

ჩვენ ამჯერად კითხვებს ვსვამთ. პასუხები გასაცემია...

ერთი კითხვაც: რას წარმოადგენს **ვ** აქვა**ვ**ებს, ატყვე**ვ**ებს ტიპის ფორმებში?

ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებში გამოვლენილი „**ვ** ელემენტი განვითარებული უნდა იყოს ხმოვანთა შორის არსებული ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად“ (ლ. ნოზაძე, 1974, გვ. 26). ამ თვალსაზრისს უფრო კატეგორიულადაც ამტკიცებენ (თ. უთურგაიძე, 1974, გვ. 23).

ვითარებას აქაც სუფიქსიანი ვნებითი ართულებს: **ვ** შენარჩუნებულია — ქვა-**ვ**-დ-ება, ხე-**ვ**-დ-ება... ჰიატუსი აქ არავითარ შუაშია; თუ მოქმედებითში შეიძლება ასე დსმულიყო საკითხი (ა-ხ**ე-ვ-ე**ბს, ა-ქვ**ა-ვ-ე**ბს...), შესაბამისი ფონეტიკური გარემოს არქონის შემთხვევაში **ვ**-ს არსებობა გაურკვეველია. მოქმედებითის ფორმიდან მისი გადმოყოლა ვნებითში ასევე არაა სარწმუნო: თუ მოქმედებითში ფონეტიკური საჭიროებისათვის გაჩნდება, ვნებითებში ეს საჭიროება არ იყო...

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტია: **ვ** გვაქვს იმ ნასახელარ ზმნათა ვნებითებში, რომელთა ფუძეც **ო** და **უ** ხმოვნებზე მთავრდება:

ახლო-**ვ**-დება, ყრუ-**ვ**-დება...

თუმცა შესაბამის მოქმედებითებში იგი არ დასტურდება ა-ახლოებს, ა-ყრუ-ებს... ამ ფორმებში **ვ**-ს დაკარგულად ვერ მივიჩნევთ, რადგან აქ მისი გაჩენის პირობაც არ იყო **უ-ა, ო-ე** ხმოვანკომპლექსთა გათიშვა არ იყო მოსალოდნელი.

საინტერესოდ შენიშნავს ა. შანიძე: „ეს **ვ** ზმნისათვის ფუძის (მარტივი თემის) განუყოფელი ნაწილია“ (ა. შანიძე, 1973, გ. 421); იგი მოქმედებითებში დაკარგულიაო: ფუძე „გაივრცობა **ვ**-ინით, რომელიც დაიკარგება როგორც **ო**-ნის წინ, ისე **ო**-ნის შემდეგ, განსაკუთრებით კი **უ**-ნის შემდეგ“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 420).

ამ საგულისხმო შენიშვნიდან გამომდინარე, რამდენადაც **ვ** ზმნურ ფორმებში (პირიანსა თუ უპიროში) ყოველთვისაა წარმოდგენილი, თუ ფორნეტიკურ ნიადაგზე არ არის გაუჩინარებული, **ვ**-ს მივიჩნევთ ფუძის ორგანულ ნაწილად. მას შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა ზ მ ნ ა ვ ე ბ ე ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ი ვ უ წ ო დ ო თ. შესაბამისად სახელის ფუძეა: ქვა, ტყვე, ფართო, ყრუ... ზმნის ფუძეა: ქვავ, ტყვევ, ფართოვ, ყრუვ...

ამიტომაც იყო, ზმნური და სახელზმნური ფუძეების ლექსიკონებში სალექსიკონო ერთეულად ამ ტიპის ნასახელარ ზმნებში შევიტანეთ **ვ** ელემენტიანი ფორმები და არა ამოსავალი სახელური ფორმები (იხ.: გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1989; გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1991).

შენიშვნა: როგორც ჩანს, ქართულისათვის არაბუნებრივია ხმოვანზე დასრულებული მარტივი ფუძე ზმნისა. საინტე-

რესო სტატისტიკა: ფ. ერთელიშვილი გაანალიზებს 5481 ზმნურ მარტივ ფუძეს. ამათგან **CV** სტრუქტურისა არის 14, ხოლო **CCV** სტრუქტურისა — 11. ესენია ჩვეულებრივ **ო** და **უ** ხმოვნებზე დასრულებული ფუძეები (ფ. ერთელიშვილი, 1970, გვ. 19), რომლებშიც შესაბამის ფონეტიკურ გარემოში **ვ** თანხმოვანი აღდგება: **ფუ** (ფუის —ა-**ფუვ**-და), ტყუ (ტყუ-ის — მო-ტყუ**ვ**-და)...

ყოველივე ეს საგულისხმო დასკვნის საშუალებას გვაძლევს: კუმშვადი, კვეცადი და უკვეცელი სახელური ფუძეების შემთხვევაში ზმნურ ფორმებში ფუძეთა ასეთი არჩევანი (შეკუმშული, შეკვეცილი და **ვ** ელემენტით გართულებული) ზმნური და სახელური ფუძების განმასხვავებელ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ.

შენიშვნა: საერთო წარმომავლობის ზმნური და სახელური ფუძეების ფონოლოგიურად დაპირისპირებული მაგალითები ქართულში გვაქვს:

სახელური ფუძე	ზმნური ფუძე
ძალ-აი	**ძელ** (შევი-ძელ)
ქარ-ი	**ქერ** (გავ-ქერ)
	ქრ (ქრ-ის)
გან-ი	**გენ** (მივა-გენ)
ახალ	**ახელ** (ვე-ახელ)

(ამის თაობაზე იხ. გ. გოგოლაშვილი, 1981).

§ 21. ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ფორმაწარმოების საკითხები

ერთპირიანი ნასახელარი ზმნები ძირითადად ორ მორფოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება: ვნებითი გვარისა და საშუალი გვარის ე. წ. „მედიოაქტიურ“ ჯგუფში. გვაქვს, ერთი მხრივ, **იბარება, იჟანგება, იკალება, იქარგება, გუბდება, მხეცდება, შავდება** და სხვა; მეორე მხრივ, **მხეცობს, მეფობს, ბავშვობს, თევზაობს, ბურთაობს, კენჭაობს** და სხვა.

თითოეულ ზემოწარმოდგენილ ჯგუფში შეიძლება გამოიყოს ქვეჯგუფები ფორმაწარმოების თვალსაზრისით: ა) ინიანი ვნებითები, ბ) დონიანი ვნებითები, გ) **-ავ** ელემენტიანი რთული ფორმები თევზაობს — ითევზავა ტიპისა და დ) მარტივი ფორმები მეფობს — იმეფა ტიპისა.

თითქმის ყველა სახელისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ზმნური ფორმა, მაგრამ ერთი და იმავე სახელისაგან ვერ ვაწარმოებთ ზემოწარმოდგენილი ყველა ფორმობრივი ჯგუფიდან ნებისმიერს. არსებობს გარკვეული აკრძალვები: კალა — იკალება, მაგრამ არაა კალდება, კალობს, კალაობს და მისთ.

ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, არსებობს თუ არა რაიმე კანონზომიერება ფორმათა ამგვარ განაწილებაში; ერთი და იმავე სახელისაგან რატომ იწარმოება მხოლოდ გარკვეული ფორმები და რა არის მიზეზი სხვა ფორმათა აკრძალვისა.

ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა განხილვისას გამოყვანილია დასკვნა: რომ „იჟანგება — ჟანგდება ტიპის ფორმები ფუნქციის თვალსაზრისით არ უნდა წარმოადგენდნენ პარალელურ ფორმებს,... ერთი მათგანი ჟანგდება (resp. ჟანგად იქცევა) გარდაქცევითობის ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფორმა იჟანგება (resp. ჟანგით იფარება) კი — ინსტრუმენტატივისა“ (ბ. ჯორბენაძე, 1975). ვფიქრობთ, საკითხის ამგვარად დასმა მართებულია. შინაარსობრივი სხვაობა იძებნება აგრეთვე **იმეფა** და **ითევზავა** ტიპის ფორმებს შორისაც. უფრო მეტიც, ხერხდება იმ საერთო საფუძვლის დაძებნა, რომლის მიხედვითაც შეიძლება ზემოწარმოდგენილ ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ჯგუფების დახასიათება.

არსებითი, რაც ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ფორმობრივ ჯგუფებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, არის ის, თუ როგორია მიმართება სათანადო ზმნის სუბიექტისა და ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის; ე. ი. იმ სახელით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის, რომლისგანაც სათანადო ზმნური ფორმა იწარმოება.

ა) **ი** პრეფიქსიან ვნებითებში სუბიექტის აღმნიშვნელი სიტყვით გამოხატულ საგანზე მოქმედებენ ზმნის ფუძეში წარმოდგენილი სიტყვით აღნიშნული საგნით: **დაიბარა** მიწა — მიწა სუბიექტია, ბარი — ფუძით გადმოცემული მნიშვნელობა; ბარით მოქმედებენ მიწაზე. ამგვარია დამოკიდებულება ამ ჯგუფის თითქმის ყველა ზმნის სუბიექტისა და ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის:

დაიჟანგა თოფი: მიმართება თოფსა და ჟანგს შორის;

მოიშხამა ბავშვი: მიმართება ბავშვსა და შხამს შორის;

მოიცელა ბალახი: მიმართება ბალახსა და ცელს შორის;

დაისეტყვა ვენახი... **დაიფარცხა** მიწა... **მოიხერხა** ხე და მრავალი სხვა. როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში მიმართება სუბიექტსა და ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის ერთგვარია. სუბიექტი ყველა შემთხვევაში პასიურია, რეალურად ის მოქმედების ობიექტია; განიცდის ზემოქმედებას იმ საგნისას, რომლის აღმნიშვნელი სახელიც ზმნის ფუძეშია წარმოდგენილი.

ბ) სუფიქსიან ვნებითებში სუბიექტი გადაიქცევა იმ საგნად (ან იმგვარად), რომლის აღმნიშვნელი სახელიც ზმნის ფუძეშია წარმოდგენილი: **ჟანგდება** თოფი — თოფი ჟანგად იქცევა; **გაწითლდა** ცა — ცა წითელი გახდა; **დაგუბდა** წყალი; **დაკაცდა** ბავშვი; **გაშავდა** სითხე და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფში შემოდის ძირითადად საგნის ნიშნის ან თვისების გამომხატველ სახელთაგან ნაწარმოები ზმნები. ვამბობთ „საგნის ნიშნის ან თვისების“ და არა ზედსართავს, რადგან ამ ჯგუფში შეიძლება შემოვიდეს არსებით სახელთაგან ნაწარმოები ზმნებიც, როცა არსებითი სახელი საგნის ნიშანს ან თვისებას გამოხატავს და არა საგანს: **გამხეცდა, გამგელდა, გაჯიქდა**... **მხეცი, მგელი, ჯიქი** ამ შემთხვევაში ზედსართავის ფუნქციით გამოდის.

გ) „იმეფა“ ტიპის ზმნათა ფუძეში წარმოდგენილი სახელით აღნიშნული საგანი სუბიექტისათვის მიბაძვის, მიმსგავსების საგანია; სუბიექტი ავლენს ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობასთან დროებით მსგავსებას, დროებით ასრულებს მის ფუნქციას, მოვალეობას: **ბავშვობს** კაცი — კაცი ბავშვივით იქცევა; **ვეზიროობს** — ვეზირის მოვალეობას ასრულებს; **კაცობს, ხევისბეროობს** და სხვა.

ამგვარ შინაარსობრივ გააზრებას პირობითად მ ს გ ა ვ ს ო ბ ი თ ო ბ ა შეიძლება ვუწოდოთ. მსგავსობითობის შინაარსი შეიძლება გამოხატოს ნებისმიერი სახელისაგან წარმოებულმა ფორმამ, თუ სახელის სემანტიკა ამის შესაძლებლობას იძლევა. ე. ი. თუ სახელის სემანტიკა ისეთია, რომ შეიძლება სუბიექტმა მას მიბაძოს, მას მიემსგავსოს, მასავით მოიქცეს, მისი მოვალეობა შეასრულოს.

დ) დაბოლოს, „ითევზავა“ ტიპის ზმნებში მიმართება სუბიექტსა და ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის ასე შეიძლება დახასიათდეს: სუბიექტი მოქმედებას ასრულებს ფუძეში წარმოდგენილი სახელით აღნიშნული საგნით ან საგანზე, სხვაგვარად: ფუძით გადმოცემული მნიშვნელობა სუბიექტისათვის არის ის ობიექტი, რომ-

ლითაც ან რომელზეც მოქმედებს: **თევზაობს** — წყალში თევზს იჭერს; **ბურთაობს** — ბურთს თამაშობს; **კურდღლაობს** — კურდღელზე ნადირობს; **მწყერაობს** — მწყერზე ნადიობს; **შოლტაობს** შოლტის ქნევით თამაშობს; **გუნდაობს** — თოვლის გუნდების სროლით ვინმესთან თამაშობს და სხვა. მიმართება სუბიექტისა და ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის ყოველთვის ერთგვარია.

ამგვარად, ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ფორმობრივად დაპირისპირებული ჯგუფები შინაარსობრივ დაპირისპირებასაც ავლენენ. შინაარსობრივ სხვაობას ქმნის მიმართება სუბიექტსა და ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის.

ყოველივე ზემოთქმული ბუნებრივად სვამს საკითხს — რა არის მიზეზი ფორმობრივ ჯგუფებს შორის შინაარსობრივი სხვაობისა; სათანადო ფორმა არის თუ არა შესაბამისი შინაარსის მორფოლოგიური გამოხატვა? ან სხვაგვარად: შეიძლება თუ არა სათანადო ფორმათა ურთიერთგანმასხვავებელი ელემენტი მივიჩნიოთ შესაბამისი შინაარსის მორფოლოგიურ ნიშნად? — რა თქმა უნდა, არა.

ამგვარი შინაარსობრივი დაპირისპირება არსებულ ფორმებს შორის დამახასიათებელია მხოლოდ ნასახელარი ზმნებისათვის. მსგავსი წარმოების მქონე ძირეული ზმნები ამგვარ შინაარსობრივ დაპირისპირებას არ გმოხატავენ: **იზრდება, ირთვება, ინგრევა... შენდება, კეთდება, ჩნდება...** მათ შორის მსგავსი შინაარსობრივი სხვაობა არ შეინიშნება. უფრო სწორად, ძირეულ ზმნებში არ დგება საკითხი სუბიექტისა და ფუძით გადმოცემული მნიშვნელობის ურთიერთმიმართებისა.

ეს ფაქტები, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ღირებულებისაა. კერძოდ, დადასტურებაა იმისა, რომ სათანადო ფორმა არ არის შესაბამისი შინაარსის მორფოლოგიური გამოხატვა. ენაში უკვე არსებულმა ფორმებმა შეითვისეს განსხვავებული, ასევე ენაში უკვე არსებული შინაარსი.

ფორმათა შორის ამგვარი შინაარსობრივი სხვაობა გვიანდელი ჩანს. ესეც არის მიზეზი იმისა, რომ ზოგი ფორმა არ არის იმ შინაარსის გამომხატველი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. მაგ.: **ნადიობს** — **ინადირა** ფორმის მიხედვით **მეფობს** — **იმეფა** ტიპისაა, მაგრამ შინაარსობრივად — **თევზაობს** — **ითევზავა** ტიპის ზმნათა რიგში დგება. **ინაზება** ფორმით ინიანი ვნებითია, შინაარსით კი **მეფობს** — **იმეფა** ტიპისა. მსგავსი მაგალითები სხვაც შეიძლება დაიძებნოს.

§ 22. -ავ ელემენტიან მედიოაქტიურ ზმნათა შესახებ

საშუალი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი დრო-კილოთა ფორმებს პარალელურად იწარმოებს: გვაქვს, ერთი მხრივ, მარტივი **გორავს, ცურავს, ხტუნავს**... და, მეორე მხრივ, რთული **გორავობს, ცურავობს, ხტუნავობს**... ფორმები. მარტივ და რთულ ფორმათა განმასხვავებელი **-ავ** ელემენტი რთულ ფორმებში ყველა მწკრივში გადაჰყვება ზმნას. **ვ**ინი იკარგება იმ შემთხვევაში, როცა **-ავ** ელემენტს **ო** ხმოვნის შემცველი სუფიქსი დაერთვის: **გორაობს** ← **გორავობს, იგორაოს** ← **იგორავოს**... იგივე **-ავ** ელემენტი იჩენს თავს რიგ ნასახელარ ზმნასთანაც: **ითევზ-ავ-ა, იბურთ-ავ-ა, ირიკ-ავ-ა**...

სამეცნიერო ლიტერატურაში რთულ ფორმათა არსებობა ამგვარადაა ახსნილი: „**ა**ნზე გათავებული **ობ**იანი საშუალი ზმნების ანალოგიით (**ვგუნდაობ, ვკოჭაობ, ვკოხტაობ, ვმუშაობ, ვციგაობ**) გაკეთებულია ზმნები: **ვჭორაობ, ვცურაობ, ვთევზაობ**, სადაც **ვ** აღდგება სათანადო ფონეტიკურ პირობებში: **ვი-თევზავ-ებ** და მისთ“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 420). ძირეულ ზმნებსა და თანხმოვანფუძიან სახელთაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებში **-ავ** ელემენტის არსებობის ახსნა **ა** ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელთაგან ნაწარმოები ზმნური ფორმების ანალოგიით სადავო გვეჩვენება: საგულისხმო ფაქტია ის, რომ მეორე სერიის ფორმებში **-ავ** ელემენტს გამოავლენს ის ძირეული ზმნები, რომელთაც მარტივი ფორმები **-ავ** თემისნიშნიანი აქვთ: **იცურავა — ცურავს, იგორავა — გორავს** (იხ. § 17.3.)... როგორც ჩანს, რთულ ფორმებში გამოვლენილი **-ავ** ელემენტი და შესაბამისი მარტივი ფორმების **-ავ** თემის ნიშანი ერთი დ იგივე ოდენობაა. სწორედ ამას ვარაუდობს ლ. ნოზაძე, როცა ამბობს: „თევზაობს ტიპის ზმნებისთვისაც ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ **-ავ** სუფიქსიანი ფორმები: **თევზავს, ბანავს, ბურთავს, ჭიდავს**“ (ლ. ნოზაძე, 1974, გვ. 26). ფაქტი ერთია: გვაქვს მარტივი და რთული ფორმები; გვაინტერესებს: არის თუ არა მათ შორის რაიმე შინაარსობრივი სხვაობა.

იცურა — იცურავა ტიპის ფორმობრივად დაპირისპირებული ერთეულები სამეცნიერო ლიტერატურაში იდენტური შინაარსის ოდენობებად არის მიჩნეული (ა. შანიძე, 1973, გვ. 420; ჟ. ფეიქრიშვილი, 1977, გვ. 51; ლ. ნოზაძე, 1974, გვ. 26). ეს ფაქტი თავს იჩენს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“, სადაც ვკითხულობთ:

ცურაობს — იგივეა, რაც ცურავს,

ხტუნაობს — იგივეა, რაც ხტის; **ხტუნავს** — იგივეა, რაც ხტის, **ბუქნავს** — იგივეა, რაც ბუქნაობს...

თუმცა, რიგ შემთხვევაში მითითებული არის რთულ და მარტივ ფორმებს შორის არსებული შინაარსობრივი სხვაობაც:

გორაობს — მწოლიარე ერთ ადგილზე ბრუნავს, ტრიალებს; ერთთავად წევს, გადაბრუნდ-გადმობრუნდება. შდრ.:

გორავს — ბრუნვით, ტრიალით ადგილს გადაინაცვლებს.

ყვინთაობს ხშირ-ხშირად, ზედიზედ ყვინთავს, შდრ.:

ყვინთავს — წყლის სიღრმეში ჩადის...

იცურა — იცურავა ტიპის ფორმებს შორის შინაარსობრივ სხვაობას ხედავს ბ. ჯორბენაძე; მისი აზრით, „**გორავს — გორაობს** ტიპის ფორმები ერთმანეთის მიმართ პარალელურად შეიძლება ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც ყველა მათგანი „მედიუმის“ ფუნქციას გადმოსცემს და მნიშვნელობითაც ერთმანეთის ფარდნი არიან. შეინიშნება ერთგვარი შინაარსობრივი სხვაობაც. კერძოდ, **-ობ** თემისნიშნიანი საშუალი ზმნები მდგომარეობის მეტ განზოგადებას ახდენენ, ვიდრე სხვა თემისნიშანდართული ფორმები. და, მართლაც, თუკი **გორავს** უმეტესად აწმყოს ფუნქციის მატარებელია, **გორაობს** (← **გორავობს**) ფორმა უფრო ზოგად აწმყოს განეკუთვნება. სხვაგვარად: აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ საგნისათვის (resp. პიროვნებისათვის)“ (ბ. ჯორბენაძე, 1975, გვ. 202). ვფიქრობთ, უდავო უნდა იყოს შინაარსობრივი დაპირისპირება **ცურ-ავ-ს — ცურ-ავ-ობ-ს** ტიპის ფორმებს შორის. ჩვენი აზრით, მარტივ ფორმათათვის დამახასიათებელი ჩანს დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით შეუზღუდავი მოქმედების გადმოცემა, ხოლო, შესაბამისად, დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით შეზღუდული მოქმედების გადმოცემა **-ავ** ელემენტიან ფორმათა ფუნქციაა.

ა) ჩვეულებრივი, დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით შეუზღუდავი მოქმედება უნდა გამოიხატებოდეს ამ შემთხვევაში (ვსარგებლობთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდით):

ჩემი ხნისა ქვაც აღარ **გორავსო**, ხმურობით იტყოდა (გ. ხორგ.).

მთიდან ქვა **გორავს** (ა. ყაზბ.).

ქოთანმა **იგორა, იგორა** და თავის სარქველი იპოვნაო (ანდ.).

შენ კარგად **ცურავ** (დ. კვიც.).

დათიკო მართლა შესანიშნავად **ცურავდა** (ა. ბელიაშვ.).
მერცხალი ნავარდობს და თითქმის **ცურავს** (რ. ერისთ.).
ძაღლი დარბის, **ხტუნავს**, იკბინება (იაკობი).
კურდღელმა რაც იკუკა, ის **იხტუნა** (ანდ.)...

ბ) დროისა თუ სივრცის თვალსაზრისით გარკვეულად შეზღუდული მოქმედება უნდა იყოს გამოხატული ზემოწარმოდგენილ ზმნათა **-ავ** ელემენტიან ფორმებში:

ერთი წუთის შემდეგ ორივენი ქუჩის მტვერში **გორაობდნენ** (ა. სულაკ.).
ფეხების დაჭრა შენ უფრო გარგებს, რომ უფრო კარგად **იგორავო** (ვ. ურჯ.)
ბაგრატამ ნახევარი საათი **იგორავა** ტახტზე (ა. ბელიაშვ.).
მეორე დღეს ყინულზე **ვცურაობდით** ნელა-ნელა (რ. ერისთ.).
ორაგულებმა კარგა ხანს **იცურავეს** ძირ-ძირ (იაკობი)
კაი ხანი **იცურავა** ჩვენმა მგალობელმა ცის სივრცეში (იაკობი).
ბავშვები თამაშობდნენ და **ხტუნაობდნენ** (ხ. ს.).
მეც ბევრჯერ **მიხტუნავია** პატარაობაში (შ. არაგვ.).
ზღარბმა **იხტუნავა** და ითამაშა (იაკობი)...

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი შინაარსობრივი დაპირისპირება მარტივ და რთულ ფორმებს შორის სისტემებრ არ არის გატარებული. უფრო სწორად, ზოგჯერ ჭირს ფორმათა შორის მნიშვნელობათა ამგვარი დიფერენციაცია. არის შემთხვევები, როცა შინაარსობრივად თითქოს მოსალოდნელი იყო **-ავ** ელემენტიანი რთული ფორმები, არის კი მარტივი:

მალალოს შვილებიც თავის ყაიდაზე გაეზარდა, მთელი დღე ლოგინში **გორავდნენ** (ო. ჭილ.).
ადე, **ვიხტუნოთ**, ვითამაშოთ (ვაჟა).
უდარდელად **ცურავდნენ** და ჭყუმპალაობდნენ ალაზანში დაქსაქსული საქართველოს მომავალი მეფენი და მთავარნი (ლ. გოთუა).

არ შეგვხვედრია შინაარსობრივი თვალსაზრისით მოსალოდნელი მარტივი ფორმის ნაცვლად **-ავ** ელემენტიანი ფორმა; ამის მიზეზი, ვფიქრობთ, პირველ რიგში ის არის, რომ **-ავ** ელემენტიანი ფორმები გვიანდელია, როგორც მიუთითებენ, ჩვეულებრივ თავს იჩენს XIX საუ-

კუნიდან (ჟ. ფეიქრიშვილი, 1977, გვ. 51). იგულისხმება, რომ მანამდე მარტივ ფორმებს ეკისრებოდა იმ შინაარსის გადმოცემაც, რასაც დღეს **-ავ** ელემენტიანი ფორმები გამოხატავს. ეს ფაქტიც საკმაოდ ხშირად იჩენს თავს.

ნასახელარ ზმნებში ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოები მარტივი და რთული (**-ავ** ელემენტიანი) ფორმები არ შეგვხვედრია. სახელთა ერთი ნაწილი ზმნურ ფორმებს **-ავ** ელემენტით იწარმოებს (ითევზავებს, იბრუთავებს...), ხოლო, მეორე ნაწილი — მარტივად; **-ავ** ელემენტის გარეშე (**მეფობს, ბავშვობს, კაცობს...**). მიუხედვად ამისა, მაინც შეიმჩნევა აშკარა შინაარსობრივი სხვაობა „ითევზავა“ და „იმეფა“ ტიპის ფორმებს შორის. სხვაობას ქმნის მიმართება ზმნის სუბიექტსა და ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის (ამის თაობაზე წინა პარაგრაფში ვისაუბრეთ).

როგორც ვხედავთ, მარტივ და რთულ (**-ავ** ელემენტიან) ფორმათა შინაარსობრივ დაპირისპირებას სხვადასხვა საფუძველი აქვს ძირეულ და ნასახელარ ზმნებში. ეს ფაქტი თავისთავად სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ **-ავ** ელემენტის მორფოლოგიური ფუნქცია არ არის მარტივ და რთულ ფორმათა შორის არსებული შინაარსობრივი დაპირისპირების გამოხატვა.

როგორც ჩანს, ენაში უკვე არსებულმა ფორმებმა (მარტივმა და რთულმა) გადაინაწილეს ასევე ენაში უკვე არსებული განსხვავებული შინაარსი. ფორმათა შორის ამგვარი შინაარსობრივი სხვაობა გვიანდელი ჩანს და ესეც არის მიზეზი იმისა, რომ შინაარსობრივი დაპირისპირება სისტემებრ არ არის გატარებული.

გვინდა ყურადღება მივაქციოთ რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევას.

იგუნდავა, იციგავა, იკოჭავა ფორმებში **ვ** ფონეტიკურ ჩანართად, ხმოვანთგასაყარად არის მიჩნეული. წინამვალი **ა** კი — შესაბამისი სახელის ფუძისეულ ხმოვნად (ა. შანიძე, 1973, გვ. 420; იხ. აგრეთვე ლ. ნოზაძე, 1974, გვ. 26). აღნიშნულ ნასახელარ ზმნათა ამგვარი ანალიზის საფუძველი ის არის, რომ სათანადო სახელი ხმოვანფუძიანია. ზემოთ იმის თაობაზეც ვისაუბრეთ, რომ „ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთაგან ზმნათა წარმოება ორგვარია: შეიძლება, რომ ბოლოკიდური ხმოვანი შეიკვეცოს და შეიძლება სახელის ფუძე შენახულ იქნეს მთლიანად“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 418). **იციგავა, იგუნდავა,**

იკოჭავა ფორმებში ივარაუდება, რომ სახელის ფუძე (**ციგა, გუნდა, კოჭა**) უცვლელადაა წარმოდგენილი.

ვფიქრობთ, აღნიშნულ ზმნურ ფორმებში შესაძლებელია იმავე **-ავ** ელემენტის გმოყოფა, რაც „ითევზავა“ ტიპის ზმნებში დასტრუდება.

საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ როგორ იცვლება სახელური ფუძეები მათგან ზმნური ფორმების წარმოების დროს.

თუ იმ ფონეტიკურ პროცესებს გავითვალისწინებთ, რაც ერთზემეტმარცვლიან ხმოვანფუძიან კვეცად სახელებში ხდება — **ციგა, გუნდა, კოჭა, კაფია, ენა, ციგურა** და სხვა სახელური ფუძეებიდან წარმოებულ ზმნურ ფორმებში ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვაა მოსალოდნელი, ეს კი **ი-ციგ-ავ-ა, ი-გუნდ-ავ-ა, ი-კოჭ-ავ-ა, კაფი-ა(ვ)-ობს, ციგურ-ა(ვ)-ობს, ენა-(ვ)-ობს** ფორმებში **-ავ** ელემენტის გამოყოფის საშუალებას გვაძლევს. ამ ფორმებში **-ავ** ელემენტის გამოყოფას მხარს უჭერს მათი შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებაც: მიმართება სუბიექტსა და ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის ისეთია, როგორც „ითევზავა“ ტიპის ზმნათა შემთხვევაში: სუბიექტი მოქედებას ასრულებს ფუძეში წარმოდგენილი სახელით აღნიშნული საგნით ან საგანზე:

ციგაობს — ციგით სრიალებს,
გუნდაობს — თოვლის გუნდების სროლით ვინმესთან თამაშობს,
კოჭაობს — კოჭს თამაშობს (კოჭი || კოჭა),
ენაობს — ენა, ამბავი მიაქვს-მოაქვს,
ციგარაობს — ციგურებით სრიალებს.

ამგვარად, მომხდარი ფონეტიკური პროცესისა და შინაარსობრივი მხარის გათვალისწინება ამ ფორმებში იმავე **-ავ** ელემენტს გამოგვაყოფინებს, რაც „ითევზავა“ ტიპის ზმნებში დასტურდება.

თავი V. II სერიის ფორმათა წარმოების საკითხები

§ 23. წყვეტილის წარმოების საკითხები

23.1. წყვეტილის წარმოების ტიპის განსაზღვრისათვის

წყვეტლის წარმოებაში ძირითადად ორ ჯგუფს გამოყოფენ: ა) უნიშნოს, რომელიც რიგ შემთხვევაში მიიღებს ნართაულ **ი**-ს და ბ) **-ე** სუფიქსიანს.

წყვეტილის წარმოების საკითხის გარკვევისას ჩვეულებრივ განიხილავენ ამა თუ იმ მორფოლოგიურ ტიპს და მსჯელობენ, თუ რომელი ტიპის ზმნა როგორ აწარმოებს ამ მწკრივის ფორმებს. ამგვარი ანალიზი არსებულ ვითარებას მხოლოდ ართულებს და ჭირს ზოგადი კანონზომიერების დადგენა.

წყვეტილის წარმოების საკითხის განხილვა ზმნის გვარის ფორმათა მიხედვით ერთნაირ სურათს იძლევა: **-ი** ელემენტი გვხვდება როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ზმნათა წყვეტილის ფორმებში:

მოქმ.: დავწვ-**ი**, დავფქვ-**ი**, შემოვარტყ-**ი**, მოვკალ-**ი**...

ვნებ.: გავთბ-**ი**, ავშენდ-**ი**, დავბერდ-**ი**, გავიქეც-**ი**...

იგივე ითქმის **-ე** სუფიქსის მიმართაც:

მოქმ.: ავაშენ-**ე**, გავზარდ-**ე**, დავხატ-**ე**, გავაკეთებინ-**ე**...

ვნებ.: დავემალ-**ე**, გავიზარდ-**ე**, დავიბად-**ე**...

არც პირველი სერიის ფორმათა წარმოების გათვალისწინება ამარტივებს საქმეს, რადგანაც ერთი და იგივე თემისნიშნიანი ზმნები წყვეტილს იწარმოებს როგორც **-ე** სუფიქსით, ასევე **-ი** ელემენტით:

ე. წ. **-ი თემისნიშნიანი** ზმნები: ვშლ-**ი** — ვშალ-**ე**, ვთლ-**ი** — ვთალ-**ე**, ვმკ-**ი** — ვმკ-**ე**... მაგრამ ვჭრ-**ი** — ვჭერ-**ი**, ვცრ-**ი** — ვცერ-**ი**, ვქმნ-**ი** — ვქმენ-**ი**...

-ებ თემისნიშნიანები: ვაკეთ-**ებ** — ვაკეთ-**ე**, ვაშენ-**ებ** — ვაშენ-**ე**, ვაქ-**ებ** — ვაქ-**ე**... მაგრამ ვუშვ-**ებ** — გავუშვ-**ი**, ვუძლ-**ებ** — გავუძელ-**ი**, ვთბ-**ებ-ი** — გავთბ-**ი**...

-ობ თემისნიშნიანები: ვგმ-**ობ**, დავგმ-**ე**, ვთმ-**ობ** — დავთმ-**ე**, ვამაყ-**ობ** — ვიამაყ-**ე**... მაგრამ ვგრძნ-**ობ** — ვიგრძენ-**ი**, ვეცნ-**ობ-ი** — გავეცან-**ი**...

-ავ თემისნიშნიანები: ვხატ-**ავ** — დავხატ-**ე**, ვკერ-**ავ** — შევკერ-**ე**, ვთეს-**ავ** — დავთეს-**ე**... მაგრამ ვკლ-**ავ** — მოვკალ-**ი**, ვძრ-**ავ** — დავძარ-**ი**, ვხრ-**ავ** — გამოვხარ-**ი**...

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით წყვეტილის წარმოების ზოგადი კანონზომიერების დადგენის ცდასაც: „იმ ზმნებს, რომელთაც წყვეტილში დაბოლოება არა აქვთ, აწმყოში ყოველთვის აქვთ თემატური სუფიქსი: ვ-სუმ-ამ — ვ-სუ, ვ-კლ-ავ — მო-ვ-კალ... თუ ზმნა აწმყოში უთემისნიშნოა, მას წყვეტილში აუცილებლად ექნება **-ე** სუფიქსი“ (ლ. კიკნაძე, 1947, გვ. 320). მართალია, უნიშნო წყვეტილს თემისნიშნიანი აწმყო შეეფარდება, მაგრამ თემის ნიშნის მქონეობა არ არის წყვეტილის უნიშნობისათვის განმსაზღვრელი პირობა: როგორც ვნახეთ, აწმყოში თემისნიშნიან ზმნებს წყვეტილი **-ე** სუფიქსითაც ეწარმოებათ; ეს კი მეორე წესის საწინააღმდეგო მტკიცებაა: **-ე** სუფიქსიანი წყვეტილი მხოლოდ უთემისნიშნო ზმნებს არ შეეფარდება.

როგორც ჩანს, ზმნური კატეგორიებისა და მორფოლოგიური ტიპების გათვალისწინება ვერ აგვიხსნის წყვეტილის წარმოების საკითხს. სხვაგვარად, ზმნური კატეგორიები და მორფოლოგიური ჯგუფები არ განსაზღვრავს წყვეტილის წარმოების ტიპს.

საკითხს აქ ისიც ართულებს, რომ წყვეტილში გამოვლენილ **-ე** სუფიქსს, ისევე როგორც **-ი** ელემენტს, ჩვეულებრივ, ერთ და იმავე ოდენობად მიიჩნევენ (ამის შესახებ დაწვრილებით ქვევით გვექნება საუბარი).

წყვეტილის წარმოებასთან დაკავშირებით საინტერესოა ვ. თოფურიას შენიშვნა: „წყვეტილი ორი სახით იხმარება: უნიშნოდ ან ნართაული **-ი**-თ და **-ე** სუფიქსით. უნიშნოს შეუძლია დაირთოს უფუნქციო **-ი.** ასეთი ზმნები რაოდენობით მცირეა. მათი ფუძე ან უმარცვლოა, ან კუმშვადი, **-ე** სუფიქსით იწარმოება ფუძეკუმშვადი ზმნები“ (ვ. თოფურია, 1955, გვ. 453). მოვლენის ასახსნელად მართებული ჩანს საკითხისადმი ასეთი მიდგომა. მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ **წყვეტილის წარმოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საყრდენი მორფემის სტრუქტურას.** განსხვავებულია ვითარება იმის მიხედვით, საყრდენი მორფემა მარცვლოვანია თუ უმარცვლო; მარცვლოვანთაგან — ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველია თუ არა. აქვე დავძენთ: როცა ვსაუბრობთ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის ნულთან მონაცვლეობაზე, მხედველობაში გვაქვს მონაცვლეობა-არმონაცვლეობა წყვეტი-

ლის ფორმებში. შეიძლება საყრდენი მორფემისეული ხმოვანი საერთოდ ნულთან მონაცვლეობდეს, მაგრამ განსახილველი მწკრივის ფორმებში ხმოვანი შენარჩუნებული ჰქონდეს; მაგ.: აწმყო — ვ-შლ-ი, ვ-თლ-ი... წყვეტილი — ვ-შალ-ე, ვ-თალ-ე... ასეთ შემთხვევაში საყრდენ მორფემას ნულთან არმონაცვლე ხმოვნის შემცველს ვუწოდებთ, რადგან საუბარი გვაქს წყვეტილის წარმოებაზე.

წარმოების ტიპზე მსჯელობისას მხედველობაშია მიღებული სუბიექტური პირველი და მეორე პირის ფორმები, რადგან მაწარმოებლები სრული სახით აქ არის წარმოდგენილი. სუბიექტური მესამე პირის ფორმებში პირის ნიშანთა გავლენით მომხდარ ფონეტიკურ პროცესთა შედეგად წარმოების ტიპის გარჩევა, ძირითადად, არ მოხერხდა.

23.2. -ი ელემენტიანი წყვეტილი

წყვეტილში ზმნათა ერთი ჯგუფი სუბიექტური I და II პირის ფორმებში **-ი** ელემენტს დაირთავს. სათანადო ენობრივი მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ განსახილველ **მწკრივში -ი** ელემენტი ყველგან ერთ და იმავე ოდენობად არ შეიძლება ჩაითვალოს.

-ი ელემენტიანი წყვეტილის წარმოებაში ორი შემთხვევა უნდა გაირჩეს: ერთი, როცა I და II პირის ფორმებში **-ი** ელემენტი თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან და მეორე, როცა ამ ფორმებში **-ი** ელემენტი არ მონაცვლეობს ნულთან.

თუ საყრდენი მორფემა მარცვლოვანია და დრო-კილოთა მეორე სერიის გარკვეულ ფორმებში (ე. ი. სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში) **ხმოვანს კარგავს, წყვეტილი -ი ელემენტით იწარმოება ან უნიშნოდაა წარმოდგენილი** (უნიშნო ტიპი წარმოებისა ამჟამად შედარებით იშვიათია). აღნიშნული კანონზომიერებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, საყრდენი მორფემა ძირეულია თუ სუფიქსური:

ა) საყრდენი მორფემა ძირეულია:

მოვ-**კალ**-ი	მოვ-**კალ**	მოვ-**კალ-ი**-თ
მო-**კალ**-ი	მო-**კალ**	მო-**კალ-ი**-თ
მო-**კლ**-ა		მო-**კლ**-ეს

ამ ტიპის ზმნებია: ა) **ა** ხმოვნიანი ძირეული მორფემით: შევ-**კარ**-ი (შე-კრ-ა), მოვ-**ხან**-ი (მო-ხნ-ა), დავ-**წან**-ი (და-წნ-ა), დავ-**ძარ**-ი (და-ძრ-ა)

და სხვა; ბ) **ე** ხმოვნიანი ძირეული მორფემით: გავი-**ნძერ**-ი (გაი-ნძრ-ა), გავ-**ჭერ**-ი (გა-ჭრ-ა), გავ-**ცერ**-ი (გა-ცრ-ა), გავი**-ქეც**-ი (გაი-ქც-ა) და სხვა.

წარმოების ტიპი არ იცვლება, როცა საყრდენი მორფემა ისეთი სუფიქსია, რომლის ხმოვანიც გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში მონაცვლეობს ნულთან. ახალ ქართულში დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმებთან ამგვარი სუფიქსური საყრდენი მორფემა არა გვაქვს, მაგრამ ძველ ქართულში გვქონდა; მხედველობაში გვაქვს პირდაპირი ობიექტის მრავლობითის -**ენ** (რომელიც შესაბამისი ვნებითის ფორმებშიც გადაჰყვებოდა ზმნას) და ვნებითი გვარის **-ენ** მაწარმოებლები. ძველი ქართულის მონაცემთა მოშველიებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, დგინდება, რომ კანონზომიერება საკმაოდ ძველი და გავრცელებული ჩანს. გარდა ამისა, ნაშთის სახით ახალ ქართულში შემოგვრჩა პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი **-ენ** სუფიქსიანი ფორმები; მათ გამოყენებას უმეტეს შემთხვევაში, მართალია, სტილური დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ საკითხის განხილვისათვის მნიშვნელოვანია:

წეროს წვივნი **დავლეწენ** (ა. ჭავჭ.)

სისკარ და მარეხ მე თვით **ჩავაქრენ** ჩაუქრობელმა და კვლავ **აღვანთენ,** ვით მზემან — მთვარე (გ. ჯაბ.).

-ენ სუფიქსი, ძირითადად, ვნებითის ფორმებმა შემოგვინახა:

დავკოცნეთ ერთმანეთი და **გავიყარენით** (ილია).

დაიზარდენით, ქალებო (ვაჟა).

აღმართთან ურმებს **დავეწიენით** და ნაბიჯით გავყევით უკან (ეკ. გაბ.).

სასტიკად **ვიძლიენით** და გული გატყდა გმირულად მებრძოლის (ვ. ბარნ.).

გუშინ სადილიდან პირდაპირ იქ **გაიპარენით?** (ნ. შიუკ.).

შევემტკიცენით, მათნი ვართ და ჩვენნი არიან (ო. ჩხ.).

შენ თუ მუსიკა არ გაწუხებს, ჩვენ **დავიხოცენით** (მ. ბერძ.).

როგორც ცნობილია, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობისა და ვნებითი გვარის აღნიშნული მაწარმოებლები წყვეტილის პირველი და მეორე პირის ფორმებში სრული სახით იყო წარმოდგენილი, მესამე პირში ხმოვანი რედუცირდებოდა. ზემოგანხილული შემთხვევების მსგავსად, წყვეტილი აქაც ან უნიშნოა, ან დაირთავს **-ი** ელემენტს (ძირითადად მრავლობითის ფორმებში). მნიშვნელობა არა აქვს ძირეული მორფემის ტიპს:

ა) ძირეული მორფემისეული ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან:

მოვ-კლ-ენ	მოვ-კლ-ენ-ი-თ
მოჰ-კლ-ენ	მოჰ-კლ-ენ-ი-თ
მო-კლ-ნ-ა	მო-კლ-ნ-ეს

ბ) ძირეული მორფემისეული ხმოვანი არ მონაცვლეობს ნულთან:

დავ-ხატ-ენ	დავ-ხატ-ენ-ი-თ
დაჰ-ხატ-ენ	დაჰ-ხატ-ენ-ი-თ
და-ხატ-ნ-ა	და-ხატ-ნ-ეს

ასევე იწარმოებს წყვეტილის ფორმებს **-ენ** სუფიქსიანი ვნებითებიც:

განვ-კაც-ენ	განვ-კაც-ენ-ი-თ
განჰ-კაც-ენ	განჰ-კაც-ენ-ი-თ
გან-კაც-ნ-ა	გან-კაც-ნ-ეს

ამგვარად, თუ საყრდენი მორფემა არის მარცვლოვანი და ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის ფორმებში კარგავს ხმოვანს, ზმნური ფორმა დაირთავს **-ი** ელემენტს, რომელიც თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან. განხილულ ტიპს წარმოებისას ვუწოდებთ **წყვეტილის წარმოების I ყალიბს** (ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველი საყრდენი მორფემა + ი || 0).

შენიშვნა: შეიძლებოდა ყალიბების სახელდება მოგვეხდინა ამ ყალიბით წარმოებული რომელიმე ზმნის მიხედვით მაგ.: „მოვკალი“ ტიპის ზმნები და ა. შ. მაგრამ რამდენადაც ერთი და იმავე ყალიბით იწარმოებს წყვეტილის ფორმებს სხვადასხვა მორფოლოგიური ჯგუფის ზმნები, ამან შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს. არნ. ჩიქობავა მწკრივთა სახელდების პრინციპებზე მსჯელობისას აღნიშნავს: გაუგებრობას აგვაცილებდა, მწკრივის სახელი სტრუქტურული თვალსაზრისით მოგვეცა (უბრალო ნუმერაციის წესითაც კი!) (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 102). როცა ყალიბების სახელდებას არ ვახდენთ ამ ყალიბში შემავალი რომელიმე ზმნის მიხედ-

ვით, ამგვარი გაუგებრობის თავიდან აცილებას ვცდილობთ.

გამოიყოფა ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელიც წყვეტილს **-ი** ელემენტით იწარმოებს, მაგრამ სხვაობა ზემოთ განხილული I ყალიბის ზმნებთან ის არის, რომ ეს **-ი** ელემენტი თვისობრივად განსხვავებულია, იგი არ მონაცვლეობს ნულთან: თუ გვაქვს **მოვკალ || მოვკალ-ი** ტიპის ფორმები, არ გვხვდება **გავთბ-ი || გავთბ** პარალელური ფორმები. ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობა აქვს განსახილველი ტიპის ზმნათა ფორმობრივი ანალიზისას.

ზმნათა იმ ჯგუფს, რომელთა წყვეტილში გამოვლენილი **-ი** ელემენტი არ მონაცვლეობს ნულთან, ვუწოდებთ **წყვეტილის წარმოების II ყალიბს.**

მეორე ყალიბის ზმნებში ძირითადად სამი მორფოლოგიური ჯგუფი გამოიყოფა: ა) **-ამ** თემისნიშნიანები, ბ) **დ**ონიანი ვნებითები და გ) „უნიშნო ვნებითთა“ ერთი ნაწილი (ამ ზმნათა მორფოლოგიური თავისებურებები რომ არაფერ შუაშია წყვეტილის წარმოებასთან დაკავშირებით, ისიც ადასტურებს, რომ უნიშნო ვნებითთა ერთი ნაწილი — გავძეხი, დავთვერი, გავქერი... — I ყალიბში თავსდება, ნაწილი კი II ყალიბში შემოდის).

განვიხილავთ ცალ-ცალკე მეორე ყალიბის ზმნათა ჯგუფებს:

-ამ თემისნიშნიანი ყველა ზმნა წყვეტილს **-ი** ელემენტით იწარმოებს (ა. შანიძე, 1973, გვ. 427). ამგვარ ზმნათა რაოდენობა არცთუ დიდია. **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა წყვეტილში საყრდენი მორფემა ძირეულია და, რაც მთავარია, უმარცვლო:

დავა-ბ-ი (ვაბ-ამ)	დავა-სხ-ი (ვა-სხ-ამ)
დავ-დგ-ი (ვდგ-ამ)	შემოვი-რტყ-ი (შემოვირტყ-ამ)
გავა-რთხ-ი (ვართხ-ამ)	დავა-რქვ-ი (დავარქვ-ამ || დავარქმ-ევ)
გავ-თქვ-ი (გავთქვ-ამ)	
შევ-სვ-ი (შევსვ-ამ)	ჩავი-ცვ-ი (ჩავიცვ-ამ)

წარმოდგენილ ზმნათა ძირეულ მორფემებს ისტორიულად სხვაგვარი სახე ჰქონდა. ორი მათგანი ძველ ქართულში **ა** ხმოვანს შეიცავდა, რომელიც III სუბიექტური პირის ფორმებში მონაცვლეობდა ნულთან:

განვი-**რათხ** — განი-**რთხ**-ა, შევი-**რატყ** — შეი-**რტყ**-ა.

რამდენიმე ძირეულ მორფემაში დადასტურებული ბოლოკიდური **ვ** თანხმოვანი ისტორიულად **უ** ხმოვანია, რომელიც მესამე პირის ფორმებში უმარცვლო **უ**-ს სახით წარმოგვიდგება: ვ-**თქუ** — **თქუ**-ა, შევ-**სუ** — შე-**სუ**-ა, ვარ-**რქუ** — **რქუ**-ა, შთავა-**ცუ** — შთაა**ცუ**-ა, მივა-**რთუ** — მია-**რთუ**-ა, **დგ**-ამ ზმნისათვის **დეგ** ძირია ამოსავალი.

ირკვევა, რომ ძველი ქართულის ჩვენება ამ ზმნებს I ყალიბის ზმნათა რიგში აყენებს (კუმშვადი საყრდენი მორფემა + ი || 0). ამას ვერ ვიტყვით **ბ**-ამ, **სხ**-ამ ზმნების ძირეულ მორფემათა შესახებ. თუ იმ თვალსაზრისს დავემყარებით, რომ „უმარცვლო ზმნური ფუძეები ისტორიულად მიღებულია ხმოვნის რედუქციის შედეგად. უმარცვლო ფუძეები ქართულისათვის არაა ტიპიური, დამახასიათებელი არც სინქრონიულ და (მით უმეტეს) დიაქრონიულ პლანში“ (ფ. ერთელიშვილი, 1970, გვ. 285), საკითხი თითქოს იოლად წყდება, მაგრამ ბ-ამ, სხა-მ ძირეულ მორფემებში ამოსავალი მარცვლოვანი ვარიანტის მტკიცებისათვის არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია, გარდა ამ მოსაზრებისა. კონკრეტული შემთხვევისათვის კი, ვფიქრობთ, ეს საკმარისი არ არის. მით უმეტეს, რომ არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ისტორიულად ქართველურ ენებში „ძირი შედგება ერთი თანხმოვნისაგან... სახელისა და ზმნის ფუძე მკვეთრად არაა დიფერენცირებული“ (არნ. ჩიქობავა, 1948 (2), გვ. 274).

„უნიშნო ვნებითთა“ ერთი, მცირე, ნაწილი პირველ ყალიბში თავსდება (გავძეხი, დავთვერი, გავქერი...); ამ ტიპის ზმნათა მეორე ნაწილის ძირეული მორფემა წყვეტილის ყველა ფორმაში უმარცვლოა და II ყალიბის პარადიგმას გვაძლევს:

შევ-კრთ-ი	შევ-კრთ-ი-თ
შე-კრთ-ი	შე-კრთ-ი-თ
შე-კრთ-ა	შე-კრთ-ნენ

ასევე იუღვლის ზმნები: **გავ-თბ-ი, გავ-ხმ-ი, დავ-დნ-ი...** ამ ზმნათაგან ზოგი ძველ ქართულში წყვეტილის პირველსა და მეორე პირში ძირეულ მორფემაში ხმოვანს წარმოადგენდა:

განვ-ტეფ	განვ-ტეფ-ი-თ
გან-ტეფ	გან-ტეფ-ი-თ
გან-ტფ-ა	გან-ტფ-ეს

ამგვარი ზმნებია: **განვ-ჰემ** („გავხმი“), **განვ-კერთ** („გავკრთი“), **შევს-ცეთ** („შევცდი“), **მოვ-კუედ** („მოვკვდი“) და სხვა. მაგრამ უნიშნო ვნებითთა ერთი ნაწილის ძირეული მორფემა ძველ ქართულშიც უმარცვლოა: გავ-შრ-ი, დავ-დნ-ი... ვ. თოფურიას აზრით, „თბება“ ტიპის ყველა ზმნაში ისტორიულად ხმოვანი ივარაუდება, რასაც მხარს უჭერს მონათესავე ენათა ჩვენება (ვ. თოფურია, 1930, გვ. 300).

ამგვარად, ივარაუდება, რომ „უნიშნო ვნებითებიც“ წყვეტილის ფორმებს ისტორიულად პირველი ყალიბის მიხედვით იწარმოებდნენ.

საყრდენი მორფემა უმარცვლო აქვს და წყვეტილში **-ი** ელემენტს დაირთავს დონიანი ვნებითი. ფაქტობრივ, ძველსა და ახალ ქართულში არ დასტურდება დონიანი ვნებითის პირველი და მეორე პირის ფორმები (მხოლობითსა და მრავლობითში), რომ ამ ელემენტს არ დაირთავდეს.

გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, **-დ** სუფიქსი ვნებითის **-ნ** (← **-ენ**) სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტია (ა. შანიძე, 1957, გვ. 43; ჰ. ფოგტი, 1981, გვ. 305; გ. კლიმოვი, 1964, გვ. 67), რაც თავისთავად სვამს საკითხს მისი (**-დ** სუფიქსის) **-ედ** ფორმანტიდან მომდინარეობის შესახებ. მაგრამ მკვლევართა ერთი ჯგუფი არ იზიარებს ამ ვარაუდს, **-დ** და **-ნ** (← -ენ) ფორმანტებს გენეტურად განსხვავებულ ოდენობებად მიიჩნევს (ვ. თოფურია, 1955; ფ. ერთელიშვილი, 1970; გ. მაჭავარიანი, 1959). ჩვენთვის სარწმუნო და დამაჯერებელია მეორე მოსაზრება. ამგვარად, საკითხის განხილვისას ვემყარებით დებულებას, რომ **-დ** სუფიქსი ვნებითი გვარის ზმნებში დამოუკიდებელი ოდენობაა და არაა გენეტურ კავშირში **-ნ (← -ენ)** ფორმანტთან. მაგრამ ეს არ გამორიცხავს საკითხს **-დ** სუფიქსის **-ედ** ფორმანტიდან მომდინარეობის შესახებ. მკვლევართა ის ჯგუფი, რომელიც **-დ** და **-ნ (← -ენ)** სუფიქსებს შორის გენეტურ კავშირს უარყოფს, **-დ** სუფიქსის თავდაპირველ სახედ ასევე **-ედ**-ს ვარაუდობს. მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ **დ**ონიანი ვნებითის ფორმებიც ისტორიულად პირველი ყალიბის მიხედვით იწარმოებდა წყვეტილის ფორმებს.

მეორე ყალიბის ზმნათა მორფოლოგიური ჯგუფების განხილვამ გვიჩვენა, რომ ამ ყალიბის ზმნათა ძირითად ნაწილში ისტორიულად მარცვლოვანი კუმშვადი საყრდენი მორფემა იგულისხმება; მაგრამ ისტორიული ვითარება ამჟამინდელ მდგომარეობას არ უნდა განსაზღვრავდეს. **-ი** ელემენტის გამოვლენა განსახილველი ტიპის ზმნათა წყვეტილის ფორმებში არაა ოდინდელი მარცვლოვნობის შედეგი. წყვეტილის წარმოებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ და მხო-

ლოდ საყრდენი მორფემის ამჟამინდელ სტრუქტურას (ეს უფრო ცხადად წარმოჩნდება, როცა შევეხებით პარალელურ წარმოებას წყვეტილისას). აქედან გამომდინარე, მართებული ჩანს დაკვირვება (ვ. თოფურია, 1955, გვ. 453), რომ **-ი ელემენტს დაირთავს უმარცვლო საყრდენი მორფემა.**

რა გვაძლევს საფუძველს მეორე ყალიბის გამოყოფისას; ხომ არ შეიძლება **-ი** ელემენტიანი ყველა ზმნის ერთ ყალიბში მოქცევა და წესის ამგვარად ჩამოყალიბება: **-ი** ელემენტს დაირთავს ნამყო ძირითადში კუმშვადი და უმარცვლო საყრდენი მორფემა?

რა თქმა უნდა, არა. აქ უეჭველადაა გასათვალისწინებელი **-ი** ელემენტის თვისობა და ქმედების უნარი. **-ი** ელემენტი, როგორც მიუთითებენ, „უფუნქციოა“, გაჩენილია თანხმოვანგასაყარად I და II სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმებში, შემდეგ გადავიდა მხოლობითში (მსჯელობა I ყალიბის ზმნებთან გამოვლენილ **-ი** ელემენტს შეეხება, II ყალიბის ზმნებთან დადასტურებული **-ი** ელემენტის შესახებ ავტორის მოსაზრებებს ქვევით განვიხილავთ) (არნ. ჩიქობავა, 1926). მკვლევართა უმრავლესობა ამგვარად ხსნის **-ი** ელემენტის არსებობას I და II ყალიბის ზმნებთან, თუმცა იმასაც შენიშნავენ, რომ შესამჩნევია სხვაობა ამ ელემენტის გამოყენების თვალსაზრისით მარცვლოვან და უმარცვლო ფუძეებთან: „ნართაული **ი**... თანხმოვანთ გასაყარად არის გაჩენილი მრავლობითში და იქიდან მხოლობითშია გადასული. ეს **ი** დღეს მხოლობითისათვის აუცილებელია უმარცვლო ფუძეებში, სხვებში კი აუცილებელი არაა, თუმცა კი მისი დართვა ჩვეულებრივია“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 427).

სადავოა ნამყო ძირითადში გამოვლენილი **-ი** ელემენტის ყველა შემთხვევაში ერთ და იმავე ოდენობად მიჩნევა.

ჯერ ერთი, თუ **-ი** ელემენტი პირველი და მეორე ყალიბის ზმნებთან ერთი და იგივე ოდენობაა, რატომ არის, რომ I ყალიბის ზმნათა პარალელური ფორმები არსებობს **-ი** ელემენტითა და მის გარეშე: **მოვ-კალ || მოვ-კალ-ი**..., ხოლო მეორე ყალიბის ზმნებში არ გვხვდება ამგვარი შემთხვევები; გვაქვს **დავ-დგ-ი, გავ-თბ-ი, ავშენ-დ-ი,** მაგრამ არა გვაქვს **დავ-დგ, გავ-თბ, ავშენ-დ** და სხვა.

მეორეც, თუ პირველი ყალიბის ზმნებში **-ი** ელემენტი საყრდენი მორფემის ხმოვანზე გავლენის უნარს მოკლებულია, ვერ კარგავს მას (მოვ-კალ-ი და არა მოვ-კლ-ი), ამას ვერ ვიტყვით II ყალიბის ზმნებთან გამოვლენილ **-ი** ელემენტზე. ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში აქ საყრდენი მორფემა შეკუმშულია (გავ-თბ-ი ← განვ-ტეფ-ი, გავ-ხმ-ი ←

განვ-ვემ-ი...). ხმოვნის რედუქციის გამომწვევი სხვა ფაქტორი, გარდა **-ი** ელემენტის გავლენისა, ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, გამორიცხულია.

ამდენად, II ყალიბის ზმნებთან გამოვლენილი **-ი** ელემენტი არსებითი ხასიათის სხვაობას ავლენს I ყალიბის ზმნებთან დადასტურებულ **-ი** ელემენტთან: არ მონაცვლეობს ნულთან და კარგავს საყრდენ მორფემისეულ ხმოვანს.

კონკრეტული შემთხვევისათვის — **დავ-დგ-ი** (მე, ის) — I და II პირში ძირეული საყრდენი მორფემის შეკუმშული სახეობა III პირის ფორმიდან — **და-დგ-ა** (მან ის) — გადასულად ივარაუდება, რათა განსხვავებულიყო ერთპირიანი **დავ-დეგ** (→ დავდექ) ფორმისაგან (გ. მაჭავარიანი, 1959, გვ. 101). ასევე მესამე პირის ანალოგიას მიეწერება „უნიშნო ვნებითთა“ I და II ფორმებში უხმოვნო ფუძის მქონეობა (გავხმ-ი, მოვ-კვდ-ი, წავ-ხდ-ი და სხვ.) (იქვე, გვ. 102). ეს თვალსაზრისი საყრდენი მორფემისეულ ხმოვანზე **-ი** ელემენტის გავლენის ფაქტორს გამორიცხავს. ვფიქრობთ, მოსაზრება სადავოა. პირველ შემთხვევაში (დავ-დგ-ი მე ის) ომონიმურ ფორმათა თავიდან ასაცილებლად ენას არ გამოუყენებია რაიმე მადიფერენცირებელი საშუალება მესამე პირის ფორმისათვის — **დადგა** მან ის და **დადგა** ის — და, ამდენად, ეჭვქვეშ დგება I და II პირის ფორმებში მომხდარი ცვლილების ამგვარად ახსნა. მართალია, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ენაში მიმდინარე რაიმე პროცესი შესაძლოა არ გავრცელდეს სისტემაში შემავალ ყველა ფორმაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ახსნა უნდა დაეძებნოს იმას, რაც იწვევს ერთ შემთხვევაში ცვლილებას, ხოლო სხვა შემთხვევაში უცვლელად ტოვებს ფორმას. თუ შემოთავაზებულ თვალსაზრისს ვირწმუნებთ, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: I ყალიბის ზმნათა III პირის ფორმებში ძირეული საყრდენი მორფემა შეკუმშულია; რატომ არ გავრცელდა მორფემის შეკუმშული სახეობა I და II პირის ფორმებში (მო-**კლ**-ა, მაგრამ მოვ-**კალ**-ი, მო-**კალ**-ი და არა მოვ-**კლ**-ი, მო-**კლ**-ი...). ჩანს, დავ-**დგ**-ი, გავ-**თბ**-ი... II ყალიბის სხვა ზმნებთან ერთად ერთ სისტემას ქმნის და ძირეული მორფემისეული ხმოვნის დაკარგვა **-ი** ელემენტის ქმედების უნარის გამოვლენაა.

ყოველივე ეს კი სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ **-ი** ელემენტი სხვადასხვა ოდენობად უნდა იქნეს მიჩნეული I და II ყალიბის ზმნებთან.

წყვეტილ'ში დადასტურებული **-ი** ელემენტის შესახებ არნ. ჩიქობავა წერს: „აორისტის ეს **-ი** სხვადასხვა ზმნასთან სხვადასხვაგვარი წარმოშობისა შეიძლება იყოს; უნდა განვასხვავოთ: ა) **-ი,** რომელიც

ნამყო ხოლმეობითს აწარმოებს (გავაკეთი, გააკეთი, გააკეთის მან); ბ) **-ი,** რომელიც თანხმოვანთა კომპლექსში იქნა გამოყენებული თანხმოვანთა გასაყარად (მოვედ — მოვედ-ი-თ; მოვკუედ — მოვკუედ-ი-თ); გ) ნამყო ხოლმეობითის **-ი** ერთგვარი საანალოგო ბაზა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფონეტიკური ხელისშემწყობი გარემოც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა: ძვ. ქართულში ამგვარ შემთხვევაში **-ი** უკვე დამკვიდრებულია, სხვაგან კი, სადაც ახლა ვხედავთ **-ი**-ს, იგი ჯერ არსად ჩანს, ანდა სპორადულადღა გვხვდება. მხოლოდ ანალოგიას მიეწერება **-ი** ისეთ ზმნებში, როგორიცააა ვთქვი (ძვ. ქართ. ვთქუ, ვთქჳ). ამ ტიპის აორისტს ისტორიულად არავითარი მაწარმოებელი არ უნდა ჰქონოდა“ (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 133; იხ. აგრეთვე არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 062). ამდენად, ავტორის აზრით, წყვეტილის **-ი** ელემენტი ერთ შემთხვევაში ფონეტიკურ ჩანართად გაიაზრება, სხვა შემთხვევაში მისი გამოვლენა ხოლმეობითის **-ი** სუფიქსის ანალოგიას მიეწერება.

წყვეტილის **-ი** ელემენტის ხოლმეობითის **-ი** სუფიქსთან კავშირზე მიუთითებს აგრეთვე ბ. ჯორბენაძე: „გავთბ-ი, დავბერდ-ი წარმოშობით II ხოლმეობითის ფორმებია, მაგრამ ახლა წყვეტილის (ნამყო ძირითადის) ფუნქციით გამოიყენებიან. ეს საერთოდ დამახასიათებელი ჩანს სუფიქსიანი და მესამე ტიპის (უნიშნო) ვნებითებისათვის:

ნამყო ძირითადი: გან-ვ-ტეფ (ახლა: გავ-თბ-ი), შე-ვ-ცებ (ახლა: შე-ვ-ცბ-ი), და-ს-ცხერ (ახლა: და-ცხრ-ი) და ა. შ.

მეორე ხოლმეობითი: გან-ვ-ტფ-ი (III პ. გან-ტფ-ი-ს), შე-ვ-ცბ-ი (III პ. შე-ცბ-ი-ს), და-ს-ცხრ-ი (III პ. და-ცხრ-ი-ს) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ახლა წყვეტილად გაგებული ეს ფორმები წარმოშობით მეორე ხოლმეობითებია. ასეთი ფორმების გავრცელება სავარაუდოა იმ ხნიდან, როცა ქართულში რღვევა დაიწყო II ხოლმეობითის ფორმამ, რაც ახალ ქართულში (გარდა ზოგიერთი დიალექტისა) მისი დაკარგვით დასრულდა“ (ბ. ჯორბენაძე, 1975, გვ. 103).

მართალია, აქ საუბარია დონიან ვნებითებსა და „თბება“ ტიპის ზმნების წყვეტილში დადასტურებული **-ი** ელემენტის რაობაზე, მაგრამ თვისობისა და ქმედების უნარის გათვალისწინება მეორე ყალიბის ზმნებთან გამოვლენილ **-ი** ელემენტს ყველა შემთხვევაში ერთ ოდენობად მიგვაჩნევინებს და განგვასხვავებინებს მას პირველი ყალიბის ზმნებთან გამოვლენილი **-ი** ელემენტისაგან.

შენიშვნა იმის შესახებ, რომ **-ი** ელემენტი წყვეტილში აუცილებელია I და II პირის ფორმებთან უმარცვლო ფუძეებში (რაც იმას გულისხმობს, რომ **-ი** ელემენტი ამგვარ ფორმებში არ მონაცვლეობს

ნულთან (ა. შანიძე, 1973, გვ. 427), რამდენადმე დასაზუსტებელია: **-ი** ელემენტი, რომელიც არ მონაცვლეობს ნულთან, გვხვდება არა მხოლოდ უმარცვლო ფუძეებთან, არამედ საერთოდ უმარცვლო საყრდენ მორფემასთან და, მეორეც, საყრდენი მორფემის გაუმარცვლოვნების მიზეზი უმეტეს შემთხვევაში თვით **-ი** ელემენტია.

შენიშვნა: საკითხი ამგვარადვე შეიძლება დასმულიყო დონიანი ვნებითების მიმართაც: **დ**-ს გაუმარცვლოვნების მიზეზი წყვეტილის ფორმებში **-ი** ელემენტია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **-დ** სუფიქსი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ამ სახით არ გვხვდება — I სერიის ფორმებში თემის ნიშანი მოსდევს, II სერიის ფორმებში წყვეტილის დაბოლოება. როგორც აღვნიშნეთ, ძველსავე ქართულში **დავბერდი** ტიპის ფორმებში **-ი** ყოველთვისაა წარმოდგენილი. ხოლმეობითის კატეგორიის არსებობის პერიოდში **დავბერდი** ტიპის ფორმათა რეგულარულმა დამოწმებამ შეიძლება სხვაგვარად დასვას მწკრივთა **-ი** ელემენტის გენეზისის საკითხი, საეჭვო გახადოს მისი ხოლმეობითის **-ი** სუფიქსთან კავშირი... ჩვენთვის არსებითია ის, რომ I და II ყალიბის ზმნათა **ი** ელემენტები გენეტურად განსხვავებული ოდენობებია.

მეორე ყალიბის ზმნები ისტორიულად პირველი ყალიბისაა. ყალიბის შეცვლა, ახალი ყალიბის შექმნა დონიან ვნებითებში უნდა დაწყებულიყო, ძველსავე ქართულში ეს პროცესი უკვე დამთავრებულია. სხვა ტიპის ზმნებთან კი ჩვენ თვალწინ ხდებოდა; **-ამ** თემისნიშნიანებში უკვე დასრულებული სახე მიიღო, ხოლო „მესამე ტიპის“ ვნებითის ზოგი ზმნა დღესაც პირველ ყალიბში შედის; გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევებიც: **დავთვერი || დავთვრი, გავქერი || გავქრი, დავშვერი || დავშვრი...**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **მეორე ყალიბის** ზმნები შეიძლება ამგვარად დავახასიათოთ: **უმარცვლო საყრდენი მორფემა + -ი ელემენტი, რომელიც არ მონაცვლეობას ნულთან.**

23.3. -ე სუფიქსიანი წყვეტილი

წყვეტილში ზმნათა ერთი ჯგუფი I და II სუბიექტური პირის ფორმებში **-ე** სუფიქსს დაირთავს. **-ე** სუფიქსიანი წყვეტილის წარმოებაში ორი შემთხვევა უნდა გაირჩეს: **ერთი,** როცა ამ ფორმანტით წარმოებულ ზმნებს მესამე სუბიექტური პირის ნიშნად **-ა** სუფიქსი მოუდის და, მეორე, როცა სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ო** სუფიქსი აქვს. პირველი მათგანი მეორისაგან კიდევ ერთი არსებითი მნიშვნელობის სხვაობას ავლენს, კერძოდ, განსხვავებულია მათი საყრდენი მორფემებიც.

-ე სუფიქსს დაირთავს და **-ა**-ს მიიღებს სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ისეთი ზმნები, რომელთა საყრდენი მორფემა მარცვლოვანია და მეორე სერიის ფორმებში არ კარგავს ხმოვანს. არა აქვს მნიშვნელობა იმას, საყრდენი მორფემა ძირეულია თუ სუფიქსური — ჩვენება ყოველთვის ერთგვარია:

ა) საყრდენი მორფემა ძირეულია:

გავ-**შალ**-ე	ავა-**შენ**-ე	მოვ-**დრიკ**-ე	შევ-**ღობ**-ე	მოვა-**დუნ**-ე
გა-**შალ**-ე	აა-**შენ**-ე	მო-**დრიკ**-ე	შე-**ღობ**-ე	მოა-**დუნ**-ე
გა-**შალ**-ა	აა-**შენ**-ა	მო-**დრიკ**-ა	შე-**ღობ**-ა	მოა-**დუნ**-ა

ბ) საყრდენი მორფემა სუფიქსურია:

მოვაკვლ-**ევინ**-ე	დავაწერ-**ინ**-ე
მოაკვლ-**ევინ**-ე	დააწერ-**ინ**-ე
მოაკვლ-**ევინ**-ა	დააწერ-**ინ**-ა

როგორც ვხედავთ, შეიძლება ზმნა ამ მწკრივის სხვა ფორმებს სხვაგვარად იწარმოებდეს, მაგრამ წარმოების ნულთან არმონაცვლე ხმოვნის შემცველი სუფიქსით გართულება წყვეტილის წარმოების ტიპს ცვლის: გავ-**ჭერ**-(-ი), მაგრამ გავაჭრ-**ევინ**-ე... სხვა შემთხვევაში უშუალო და შუალობითი კონტაქტის ფორმათა ამგვარი შენაცვლება წარმოების ტიპის შეცვლას არ გამოიწვევს, თუ საყრდენი მორფემის სტრუქტურა არ შეიცვლება: გავა-**კეთ**-ე — გავაკეთებ-**ინ**-ე. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ წყვეტილის წარმოების განმსაზღვრელი ძირითადად საყრდენი მორფემის სტრუქტურაა.

ამგვარად, წყვეტილის წარმოებაში კიდევ ერთი **ყალიბი** გამოიყო,

რომელიც შეიძლება ასე დახასიათდეს, **მარცვლოვანი უკუმშველი საყრდენი მორფემა + -ე სუფიქსი.** წარმოების ამ ტიპისათვის ნიშანდობლივია სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ა** სუფიქსი. **ნამყო ძირითადის წარმოების ამ ტიპს ვუწოდებთ მესამე ყალიბს.**

მესამე ყალიბის ზმნებს აშკარად უპირისპირდება და სხვაგვარ ყალიბს ქმნის ზმნათა ის ჯგუფი, რომელიც წყვეტილს ასევე **-ე** სუფიქსით იწარმოებს, მაგრამ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მოუდის **-ო** სუფიქსი. ყველა ამ ზმნის საყრდენი მორფემა უმარცვლოა.

ამგვარად, უმარცვლო საყრდენი მორფემა და I და II პირში წყვეტილის **-ე** მაწარმოებელი არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ო** სუფიქსი გამოვლინდეს. სხვაგვარად: სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსი ყოველთვის ვარაუდობს I და II პირში **-ე** მაწარმოებელს (წესი პირუკუ არ მოქმედებს). ეს კანონზომიერება ჩანს:

ავა-**გ-ე**	გავა-**თბ-ე**	დავა-**ტკბ-ე**	დავა-**ფრთხ-ე**
აა-**გ-ე**	გაა-**თბ-ე**	დაა-**ტკბ-ე**	დაა-**ფრთხ-ე**
აა-**გ-ო**	გაა-**თბ-ო**	დაა-**ტკბ-ო**	დაა-**ფრთხ-ო**

ამგვარ ყალიბს — უმარცვლო საყრდენი მორფემა **+ -ე** სუფიქსი I და II პირში და **-ო** სუფიქსი III პირში — ვუწოდებთ **წყვეტილის წარმოების მეოთხე ყალიბს.**

მეოთხე ყალიბის ზმნათა რაოდენობა არცთუ დიდია. მათი რიცხვი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ქეგლ.) მიხედვით ცხრა ათეულს აღწევს. საყრდენი მორფემა შეიძლება იყოს ცალთანხმოვნიანი (ავა-**გ**-ე — აა-**გ**-ო, ავი-**ლ**-ე — აი-**ლ**-ო, შევა-**ქ**-ე — შეა-**ქ**-ო...), ორთანხმოვნიანი (გავა-**გდ**-ე — გაა-**გდ**-ო, დავ-**გმ**-ე — და-**გმ**-ო, დავ-**თმ**-ე — და-**თმ**-ო...), სამთანხმოვნიანი (შევა-**კრთ**-ე — შეა-**კრთ**-ო, დავა-**ტკბ**-ე — დაა-**ტკბ**-ო, ვუ-**მტრ**-ე — უ-**მტრ**-ო...) და ოთხთანხმოვნიანი (დავა-**ფრთხ**-ე — დაა-**ფრთხ**-ო, დავე-**ყრდნ**-ე — დაე-**ყრდნ**-ო. ვი-**გრძნ**-ე — ი-**გრძნ**-ო...).

აქვე, უეჭველია, თავს იჩენს ერთი საკითხი: თუ წყვეტილის წარმოების ტიპის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა საყრდენი მორფემის სტრუქტურას ენიჭება, როგორ უნდა აიხსნეს ის ფაქტი, რომ II და IV ყალიბის ზმნათა საყრდენი მორფემა სტრუქტურულად ერთგვარია — უმარცვლო და ზოგ შემთხვევაში შეკუმშული (ერთი მხრივ, დავა-**ბ**-ი, გავ-**თბ**-ი... და, მეორე მხრივ, ავა-**გ**-ე, გავა-**თბ**-ე...). მივიღეთ: ა) ერთგვაროვანი საყრდენი მორფემა და განსხვავებული წარმოება (გავ-**შრ**-ი — გავა-**შრ**-ე...) და, პირიქით, ბ) განსხვავებული

სტრუქტურის საყრდენი მორფემა და ერთგვარი წარმოება (ავა-**შენ-ე** — ავი-**ლ-ე**).

ფაქტის ისტორიის გათვალისწინება მოვლენას აგვიხსნის. კერძოდ, დგინდება, რომ **-ე** სუფიქსი მესამე და მეოთხე ყალიბის ზმნებში გენეტურად განსხვავებული ოდენობებია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ნამყო წყვეტილის **-ე** სუფიქსის გენეზისის შესახებ.

მიუთითებენ, რომ წყვეტილის **-ე** სუფიქსის თავდაპირველი სახე იყო **-ევ** (გ. როგავა, 1945; არნ. ჩიქობავა, 1967; გვ. 49; გ. დეეტერსი, 1930, გვ. 109). ამ მოსაზრების ერთ-ერთი ძირთადი საბუთი ის არის, რომ **-ე** სუფიქსიან წყვეტილს **-ო** სუფიქსიანი მეორე კავშირებითი შეესაბამება და ივარაუდება, რომ **-ო ← ვ-ე ← -ევ-ე.** აღნიშნავენ, რომ ამ მოსაზრებას ზანურის ჩვენებაც უჭერს მხარს. ამგვარად, ამ თვალსაზრისის თანახმად **ე ← ევ.**

არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც: **-ე** არ მომდინარეობს **-ევ** სუფიქსისაგან; **-ე** ფორმანტი თავისთავადი, დამოუკიდებელი მაწარმოებელია; იგი მიჩნეულია ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნად და გაიგივებულია ნამყო უსრულსა და I თურმეობითში გამოვლენილ **-ე** სუფიქსთან (ვ. თოფურია, 1955).

ჩვენი აზრით, წყვეტილში წარმოდგენილი **-ე** სუფიქსი არ არის ერთი და იგივე ოდენობა ყველა შემთხვევაში. IV ყალიბის ზმნებში **-ე** სუფიქსი **-ევ**-იდან მომდინარე ჩანს, III ყალიბის ზმნებში კი — თავისთავადი, დამოუკიდებელი მაწარმოებელი.

ამგვარად, სადაც სუბიექტურ მესამე პირში **-ო** სუფიქსი გვაქვს, შესაბამის პირველი და მეორე პირის ფორმებში დადასტურებული **-ე** სუფიქსის პირველსახე უნდა ყოფილიყო **-ევ.** სუბიექტური მესამე პირის **-ო ← ვ-ა ← ევ-ა** (ო სუფიქსის ამგვარი წარმომავლობა, საერთოდ, გაზიარებულია).

ამგვარ მოსაზრებას სარწმუნოს ხდის რამდენიმე ფაქტის გათვალისწინება:

საშუალ ქართულში და, რიგ შემთხვევაში ძველშიც, ამ ტიპის ზმნებს **-ევ** შენარჩუნებული აქვს. „**-ევ** სუფიქსი ძველი ჩანს (წერილობით დოკუმენტებში მისი ფიქსაცია სისტემებრ გვაქვს უკვე მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში; ძველ ქართულშიც შეინიშნება **დავიცევ** ტიპის ზმნებში). მესამე პირში ყველა ამ ტიპის ზმნას **ო** ნიშანი აქვს“ (ი. ქავთარაძე, 1973, გვ. 32). იქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ **-ევ** იხმარებოდა ხალხურ მეტყველებაში და მას ასახავდა მწერლობის ენაც. იმ

პერიოდის წერილობითი ძეგლების მონაცემთა მიხედვით **-ევ** გვხვდება მხოლოდ უმარცვლო ძირეულ მორფემებთან; არ დასტურდება მარცვლოვან საყრდენ მორფემასთან. ეს ფაქტი არ უნდა იყოს შემთხვევითი. დიალექტებში დადასტურებული **გავაკეთევი, ავაშენევი** ტიპის ფორმები გვიანდელია და **დავდევი** ტიპის ფორმათა უნიფორმაციის შედეგი ჩანს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „უნიშნო ვნებითთაგან“ წარმოებული მოქმედებითი გვარის ფორმები სისტემებრ მეოთხე ყალიბში თავსდება. საყრდენი ძირეული მორფემა ამ ზმნებში მეორე ყალიბის ზმნათა საყრდენი მორფემის მსგავსია (უფრო სწორად, იდენტური): გავა-**თბ**-ე, გავა-**ხმ**-ე, (შდრ.: გავ-**თბ**-ი, გავ-**ხმ**-ი...). აწმყოში ამ ტიპის ზმნებს სისტემებრ **-ობ** თემის ნიშანი აქვს, რომელიც **-ებ** თემის ნიშნისეული **ე** ხმოვნის წინამავალ **ვ**-სთან შერწყმის შედეგად მიღებულად ივარაუდება: **ვ-ებ** → **ობ** (გ. დეეტერსი, 1930, გვ. 126; ე. ოსიძე, 1968, გვ. 16). აქედან გამომდინარე, აწმყოს ფორმის ჩვენება **ვ**-ს ვარაუდობს ზმნის ფუძეში. ვფიქრობთ, ეს **ვ** თანხმოვნითი ნაწილია წყვეტილის ფორმაში არსებული **-ევ** სუფიქსისა, რომელიც, როგორც ჩანს, სხვა მწკრივის ფორმებშიც გადაჰყვება ზმნას. ეგევე **-ევ** სუფიქსი ივარაუდება II კავშირებითის ფორმებშიც. ყოველივე ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ **-ევ (→ ვ)** სუფიქსი ისტორიულად არ არის წყვეტილის მაწარმოებელი. მას სხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდა (ეს საკითხი ამჯერად არ შეადგენს ჩვენი კვლევის საგანს).

ამჟამად IV ყალიბის ზმნებში **-ე** სუფიქსი გამარტივებული, თანხმოვანმოკვეცილი, **-ევ** სუფქსია. **-ევ** სუფიქსის ფონეტიკური სახის ცვლა (**ევ** → **ე**) და ფუნქციურად მისი გაიგივება ნამყო ძირთიადის **-ე** მაწარმოებელთან (ავაშენ-**ე,** გავაკეთ-**ე**...) გვიანდელი ფაქტია. სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის წარმოქმნის (**ო** ← **ვ-ა**) პროცესი უფრო ადრინდელი ჩანს; **-ევ** გაუმარტივებელი სახით დიალექტმა შემოგვინახა, ხოლო შემდეგ მოხდა დიალექტური ფორმების შემოჭრა სამწერლობო ენაში.

-ევ სუფიქსისა და სუბიექტური მესამე პირის **-ო** ფორმანტის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ხევსურული დიალექტის ჩვენება:

ხევსურულში სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ო** არა გვაქვს. წყვეტილში ყველა ზმნასთან **-ა** სუფიქსია წარმოდგენილი. ზმნები, რომელთაც სალიტერატურო ქართულში **-ო** აქვს სუბიექტური მესამე პირის ნიშნად, ხევსურულში წყვეტილის ფორმებს **-ი** სუფიქსით იწარმოებს: **ავიღ-ი, გავიგ-ი, დავაგდ-ი.** „ხევსურულში ამ ზმნებში **ი ე**-ს და-

ვიწროებით მიღებული არა ჩანს, იგი ბოლო პოზიციის დაკარგვის შემთხვევაშიც **ი**-დ რჩება... ამ ზმნებს ისევე, როგორც სხვა ზმნებსაც, ხევსურულში წყვეტილის მესამე პირის ნიშნად ყოველთვის **-ა** აქვს: გაიგ-ა, აიღ-ა, დააგდ-ა...“ (ა. ჭინჭარაული, 1960, გვ. 105). როგორც ვხედავთ, იმ ფაქტმა, რომ წყვეტილს ეს ზმნები **-ე** სუფიქსით არ იწარმოებენ, გამოიწვია ის, რომ არა გვაქვს სუბიექტურ მესამე პირში **-ო** სუფიქსი. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ორი პირობა — უმარცვლო საყრდენი მორფემა და **-ე** სუფიქსი წყვეტილის მაწარმოებლად I და II პირის ფორმებში — აუცილებელია **ო**-ს გამოვლენისათვის. ხევსურულისათვის სამართლიანი ჩანს შენიშვნა, რომ „ხევსურული იმ ენობრივი კოლექტივის წევრი არ უნდა ყოფილიყო, სადაც აიღევ, ააგევ, დააგდევ... წარმოება გვქონდა“ (ა. ჭინჭარაული, 1960, გვ. 105).

ამ თვალსაზრისით ანალოგიური მდგომარეობაა ინგილოურ დიალექტშიც: კაკურ კილოკავში წყვეტილი მხოლოდ **-ი** ელემენტით იწარმოება. **-ე** სუფიქსიანი წყვეტილი კაკურმა არ იცის. ალიაბადურ კილოკავში კი ძირითადად **-ე** სუფიქსი აწარმოებს მწკრივის ფორმებს, ისეთ შემთხვევებშიც კი, სადაც სალიტერატურო ქართულში **-ი** ელემენტი გვაქვს: **წეველე, ვიცანე, შეჭკარე, მამეცე...** „ნაწილს კი **-ი** ერთვის როგორც ბრძანებითში, ისე თხრობითში, იქნება ის მხოლობით რიცხვში თუ მრავლობითში; მაგ.: წყალი **მადღი!** კარი **გამიღი! მაიღით!** კარი **გააღით... წავღი** ტყეში (წავიღე), იმაზე **მაიგი** ბევრ თეთრ (იმიტომ მოიგე ბევრი ფული)... **მავღით** (მოვიტანეთ) და სხვ.“ (გ. იმნაიშვილი, 1954, გვ. 159-160). როგორც ვხედავთ, ალიაბადურში **-ი** გვაქვს მხოლოდ IV ყალიბის ზმნებში და, შესაბამისად, სუბიექტური მესამე პირის ჩვენება ასეთია ინგილოურში: „მესამე სუბიექტურ პირში მხოლოდ **-ა** სუფიქსი გვაქვს ნამყო წყვეტილში; თუ ფონეტიკური პროცესი არ ჩაერია, **-ო** ბოლოსართი არაა; სადაც **ო** გვევლინება, ის მეორეულია და მიღებულია ფონეტიკურ ნიადაგზე; მაგ.: თქო ← (თქუა), ჩადცო (← ჩაიცუა), წამართო...“ (გ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 118).

ამ თემასთან დაკავშირებით შეიძლებოდა გვესაუბრა მოხეური დიალექტის მონაცემებზე, მაგრამ ამ დიალექტებში ეს მოვლენა ნაშთის სახეს ატარებს (იხ. ი. ქავთარაძე, 1985). ხევსურულსა და ინგილოურში უფრო სისტემური სახე აქვს...

ამგვარად, ინგილოურში, ისევე როგორც ხევსურულში, არ არის სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის გამოვლენის ერთ-ერთი პირობა IV ყალიბის ზმნებთან (წყვეტილის მაწარმოებელი **-ე** სუფიქსი), ამიტომაც არა გვაქვს **-ო** სუფიქსი.

შენიშვნა: ჩვენს მიზანს არ შეადგენს ხევსურულსა და ინგილოურში დადასტურებული ფაქტის ისტორიის კვლევა: არქაულ ვითარებასთან გვაქვს საქმე თუ ინოვაციაა. დიალექტური მონაცემები სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის გამოვლენისათვის საჭირო პირობათა დასადასტურებლად დავიმოწმეთ. თავისთავად ეს უკანასკნელი მკაცრი კანონზომიერება ჩანს, რომელსაც იცავს როგორც სალიტერატურო ენა, ასევე დიალექტები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ **მეოთხე ყალიბის ზმნებში** -ე **სუფიქსი** -ევ-ის **გამარტივებული სახეა, ხოლო სუბიექტური მესამე პირის** -ო **მიღებულია** ვა **კომპლექსის შერწყმის შედეგად.**

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „**ო** ალომორფი S_3 პირისა ფონოლოგიურად შეპირობებული არაა ძველ ქართულში“ (ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1973, გვ. 80)... „შესაძლოა **ო** მიღებული იყოს ვა/ვე/ჳა/ჳე-საგან უფრო ადრინდელ პერიოდში ან საერთო ქართველური ფუძე ენის დიფერენციაციამდე“ (იქვე, გვ. 76). ჩვენს შემთხვევაში **ვა** → **ო** პროცესის სიძველეზე მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ ძველ ქართულში ზემოთ წარმოდგენილი ყალიბები უკვე შექმნილია და მკაცრად დაკანონებული. IV ყალიბის ზმნურ ფორმათა სიძველეზე უნდა მიგვანიშნებდეს ისიც, რომ ამ ტიპის ზმნათა წყვეტილის ფუძეა საყრდენი I თურმეობითისათვის: „აღსანიშნავია, რომ ეს მეორე ჯურის წარმოება (ე. ი. როცა I თურმეობითი II სერიის ფუძეს ეყრდნობა — გ. გ.) ისეთ ზმნებს მოუდის, რომელთაც მოქმედებითი გვარის ნამყო წყვეტილის ფორმა მხოლობითი რიცხვის III სუბიექტურ პირში ო-ნით აქვთ ნაწარმოები“ (ა. შანიძე, 1930, გვ. 156) იხ. აგრეთვე გ. რუდენკო, 1940, გვ. 132; ჰ. ფოგტი, 1981, გვ. 169).

როცა ვსაუბრობთ **ო** ← **ვა** პროცესზე, არ ივარაუდება, რომ სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსი ყველა შემთხვევაში ამგვარი პროცესის შედეგადაა მიღებული. მიუთითებენ, რომ **ო**-ს წარმოქმნისათვის „ამოსავალი ფონეტიკური ვითარება იყო (**ვ**-ს მეზობლობა), მაგრამ შემდეგ **ო** ანალოგიის მიხედვით სხვა ზმნებსაც გაუჩნდათ, — ყველგან **-ა**-ს ადგილას“ (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 053). დებულება სარწმუნოა. **-ო** სუფიქსი ყველა შემთხვევაში კომპლექსის შერწყმის შედეგი არ არის. ამგვარი პროცესი ივარაუდება ისეთ ფორმებში, რომელთაც ხე-

ლი შეუწყვეს ყალიბის შექმნას. რომელიმე ზმნის ამ ყალიბში მოქცევა იწვევს სუბიექტურ მესამე პირში **-ო** სუფიქსის გამოვლენას.

IV ყალიბის ზმნებში **-ე** სუფიქსის პირველსახედ **-ევ** მივიჩნიეთ. რას უნდა გამოეწვია **ვ**-ს დაკარგვა პირველი და მეორე პირის ფორმებში? ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია აუსლაუტში ხმოვნის მომდევნო პოზიციაში თანხმოვნის დაკარგვა (გ. ახვლედიანი, 1966, გვ. 172): კარგა ← კარგად, მაღლა ← მაღლად, დაბლა ← დაბლად; კიდე ←კიდევ; მარა ← მაგრამ; ყივა ← ყივან, ჩივა ← ჩივან (ბ. ჯორბენაძე, 1980, გვ. 183-184). ეს ჩანს ერთ-ერთი ხელისშემწყობი პირობა **-ევ** სუფიქსისეული ვინის დაკარგვისა. ამ პროცესისათვის გარკვეულად ხელი უნდა შეეწყო იმავე მწკრივში **-ე** სუფიქსიან ფორმათა არსებობას და მოხდა ფორმობრივი დამთხვევა **-ევ** და **-ე** სუფიქსებისა, რაც გახდა მიზეზი მათი ერთ აფიქსად მიჩნევისა. თავისთავად, ეს პროცესი ივარაუდება მას შემდეგ, რაც **-ევ** ფორმანტმა დაკარგა პირვანდელი ფუნქცია.

გ. დეეტერსის მიერ წარმოდგენილი სქემა მართებული ჩანს მხოლოდ IV ყალიბის ზმნათათვის:

ვა-გევ > **ვაგე**
ხა-გევ > **(ხ)აგე**
ა-გევ-ა > **აგუა** > **აგო**

(გ. დეეტერსი, 1930, გვ. 109)

როგორც ვხედავთ, მეოთხე ყალიბის ზმნებიც ისტორიულად პირველი ყალიბისაა. მომხდარმა ფონეტიკურმა პროცესებმა და **-ევ** სუფიქსის მორფოლოგიურმა რეინტერპრეტაციამ გამოიწვიეს ახალი ყალიბის შექმნა.

23.4. წყვეტილის წარმოების ამოსავალი ტიპისათვის

ჩვენ განვიხილავდით წყვეტილის წარმოების საკითხს ახალ ქართულში და ოთხი ფორმობრივი ჯგუფი გამოვყავით. ყალიბთა გამოყოფის საფუძველი ძირითადად საყრდენი მორფემის სტრუქტურა იყო. მეორე და მეოთხე ყალიბის ზმნებზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, რომ ორივე ეს ჯგუფი ისტორიულად პირველი ყალიბისა იყო. მომხდარმა ფონეტიკურმა ცვლილებებმა და აფიქსთა მორფოლოგიურმა რეინტერპრეტაციამ გამოიწვია ყალიბის სახის შეცვლა და ახალი ყალიბების შექმნა. აქედან გამომდინარე, დღევანდელი ვითარება წყვეტილის წარ-

მოებისა მეორეულია და შედარებით რთული. როგორც ჩანს, ამოსავალი ვითარება უფრო მარტივი იყო. ვ. თოფურას შენიშვნა — „წყვეტილი ორი სახით იხმარება: უნიშნოდ ან ნართაული **ი**-თ და **-ე** სუფიქსით. უნიშნოს შეუძლია დაირთოს უფუნქციო **-ი.** ასეთი ზმნები რაოდენობით მცირეა. მათი ფუძე ან უმარცვლოა ან კუმშვადი. **-ე** სუფიქსით იწარმოება ფუძეუკუმშველი ზმნები“ (ვ. თოფურია, 1955, გვ. 453) — სამართლიანი ჩანს ამოსავალი ვითარების დასახასიათებლად. ე. ი. იმ პერიოდისათვის, სანამ III და IV ყალიბები შეიქმნებოდა.

პირველი ყალიბის ზმნებში მომხდარმა ცვლილებებმა გაართულა წარმოება და შექმნილი ყალიბების დასახასიათებლად საჭირო გახდა (გარდა საყრდენი მორფემის სტრუქტურისა) დამატებითი ნიშნების შემოტანა, მაგრამ ფორმობრივი ხასიათის ცვლილებებს შინაარსობრივი ცვლილებები არ გამოუწვევია.

§ 24. თავისებურებანი წყვეტილის წარმოებაში

24.1. უნიშნო ტიპი წარმოებისა

წყვეტილის წარმოების I ყალიბის ზმნები I და II პირის ფორმებს უნიშნოდ იწარმოებენ ან დაირთავენ ე. წ. „უფუნქციო“ **-ი**-ს. უნიშნო ტიპი წარმოებისა ნორმა იყო ძველი ქართულისათვის მხოლობითის ფორმებში. როგორც ცნობილია, **-ი** ელემენტი თავდაპირველად მრავლობითის ფორმებში იქნა გამოყენებული თანხმოვანთა კომპლექსის გასათიშად, შემდეგ დამკვიდრდა მხოლობითის ფორმებშიც. ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი იყო მრავლობითის ფორმათა უნიშნო წარმოებაც.

წარმოების უნიშნო ტიპი დამახასიათებელია ამჟამად ქართული ენის ზოგი დიალექტისათვის (ხევსურული, თუშური...).

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში წარმოების უნიშნო ტიპი ძალზე იშვიათია: ჩვეულებრივ **-ი** ელემენტმა დაიმკვიდრა ადგილი წყვეტილში სუბიექტური I და II პირის ფორმებთან როგორც მრავლობითში, ასევე მხოლობითში. I ყალიბის ზმნათა უნიშნო ვარიანტები ძირითადად ბრძანებით წინადადებებში დასტურდება, თუმცა არის შემთხვევები კითხვით და თხრობით წინადადებებში მათი გამოყენებისა:

ა) ბრძანებითი:

აქ **მოეთერ,** აქა, შე უნამუსო! (ეკ. გაბ.).

მაშ, ეს **მითხარ,** კაცო! (ვაჟა).
აბა, პატარა ხანს **დადეგ,** თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე! (ილია).
დედი, ორიოდ პური **მომეც!** (ხ. ს.).
ცხვირი **მომჭერ,** თუ ესენი ბოთლების მრეცხავები არიან (ნ. შიუკ.).
გაუძეხ სტუმრებს (გ. შარ. 8).

ბ) კითხვითი:
ხუთკუნჭულავ, **გახველ** ხიდს თუ არა? (ხ. ს.).
გაძეხ, მელიავ, თუ არაო? — ჰკითხა ოფოფმა (იქვე).
რად **მომასწარ** ამ დღესა? (აკაკი).
მახვილი **ჰკარ** და არ გახსოვს? (გ. შარ.).

გ. თხრობითი:
წარმოვუდეგ ფეხზედ და ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი (ილია).
მე **დავკარ** ფეხი და გავვარდი ყაჩაღად (იქვე).
ხელები უშნოდ **გავიკარ** ბარძაყებზედ (ვაჟა).
უთხარ, ახლავე გამოგზავნოს (ა. ცაგ.).
ვიგრძენ რაღაც შიში (ნ. შიუკ.).

შესწავლილი მასალა გვიჩვენებს, რომ უნიშნო ფორმათა გამოყენების სიხშირე მეტია XIX საუკუნის მწერალთა ენაში, ვიდრე XX საუკუნისაში. პროზაულ ტექსტებში უნიშნო წყვეტილი თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივ ნაკლებად გვხვდება; არამხატვრულ ტექსტებში ამგვარი წარმოება გამორიცხულია. უნიშნო ტიპი წარმოებისა ძირითადად პოეტური ტექსტებისათვისაა დამახასიათებელი:

მეგობრობავ, შვების ვარსკვლავად **ალგვეგზენ** (გ. ორბ.).
მეხრევ, **გაუკარ** შვინდასა, ცოტა ზარმაცი ხარია (რ. ერისთ.).
იყავ ამიერ შეჩვენებული (აკაკი).
გამარჯობა, შოფერო, **მიცან?** აი, დედასა! (გალაკტიონი).
ძილს **მივეც** თავი წუთით დაღლილმა (მ. ლებ.).
გადარჩი მაშინ, როდესაც **გითხარ:** დღეიდან მე ვარ პატრონი შენი (მ. მაჭ.).

ცხადია, ასეთ შემთხვევებში უნიშნობა უმეტესად ლექსის საჭიროებითაა გამოწვეული — მარცვალთა რაოდენობა განმსაზღვრელი ჩანს.

ზოგ შემთხვევაში უნიშნო ვარიანტის დანიშნულება არქაული სტილის შექმნაა. მრავლად დასტურდება მსგავსი ფორმები ისტორიულ თემებზე შექმნილ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ლიტერატურულ ძეგლებში. ამ მხრივ პერსონაჟისა და ავტორის მეტყველება სხვაობას გვიჩვენებს. ჩვენთვის საინტერესო ფორმები ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი:

შეიბ მახვილი (აკაკი).
აშოტ, საყვარელო, **მითხარ,** მანუგეშე (ვ. ბარნ.).
იქმენ სრულიად მორჩილი ჩემი (იქვე).
განვედ ჩემგან, მაცდურო ბოროტო (იქვე).
ასულსა ჩემსა **გააცან** ერისთავნი (გ. შარ.).
გვქმენ ერთპირადა (ო. ჩხ.).
რაო, დუნაი, ნუთუ ვერ **მიცან?** (ბილინ.).
ნესტიან მიწაში **დამფალ** მკერდამდე (იქვე).

ამგვარ შემთხვევებში მრავლობითის უნიშნო ვარიანტებიც დასტურდება:

დღეს **სცანთ** რა, თავადნო, ჩვენი ნებანი... (გ. შარ.).
რას **მოვესწართ,** რა დღე დაგვადგა (ო. ჩხ.).
ვითარ **შეიძელთ** გადატანა ესდენ ვაების (იქვე).
აჰა, გადარჩა, ის გადარჩა, კვლავ **გამოვიხსენთ** (იქვე).

მსგავსი ფორმები მწერალ ო. ჩხეიძის მხოლოდ ისტორული ხასიათის პოეტურ ნაწარმოებებში დავადასტურეთ. ორი ფაქტორის გათვალისწინება უეჭველია: სტილის არქაიზაცია და ფრაზის რიტმულობა. ავტორისათვის უნიშნო და **-ი** ელემენტიანი ვარიანტები ფორმობრივად განსხვავებული და ფუნქციურად იდენტური ოდენობებია, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება შეენაცვლონ ერთმანეთს. ეს განსაკუთრებით აშკარად იგრძნობა იმ შემთხვევაში, როცა ერთსა და იმავე ფრაზაში ერთი და იმავე ზმნის პარალელური ვარიანტებია წარმოდგენილი:

განვედ, უჟმურო, ჩამომეხსენ, ჰოი, **განვედი** (ო. ჩხ.).
გვითხარ, ო, **გვითხარ,** რამე **გვითხარ, გვითხარი** რამე (იქვე).
ღმერთო **მიხსენ,** შენ **დამიხსენი,** მხსნელო ყოველთა (იქვე).

იმ ფაქტს, რომ უნიშნო ვარიანტები ფრაზაში წინ უსწრებს **-ი** ელემენტიან ვარიანტებს, საკითხთან დაკავშირებით რაიმე არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ეს მწერლის ინდივიდუალური სტილის თავისებურება ჩანს. ასევე მწერლის ინდივიდუალური სტილის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ უნიშნო წყვეტილის გამოყენების ზოგი შემთხვევა ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში:

> **მამცენ** მნათობო... რისგან გაქვს ჭმუნვა და სნეულება (ა. ჭავჭ.).
> აწ ჩემდა შესაზარად, **გარდაგექეც** შორაელად (იქვე).
> **მოვედ** თაგთირ ხშულის გულის სახებად (იქვე).
> მას მნათს **უთხართ** ჭმუნვანი ჩემნი სრულიად (იქვე, 48) და სხვა.

ზოგჯერ ამგვარი შემთხვევები შეიძლება გავიგოთ, როგორც „პოეტური ლიცენცია“: მწერლისა და, განსაკუთრებით, პოეტისათვის დასაშვები თავისუფლება (შესაძლებლობა), საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ისეთი გრამატიკული ფორმები, კონსტრუქციები, წარმოთქმები, რომლებიც სავსებით ან ჩვეულებრივ არ იხმარება მეტყველებაში (ჟ. მარუზო, 1960, გვ. 58-59; ო. ახმანოვა, 1969, გვ. 84). მაგრამ ცალკეული ფაქტების „პოეტურ ლიცენციად“ მიჩნევა არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მათზე ყურადღება არ გავამახვილოთ, რადგან, „პოეტური ლიცენცია არის ენაში პოტენციურად მოცემული (მაგრამ მეტყველებაში არაერალიზებული) ფორმისა და ფუნქციის ინდივიდუალური რეალიზაცია მწერლის მიერ. ამგვარი განმარტება აუცილებელს ხდის, ნორმიდან („უზუსიდან“) ყოველგვარი „გადახვევის“ საფუძველი ისევ და ისევ ენაში ვეძიოთ. მწერალი პირველაღმომჩენია ამ შესაძლებლობისა და არა გამომგონებელი“ (ბ. ჯორბენაძე, 1980, გვ. 63).

ამგვარად წყვეტილის უნიშნო ვარიანტები თანამედროვე ქართულში მხატვრული ტექსტებისთვისაა დამახასიათებელი; პროზაულ ნაწარმოებებში ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში გამოიყენება და მას გარკვეული სტილური დანიშნულება ეკისრება.

24.2. ზოგადად სუბიექტური III პირის -ო სუფიქსის გამოვლენის პირობათა შესახებ

IV ყალიბის ზმნათა შესახებ მსჯელობისას განსაკუთრებული ყურადღება სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსს მივაქციეთ. **-ო** სუფიქსთან დაკავშირებით ა. შანიძე შენიშნავს: „არის ერთი წყება ზმნე-

ბისა, რომელთაც მხოლობითში **ა**-ს ნაცვლად **-ო** მოუდის. ამ ზმნების ფუძე უმეტესად უმარცვლოა და შედგება ერთი, ორი ან სამი თანხმოვნისაგან. ორ-თანხმოვნიანებში მეორე, ხოლო სამ-თანხმოვნიანებში მესამე შეიძლება იყოს უმარცვლო უნისაგან მიღებული **ვ**“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 430). შენიშვნა სწორია, მაგრამ ამგვარი განმარტება ვერ გაგვცემს პასუხს კითხვაზე, თუ რატომ გვაქვს **-ა** სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ისეთ ზმნებთან, როგორიცაა გამოა-**რთვ**-ა, ჩაა-**ცვ**-ა, შე-**სვ**-ა, **თქვ**-ა და სხვა (ყველა მათგანის ფუძე უხმოვნოა და ბოლოკიდური თანხმოვანი — უმარცვლო უნისაგან მიღებული); ანდა რატომ გვაქვს პარალელური წარმოება **-ა** და **-ო** სუფიქსებით, რაზეც ა. შანიძეც მიუთითებს (დარგა || დარგო, მორწყა || მორწყო, მიუზღა || მიუზღო) (ა. შანიძე, 1973, გვ. 430).

უხმოვნო ფუძის მქონეობა არ არის საკმარისი პირობა წყვეტილში სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის გამოვლენისათვის. უმარცვლო ფუძესთან ერთად აუცილებელია სუბიექტური პირველი და მეორე პირის ფორმებში წყვეტილის მაწარმოებლად წარმოდგენილ იქნეს **-ე** სუფიქსი. ამგვარად, წყვეტილში სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის არსებობისათვის ორი პირობაა აუცილებელი: ა) **საყრდენი მორფემა** (ამ შემთხვევაში მარტივი ფუძე) **უნდა იყოს უმარცვლო** და ბ) **წყვეტილის მაწარმოებელი — -ე სუფიქსი.** ეს კანონზომიერებაა.

თუ ამ პირობათაგან ერთ-ერთი არ არის დაცული, მაშინ სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ნამყო ძირითადში **-ა** სუფიქსი იქნება წარმოდგენილი:

ა) გვაქვს უმარცვლო ფუძე (საყრდენი მორფემა), მაგრამ ნამყო ძირითადს **-ი** ელემენტი აწარმოებს:

დავა-ბ-ი	გავუ-შვ-ი	ვ-თქვ-ი
დაა-ბ-ი	გაუ-შვ-ი	თქვ-ი
დაა-ბ-ა	გაუ-შვ-ა	თქვ-ა

ბ) ნამყო ძირითადის მაწარმოებელია **-ე** სუფიქსი, მაგრამ საყრდენი მორფემა მარცვლოვანია:

გავ-თალ-ე	ავა-შენ-ე	შევ-კრიბ-ე	დავაწერ-ინ-ე
გა-თალ-ე	აა-შენ-ე	შე-კრიბ-ე	დააწერ-ინ-ე
გა-თალ-ა	აა-შენ-ა	შე-კრიბ-ა	დააწერ-ინ-ა

თუმცა სალიტერატურო ქართულში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სუბიექტურ მესამე პირს **-ო** სუფიქსი გამოხატავს, აღნიშნული ორი პირობა **-ო**-ს გამოვლენისა კი არ არის დაცული. როგორც აღვნიშნეთ, ისეთი ფაქტებიც გვხვდება, როცა ერთი და იმავე ზმნის სუბიექტურ მესამე პირში პარალელურად **-ა** და **-ო** სუფიქსებია წარმოდგენილი. ჩვენი შემდგომი მსჯელობა ამგვარი გამონაკლისების ახსნას ისახავს მიზნად.

24.3. ყავ ფუძის შემცველ ზმნათა წყვეტილის შესახებ

ყავ ფუძის შემცველი როგორც აბსოლუტური, ასევე რელატიური ფორმები წყვეტილის პირველი და მეორე პირის ფორმებს უნიშნოდ (resp. **-ი** ელემენტით) იწარმოებს.

ვი-ყავ-(ი)	უარ-ვ-ყავ-(ი)
ი-ყავ-(ი)	უარ-ყავ-(ი)

მესამე პირში მოსალდნელი **ი-ყვ-ა, უარ-ყვ-ა** ფორმათა ნაცვლად **იყო, უარ-ყო** ფორმებია ნორმატული. ცნობილია, რომ **ო ვა** კოპლექსის შერწყმის შედეგადაა მიღებული. სალიტერატურო ქართული ენის უძველეს ძეგლებში მხოლოდ **ო** ხმოვნიანი ფორმებია დადასტურებული. ფონეტიკური პროცესის საფუძველზე წარმოქმნილი **ო** სუფიქსად იქნა გააზრებული.

ის ფაქტი, რომ **იყო, უარ-ყო** ფორმებში ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი **ო** სუფიქსად იქნა გააზრებული, არის მიზეზი იმისა, რომ კანონზომიერების ძალით (**-ო** გულისხმობს სუბიექტურ I და II პირში **-ე** სუფიქსს), სასაუბრო ენაში თავი იჩინა **-ე** სუფიქსიანმა ფორმებმა: უარ-ვ-ყვ-ე, უარ-ყვ-ე. ამგვარი ფორმები სამწერლობო ენაშიც დასტურდება:

პირველმა მე **უარვყვე** მისი დებულებები! (ო. ჩხ.).

როგორც ვხედავთ, ისტორიულად ფონეტიკურ საფუძველზე მიღებულმა ამჟამად ნორმატულმა სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსიანმა ფორმამ „პარადიგმის გასწორების“ მიზნით ენაში ახალი ფორმები გააჩინა. თავისთავად ფაქტი **-ო**-ს გამოვლენისათვის საჭირო პირობათა პრინციპულ დასაბუთებად გვესახება.

შენიშვნა: უარვყვე ტიპის ფორმები ინოვაციის — „სამეტყველო ლიცენციის“ — ფაქტად უნდა მივიჩნიოთ: „პოეტურისაგან“ განსხვავებით „სამეტყველო ლიცენცია“

ყოველდღიურად უამრავი რაოდენობით წარმოიქმნება მეტყველებაში, მაგრამ ისევ უგზო-უკვლოდ იკარგვის და მხოლოდ მცირედი ნაწილი პოულობს ნოყიერ ნიადაგს გასავრცელებლად და დასამკვიდრებლად, მხოლოდ უმცირესი ნაწილი აღმოჩნდება საყოველთაოდ დამკვიდრებისათვის საჭირო მონაცემების მქონე და თანდათან, თითქმის შეუმჩნევლად, დაემყნობა ენაში, შემდეგ კი ასევე თანდათანობით იწვევს მანამდე არსებული შინაგანი წონასწორობის რღვევას, წარმოქმნის შინაგან მისწრაფებას ახალი თანაფარდობის დასამკვიდრებლად“ (ბ. ჯორბენაძე, 1980, გვ. 63).

24.4. ჩაიცო (← ჩაიცვა) ტიპის ფორმები სამწერლობო ენაში

სამწერლობო ენაში ასახვა პოვა ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა: **გაგიშო** („გაგიშვა“), **ჩაიცო** („ჩაიცვა“) **გამოართო** („გამოართვა“) და სხვა:

რომ **გაგიშო,** ჩემი სულიც თან უნდა გაგაყოლო (ილია).
არც მწვადი **დასწო** და არც შამფური (იქვე).
ჩაიცო ტანთა (ვაჟა).
დაკოდილს ხელი **მოუსო** (რ. ერისთ.).
გამოართო მღვდელს მეტრიკული მოწმობა (ე. ნინ.) და სხვა.

წარმოდგენილი ზმნები მეორე ყალიბისაა და, ამდენად, არაა მოსალოდნელი სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ო** სუფიქსი. მსგავსი ფორმები ძირითადად XIX საუკუნის მწერალთა ენისთვისაა დამახასიათებელი და სალიტერატურო ენის თვალსაზრისით აშკარა დიალექტიზმებია: **-ო** ყველა შემთხვევაში **-ა** სუფიქსის **ვ**-სთან შერწყმის შედეგია, ფაქტი მოქმედი ფონეტიკური პროცესის ასახვაა. საანალიზო ფორმათა უმართებულობის მტკიცება სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის გამოვლენის პირობათა გათვალისწინებითაც ხერხდება: მართალია, წყვეტილში საყრდენი მორფემა უმარცვლოა, მაგრამ მწკრივის მაწარმოებლად არა გვაქვს **-ე** სუფიქსი.

24.5. „შერეული პარადიგმები“ წყვეტილის წარმოებაში

გამოიყოფა ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელთა ფუძეში **ვ** თანხმოვანი არ არის, წყვეტილის I და II პირის ფორმებში უნიშნოა ან **-ი** ელემენტს დაირთავს და III პირის ნიშნად **-ო** სუფიქსი გვაქვს:

შე-ვ-ი-**პყარ**-(ი)	შე-ვ-ი-**პყარ**-ი-თ
შე-ი-**პყარ**-(ი)	შე-ი-**პყარ**-ი-თ
შე-ი-**პყრ**-ო	შე-ი-**პყრ**-ეს

მსჯელობითისათვის მრავლობითის მაგალითებს მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ მხოლობითის ფორმებს დავემყარებით.

ამ ტიპის ზმნებია:

ვი-**გრძენ**-(**ი**)	ი-**გრძენ**-(**ი**)	ი-**გრძნ-ო**
ვი-**ცან**-(**ი**)	ი-**ცან**-(**ი**)	ი-**ცნ-ო**
მოვა-**სწარ**-(**ი**)	მოა-**სწარ**-(**ი**)	მოა-**სწრ-ო**
მივა-**გენ**-(**ი**)	მია-**გენ**-(**ი**)	მია-**გნ-ო**
გამოვა-**კელ**-(**ი**)	გამოა-**კელ**-(**ი**)	გამოა-**კლ-ო**
დავა-**მყენ**-(**ი**)	დაა-**მყენ**-(**ი**)	დაა-**მყნ-ო**
შევ-**ძელ**-(**ი**)	შე-**ძელ**-(**ი**)	შე-**ძლ-ო**

სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის არსებობა ამ ფორმებში ფონეტიკურ საფუძველზე ვერ აიხსნება. ამ ტიპის ზმნებს ძველ ქართულში ძირითადად სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ა** სუფიქსი მოუდიოდა: **შეიპყრ-ა, აგრძნ-ა, შეიცნ-ა... -ა** სუფიქსის **-ო**-თი შენაცვლებას ვერც მეოთხე ყალიბის ზმნათა ანალოგიას მივაწერთ: ამგვარი რამ არ მომხდარა ამ ტიპის (ფუძეკუმშვად) ზმნათა დიდ უმრავლესობაში: მოვ-კალ — მო-კლ-ა; შევ-კარ — შე-კრ-ა, მოვ-ხან — მო-ხნ-ა, გამოვ-ხარ — გამო-ხრ-ა...

არსებითი არის ის, რომ ახალ ქართულში განსახილველ ზმნებს სუბიექტურ I და II პირში ნულოვანი (resp. **-ი** ელემენტიანი) წარმოების პარალელურად **-ე** სუფიქსიანი ფორმებიც მოეპოვებათ: **შევი-პყარ || შევი-პყრ-ე, ვიგრძენ || ვი-გრძნ-ე, მოვა-სწარ || მოვა-სწრ-ე, მივა-გენ || მივა-გნ-ე, გავი-ცან || გავი-ცნ-ე, ჩავ-ფალ || ჩავ-ფლ-ე, გამოვა-კელ || გამოვა-კლ-ე, შევი-ძელ || შევი-ძლ-ე...**

> ცად **აღაპყრე** ხელი წყვილი (ს. ჩიქ.).
> **შეიცნე,** მოძმე ნამდვილი თურმე რუსეთშიც გყოლია (იქვე).
> იფიქრე, იფიქრე ბედნიერებაზე, თუკი ერთ ნიშანს მაინც **მივაგნეთ** („საბ. ხელ.“ №9, 1977, 110).
> უეცრად **ჩავეფლე** ღრმა ძილში („ცისკ.“ №5, 1976, 17).
> როდის **შეიგრძნე,** თუ **შეიგრძნე** ტატო ბოლომდი (ვ. გოგოლ.).

ზოგან რაღაც ჩავუმატე, ზოგან რაღაც **გამოვაკლე** (გ. პეტრ.).
ღმერთო, საკუთარ სიკვდილს **მომასწრე** („ცისკ.“ №1, 1981, 62).
შემასწორე და **დამიმყნე** სისხლზე (ს. ჩიქ.).

ამ ფორმებში გვაქვს ის ორივე პირობა, რომელიც აუცილებელია მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში **-ო** სუფიქსის გამოვლენისათვის: უმარცვლო ფუძე და წყვეტილის მაწარმოებელი **-ე** სუფიქსი.

ამგვარად, ენაში არსებული პარადიგმის გვერდით ჩამოყალიბდა ახალი პარადიგმა:

შევი-**პყარ-(ი)** || შევი-**პყრ-ე**
შეი-**პყარ-(ი)** || შეი-**პყრ-ე**
შეი-**პყრ-ა** || შეი-**პყრ-ო**

მეორე, გვიანდელი, პარადიგმის მესამე პირის ფორმა ფართოდ გავრცელდა და დაიჭირა წინამორბედი პარადიგმის შესაბამისი ფორმის ადგილი (თუმცა დიალექტებში, და ზოგჯერ სალიტერატურო ენაშიც, ჯერ კიდევ შემოგვრჩა **-ა** სუფიქსიანი ფორმები), რაც არ მომხდარა პირველი და მეორე პირის ფორმათა შემთხვევაში. ამგვარად მივიღეთ დღეისათვის ნორმატული პარადიგმა:

შევი-**პყარ-(ი)**
შეი-**პყარ-(ი)**
შეი-**პყრ-ო**

რომელსაც პირობითად შერეული პარადიგმა შეიძლება ვუწოდოთ. ამით გასაგები ხდება, თუ რატომ არის **-ო** სუბიექტური მესამე პირის ნიშნად იმ შემთხვევაში, როცა პირველ და მეორე პირში წყვეტილის მაწარმოებლად არა გვაქვს **-ე** სუფიქსი.

თუ **შევიპყარ, გავიცან...** ზმნათა შემთხვევაში პირველი ყალიბის ფორმათა პარალელურად მეოთხე ყალიბის ფორმები ჩამოყალიბდა, დასტურდება საპირისპირო მოვლენაც — მეოთხე ყალიბის ფორმის პარალელურად პირველი ყალიბის ფორმის გაჩენა: ძველ ქართულში **შეძლება** ზმნის წყვეტილის ფორმები IV ყალიბით იწარმოებოდა:

რაჲსათვის ჩუენ ვერ **შეუძლეთ** განკურნებად მას? (მ. DE, 17, 19).
კაცმან ამან [იწყ]ო შჱნებად **დ**[ა ვერ **შე**]**უძლო** აღს[რ]ულებად (ლ. C 14, 30).

პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

შეუ-**ძლ-ე** შეუ-**ძლ-ე-თ**
შეუ-**ძლ-ე** შეუ-**ძლ-ე-თ**
შეუ-**ძლ-ო** შეუ-**ძლ-ეს**

დღევანდელი ნორმატული პარადიგმის (შევიძელ — შეიძელ — შეიძლო) მესამე პირის ფორმა ძველი ვითარების ასახვაა, IV ყალიბის პარადიგმიდანაა აღებული. I და II პირის ფორმები გვიანდელია, II ყალიბისაა:

შევი-**ძელ**
შეი-**ძელ**
შეი-**ძლ-ო**

შევიპყარ || შევიპყრე ტიპის ფორმები პარალელურ ვარიანტებს წარმოგვიდგენს როგორც I და II პირში, ასევე III პირშიც (თუმცა I ყალიბის III პირის ფორმა ამჟამად იშვიათია,: უფრო დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის მწერალთა ენისათვის):

ეგ არის სვიმონ მეფე, **შეიპყარით!** (იაკობი).
და ცას **მიაპყრე** ფიქრები წრფელი (ს. ჩიქ.).
ხელნი **აღაპყრა,** მოიწოდა ზეცისა ძალნი (რ. ერისთ.).
იგი დადიანის თხოვნას სიამაყით **მოეპყრა** (იაკობი).
შიშმა **შეიპყრო** სოლომონი (დ. კლდ.).
რატომ **შეგიპყრო** ასეთმა აზრმა? (ვ. ბარნ.).

შენიშვნა: აქ წარმოდგენილ, მაგალითებს ვიმოწმებთ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდიდან.

სხვაგვარია მდგომარეობა **გამაქერ || გამაქრე, მივაგენ || მივაგნე, გავიძერ || გავიძრე, შევიძელ || შევიძლე** ტიპის ზმნებთან, რომელთა I და II პირის ფორმათა პარალელური წარმოება დასტურდება ახალ ქართულში:

მომკალ, **გამაქერ** (ილია).
აქრე სანთელი, **აქრე,** მე მაინც ავანთებ მას (ჭ. ლომთ.).
ბოლოს **მივაგენით**, მაგრამ დილას აქეთ კი ვდევთ (პ. კაკაბ.).

ვერ **შევიგნე,** რა სისულელე ჩავიდინე („კომუნისტი“, №22, 1982, 3).
გავიძერ ხანჯალი (ილია).
დამბაჩაც **გავიძრე** წელიდამ (იქვე).
დაგყურებდი, ვეღარ **გავძელ,** ლოყით კოცნა მე მოგპარე (ილია).
სახლში ვერ **გასძლე** და დამიჭლექდი (ეკ. გაბ.).

I ყალიბის III პირის ფორმა ვერ დავიდასტურეთ (გააქრ-ა, გაიძრ-ა, მიაგნ-ა, გაძლ-ა), IV ყალიბისა კი — ჩვეულებრივია: გააქრო, გაიძრო, მიაგნო, გაძლო:

სად **გააქრო** ამდენი კალმახი, კაცმა არ იცოდა (გ. წერეთ.).
იაგო უკან გადახტა და **გაიძრო** ხანჯალი (ა. ყაზბ.).
პეპიამ სიარული ვეღარ **შეძლო** (ილია).
მელამ ჩიტის ბუდეს **მიაგნო** (იაკობი).

ამდენად, ამ ზმნათა I ყალიბის პარადიგმა (ჩვენი მასალის მიხედვით) ნაკლულია, IV ყალიბისა კი — სრული:

გავა-ქერ-(ი) || გავა-ქრ-ე
გაა-ქერ-(ი) || გაა-ქრ-ე
გაა-ქრ-ო

ამიტომ, IV ყალიბის პარადიგმის III პირის ფორმა კისრულობს I ყალიბის პარადიგმის შესაბამისი წევრის როლსაც: **შევიძელ — შეიძელ — შეიძლო;** ამ შემთხვევაშიც „შერეული პარადიგმა“ წარმოიქმნება.

24.6. დავდევი // დავდე ტიპის პარალელურ ფორმათა შესახებ

ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონები (ქეგლ; ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, 1998) პარალელურ, კანონზომიერ ფორმებად წარმოგვიდგენს **დებს** ზმნის წყვეტილის მესამე პირში დადვა || დადო ფორმებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ახალი ქართულის დიალექტებში განსაკუთრებით გავრცელებულია **ვ**-სა (უმეტესად ← **უ**) და **ა**-ს შერწყმა, რომელიც **ო**-ს იძლევა (**თვალი → თოლი,**

ცხვარი → ცხორი, გვალვა → გოლვა, სუამს → სომს... იდვა → იდო და სხვა (ი. იმნაიშვილი, 1971, გვ. 137). მოსაზრების თანახმად **დადო** დიალექტური ვარიანტია **დადვა** ფორმისა. ამ ზმნის წყვეტილის I და II პირის ფორმად **დავდევი — დადევი** ივარაუდება. ამგვარად, პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

დავ-დევ-ი
და-დევ-ი
და-დვ-ა → და-დო

და, ამდენად, **იყო** ზმნის გვერდით დგება. ამგვარი თვალსაზრისის მიხედვით, სალიტერატურო ენაში დადასტურებული **დავდე-დადე** ფორმები (შენი ხათრით გავწირე თავი და **დავდე** სიცოცხლე სასწორზე — ო. იოსელ.; ქუდი მანდ **დადე** და შენ აქ დაჯექ — ნ. შიუკ. ...) კვალიფიცირდება როგორც **დავდევი, დადევი** ფორმათა ფონეტიკური, **ვ**-მოკვეცილი, ვარიანტები. ვფიქრობთ, შეიძლება საკითხი დაზუსტდეს:

განსახილველ ზმნაში ძირეულად **დ**-ს გამოყოფენ (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ. 270). **ე დავდე** ფორმაში **-ევ** ფორმანტის თანხმოვანმოკვეცილი ვარიანტია, მაგრამ ამჟამად იგი წყვეტილის მაწარმოებლად გაიაზრება ისევე, როგორც იმ ზმნებში, რომლებიც საფუძვლად დაედო IV ყალიბს. თავდაპირველად ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი **ო** (დადვა → დად-ო) ასევე სუბიექტური მესამე პირის ნიშნად იქნა გააზრებული; ამდენად, ძველი (I ყალიბის) პარადიგმის გვერდით ახალი (IV ყალიბის) პარადიგმა ჩამოყალიბდა:

	დავ-**დევ-**(**ი**)	‖	**დავ-დ-ე**
	და-**დევ-**(**ი**)	‖	**და-დ-ე**
	და-**დვ-**ა	‖	**და-დ-ო**
შდრ.:	**ავა-გევ**	⎫	**ავა-გ-ე**
	აა-გევ	⎬	**აა-გ-ე**
	აა-გვ-ა	⎭	**აა-გ-ო**

თუ მეორე შემთხვევაში ამოსავალი (I ყალიბის) პარადიგმა ისტორიის კუთვნილებაა, **დავდევი ‖ დავდე** ზმნამ ორივე ყალიბის პარადიგმა შემოგვინახა და პარალელურ, თანაბარუფლებიან ფორმებად გვევლინება. **დადვა ‖ დადო** პარალელურ ფორმათა გამოყენებას ერთსა და იმავე მწერალთან ზოგჯერ სტილური ელფერი დაჰკრავს:

გიგომ წიგნი მაგიდაზე **დასდვა** (დ. კლდ.).
გიგომ ამის გამო **გადასდო** წასვლა (იქვე).

ო ხმოვნის ასონანსი ჩანს მეორე შემთხვევაში **გადასდო** ფორმის ხმარების მიზეზი (საერთოდ, ბგერწერის საკითხები დ. კლდიაშვილის პროზაში საგანგებო ყურადღებას იქცევს).

რაც ითქვა სუბიექტური მესამე პირის პარალელურ ფორმათა შესახებ, იგივე დასკვნა უნდა გავრცელდეს მათი შესაბამისი პირველი და მეორე სუბიექტური პირის ფორმათა მიმართაც: **დავდევი || დავდე, დადევი || დადე** ასევე კანონზომიერი, თანაბარუფლებიანი ფორმებია (ქართული ენის განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში, სამწუხაროდ, სუბიექტური I და II პირის პარალელური ფორმები არაა წარმოდგენილი, საჭიროებას კი ვგრძნობთ).

24.7. დარგა || დარგო ტიპის პარალელური ფორმები

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სუბიექტური მესამე პირის ფორმებს პარალელურად, **-ა** და **-ო** სუფიქსებით, იწარმოებენ შემდეგი ზმნები: **დარგა || დარგო, მორწყა || მორწყო, მიუზღა || მიუზღო, დაართა || დაართო** (ა. შანიძე, 1973, გვ. 430; ა. ონიანი, 1978, გვ. 60). ამათ რიგში უნდა ჩადგეს: მომკა || მომკო, განერთხა || განერთხო, დამწყსა || დამწყსო, დაუხშა || დაუხშო, დაიხრჩვა || დაიხრჩო...

შენიშვნა: ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში პარალელიზმი პირველ სერიაშიცაა დადასტურებული: **დაუხშავს || დაუხშობს, დაიხრჩვება || დაიხრჩობა. -ო** სუფიქსიანი წყვეტილი **-ობ** თემისნიშნიან ფორმათა შესაბამისადაა მიჩნეული. I სერიის ფორმათა პარალელიზმი არ ჩანს განმსაზღვრელი **დაუხშა || დაუხშო, დაიხრჩვა || დაიხრჩო** პარალელურ ფორმათა არსებობისა. აქაც წყვეტილის წარმოების თავისებურებასთან გვაქვს საქმე, ეს ზმნები განსახილველ ზმნათა რიგში დგება...

სუბიექტურ მესამე პირში პარალელურ ფორმათა არსებობის ახსნა **-ა** და **-ო** სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობით გაჭირდება (შდრ. ა. ონიანი, 1978, გვ. 60). **დარგა** და **დარგო** სხვადასხვა პარადიგმის წევრებია: **-ა** სუფიქსიანი II ყალიბის ფორმაა, **-ო** სუფიქსიანი — IV ყალიბისა:

დავ-**რგ-ი**	||	დავ-**რგ-ე**
და-**რგ-ი**	||	და-**რგ-ე**
და-**რგ-ა**	||	და-**რგ-ო**

სამწერლობო ენაში ყველა ფორმა დასტურდება:

მე **გადმოვრგი** მიწაზე ყვავილი (ჭ. ლომთ.).
უკრაინაში **გადარგი** ლექსი და მოაშენე ქართული ბაღი (ს. ჩიქ.).
კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად **დარგე** (ილია).
ვაზი **გადმორგა** (ქეგლ).
ერთხელ ბავშვობისას მამას სურდა შეეფურჩქნა ვარდის პატარა ჩირგვები, რომლებიც **დარგო** ამასწინათ თავის ბაღჩაში (იაკობი).

სუბიექტური მესამე პირის **-ა** და **-ო** სუფიქსიანი ფორმები სამწერლო ენაში თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება; ეს ფაქტი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“ იჩენს თავს: **რგ** ძირის შემცველ ზმნებთან წყვეტილის ფორმები წარმოდგენილია როგორც **-ა,** ისევე **-ო** სუფიქსით: **დარგა, გადარგა, მიარგა, გადმორგა, შემორგა, გადაურგა — შემოარგო, ჩარგო, წარგო, შერგო, დაურგო, წაურგო.** მდგომარეობა თითქმის ასეთივეა ამ ტიპის სხვა ზმნათა შემთხვევაშიც: **აწყა, დაწყა, აუწყა, მიიწყა,** მაგრამ **აიწყო, ამოწყო, გამოუწყო... მომკა, გადამკა, მოუმკა,** მაგრამ **დამკო, მოიმკო, მოუმკო...**

ვფიქრობთ, განსახილველ ზმნათა სუბიექტური მესამე პირის პარალელურ ფორმათა არსებობას **-ა** და **-ო** სუფიქსებით ამგვარი ახსნა უნდა მიეცეს ყველა შემთხვევაში.

24.8. შევატყვე // შევატყე ტიპის ფორმათა შესახებ

არის ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც წყვეტილის მხოლობითი რიცხვის I და II და მრავლობითი რიცხვის ყველა პირის ფორმაში პარალელური ვარიანტებით წარმოგვიდგება. პარალელიზმს ფუძის ბოლოკიდური **-ვ** თანხმოვნის ქონა-არქონა შეაპირობებს: **დავახრჩვე || დავახრჩე, შევატყვე || შევატყე, დავამხვე || დავამხე, მოვაწყვე || მოვაწყე, გამოვაცხვე || გამოვაცხე...**

გახსომს ერთხელ აბანოში კინაღამ ჰაუზში **დამახრჩე?** (ა. ცაგ.).
დაახრჩვეთ ჩქარა! (გ. შარვ.).
დაემხე ძირსა, დაახალე მიწასა შუბლი (ო. ჩხ.).
დაემხე, კალო დალოცე (ს. ჩიქ.).
შენ **მოაწყე** მკითხავისაგან წამლის მოტანა (ვ. ბარნ.).

მე კი უბრალოდ არ მსურს გაგშორდე, როგორმე უცხოდ **მო-მიწყვე** ბოლო (ს. ჩიქ.).
დააცხეთ ლავაშები? (ვ. ბარნ.).
პურიც **გამოაცხვეს** (ს. შანშ.).

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ მიხედვით, ფუძისეული **ვ** დაცული უნდა იქნეს „ნამყო ძირითადის მხოლობითი რიცხვის I და II და მრავლობითი რიცხვის ყველა პირის ფორმებში იმ ზმნებში, რომლებიც თურმეობით პირველში (კითხვაზე: რა უქნია?) **ვ** ბგერას წარმოგვიდგენენ ფუძეში“ (ნორმები, 1970, გვ. 15). ამ წესის შესაბამისად მართებულია ფორმები: **დავახრჩვე, შევატყვე, დავამხვე, მოვაწყვე, გამოვაცხვე, დავათვრე, გავალხვე, დავასვე, მივანდვე, ვიღრძვე, დავალტვე** და სხვა.

ყველა წარმოდგენილი ზმნა IV ყალიბისაა და შესაბამისად სუბიექტურ მესამე პირში **-ო** სუფიქსი აქვს. ფუძისეული **ვ** სუბიექტურ მესამე პირში არ ჩანს. ეს ფაქტი და ისიც, რომ ყველა მათგანი **-ობ** თემისნიშნიანი ზმნაა, რის გამოც **ვ** I სერიის ფორმებშიც არ არის წარმოდგენილი, გახდა მიზეზი **დავახრჩე, შევიტყე** ტიპის ფორმათა გაჩენისა — ანალოგიის მოქმედება აშკარაა.

ეს ზმნები ინტერესს სხვა მხრივაც აღძრავს: როგორც აღვნიშნეთ, სუბიექტური მესამე პირის მხოლობით რიცხვში **-ო** სუფიქსი გვაქვს, **ვ** გაუჩინარებულია. საკითხის ორგვარად დასმა არის შესაძლებელი: ა) **ო** სუბიექტური მესამე პირის **-ა** სუფიქსისა და ფუძისეული **ვ** თანხმოვნის შერწყმის შედეგია და ბ) ფუძისეული **ვ** იკარგება მომდევნო **-ო** სუფიქსის წინ. ჩვენ სარწმუნოდ და დამაჯერებლად მიგვაჩნია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ქართულში არსებული ფორმები აორისტისა, სადაც I და II პირში ზმნის ფუძეში **ვ** გვაქვს, ხოლო III პირში კი იგი არ ჩანს S_3-ის **ო**-ს წინ (ან კავშირებითის **-ო**-ს წინ), **ვა**-ს ან **ვე**-ს შერწყმაზე კი არ მიგვითითებენ, არამედ იმაზე, რომ **ვ**-ს უჭირს **ო**-ს წინ გაძლება. **ვ** უფრო ძლებს **ო**-ს წინ, თუ მას ხმოვანი უძღვის წინ. აქ გვაქვს თავისუფალი ვარიერების შემთხვევები“ (ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1973, გვ. 83). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ განსახილველ ზმნათა საყრდენი ძირეული მორფემა ყველა შემთხვევაში უმარცვლოა და წყვეტილი **-ე** სუფიქსით იწარმოება, რაც თავისთავად პირობაა სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის გამოვლენისა. წარმოდგენილ მოსაზრებასთან დაკავშირებით დაზუსტებას მოითხოვს დებულება, რომ „/ვ/ ფონემის მომდევნო პოზიციაში არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება /ო/, აქ ყოველთვის /-ა/ არის წარმოდგენილი: შვ-ა,

გა-უშვ-ა, და-წვ-ა (მან ის) და სხვ.“ (ა. ონიანი, 1978, გვ. 59). **ვ** კი არ განსაზღვრავს **-ო**-ს გამოვლენას, არამედ **-ო**-ს არსებობა განაპირობებს **ვ**-ს ყოფნა-არყოფნას ამ ტიპის ზმნათა სუბიექტური მესამე პირის ფორმებში.

24.9. თავისებურება უამბობს ზმნის წყვეტილის ფორმისა

სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის გამოვლენის ერთ-ერთი პირობა უმარცვლო ფუძის მქონეობაა. ისეთ შემთხვევაში, როგორიცაა **უამბო,** ეს პირობა დარღვეული ჩანს: საყრდენი ძირეული მორფემა ამ შემთხვევაში მარცვლოვანია: **ამბ** (← ამბავ). ამ ზმნის „საწყისია „მბობა“. მოსალოდნელი იყო „ამბობა“, რადგანაც ნაწარმოებია „ამბავ“ სიტყვისაგან (რომლის უკანასკნელი თანხმოვანი დაკარგულია ბაგისმიერი თანხმოვნების მეზობლობაში: ვამბვ-ობ), მაგრამ **ა** ქცევის ნიშნად იქნა გაგებული და საწყისში ჩამოშორდა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 31). თითქოსდა მოულოდნელია ქცევის ნიშნის მომდევნო ხმოვნის (ვ-**უ**-ამბე) ქცევის ნიშნადვე გააზრება (საობიექტო ქცევის **უ** პრეფიქსის მომდევნოდ ნეიტრალური ქცევის **ა** პრეფიქსად მიჩნევა ფუძისეული ხმოვნისა), რადგან ერთი და იმავე რანგის ორი მორფემა არ შეიძლება იქნეს წარმოდგენილი ფორმაში.

მაგრამ ეს მაინც საგანგებო შემთხვევაა და ბევრი რამ ახსნას მოითხოვს:

პირიან ფორმებში **ა** უეჭველად ფუძისეულად გაიაზრება:

უ-**ა**მბ-ობ-ს, უ-**ა**მბ-ო, უ-**ა**მბ-ია...

ამგვარი ძირის მქონე ზმნებმა წყვეტილი III ყალიბით უნდა იწარმოოს:

ვ-უ-**ამბ-ე**

უ-**ამბ-ე**

და შესაბამისად III პირის ფორმა უნდა იყოს **უ-ამბ-ა.** მსგავსი ფორმები ხალხურ პოეზიაში დასტურდება:

„დადექ, ნაფოტო, მიამბე მეგობრის შემონათვალი;

დადგა ნაფოტმა **მიმამბა...** (ხალხ.). ტექსტი ხიზაბავრაშია ჩაწერილი, თუმცა ძირითადად **ო** სუფიქსიანი ვარიანტია გავრცელებელი: **უამბ-ო.**

შეიძლება ამგვარი ვარაუდის დაშვებაც: **-ო** ფუძისეული **ვ** თანხმოვნის სუბიექტური მესამე პირის **-ა** სუფიქსთან შერწყმის პროდუქტია: **მიამბო** ← **მიამბვა.** შემდეგ მოხდა **ო** სუფიქსთან გააზრება.

ნამყო ძირითადის **-ე** ფორმანტი და სუბიექტური მესამე პირის **-ო** საყრდენ მორფემად უმარცვლო ძირს ვარაუდობს. ეს გახდა მიზეზი **ამბ** ძირისეული **ა** ხმოვნის არაძირეული გააზრებისა.

24.10. ვალ ზმნის წყვეტილის ფორმათა შესახებ

წყვეტილის წარმოების ჩვენ მიერ განხილულ ყალიბებში ვერ თავსდება და თავისებურ ვითარებას გვიჩვენებს **ვალ** ზმნა, რომლის შესახებაც საგანგებოდ გვინდა ვიმსჯელოთ.

აღნიშნული ზმნა ფუძემონაცვლეა. სხვადასხვა მწკრივში სხვადასხვა ფუძეა გამოყენებული: **ვალ — ვედ/ვიდ — დი** (ა. შანიძე, 1973, გვ. 506). „მეორე სერიის ფორმები **ვედ-ვიდ** ფუძეზეა დაყრდნობილი. ამათგან **ვედ** I-ლისა და მე-2 პირის ფორმებს აწარმოებს [და ბრძანებითისასაც, მაგრამ უკანასკნელი ფორმა ძალიან დაშორებულია პირვანდელს: მო-ვედ → მო-ედ-(ი) → მო-დი]. მე-3 პირის ფორმა და ორი სხვა მწკრივისა კი **ვიდ** ფუძეს იყენებს (რომელიც ვარიანტია ვედისა): მოვიდე, მოვიდი“ (იქვე, გვ. 507).

განსახილველი ზმნა რამდენიმე თავისებურებას ავლენს:

1. **ვედ/ვიდ** ერთადერთი ფუძეა, რომელმაც მეორე სერიის ფორმებში სუბიექტური მეორე პირის ნიშნად **ხ-** პრეფიქსი შემოგვინახა: მო-**ხ**-ვედ(ი), მო-**ხ**-ვიდ-ე. მიუთითებენ, რომ ამ პრეფიქსის შემონახვისათვის შესაძლოა ფონეტიკურ გარემოცვას შეეწყო ხელი (ი. ქავთარაძე, 1954, გვ. 170). ეს ვარაუდი იმასაც გულისხმობს, რომ გამორიცხული არ არის **ხ-** პრეფიქსის შემონახვის ხელისშემწყობი სხვა ფაქტორების არსებობაც (ყოველი შემთხვევისათვის, კითხვაზე — იმავე ფონეტიკურ გარემოცვაში სხვა ზმნასთან რატომ არ შემოგვენახა **ხ-** პრეფიქსი — პასუხი გასაცემია).

2. საერთოდ, ზმნის ფუძისეული **ე** ხმოვანი სხვადასხვა ჯგუფის ზმნასთან სხვადასხვაგვარ თვისებას ავლენს: ა) ყველა მწკრივის ფორმებში უცვლელადაა წარმოდგენილი: ვწ**ე**რ-ვწ**ე**რე-მიწ**ე**რია, ვძ**ე**რწავ-ვძ**ე**რწე-მიძ**ე**რწავს... ბ) I სერიის ფორმებში დადასტურებულ **ე** ხმოვანს II სერიის ფორმებში **ი** ხმოვანი ენაცვლება ვდრ**ე**კ-ვდრ**ი**კე, ვგრ**ე**ხ-ვგრ**ი**ხე... გ) ერთი ტიპის ზმნებში ფუძისეული **ე** მხოლოდ წყვეტილის I და II პირის ფორმებშია წარმოდგენილი; იმავე მწკრივის III პირისა და სხვა მწკრივთა ფორმებში ფუძე ნულოვანი გახმოვანებითაა წარმოდგენილი: გავჭ**ე**რი-გაჭ**ე**რი-გაჭრა, ჭრის, გაჭრას... ფუძეში **ე** ხმოვნის შემცველი ყველა ზმნა ზემოწარმოდგენილი სამი ჯგუფიდან რომელიმე

ერთ-ერთს მიეკუთვნება. გამონაკლისს ქმნის მხოლოდ **ვედ** ზმნა. **ეს ერთადერთი ფუძეა, სადაც ხმოვანმონაცვლეობა ე/ი ერთი მწკრივის ფორმებში ხდება:** I და II პირის ფორმებში **ე** გახმოვანებითაა წარმოდგენილი, III პირს ფორმაში — **ი** გახმოვანებით:

წა-**ვედ**-(ი) წა-**ვედ**-ი-თ
წახ-**ვედ**-(ი) წახ-**ვედ**-ი-თ
წა-**ვიდ**-ა წა-**ვიდ**-ნენ

ე/ი ხმოვანთმონაცვლეობა ფონეტიკურ ნიადაგზე იხსნება: ხდება ნაწილობრივი რედუქცია (ბ. ჯორბენაძე, 1980, გვ. 145). ახალ ქართულში ეს ერთადერთი შემთხვევაა I ყალიბის ზმნებთან, როცა საყრდენი მორფემისეული ხმოვანი ამგვარ ცვლილებს განიცდის (ძველ ქართულში **უ** ხმოვნიან ძირეულ მორფემებში მსგავსი შემთხვევები დასტურდება: ვ-თქუ — თქუ-ა, ვ-სუ — სუ-ა...). **ვედ/ვიდ** ზმნა ამ მხრივაც გამონაკლისს ქმნის. გამონაკლისის წესის ფარგლებში მოქცევა დიალექტებმა ცადა: აჭარულსა და იმერხეულში ამ ზმნის პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

(წე)-**ვედ**-ი
(წახ)-**ვედ**-ი
(წე)-**ვდ**-ა

საყრდენმა მორფემისეულმა ხმოვანმა სრული რედუქცია განიცადა. შდრ.:

გავ-**ჰერ**-ი
გა-**ჰერ**-ი
გა-**ჰრ**-ა

სხვა ამგვარი შემთხვევა არ დადასტურდა.

3. როგორც ცნობილია, წართქმითი ბრძანებითი მეორე პირისა წყვეტილის ფორმებს იყენებს: **გააკეთე! დაწერე! გაიქეცი...** ძველ ქართულში წყვეტილის II პირის სრული ფორმა გამოიყენებოდა ბრძანებითის გამოსახატავად ამ ზმნასთანაც, რაც ახალ ქართულშიც იჩენს თავს არქაიზმის სახით: „**განვედი** ჩემგან, ჰო, მაცთურო, სულო ბოროტო!“ (ნ. ბარ. 286); მაგრამ, როგორც მიუთითებენ, ამჟამად ბრძანებითის ძირითადი ფორმაა **გად-ი, წა-დი** (ა. შანიძე, 1973, გვ. 177).

ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარად იხსნება: „ვედ 1-ლი და მე-2 პირის ფორმებს აწარმოებს (და ბრძანებითისასაც, მაგ-

რამ უკანასკნელი ფორმა ძალიან დაშორებულია პირვანდელს: მო-ვედ → მო-ედ-(ი) → მო-დ(ი)"... (იქვე, გვ. 507). ამგვარ ახსნას რამდენიმე წინააღმდეგობა ახლავს:

ა) **მო-დი** ფორმაში **ი** იმავე რიგის ელემენტად გაიაზრება, რაც **მოვ-კალ-(ი)** ტიპის ზმნებთან გვაქვს. I ყალიბის ფორმებში **-ი** ელემენტი ნულთან მონაცვლეა. ახალ ქართულში ეს (ნულთან მონაცვლეობა **-ი** ელემენტისა) სწორედ ბრძანებითის ფორმებში ხდება ძირითადად (იხ. § 11). **მოდი** ფორმა ჩვეულებრივ **ი**-ს გარეშე არ გვხვდება. ამ მხრივ ეს **-ი** უფრო მეორე ყალიბის ზმნებთან დამოწმებულ **-ი** ელემენტს ესადაგება, თუ, რა თქმა უნდა, მისი გამონაწერვება საერთოდ შესაძლებელია.

ბ) უფრო არსებითი ხასიათის დაბრკოლებად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ზმნური ფუძის გამარტივებისას ცვეთა, მოკვეცა ჩვეულებრივ ბოლოკიდურ პოზიციას ეხება. მოსალოდნელი იყო სწორედ ამგვარი ცვლილება (შდრ.: წავგრძელდი და **წავე** გრძელად — ვეფხ. 445). **ვედ/ვიდ** ფუძისეული **ვ**-ს დაკარგვის შემთხვევები ძველ ქართულშიც დასტურდება (ი. ქავთარაძე, 1954) და ქართულ დიალექტებშიც (ძვ. ქართ.: **მოედ** და შემომიდეგ — ლ, C. 18, 22; კახური, ფშაური: **მოი-და**...), მაგრამ საგულისხმოა ის, რომ **ვ** ყველა შემთხვევაში **მო** ზმნისწინის მომდევნო პოზიციაში უჩინარდება, **ა**-ხმოვნიან ზმნისწინთა მომდევნოდ შენარჩუნებულია; თუ მაინც დავუშვებთ ამგვარ შესაძლებლობას (**მო** ზმნისწინიან ფორმათა ანალოგიად მივიჩნევთ სხვა ზმნისწინიან ფორმებში **ვ**-ს დაკარგვას), აუხსნელი დაგვრჩება **მო-ედ-(ი)** ფორმაში **ე**-ს დაკარგვა — საამისო ფონეტიკური საფუძველი არა ჩანს. ამდენად, ეჭვქვეშ დგება ამგვარი ვარაუდის დაშვება.

ბრძანებითის ფორმებში დამოწმებული **დი** მასალობრივად იგივეა, რაც აწმყოს წრის მწკრივთა ფორმებში წარმოდგენილი ფუძე — მივ-**დი**-ვარ / მი-**დი**-ს. მაგრამ ნიშნავს კი მასალობრივად მსგავსება გენეტურ იგივეობას? საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იმავე აწმყოში **დი** ფუძის პარალელურად მყოფადისათვის ჩვეულებრივ **ვალ** (წა-ვალ) ფუძეც გამოიყენება: **მივალ-მიხვალ-მივა.** როგორც ჩანს, **ფუძეთა გადანაწილების პროცესი გრძელდება,** რაც თავისთავად საინტერესოა. ბრძანებითის მეორე პირისა და აწმყოს ფორმათა ფუძეების იდენტურობაზე გადაჭრით რაიმეს თქმას ისიც აძნელებს, რომ არა გვაქვს სხვა შემთხვევა ბრძანებითში აწმყოს ფუძის გამოყენებისა.

4. როგორც ქვევით ვნახავთ, ბრძანებითის ფორმებში ფუძეთა ცვეთა, ბოლოკიდურის მოკვეცა ახალი ქართულისათვის დამახასიათებე-

ლი მოვლენაა. **ვედ/ვიდ** ზმნა აქაც თავისებურია: ერთადერთი შემთხვევაა, როცა ზმნისწინი ზმნური ფორმის ფუნქციით გამოდის: **წა** (← წადი), **გა** (←გადი), **მო** (←მოდი)... ამგვარი ფაქტები, თუმცა იშვიათად, მაგრამ ძველ ქართულშიც დასტურდება:

ხოლო **აწ მო** და მივიდეთ მისა (ი. C. II, 15).

5. **ვედ/ვიდ** ძირითადი ფუძეა წყვეტილისათვის, თუმცა მის პარალელურად I და II პირის ფორმებში **ველ** ფუძეც გამოიყენება: მოველ, მოხველ (ა. შანიძე, 1973, გვ. 587). ფაქტი ძველსავე ქართულში იღებს სათავეს (ი. ქავთარაძე, 1954, გვ. 174). მიუთითებენ, რომ **ედ/იდ, ელ** დამოუკიდებელი ზმნური აფიქსებია (იქვე, გვ. 170). **ვედ** და **ველ** ერთი მნიშვნელობის დიალექტური წარმონაქმნებია (ი. ქავთარაძე, 1954, გვ. 174).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **ველ** ფუძე მხოლოდ I და II პირისათვისაა გამოყენებული, პარადიგმის მესამე წევრი **ვიდ** ფუძითაა წარმოდგენილი:

მო-**ველ**
მო-**ხ-ველ**
მო-**ვიდ**-ა

ვფიქრობთ, შესაძლოა იმ ვარაუდის დაშვება, რომ ამ შემთხვევაში წყვეტილის I და II პირის **ვედ** ფუძე I სერიის **ვალ** ფუძის ანალოგიით **ველ** ვარიანტად წარმოგვიდგა. მესამე პირის ფორმაში **ვიდ** ფუძის არსებობა ამის ხელშესახებ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. შდრ.: დავ-**წექ**, და და-**წექ** მაგრამ და-**წვ**-ა, დავ-**ჯექ**, და-**ჯექ**, მაგრამ და-**ჯდ**-ა; ანალოგიას **ავდექ-ადექ-ადგა** ზმნისას მხოლოდ I და II პირის ფორმები დაექვემდებარა.

24.11. ფუძეთა ბოლოკიდურის მოკვეცა წყვეტილში

წყვეტილის ფორმათა ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება არის ფუძეთა ბოლოკიდურის მოკვეცა. მოვლენა ეხება ძირითადად მეორე სუბიექტური პირის ფორმებს, ისიც წართქმით ბრძანებითში (ლ. კვაჭაძე, 1981, გვ. 238); **დახე** (← დახედე), **გასწი** (← გასწიე), **მომყე** (← მომყევი), **გამეცა** (← გამეცალე), **მოიცა** (← მოიცადე), **დააყე** (← დააყენე) და სხვა;

დახეთ, როგორც მოუსვა, უკან აღარც იხედება (თ. ბიბ.).

გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი (ნ. ბარ.).
მოდით, **მომყეთ,** თუ გული გერჩით (ო. ჩხ.).
გამეცა, ვირო, ნუ მეღრიჯები (ილია).
ჰო, ვერ მიცვნია, ვერა-მეთქი, თუმცა **მოიცა** (ო. ჩხ.).
ილოს ფაფა მაინც **მომე** (თ. ჭილ. 53).
კარგი, **დააყე** ეგ ჩონგური, რა მოგივიდა (თ. ბიბ. 41).
ეგ რაღა სახუმაროა, **გენაცვათ** (იქვე).
წაიყვათ და ჩააბარეთ (გ. შარ.).

მიუთითებენ, რომ „შეკვეცის მიზეზია ძლიერი დინამიკური მახვილი, რომელიც ზმნის ფორმას თავში მოუდის“ (ლ. კვაჭაძე, 1981, გვ. 238). ფორმას მოეკვეცება, ჩვეულებრივ, ბოლო მარცვალი — ოდენხმოვნის შემცველი (**-ი** ან **-ე**) ან თანხმოვნისა და ხმოვნის შემცველი (თანხმოვანი ძირეულია). სუბიექტური მეორე პირის მრავლობითობის შემთხვევაში **-თ** სუფიქსი მოკვეცილ ფორმას დაერთვის. მარცვლის მოკვეცა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წყვეტილის ფორმის საყრდენი მორფემა ძირეულია. სუფიქსური საყრდენი მორფემის მქონე ფორმათა შეკვეცა არ ხდება: დონიანი ვნებითები, შუალობითი კონტაქტის ფორმები ყველა შემთხვევაში სრულადაა წარმოდგენილი. მაშასადამე, მორფოლოგიური დანიშნულების მქონე ელემენტთა მოკვეცა სათანადო ფუნქციის გაუჩინარებას გამოიწვევდა. **გასწი** (← გასწი-**ე**) ტიპის ფორმათა **-ე** სუფიქსის მოკვეცა ამავე შედეგს (**-ე** სუფიქსის ფუნქციის გაუჩინარებას) არ იწვევს: II პირის წართქმითი ბრძანებითი მხოლოდ წყვეტილის ფორმას გამოიყენებს. მაწარმოებლის მოკვეცის შემთხვევაშიც არაა მოსალოდნელი წყვეტილის ფორმის გაუაზრებლობა.

24.12. ვ-ს საკითხისათვის -ევ სუფიქსიან ზმნათა ფორმებში

წყვეტილის და, საერთოდ, მეორე სერიის ფორმებში თავისებურებას ავლენს **-ევ** სუფიქსიანი ზმნები. როგორც ცნობილია, **-ევ** სუფიქსი **ე** გახმოვანებით აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ ფორმებშია წარმოდგენილი (ანგრ-**ევ**-ს, ნგრ-**ევ**-ა, მნგრ-**ევ**-ელი...); ხოლო მეორე სერიის ფორმებში **ი** გახმოვანებით (დაანგრ-ი(ვ)-ა, დაანგრ-ი(ვ)-ოს...). II სერიის ფორმებში **ევ/ივ** სუფიქსი კიდევ ერთ თავისებურებას ავლენს: იკარგება სუფიქსის თანხმოვნითი ნაწილი: დაანგრ-ი-**ა** ← დაანგრ-ივ-**ა**.

სრული სახით II სერიის ფორმებში **-ივ** სუფიქსი დიალექტებმა

შემოგვინახეს. საკმაოდ ხშირია ამგვარი ფორმები XIX საუკუნის მწერალთა ენაშიც:

მუხთლად გვაწვიეს, **დაგვახვივეს** თავს ბნელნი ბურნი (ა. ჭავჭ.).

ჭმუნვამან **მძლივა, განმილივა** ყოვლნი ღონენი (იქვე).

გაიქნივა თავი ისეთის ღიმილით, თითქოს ხუმრობაში ატარებსო ამ საქმეს (ილია).

გულმან ძალიან **გაუწივა** იქით (იქვე).

კაპასობით **გააქნივა,** ეშმაკურად კუდის წვერი (რ. ერისთ.).

ბინათ ეს ბურჯი **ირჩივეს,** რომ თვალსა მისცენ რულია (იქვე).

ცოტ-ცოტასა წრუპავდა, მაგრამ მაინც **მოერივა** (ვაჟა).

დიდებულო მოხუცო, **მაქცივე** არწივად (იქვე).

როგორც ვთქვით, ამჟამად მსგავს ფორმებში **ვ** თანხმოვანი ინტერვოკალურ პოზიციაში გაუჩინარებულია. ეს ფაქტი იმიტომაც აღძრავს ინტერესს, რომ სხვა შემთხვევებში (ასეც ფიქრობენ) იმავე მწკრივის ფორმებში ხდება **ვ**-ს ჩართვა ხმოვანთგასაყარად. მხედველობაში გვაქვს ხმოვანფუძიანი სახელებისაგან წარმოებული ზმნური ფორმები: დაახურდა-**ვ-ა**, გაახე-**ვ-ა**, დააახლო-**ვ-ა**... ე. ი. ერთ შემთხვევაში ხდება **ვ**-ს დაკარგვა და წარმოიქმნება ხმოვანთკომპლექსი, ხოლო მეორე შემთხვევაში წარმოქმნილი ხმოვანთკომპლექსის გასათიშად ჩაერთვის **ვ**ინი. რა უნდა იყოს ამ ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო, პროცესის მიზეზი, მოეპოვება თუ არა ამ პროცესებს ფონეტიკური საფუძველი, რაიმე საერთო კანონზომიერება?

ვფიქრობთ, კი. კერძოდ, **ქართულისათვის ბუნებრივი და დამახასიათებელი ჩანს ისეთი ხმოვანთკომპლექსები, რომლის პირველი წევრი მაქსიმალურად ვიწროა, მომდევნო — შედარებით ფართო. ვინი იკარგება იმ შემთხვევაში, როცა მისი დაკარგვის შედეგად ამგვარი** (მაქსიმალურად ვიწრო + შედარებით ფართო) **კომპლექსი წარმოიქმნება;** სხვა შემთხვევაში ყოველთვის დაცულია. უფრო მეტიც, **ვინი გათიშავს ისეთ ხმოვანთკომპლექსებს, რომლის პირველი წევრი არაა მაქსიმალურად ვიწრო.**

იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ ქართულისათვის ბუნებრივია **მაქსიმალურად ვიწრო + შედარებით ფართო** ტიპის ხმოვანთკომპლექსები, რამდენიმე საბუთის მოტანა შეიძლება დაილექტებში მოქმე-

დი ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით:

ა) ზმნისწინისეული ხმოვნებისა და მომდევნო ზმნური ხმოვანპრეფიქსების შეხვედრისას წარმოქმნილი კომპლექსები ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესთა საფუძველზე ისწრაფვიან ისეთი მდგომარეობისაკენ, როცა პირველი წევრი მაქსიმალურად ვიწრო იქნება:

აე → ეე → იე: გაეგზავნა → გეეგზავნა → გიეგზავნა

აი → ეი → იი: წაიღო → წეიღო → წიიღო

აუ → ოუ → უუ: დაუძახა → დოუძახა → დუუძახა

ოა → უა: მოაქვს → მუაქვს

ეა → ია: შეებრალა → შიებრალა (შ. ძიძიგური, 1946; გ. გოგოლაშვილი, 1974). ამ თვალსაზრისით ზმნისწინისეულ ხმოვანთა ცვლაში გამონაკლისი არა გვაქვს:

ბ) ამგვარსავე ცვლილებებს განიცდის ხმოვანფუძიან სახელთა **ა** და **ე** ბოლოკიდური ხმოვნები მრავლობითობის **-ებ** სუფიქსისეულ **ე** ხმოვანთან შეხვედრისას:

აე → ეე → იე: გზა-ები → გზე-ები → გზი-ები, ფრთიები, ბრმიები, დიები...

ეე → იე: კლდეები → კლდიები; საქმიები, ღრიები, დღიები... მსგავსი მოვლენები დადასტურებულია მესხურ, ჯავახურ, აჭარულ, იმერხეულ, გურულ დიალექტებში (შ. ძიძიგური, 1954).

გ) ამავე კანონზომიერების ძალით ვნებითის **ე-** პრეფიქსი ფუძისეულ **ა** ხმოვანთან შეხვედრისას ვიწროვდება:

ეამა → **ია**მა, გ**ეა**ხლა → გ**ია**ხლა

ასევე, წყვეტილის **-ე** სუფიქსი ფშაურში პროსოდიულ **ა** ხმოვნის დართვისას **ი** ხმოვანში გადადის: ვშობეა → ვშობია, იდღეგრძელეა → იდღეგრძელია, გამიმრთელეა → გამიმრთელია (მსგავსი მაგალითები მრავლად დასტურდება ვაჟა-ფშაველას პოეზიაში).

დ) მოვლენა რომ ახალი არ არის და დამახასიათებელი იყო ისტორიულად ქართულისათვის, ადასტურებს ის, რომ ამგვარი ბგერათცვლილებები ხმოვანთკომპლექსებში დამოწმებულია საშუალი ქართულის წერილობით ძეგლებში: ოცდ**იე**ქვსი (← ოცდაექვსი), ამ**იე**ბს (← ამ**აე**ბს), ხატ**იე**თი (← ხატაეთი), ც**იე**ბი (← ცაები), კლდ**იე**თი (← კლდეეთი), მ**იო**რე (← მეორე) და სხვა (ი. ქავთარაძე, 1966, გვ. 318).

ამგვარად, ხმოვანთკომპლექსებში მიმდინარე ფონეტიკური ცვლილებების შედეგად **ვიღებთ ისეთ კომპლექსებს,** რომლის **პირველი წევრი მაქსიმალურად ვიწროა; მომდევნო — შედარებით ფართო**.

ყოველივე ეს კი ადასტურებს იმ დებულებას, რომ ქართულისათვის უფრო დამახასიათებელი და ბუნებრივია პირველ წევრად მაქსიმალურად ვიწრო ხმოვნის შემცველი კომპლექსები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ვ**ინის გაუჩინარება **-ევ** სუფიქსიან ზმნათა მეორე სერიის ფორმებში ამ მიზეზით აიხსნება: იგი დაბრკოლებად იქცა წარმოქმნილ კომპლექსში — **ივა, ივე; ვ**ინის დაკარგვა ხელს უწყობს ბუნებრივი ხმოვანთკომპლექსის წარმოქმნას. მიმდინარე პროცესში **ვ**ინის მერყევ ბუნებასაც გარკვეული როლი ენიჭება. ამავე კანონზომიერების ძალით **-ევ** სუფიქსიან ზმნათა აწმყოსა და სახელზმნურ ფორმებში **ვ** თანხმოვნის არსებობა ბუნებრივი ჩანს; **ევა, ევე** კომპლექსებში **ვ**-ს დაკარგვა არაა მოსალოდნელი. უფრო მეტიც, ნასახელარ ზმნებში **ვ**ინის ჩართვა არაბუნებრივ ხმოვანთკომპლექსთა გასათიშადაა გამოყენებული: **დაახურდა-ვ-ა / დაახურდა-ვ-ეს, გაახე-ვ-ა / გაახე-ვ-ეს; დააახლო-ვ-ა / დააახლო-ვ-ეს...**

მოსაზრება იმის შესახებ, რომ **-ევ** სუფიქსიან ზმნათა მეორე კავშირებითში **ვ**ინის დაკარგვის მიზეზი კავშირებითის **ო** სუფიქსია (ა. შანიძე, 1973, გვ. 403), არ ჩანს საფუძველსმოკლებული, თუმცა შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ პროცესში გარკვეულ როლს ზემოწარმოდგენილი კანონზომიერებაც ასრულებს. მაგრამ სადავოდ მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც წყვეტილში **ვ**-ს გაუჩინარება II კავშირებითის ფორმათა გავლენას მიეწერება (II კავშირებითის ფორმათა განზოგადების შედეგიაო) (იქვე, გვ. 403): ამგვარი რამ არ მომხდარა ნასახელარ ზმნათა წყვეტილში, თუმცა II კავშირებითის ფორმებში **ვ** აქაც არ გვხვდება: **დააბინა-ვ-ა, დააახლო-ვ-ა,** მაგრამ **დააბინაოს, დააახლოოს**...

ვინის დაკარგვა ამგვარ ფონეტიკურ გარემოში არაა დამახასიათებელი მხოლოდ **-ევ** სუფიქსიანი ზმნებისათვის. მსგავს შემთხვევაში **ვ**ინს კარგავს ისეთი სახელური ფუძეები, როგორიცაა პატ**ი**ვი: აპატია, პატიება; ცი**ვ**ი: შეაცია, ციება. **ვ**ინის დაკარგვის ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ფორმაში განთიადი ← განთი**ვ**ადი...

სიტყვაწარმოებითი **-იან, -იერ** სუფიქსების თავდაპირველ სახედ **ივ-ან, ივ-ერ** ივარაუდება**. ვ**ინის გაუჩინარება ამ სუფიქსებში ზემოაღნიშნული კანონზომიერებით უნდა აიხსნას. **-იერ** სუფიქსის შემთხვევაში ამის მტკიცებისათვის საგულისხმო საბუთს იძლევა ისეთი ფორმების არსებობა, როგორიცაა ღონი**ვ**რად, გონი**ვ**რული: სათანადო ფონეტიკური გარემოცვის მოშლა იწვევს დაკარგუ-

ლი **ვ**ინის აღდგენას.

მსგავს ფონეტიკურ გარემოცვაში სხვა ბგერათა დაკარგვის შემთხვევებიც დასტურდება: **ნ**არი იკარგება შუალობითი კონტაქტის ფორმებში — აკეთებიებს (← აკეთებინებს), გააკეთებია (← გააკეთებინა). იგივე საფუძველი უნდა გააჩნდეს **დ**ონის დაკარგვას სიტყვებში: დიასახლისი, დიაცი. ამ კომპოზიტთა პირველ კომპონენტში ამგვარი ფონეტიკური ცვლილებები ივარაუდება: დედა → დიდა → დია (ცვლილების ყველა საფეხური რეალურად დადასტურებულია დიალექტებში: მეორე — შორისდებულის ფუნქციით, ბოლო — ამოსავალი არსებითი სახელის მნიშვნელობით). თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ **ვ**ინის გარდა სხვა ბგერათა დაკარგვის თითო-ოროლა შემთხვევა დასტურდება. ეს თვით ამ ბგერათა ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ვინის დაკარგვა **-ევ/-ივ** სუფიქსიან ზმნათა მეორე სერიის ფორმებში, და, საერთოდ, მსგავს ფონეტიკურ გარემოცვაში, მოქმედი ფონეტიკური პროცესია. ყველა იმ შემთხვევაში, როცა **ვ**ინის მომდევნო ხმოვნის პოზიციას თანხმოვანი იჭერს, **ვ**ინი აღდგება. მხედველობაში გვაქვს ამგვარი შემთხვევები:

> **გამოეხვივნენ** ტალღებში ცხენი და კაცი, ორივე (აკაკი).
> მაგრამ მხედრები **მოეწივნენ,** უტაცეს ხელი ცხენსა (იაკობი).
> რითაც ვის შეგვიძლიან, იმით **შევეწივნეთ,** გავიყვანოთ ეს კაცი იოლად (ვაჟა).
> სტუმრები **მეწვივნენ,** ფული არა მაქვს, არუთინჯან (ეკ. გაბ.).
> ნამცეცებს **შეესივნენ** (ცისკ. №5, 1976, 31).
> სიყვარულმა ყველაფერი ისევ **არივ-დარია** (მ. ფოცხ.).

24.13. ყალიბთა მონაცვლეობისათვის

ზევით საუბარი გვქონდა რამდენიმე ტიპობრივ შემთხვევაზე, როცა წყვეტილში შესამჩნევია ფორმათა პარალელური წარმოება. ერთი და იგივე ზმნა შეიძლება პარალელურად რამდენიმე ყალიბით იწარმოებდეს წყვეტილის ფორმებს. ყალიბთა მონაცვლეობის მიხედვით ზმნათა რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

ა) ზმნები, რომლებიც წყვეტილის ფორმებს იწარმოებს I და IV ყალიბის მიხედვით:

შევი-პყარ-(ი) || შევი-პყრ-ე
შეი-პყარ-(ი) || შეი-პყრ-ე
შეი-პყრ-ა || შეი-პყრ-ო

ასევე: მოვასწარ || მოვასწრე, გავიცან || გავიცნე და სხვ. (იხ. § 245).

ბ) ზმნები, რომლებიც წყვეტილის ფორმებს იწარმოებენ I და II ყალიბის მიხედვით; მხედველობაში გვაქვს ყალიბთა არა ისტორიული მონაცვლეობა (მაგ., შევირატყ — შევირტყი, განვირათხ — განვირთხი...), არამედ ისეთი შემთხვევები, როცა ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს ერთი და იმავე ზმნის I და II ყალიბის მიხედვით წარმოებული წყვეტილის ფორმები:

დავ-თვერ-(ი)	||	დავ-თვრ-ი	დავ-შვერ-(ი)	||	დავ-შვრ-ი
და-თვერ-(ი)	||	და-თვრ-ი	და-შვერ-(ი)	||	და-შვრ-ი
და-თვრ-ა	||	და-თვრ-ა	და-შვრ-ა	||	და-შვრ-ა

მაგ.: რჯულზედ **დავთვერით** ერთხელ (დ. კლდ.).
ჩემი ბიძაშვილის ნიშნობაში გახლდით, კარგა დავლიეთ... ძრიენაც **დავთვრი** (ვაჟა).
ამაოდ **დავშვრი** და დავიღალე (საუნჯე, 1982, №6, გვ. 87).
არა თქვა, ამაოდ თითქოს **დავშვერი** (ლიტ. საქ. 1983, №9, გვ. 8).

ამგვარ პარალელურ ფორმებს წარმოგვიდგენს შემდეგი ზმნები: **გავწყერ**(ი) || **გავწყრი, გავქერ**(ი) || **გავქრი, გავძეხ**(ი) || **გავძღი...** რამდენადაც I და II ყალიბის ზმნათა წარმოების თავისებურება შეაპირობებს იმ ფაქტს, რომ მხოლობითი რიცხვის სუბიექტური მესამე პირის ფორმებში ორივე შემთხვევაში **-ა** სუფიქსი გვაქვს, ფორმობრივი პარალელიზმიც მხოლოდ I და II პირის ფორმებთან დასტურდება.

გ) ზმნები, რომლებიც წყვეტილის ფორმებს იწარმოებენ II და IV ყალიბის მიხედვით:

დავ-რგ-ი || დავ-რგ-ე
და-რგ-ი || და-რგ-ე
და-რგ-ა || და-რგ-ო

ასევე: **დავიხრჩვი || დავიხრჩვე, მოვრწყი || მოვრწყე** და სხვა (იხ. § 17).

დ) საინტერესო სურათს გვიჩვენებს **-ევ** სუფიქსიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმები **ინგრევა, იხევა, იბნევა** ტიპისა. ამ ზმნათა წყვეტილის ფორმებში ძველ ქართულში **-ი (ვ)** ფორმანტი შენარჩუნებული იყო: **დაინგრია** (ის), **დაიხია** (ის), **დაიბნია** (ის)... (ნორმები, გვ. 207). „ამის გამო, ერთი მხრით, ვნებითისა და, მეორე მხრით, მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმები ნამყო ძირითადსა და კავშირებით მეორეში ერთმანეთს ემთხვეოდა. უფრო გვიან დაიწყო ვნებითის ფორმების გამარტივება“, რაც **-ი(ვ)** ფორმანტის გაქრობის ხარჯზე მოხდა და მივიღეთ **დაინგრა, დაიხა, დაიბნა...** ტიპის ფორმები (იქვე, გვ. 208). ფორმათა გამარტივება, თავისთავად ცხადია, I და II პირის ფორმებსაც შეეხო: **დავინგრიე, დავიბნიე, დავიმტვრიე** ფორმათა პარალელურად **დავინგერ(ი), დავიბენ(ი), დავიმტვერ(ი)** ფორმები გაჩნდა და დაიმკვიდრა ადგილი სალიტერატურო ენაში (იქვე, გვ. 208). ამდენად III ყალიბის ფორმათა (დავინგრ-ი-ე...) გვერდით I ყალიბის ფორმები (დავი-ნგერ-ი...) ჩნდება.

დავი-ნგრ-ი(ვ)-ე	‖	დავი-ნგერ-ი
დაი-ნგრ-ი(ვ)-ე	‖	დაი-ნგერ-ი
დაი-ნგრ-ი(ვ)-ა	‖	დაი-ნგრ-ა

მესამე ყალიბის ფორმები ამჟამად იშვიათად გვხვდება, რის მიზეზედაც სათანადო ზმნის სასუბიექტო ქცევის ფორმებთან დამთხვევა მიიჩნევა (მიწისძვრისგან სახლი **დაინგრია** (ის)‖ მან თავისი ცხოვრება **დაინგრია** (მან ის). III ყალიბის ფორმები მეტადაა შემორჩენილი ზოგ დიალექტში (მაგ. ქიზიყურში); სალიტერატურო ენაში ამგვარ ფორმათა დადასტურება დიალექტიზმად გაიაზრება (იქვე).

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, და საერთოდ, შესაძლებელია საკითხის ამგვარად დასმა:

ყალიბთა მონაცვლეობა დიალექტური მოვლენა კი არ არის, არამედ უნიფორმაციისა და წარმოების ტიპის ცვლის ტენდენციის გამოვლენაა. წარმოების ტიპის ცვლას სხვადასხვა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს. მწკრივის წარმოების საკითხი მჭიდრო კავშირშია ფორმაში შემავალ მორფემათა ფუნქციურ დატვირთვასთან. ამა თუ იმ ფორმანტის მორფოლოგიური ფუნქციის ცვლამ ერთ შემთხვევაში ფორმანტის დაკარგვა, ხოლო სხვა შემთხვევაში მისი გადააზრიანება შეიძლება გამოიწვიოს. ეს კი საფუძველი ხდება წარმოების ტიპის ცვლისა. ამის რამდენიმე მაგალითის მოხმობა შეიძლება:

ა) ე. წ. „უნიშნო ვნებითთა“ უნიფორმაციის, I-დან II ყალიბზე გადასვლის ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორიის გაქრობაც უნდა იყოს: **განვ-ტეფ** წყვეტილის ფორმის გვერდით **განვ-ტფ-ი** მეორე ხოლმეობითის ფორმა არსებობდა. ახალი ქართულის **გა-ვთბ-ი** ფორმობრივად ძველი ქართულის II ხოლმეობითის იდენტურია; მაგრამ ეს სირთულეს არ ქმნის — II ხოლმეობითი არ იცის ახალმა ქართულმა. ხოლმეობითის კატეგორიის გაქრობა და „უნიშნო“ ვნებითთა I-დან II ყალიბზე გადასვლა ჩვენ თვალწინ ხდება. ეს უკანასკნელი პროცესი ამჟამადაც არ არის საბოლოოდ დასრულებული, გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევები: **დავთვერი || დავთვრი, დავშვერი || დავშვრი...**

ბ) ამჟამად ძნელია საუბარი იმის შესახებ, თუ რა მორფოლოგიური დანიშნულებისა იყო **-ევ (→ ივ)** სუფიქსი **ანგრევს / დაანგრია** ტიპის ზმნებში. ამ ზმნათა შესაბამისი ვნებითის წყვეტილის წარმოების ტიპის ცვლა, რაც **-ივ (→ ევ)** სუფიქსის დაკარგვის ხარჯზე მოხდა, ფორმანტის მორფოლოგიური ფუნქციის გაუჩინარების შედეგიც უნდა იყოს.

გ) **ტყორცნა** ზმნის წყვეტილი I ყალიბის მიხედვით იწარმოებოდა: **გავ-ტყორც-ენ...** ამჟამად III ყალიბის პარადიგმას ქმნის:

გავ-**ტყორცნ**-ე
გა-**ტყორცნ**-ე
გა-**ტყორცნ**-ა.

ბოლოკიდური **ნ** მისი ოდინდელი მორფოლოგიური ფუნქციის გაუჩინარების საფუძველზე უფუნქციო ელემენტად იქცა და ფუძისეულად იქნა მიჩნეული. ამის გამო წყვეტილის ფორმისათვის საყრდენ მორფემად **ტყორცნ** წარმოგვიდგება, რაც ამ ზმნის III ყალიბით წარმოების საფუძველი გახდა. თავისთავად ეს ფაქტი კი (III ყალიბით წარმოება) **ტყორცნ** ფუძეში **ნ** ელემენტის გამოყოფის საშუალებას აღარ გვაძლევს — წინააღმდეგ შემთხვევაში საყრდენი მორფემა იქნებოდა უმარცვლო, ეს კი ზმნის II ან IV ყალიბით წარმოების საფუძველია; რაც, როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში არა გვაქვს.

ყალიბთა მონაცვლეობა რთული პროცესი ჩანს. ტენდენცია სხვადასხვაგვარია. პროცესი უფრო აშკარა და წინწასულია დიალექტებში. ყალიბთა მონაცვლეობისა და უნიფიკაციის ტენდენციის თვალსაზრისით საინტერესოა ინგილოური დიალექტის ჩვენება. ეს ტენდენცია ამ დიალექტში ყველაზე ცხადად წარმოჩნდება; თუმცა ამ ტენდენციას არა აქვს აშკარად გამოხატული მიმართულება ერთი რომელიმე ფორ-

მის უნიფიკაციისა: ერთმა კილოკავმა — ალიაბადურმა — ძირითადად **-ე** სუფიქსიანი წარმოება გააბატონა, მეორემ — კაკურმა — **-ი** სუფიქსიანი წარმოება.

კაკური კილოკავი:	მე	შად-ნახ	მად-ღ
	შენ	შად-ნახ	მად-ღ
	მან	შად-ნახ-ა	მად-ღ-ა
ალიაბადური კილოკავი:	მე	ვი-ცან-ე	მფ-კალ-ე
	შენ	ი-ცან-ე	მო-კალ-ე
	მან	ი-ცნ-ა/ო	მო-კლ-ა

(გ. იმნაიშვილი, 1966 გვ. 118; ვ. აბაშვილი, 2009, გვ. 108).

ჭირს სალიტერატურო ენაში მომხდარი ყალიბთა მონაცვლეობის კანონზომიერების დადგენა: I ყალიბის ზმნათა ერთი ნაწილი II ყალიბის ფორმებს იკეთებს, მეორე ნაწილი — IV ყალიბისას.

პარალელურ ფორმათაგან თითოეული მათგანი არაა თანაბარი ღირებულებისა. რიგ შემთხვევაში სალიტერატურო ენის ფაქტად (წერილობითი ძეგლების ენაში) მხოლოდ ერთ-ერთი გვევლინება (მაგ.: დავთვერი, მივუზღე...), მაგრამ სასაუბრო ენაში ჩვეულებრივია მათი პარალელური ვარიანტების ხმარებაც, რაც იშვიათად სამწერლობო ენაშიც იჩენს თავს. საკითხზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, ამგვარ ფორმებს გვერდს ვერ ავუვლით.

§ 25. მეორე კავშირებითის წარმოება

25.1. მეორე კავშირებითის მაწარმოებელი სუფიქსები

მეორე კავშირებითს ახალ ქართულში სამი სუფიქსი აწარმოებს: **-ა** (მოვკლ-ა, გავჭრ-ა...), **-ე** (გავთბ-ე, ავშენდ-ე...) და **-ო** (გავაკეთ-ო, დავხატ-ო...). ერთი მწკრივის მაწარმოებელ სუფიქსთა სიმრავლე სამეცნიერო ლიტერატურაში მეორეულადაა მიჩნეული. თითქმის საყოველთაოდაა გაზიარებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მეორე კავშირებითის ძირითად, პირვანდელ ფორმანტად **-ე** არის მიჩნეული (ვ. თოფურია, 1967, გვ. 167; არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 139). ამ თვალსაზრისის საბუთად არნ. ჩიქობავას მიაჩნია: „1) **დ/ნ**-თი ნაწარმოებ ვნებითთა კონიუნქტივი მეორე, **ე**-თი ნაწარმოები: განმდიდრ-დ-ე-ს, აღმაღლ-დ-ე-ს... განკაც-ნ-ე-ს, განჭაპუკ-ნ-ე-ს... ასეთი ვნებითი უძველესი

ფორმაციისაა და მისი ჩვენებაც სათანადო წონის მქონეა; 2) კონიუნქტივი პირველის **-ე** ფორმანტით წარმოება ყველა ზმნაში: ჰპოებ-დ-ე-ს, მდიდრ-დ-ებ-ოდ-ე-ს... და სხვ. კონიუნქტივს პირველში ჩვენ უნდა გვქონდეს შენახული კონიუნქტივი მეორის პირვანდელი დაბოლოება, ისევე, როგორც ნამყო უსრულში გვაქვს ნამყო ძირითადისა და ნამყო ჩვეულებითის დაბოლოებანი; 3) ზმნა **მისცა** ახლაც **ე**-თი აწარმოებს კონიუნქტივ მეორეს, ამას გარდა, ზოგჯერ ზმნებს, რომელთაც ამჟამად **-ა** აქვთ, ჩვეულებრივად, შემოუნახავთ **ე**-ნიანი ფორმებიც; ჩვენ ძველი ქართულის ნორმების მიხედვით ვიტყოდით: შვას, იჳსნას, ქმნას... მაგრამ ტექსტებში **ე**-ნიან ფორმებსაც წავაწყდებით; მაგ.: შთაეგზავნეს, ვქმნე, შვეს, დავიცვეთ, ვიჳსნე“ (არნ. ჩიქობავა, 1929, გვ. 117). ნ. კოტინოვი ემყარება წარმოდგენილ თვალსაზრისს, იზიარებს მას და **-ე** სუფიქსის პირველადობის სამტკიცებლად დამატებით საბუთებსაც გვთავაზობს: 1. **-ე** კავშირებითის მაწარმოებლად გვევლინება ქართული ენის განვითარების ყველა საფეხურზე, 2. იგი აწარმოებს კავშირებითის ყველა ფორმას (კავშ. I, II, III); **3. -ე**-ს მხარს უჭერს ქართველური ენების მონაცემებიც. ზანურის **-ა** წარმოადგენს **-ე**-ს კანონზომიერ შესატყვისობას; ხოლო სვანურში მოიპოვება მისი იდენტური **-ე** სუფიქსი; 4. **-ე** კავშირებითის მაწარმოებლად გვხვდება ყველა ქართულ დიალექტში მეტ-ნაკლებად (ნ. კოტინოვი, 1959, გვ. 388-389).

-ე სუფიქსის II კავშირებითის უძველეს, პირვანდელ, მაწარმოებლად მიჩნევა შესაბამისად სვამს საკითხს **-ა** და **-ო** სუფიქსთა მეორეულობაზე, გვიანდელობაზე. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვევით არაფერია თქმული **-ა** და **-ე** ფორმანტთა ურთიერთმიმართების შესახებ: **-ა** სუფიქსი **-ე**-ს ფონეტიკური ვარიანტია თუ თავისთავადი, დამოუკიდებელი აფიქსია, განსხვავებული ფუნქციისა, რომელმაც შემდგომ შეიძინა კავშირებითობის ფუნქცია.

რაც შეეხება II კავშირებითის **-ო** სუფიქსს, მკვლევართა უმეტესობა მას ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილად მიიჩნევს. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის, როგორაა გააზრებული ამ სუფიქსის მიღების გზა. ნ. მარის აზრით, **-ო** სუფიქსი კავშირებითის **-ა** სუფიქსის ფუძისეულ **ვ**-სთან შერწყმის შედეგადაა მიღებული (ნ. მარი, 1925, გვ. 161). ამ მოსაზრებას იზიარებს გ. დეეტერსიც (გ. დეეტერსი, 1930, გვ. 150). სხვა თვალსაზრისის მიხედვით, **-ო** სუფიქსიანი II კავშირებითის პირვანდელი მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო **-ე**; მისი შერწყმით ფუძისეულ **ვ**-სთან მივიღეთ **ო** (გ. როგავა, 1945, 652). არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კავშირებითის **-ო** უკვე ძველსავე ქართულში თა-

ვისთავადი, დამოუკიდებელი მაწარმოებელია და არა კომპლექსის შერწყმის შედეგი, თუმცა უფრო ადრინდელ საფეხურზე ამგვარი პროცესის შესაძლებლობაც არაა გამორიცხული (ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1973).

ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში II კავშირებითის მაწარმოებელთა თავდაპირველი სახისა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ არაა აზრთა ერთგვაროვნება.

25.2. მეორე კავშირებითის მაწარმოებელ სუფიქსთა განაწილების შესახებ არსებული თვალსაზრისები

მეორე კავშირებითის სუფიქსთა განაწილება არცთუ მარტივ სურათს ქმნის. ჩვეულებრივ მიუთითებენ, რომ მეორე კავშირებითი იწარმოება წყვეტილის ფუძისაგან და **-ა, -ე, -ო** სუფიქსთა გამოვლენა დამოკიდებულია წყვეტილის წარმოების ტიპზე; სხვაგვარად, წყვეტილის წარმოება განსაზღვრავს მეორე კავშირებითის წარმოებას. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „ქართულში ამ დროის საწარმოებლად სამი სუფიქსი იხმარება: **-ე** (**დ**-თი ნაწაროემებ ვნებითებთან მეტწილად და ზოგ სხვა გარდაუვალ ზმნებთან), **-ა** და **-ო** გარდამავალ ზმნებთან და **-ი**-თ, **ე**-თი ნაწარმოებ ვნებითებთან; თუ **-ი** ანდა ნული გვაქვს მაწარმოებლად, აქ **-ა** გვექნება (დავკარ — დაკვრ**ა**, ვთქვი — ვთქვ**ა**, დავაბი — დავაბ**ა**,) თუ აორისტში **-ე** არის, აქ **-ო** იქნება მაწარმოებელი სუფიქსი (გავაკეთე — გავაკეთ**ო**, ვწერე — ვწერ**ო**, ვზომე — ვზომ**ო**)“... (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 142). მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლების განხილვისას ა. შანიძე აღნიშნავს: „ამ მწკრივის წარმოებას მჭიდრო კავშირი აქვს წყვეტილის წარმოებასთან. ის ზმნები, რომელთაც ნიშანი არა აქვთ წყვეტილში, ან თუ აქვთ, ნართაული **-ი**, აქ ნიშნად მიიღებენ **ა**-ს (**ოფ**იანებს გარდა), ყველა დანარჩენი კი (**ე**მიანებს გარდა) მიიღებენ **ო**-ს, მათ შორის **ო**ფიანებიც“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 433) და იქვე შენიშნავს, რომ „ერთადერთი მოქმედებითი გვარის ზმნა, რომელსაც მეორე კავშირებითი **ე**ნით აქვს ნაწარმოები, არის **ცემა** (მი, გა-, და- და სხვ.): მივსც**ე**, მისც**ე**, მისც**ე**-ს“ (იქვე, გვ. 343). ვნებითი გვარის ზმნათა მეორე კავშირებითის წარმოების განხილვისას აღნიშნავენ, რომ პრეფიქსიან ვნებითებში მხ. რიცხვში ძირითადად **-ა** და **-ო** სუფიქსი გვხვდება. ერთადერთი ფუძე, რომელიც **-ე**-ს დაირთავს, არის ზმნა **და-ვეცე**. იგივე ვითარებაა მრავლობით რიცხვში, თუ ძველი წარმოება არაა — ე. ი. თუ **ნ** აფიქსი არ იჩენს თავს: „**ნ** ინფიქსის ხმარება მრავ-

ლობითში ერთ ცვლილებას იწვევს, რომელიც ახასიათებდა ძველ ქართულს და ახასიათებს ახალ ქართულსაც, რამდენადაც ძველი წარმოება დღესაც ხმარებაშია: როგორიც უნდა იყოს მწკრივის ნიშანი მხოლობითში (**ა** თუ **ო**), სულერთია, მრავლობითში, **ნ** ინფიქსის ხმარების შემთხვევაში, ეს ნიშანი **ე**-დ შეიცვლება... მაგ.: გავეკრ**ა**, გაეკრ**ა**, გაეკრ**ა**-ს; გავეკრ**ნ**ეთ || გავეკრ**ა**თ, გაეკრნ**ე**თ || გაეკრ**ა**თ, გაეკრნ**ე**ნ“ (იქვე, გვ. 449). სუფიქსიან და უნიშნო ვნებითებთან მხოლოდ **-ე** სუფიქსი გვაქვს (იქვე, გვ. 451).

არის ცდა, წარმოდგენილ თვალსაზრისებზე დაყრდნობით, წესის უფრო მარტივად წარმოდგენისაც: „მეორე კავშირებითი იწარმოება ნამყო წყვეტილისაგან შემდეგი წესით: თუ ზმნა გარდაუვალია (დონიანი ვნებითი, უნიშნო ვნებითი და ზოგი საშუალო გვარის ზმნა), მეორე კავშირებითის ნიშნად გვაქვს **-ე**, თუ გარდამავალია, გვაქვს **-ა** და **-ო. -ა** გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა წყვეტილში ზმნა ფუძეკუმშვადია, უნიშნოა, **-ო** გვაქვს დანარჩენ შემთხვევაში“ (ა. კიზირია, 1974, გვ. 101). II კავშირებითის წარმოების ამ სახით ჩამოყალიბება რამდენიმე შენიშვნას იწვევს: II კავშირებითის მაწარმოებელთა განაწილების საფუძვლად გარდამავლობა-გარდაუვალობის შემოტანამ ფაქტობრივ გამორიცხა ამ მწკრივის წარმოების მიმართება წყვეტლის წარმოებასთან, რამდენადაც გარდამავლობა-გარდაუვალობა არ არის წყვეტილის წარმოების განმსაზღვრელი; გარდა ამისა, ეს წესი არ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა პრეფიქსიან ვნებითთა **-ა** და **-ო** სუფიქსიანი II კავშირებითი (დაიხნას, ითქვას, დაიწვას... გაიზარდოს, დაიხატოს, დაითესოს და სხვა მრავალი); ამ წესიდან გამომდინარე, უმარცვლო ფუძის მქონე გარდამავლი ზმნები **-ო** სუფიქსით უნდა იწარმოებოდეს, გვაქს კი **-ა** სუფიქსიანი წარმოება: დავაბ**ა**, დავსხ**ა**, დავფქვ**ა**, დავწვ**ა**... და საერთოდ, როგორც ვნახეთ, მაწარმოებელთა განაწილების საფუძვლად გარდამავლობა-გარდაუვალობის გატარება არ ჩანს გამართლებული.

მიუთითებენ იმის შესახებაც, რომ ზოგჯერ II კავშირებითს ერთი და იგივე ზმნა პარალელურად იწარმოებს (ვიქნე || ვიქნა, ვიყვე || ვიყო...), თუმცა ეს რიგ შემთხვევაში ძველი და ახალი წარმოებისა, თუ სალიტერატურო და დიალექტური ფორმების გვერდიგვერდ არსებობის ფაქტად არის მიჩნეული (ა. შანიძე, 1973, გვ. 449; ვ. იმნაიშვილი, 1975, გვ. 381-383).

თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მეორე კავშირებითის წარმოებას წყვეტილის წარმოება შეაპირობებს, რომ მეორე კავშირებითი

წყვეტილის ფუძისაგან იწარმოება, რამდენიმე შენიშვნას აღძრავს:

თუ ერთ შემთხვევაში მიმართებას ფორმობრივი ნიშანი ქმნის (წყვეტილის **-ე** — კავშირებითის **-ო**), სხვა შემთხვევაში იგივე ნიშანი არ გატარდება: უნიშნო (resp. **-ი** ელემენტიანი) წყვეტილის — I ყალიბის ზმნები — სხვადასხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს; მეორე კავშირებითს იწარმოებს როგორც **-ა** (მოვ-კალ-(ი) — მოვ-კლ-ა...), ისე **-ე** (გავი-ნძერ-(ი) — გავი-ნძრ-ე...) სუფიქსებით. თუ ამგვარი შემთხვევისათვის დამატებით პირობად მორფოლოგიური ნიშანი შემოგვაქვს — გარდამავლობა-გარდაუვალობა, არც ეს პრინციპი გატარდება ბოლომდე: **-ა** სუფიქსს დაირთავს როგორც გარდამავალი (მოხნ-ა-ს...), ისე გარდაუვალი (მოიხნ-ა-ს...) ზმნები. ასევე ითქმის **-ე** სუფიქსის მიმართაც (გარდამავალი — მივც-ე; გარდაუვალი — მიეც-ე-ს...). არც გვარის კატეგორიის მოშველიება ამარტივებს საქმეს. როგორც ვნებითი, ასევე მოქმედებითი გვარის ზმნებში შეიძლება გვქონდეს მეორე კავშირებითის მაწარმოებლად სამივე სუფიქსი — **-ა, -ე, -ო:**

ვნებითი: დაიკლ-**ა**-ს, დაიძრ-**ა**-ს... იქნ-**ე**-ს, გათბ-**ე**-ს... ეყმ-**ო**-ს, ეძმ-**ო**-ს...

მოქმედებითი: დაკლ-**ა**-ს, დაძრ-**ა**-ს... ააშენ-**ო**-ს, ააგ-**ო**-ს... მისც-**ე**-ს.

მართალია, ეს უკანასკნელი ერთადერთი მაგალითია ახალი ქართულისათვის, მაგრამ ნაშთია ძველ ქართულში მოქმედი კანონზომიერებისა (იხ. § 25.4), რაც, თავისთავად, მაჩვენებელია იმისა, რომ ქართულისათვის არ არის არაბუნებრივი მოქმედებითი გვარის ზმნათა II კავშირებითის **-ე** სუფიქსით წარმოება.

ერთგვარად თითქოს სისტემური ხასიათი აქვს დონიანი და „უნიშნო“ ვნებითების II კავშირებითის ფორმათა **-ე** სუფიქსით წარმოებას, მაგრამ ამის მიზეზი არის არა ამ ზმნათა ვნებითობა, არამედ მათი საყრდენი მორფემის სტრუქტურის თავისებურება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თითქოსდა ჩანს გარკვეული მიმართება ნამყო ძირითადისა და II კავშირებითის წარმოებას შორის, მაგრამ დავას შეიძლება ამ მიმართების საფუძველი იწვევდეს. არსებითი კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში დაისმის, შემდეგია: **წყვეტილის წარმოება არის განმსაზღვრელი მეორე კავშირებითის წარმოებისა, თუ ამ მწკრივთა წარმოებას რაიმე სხვა საფუძველი აქვს?** ანდა, **წყვეტილის ფუძეს ემყარება მეორე კავშირებითი თუ ორივე ამ მწკრივისათვის საერთო ფუძეა საყრდენი?**

შევეცდებით განვიხილოთ II კავშირებითის წარმოების საკითხები და ვუპასუხოთ დასმულ კითხვებს.

25.3. -ო სუფიქსიანი მეორე კავშირებითი

წარმოების თვალსაზრისით შედარებით მარტივი ვითარება **-ო** სუფქსიან II კავშირებითში გვაქვს: თუ ნამყო ძირითადში მაწარმოებელი არის **-ე** სუფიქსი (III და IV ყალიბის ზმნები), II კავშირებითში **-ო** სუფიქსი გვექნება (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ. 142). მაგ.:

ვაკეთ-**ე** / ვაკეთ-**ო**, ვაშენ-**ე** / ვაშენ-**ო**, დავახატვინ-**ე** / დავახატვინ-**ო**, მოვაკვლევინ-**ე** / მოვაკვლევინ-**ო**, გავაღ-**ე** / გავაღ-**ო**, შევაქ-**ე** / შევაქ-**ო** და სხვა.

შენიშვნა: წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმათა ამგვარი ურთიერთმიმართების შესახებ ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკებშიც არის მინიშნებები. ანტონ I წყვეტილის **-ე** / II კავშირებითის **-ო** მიმართებას ზმნათა ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად გამოიყენებს და გამოყოფილ ჯგუფებს ამ ნიშნის მიხედვით ახასიათებს: „ესე სრულსა შინა განიკიდურებს **ე.** მაგალითებრ: განვჰბანე და მყოობადსა შინა **ო.** მაგალითებრ: განვჰბანო“ (ანტონი, 1885, გვ. 29). ამ ტიპის ყველა ზმნა ამგვარადაა დახასიათებული. საერთოდ, ანტონ I ზმნათა ჯგუფების გამოყოფისას წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმათა ჩვენებას, მათ ურთიერთმიმართებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. გაიოზ რექტორი ზმნათა უღლების ჯგუფების დახასიათებას სისტემატურად ამ ნიშნის მიხედვით ახდენს („ნამყო სრულსა და დროსა პირუცხლსა და მეორესა პირსა შინა განიკიდურებენ **ე** და მყოფადსა შინა **ო**“) და ცალკეულ შემთხვევებში ჩამოთვლის იმ ზმნებს, რომლებიც ამ წესს არ ემორჩილება („რომელნიცა სხუაობენ სრულსა და მყოობადსა დროსა შინა“ (გაიოზი, 1970, გვ. 72-95).

შესაბამისობა წყვეტილის **-ე** : მეორე კავშირებითის **-ო** უგამონაკლისო ჩანს. სხვაგვარად: ზმნები, რომლებიც წყვეტილის I და II პირში მიიღებენ **-ე** დაბოლოებას (წყვეტილის წარმოების III და IV ყალიბი), II კავშირებითს **-ო** სუფიქსით იწარმოებს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს წესი პირუკუ არ მოქმედებს:

ახალ ქართულში დასტურდება შემთხვევები, როცა II კავშირებითი **-ო** სუფიქსით არის ნაწარმოები, შესაბამისი წყვეტილის ფორმებში კი **-ე** სუფიქსი არა გვაქვს: მივაგენ-**ი** — მივაგნ-**ო**, ვიცან-**ი** — ვიცნ-**ო**, შევიძელ-**ი** — შევიძლ-**ო**, ვიგრძენ-**ი** — ვიგრძნ-**ო**, ვიყავ-**ი** — ვიყ-**ო** და სხვა. ეს მოვლენა უშუალო კავშირშია წყვეტილში სუბიექტური მესამე პირის **ო-** სუფიქსის გამოვლენასთან. მართებული ჩანს დაკვირვება: „თუ აორისტში S_3-დ **ო** არის წარმოდგენილი, II კავშირებითის ნიშანი **ო** იქნება. ეს წესი პირუკუ არ მოქმედებს: კავშირებით II-ში შეიძლება კილოს მაჩვენებელი **ო** ალომორფი იყოს, მაგრამ აორისტში S_3-დ აუცილებელი არაა **ო** გვქონდეს“ (ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1973, გვ. 82). ახსნა ეძებნება იმგვარ შემთხვევებს, როცა II კავშირებითში **ო** სუფიქსი გვაქვს, წყვეტილი კი **-ე** სუფიქსით არ იწარმოება.

ყველა ამგვარ შემთხვევაში II კავშირებითში პარალელური წარმოება გვაქვს, ძირითადად **-ა** სუფიქსიანი:

დაიპყრ-**ო**-ს || დაიპყრ-**ა**-ს

მერე ეს ქვეყანა **დავიპყროთო** (იაკობი).

რომ საქართველომ მტკიცედ **დაიპყრას** ქრისტეს მოძღვრება (აკაკი).

მიეზღ-**ო**-ს || მიეზღ-**ა**-ს

ყველას **მიეზღოს** სათავისო, შესაფერისი (ო. ჩხ.).

ყველამ უნდა **მიზღას** ჩემი დანაკარგი (ილია).

მოუთხრ-**ო**-ს || მოუთხრ-**ა**-ს

იქნებ **მოგვითხროთ,** როგორ იპოვეთ საკუთარი სტილი თარგმანში (თ. ჩხ.).

ვინ **მოგვითხრას** მათი საქმე უთვალავი, საგმირონი (აკაკი).

დარგ-**ო**-ს || დარგ-**ა**-ს

მაშ ამ დილით ვარდი **დავრგო?** (ო. მამფ.).

ჩრდილისათვის **დავრგათ** რამოდენიმე ხე (მ. ნოზ.).

მორწყ-**ო**-ს || მორწყ-**ა**-ს

დათესვის შემდეგ ნიადაგი ყუთებში კარგად უნდა **მოირწყოს** (ნ. ჩახ.).

ნაკვეთი უნდა **მოირწყას** საჭიროების მიხედვით (მ. ნოზ.).

შერთ-**ო**-ს || შერთ-**ა**-ს

ასეთი ქალი **შევრთო**... (ილია).

მეტი გზა არ არის, ცოლი უნდა **შევრთათ** (იქვე).

მოასწრ-**ო**-ს || მოასწრ-**ა**-ს

ესე არ **მომასწრონ...** (ნ. შიუკ.).

უი, ნეტავი კი იმ ბედნიერ დღეს **შევესწრა** (ილია).

ასევე: იცნას || იცნოს, იგრძნას || იგრძნოს, ჩაფლას || ჩაფლოს, დაამყნას || დაამყნოს, დადვას || დადოს... აღნიშნულ ზმნებს ფორმათა პარალელიზმი წყვეტილშიც ახასიათებთ (იხ. § 24). **-ო** სუფიქსიანი ვარიანტი ყველა შემთხვევაში წყვეტილის **-ე** სუფიქსიან ვარიანტს შეესაბამება. წყვეტილში სუბიექტური III პირის **-ო**-ს დამკვიდრება და II კავშირებითში **-ო** სუფიქსის გაჩენა ერთდროული პროცესი ჩანს; საფუძველი ყველგან ერთგვარია.

ერთადერთი გამონაკლისი, როცა II კავშირებითში **ო** გვაქვს და შესაბამისი წყვეტილის ფორმაში **-ე** სუფიქსი არ დასტურდება, არის **იყოს** ზმნა. თუ ამ ფორმაში **ო** კავშირებითის მაწარმოებელია და მისი გამოყოფა საერთოდ შესაძლებელია, ისევე როგორც წყვეტილის ფორმის (**იყო**) ბოლოკიდური **ო**-სი (იხ. § 24.3.), მაშინ II კავშირებითის **-ო** სუფიქსის გამოვლენის წესი უგამონაკლისო არ იქნება.

თუ წყვეტილის შემთხვევაში **უარ-ვყე** ტიპის ფორმები გამონაკლისის სისტემაში მოქცევის ფაქტად მივიჩნიეთ, II კავშირებითში **ვიყვე / იყვე / იყვეს** ტიპის ფორმათა გაჩენა გამონაკლისის თავიდან აშორების ცდად გვესახება. ამგვარი ფორმები გვხვდება სამწერლობო ენაში:

შერცხვენილ **ვიყვე,** თუ სანაქებოდ არ მოვულხინო (დ. კლდ.).

განა არ გინდა, რომ შენი შრომა უფრო ნაყოფიერი და ვრცელი **იყვეს?** (ეკ. გაბ.).

სული მორჩილი ნეტარია, ოღონდ აქ **ვიყვეთ** (ო. ჩხ.).

ამგვარად, წყვეტილის წარმოების III და IV ყალიბის ზმნები კავშირებით მეორეს **-ო** სუფიქსით იწარმოებენ. შესაბამისობა — წყვეტილის **-ე:** II კავშირებითის **-ო** — კანონზომიერი ჩანს.

25.4. -ა და -ე სუფიქსიანი II კავშირებითი

ზმნები, რომლებიც წყვეტილის ფორმებს პირველი ან მეორე ყალიბის მიხედვით იწარმოებენ, II კავშირებითში დაირთავენ ან **-ა,** ან **-ე** სუფიქსს.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული II კავშირებითში **-ე** სუფიქსის გამოვლენის შემთხვევები (არნ. ჩიქობავა, 1929, გვ. 31). აღწერა მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით ხდება. ჩვენც ამჯერად ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეულ მორფოლოგიურ ჯგუფს, სადაც II კავშირებითში **-ე** სუფიქსი გვაქვს:

ა) ე. წ. „უნიშნო ვნებითები“ უგამონაკლისოდ II კავშირებითში **-ე** სუფიქსს დაირთავს:

გავ-თბ-**ე**	გავ-თბ-**ე**-თ
გა-თბ-**ე**	გა-თბ-**ე**-თ
გა-თბ-**ე**-ს	გა-თბ-**ე**-ნ (‖ გათბნენ)

ასევე: და-დნ-**ე**-ს, გა-ქრ-**ე**-ს, და-ჭკნ-**ე**-ს, გა-შრ-**ე**-ს, გა-ხმ-**ე**-ს, გა-ძღ-**ე**-ს, გამო-ცხვ-**ე**-ს, და-ცხრ-**ე**-ს და-ლბ-**ე**-ს, და-დგ-**ე**-ს და-წვ-**ე**-ს, და-რჩ-**ე**-ს და სხვა.

როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში ამ ჯგუფის ზმნებთან II კავშირებითის წარმოების თვალსაზრისით მყარი ვითარებაა.

ბ) **დ**ონიანი ვნებითები ყველა შემთხვევაში **-ე** სუფიქსით იწარმოებენ II კავშირებითის ფორმებს:

დავ-ბერ-დ-**ე**	დავ-ბერ-დ-**ე**-თ
და-ბერ-დ-**ე**	და-ბერ-დ-**ე**-თ
და-ბერ-დ-**ე**-ს	და-ბერ-დ-**ე**-ნ (‖ დაბერდნენ)

ასევე: აშენ-დ-ე-ს, გაკეთ-დ-ე-ს, დასახლ-დ-ე-ს და სხვა მრავალი.

გ) **-ე** სუფიქსით იწარმოებს II კავშირებითს აგრეთვე პრეფიქსიან ვნებითთა ერთი ნაწილი:

გავ-ი/ე-ქც-**ე**
გა-ი/ე-ქც-**ე**
გა-ი/ე-ქც-**ე**-ს

ასევე: და-ი-ბნ-**ე**-ს / და-ე-ბნ-**ე**-ს, და-ი-ნგრ-**ე**-ს / და-ე-ნგრ-**ე**-ს. ი-ქნ-**ე**-ს / ე-ქნ-**ე**-ს და სხვა.

დ) და, როგორც აღნიშნავენ, ერთადერთი გარდმავალი ზმნა

მივ-ც-**ე**	მივ-ც-**ე**-თ
მის-ც-**ე**	მის-ც-**ე**-თ
მის-ც-**ე**-ს	მის-ც-**ე**-ნ

ზემოთ წარმოდგენილ ოთხივე შემთხვევაში ერთი ფაქტია საყურადღებო: ყველგან საყრდენი მორფემა რედუცირებულია და გაუჩინარებულია **ე** ხმოვანი. პრეფიქსიან ვნებითებსა და **მისცეს** ზმნაში საყრდენი მორფემა სრული სახით აღდგება წყვეტილის სუბიექტური I და II პირის ფორმებში. გავი-**ქეც,** დავი-**ბენ,** დავე-**ხსენ,** ვი-**ქენ,** მივ-**ეც** (ამ ზმნასთან დაკავშირებით საგანგებო მსჯელობა გვქონდა შესავალში)... ასეთივეა „უნიშნო ვნებითთა“ ერთი ნაწილის ჩვენებაც: დავ-**თვერ**, გავ-**ძეხ**, დავ-**დექ**, დავ-**წევ**, გავ-**ძვერ**, მოვ-**ყევ**, დავ-**ჯექ**... მართალია, ამ ტიპის ზმნათა ერთ ნაწილში ხმოვანი არა ჩანს ახალ ქართულში, მაგრამ აღდგება ძველი ქართულის ჩვენების მიხედვით: განვ-**ტეფ**, განვ-**ჰემ**, შევს-**ცედ**... ის ფაქტი, რომ ზოგჯერ საყრდენი მორფემისეული ხმოვნის აღდგენა არ ხერხდება არც ახალი და არც ძველი ქართული ენის დონეზე, საქმის ვითარებას არ ცვლის. „თბება“ ტიპის ყველა ზმნაში ისტორიულად **ე** ხმოვანი ივარაუდება, რასაც მხარს უჭერს მონათესავე ენათა ჩვენებაც (ვ. თოფურია, 1930). საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისით ვნებითის **-დ** სუფიქსის თავდაპირველ სახედ **-ედ** მიიჩნევა.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისიც, რომ ძველ ქართულში **-ე** სუფიქსს დაირთავდა II კავშირებითში **-ნ (← ენ)** სუფიქსიანი ვნებითებიც: რაჲთა **განვ-კაც-ნ-ე, გან-კაც-ნ-ე, გან-კაც-ნ-ე-ს** (წყვეტილი: განვ-კაც-ენ, განჰ-კაც-ენ, გან-კაც-ნ-ა).

ძველ ქართულში ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის **-ენ(ნ)**-ს „შემდეგ კონიუნქტივ მეორეში **-ა** და **ო**-ს ნაცვლად **-ე** ჩნდება... **-ე** კი უცვლელად რჩება“ (არნ. ჩიქობავა, 1929, გვ. 116). მართალია, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა ახალ ქართულში **-ენ** ფორმანტით აღარ ხდება მოქმედებითი გვარის ზმნებში, მაგრამ შესაბამისი ვნებითის ფორმებმა შემოგვინახა **-ნ (← -ენ)** სუფიქსიანი ფორმები:

> თუ ვერა ვძლევ, **დავიხოცნეთ** სახელითა და დიდებით (ილია).
>
> დედოფალო, შენი ჭირიმე, ჩქარა **ავიყარნეთ** აქედან (იაკობი).
>
> რაწამს სახლში ხმა მიწყდება, **გავიპარნეთ** (ეკ. გაბ.).
>
> ცხადია, უნდა **ავიბარგნეთ** აქედან (ნ. შიუკ.).

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: **II კავშირებითში -ე სუფიქსი გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა საყრდენ მორფემაში ე ხმოვანი არის გაუჩინარებული.**

ახალი ქართულისათვის წესი პირუკუ არ მოქმედებს: ყველგან, სადაც საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანია გაუჩინარებული, არა გვაქვს II კავშირებითის **-ე** სუფიქსიანი წარმოება, ვგულისხმობთ მოქმედებითი გვარის ზმნებს: გავ-ცრ-ა (საყრდენი მორფემის სრული სახეა **ცერ**), გავ-ჭრ-ა (ჭერ), შევ-ქმნ-ა (ქმენ), ვი-ხსნ-ა (ხსენ), გავ-რყვნ-ა (რყვენ), აღმოვ-ფხვრ-ა (ფხვენ) და სხვა.

ეს ზმნები, ისევე როგორც წყვეტილის წარმოების I და II ყალიბის მოქმედებითი გვარის ყველა ზმნა (გარდა **მისცეს** ზმნისა) II კავშირებითს **-ა** სუფიქსით იწარმოებს. ამდენად, **-ა** სუფიქსი გვაქვს II კავშირებითის მაწარმოებლად: ა) I და II ყალიბის მოქმედებითი გვარის ზმნებთან, მიუხედავად იმისა, თუ რა სტრუქტურისაა საყრდენი მორფემა: შევ-კარ — შევ-კრ-ა, მოვ-კალ — მოვ-კლ-ა, დავ-ფქვ-ი — დავ-ფქვ-ა, დავა-ბ-ი — დავა-ბ-ა, ჩავ-სხ-ი — ჩავ-სხ-ა და სხვ; ბ) პრეფიქსიან ვნებითებთან: და-ი-წვ-ა-ს, და-ი-ფქვ-ა-ს, და-ე-ბ-ა-ს, შემო-ე-რტყ-ა-ს, და-ე-რქვ-ა-ს...

არის შემთხვევები, როცა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმებში პარალელურად გვხვდება როგორც **-ე,** ასევე **-ა** სუფიქსიანი წარმოება II კავშირებითისა ერთსა და იმავე ზმნასთან:

იქნ-ა-ს || იქნ-ე-ს

ფარსმან სპარსისათვის კონსტანტინე არსაკიძის დაპირისპირება გაგებულ უნდა **იქნას** როგორც ერთგვარი ტეზა და ანტიტეზა (კ. გამს.).

გათვალისწინებულ **იქნეს** კამათში გამოსული ამხანაგების საქმიანი შენიშვნები (მ. კეკელია).

იქმნ-ა-ს || იქმნ-ე-ს

დეე, რაც საქმნელია, **იქმნას** (ილია)

ჩვენ, ჩვენვე **ვექმნეთ** ჩვენიანებს დამამშვიდებლად (ო. ჩხ.).

შეინძრ-ა-ს || შეინძრ-ე-ს

სათბურებში გადატანის დროს ნამყენები არ **შეინძრეს** (ნ. ჩახნ.).

ამისათვის საჭიროა კონები **შეინძრას** (იქვე).

იდგ-ა-ს || იდგ-ე-ს

გვედგას აკვანი გადაუდგმელად (ო. ჩხ.).

ეგრე **იდგეს,** თორემა, მე, ხომ იცი... (რ. ინან.).

დაიწვ-ა-ს || დაიწვ-ე-ს

გამიშვი, თუ გინდათ, მეც ცეცხლი არ წამეკიდოს და არ **დავიწვე** (ო. იოს.).

რაც ჩვენში არის უვარგისი, **დაიწვას** მყისვე (ირან. პოეზია).

დაიჭრ-ა-ს || დაიჭრ-ე-ს

თუ **დავიჭრე,** მწვავდეს წყლული (ს. ჩიქ.).

მიაქვს იერიში, მედგრად ეხეთქება, რომ **შეიჭრას** და შეანგრიოს (გალაკტიონი).

მოგვესმ-ა-ს || მოგვესმ-ე-ს

რომ კვლავც **მოგვესმეს** სიტყვა ქართული რუსთაველისა (გრ. ორბ.).

უნდა კიდეცა მივდიოთ მას, **გვესმას** მშობლისა (ნ. ბარ.).

ასევე: აღიძრას || აღიძრეს, აიხსნას || აიხსნეს, მიეძღვნას || მიეძღვნეს, დაიხნეს || დაიხნას, გაიცრეს || გაიცრას და სხვა.

ფორმათა ამგვარი პარალელიზმი არ დასტურდება ამ ზმნათა წყვეტილში, არც შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნათა II კავშირებითში; მოქმედებითი და სათანადო პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები წყვეტილში წარმოების თვალსაზრისით არ განსხვავდებიან: დავწვ-ი და დავიწვ-ი, დავ-ძარ-ი და დავიძარ-ი, ვქმენ-ი და ვიქმენ-ი, დავაბ-ი და დავებ-ი... II კავშირებითში კი, როგორც ვნახეთ, არსებითი ხასიათის განსხვავებაა.

ამგვარად, ზმნები, რომლებიც II კავშირებითს **-ე** და **-ა** სუფიქსებით იწარმოებენ, სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა) რომლებიც მხოლოდ **-ე** სუფიქსს დაირთავენ: „უნიშნო“ და სუფიქსიანი ვნებითები, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის **-ენ** სუფიქსიანი ფორმები და **მისცა** ზმნა;

ბ) ზმნები, რომლებიც მხოლოდ **-ა** სუფიქსით იწარმოებენ II კავშირებითს: მოქმედებითი გვარის ფორმები (გარდა **მისცა** ზმნისა);

გ) ზმნები, რომლებიც II კავშირებითის ფორმებს პარალელურად იწარმოებენ: პრეფიქსიანი ვნებითები.

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ თავდაპირველი ვითარება (ძველი ქართულის მსგავსი) პირველ შემთხვევაშია დაცული: სხვა შემთხვევაში მდგომარეობა ძირითადად მეორეულია: აქ ახალი სისტემის ჩამოყალიბების პროცესთან და, ზოგჯერ, უკვე ჩამოყალიბებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის უნიშნო წყვეტილის მქონე

ზმნათა ერთი ნაწილი II კავშირებითის ფორმებს **-ა** სუფიქსით იწარმოებდა:

სამართალი წარმართთა მან **მიუთხრას** (მ. DE. 12. II).
პირველად **შეკრას** ძლიერი იგი (მ. 12. 29).
არა — მე **უპყრასა** და აღმოითქუას იგი (მ. DE. 12. II).
ხოლო ბზჱ იგი **დაწუას** ცეცხლითა უშრეტითა (მ. 3. 12).
რა ვჭამოთ, ანუ რაჲ **ვსუათ** (მ. 6. 31).
და მას ჟამსა შინა **ვჰრქუა** მათ (მ. DE. 7. 23).
ვთქუათ თუ: ზეცით იყო, **გურქუას:** რად არა გრწმენა მისი (მ. C 21, 25).
აღდგეს სახლისა უფალი და **დაჰჴშას** კარი (ლ. 13. 25) და სხვა.

მაგრამ უნიშნო ნამყო ძირითადის მქონე ზმნათა მეორე ნაწილი **-ე** სუფიქსს დაირთავდა II კავშირებითში:

აჰა, ქალწული მიუდგეს და **შვეს** ძჱ (მ. I, 23).
რამეთე მან **იჴსნეს** ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან (მ. I, 21).
სადა-იგი მღილმან, მჭამელმან **განრყუნეს,** და სადა მპარავთა დათხაროან და **განიპაროან** იგი (მ. DE. 6. 19).
თუ გნებავს, **ვქმნეთ** აქა სამ ტალავარ (მ. 17. 4).
რაჲთა **დაიცვეს** იგი ღმერთმან, ვითარცა აღსასრულამდე (მამ. ცხ. 167. 30) და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, შენიშნულია (არნ. ჩიქობავა, 1929; ა. შანიძე, 1976; ნ. ნათაძე, 1955; ნ. კოტინოვი, 1959), მაგრამ სადავო გვეჩვენება ფაქტის კვალიფიკაცია; ი. იმნაიშვილის აზრით, „ახალ ქართულში გარდამავალ ზმნათაგან ერთადერთი შემოგვრჩა, რომელსაც მეორე კავშირებითის ნიშნად **-ე** მოეპოვება: მი-ვ-ს-ც-ე, მი-ს-ც-ე, მი-ს-ც-ე-ს. ძველ ქართულში ასეთ ზმნათა რაოდენობა ბევრი იყო. **-ე** ჰქონდა **ნ**-ზე ფუძედაბოლოებულ ზმნებს, რომლებიც წყვეტილს უნიშნოდ აწარმოებდნენ: რაჲთა აღვაგზნე, ვაგრძნე, დავმყნე, ვამცნე, ვქმნე, მივაყრდნე, განვჴრწნე, ვიხსნე, ვიჴმნე... **-ე** კავშირებითის საწარმოებელი ძველი ნიშანია. მისი შემონახვისათვის ამ ზმნებში ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებას, რომ **ნ ქმნიდა პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ასოციაციას, რომელთანაც კავშირებითის ნიშნად მუდამ -ე იხმარებოდა... ნ ფუძის ბოლოს გადამწერს აგონებს ობიექტის მრავლობითობის სუფიქსს, ამიტომ კავშირები-**

თის ძველ ნიშანს უცვლელად ტოვებს“ (ი. იმნაიშვილი, 1963, გვ. 184) (ხაზი ჩვენია — გ. გ.). ეს თვალსაზრისი შემდგომშიც იქნა განმეორებული და გავრცობილი: „მიუთითებენ, რომ ზემოხსენებული ჯგუფის ზმნებში **ე** ნიშნის შენარჩუნებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებას, რომ მწკრივის ნიშნის წინ მდგომი **ნ** ქმნიდა გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის მაჩვენებელი **ნ (← ენ)** სუფიქსის ილუზიას: ხსენებული სუფიქსის შემდეგ კი აუცილებელი იყო **ე** დაბოლოების გამოყენება. **ე მწკრივის ნიშნის გამოყენების არე გაფართოებულია და იგი მოიცავს სხვა ზმნებსაც, განსაკუთრებით კი იმათ, რომელთა ფუძეც ვ-ზე მთავრდება**“ (ვ. იმნაიშვილი, 1975, გვ. 419). (ხაზი ჩვენია — გ. გ.).

წარმოდგენილი მსჯელობიდან ივარაუდება, რომ საანალიზო ფორმები იმ ვითარების ანარეკლია, როცა კავშირებითი II მხოლოდ **-ე** სუფიქსით იწარმოებოდა, რაც, ისევე როგორც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის **-ენ (→ -ნ)** სუფიქსის ასოციაცია თუ ილუზია, ნაკლებსარწმუნოდ გვეჩვენება. ამ უკანასკნელი თვალსაზრისის უპირველეს კონტრარგუმენტად სწორედ არა **ნ** სონორზე დაბოლოებულ ფუძეებთან კავშირებითის **-ე** სუფიქსის გამოვლენა მიგვაჩნია: რაჲთა ვშვ-ე, განრცხ-ე, შთავიჭრ-ე, დავიცვ-ე, შეუძლნ-ე-ს და სხვა.

ზემოწარმოდგენილმა მასალამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნები II კავშირებითს იწარმოებდნენ ჩვეულებრივ როგორც **-ა,** ასევე **-ე** სუფიქსებით. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ **-ე** სუფიქსს დაირთავს ის ზმნები, რომელთა ფუძისეულ საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანია გაუჩინარებული (შევ, ჴსენ, რყუენ, ქმენ, ცევ, გზენ, მყენ, მცენ, ყრდენ, ჴრწენ, ჴმენ, ჭერ, რეცხ, ძელ...); ხოლო როცა საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანი არ აღდგება, სხვა ხმოვანია რედუცირებული, ანდა უმარცვლოა, II კავშირებითის მაწარმოებლად **-ა** სუფიქსი გვაქვს (თხარ, კარ, კალ, ჴამ, თქუ, სუ, რქუ, წუ, ცუ, სხ...).

მიუთითებენ, რომ განხილულ ზმნათა „ვნებითებიც ხსენებულ კანონებს ემორჩილებოდა“ (ი. იმნაიშვილი, 1963, გვ. 184). ზმნები, რომელთა საყრდენი ძირეული მორფემის **ე** ხმოვანი მონაცვლეობდა ნულთან, ვნებითი გვარის II კავშირებითის ფორმებს ასევე **-ე** სუფიქსით იწარმოებდა:

რაჲთა აწვე **აღეგზნეს** (ლ. E. 12. 49).
რამეთუ რომელი — იგი მისგან **იშვეს** (მ. I 20).
ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს **იქმნეს** (მ. C. 22. 8).

რაჲთამცა დასაჯა სოფელი, არამედ რაჲთა **იჴსნეს** სოფელი მის გამო (ი. C. 3. 17).

და რომელი ყურთა **გესმენ** თქუენ, ქადაგეთ ერდოთა ზედა (მ. 10. 27).

ყოველი ნერგი... ძირითურთ **აღიფხურეს** (მ. DE. 15. 13).

ხოლო ჴორცი იგი რაჲ **განიხრწნეს** (ექუს. დღ. 92. 9).

არცა **განირყუნეს** (იონ. 37. 14).

პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნები, რომელთა საყრდენ ძირეულ მორფემაში ნულთან მონაცვლე **ე** ხმოვანი არ დასტურდებოდა, II კავშირებითს **-ა** სუფიქსით იწარმოებდა:

სადაცა იქადაგოს სახარება ესე ყოელსა სოფელსა, **ითქუას** (მ. C. 26. 13).

მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს შოლტითა ჰსცა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-**ეცუას** (მ. DE. 27. 26).

სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ **ერქუას** ყოველთაგან წარმართთა (მრ. II. 17).

გარნა თუ გარეშე ბუნებისა **აღიძრას** იგი (ექუს. დღ. 12. 26).

გინა თუ **მოიწუას** ფიჭუნარი და მუხნარი (იქვე, 58, 37) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში უნიშნო (resp. **-ი** ელემენტიანი) წყვეტილის მქონე ზმნები II კავშირებითის წარმოების თვალსაზრისით გვარის მიხედვით არ განსხვავდებიან; წარმოების პრინციპი საერთოა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათათვის. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ **-ე** სუფიქსს დაირთავენ აგრეთვე უნიშნო და სუფიქსიანი ვნებითები, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის **-ენ** სუფიქსიანი ფორმები, შეიძლება ძველი ქართულისათვის წესი ამგვარად ჩამოყალიბდეს: **II კავშირებითში -ე სუფიქსი გამოვლინდება იმ ზმნებში, რომელთა საყრდენი მორფემისეული ე ხმოვანია გაუჩინარებული; ყველა სხვა შემთხვევაში უნიშნო და -ი ელემენტიანი წყვეტილის მქონე ზმნებში ამ მწკრივის მაწარმოებლად -ა სუფიქსი გვექნება.**

დღევანდელი ვითარება II კავშირებითის წარმოებისა I და II ყალიბის ზმნებთან მეორეულია. ამჟამად მოქმედებითი გვარის ზმნებში ამ მწკრივის წარმოებისას ანგარიში არ ეწევა საყრდენი მორფემის სტრუქტურას — ყველა შემთხვევაში მწკრივის მაწარმოებლად **-ა** სუფიქსი გვაქვს (გარდა **მისცეს** ზმნისა, ძველი ვითარება მხოლოდ აქ შე-

მოგვენახა). ამ ფორმანტის უნიფიკაცია მოქმედებითი გვარის ზმნებთან თითქმის დამთავრებულია. ეს ტენდენცია დიალექტებში უფრო შორს არის წასული: ხევსურულმა ყველა შემთხვევაში **-ა** სუფიქსი გააბატონა; ამ დიალექტმა II კავშირებითის მაწარმოებლად სხვა ფორმანტი არ იცის.

ახალ ქართულში მდგომარეობა გართულდა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა შემთხვევაში. აქ ფორმათა პარალელიზმმა იჩინა თავი. მივუთითებდით, რომ ერთი და იგივე ზმნა II კავშირებითს იწარმოებს როგორც **-ა,** ასევე **-ე** სუფიქსებით. თუ მოქმედებითი გვარის შემთხვევაში უნიფიკაციის ტენდენცია **-ე** სუფიქსიანი წარმოების გაქრობის ხარჯზე წარიმართა, გაბატონდა **-ა** სუფიქსიანი წარმოება, სხვაგვარი პროცესი მიმდინარეობს ვნებითის ფორმებში: არის შემთხვევები, როცა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში II კავშირებითის **-ე** სუფიქსიან ფორმებს უჩნდება პარალელური, **-ა** სუფიქსიანი, ფორმები და პირიქით: **-ა** სუფიქსიან ფორმებს უჩნდება **-ე** სუფიქსიანი პარალელური ფორმები:

ა) იქნეს || იქნას, გაინძრეს || გაინძრას, ედგეს || ედგას, გაიჭრეს || გაიჭრას...

ბ) აღიძრას || აღიძრეს, დაიწვას || დაიწვეს, შემოერტყას || შემოერტყეს...

რადგან მოქმედებითი გვარის ზმნებში **-ა** სუფიქსიანი წარმოება გაბატონდა, თითქოსდა მოსალოდნელი იყო ვნებითი გვარის ზმნებშიც ამგვარი პროცესი მომხდარიყო: ან **-ა** სუფიქსიან წარმოებას დაეჭირა **-ე** სუფიქსიანი წარმოების ადგილი, ანდა, თუ გვარის ფაქტორი დაედებოდა საფუძვლად მაწარმოებელთა გადანაწილებას, ვნებითის ფორმებში **-ე** სუფიქსიანი წარმოება უნიფიცირებულიყო. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ასე არ მოხდა. მაწარმოებელთა გადანაწილების პროცესი გრძელდება, რამაც ენაში პარალელურ ფორმათა გაჩენა გამოიწვია.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ რამდენიმე კერძო შემთხვევაზე:

ა) **-ე** სუფიქსით იწარმოებს II კავშირებითის ფორმებს **ვედ/ვიდ** ზმნა. ეს ერთადერთი გამონაკლისია, როცა **-ე** სუფიქსი გვაქვს და საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანი არ არის გაუჩინარებული: წა-ვიდ-ე, წახ-ვიდ-ე, წა-ვიდ-ე-ს. თუ ვიდ ძირისეულ **ი** ხმოვანს **ე**-ს რედუქციის პროდუქტად მივიჩნევთ, მაშინ ზმნის ჩვენების გათვალისწინება **-ე** სუფიქსის გმოვლენის წესს ამგვარად დააზუსტებს: **II კავშირებითის -ე სუფიქსს დაირთავს ის ზმნები, რომელთა საყრდენ მორფემაში რედუცირებული ე ხმოვანი ივარაუდება** (რედუქცია შეიძლება იყოს სრულიც და ნაწილობრივიც: ე → ი).

ბ) **იყოს** ფორმაში **ო**-ს მიღების ორგვარი გზა შეიძლება ვივარაუდოთ: **ო ← ვ-ა, ო ← ვ-ე;** ე. ი. ფუძისეულ **ვ**-სთან კავშირებითის **-ა** ან **-ე** სუფიქსის შერწყმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ზმნის ძირი ორგვარი გახმოვანებითაა დადასტურებული — ყავ/ყევ, **ო**-ს მიღების ორივე გზა დასაშვებია; **ყავ** ფუძისაგან II კავშრებითი **-ა** სუფიქსით უნდა წარმოებულიყო (ი-ყვ-ა-ს ← ი-ყავ-ა-ს), **ყევ** ფუძისაგან — **-ე** სუფიქსით (ი-ყვ-ე-ს ← ი-ყევ-ე-ს). ორივე ეს ვარიანტი დასტურდება დიალექტებში (იყვას, იყვეს).

გ) საკითხი ამგვარად შეიძლება დასმულიყო იმ ზმნათა მიმართაც, რომელთა ფუძეების ასევე პარალელური ვარიანტებია დადასტურებული: **ჰერ || ჰარ, ცერ || ცარ, თერ || თარ,** მაგრამ სალიტერატურო ენის თვალსაზრისით მსჯელობისას ამ ზმნათა მხოლოდ **ე** ხმოვნიან ვარიანტებს უნდა დავემყაროთ.

25.5. წყვეტილისა და II კავშირებითის მწკრივთა წარმოების ურთიერთმიმართებისათვის

მეორე კავშირებითის წარმოების განხილვამ წყვეტილის წარმოებასთან მიმართებით არაერთგვარი სურათი წარმოგვიდგინა: **ერთი მხრივ,** წყვეტილის წარმოებასა და II კავშირებითის წარმოებას შორის მყარი შესაბამისობაა; მხედველობაში გვაქვს წყვეტილის წარმოების III და IV ყალიბის ზმნები: კავშირებით II-ში **-ო** სუფიქსი იჩენს თავს, როცა წყვეტილი **-ე** სუფიქსს დაირთავს. წყვეტილის ფორმებს I და II ყალიბის ზმნებთან ამგვარად არ მიემართება II კავშირებითის ფორმები: ნაწილი **-ე** სუფიქსით იწარმოებს II კავშირებითს: ნაწილი — **ა** სუფიქსით; ერთი და იმავე ზმნის მოქმედებითისა და შესაბამისი პრეფიქსიანი ვნებითის წყვეტილის ფორმები თუ წარმოების თვალსაზრისით სხვაობას არ გვიჩვენებს, ამას ვერ ვიტყვით II კავშირებითზე. აქ ერთ შემთხვევაში იდენტური წარმოება გვაქვს (აღვძარ-აღვძრა, აღვიძარ-აღვიძრა), მაგრამ სხვა შემთხვევაში სხვაობა დასტურდება (დავჭერ-დავჭრა, დავიჭერ-დავიჭრე). თუ იმ თვალსაზრისს დავემყარებით, რომ II კავშირებითისათვის წყვეტილის ფუძეა საყრდენი (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 107), ამგვარი სხვაობა ასახსნელი იქნება: ერთგვარი წარმოება წყვეტილში, განსხვავებული — მეორე კავშირებითში. სხვაობის საფუძველს ახალ ქართულში ამ ტიპის ზმნებთან ძირითადად ზმნის გვარი ქმნის. გვარის ფაქტორი ამ მწკრივთა წარმოების პრინციპზე გავლენას არ ახდენდა ძველ ქართულში: მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს თუ

წყვეტილში იდენტური წარმოება ჰქონდათ, ასევე ერთნაირად იწარმოებდნენ II კავშირებითის ფორმებს (ვქმენ — ვიქმენ, ვქმნე — ვიქმნე...); მაგრამ სხვაობა აქაც თვალშისაცემია: ერთგვარი წარმოება წყვეტილისა, განსხვავებული წარმოება მეორე კავშირებითისა ფაქტია (აღვძარ, ვიჴსენ, მაგრამ რაჲთა აღძრა, ვიჴსნე).

ამდენად, ეჭვქვეშ დგება საკითხი იმის შესახებ, რომ წყვეტილის ფუძე საყრდენია II კავშირებითის ფორმისათვის (რაც თავისთავად იმას გულისხმობს, რომ წყვეტილის მაწარმოებლები II კავშირებითის ფორმაშიც ივარაუდება: ავა-შენ-ე ← ავა-შენ-ე-ო..).

როგორც აღვნიშნავდით, წყვეტილის წარმოებას ძირითადად საყრდენი მორფემის სტრუქტურა შეაპირობებს. ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველი საყრდენი მორფემა წყვეტილის უნიშნო (resp. I და II პირის ფორმებში „უფუნქციო“, ნულთან მონაცვლე **-ი** ელემენტიან) წარმოებას ვარაუდობს (I ყალიბი); უმარცვლო საყრდენი მორფემა **-ი** ელემენტიან (რომელიც არ მონაცვლეობს ნულთან I და II პირის ფორმებში) წარმოებას გულისხმობს (II ყალიბი).

ასევე, საყრდენი მორფემის სტრუქტურა შეაპირობებს II კავშირებითის **-ა** და **-ე** ფორმანტების გამოვლენას I და II ყალიბის ზმნებთან (ახალ ქართულში ძირითადად ვნებითი გვარის ზმნებში), ოღონდ საფუძველი შეპირობებისა სხვაგვარია. თუ წყვეტილის წარმოებისას ყურადღება არ ექცევა იმას, საყრდენი მორფემისეული ხმოვანი, რომელიც რედუცირდება, რა ხმოვანია, II კავშირებითის წარმოებისას ამას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

ახალ ქართულში II კავშირებითის **-ა** და **-ე** სუფიქსთა განაწილებისას თუ გვარის ფაქტორს გარკვეული ყურადღება მიექცა (მოქმედებითი გვარის ზმნებში წარმოების უნიფიკაცია მოხდა), წყვეტილის წარმოებაში ამ ფაქტორის მოქმედება გამორიცხულია.

ამგვარად, **-ა** და **-ე** სუფიქსიანი II კავშირებითის წარმოების საკითხის განხილვა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს, რომ წყვეტილის ფუძე არ არის საყრდენი II კავშირებითისათვის. წყვეტილის მაწარმოებლები II კავშირებითის ფორმაში არ ივარაუდება. ორივე ამ მწკრივისთვის საერთო ფუძეა საყრდენი. წყვეტილისა და II კავშირებითის წარმოებას ძირითადად საყრდენი მორფემის სტრუქტურა განსაზღვრავს; განმსაზღვრელი პირობა სხვადასხვაგვარია. II კავშირებითის **-ა** და **-ე** სუფიქსთა განაწილებისას გარკვეულ მნიშვნელობას გვარის ფაქტორიც იძენს.

თუ **-ა** და **-ე** სუფიქსიანი II კავშირებითის შემთხვევაში შესაძლე-

ბელია ამ დასკვნის გაკეთება, ამასვე ვერ ვიტყვით **-ო** სუფიქსიანი II კავშირებითის მიმართ; მაგრამ, ვფიქრობთ, ამჟამინდელი ვითარება ამ მხრივ მეორეულია.

IV ყალიბის ზმნურ ფორმათა ამოსავალ სახედ **ავაგევ** ტიპის წარმოება ივარაუდება; ისტორიულად წყვეტილის წარმოების თვალსაზრისით ამ ტიპის ზმნები I ყალიბისა იყო: საყრდენი მორფემა **-ევ** ნულთან მონაცვლეა და, ამდენად, წყვეტილი უნიშნო უნდა ჰქონოდა. საყრდენი მორფემისეული **ე** ხმოვნის ნულთან მონაცვლეობა ამ ტიპის ზმნებთან II კავშირებითის მაწარმოებლად **-ე** სუფიქსს გვავარაუდებინებს.

წყვეტილი: **ავა-გ-ევ,** II კავშ.: **ავა-გ-ვ-ე** ← ავა-გ-ევ-ე.

აქედან გამომდინარე, სარწმუნო ჩანს მოსაზრება იმის შესახებ, რომ II კავშირებითის **-ო** სუფიქსი ისტორიულად **ვე** კომპლექსის შერწყმის შედეგადაა მიღებული (გ. როგავა, 1945). ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი **ო**-ს დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ოდენობად მიჩნევა, ისევე როგორც **-ევ** ფორმანტის **ვ** თანხმოვანმოკვეცილი **ე** ელემენტის წყვეტილის **-ე** სუფიქსთან (ავაშენ-**ე**) ფუნქციური გაიგივება, გვიანდელი მოვლენაა — **-ევ** ფორმანტის თავდაპირველი ფუნქციის გაუჩინარებისა და მისი მორფოლოგიური რეინტერპრეტაციის შემდეგი პროცესია. ამდენად, IV ყალიბის ზმნებში შესაბამისობა — წყვეტილის **-ე:** II კავშირებითის **-ო** — ორივე ამ მწკრივისათვის საერთო საყრდენ მორფემასთან, **-ევ** ფორმანტთან, დაკავშირებული ფონეტიკური და მორფოლოგიური ცვლილებების შედეგია. შესაბამისობა მყარია არა იმიტომ, რომ წყვეტილის **-ე** სუფიქსიანი წარმოება შეაპირობებს II კავშირებითის **-ო** სუფიქსიან წარმოებას, არამედ ორივე ამ მწკრივისათვის საერთო საყრდენი მორფემაა **-ევ,** რომელიც სხვადასხვაგვარ ტრანსფორმაციას განიცდის წყვეტილსა თუ II კავშირებითში. სხვაგვარად: ეს შესაბამისობა იმის მაჩვენებელი კი არ არის, რომ წყვეტილის ფუძე არის საყრდენი II კავშირებითისათვის, არამედ საერთო საყრდენი მორფემა სხვადასხვაგვარ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის და ამ ცვლილების შედეგად მყარდება შესაბამისობა.

ჩვენი თვალსაზრისისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთად კვლავ ხევსურული დიალექტის ჩვენება გვესახება: როგორც აღვნიშნავდით, **ავაგევ** ტიპის წარმოების არსებობა ამ დიალექტში არ ივარაუდება. აქედან გამომდინარე, არც **-ო** სუფიქსიანი II კავშირებითი უნდა გვქონოდა. ხევსურულში, როგორც ცნობილია, **ავი-ლ-ი, გავი-გ-ი...** ტიპის მორფემა **-ი** ელემენტს გამოავლენს წყვეტილში (შდრ.: სალიტერა-

ტურო ქართულის დავა-ბ-ი, ჩავ-სხ-ი...); იგივე საყრდენი მორფემა **-ა** სუფიქსს ვარაუდობს II კავშირებითის მაწარმოებლად. ასეცაა ამ დიალექტში: ავი-ღ-ა, გავი-გ-ა... **-ა** სუფიქსის უნიფიკაცია ხევსურულში II კავშირებითის წარმოებისას **-ე** სუფიქსის ხარჯზე მოხდა. **-ა** იჭერს **-ე**-ს ადგილს. არა გვაქვს საფუძველი დავუშვათ **-ო** სუფიქსის არსებობა საერთოდ ამ დიალექტში.

მომხდარი ფონეტიკური პროცესებისა და მორფოლოგიური რეინტერპრეტაციის საფუძველზე დამყარებული შესაბამისობა IV ყალიბის ზმნებში — წყვეტილის **-ე:** II კავშირებითის **-ო** — უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ მას შემდეგ, რაც **-ე (← ევ)** გააზრებულ იქნა III ყალიბის ზმნებთან გამოვლენილი წყვეტილის **-ე** სუფიქსის ტოლფასად, მესამე ყალიბის ზმნებთანაც **-ო** სუფიქსი ჩნდება II კავშირებითში. III ყალიბის ზმნათა საყრდენი მორფემა მარცვლოვანი და უკუმშველია. რამდენადაც აქ არ არის პირობა II კავშირებითის **-ე** სუფიქსის გამოვლენისა, ოდინდელი მაწარმოებელი მწკრივისა ამ ტიპის ზმნებთან **-ა** სუფიქსი უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, **-ო** სუფიქსიანი II კავშირებითის შემთხვევაში მდგომარეობა მეორეულია: ერთი ნაწილი ისტორიულად **-ა** სუფიქსით იწარმოებდა განსახილველი მწკრივის ფორმებს, მეორე ნაწილი — **-ე** სუფიქსით.

მას შემდეგ, რაც დამყარდა შესაბამისობა — წყვეტილის **-ე:** II კავშირებითის **ო,** თავისთავად ცხადია, ყველა შემთხვევაში ვერ მივიჩნევთ II კავშირებითის **-ო** სუფიქსისათვის ამოსავლად **ვე** კომპლექსს (ისევე როგორც სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსისათვის **ვა** კომპლექსს). ამჟამად **-ო** დამოუკიდებელი მაწარმოებელია **-ა** და **-ე** ფორმანტთა გვერდით და ფორმობრივად მიემართება წყვეტილის **-ე** სუფიქსს.

ყოველივე ზემოთქმული ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს: **წყვეტილის ფუძე არ არის საყრდენი II კავშირებითისათვის არც ისტორიულად და არც ამჟამად. ორივე ამ მწკრივისათვის საერთო ფუძეა საყრდენი.** მყარი ფორმობრივი შესაბამისობა მეორეული ფაქტია და არ ეწინააღმდეგება საერთო დასკვნას.

§ 26. მრავალგზისობის გამოხატვისათვის ქართულში

26.1. მრავალგზისობის კატეგორიისათვის

ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ახალი ქართული ენის მწკრივთა სისტემის წარმოდგენისას წყვეტილისა და ბრძანებითის შემდეგ II ხოლმეობითსაც ასახელებს: „**მეორე ხოლმეობითი**“. ვამბობთ „ხოლმეობითიო“, რადგანაც ის მრავალგზისობის გაგებას შეიცავს, რომელიც, თუ სანათადო ფორმა არა გვაქვს, „ხოლმე“-თი უნდა გადმოიცეს. ვუმატებთ „მეორეო“, რადგანაც II სერიაში შედის. მაგალითები: ვწერი (დავწერი), ვაშენე (ავაშენი)“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 220). ყურადღება მივაქციოთ მაგალითებს და შემდეგ შენიშვნას: „ნაშთის სახით ამ მწკრივის ფორმა საყოველთაოდ „იცის“ და „უწყის“ ზმნათა სახით შემოგვრჩა. ოღონდ მათ დროის თვალსაზრისით ეხლანდელის გაგება მიიღეს...“ და მთავარი:: „ეს მწკრივი ახალ ქართულში საყოველთაოდ აღარ არის, — ზოგიერთ კილოს შეჰრჩა. მის ნაცვლად სხვა კილოებმა და სალიტერატურო ენამ შეიმუშავა I ხოლმეობითი, რომელიც უწყვეტელს გამოეყო. ეს შემუშავება პარალელურად ხდებოდა II ხოლმეობითის გადავარდნასთან ერთად“ (იქვე, გვ. 221). ამ შემთხვევაში II ხოლმეობითი განხილულია როგორც ახალი ქართულის ფაქტი, ოღონდ არა ახალი ქართული სალიტერატურო ენისა (იგულისხმება ორგანული წარმოება), თუმცა მაგალითები (ვწერი — დავწერი, ვაშენი — ავაშენი) ძველი ქართული სალიტერატურო ენისაა (თუ დიალექტების?). ავტორი II ხოლმეობითის ამგვარ ფორმებს სხვა საკითხებზე მსჯელობისასაც მოიშველიებს: „II სერიის ფორმები ამ ზმნისა ყველა სრულია: ნახა, ნახოს, ნახის, ნახე“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 271) და სხვა. ფუნქცია ზუსტდება: „მწკრივი იხმარება მრავალჯერ გამეორებული მოქმედების აღსანიშნავად. აგრეთვე ის გადმოგვცემს ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ს მოქმედებას, მუდამ გამეორებულ მოქმედებას და ამიტომ შეიძლება, რომ ის წარსულ დროს კი აღარ შეიცავდეს, არამედ სულ დაცლილი იყოს დროის ელემენტისაგან“ (იქვე, გვ. 221). სხვაგან ზუსტდება: „მრავალგზითი ფორმა „ხოლმე“-ს გაგებას შეიცავს. ეს „ხოლმე“ შეიძლება დაერთოს ზმნის ფორმას, მაგრამ რომ არ დაერთოს, იმითაც არა დაშავდება რა“ (იქვე, გვ. 211). ეს დაზუსტება იმითაც არის საინტერესო, რომ სწორედ ამ გაგებამ მისცა საფუძველი ტერმინის შერჩევას — ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი. ისიც საგულისხმოა: ა. შანიძე იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ხ ო ლ მ ე ს გაგება არაა ერთადერთი ამ ფორმებისათვის: „თუ მოქმედება მეორდება, ის შეიძლება ჩვეულებად გადაიქცეს. ამიტომ

მრავალგზისი ფორმები ისეთ მოქმედებასაც გადმოსცემს, რომლებიც ჩვეულებად არის ქცეული. ამიტომ ასეთ ფორმებს ჩვეულებითსაც ეძახიან“ (იქვე, გვ. 221). აქ აღვნიშნოთ ისიც, რომ სწორედ ხოლმეობითი არის ერთ-ერთი ის ტერმინი, რომელიც ა. შანიძის წყალობით მარჯვედ შეირჩა და დამკვიდრდა სამეცნიერო გრამატიკაში: „ხოლმეობითი კარგად ნაწარმოები ტერმინია: „ხოლმე“ — „ხოლმეობითი“ (შდრ. „თურმე“ — „თურმეობითი“, შემოღებული აკ. შანიძისავე მიერ). მისი მთავარი ნაკლი ისაა, რომ ადვილად ირევა „მრვალგზითში“: „აკეთებს ხოლმე“ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, თითქოს „კეთების“ განმეორებას ექცეოდეს ყურადღება, ნამდვილად კი საჭიროა გადმოიცეს, რომ მოქმედება „ჩვეულებრივ ხდება“, მოქმედებას „ჩვეულებრივად აქვს ადგილი“. ეს რომ არა, „ხოლმეობითი“ შენიშვნას არ გამოიწვევდა. საცა წესია, უფრო ზუსტი იქნებოდა „ჩვეულებითი“ ანდა — კიდევ უფრო — „მიმდინარეობითი“... ამისდა კვალად შეიძლება პერმანსივის ბადლად დავტოვოთ ხოლმეობითი სათანადო აქცენტით („რაც ჩვეულებრივ ხდება“, ამ გაგებით: რაც ხდება ხოლმე“) (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 7).

*

* *

მოქმედების მრავალგზისობის გამოხატვა ქართული ზმნის ერთ-ერთი არსებითი დამახასიათებელი ნიშანია. ერთგზისი (ერთხელ შესრულებული მოქმედება) და მრავალგზისი (მრავალჯერ თუ ჩვეულებრივ შესრულებული მოქმედება) ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მანძილზე გაირჩეოდა ერთმანეთისაგან; თუმცა ამ გარჩევას სხვადასხვა სახე ჰქონდა: ორგანული წარმოება ხოლმეობითისა ჩვენ თვალწინ ბარდება წარსულს და მის ადგილს აღწერითი წარმოება იჭერს. ჩვენ შევეცდებით ამ ტენდენციასაც გავადევნოთ თვალი: რა გზით მიემართება ეს ცვლილება...

26.2. II ხოლმეობითი პრაქტიკულ გრამატიკებში

II ხოლმეობითი იმითაც არის საინტერესო, რომ ამ ფორმებს ძველი გრამატიკოსები თითქოს ყველანი ამჩნევენ, მაგრამ კვალიფიკაცია ამ ფორმებისა განსხვავებული იყო; არც ესაა შემთხვევითი: მისი ფუნქციური თავისებურება ართულებდა საქმეს.

გავიხსენოთ: ეს უმნიშვნელოვანესი მორფოლოგიური ოდენობა

ცალკე საუღლებელ ერთეულად არ გამოიყოფა ა ნ ტ ო ნ თ ა ნ. ვთქვით უკვე ეს. გავიმეორებთ: ანტონი II ხოლმეობითის ფორმებს ამჩნევს, გამოყოფს, მაგრამ ფუნქციურად აიგივებს მას უწყვეტელთან — II ხოლმეობითსა და უწყვეტელს შორის ფუნქციურ სხვაობას ვერ ხედავს: **განვიბანი** და **განვიბანებოდი, შევიკრი** და **შევიკვროდი** მისთვის მნიშვნელობით ერთი და იგივე ოდენობებია. სწორია ანტონის ხედვა, როცა ძველი ქართულის II ხოლმეობითში (განვიბანი, შევიკრი...) იმავე მნიშვნელობას ხედავს, რაც აქვს მისდროინდელი ქართულის უწყვეტლის ფორმებს (განვიბანებოდი, შევიკვროდი...), ოღონდ ერთი ძველი ქართულია და მეორე — ახალი. მათი გვერდიგვერდ დაყენება დონეების აღრევაა. ძველ ქართულში II ხოლმეობითის გვერდით უწყვეტელს ეს ფუნქცია არ ჰქონდა; ახალი ქართულის უწყვეტლის ფორმათა გვერდით კი II ხოლმეობითი აღარა გვაქვს. ზემოთაც ვთქვით: ანტონი ახალი ქართულის პოზიციიდან ჭვრეტს ამ მოვლენას; შეცდომის წყაროც ესაა; ამიტომაც ვერ შეძლო II ხოლმეობითის ცალკე საუღლებელ ერთეულად გამოყოფა.

II ხოლმეობითის ფორმათა საინტერესო დახასიათება მოგვცა პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ა. იგი საუბრობს ამ ფორმათა აწმყოს ფორმებთან მსგავსებაზე, უფრო სწორად, აწმყოს დროისად მიიჩნევს მათ და სწორად გამოყოფს მაწარმოებელს: „არიან რომელიმე ზმნანი აწმდგომსა დროსა შინა ხმარებულნი ჰხშირობითად დამატებითა ბოლოჲსა ასოთა **ი**. მაგ. უფალი მჰსაჯულ-არს, ესე დაამდაბლის, და ესე აღამაღლის და სხ. ხოლო პიროვნად: დავამდაბლი, ავამაღლი და სხ...

სხო: ესე გუარსა ოდესცა მდაბიურსა საუბარსა შინა დაემეტების მარცუალი ხოლმე, მაშინ ნიშნავს ქმნილსა უსრულსა დროსა, მაგ. დავამდაბლი ხოლმე, შევსწირი ხოლმე და სხ.“ (პ. იოსელიანი, 1840, გვ. 72). აქ **ხოლმე** ნაწილაკის ფუნქციაც იკვეთება; ხოლმეობითის ფუნქციას სწორედ ამ ნაწილაკიან ფორმებში ხედავს.

აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია II ხოლმეობითის ფორმათა გაგებაში თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს „ქართულ გრამატიკაში“ წარმოდგენილი მსჯელობა: „ქართულ ენას აქვს **დრო სამარადისო** ანუ **განშირებითი,** რაჲსათვის დაემატება ასო „ი“, მაგ. „ვა-რი“, „ხა-რი“ ე. ი. მუდამ ვარ, ხარ (და არა მხოლოდ ეხლა), მაგ. „ძე ჩემი ხარ-ი შენ“ (ფსალ. 2). ნამყო დროს კი ხშირად მიემატება: „მოვიდ-ის, წავიდ-ის, მონახ-ის... გამოვიდ-ი, გამოვსც-ი, ვისმინ-ი და სხვ. (მრავლ. მოვიდი-ან, გამოვიდი-

ან)“ (თ. ჟორდანია, 1889, გვ. 60). როგორც ვხედავთ, ფორმები სწორად არის შემჩნეული, დახასიათებული („სამარადისო“ ანუ „გახშირებითი“), სწორადაა მაწარმოებელი გამოყოფილი, განმარტებული („მუდამ ვარ“...), მაგრამ რამდენადაც მოულოდნელია, უღლების სრულ პარადიგმაში ამ ფორმებს ადგილი არ მოეძებნება; როგორც ჩანს, თ. ჟორდანია ამ შემთხვევაში ტრადიციას უწევს ანგარიშს...

ანტონთან, პ. იოსელიანთან და თ. ჟორდანიასთან II ხოლმეობითის ფორმები არ განიხილება, როგორც ძველი მოვლენა (ძველი ქართულის). ამ ავტორებთან, ფაქტობრივ, არ იმიჯნება ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა. ეს გამიჯვნა პრაქტიკოს გრამატიკოსთაგან პ. კვიცარიძემ მოახდინა; გავიხსენოთ მისი მსჯელობა I თურმეობითის ფორმათა შესახებ: „ნამყო ოდეს უსრულსა და სრულს დროს **ძველს ქართულ ენაში** ნაცვლად ნაბოლარისა **ია,** უზის ზოგან **იეს**“... (პ. კვიცარიძე, 1888, გვ. 117-118). სწორედ პ. კვიცარიძე მიანიშნებს იმაზე, რომ II ხოლმეობითი ძველი ქართულის კუთვნილებაა: „ამ ფორმას ახალი მწერლები ჭირსავით ერიდებიან, თითქოს ზოგჯერ უმისობა შეიძლებოდეს“ (იქვე, გვ. 125). თუმცა იქვე დაამატებს: „გარნა აქა-იქა ახალს მწერლებსაც უხმარიათ, მაგ. „გადაბრუნდის ჩვენი ციგა, კოტრიელა, კოტრიელა“ რ. ე.“ ე. ი. პ. კვიცარიძისათვის II ხოლმეობითი ძველი ქართულის ფაქტია, ახალ ქართულში შემორჩენილია ნაშთის სახით.

26.3. II ხოლმეობითი და ნიკო მარი

ასე მივედით ნიკო მარამდე.

საკმაოდ მოულოდნელია ის ფაქტი, რომ ხოლმეობითი, როგორც დამოუკიდებელი საუღლებელი ერთეული ძველ ქართულში, არ გამოუყვია ნ. მარს. ამის თაობაზე მსჯელობს არნ. ჩიქობავა ნ. მარის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკის“ შესახებ 1926 წ. დაწერილ რეცენზიაში. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს: „არსადა ჩანს პენმანსივი (ანუ ჰაბიტუალისი): **მან კლის**... დიალექტური ორისტის სახელწოდებით არის იგი მონათლული „ძირითად ტაბულებში“ და მოხსენებულია „სინტაქსურად აღმოცენებულ ფორმათა შორის“ (იხ. გვ. 11); ყოველ შემთხვევაში უღლების სისტემაში ადგილს მოკლებულია.

ეს ფორმალურად უმართებულოა: ძველ ქართულში ჩვეულებრივია ფორმები, როგორიცაა: მან კლის, დაწერის, დაფარის... მაშასადამე,

არავითარი უფლება არა გვაქვს ფორმათა **აღწერა-დალაგებისას** სათანადო ადგილას (აორისტის ჯგუფში) ეს არ შევიტანოთ. ამისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ **ვხსნით** მას: მივიჩნევთ მას დიალექტურ თუ ხალხურ აორისტად.

არსებითად ამ ფორმის უგულებელყოფა მით უფრო შეუწყნარებელია, რომ იგი თავისებურ, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს უღლების სისტემაში: **მას შეუძლია აწმყოს გვერდით მოგვევლინოს პირველი ჯგუფის დროთა წარმოებისას დასაყრდენად.** თავდაპირველი მისი შინაარსი არ უნდა ყოფილიყო დაშორებული აწმყოსას; დროთა სათანადო ფორმების შაბლონი როცა შემუშავდა, ის აორისტის ამალაში აღმოჩნდა (ფუძის აგებულების წყალობით). პირვანდელი მდგომარეობის კვალი მაინც დარჩა: ეს არის ზოგიერთ ზმნათა უღლება:

1. ვიდის (აწმყო=პერმანს.) — ვიდოდა/ის (ნამ. უსრ.) — ვიდოდეს (თანაუღვლებითი პირვ.): აწმყოის „ვალს“ სხვა რიგისაა: ვალს, ვლიდა, ვლიდეს; მო-ვლო, მო-ვლის, მო-ვლოს... (ტრანსიტივია).

2. მან იცის, უწყის (აწმყო=პერმანსივი): იცოდა, უწყოდა; იცოდეს — უწყოდეს. — შემდეგ ამათ აღარ უწარმოებიათ მეორე ჯგუფის ფორმები, ისევე როგორც ზმნებს: ყჯრის, ტირის, ქრის (მათი მეორე ჯგუფი **ი**-თავსართიანი, მედიალი აღარ არის!); სამაგიეროდ ტრანსიტივებმა: ჴსნის, გზავნის, (აწმყ.) — მან გზავნის (პერმ.); მხოლოდ კონსტრუქციით არიან ესენი გარჩეული; იყვნენ კი ერთი და იგივე ფორმა... ამ ტიპის ზმნათაგან ბევრმა შემდეგში ფუძეებიც განასხვავა: აწმყო — რედუქციანი (შლის, თხრის), აორისტი — ურედუქციო (შალის, თხარის < შალა, თხარა), რაიც შემდეგი ხნის ამბავია; დამახასიათებელია, რომ რედუქციანი ფორმა (პირვანდელი პერმანსივი) შერჩა აწმყოს...“ (არნ. ჩიქობავა, 1926, გვ. 312). ის ფაქტი, რომ II ხოლმეობითი ნ. მ ა რ თ ა ნ არ გამოიყო დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად ძველი ქართული ენისათვის, მით უფრო გაუგებარია, რომ პრაქტიკულ გრამატიკებში სწორად იყო შეფასებული ეს ფორმები და, რაც მთავარი, ა. შ ა ნ ი ძ ე ამ საკითხზე მსჯელობს თავის ადრეულ შრომებში:

1915 წელს პეტროგრადში გამოიცა „კრებული“ ი. ჯავახიშვილის რედაქტორობით, რომელშიც დაიბეჭდა ა. შანიძის ნაშრომი „ქართული კილოები მთაში“, სადაც ვკითხულობთ: „განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მთაში შენახულია დღევანდლამდე ერთი დრო, რომელიც გამოხატავს მრავალგზით მოქმედებას და რომელიც ნამყო სრულის თემისაგან წარმოებს. ამ დროის ფორმებს მხოლოდ ძველ ქართულსა და ქიზიყურში ვპოებთ“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 19).

უფრო ვრცელი და საფუძვლიანი მსჯელობა ამ თემაზე მოცემულია ა. შანიძის მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში“, რომელიც 1920 წელს გამოიცა. ვკითხულობთ: „ნამყო მრავალგზითი“, კაცმა რომ თქვას, განსაზღვრული დრო არ არის: იგი გამოხატავს მოქმედებას არა რომელსამე დროში განსაზღვრულს (ნამყოსა, აწმყოსა, თუ მყოფადში), არამედ ისეთს, რომელიც ყოველთვის ჩვეულებრივია და მარად დამახასიათებელია მოქმედი პირისათვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალგზისი ნამყოს ფორმები ქართული ზმნის უძველესი ფორმაციის დროისა უნდა იყოს. ეს მრავალგზითი ნამყო ახალმა სალიტერატურო ენამ ხმარებიდან განდევნა, მაგრამ იგი შეინახა ზოგმა კილომ, მაგალითად, მთის კილოებმა და ქიზიყურმაც. მისი ხმარება სიტყვას დიდ სიცხოველეს ჰმატებს“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 119).

ა. შანიძისვე ცნობით, ეს შრომა „იბეჭდებოდა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის **материали по Яфетическому языкознанию** სერიაში. სტამბაში ჩაბარებულ იყო 1915 წლის შემოდგომაზე. დაიბეჭდა სამი რვეული (48 გვერდი), მაგრამ წიგნის დამთავრება, სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო, ვერ მოხერხდა“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 530). ამ სერიის რედაქტორი ნ. მარი იყო...

26.4. ორგანული წარმოებიდან აღწერითისაკენ

II ხოლმეობითის ორგანული წარმოების აღწერითით შეცვლა ერთ-ერთი პრინციპული ხასიათის განსხვავებაა ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულს შორის. „მრავალგზისობის გამომხატველ ორგანულ ფორმათა მოშლის ეს პროცესი (ისე კი, რომ მრავალგზისობის ფუნქცია შემოგვრჩა) ენაში მიმდინარე ფორმობრივი აბსტრაქციის თვალნათლივი ნიმუშია“ (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 389). თავისთავად საინტერესო: ენა საჭიროდ მიიჩნევს ფუნქციურად დააპირისპიროს ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, მაგრამ ცვლის ამ დაპირისპირების სახეს: ერთ შემთხვევაში ეს მორფოლოგიურად ხდებოდა (და ხდება დღესაც ზოგ იდიომაში), მეორე შემთხვევაში ამ დაპირისპირებას არამორფოლოგიური საშუალებები ახდენენ. „ფორმათა ერთი სისტემის ფუნქციონირების გაფართოების ხარჯზე ხდება ფორმობრივი მრავალფეროვნებისა და ნაირგვარობის ნიველირება, მორფოლოგიური დაპირისპირების ადგილს კონტექსტური განსხვავების კრიტერიუმი იკავებს“ (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 389). მსგავსი შემთხვევა არაერთია. გავიხსე-

ნოთ: მომავალი დროის გამოხატვის ძველი ქართულის ვითარება როგორ იცვლება; თუნდაც ასპექტის გამოხატვის სისტემა; ენაში რჩება აუცილებლობა ამგვარი დაპირისპირებისა (ახლანდელი — მომავალი — წარსული; სრული — უსრული), იცვლება დაპირისპირების სახე... თუმცა ეს უფრო ზოგადი მსჯელობაა. კონკრეტულად: ქრონოლოგიურად ორგანული წარმოების მოშლა და აღწერითზე გადასვლა იმ პერიოდს ემთხვევა, როცა ქართულში „ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა, ასე ვთქვათ, დიდი მოხვეული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული მიჯნა დაიდო ძველ ქართულსა და ახალს შორის“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 271); და კიდევ: „ასპექტის სისტემის თანდათანობით ცვლასთან დაკავშირებით დაიწყო თხრობით-კილოიანი მომავალი დროის გამოხატვა აწმყოს მწკრივისაგან გამოყოფილის ახალი მწკრივის საშუალებით, ე. ი. I სერიის მწკრივით, რაც ძველ ქართულში შეუძლებელი იყო... სისტემის შეცვლის პროცესი (იგულისხმება ასპექტის სისტემისა და მასთან დაკავშირებით მომავალი დროის გამოხატვისა — გ. გ.) დამთავრებულია ახალ ქართულში, თუმცა მაგალითები ძველი სისტემის მოვლენებისა დღევანდელ ქართულშიც არის ნაშთის სახით შემორჩენილი“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 271-272).

სწორედ ამ მოვლენების გვერდით ხდება II ხოლმეობითის ორგანული წარმოების მოშლა: „დამოწმებული მასალა მიუთითებს, რომ ენაში II ხოლმეობითის მოშლა დაიწყო... საინტერესოა, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითების უმრავლესობა ისეთ ძეგლებში არის დადასტურებული, რომლებიც სამხრეთ საქართველოს სამწერლობო კერებიდან მომდინარეობენ. საფიქრებელია, რომ სამხრეთ ქართულ დიალექტურ არეალში, რომელსაც ემყარება VIII-XI საუკუნეთა ქართული სამწერლობო ენა, II ხოლმეობითი მოიშალა“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 451). თუმცა აქ ზოგი რამ დასაზუსტებელია: უფრო სწორად, სამეცნიერო ლიტერატურაში II ხოლმეობითის ჩანაცვლება წყვეტილით ზოგ შემთხვევაში II ხოლმეობითის მოშლის მაუწყებელი არ უნდა იყოს. მხედველობაში გვაქვს მსგავსი მაგალითები: „რამეთუ მრავალგზის ჯაჭჯთა და ბორკილთა შეკრულ **იყო** იგი“ (მრკ. 5. 4); „მარადის დღე და ღამე სამარობისა შინა და მთათა შინა **იყო**...“ (მრკ. 5, 5c); „და მრავალგზის ცეცხლსა **შთააგდო** ეგე და წყალსა“ (მრკ. 9, 92); „ჭეშმარიტებამან შენმან მარადის **შემიწყნანა** მე, A 3869r, 1-2 და სხვა“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 451); ვფიქრობთ, ეს შემთხვევები სხვაგვარად უნდა იქნეს კვალიფიცირებული: ანგარიში უნდა გაეწიოს კონტექსტს და კონტექსტურად გამოხატული მრავალგზისობის მიმართების საკი-

თხი გაირკვეს მორფოლოგიურად გამოხატულ მრავალგზისობასთან; ცხადია, ეს მოვლენის ისტორიას — ორგანული წარმოების აღწერითზე გადასვლას — არ შეცვლის, თუმცა მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შეიძლება იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ხოლმეობითის კონტექსტურად (ან ლექსიკურად, აღწერითად) გამოხატვის შესაძლებლობის არსებობა შეიძლება გამხდარიყო ხელისშემწყობი ფაქტორი (და არა მიზეზი) ორგანული წარმოების მოშლისა და აღწერითი წარმოების ჩამოყალიბებისა.

26.5. ხოლმეობითის მწკრივი და ლექსიკურად გამოხატული მრავალგზისობა ძველ ქართულში

ვიცით: ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია აღარ მოგვეპოვება. ხოლმეობითისა (თუ მრავალგზისობის) შინაარსის გადმოცემა ძირითადად აღწერითად ხდება: ამავე შინაარსის მატარებელ ლექსიკურ ერთეულთა (მუდამ, ყოველთვის, ხშირად...) თუ ნაწილაკთა (ხოლმე, ყე/კე — დიალექტებში) მეშვეობით:

> მუცელა მ უ დ ა მ ღ ა მ ე **ლოცულობდა** (ვაჟა);
> ჩვენი ქვეყანა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ქებული **იყო**... (ლ. ქიაჩელი);
> ხ შ ი რ ა დ ადრე მოფრენილ მერცხალს სუსხი და სიცივე **კლავს** (აკაკი);
> ზ ა მ თ რ ო ბ ი თ მგელი **ესტუმრება** ხ ო ლ მ ე ხმელ წიფელს (ვაჟა)...

აქ ყველა შემთხვევაში ხოლმეობითობა ლექსიკურად გამოიხატება. ეს შესაძლებლობა ძველ ქართულშიც გვქონდა. რა მიმართება იყო მორფოლოგიურად გამოხატულ ხოლმეობითობასა და ლექსიკურად გამოხატულ ხოლმეობითობას შორის? რამდენად იგუებს ერთი მეორეს? სწორი ქართულის თვალსაზრისთ რამდენადაა მართებული მათი თანაარსებობა ერთ კონტექსტში?

მორფოლოგიური გამოხატვა ხოლმეობითობისა ზოგადი მითითებაა პროცესზე, მაგრამ ზოგჯერ როგორც ხოლმეობითის, ისე მრავალგზისობის შინაარსის გადმოცემისას საჭირო იყო დაზუსტება, დაკონკრეტება ხოლმეობითობისა თუ მრავალგზისობის ხასიათისა. ამიტომაც გამოიყენებს ხოლმეობითობისა თუ მრავალგზისობის შინაარსის შემცველ ლექსიკურ ერთეულებს. მაგალითად:

ხოლმეობითობისათვის: „რაჲთა არა მ ა რ ა დ ი ს მოვიდოდის“ (ლ. 18, 5, DE).

მრავალგზისობისათვის: „მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს წარიტაცის, და შებორკილიან ჯაჭჭთა და საკრველითა და სცვედ და განხეთქის საკრველი და იდევნებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა“ (ლ. 8, 29 C).

მაგრამ აქ ერთი საინტერესო საკითხი იჩენს თავს: ლექსიკურად გამოხატული ხოლმეობითობის ან მრავალგზისობის შემთხვევაში ენობრივი თვალსაზრისით (უფრო სწორად, სტილისტურად) რამდენად მართებულია ასეთი კონსტრუქცია: ხოლმეობითის შინაარსის მქონე ლექსიკურ ერთეულთა გვერდით ხოლმეობითის მწკრივის ფორმები; მხედველობაში გვაქვს ზემომოყვანილი მაგალითები:

მარადის მოვიდოდის;
მრავალგზის წარიტაცის;
მრავალგზის განხეთქის და სხვ.

არის თუ არა ეს აზრობრივი გამეორება (ტავტოლოგია) და, შესაბამისად, ფრაზა სტილისტურად გამართული? არის თუ არა ეს ისეთივე ენობრივი უზუსტობა, როგორიცაა რიცხვითი სახელით გამოხატული მსაზღვრელის გვერდით **-ებ**-იან მრავლობითში დასმული საზღვრული: **მრავალი ადამიანები**? ვფიქრობთ, კი.

სტილისტური თვალსაზრისით გამართულ ვარიანტებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევები, როცა ხოლმეობითის ფორმების გვერდით არ გვხვდება ხოლმეობითის შინაარსის მქონე ლექსიკური ერთეულები და პირიქით: ხოლმეობითის შინაარსის მქონე ლექსიკურ ერთეულთა გვერდით — ხოლმეობითის მწკრივთა ფორმები:

მარადის მოვიდოდა;
მრავალ გზის წარიტაცა;
მრავალ გზის განხეთქა და მისთანანი.

ამ თვალსაზრისით ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციის შედარება საინტერესო სურათს ქმნის: ზემომყვანილი მაგალითი ოთხთავის ჯრუჭ-პარხლის რედაქციისაა:

რაჲთა არა **მარადის მოვიდოდის** (ლ. 18,5 DE);

ამის პარალელურად ადიშის რედაქციაში ვკითხულობთ:

რაჲთა არა **მოვიდოდის** (ლ. 18, 5 C).

სხვა მაგალითი:

DE რედაქცია: „რამეთუ **მარადის** ღამე და დღე საფლავებსა და მთათა გარე **იქცევიან** (მრ. 5, 5 DE);

C რედაქცია: და **მარადის** დღე და ღამე სამარობანსა შინა და მთათა შინა **იყო** (მრ. 5, 5 C).

კიდევ ერთი ნიმუში:

C რედაქცია: და **მრავალ გზის** ცეცხლსა **შთააგდის** (მრკ. 9, 22 C);

DE რედაქცია: და **მრავალ გზის** ცეცხლსა **შთააგდო** (მრკ. 9, 22 DE).

ასე ვთქვათ, სტილსტურად გამართული ვარიანტი ერთ შემთხვევაში C რედაქციაშია, მეორე შემთხვევაში — DE რედაქციაში. ამ თვალსაზრისით თუნდაც ოთხთავის რედაქციათა გამოწვლილვით შესწავლა, ვფიქრობთ, საინტერესო შედეგს მოგვცემს. ცხადია, ამ შემთხვევაში წარმოჩნდება უპირველესად რედაქტორის (თუ მთარგმნელის) ენობრივი ალღო და ინტუიცია. საინტერესოა აგრეთვე ნათარგმნი ძეგლების შემთხვევაში დედნის მონაცემების გათვალისწინებაც (სამწუხაროდ, ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ): რამ უბიძგა მთარგმნელს თუ რადაქტორს ტავტოლოგიისაკენ.

და კიდევ: ის ფაქტი, რომ ხოლმეობითის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა გვერდით არახოლმეობითი მწკრივების ფორმები გამოიყენება, როგორც ვთქვით, მწიგნობრის ზუსტი ენობრივი ალღოს შედეგია და არა მაგალითი იმისა, რომ „ენაში დაწყებულია II ხოლმეობითის მოშლა“ (ზ. სარჯველაძე, 1979). ფაქტია, ხოლმეობითის მწკრივთა გაქრობა და მათი ჩანაცვლება სხვა მწკრივებით ენობრივი რეალობაა, მაგრამ ეს მაგალითი ამის დასტურად არ გამოდგება.

ერთი საგულისხმო დეტალიც: საკითხის დასმისათვის ჩვენ მხოლოდ ორი ძეგლი შევისწავლეთ. ნათარგმნი — ოთხთავის ორი ძველი რედაქცია და ორიგინალური — გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. გიორგი მერჩულის თხზულებაში ჩვენ ვერ დავადასტურეთ ვერცერთი შემთხვევა, ხოლმეობითის გამომხატველ სიტყვათა გვერდით ხოლმეობითის მწკრივის ფორმები რომ ყოფილიყო დამოწმებული. ასეთი მაგალითები ოთხთავის რედაქციებში დადასტურდა (ზემომოყვანილ მაგალითებს ვგულისხმობთ). თუ ეს საკითხი შემდგომი კვლევა-ძიების საგანი გახდება, ეს ფაქტი ახსნას მოითხოვს. როგორც

ვთქვით ზემოთ, დედნის გავლენა არ უნდა გამოირიცხოს.

ერთი საინტერესო შემთხვევაც; ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში ხოლმეობითის შინაარსის გამომხატველი ლექსიკური ერთეულის უახლოესი შემასმენელი არახოლმებითის მწკრივის ფორმითაა წარმოდგენილი, სხვა — ხოლმეობითის მწკრივის ფორმით. ე. ი. ლექსიკური ერთეული ხოლმეობითის შინაარსს ანიჭებს უახლოეს შემასმენელს, სხვები ამ შინაარსს ზმნური ფორმიდან იღებენ:

> რამეთუ მრავალ გზის ჯაჭჯთა და ბორკილითა შეკრულ **იყო** და **განხეთქის** და **შემუსრის** იგი (მრკ. 5,4 DE).
> და მარადის დღე და ღამე სამაროხანსა შინა და მთათა შინა **იყო**, **ღაღადებნ** და ქვითა **დაიტკნვინ** (მრკ. 5,5 C).

ალბათ აქვე უნდა განვიხილოთ ასეთი მაგალითიც:

> და არცა ღამჱ სანთელი **აღანთიან**, არამედ ღამჱ **იყო** ფსალმუნებაჲ და დღისი წიგნის კითხვაჲ და ლოცვაჲ მარადის (მერჩ. 1947, 118).

ზემოთაც ვთქვით: ხშირ შემთხვევაში მწიგნობარს სურს, მიანიშნოს არა ზოგადად ხოლმეობითობა თუ მრავალგზისობა, არამედ დააკონკრეტოს, თუ რა სახისაა ეს ხოლმეობითობა თუ მრავალგზისობა. ამ ფაქტს ვუწოდებთ ხოლმეობითის აღწერით წარმოებას. აღწერით წარმოებაში ძირითადად გამოიყენება ზმნის აწმყოს, წყვეტილისა და უწყვეტლის ფორმები; სახელადი ნაწილი (ასე ვთქვათ პირობითად) ამგვარ კონსტრუქციაში სხვადასხვა სიტყვითაა წარმოდგენილი. მოვიყვანთ ნიმუშებს გიორგი მერჩულის თხზულებიდან:

> **მარადის** — ანგელოზნი მათნი **მარადის** ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა ზეცათაჲსა (მერჩ. 1947, 117); სიმართლესა შინა მათსა **მარადის** თავთა თჳსთა ბრალობაჲ აქუნდა (იქვე); ძირი სიწმიდისაჲ **მარადის** გულსა მისსა დანერგულ იყო (იქვე).

როგორც ვთქვით, ზმნა სხვადასხვა მწკრივის ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ქვემოთ თითო მაგალითს წარმოვადგენთ.

> **მარადღე** — შენთვის მოვსწყდებით ჩუენ **მარადღე** (იქვე, 106).
> **დღე და ღამე** — რომელი არა განეშორებოდა ტაძრისაგან უფლისა **დღე და ღამე** ლოცვითა და მარხვითა (იქვე, 122-123).

დღითი-დღე — **და დღითი-დღე** აღორძნდებოდეს ძმანი (იქვე, 106).

სიჩჩოჲთგანვე — რამეთუ **სიჩჩოჲთგანვე** ღჳნოჲ და ჴორცი არა შეჴდა პირსა მისსა (იქვე, 100).

საშოჲთგანვე დედისაჲთ — და **საშოჲთგანვე დედისაჲთ** შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თჳსისა (იქვე).

სიყრმიდანვე — ღჳნოჲ კულა **სიყრმითგანვე** არა ესუა (იქვე, 113).

ყოვლადვე — და მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღჳნოსა **ყოვლადვე** (იქვე, 113).

მყოვარ ჟამ — ვითარცა სახედ ეკლესიისა ნათლისა ღრუბელი გამოხატული იდგა **მყოვარ ჟამ** (იქვე, 103).

მრავალჟამ — და **მრავალჟამ** მარტოდ უბნობდეს ნეტარნი ესე (იქვე, 138).

სამ-გზის — რამეთუ დამარხვასა სხუათა მიცვალებულთასა **სამ-გზის** იპოვა შინაგან კარსა აკლდამისასა მდებარე (იქვე, 140).

შჳდ-გზის — არა თუ **შჳდ-გზის** ოდენ შეუნდო ძმათა დღესა შინა, არამედ სამეოცდაათ ჯერ **შჳდ-გზის** (იქვე, 106).

მაგალითების გამრავლება შეიძლება. „გრიგოლ ხანძთელს ცხოვრებიდან“ საილუსტრაციო მასალა იმიტომ მოვიხმეთ, რომ ამ ძეგლისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია ხოლმეობითის მწკრივის ფორმები; ორიოდე მაგალითი:

> პირველად **გამოსცადის** ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, და უკუეთუ **იპოვის** გულითა უმანკოჲ, უზაკუველი და უდრტჳნველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეთილსა საქმესა, იგი **შეიწყნარის** სიხარულით (იქვე, 107).

ანდა:

> და რაჟამს მამაჲ გრიგოლ სტუმრად **მიიწჳის** იშხანს, ეპისკოპოსმან სუდარსა იგი **დასჳს**, და თჳთ თანა **დაჴდის,** რამეთუ არა თავს **იდვის** ურჩებაჲ ნეტარისა გრიგოლისი (იქვე, 119)...

შესაბამისად, ამ ძეგლებში ხოლმეობითის გამოხატვის აღწერითი წარმოების გამოყენება ხდება არა იმიტომ, რომ მოშლის გზაზეა ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია, არამედ იმიტომ, რომ ავტო-

რისათვის ხოლმეობითობის გამოხატვის აღწერითი და ორგანული წარმოება არის ორი შესაძლებლობა ერთი და იმავე შინაარსის გადმოსაცემად და გამოიყენებს ერთ-ერთ მათგანს იმისდა მიხედვით, თუ მისი მწერლური ალღო რას უკარნახებს, რას მიიჩნევს საჭიროდ. ერთ კონსტრუქციაში ორივე საშუალება რომ არ გვხვდება, ეს ქართული ენის შინაგანი ბუნების ღრმა წვდომის შედეგია.

ვფიქრობ, ეს საკითხი უფრო ღრმა და გამოწვლილვით შესწავლას საჭიროებს.

ვიმეორებთ, ეს არ ცვლის მოვლენის ისტორიას; ამან შეიძლება მხოლოდ ხელი შეუწყო (დააჩქარა) ორგანული წარმოების მოშლას.

26.6. მრავალგზისობის გამომხატველ მწკრივთა ურთიერთობის საკითხი ძველ ქართულში

ძველ ქართულ ენაში რამდენიმე მწკრივია მრავალგზისობის გამომხატველი; სახელები სერიათა მიხედვით ერქმევა:

I ხოლმეობითი (ანუ უწყვეტლის ხოლმეობითი):

(და)-ვ-წერ-დ-ი	შდრ. უწყვეტელი:	(და)-ვ-წერ-დ-(ი)
(და)-ს-წერ-დ-ი		(და)-ს-წერ-დ-(ი)
(და)-წერ-დ-ი-ს		(და)-წერ-დ-ა
(და)-ვ-წერ-დ-ი-თ		(და)-ვ-წერ-დ-ი-თ
(და)-ს-წერ-დ-ი-თ		(და)-ს-წერ-დ-ი-თ
(და)-წერ-დ-ი-ან		(და)-წერ-დ-ეს

II ხოლმეობითი (ანუ წყვეტილის ხოლმეობითი)

(და)-ვ-წერ-ი	შდრ. წყვეტილი:	(და)-ვ-წერ-ე
(და)-ს-წერ-ი		(და)-ს-წერ-ე
(და)-წერ-ი-ს		(და)-წერ-ა
(და)-ვ-წერ-ი-თ		(და)-ვ-წერ-ე-თ
(და)-ს-წერ-ი-თ		(და)-ს-წერ-ე-თ
(და)-წერ-ი-ან		(და)-წერ-ეს

III ხოლმეობითი (ანუ II თურმეობითის ხოლმეობითი)

და-მ-ე-წერ-ი-ს	შდრ. II თურმეობითი:	და-მ-ე-წერ-ა
და-გ-ე-წერ-ი-ს		და-გ-ე-წერ-ა
და-ე-წერ-ი-ს		და-ე-წერ-ა
და-გუ-ე-წერ-ი-ს /	და-მ-ე-წერ-ი-ს	და-გუ-ე-წერ-ა / და-მ-ე-წერ-ა
და-გ-ე-წერ-ი-ს		და-გ-ე-წერ-ა
და-ე-წერ-ი-ს		და-ე-წერ-ა

როგორც ვიცით: კიდევ ერთ ხოლმეობითზე საუბრობენ — აწმყოს ხოლმეობითზე, რომელიც, ა. შანიძის აზრთ, პირნაკლია. ამის თაობაზე გვქონდა ზემოთ საუბარი (§ 6.2). მოეპოვება მხოლოდ III პირის ფორმა (ა. შანიძე, 1976, გვ. 91); ზ. სარჯველაძე სრულ პარადიგმას წარმოადგენს: I-II პირთა ფორმები ემთხვევა აწმყოსას (ზ. სარჯველაძე, 2005, გვ. 94). ნიმუში:

ე. წ. **აწმყ. ხოლმეობითი**	შდრ. აწმყო:
ვ-წერ	ვ-წერ
ს-წერ	ს-წერ
წერ-ნ	წერ-ს
ვ-წერ-თ	ვ-წერ-თ
ს-წერ-თ	ს-წერ-თ
წერ-ედ	წერ-ენ

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ფორმობრივი თვალსაზრისით აწმყოს ხოლმეობითის გამოყოფა დამოუკიდებელ მწკრივად არ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად. III სუბიექტური პირის ნიშანთა სისტემაში მომხდარი ცვლილებების კვალდაკვალ მოხდა აწმყოში პირის ნიშანთა გადანაწილება, თუმცა ეს პროცესი ბოლომდე ვერ გატარდა; როგორც ჩანს, მრავალგზისობის კატეგორიის მოშლამ ეს ტენდენცია უპერსპექტივო გახადა. ამის თაობაზე უფრო ვრცლად სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემაზე საუბრისას ვიმსჯელეთ.

როგორც ჩანს, „ისტორიულად ქართულში გვქონდა მოქმედების ერთგზისობისა და მრავალგზისობის მორფოლოგიური ოპოზიცია:

გზისობა / სერია	ერთგზისი	მრავალგზისი
I სერია	(და)-წერ-დ-ა	(და)-წერ-დ-ი-ს
II სერია	(და)-წერ-ა	(და)-წერ-ი-ს
III სერია	(და)-ე-წერ-ა	(და)-ე-წერ-ი-ს

(ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 388).

წარმოების პრინციპი, მიმართება შესაბამისი ერთგზისი მოქმედების გამომხატველ ფორმასთან ერთგვარია — მრავალგზის ფორმებს ერთგზისისაგან **-ი** ელემენტი განასხვავებს. ცხადია, მრავალგზისობის მაწარმოებელი ეს **-ი** სუფიქსია. იგი მწკრივის საყრდენ ფუძესთან ერთად ქმნის მწკრივის ფორმას. ესაა მრავალგზისობის გამოხატვის სისტემა: აქ არ დგას საკითხი მრავალგზისი ფორმების ერთგზისისაგან მომდინარეობისა, ანუ იმისა, რომ მრვალგზისი ფორმებისათვის საყრდენია ერთგზისის ფუძე. სამივე შემთხვევაში ერთგზისი და მრავალგზისი მწკრივების ფუძეები ერთმანეთს ჩანაცვლების პრინციპით მიემართებიან; ითქვას ესეც: შესაბამისი კავშირებითის ფუძეც:

წერ-დ- <
- 0/(ი) — (და-)ვ-**წერ-დ**-(ი)
- -ი — (და-)ვ-**წერ-დ**-ი
- -ე — (და-)ვ-**წერ-დ**-ე

წერ- <
- ე — (და-)ვ-**წერ-**ე
- ი — (და-)ვ-**წერ-**ი
- ე — (და-)ვ-**წერ**-ო

ე-წერ- <
- ე — (და-)ვ-**ე-წერ-**ე
- ი — (და-)ვ-**ე-წერ-**ი
- ო — (და-)ვ-**ე-წერ**-ო

*

* *

არ არის ჩვენი მიზანი ფუნქციური ანალიზი ხოლმეობითისა, უფრო სწორად, იმ სხვაობის გარკვევა, რაც ამ სამ ხოლმეობითს შორისაა. ჩვენთვის არსებითი სხვა არის: II ხოლმეობითი არის ძირითადი მრვალგზისობის გამომხატველ ფორმათა შორის: ე. წ. აწმყოს ხოლმეობითის თაობაზე ვთქვით — იგი აწმყოს ფორმობრივი ვარიანტია, ზოგა-

დი აწმყოს ფუნქცია რომ იტვირთა... გვიან ჩნდება და მალევე ქრება...

უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივიც გვიანდელი წარმონაქმნი ჩანს. მისი ფორმები ძველი ქართული ენის ძეგლებში იშვიათია. ა. შანიძის აზრით, ეს მწკრივი X საუკუნეში ჩნდება და იგი პირვანდელია — მოეპოვება მხოლოდ III პირის ფორმები (ა. შანიძე, 1945, გვ. 835). პირნაკლად მიიჩნევს არნ. ჩიქობავაც; „მრავალგზით“ ფორმაზე მსჯელობისას 1923 წელს იგი შენიშნავს: „ძველი ქართულის სამი ფორმაა ცნობილი ამ სახელწოდებით: ე. წ. I. აწმყო მრავალგზითი (3 პ. მხოლ. და მრავლ. რიცხვი: იხარებნ, გმობნ, სთხოვნ... იხარებედ, გმობედ, სთხოვედ), II. ნამყო უსრული მრვალგზ. (3 პ. მხოლ. და მრავლ. რიცხვი: იხარებდის, გმობდის, სთხოვდის... იხარებდიან, გმობდიან, სთხოვდიან) და III. ნამყო სრული (აორისტი) მრავალგზითი — ყველა პირებისა: სთხოვის, სთხოვი, ვსთხოვი... სთხოვიან, სთხოვით, ვსთხოვით... (არნ. ჩიქობავა, 1923, გვ. 7).

მოგვიანებით ლ. კიკნაძემ საგანგებოდ გამოიკვლია ეს მწკრივი, ტექსტებში დამოწმებულ ფორმათა რაოდენობა 49-მდე გაზარდა; მიიჩნია, რომ სრული პარადიგმა აქვს და X საუკუნეზე ადრე უნდა არსებულიყო (ლ. კიკნაძე, 1961). როგორც ჩანს, ეს თვალსაზრისი ა. შანიძემ გაიზიარა, ამიტომ „ძველი ქართული ენის გრამატიკის“ კურსში სრული პარადიგმა წარმოადგინა (ა. შანიძე, 1976, გვ. 92 და სხვა). ტექსტებში დამოწმებულ ფორმათა რაოდენობა ზ. სარჯველაძემ საგრძნობლად გაზარდა და ასეთი დასკვნა შემოგვთავაზა: „ეს მწკრივი VIII საუკუნიდან იჩენს თავს (აქ იმოწმებს ლ. კიკნაძის მითითებულ ნაშრომს — გ. გ.). XI-XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში იმის ხმარების შემთხვევები მატულობს. ქართულმა სალიტერატურო ენამ იგი თანდათან დაკარგა (იმოწმებს ა. შანიძეს — გ. გ.), მაგრამ შემოინახეს მთის დიალექტებმა. ეს კი მიუთითებს, რომ იგი სალიტერატურო ენის წარმონაქმნი კი არაა, არამედ ცოცხალ მეტყველებაშიც არსებობდა“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 438).

შეიძლება დაზუსტებას საჭიროებდეს მსჯელობა — „სალიტერატურო ენის წარმონაქმნია თუ ცოცხალი მეტყველებისაო“, მაგრამ ფაქტია, VIII საუკუნეზე ადრინდელ ძეგლებში უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივის ფორმები არ გვხვდება; ამ მწკრივის წარმოქმნა სწორედ ამ დროისათვის იწყება და, როცა იწყება მრავალგზისობის ორგანული წარმოების მოშლა, იმ დროისათვის შედარებით გაიზარდა მისი ხმარების შემთხვევები! ანუ: ვერ შეძლო ადგილის მყარად დაკვირვება დროკილოთა სისტემაში და სწორად II ხოლმეობითთან ერთად მოიშალა. ამ

შემთხვევაში მეორდება სწორედ ის პროცესი, რაც ე. წ. აწმყოს ხოლმეობითის შემთხვევისათვის აღინიშნა: ჩამოყალიბებამდე, მყარად დამკვიდრებამდე ჩაერთო იმ პროცესში, მრავალგზისობის ორგანული წარმოების მოშლა რომ ჰქვია.

კიდევ ერთი მომენტი: ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე II თურმეობითის აღწერით წარმოებაზე გადასვლაზე როცა მსჯელობს, წერს: „არის ზოგიერთი სხვა გარემოებაც, რომლებმაც განაპირობეს ხ ო ლ მ ე ნაწილაკის გამოყენების აუცილებლობა. ეს არის, კერძოდ, „უფუნქციო“ **-ი** სუფიქსიანი ნამყოს გავრცელება სალიტერატურო ენაში ერთი ტიპის ზმნებთან ყველა გვარის ფორმებში, როცა ერთგზის-მრავალგზისი აშკარად აირია და ორაზროვანი გახდა. შდრ. ვ თ ხ ო ვ დ ი, გ ა ვ თ ბ ი, გ ა ვ უ შ ვ ი ტიპის ზმნები, რომელთა ფუძეზე ხ ო ლ მ ე ნაწილაკის დართვა ქმნის საპირისპირო კატეგორიის გაგებას“ (ი. ქავთარაძე, 1961, გვ. 11).

ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ი ს აზრით, „ნართაული **ი** ანალოგიით მხოლობითის ფორმებში X საუკუნიდან დასტურდება“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 439). „სავარაუდოა, იგი ცოცხალ მეტყველებაში ადრე, VII-VIII საუკუნეებში არსებულიყო“ (იქვე, გვ. 441). მრავლობითის ფორმებში **ი** ჩვეულებრივ იხმარებოდა და აშკარა იყო პარადიგმათა დამთხვევა I-II პირებში:

უწყვეტელი	**უწყვეტლის ხოლმეობითი**
ვ-წერ-დ-ი	ვ-წერ-დ-ი
ს-წერ-დ-ი	ს-წერ-დ-ი
ვ-წერ-დ-ი-თ	ვ-წერ-დ-ი-თ
ს-წერ-დ-ი-თ	ს-წერ-დ-ი-თ

ისიც გავიხსენოთ — **ოდ**-ანი ზმნების უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითის პარადიგმები იდენტურია:

ვ-ტფ-ებ-ოდ-ი
ს-ტფ-ებ-ოდ-ი
ტფ-ებ-ოდ-ი-ს
ვ-ტფ-ებ-ოდ-ი-თ
ს-ტფ-ებ-ოდ-ი-თ
ტფ-ებ-ოდ-ი-ან

ეს ასეა ყველა შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, **დ**-სავრცობიან ზმნებში I-II პირის ფორმათა დამთხვევა უწყვეტლის ხოლმეობითსა და უწყვეტელში, ერთი მხრივ, და უწყვეტლის ხოლმეობითსა და I კავშირებითის პარადიგმათა დამთხვევა **ოდ**-იან ზმნებში, მეორე მხრივ, არის ხელისშემწყობი პირობა უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივის გაქრობისა; მიზეზი — მრავალგზისობის კატეგორიის გამოხატვის ორგანულ ფორმათა აღწერით წარმოებაზე გადასვლის ტენდენციაა.

შენიშვნა: ვთქვით: I კავშირებითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები დაემთხვა ერთმანეთს-თქო **ოდ**-იან ზმნებში. ერთიცაა გასათვალისწინებელი: I კავშირებითის **ოდ**-იანი ფორმები არსებობდა. უწყვეტლის ხოლმეობითი გვიან ყალიბდება. ხომ არ დაისმის საკითხი ასე: კი არ დაემთხვა ორი პარადიგმა ერთმანეთს, **ოდ**-იანი ზმნების I კავშირებითმა შეითავსა ხოლმეობითის ფუნქციაც. შდრ. შერეული კავშირებითის შემთხვევა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ყველა ტიპის ზმნასთან ერთგვარი ვითარებაა, ამიტომ არცაა მიზანშეწონილი დამოუკიდებელ მწკრივებზე (შერეული კავშირებითი და შერეული ხოლმეობითი) საუბარი (იხ. აქვე § 6.2.). I სერიაშიც რომ ყველა შემთხვევაში **ოდ**-იანების მსგავსი ვითარება ყოფილიყო, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივის შესახებ არც ვისაუბრებდით...

ასეთივე ვითარებაა (შეიძლება უფრო მარტივიც) III ხოლმეობითის შემთხვევაში. ა. შანიძემ XI-XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში შენიშნა იშვიათი ფორმები ზმნისა (განევლიან, ბრძოლა-ეცის, ებრძანის და სხვ.), რომელთაც III ხოლმეობითი უწოდა: „სხვათა შორის XI-XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გვხვდება ერთი იშვიათი მწკრივი, რომელიც აქამომდე შეუმჩნეველი იყო“ (ა. შანიძე, 1946, გვ. 2). ა. შანიძემ სულ 11 ზმნა დაადასტურა III ხოლმეობითის ფორმით, ყველა მოქმედებითი გვარისა; დ. გეწაძემ იმავე პერიოდის ძეგლებში დამატებით 7 მაგალითი მოიპოვა (დ. გეწაძე, 1952, 186-187). რამდენიმე ათეული შემთხვევა დაადასტურა ამ მწკრივის ხმარებისა ზ. სარჯველაძემ; მანვე მოიპოვა საშუალ-მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებიც III ხოლმეობითისა და აღნიშნა, რომ „ამ მწკრივის ფორმები წერილობით ძეგლებში X საუკუნიდან გვხვდება“

(ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 463).

ამ მწკრივთან დაკავშირებით, ძალზე საინტერესო გვეჩვენება ა. შანიძის მსჯელობა: „უადგილო არ იქნება ვიკითხოთ: უძველესი დროიდან მომდინარეობს III ხოლმეობითის ფორმები, თუ ისინი შემდეგ განვითარებულია უწყვეტლის ხოლმეობითის მსგავსად? ამ კითხვას რომ სწორი პასუხი გაეცეს, საჭიროა ყველა მოღწეული ძეგლი იყოს შესწავლილი მწკრივთა ხმარების თვალსაზრისით, თუ სახარების ენაში არ გვხვდება აღნიშნული მწკრივი, ეს კიდევ არაფერს ნიშნავს, რადგან ძეგლი ნათარგმნია და ამის გამო იქ საზოგადოდ III სერიის ფორმები იშვიათია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ძველ ქართულში მრვალგზისობის კატეგორია მკაფიოდ არის გამოხატული როგორც I, ისე II სერიაში, არავითარი საბუთი არა გვაქვს, დავეჭვდეთ, რომ ეს კატეგორია III სერიის მწკრივითაც შეიძლება ყოფილიყო გადმოცემული. ცოცხალ მეტყველებაში ალბათ ის ძველადაც მოიპოვებოდა“ (ა. შანიძე, 1946, გვ. 10-11). ამ უკანასკნელ ვარაუდს ზ. სარჯველაძე განავრცობს: „სავარაუდოა, ეს მწკრივი დამახასიათებელი ყოფილიყო ქართული ენის დიალექტთა გარკვეული ჯგუფისათვის. ვფიქრობთ, III ხოლმეობითი სამხრეთ საქართველოს ზოგ დიალექტშიც X-XIII საუკუნეებში არსებობდა. III ხოლმეობითის ფორმები გვხვდება იმ მწერალთა ნაწერებში, რომლებიც სამხრეთ საქართველოდან არიან (ეფთჳმე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე, შოთა რუსთაველი...)“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 466).

ლოგიკა ა. შანიძის მსჯელობისა, აგრეთვე დამოწმებულ ფორმათა რაოდენობა და ქრონოლოგია დადებით პასუხს გაგვაცემინებს ამ კითხვაზე: გვიან განვითარებულია III ხოლმეობითის ფორმები უწყვეტლის ხოლმეობითის მსგავსად თუ არაო. შესაბამისად იგივე ლოგიკა არ დაუჭერდა მხარს ვარაუდს იმის შესახებ, რომ დადასტურებული ფორმები III ხოლმეობითისა ნაშთია ძველი ვითარებისა: „სხვა დიალექტებმა ეს მწკრივი უფრო ადრე დაკარგეს (იგულისხმება სამხრულ დიალექტებზე ადრე — გ. გ.), ალბათ ამით აიხსნება, რომ III ხოლმეობითი არ დასტურდება V-IX საუკუნეთა ძეგლებში, აგრეთვე X საუკუნის ხელნაწერებში (გამონაკლისია: შატბერდის კრებული, Ath.-32, ათონის ასკეტური კრებული, პარხლის მრავალთავი“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 466-467).

ყოველგვარი საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ვიფიქროთ: ხოლმეობითების სისტემაში (I ხოლმეობითი, II ხოლმეობითი, III ხოლმეობითი, ე. წ. აწმყოს ხოლმეობითი, ე. წ. შერეული ხოლმეობითი) ძი-

რითადია და ოდინდელი II ხოლმეობითი; დანარჩენები გვიან ჩამოყალიბებული; ე. წ. აწმყოს ხოლმეობითი და ე. წ. შერეული ხოლმეობითი ვერ განვითარდა როგორც მწკრივი; I ხოლმეობითი (უწყვეტლის ხოლმეობითი) და III ხოლმეობითი ჩამოყალიბდა როგორც მწკრივი, მაგრამ ვერ დამკვიდრდა სისტემაში, რადგან მათი ჩამოყალიბების პროცესი დაემთხვა მრავალგზისობის კატეგორიის გამოხატვის პრინციპის შეცვლის პერიოდს.

დრო-კილოთა სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ხოლმეობითის ისტორიის კვლევამ არნ. ჩიქობავა ამ დასკვნამდე მიიყვანა: „ხოლმეობითის ისტორიასთან დაკავშირებით გამოირკვა, რომ **გარდამავალ** ზმნას ეწარმოებოდა **ნამყო ძირითადის** წყება (ხოლმეობითი, ნამყო ძირითადი და ამ უკანასკნელისაგან — კავშირებითი მეორე, მაგრამ **არ გააჩნდა აწმყოს წყება. გარდაუვალ სტატიკურ** ზმნებს მოეპოვებოდა აწმყოს წყება (ზოგ ზმნას მხოლოდ აწმყო!), მაგრამ არ ეწარმოებოდა ნამყო ძირითადის წყება. გარდაუვალ ზმნას, რამდენადაც ის სტატიკური იყო, **მხოლოდ** დიურატიული ასპექტის ნაკვთები **ეწარმოებოდა (აწმყო, ნამყო უსრული);** გარდამავალ ზმნას ორი ასპექტის **შესაძლებლობა ქონდა: მომენტობრივისათვის — ნამყო ძირითადი** (და კავშირებითი II) იყო განკუთვნილი, **დიურატიულისათვის — ხოლმეობითი;** აწმყოს წყების დანაკლისს ავსებდა ხოლმეობითი, როგორც განგრძობითი ასპექტის ნაკვთი: **განგრძობითი ასპექტი ერთ სიბრტყეზე აყენებს სტატიკურ ზმნათა აწმყოს და გარდამავალ ზმნათა ხოლმეობითს**“ (არნ. ჩიქობავა, 1948(1), გვ. 110-111).

ეს დასკვნაც, როგორც ვხედავთ, II ხოლმეობითის ფორმათა უძველესობაზე მეტყველებს. სამი ძირითადი დრო: აწმყო, წყვეტილი და II ხოლმეობითი... და განგრძობითი (დიურატიული) ასპექტის, ანუ მრავალგზისობის (ხოლმეობითის) გამოხატვის ორგანული წარმოება იცვლება აღწერითი წარმოებით. ეს გრძელი პროცესია; როგორც ვთქვით, საუკუნეების მიღმა იღებს სათავეს და გრძელდება დღესაც. ამ გზასაც გვინდა თვალი გავადევნოთ.

26.7. მრავალგზისობის გამოხატვა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში

ითქვა: ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრით, „რაც შეეხება მრავალგზისობას, მისთვის ძველად საგანგებო მწკრივი იყო (და არა მწკრივებიო!? — გ. გ.), რომელიც დღევანდელ მთის კილოებსა და ქიზიყურშია დაცული“.

მრავალგზისობის გამომხატველ იდიომათა შორის ქიზიყური, ინ-

გილოური და ფერეიდნული ერთ ჯგუფს ქმნიან, სადაც მრავალგზისობის გამოხატვის ცვლილებათა ტენდენციის ერთი ხაზია წარმოდგენილი, სხვადასხვა ეტაპი განვითარების ამ ხაზისა. ამის შესახებ ქვევით ვისაუბრებთ.

მეორე ჯგუფს, უფრო რთულსა და მრავალფეროვანს — აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები ქმნიან (ფხოურს რომ უწოდებდა ა. შანიძე). ესაა ხუთი დიალექტი ქართული ენისა: ხევსურული, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყრულითურთ) და მოხეური. ამ დიალექტთაგან ძველი ქართულის სამივე ხოლმეობითი შემოგვინახა მხოლოდ ხევსურულმა: I ხოლმეობითი (უწყვეტლის ხოლმეობითი),
II ხოლმეობითი (წყვეტილის ხოლმეობითი),
III ხოლმეობითი (II თურმეობითის ხოლმეობითი).

დანარჩენ ოთხ დიალექტში მხოლოდ I-II ხოლმეობითებია შემორჩენილი.

მთიულური იმით განსხვავდება სხვა დიალექტებისაგან, რომ ძველი ქართულის ვითარება (ხოლმეობითის მწკრივთა წარმოება მაქვს მხედველობაში) ყველაზე უკეთ ამ დიალექტშია შემონახული:

I ხოლმეობითი:	ვ-ჭამ-დ-ი	ვ-ჭამ-დ-ი-თ
	ს-ჭამდ-ი	ს-ჭამ-დ-ი-თ
	ჭამდ-ი-ს	ჭამდ-ი-ან
II ხოლმეობითი:	ვ-ჭამ-ი	ვ-ჭამ-ი-თ
	ს-ჭამ-ი	ს-ჭამ-ი-თ
	ჭამ-ი-ს	ჭამ-ი-ან

ესაა ძირითადი ვარიანტი მრავალგზისობის გამომხატველ ფორმათა. იქვე თავს იჩენს **-კე (← ყე)** ნაწილაკიანი წარმოება: **იღებს-კე, აიღებდა-კე...** „კე შეიძლება დაერთოს აწმყო-მყოფადის, ნამყო უსრულის ფორმებს“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 285).

არის მესამე ვარიანტიც — ასე ვთქვათ, გარდამავალი, როცა **-კე** დაერთვის ხოლმეობითის ორგანულ წარმოებას: ეზიდებოდ-ი-ს-კე, ეზიდებოდ-ი-ან-კე... გაუშვ-ი-ს-კე, გაუშვ-ი-ან-კე...

ფორმათა განვითარების დინამიკა ასეთია:
ჭამდ-ი-ს → ჭამდ-ი-ს-კე → ჭამდ-ა-კე
გაუშვ-ი-ს → გაუშვ-ი-ს-კე → გაუშვებდა-კე.

სამივე ეს საფეხური არის დადასტურებული მთიულურში, სისტემური თვალსაზრისით უპირატესობა პირველ საფეხურს ენიჭება. მოხეურთან შედარებით ცვლილების პროცესი აქ შენელებულია.

ანალოგიური ვითარებაა მოხეურშიც: აქ შემორჩენილი გვაქვს ძველი ქართულისებური ორგანული წარმოება I-II ხოლმებითისა (I საფეხური):

I ხოლმეობითი:	(მა)ვ(ს)თიბდ-ი	(მა)ვ(ს)თიბდ-ი-თ
	(მა)სთიბდ-ი	(მა)სთიბდ-ი-თ
	(მას)თიბდ-ი-ს	(მას)თიბდ-ი-ან
II ხოლმეობითი:	(მა)ვ(ს)თიბ-ი	(მა)ვ(ს)თიბ-ი-თ
	(მა)სთიბ-ი	(მა)სთიბ-ი-თ
	(მას)თიბ-ი-ს	(მას)თიბ-ი-ან

ეს სახეობა უკვე იშვიათია მოხეურში, უფრო გავრცელებული კონტამინირებული (II საფეხური და ოდენ **კე** (← ყე) ნაწილაკიანი (III საფეხური) წარმოებაა:

I ხოლმეობითი:	ვაკეთებდ-ი-კე	ვაკეთებდ-ი-თ-კე
	აკეთებდ-ი-კე	აკეთებდ-ი-თ-კე
	აკეთებდ-ი-ს-კე	აკეთებდ-ი-ან-კე
II ხოლმეობითი:	(გა)ვაკეთ-ი-კე	(გა)ვაკეთ-ი-თ-კე
	(გა)აკეთ-ი-კე	(გა)აკეთ-ი-თ-კე
	(გა)ვაკეთ-ი-ს-კე	(გა)აკეთ-ი-ან-კე

და ბოლო საფეხური ცვლილებისა: -**კე** ნაწილაკი დაერთვის აწმყო-მყოფადის, უწყვეტლისა და წყვეტილის მწკრივთა ფორმებს (ი. ქავთარაძე, 1985, გვ. 57); მაგალითები: ცხორი ხშირად **ბრმებაკე**; სულ ის **გუინდაკე**; ადრე **ვდგებითკე**; ნაცარჩიგა **მოვხარშავთკე**; სუილს **გავლბერტყოკე**; მზეზე **გავფენთკე**... „ნამყო-უსრულის ფორმას, ჩვენი დაკვირვებით, **კე** პირველ-მეორე პირში ერთვის, მესამე პირში ის ხოლმეობითს აძლიერებს; ვაკეთებდიკე, აკეთებდიკე, აკეთებდისკე (აკეთებდაკე არ იხმარება!) (ი. ქავთარაძე, 1985, გვ. 52).

ასევე მიუთითებენ, რომ „ნამყო სრულის ფორმებთან ძალიან იშვიათია **კე:** გავთიბეკე, გასთიბეკე, გათიბაკე (ე. ი. „მან გათიბა ხოლმე“) მოხეურში ჯერჯერობით თითქმის სულ არ გვხვდება, რადგანაც **გათიბის** ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ მივიწყების გზაზეა, მას გაძლიერება ესაჭიროება და ამით აიხსნება **კე**-ს დართვა“ (ი. ქავთარაძე, 1985, გვ. 57).

როგორც ირკვევა, სიხშირული თვალსაზრისით, II საფეხური

(კონტამინირებული -ი-კე) ჭარბობს სხვებს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოხეური ერთადერთია მთის დიალექტთაგან, სადაც **კე**-ს ადგილს ზოგჯერ **ხოლმე** ნაწილაკი იჭერს. ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ასეთ მაგალითს მოიყვანს: „ცხორჩი როცა **ვიყვით ხოლმე**“ (ი. ქავთარაძე, იქვე). თუ ეს სალიტერატურო ენის გავლენა არ არის, უდავოდ საინტერესოა.

ამგვარად, მრავალგზისობის გამოხატვა მთიულურსა და მოხეურში ერთგვარად ხდება; განსხვავებას პროცესის დინამიკა იძლევა: მოხეურში ცვლილება შედარებით დაჩქარებული ტემპით ხდება, ძველიქართულისებრი ფორმები იშვიათია; მთიულურში პირიქით: სწორედ ძველი ვარიანტი არის უფრო გავრცელებული.

ძალზე საინტერესო ვითარებაა თუშურ-ხევსურულ-ფშაურში. ეს დიალექტები ღირსსაცნობ ვარიანტს გვთავაზობენ მრავალგზისობის გამოხატვის თვალსაზრისით არქაული და ინოვაციური ვარიანტების შერწყმისას. ის ფაქტი, რომ ამ ჯგუფში მრავალგზისობა ორგანულად იწარმოება (არა გვაქვს ნაწილაკიანი ფორმები), არქაულ ვითარებას ეხმიანება. რაც შეეხება I-II პირებში **-იდ/-ოდ** სუფიქსთა გამოვლენას, ეს ინოვაციაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მრავალგზისობის გამოხატვაში ცვლილების ტენდენციას **-იდ/ -ოდ** სუფიქსთა გამოვლენით უჭერს მხარს.

I-II ხოლმეობითის I-II პირის ფორმებში თუშური და ხევსურული დიალექტები **-იდ** სუფიქსს დაირთავენ უწყვეტლისა და წყვეტილის ფუძეზე, ხოლო ფშაური — **-ოდ** სუფიქსს.

შენიშვნა: 1. როგორც ვთქვით, ხევსურულში დასტურდება III ხოლმეობითის ფორმები, „ოღონდ იშვიათი ხმარებისაა ისევე, როგორც ძველ ქართულში“ (ა. ჭინჭარაული, 1960, გვ. 145). ა. არაბულის ცნობით, ეს მწკრივი ხევსურულში იწარმოება ძველიქართულისებურად:

(მა)მეთიბის	(მა)გვეთიბის
(მა)გეთიბის	(მა)გეთიბისთ
(მა)ეთიბის	(მე)ეთიბის

2. თ. უთურგაიძის მიხედვით, თუშურში I ხოლმეობითი ძველი ქართულისებურად იწარმოება: „უწყვეტლის ხოლმეობითის წარმოება თუშურში ისევე ხდება, როგორც ძველ ქართულში. იმისათვის ამოსავალია უწყვეტლის მწკრივი“ (თ. უთურგაიძე, 1960, გვ. 41). ნი-

მუშად სხვადასხვა ტიპის ზმნათა პარადიგმებია წარმოდგენილი; ერთ-ერთია:

ვთბებოდ̌ი	ვთბებოდით
სთბებოდ̌ი	სთბებოდით
თბებოდის	თბებოდიან

გ. ცოცანიძის აზრით, I ხოლმეობითი, ისევე როგორც II ხოლმეობითი, ხევსურულის მსგავსად (I-II პირის ფორმებზე **-იდ** სუფიქსის დართვით) იწარმოება (გ. ცოცანიძე, 1970).

(მა)ვსთიბდ-იდ-ი̌	(მა)ვსთიბდ-იდ-ი-თ
(მა)სთიბდ-იდ-ი̌	(მა)სთიბდ-იდ-ი-თ
(მა)სთიბდ-ი-ს	(მა)სთიბდ-ი-ან

ეს ის ვარიანტია, როგორიც გვაქვს თუშურის II ხოლმეობითსა და ამ ჯგუფის სხვა დიალექტებში.

პარადიგმის ნიმუშები I და II ხოლმეობითისათვის დიალექტთა ამ ჯგუფში (თუშური, ხევსურული, ფშაური):

I ხოლმეობითი

თუშურ-ხევსურული:	(მა)ვ(ს)თიბდ-იდ-ი̌	(მა)ვ(ს)თიბდიდ-ი-თ
	(მა)სთიბდ-იდ-ი̌	(მა)სთიბდიდ-ი-თ
	(მას)თიბდ-ი-ს	(მას)თიბ-ი-ან
ფშაური:	(მა)ვ(ს)თიბდ-ოდ-ი	(მა)ვ(ს)თიბდ-ოდ-ი-თ
	(მა)სთიბდ-ოდ-ი	(მა)სთიბდ-ოდ-ი-თ
	(მას)თიბდ-ი-ს	(მას)თიბდ-ი-ან

II ხოლმეობითი

თუშურ-ხევსურული:	(მა)ვთიბ-იდ-ი̌	(მა)ვთიბ-იდ-ი-თ
	(მა)თიბ-იდ-ი̌	(მა)თიბ-იდ-ი-თ
	(მა)თიბ-ი-ს	(მა)თიბ-ი-ან
ფშაური:	(მა)ვთიბ-ოდ-ი	(მა)ვთიბ-ოდ-ი-თ
	(მა)სთიბ-ოდ-ი	(მა)სთიბ-ოდ-ი-თ
	(მა)თიბ-ი-ს	(მა)თიბ-ი-ან

თუშურ-ხევსურულ-ფშაური ხოლმეობითი რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო:

პირველ ყოვლისა, ყურადღებას მივაპყრობთ იმას, რომ მორფოლოგიური თვალსაზრისით **-იდ** სუფიქსი (თუშურსა და ხევსურულში) **-ოდ** სუფიქსის (ფშაურში) ტოლფასად წარმოჩნდება.

ინოვაცია (ხოლმეობითის ფორმის სავრცობით გართულება გავ-თიბ-ი → გავ-თიბ-იდ /ოდ-ი), ვფიქრობთ, მხრის აბმაა იმ ტენდენციისა, ძველი ქართულის ორგანული წარმოების შეცვლა რომ წარმოადგენს; თვითონ გზაა ცვლილებისა განსხვავებული:

ა-ვ-იღ-ი
- ავიღ-ი-ყე/კე → ავიღებ (ან სხვა მწკრივის ფორმა) -კე (I)
- ავიღ-ი ხოლმე → ავიღებ (ან სხვა მწკრივის ფორმა) ხოლმე || უნაწილაკო
- ავიღ-იდ/ოდ-ი (უწყვეტელ-ხოლმეობითი) (II)

I გზით ცვლილება განვითარდა — მთიულურში, მოხეურში, ქიზიყურში, ინგილოურსა და ფერეიდნულში;

II გზით — ქართლ-კახურში (გარდა ქიზიყურისა), დასავლურ დიალექტებსა და სალიტერატურო ქართულში;

III გზით — თუშურში, ხევსურულსა და ფშაურში.

ამგვარად, მრავალგზისობის ორგანული წარმოების მოშლა მკვეთრად გამოხატული ტენდენციაა, რომელიც სხვადასხვა ნაირსახეობაში (იდიომაში) სხვადასხვაგვარად წარიმართა. პროცესი ცოცხალია და რა საბოლოო სახეს მიიღებს, ანდა როდის, ამის თქმა ამჯერად ძნელია.

ღირსსაცნობია ის ფაქტიც, რომ თუშურ-ხევსურულ-ფშაურში ცვლილება შეეხო მხოლოდ I-II პირს და არა — მესამეს. ეს ფაქტიც იმ ტენდენციის გამოვლენაა, რომელიც საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ქართულში და რომელიც ძველქართულშივე იღებს სათავეს. მხედველობაში გვაქვს III პირის განსხვავებული ფორმები I-II პირებთან შედარებით (იხ. § 10.):

ძველ ქართულში — სტატიკური ზმნები:

ვ-**დგა**-თ	ვ-**ჴამ**-თ
ს-**დგა**-თ	ჰ-**ჴამ**-თ
დგა-ან-ან	**ჴმ-ან**-ან და მისთ.

ავ/ამ თემისნიშნიანი ზმნების უწყვეტელი:

ვ-**კლევდ**(ი) ვ-**სუემდ**(ი)
ჰ-**კლევდ**(ი) ჰ-**სუემდ**(ი)
კლვიდ-ა **სუმიდ**-ა

ახალ სალიტერატურო ქართულში — სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითში მეშველ ზმნას დაირთავს I-II პირები:

ვ-ზი-**ვარ** დავ-ბერებულ-**ვარ**
ზი-**ხარ** და-ბერებულ-**ხარ**
ზი-ს და-ბერებულ-ა

დიალექტებში სხვადასხვა ტიპის ზმნათა წარმოებაში:

მესხური: ვ-**ბაძ-ან** იმერული: მევი-**ტან**-თ
ბაძ-ან მეი-**ტან**-თ
ბაძ-ებ-ენ მეი-**ტანებ-ენ** და სხვა...

იდ/ოდ სუფიქსიან ხოლმეობითებშიც ხშირად ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

და კიდევ ერთი კითხვა: როგორ შეიძლება აიხსნას განსხვავება ფშაურსა და თუშურ-ხევსურულს შორის?

ის ფაქტი, რომ სამივე დიალექტში ცვლილების ტენდენცია ერთი გზით წარიმართება, კონვერგენციის პროცესის მოქმედების შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული. „კონვერგენცია (← ლათინური „რაც ემთხვევა რასმე“) არის ანალოგიური ან იდენტური მოვლენების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მქონებლობა (პოვნიერება) ორ ან მეტ დიალექტში... კონვერგენცია უშუალოდაა დაკავშირებული დიალექტთა ინტეგრაციის პროცესთან. ორი რამ — დიალექტთა ურთიერთზეგავლენა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ მსგავს ან იდენტურ მოვლენათა განვითარება სხვადასხვა დიალექტში (კონვერგენცია) ედება საფუძვლად დიალექტთა დაახლოების, ინტეგრაციის პროცესს“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 138). ვფიქრობთ, სწორედ კონვერგენციის პროცესის მოქმედების შედეგი უნდა იყოს ერთგვაროვანი პროცესის ჩასახვა და განვითარება თუშურ-ფშაურ დიალექტებში (იდ/ოდ სუფიქსით გართულება ხოლმეობითის ფორმებისა).

რაც შეეხება განსხვავებას (იდ—ოდ), ბ. ჯორბენაძის აზრით, დი-

ვერგენციის პროცესის („საპირისპირო ენობრივი პროცესების მოქმედება ტერიტორიულად ახლომდგომ კილოებსა და კილოკავებში“) მოქმედების შედეგი უნდა იყოს:

ხევსურული (ა) თუშური)	ფშაური
და-ვ-წერ-იდ-ი̆	და-ვ-წერ-ოდ-ი
და-ს-წერ-იდ-ი̆	და-ს-წერ-ოდ-ი

მსგავსი ტიპის მაგალითები სხვაც სახელდება (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 135).

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ანგარიში უნდა გაეწიოს კიდევ ერთ ტენდენციას — დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენციას.

მომიჯნავე დიალექტებს შორის მხოლოდ ურთიერთზეგავლენის ფაქტორი რომ მოქმედებდეს, მაშინ დიალექტებს შორის განსხვავება მოიშლებოდა; ეს კი ხელს შეუწყობდა დიალექტების გაქრობას. არადა, ფაქტები სხვას მეტყველებენ: დიალექტები თანაარსებობენ მეზობლად და ინარჩუნებენ თავისთავადობას. „ეს იმიტომ, რომ ურთიერთზეგავლენასთან ერთად მომიჯნავე დიალექტებში (ასევე ერთი დიალექტის კილოკავებში) თავს იჩენს ურთიერთგამიჯვნის („თვითგამიჯვნის“) აშკარად გამოხატული ტენდენცია“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 37). ასე რომ, ამ შემთხვევაში დიალექტური განსხვავებულობისადმი, დიალექტური თავისებურებებისადმი დამოკიდებულება შეგნებულია — ენობრივი ცნობიერების დონეზე ხდება. ფშაველი თავის ფშავლობას განსხვავებული ენობრივი ფორმებით წარმოადგენს, ისევე, როგორც ხევსური თავის ხევსურობას სწორედ ხევსურული მეტყველების თავისებურებებით გამოავლენს.

26.8. მრავალგზისობის გამოხატვა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში

დიდად განსხვავებული ვითარება არა გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში; უფრო სწორად, მრავალგზისობის გამოხატვის ზოგადი თვალსაზრისით, ორგანული წარმოებისა გვაქვს I-II ხოლმეობითები; მრავალგზისობას ძირითადად **ეე/კე** ანდა **ხოლმე** ნაწილაკი გამოხატავს. დიდი უპირატესობა აქვს ნაწილაკიან ფორმებს.

ქართლურში, კერძოდ მის ჩრდილოურ კილოკავებში — ქსნისა და არაგვის ხეობებში — ნაშთის სახით შეინიშნება ორგანული წარმოება ხოლმეობითისა: გამაჯრეკდის, ადემდის, გვაკუთნებდის... დაილოც-

ვის, იყვის... „ამ რიგის წარმოება მოშლის გზაზეა, ხოლმეობითის ფორმები უპირატესად მოხუცთა მეტყველებაში ისმის“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 306; ასევე: გ. იმნაიშვილი, 1974; ვ. სომხიშვილი, 1968). ძირითადად მრავალგზისობა იმ საშუალებებით გადმოიცემა, რითაც სალიტერატურო ქართულში.

ვითარება უფრო საინტერესოა კახურსა და მის „განაყარ“ დიალექტებში — ინგილოურსა და ფერეიდნულში. გამოხატვის მრავალფეროვნებით გამოირჩევა კახური (განსაკუთრებით მისი ქიზიყური კილოკავი); აქ გვაქვს შემდეგი სახეობები:

1. არქაული, **-ი** სუფიქსიანი წარმოება (იშვიათად, მაგრამ მაინც): **მაიფშვნეტამდის, იტყოდის**) (I ხოლმეობითი) (მაგალითებს სამეცნიერო ლიტერატურიდან ვიმოწმებთ)... **გამოტყდის, მიუშვიან, დააჭრევინიან** (II ხოლმეობითი);
2. არქაულ ფორმაზე დართული **უე||კე** ნაწილკი (ძირითადად ქიზიყურში; იშვიათად — გარეკახურში): **გადაუდის-კე, ვიარით-კე, ჩავრივით-კე**...
3. ხოლმეობითის არქაულ ფორმას დაერთვის **ხოლმე** ნაწილაკი და ეს მოვლენა სპეციფიკურია ქიზიყურისათვის: **დაჭეჭილდის ხოლმე, გადააგორიან ხოლმე, მოკვდის ხოლმე, დათესიან ხოლმე**...
4 **უე || კე** ნაწილაკი დაერთვის აწმყო-მყოფადის (ან სხვა მწკრივის) ფორმებს: **ამბობენკე**, **იტყოდაკე**...
5. **ხოლმე** დაერთვის აწმყო-მყოფადის (ან სხვა მწკრივის) ფორმებს: **იტყვის ხოლმე**, **აკეთებდა ხოლმე**, **გამარგლავდა ხოლმე**... **ზის ხოლმე**, **გეტყოდი ხოლმე**...
6. სალიტერატურო ქართულის მსგავსად კახურშიც უწყვეტელ-ხოლმეობითის მწკრივმა ნაწილაკის გარეშე შეიძლება იტვირთოს ეს ფუნქცია: „რაწამ ამოვიდოდა, ხარ(ს) ავშლიდით, ავდგებოდით, დავიბანდით...“ და სხვა...
7. მრავალგზისობა გამოიხატება „უსრული ასპექტის ნამყო ძირითადის ფორმათა გამეორებითაც“ (ბ. ჯორბენაძე): „ცხვა, ცხვა, ძლივ გამაცხვა“; „იარა, იარა და ბოლოს მიადგა ერთ სახენწიფოდ“...
8. „ზოგჯერ მრავალგზისობა გამოიხატება ოდენ უსრული ასპექტის ფორმით: ...იქ ყოფილა ერთი ვაჟიო, დღისით მკვდარა (= კვდებოდა ხოლმე), ღამით ცოცხლებულა (= ცოცხლდებოდა ხოლმე)“ (ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, 1956, გვ. 97).

თავისთავად, ქართული ენის ერთ-ერთ უმთავრეს დიალექტში ამგვარი სურათის არსებობა მეტყველებს სწორედ ამ მოვლენის — მრავალგზისობის ორგანული წარმოების მოშლის — პრობლემურობაზე; ენაში მიმდინარე პროცესების თანაარსებობაზე; და იმაზე, რომ ეს ცოცხალი პროცესია და ნელ-ნელა იკვლევს გზას დასრულებისაკენ.

ქიზიყურის ამ შთამბეჭდავი სურათის შემდეგ საინტერესოა ინგილოურისა და ფერეიდნულის ვითარება თუნდაც იმის გამო, რომ ეს ორი დიალექტი კახურის განშტოებას წარმოადგენს: „ყველაზე ახლო ფერეიდნული დგას ინგილოურთან, რომელიც წარმოშობით ქიზიყურის ღვიძლი ძმა უნდა იყოს“ (არნ. ჩიქობავა, 1927, გვ.). და ის ისტორიული ძნელბედობა, რაც ამ დიალექტებს ხვდა წილად, რა გავლენას ახდენს ამ დიალექტებზე ჩვენთვის საინტერესო მოვლენის თვალსაზრისით. ფაქტია, რომ ინგილოურისა და ფერეიდნულისათვის „ენობრივი ღერძი, ხერხემალი კახურია, ოღონდ უხვად შეზავებული სხვა ენების (...) გავლენით“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 338); „ინგილოურიც, ფერეიდნულის მსგავსად, თითქმის მოწყვეტილია ქართულ კილოებს და არც სამწერლობო ქართულის გავლენას განიცდის ისე, როგორც სხვა ქართული კილოები...“ (არნ. ჩიქობავა, 1927, გვ.).

რატომ გავხაზავთ ყოველივე ამას: იმ დროისათვის, როცა ამ დიალექტთა დაშორება ივარაუდება, კახურში ხოლმეობითის ორგანული წარმოება გვაქვს. ისტორიულ საბუთებში ეს კარგად იჩენს თავს: დაიძებნება თითო-ოროლა შემთხვევა **ყე** ნაწილაკის ხმარებისა, ისიც მხოლოდ **ვერვინ** ნაცვალსახელთან; მაგ.: ვერვინყე შემოგეცილოს თუინიერ ერთის მღუთის მეტი“ (ა. მარტიროსოვი, 1953, გვ. 266). ამ ვითარებას თუ შევადარებთ დღევანდელ სურათს, დავინახავთ, მოვლენათა განვითარებამ რა სახე მიიღო...

ინგილოურში მოვლენები მხოლოდ ერთი მიმართულებით განვითარდა (გავხაზავთ — განვითარდა); ე. ი. პროცესი იქაც გაგრძელდა, ოღონდ არა ისე მრავალფეროვნად, როგორც ეს ამოსავალ დიალექტშია. „ამჟამად ინგილოურში მოქმედების სიხშირის, მის ჩვეულებრიობის აღნიშვნას კისრულობს მხოლოდ **-ყე** (‖ ყ) ნაწილაკი“ (გ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 121): ა მ ბ ო ვ ე ნ-**ყ** (ამბობენ ხოლმე), ც ხ ო ვ ა-**ყ** (ცხვება)...

რა ხდება ფერეიდნულში? აქ მრავალგზისობა, ერთი მხრივ, **ი** სუფიქსით გამოიხატება (არქაული ვითარება): **ჩაიგდის**, **ადგის**, **წავიდის**, **აიღის**, ... მეორე მხრივ, **-ყე** ნაწილაკის დართვით. **-ყე**-ს დაირთავს ან I, ან II ხოლმეობითის ფორმები: **ასწავლიდისყე**, **მიხჰედისყე**,

უამბისყე, **შაიტყვისყე** და მისთანანი (არნ. ჩიქობავა, 1923-1924; არნ. ჩიქობავა, 1927; ბ. ჯორბენაძე, 1989). საგულისხმო ის არის, ფერეიდნული იმით შორდება კახურს, რომ ორგანული წარმოებაა თითქმის ერთადერთი საშუალება მრავალგზისობის გამოხატვისა.

ის ფაქტი, რომ ტენდენცია ორივე დიალექტში (ინგილოურსა და ფერეიდნულში) განვითარდა, თავისთავად დადასტურებაა იმისა, რომ ამ ტენდენციას ღრმა და ძლიერი საფუძველი ჰქონდა. ამ ტენდენციის განვითარების რამდენიმე საფეხურზე გვქონდა საუბარი. თუ კახური დიალექტისათვის ზემოწარმოდგენილი სქემიდან ყველა გზა არის დამახასიათებელი, გარდა მესამისა (ავიღი → ავიღ-იდ/ოდ-ი), ინგილოურსა და ფერეიდნულში ეს ტენდენცია სწორხაზოვნად განვითარდა:

ავიღი → ავიღი-ყე/კე → ავიღებ-ყე

ფერეიდნულში დასტურდება I-II საფეხური (ავიღი, ავიღი-ყე), ინგილოურში — II-III საფეხური (ავიღი-ყე, ავიღებ-ყე). ის ფაქტი, რომ ამოსავალ დიალექტში — კახურში (ძირითადად ქიზიყურ კილოკავში) ტენდენციამ გაცილებით რთული სახე მიიღო, სალიტერატურო ენისა თუ სხვა ქართული დიალექტებისა თუ სამწერლობო ქართულის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

ერთ საინტერესო ფაქტსაც გვინდა მივაპყროთ ყურადღება: ფერეიდნულის ტექსტებში არის ისეთი შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე წინადადებაში ორივე ვარიანტი (არქაული და ყე ნაწილაკიანი) არის წარმოდგენილი: ცხენმა თავი **აიღის** და **გაიქცისყე**; სამჯელ **ავდიყე,** რომ **წავიდე,** არ **გამიშისყე**; იმ დღეს თაჯერმა რო ჰარ **მისცისყე**, დღეს ორი იმთენი **მისცა** და მისთანანი (მაგალითები მოგვყავს წერილიდან — არნ. ჩიქობავა, 1923-24, გვ. 42). ორი კუთხით მივაპყრობთ ყურადღებას: მოსაუბრისათვის ეს ორი ვარიანტი თანაბარი ღირებულების ენობრივი ფაქტია და თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს და, მეორე, მათი მონაცვლეობა სტილისტური ხასიათისა ჩანს. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ დიალექტთა სტილისტიკა (ზეპირმეტყველების სტილისტიკა) შესასწავლია.

ხოლმეობითის, როგორც მწკრივის (მწკრივების) გაჭრობა ამ კატეგორიის ისტორიის თანმდევი პროცესია. უწყვეტელ-ხოლმეობითის მიერ ამ ფუნქციის შეთავსებამ ვერ დააკმაყოფილა ენის მოთხოვნა მრავალგზისობის გამოხატვისა და ამიტომაც ჩნდება **ხოლმე** ნაწილაკი ამ ფუნქციით. ი. ქავთარაძის აზრით, „თვით სალიტერატურო ენაში და გარკვეულ დიალექტებშიც უკვე მეჩვიდმეტე საუკუნიდან საბოლო-

ოდ იჩენს თავს ანალოგიურ ფორმათა (იგულისხმება ძველი ქართულის I და II ხოლმეობითები — გ. გ.) მნიშვნელობის დაკარგვა, დავიწყება, რისთვისაც დამატებითი საკომპენსაციო საშუალება — „ხ ო ლ მ ე“ ნაწილაკი ხდება აუცილებელი. ხოლმეობითის ცნობილ ფორმებზე ხ ო ლ მ ე ს დართვა ერთგვარი აღდგენაა სათანადო შინაარსისა; ეს ნაწილაკი ინტენსივობის თანდათან გავრცელებული ნაწილაკია, რომელიც შემდეგ ისე ფართოვდება, რომ არახოლმეობითის ფორმასაც ხოლმეობითობას ანიჭებს“ (ი. ქავთარაძე, 1961, გვ. 10). ე. ი. ხოლმეობითის ფორმები კარგავენ ხოლმეობითობის შინაარსს და ამ შინაარსის აღდგენას ცდილობს ენა ხ ო ლ მ ე ნაწილაკით; პროცესი გრძელდება; ხოლმეობითის შინაარსი ეცილება ფორმას, ფორმა იკარგება, მაგრამ ამ შინაარსს შეითავსებს სრულად ხ ო ლ მ ე ნაწილაკი. მსჯელობა სარწმუნოა:

მრავალგზისი ფორმა + ხ ო ლ მ ე → ერთგზისი ფორმა + ხ ო ლ მ ე.

„ხ ო ლ მ ე ნაწილაკიანი აღწერითი ფორმები იმდენად მოქნილი აღმოჩნდა, რომ მისი მეოხებით მრავალგზისობის გამოხატვა მოხერხდა ნაკვთების უმეტესობაში“ (ი. ქავთარაძე, 1961, გვ. 11).

26.9. მრავალგზისობის გამოხატვისათვის ახალ სალიტერატურო ქართულში

ფაქტობრივად, მრავალგზისობის გამოსახატავად **ხოლმე** ნაწილაკიანი ფორმების დამკვიდრებამ გააფართოვა შესაძლებლობა ამ მნიშვნელობის გამოხატვისა: **ხოლმე** ნაწილაკი დაერთვის თითქმის ყველა მწკრივის ფორმას. ვამბობთ **თითქმის,** იმიტომ, რომ ვერ დავადასტურეთ ხ ო ლ მ ე ნაწილაკი III კავშირებითთან; მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ III კავშირებითი იშვიათი მწკრივია და მას ჩვეულებრივ II თურმეობითი ცვლის, ეს „თითქმისობა“ გასაგები იქნება.

მოვიყვანთ მაგალითებს თანმიმდევრულად, მწკრივთა მიხედვით, ერთგზის ფორმებთან ხ ო ლ მ ე ნაწილაკის გამოყენებისას (მაგალითებს ვიმოწმებთ: ი. ქავთარაძე, 1961):

აწმყო-მყოფადი:

ცრემლს წყალსავით **ვღვრით ხოლმე** (ილია);
სულ ეგრე **სტყუი ხოლმე** (იქვე);
თვალი სულ ჩემკენ უჭირავს, **მიცინის ხოლმე** (ვაჟა);
ჩემი ბატონი შემოვა და **დასკუპდება ხოლმე** (შ. არაგვ.);
შიში მუხლს **მოჰკვეთავს ხოლმეო,** ამბობენ (იაკობი);

ძალაუნებურად კეთილ გზისკენ **გამიტაცებს ხოლმე** (აკაკი).

უწყვეტელ-ხოლმეობითი:

სულ ერთსა და იმავე სიმღერას **ღიღინებდა ხოლმე** (ილია);
სააღდგომოდ ჭონაზე **დადიოდნენ ხოლმე** მომღერლები (აკაკი);
ჭია-მატლები **ერეოდნენ ხოლმე** ხეხილსა (იაკობი);
პასუხად სულ ამას **მეტყოდა ხოლმე** (ილია);
გველი რომ შეგხვედროდა? — **დავასხვერტებდი ხოლმე** მიწაზე (აკაკი);
დავითი ადვილად და სწრაფად **მოინადირებდა ხოლმე** ყველას გულს (იაკობი).

I კავშირებითი:

ნეტა სიტყვას საქმედ **ვაქცევდეთ ხოლმე** (ეკ. გაბ.);
ბაღის მუშაობის დროსაც ამას უნდა **გაისტუმრებდეთ ხოლმე** (იტს. საბუთ.);
თქვენ თავად სხვას **გაიმძღვარებდეთ ხოლმე** (იქვე);
ამ ჩვენგან განწესებულს წყალობას ჩვენი სახლთუხუცესები, მდივნები ნიადაგ წელს შემოსავლებიდან უნდა **მისცემდეთ ხოლმე** (იქვე).

წყვეტილი:

მოდი, გიორგისაც **დაეკითხე ხოლმე** (ილია);
სხვაგან წამსვლელი კარგად გაჩხრიკეთ ხოლმე (იაკობი);
ეგრე **სთქვი ხოლმე** სხვაგანაც (ილია).

II კავშირებითი:

ყოველთვის ჰსურს, რომ თავისი გულისპასუხი სხვებსაც გადასცეს, **შეატყობინოს ხოლმე** (აკაკი);
ეცდებიან, სხვებსაც **დაუშალონ ხოლმე** ამგვარი უგუნური და მავნე მოქმედება (იაკობი);
ეგების აქედან ნინოს თვალი **მოვკრა ხოლმეო** (რ. ერისთ.).

I თურმეობითი (იშვიათია)**:**

ადრე ქურციკივით **აურბენია ხოლმე** ეს დაკიდებული გზა (რ. გვეტ.).

II თურმეობითი (იშვიათია)**:**

გაჭირვებული კაცი **გაეცაცებინა ხოლმე** მაცდურს (ილია).

უწყვეტელ-ხოლმეობითი რომ ნაწილაკის გარეშე გამოხატავს მრავალგზისობას, ესეც ცნობილია:

კნეინა თვალს **გააჭყეტდა,** შავარდენივით **გადმოფრინდებოდა** ტახტიდამ, **გადიკრავდა** შუბლსაფენსა, ზედ **წაიკრავდა** ჩითმერდინსა, **გადიცვამდა** ჩითის კაბასა — ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმა — შიშველა ფეხს **შეიმოსავდა** ჩუსტითა და — ჰერი ბიჭო — **დაეშვებოდა** ჩალურისაკენ (ილია).

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „საგარემოებო სიტყვების გამოყენებით განგრძობილი მოქმედების შინაარსი უძლიერდება ზმნის ნაკვთის ფორმებს“ (ი. ქავთარაძე, 1961, გვ. 20):

ის დალოცვილი მღდელი **ხშირად მარიგებდა ხოლმე** (ილია);
სახე **მუდამ** ერთი განსაკუთრებული სულელობით **უცინოდა ხოლმე** (აკაკი);
ოთარაანთ ქვრივი **ყოველ კვირა** დღეს ერთი ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ხელით გადაუტანდა ხოლმე (ილია)...

ამგვარი შესაძლებლობები განუსაზღვრელია; საგარემოებო სიტყვები ხ ო ლ მ ე ნაწილაკის გარეშეც ახერხებს ამ მნიშვნელობის გადმოცემას:

„**კვირა არ გავიდოდა,** რომ ოთარაანთ ქვრივს არ **ჩამოელო** ეს იარაღი და გულდასმით არ **გაეწმინდა**“ (ილია)...
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ **მაცდუნე** (ილია);
მუდამ გაბუტვით **დადის** (ილია);
მრავალჯერ დაეფრთხოს (აკაკი) და სხვა.

აღარას ვამბობთ ისეთ შემთხვევებზე, როგორიცაა ფორმათა გამეორება:

ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე...
ვთვალე, **ვთვალე**, ვერ დავთვალე...
იარა, **იარა** და მიადგა...
წერა, **წერა** და...

ყოველივე ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ დავინახოთ, თუ რა ვითარება შეიქმნა ახალ ქართულში ხოლმეობითის ორგანული წარმოების მოშლის შემდეგ: მრავალგზისობის გამოხატვის ენობრივი შესაძლებლობები გაიზადა, გამრავალფეროვნდა. ეს თავისთავად ამ მნიშვნელობის გამოხატვისას დამატებითი ნიუანსების გადმოცემის შესაძლებლობას იძლევა. ზმნურ ფორმათა ფუნქციური ანალიზის დროს ყოველივე ამაზე ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული...

თავი VI. III სერიის ფორმათა წარმოების საკითხები

§ 27. III სერიის ფორმათა წარმოების საკითხები

*27.1. * * **

მწკრივთა წარმოებისა და დაჯგუფების პრინციპებზე საუბრისას (§ 8) აღინიშნა, რომ ფორმაწარმოების თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემებს ქმნის დრო-კილოთა მესამე სერია. არსებითი ის არის, რომ საწარმოებელი ფუძის პრინციპი, რომელიც სამეცნიერო გრამატიკაში ნ. მარმა დანერგა (არნ. ჩიქობავა), გატარებულია პირველ და მეორე სერიაში; მესამე სერიაში ეს პრინციპი ირღვევა: „თურმეობითის ჯგუფს არ მოეპოვება საერთო ფუძე, ამოსავლად რომ გვქონდეს წარმოებისას. ამით განსხვავდება თურმეობითის ჯგუფი აწმყოსა და ნამყო ძირითადის ჯგუფისაგან: აწმყოს ჯგუფი აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, ნამყო ძირითადისა — ნამყო ძირითადის ფუძეზე. თუ მესამე ჯგუფი მაინც გაერთიანდა, ეს იმიტომ, რომ ამ ჯგუფში შემავალი დროები „ერთი და იმავე წესით იწარმოება“. მართლაც, ამ ჯგუფში ინვერსიული წყობა გვაქვს მაშინ, როდესაც აწმყოსა და ნამყო ძირითადის ჯგუფებში წყობა პირდაპირია“ (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 93). აქ უნდა დავაზუსტოთ: წარმოების ეს წესი (ინვერსიულობა) მხოლოდ გარდამავალ ზმნათათვისაა ნიშანდობლივი. გარდაუვალი ზმნები პირდაპირი წყობით იუღვლის. მოკლედ რომ ვთქვათ, მესამე სერიაში ფორმაწარმოებისას რამდენიმე შემთხვევა გაირჩევა: ე რ თ ი მ ხ რ ი ვ, გარდამავალი ორპირიანი ზმნები; მ ე ო რ ე მ ხ რ ი ვ, გარდაუვალი ერთპირიანი ზმნები და, მ ე ს ა მ ე მ ხ რ ი ვ, გარდაუვალი ორპირიანი ზმნები. ასე იყო ეს ძველ ქართულშიც და ასეა ახალ ქართულშიც, თუმცა დიდად მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა ახალ ქართულში მესამე სერიის ფორმათა წარმოებისას. შევეცდებით თვალი მივადევნოთ ამ ცვლილებებს.

27.2. III სერიის მწკრივთა წარმოება ძველ ქართულში

როგორი იყო ვითარება ძველ ქართულში: წარმოვადგენთ თითოეულ ზემომოყვანილი შემთხვევის მაგალითებს პარადიგმების სახით და შემდეგ შევეცდებით ანალიზს. ამთავითვე შევნიშნავთ: პ ი რ ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი (ორპირიან გარდამავალ ზმნებში) ფორმაწარმოების ორი ვარიანტი გაირჩევა — ა) **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანები და ბ) ყველა დანარჩენი.

მაგალითები:

I. შემთხვევა:

I თურმეობითი:

ა)	და-მ-ი-წერ-ი-ე-ს	აღ-მ-ი-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(მე იგი)
	და-გ-ი-წერ-ი-ე-ს	აღ-გ-ი-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(შენ იგი)
	და-უ-წერ-ი-ე-ს	აღ-უ-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(მას იგი)
	და-მ-ი-წერ-ი-ე-ს ‖	აღ-მ-ი-შჱნ-ებ-ი-ე-ს ‖	(ჩუენ იგი)
	‖ და-გუ-ი-წერ-ი-ე-ს	‖ აღ-გ-უ-ი-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(ჩუენ იგი)
	და-გ-ი-წერ-ი-ე-ს	აღ-გ-ი-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(თქუენ იგი)
	და-უ-წერ-ი-ე-ს	აღ-უ-შჱნ-ებ-ი-ე-ს	(მათ იგი)
ბ)	მო-მ-ი-კლ-ავ-ს	და-მ-ი-დგ-ამ-ს	(მე იგი)
	მო-გ-ი-კლ-ავ-ს	და-გ-ი-დგ-ამ-ს	(შენ იგი)
	მო-უ-კლ-ავ-ს	და-უ-დგ-ამ-ს	(მას იგი)
	მო-მ-ი-კლ-ავ-ს ‖	და-მ-ი-დგ-ამ-ს ‖	(ჩუენ იგი)
	‖ მო-გუ-ი-კლ-ავ-ს	‖ და-გუ-ი-დგ-ამ-ს	(ჩუენ იგი)
	მო-გ-ი-კლ-ავ-ს	და-გ-ი-დგ-ამ-ს	(თქუენ იგი)
	მო-უ-კლ-ავ-ს	და-უ-დგ-ამ-ს	(მათ იგი

შენიშვნა: ობიექტის რიცხვს ამჯერად ყურადღებას არ მივაქცევთ. შემდგომი მსჯელობისათვის მრავლობითი რიცხვის პირველი პირის შემთხვევაში მოვიყვანთ მხოლოდ ე. წ. ინკლუზივის ფორმებს (მო-გუ-იკლავს, და-გუ-იდგამს, აღ-გუ-იშჱნების...): მწკრივის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ე. წ. ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები განსხვავებას არ იძლევიან:

II თურმეობითი:

ა)	და-მ-ე-წერ-ა	აღ-მ-ე-შჱნ-ა	(მე იგი)
	და-გ-ე-წერ-ა	აღ-გ-ე-შჱნ-ა	(შენ იგი)
	და-ე-წერ-ა	აღ-ე-შჱნ-ა	(მას იგი)
	და-გუ-ე-წერ-ა	აღ-გუ-ე-შჱნ-ა	(ჩუენ იგი)
	და-გ-ე-წერ-ა	აღ-გ-ე-შჱნ-ა	(თქუენ იგი)
	და-ე-წერ-ა	აღ-ე-შჱნ-ა	(მათ იგი)
ბ)	მო-მ-ე-კლ-ა	და-მ-ე-დგ-ა	(მე იგი)
	მო-გ-ე-კლ-ა	და-გ-ე-დგ-ა	(შენ იგი)
	მო-ე-კლ-ა	და-ე-დგ-ა	(მას იგი)
	მო-გუ-ე-კლ-ა	და-გუ-ე-დგ-ა	(ჩუენ იგი)
	მო-გ-ე-კლ-ა	და-გ-ე-დგ-ა	(თქუენ იგი)
	მო-ე-კლ-ა	და-ე-დგ-ა	(მათ იგი)

III კავშირებითი:

ა)	და-მ-ე-წერ-ო-ს	აღ-მ-ე-შჱნ-ო-ს	(მე იგი)
	და-გ-ე-წერ-ო-ს	აღ-გ-ე-შჱნ-ო-ს	(შენ იგი)
	და-ე-წერ-ო-ს	აღ-ე-შჱნ-ო-ს	(მას იგი)
	და-გუ-ე-წერ-ო-ს	აღ-გუ-ე-შჱნ-ო-ს	(ჩუენ იგი)
	და-გ-ე-წერ-ო-ს	აღ-გ-ე-შჱნ-ო-ს	(თქუენ იგი)
	და-ე-წერ-ო-ს	აღ-ე-შჱნ-ო-ს	(მას იგი)

შენიშვნა: მესამე სერიაში მომხდარ ფორმობრივ ცვლილებათა ანალიზის დროს არ ვიმსჯელებთ III ხოლმეობითზე რამდენიმე მიზეზის გამო:

ა) მესამე ხოლმეობითი არა გვაქვს ახალ ქართულში და, შესაბამისად, ფორმობრივ ცვლილებებზე საუბარიც არ იქნება შესაძლებელი.

ბ) მესამე ხოლმეობითი ძველი ქართულის ზოგადი სურათის წარმოსადგენად შეიძლებოდა მოგვეყვანა, მაგრამ ასეთი სურათი ამ წიგნში უკვე წარმოვადგინეთ (§ 6.3.); მეორეც, ყველა ტიპის გარდამავალ ზმნათათვის არც იქნებოდა გამართლებული (თუ შესაძლებელი არის) ამ მწკრივის ფორმათა პარადიგმის აგება (თეორიულად, რა თქმა უნდა, დასაშვებია).

გ) III ხოლმეობითი მხოლოდ გარდამავალ ზმნათათვისაა და არა გარდაუვალთათვის, რაც ზოგადად მომხდარ ფორმობრივ ცვლილებათა სურათს არაფერს შემატებს...

დ) ფორმობრივი თვალსაზრისით რაც ხდება II თურმეობითსა და III კავშირებითში, ის ხდება III ხოლმეობითშიც. ამიტომაც საკმარისად მიგვაჩნია მსჯელობა ამ ორ მწკრივზე (II თურმეობითსა და III კავშირებითზე)... ამავე თვალთახედვით შეიძლებოდა მხოლოდ II თურმეობითზე გვემსჯელა, მაგრამ II თურმეობითსა და II კავშირებითს შორის არსებითი სხვაობაა ეთპირიან გარდაუვალ ზმნებში; ამიტომ III სერიის სრულ პარადიგმებში საჭიროდ ვთვლით III კავშირებითზე მსჯელობასაც.

ზოგი რამ დასაკონკრეტებელია:

მესამე ჯგუფის წვერთაგან II თურმეობითი და III კავშირებითი ყველა ტიპის ზმნასთან ერთგვარი პრინციპით მიემართება ერთმანეთს: ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებში მათი მიმართება ფორმობრივი თვალსაზრისით ისეთია, როგორიც უწყვეტლისა და I კავშირებითისა, წყვეტილისა და II კავშირებითისა.

ერთი მხრივ, უწყვეტელი და I კავშირებითი, ხოლო, მეორე მხრივ, წყვეტილი და II კავშირებითი ურთიერთჩანაცვლებადი მწკრივებია; ასეა II თურმეობითი და III კავშირებითიც, როგორც ძველ, ისე ახალ სალიტერატურო ქართულში:

ძველი ქართული:

უწყვეტელი:	ვ-წერ-დ-(**ი**)	ვ-ტირ-ოდ-**ე**
I კავშირებითი:	ვ-წერ-დ-**ე**	ვ-ტირ-ოდ-**ი**
წყვეტილი:	და-ვ-წერ-**ე**	გან-ვ-ტეფ-**Ø**
II კავშირებითი:	და-ვ-წერ-**ო**	გან-ვ-ტფ-**ე**
II თურმეობითი:	და-მ-ე-წერ-**ა**	აღ-მ-ე-შჱნ-**ა**
III კავშირებითი:	და-მ-ე-წერ-**ო**-ს	აღ-მ-ე-შჱნ-**ო**-ს

	ახალი ქართული:	
უწყვეტელი:	(და)-ვ-წერ-დ-**ი**	ვ-ტირ-ოდ-**ი**
I კავშირებითი:	(და)-ვ-წერ-დ-**ე**	ვ-ტირ-ოდ-**ე**
წყვეტილი:	(და)-ვ-წერ-**ე**	გა-ვ-თბ-**ი**
II კავშირებითი:	(და)-ვ-წერ-**ო**	გა-ვ-თბ-**ე**
II თურმეობითი:	(და)-მ-ე-წერ-**ა**	ა-მ-ე-შენ-ებ-ინ-**ა**
III კავშირებითი:	(და)-მ-ე-წერ-**ო**-ს	ა-მ-ე-შენ-ებ-ინ-**ო**-ს

ასე რომ, ყველა შემთხვევაში ეს წყვილები ურთიერთჩანაცვლებადი მწკრივებია.

პრინციპული სხვაობა ისაა, რომ უწყვეტელსა და I კავშირებითს აქვთ საერთო საყრდენი მწკრივი — აწმყო, რომელსაც ისინი ხაზოვანი პრინციპით მიემართებიან. ასეთი საყრდენი მწკრივი არ მოეპოვება არც წყვეტილ — II კავშირებითსა და არც II თურმეობით — III კავშირებითს:

უწყვეტელი:	ვ-წერ-დ-ი	}	აწმყო: ვ-წერ
I კავშირებითი:	ვ-წერ-დ-ე		
უწყვეტელი:	ვ-ა-შენ-ებ-დ-ი	}	აწმყო: ვ-ა-შენ-ებ
I კავშირებითი:	ვ-ა-შენ-ებ-დ-ე		

სხვაგვარად რომ ვთქვათ: აწმყო არის საყრდენი მომდევნო მწკრივებისათვის (ძველი ქართულისათვის: უწყვეტლისა, I კავშირებითისა და I ხოლმეობითისათვის. ახალ ქართულში — უწყვეტლისა და I კავშირებითისათვის); მომდევნო მწკრივები ერთმანეთს ჩანაცვლების წესით მიემართებიან; ისინი ერთიმეორისთვის არ არიან საყრდენი. ასეა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ყველა ტიპის ზმნაში; უფრო ზუსტად: ყველა იმ ზმნაში, რომლებიც იწარმოებენ I სერიის მწკრივებს (განურჩევლად გვარისა და გარდამავლობისა).

შენ-ებ → შენ-ებ-დ → შენ-ებ-დი
შენ-ებ-დ → შენ-ებ-დე

II სერიაში ყველა ურთიერთჩანაცვლებადი მწკრივია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში. ძველი სალიტერატურო ქართულისათვის

შერეული კავშირებითის დაბოლოება ფორმობრივად მხოლოდ მწკრივის ნიშანთა ტოლფასად შეგვიძლია მივიჩნიოთ:

წყვეტილი:	(აღ)-ვ-ა-შჱნ-ე
II ხოლმეობითი:	(აღ)-ვ-ა-შჱნ-ი
I კავშირებითი:	(აღ)-ვ-ა-შჱნ-ო
შერ. კავშირებითი:	(აღ)-ვ-ა-შჱნ-ოდი

ასევე ითქმის ძველი ქართული სალიტერატურო ენის შემთხვევაში III ხოლმეობითზეც: ისიც ჩანაცვლების პრინციპით მიემართება II თურმეობითსა და II კავშირებითს.

ამ საკმაოდ მწყობრი და საინტერესო სისტემიდან განმარტოებით დგას I თურმეობითი (ჯერჯერობით ვმსჯელობთ ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებზე).

როგორც ცნობილია, ამ შემთხვევაში I თურმეობითსა და მომდევნო მწკრივებს — II თურმეობითს, III კავშირებითსა და III ხოლმეობითს — წარმოების წესი (ე. წ. ინვერსიულობა) და სინტაქსური კონსტრუქცია აერთიანებთ. ფუძის წარმოების საკითხი? აქ პრინციპული დაპირისპირებაა:

ძველ სალიტერატურო ქართულში განსახილველ ზმნათა (ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებს ვგულისხმობ) I თურმეობითი I სერიის რთულ თემას ემყარება.

შენიშვნა: თემის შესახებ ზოგადად ვისაუბრეთ (შესავალში). როგორც ითქვა, ჩვენ თემად განვიხილავთ მარტივი ფუძისა და თემის ნიშნის კომბინაციას: ვ-ა-**კეთ-ებ,** ვ-ი-**კეთ-ებ,** ვ-უ-**კეთ-ებ. კეთ-ებ** რთული თემაა ჩვენთვის, **წერ** — მარტივი, **დრეკ** ხმოვანმონაცვლე — მარტივი. ფაქტი ერთია, ამ ეტაპზე ხმოვანპრეფიქსებს თემაში არ განვიხილავთ.

ერთთემიან ზმნებზე, ცხადია, ამჯერად არ ვმსჯელობთ: თემათა სხვაობა აქ, რა თქმა უნდა, არ გვექნება. სხვა შემთხვევაში **ძველ სალიტერატურო ქართულში I თურმეობითი ყოველთვის იმეორებს რთულ თემას, II თურმეობითი — მარტივს.**

შენიშვნა: როგორც აღვნიშნეთ, II თურმეობითი, III კავშირებითი და III ხოლმეობითი ურთიერთჩანაცვლებადი მწკრივებია, ამიტომ მსჯელობის გასაადვილებლად მხოლოდ II

თურმეობითზე ვიმსჯელოთ. იგივე დასკვნა გავრცელდება მომდევნო მწკრივებზეც.

-ებ თემისნიშნიანი ზმნები (წარმოვადგენთ სუბიექტის მხოლობითის ფორმებს):

აწმყო:	აღ-ვ-ა-**შენ-ებ**	გან-ვ-ა-**გ-ებ**
	აღ-ა-**შენ-ებ**	გან-ა-**გ-ებ**
	აღ-ა-**შენ-ებ-**ს	გან-ა-**გ-ებ**-ს
I თურმეობითი:	აღ-მ-ი-**შენ-ებ**-ი-ე-ს	გან-მ-ი-**გ-ებ**-ი-ე-ს
	აღ-გ-ი-**შენ-ებ**-ი-ე-ს	გან-გ-ი-**გ-ებ**-ი-ე-ს
	აღ-უ-**შენ-ებ**-ი-ე-ს	გან-უ-**გ-ებ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	აღ-ვ-ა-**შენ-**ე	გან-ვ-ა-**გ**-ე
	აღ-ა-**შენ-**ე	გან-ა-**გ**-ე
	აღ-ა-**შენ-**ა	გან-ა-**გ**-ო
II თურმეობითი:	აღ-მ-ე-**შენ-**ა	გან-მ-ე-**გ**-ო
	აღ-გ-ე-**შენ-**ა	გან-გ-ე-**გ**-ო
	აღ-ე-**შენ-**ა	გან-ე-**გ**-ო

-ობ თემისნიშნიანი:

აწმყო:	გან-ვ-ა-**ტფ-ობ**	I თურმეობითი:	გან-მ-ი-**ტფ-ობ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	გან-ვ-ა-**ტფ**-ე	II თურმეობითი	გან-მ-ე-**ტფ**-ო

-ოფ თემისნიშნიანი:

აწმყო:	ვ-ჰ-**ყ-ოფ**	I თურმეობითი:	მ-ი-**ყ-ოფ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	ვ-**ყავ**(**ყ**-ო)	II თურმეობითი:	მ-ე-**ყ**-ო

-ევ თემისნიშნიანი:

აწმყო:	ვ-ა-**კურთხ-ევ**	I თურმეობითი:	მ-ი-**კურთხ-ევ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	ვ-ა-**კურთხ-ე**	II თურმეობითი:	მ-ე-**კურთხ**-ა

-ემ თემისნიშნიანი:

აწმყო:	წარ-ვ-ს-**ც-ემ**	I თურმეობითი:	წარ-მ-ი-**ც-ემ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	წარ-ვ-**ეც**	II თურმეობითი:	წარ-მ-ე-**ც**-ა

თემის თვალსაზრისით პრინციპულად იგივე ვითარებაა **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნებში; სხვაობა ისაა, რომ ეს ზმნები I თურმეობითში **იე** დაბოლოებას არ დაირთავენ:

-ავ თემისნიშნიანი:

აწმყო:	და-ვ-ჰ-**მალ-ავ**	I თურმეობითი:	და-მ-ი-**მალ-ავ**-ს
წყვეტილი:	და-ვ-**მალ**-ე	II თურმეობითი	და-მ-ე-**მალ**-ა

-ამ თემისნიშნიანი:

აწმყო:	გან-ვ-ი-**რთხ**-ამ	I თურმეობითი:	გან-მ-ი-**რთხ-ამ**-ს
წყვეტილი:	გან-ვ-ი-**რათხ**	II თურმეობითი	გან-მ-ე-**რთხ**-ა

ვითარება ანალოგიურია ფუძედრეკად ზმნებშიც:

აწმყო:	მო-ვ-ს-**დრეკ**	I თურმეობითი:	მო-მ-ი-**დრეკ**-ი-ე-ს
წყვეტილი:	მო-ვ-**დრიკ**-ე	II თურმეობითი	მო-მ-ე-**დრიკ**-ა

თუ დავუშვებთ, რომ **წერ** ტიპის ათემატურ ზმნებში ნულოვანი თემატური ნიშანი არის, ვითარება ასეთივე იქნება:

აწმყო:	და-ვ-ს-**წერ-Ø**	I თურმეობითი:	და-მ-ი-**წერ-Ø**-ი-ე-ს
წყვეტილი:	და-ვ-**წერ**-ე	II თურმეობითი	და-მ-ე-**წერ**-ა

წარმოდგენილ სურათს თუ გადავხედავთ, დასკვნის გაკეთება იოლია:

როგორც პირველი, ისე მეორე თურმეობითის წარმოება არის ერთგვაროვანი, მაგრამ პრინციპულად განსხვავებული ერთმანეთისაგან საყრდენი ფუძის თვალსაზრისით:

ყველა შემთხვევაში I თურმეობითის ფორმისათვის საყრდენია რთული თემა; ანუ I სერიის თემა (აქ შემოდის უთემისნიშნო და ფუძედრეკადი ზმნები). II თურმეობითისათვის (და, შესაბამისად, III კავშირებითისა და III ხოლმეობითისათვის) საყრდენია მარტივი, ანუ II სერიის თემა (ფუძედრეკადი ზმნები **ი** გახმოვანებით).

-ავ/-ამ თემისნიშნიანი ზმნები დანარჩენთაგან იმით განსხვავდება, რომ **იე** დაბოლოებას არ დაირთავს. ანუ: მსგავსება დანარჩენებთან ის არის, რომ I სერიის თემას ემყარება; განსხვავება კი ისაა, რომ **იე** დაბოლოებას არ დაირთავს.

ასე რომ, გარდამავალ ზმნებში I თურმეობითში ორი ძირითადი მოდელი გამოიყოფა:

ა) **I სერიის თემა + ი-ე** (აღმი-**შენ-ებ-ი-ე-ს**);
ბ) **I სერიის თემა** (ი-ე დაბოლოების გარეშე) (დამი-**მალ-ავ**-ს).

რაც შეეხება II თურმეობითს, აქ ვითარება ერთგვაროვანია ყველა ტიპის გარდამავალი ზმნისათვის.

ჩვენ შევეცადეთ, საერთო სურათი წარმოგვედგინა ძველი ქართულისა და მიმართებებიც დაგვეზუსტებინა...

27.3. რა ხდება ახალ სალიტერატურო ქართულში?

ახალ სალიტერატურო ქართულში ძველთან შედარებით პრინციპული ცვლილებები განხორციელდა. **დაირღვა ერთფეროვნება ერთი და იმავე მწკრივის ფორმათა წარმოებაში,** მაგრამ **დამყარდა ერთგვაროვნება III სერიის მწკრივთა პარადიგმაში;** სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი და იგივე ზმნა **III სერიის მწკრივთა ფორმების საწარმოებლად გამოიყენებს ერთსა და იმავე საყრდენ ფუძეს.** თუმცა აქ თავს იჩენს საინტერესო მოვლენა: ერთი ჯგუფის ზმნები III სერიის სამივე მწკრივში ეყრდნობა I სერიის თემას, მეორე ჯგუფის ზმნები — II სერიის თემას:

I ჯგუფის ზმნები:

აწმყო:	ვ-ა-**შენ-ებ**	ვ-ა-**ბრუნ-ებ**
	ა-**შენ-ებ**	ა-**ბრუნ-ებ**
	ა-**შენ-ებ**-ს	ა-**ბრუნ-ებ**-ს
I თურმეობითი:	ა-მ-ი-**შენ-ებ**-ია	და-მ-ი-**ბრუნ-ებ**-ია
	ა-გ-ი-**შენ-ებ**-ია	და-გ-ი-**ბრუნ-ებ**-ია
	ა-უ-**შენ-ებ**-ია	და-უ-**ბრუნ-ებ**-ია
II თურმეობითი:	ა-მ-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ა	და-მ-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ა
	ა-გ-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ა	და-გ-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ა
	ა-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ა	და-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ა
III კავშირებითი:	ა-მ-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ო-ს	და-მ-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ო-ს
	ა-გ-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ო-ს	და-გ-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ო-ს
	ა-ე-**შენ-ებ**-ი-ნ-ო-ს	და-ე-**ბრუნ-ებ**-ი-ნ-ო-ს

II ჯგუფის ზმნები:

წყვეტილი:	ა-ვ-ა-**გ**-ე (შდრ.: ა-ვ-ა-**გ-ებ**)	გა-ვ-ა-**თბ**-ე (შდრ.: გა-ვ-ა-**თბ-ობ**)
	ა-ა-**გ**-ე	გა-ა-**თბ**-ე
	ა-ა-**გ**-ო	გა-ა-**თბ**-ო
I თურმეობითი:	ა-მ-ი-**გ**-ი-ა	გა-მ-ი-**თბ**-ი-ა
	ა-გ-ი-**გ**-ი-ა	გა-გ-ი-**თბ**-ი-ა
	ა-უ-**გ**-ი-ა	გა-უ-**თბ**-ი-ა
II თურმეობითი:	ა-მ-ე-**გ**-ო	გა-მ-ე-**თბ**-ო
	ა-გ-ე-**გ**-ო	გა-გ-ე-**თბ**-ო
	ა-ე-**გ**-ო	გა-ე-**თბ**-ო
III კავშირებითი:	ა-მ-ე-**გ**-ო-ს	გა-მ-ე-**თბ**-ო-ს
	ა-გ-ე-**გ**-ო-ს	გა-გ-ე-**თბ**-ო-ს
	ა-ე-**გ**-ო-ს	გა-ე-**თბ**-ო-ს

-ავ და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა თავისებურ ვითარებაზე მოგვიანებით ვისაუბრებ.

როგორც ვხედავთ, ცვლილება ორი მიმართულებით განვითარდა:

ა) ერთი რიგის ზმნებში I თურმეობითის რთული თემა გავრცელდა II თურმეობითსა და III კავშირებითში:

გამი-**კეთ-ებ**-ი-ა — გამე-**კეთ-ებ**-ინა — გამე-**კეთ-ებ**-ინოს (ნაცვლად ფორმებისა გამე-**კეთ**-ა, გამე-**კეთ**-ოს);

ბ) მეორე რიგის ზმნებში II თურმეობითისა და III კავშირებითის მარტივი თემა გავრცელდა I თურმეობითში:

ა-მე-**ლ**-ო / ამე-**ლ**-ოს — ამი-**ლ**-ია (ნაცვლად ფორმისა აღმი-**ლ-ებ**-იეს...); მიმე-**ც**-ა / მიმე-**ც**-ე-ს— მიმი-**ც**-ია (ნაცვლად ფორმისა მიმი-**ც-ემ**-იეს)...

მოხდა „პარადიგმების გასწორება“: ერთ შემთხვევაში I თურმეობითის მიხედვით, მეორე შემთხვევაში — II თურმეობითისა და III კავშირებითის მიხედვით.

ასე რომ, **თემისნიშნიან ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებში** საუღლებელი ფუძის პრინციპი III სერიის მწკრივებშიც გატარდა: ზმნები სამივე მწკრივში ერთსა და იმავე ფუძეს ეყრდნობა — ან რთულს (I სერიისას), ან მარტივს (II სერიისას);

აწმყო:	ვა-**კეთ-ებ**	ვი-**ღ-ებ**
წყვეტილი:	ვა-**კეთ-ე**	ავი-**ღ-ე**
I თურმ.:	გამი-**კეთ-ებ**-ია	ამი-**ღ-**ია
II თურმ.:	გამე-**კეთ-ებ**-ინა	ამე-**ღ-**ო
III კავშ.:	გამე-**კეთ-ებ**-ინოს	ამე-**ღ-**ოს

ერთი მთავარი კითხვა ჩნდება: რა არის მიზეზი ამგვარი ცვლილების განხორციელებისა? — პარადიგმის გასწორება? მაშინ: რატომ „გასწორდა“ ერთი ჯგუფი პირველი თურმეობითის მიხედვით და მეორე ჯგუფი — II თურმეობითის მიხედვით? ეს კითხვები ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება...

ჩვენ ზემოთ გავხაზეთ: ეს ცვლილება მოხდა **თემისნიშნიან ზმნებში.** ხოლო იმ ზმნებში, რომელთა I-II სერიების თემა ხმოვანმონაცვლეობითაა დაპირისპირებული, ამგვარი ცვლილება არ მომხდარა; ვითარება ძველებური დარჩა: I თურმეობითი კვლავაც აწმყოს ფუძეს ეყრდნობა, II თურმეობითი და III კავშირებითი — წყვეტილის ფუძეს: ამ შემთხვევაშიც ორ ჯგუფს განვიხილავთ: ა) ფუძედრეკად ზმნებსა და ბ) ე. წ. **ი-**თემისნიშნიან ზმნებს.

ა) ფუძედრეკადი ზმნები:

აწმყო:	ვ-**დრეკ**	წარ-ვ-ა-**დგენ**
I თურმ.:	მო-მ-ი-**დრეკ**-ი-ა	წარ-მ-ი-**დგენ**-ი-ა
წყვეტ.:	მო-ვ-**დრიკ**-ე	წარ-ვ-ა-**დგინ**-ე
II თურმ.:	მო-მ-ე-**დრიკ**-ა	წარ-მ-ე-**დგინ**-ა
III კავშ.:	მო-მ-ე-**დრიკ**-ო-ს	წარ-მ-ე-**დგინ**-ო-ს

ბ) ე. წ. ი-თემისნიშნიანი ზმნები:

აწმყო:	ვ-**თლ**-ი	ვ-**ცლ**-ი
I თურმ.:	გა-მ-ი-**თლ**-ი-ა	და-მ-ი-**ცლ**-ია
წყვეტ.:	გა-ვ-**თალ**-ე	და-ვ-**ცალ**-ე
II თურმ.:	გა-მ-ე-**თალ**-ა	და-მ-ე-**ცალ**-ა
III კავშ.:	გა-მ-ე-**თალ**-ო-ს	და-მ-ე-**ცალ**-ო-ს

ამგვარად: ხმოვანმონაცვლე ზმნები ინარჩუნებს იმავე პრინციპს, რა პრინციპზეც იყო აგებული III სერიის მწკრივთა წარმოება ძველ ქართულში. ცვლილება არ მომხდარა და არც იყო მოსალოდნელი ერთთემიან ზმნებში: **წერ-ს** ტიპის ზმნათა III სერიის მწკრივები იმავე მარტივ ფუძეს ემყარება, რომელი ფუძეც საერთოა I და II სერიის მწკრივთათვის:

ა წ მ ყ ო :	ვ-**წერ**	ვ-**თხოვ**
წ ყ ვ ე ტ.:	ვ-**წერ**-ე	ვ-**თხოვ**-ე
I თ უ რ მ.:	მ-ი-**წერ**-ი-ა	მ-ი-**თხოვ**-ი-ა
II თ უ რ მ.:	მ-ე-**წერ**-ა	მ-ე-**თხოვ**-ა
III კ ა ვ შ.:	მ-ე-**წერ**-ო-ს	მ-ე-**თხოვ**-ო-ს

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ყოველივე ამის გათვალისწინებით? როგორც ჩანს, **არსებითი მნიშვნელობა მიენიჭა რთულ და მარტივ თემათა დაპირისპირებას** და არა ერთთემიანობა-ორთემიანობის პრინციპს. გავიხსენოთ: რთულია თემა, როცა მარტივი ფუძე განივრცობა თემის ნიშნით (კეთ — **კეთ-ებ**, თბ — **თბ-ობ**, ეც — **ც-ემ**...); მარტივია თემა, რომელიც არ შეიცავს თემის ნიშნას (**კეთ-, შენ-... წერ-, ტეხ...**). ამ თვალსაზრისით მარტივია თემა ფუძედრეკად ზმნებშიც (**დრეკ — დრიკ, გრეხ — გრიხ...**) და ე. წ. **ი-**თემისნიშნიანებშიც (თლ — თალ, შლ — შალ...).

შენიშვნა: 1. გავიხსენოთ, რომ **ი-** ბოლოსართს არ მივიჩნევთ თემის ნიშნად. თავად ის ფაქტი რომ **თლ-ი-ს, შლ-ი-ს** ტიპის ზმნები III სერიის მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით უთემისნიშნო ზმნათა რიგში ჩადგა, **-ი** სუფიქსის რაობის გარკვევის თვალსაზრისით არსებითად გვეჩვენება.

2. რადგან მნიშვნელობა მიენიჭა თემის ნიშნის ქონა-არქონას, ტენდენცია რომ არის ქართულში უთემისნიშნო და ფუძედრეკად ზმნათა თემისნიშნიან ფორმებზე გადასვლისა (რეკ-ს → რეკ-ავ-ს, თიბ-ს → თიბ-ავ-ს... ფრენ-ს → ფრინავს...), ხომ არ არის კავშირში III სერიაში მიმდინარე ფორმაცვალებისა?..

და მაინც: რა შუაშია თემის ნიშანი და ფორმაწარმოებაში მომხდარი ცვლილებები? ჩვენ საუბარი გვქონდა თემის ნიშანთა სისტემა-

ში მომხდარ ცვლილებებსა და იმ ტენდენციებზე, რასაც ეს ცვლილებები ეფუძნებოდა (იხ. § 17). საფიქრებელია, III სერიაში მომხდარი ფორმობრივი ცვლილებები დაკავშირებული იყოს თემის ნიშანთა სისტემაში მიმდინარე პროცესებთან... სხვაგვარად რომ ვთქვათ, III სერიაში მომხდარი ცვლილებები თემის ნიშანთა სისტემაში მომხდარ ცვლილებეთან კავშირში უნდა იქნეს განხილული. როგორ? — ეს მომავალი კვლევის საგნად გვესახება.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნათა III სერიის მწკრივებში მომხდარი ფორმობრივი ცვლილებების შედეგად საუღლებელი ფუძის პრინციპი გატარდა დრო-კილოთა ამ ჯგუფშიც. ეს პრინციპი დაემყარა რთულ და მარტივ თემათა დაპირისპირების ფაქტორს: **სამივე მწკრივში ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნებს ან რთული თემა აქვს** (კეთ-ებ, შენ-ებ...), ან — **მარტივ თემა** (-ქ-, -გ-... თლ/თალ, შლ/შალ... დრეკ/დრიკ, გრეხ/გრიხ...)... გავიხსენოთ: ძველ ქართულში თემისნიშნიან ზმნებს I თურმეობითში რთული თემა ჰქონდათ, II თურმეობითში — მარტივი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფუძეთა ერთგვაროვნების „ჰორიზონტალური“ პრინციპი შეიცვალა ფუძეთა ერთგვაროვნების „ვერტიკალური“ პრინციპით:

ძ ვ. ქ ა რ თ უ ლ ი:

I თურმ.:	მი-**კეთ-ებ**-იეს,	აღმი-**შენ-ებ**-იეს;	მიმი-**გ-ებ**-იეს,	მიმი-**ც-ემ**-ეს...
II თურმ.:	მე-**კეთ-**ა,	აღმე-**შენ-**ა;	მიმე-**გ**-ო,	მიმე-**ც**-ა...
III კავშ.:	მე-**კეთ-**ოს,	აღმე-**შენ-**ოს;	მიმე-**გ**-ოს,	მიმე-**ც**-ეს

ა ხ ა ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი:

I თურმ.:	მი-**კეთ-ებ**-ია,	მი-**შენ-ებ**-ია;	მიმი-**გ**-ია,	მიმი-**ც**-ია
II თურმ.:	მე-**კეთ-ებ**-ი(ნ)ა,	მე-**შენ-ებ**-ი(ნ)ა;	მიმე-**გ**-ო,	მიმე-**ც**-ა
III კავშ.:	მე-**კეთ-ებ**-ი(ნ)ოს,	მე-**შენ-ებ**-ი(ნ)ოს;	მიმე-**გ**-ოს,	მიმე-**ც**-ეს

ვიმეორებთ: ჰორიზონტალურ ხაზებში წარმოდგენილი ერთგვაროვნება შეიცვლა ვერტიკალურ რიგებში წარმოდგენილი ერთგვაროვნებით. და **ეს არის უაღრესად პრინციპული მნიშვნელობის ფორმობრივი განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის**.

ერთი საინტერესო დეტალიც: ზემოწარმოდგენილი პარადიგმების I რიგის ფორმებში II თურმეობითსა და III კავშირებითში გამოვლენილი

ნ ფრჩხილებში ჩავსვით. ფაქტია, რომ **გაეკეთებ-ინ-ა** და **გაეკეთებ-ი-ა** პარალელური ფორმებია, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მთავარი. ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს **ნ** ბოლოსართის სტატუსს.

ა. შანიძის აზრით, **ნ** ჩანართი თანხმოვანია: „გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს გრძელი ფორმა შუალობითი კონტაქტის ფორმააო, მაგრამ შუალობითი კონტაქტის ზმნებს კიდევ სხვა **ებინ** ემატება: **გამეკეთ-ე-ბინ-ებინ-ა — გამეკეთ-ებინ-ებინ-ო-ს,** ასე რომ, ნამდვილად აქ რაღაც სხვა ვითარებაა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 440). მივადევნოთ თვალი საინტერესო მსჯელობას: „გრძელი ფორმების წარმოშობის საფუძველი ეს არის: **ებ**იან ზმნათა I თურმეობითის ფუძე განზოგადდა (იგულისხმება ის ებიანები, რომელთაც თემის ნიშანი შენახული აქვთ I თურმეობითში) და ორ სხვა მწკრივშიც იქნა გადატანილი:

გამიკეთებია — გამეკეთებია — გამეკეთებიოს

დამიშავებია — დამეშავებია — დამეშავებიოს და მისთ.

ამგვარი ფორმები ბევრ კილოშია დაცული, ზოგმა კილომ და მათი გავლენით სალიტერატურო ენამ **ნ** ჩაურთო კიდევ და ამგვარად მივიღეთ **ებინ** დართული („გრძელი“) ფორმები“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 440).

ეს ლოგიკური და დამაჯერებელი მსჯელობა III სერიის I ყალიბის სამივე მწკრივის ფორმებში წარმოდგენილ **-ი** ელემენტს ერთ ოდენობად გაგვააზრებინებს და საერთო ფუძის წესი კიდევ უფრო მყარი ხდება:

I თურმ.	გა-მ-ი-**კეთ-ებ-ი**-ა
II თურმ.	გა-მ-ე-**კეთ-ებ-ი**-ა
III კავშ.	გა-მ-ე-**კეთ-ებ-ი**-ო-ს

ის ფაქტი, რომ **-ი** ელემენტი I რიგის ზმნებში სამივე მწკრივში გვხვდება, ხოლო II რიგის ზმნებთან მხოლოდ I თურმეობითში, საფუძველს გამოგვაცლის იმისას, ეს ფორმანტი მწკრივის ნიშნად გავიაზროთ.

ნ ელემენტის ჩანართობის თაობაზე როცა მსჯელობს, მკვლევარი დაასკვნის: „ჩართული **ნ** პირველად II თურმეობითში უნდა გაჩენილიყო, მაგრამ შემდეგ იგი I თურმეობითში გადასულა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 443), იგულისხმება უყიდ-**ნ**-ია ტიპის ფორმები.

შენიშვნა: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით „ერთადერთ სალიტერატურო ფორმე-

ბად“ (ნორმები, 1986, გვ. 218) უნდა იქნეს მიჩნეული **ნ** ჩართული ფორმები; აეშენებინა, აეშენებინოს... თუ გავითვალისწინებთ **ია** დაბოლოებიანი ფორმების გავრცელების სიხშირეს და **ნ**-ს წარმომავლობის საკითხს, შეიძლება წარმოდგენილ კატეგორიულ მსჯელობაში **ერთადერთი** შეგვეცვალა... მით უმეტეს, რომ იგივე **ნ** ნორმის დარღვევაა I თურმეობითში...

27.4. -ავ /-ამ თემისნიშნიან ზმნათა III სერიის ფორმათა შესახებ

ძველ ქართულში **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა III სერიის ფორმები, როგორც ვნახეთ, თავისებურ ვითარებას გვიჩვენებს: თუ II თურმეობითსა და III კავშირებითში რაიმე არსებითი ხასიათის განსხვავება არა გვაქვს სხვა ბრუნვაცვალებადსუბიექტიან ზმნათა წარმოებასთან, I თურმეობითში პრინციპულად განსხვავებული ვითარებაა:

II თურმ.:	მო-მ-ე-**კლ**-ა,	მ-ე-**თქუ**-ა	შდრ.:	მ-ე-**წერ**-ა
III კავშ.:	მო-მ-ე-**კლ**-ა-ს	მ-ე-**თქუ**-ა-ს		მ-ე-**წერ**-ო-ს

I თურმეობითში მსგავსება ის არის, რომ რთულ თემას ემყარება **-ავ/-ამ** თემისნიშნიანი ზმნებიც; განსხვავება ის არის, რომ არ დაირთავს **-ი-ე-** დაბოლოებას:

მ-ი-კითხ-ავ-ს	შდრ.:	მ-ი-კეთ-ებ-**ი-ე**-ს
მ-ი-სუ-ამ-ს		მი-მ-ი-ც-ემ-**ი-ე**-ს

ძნელი სათქმელია, ეს სხვაობა რისი ამსახველია; რას ნიშნავს, მაგრამ ფაქტია... ეს არის ნორმა ძველი ქართულისათვის.

„საშუალი ქართულის ადრეულ საფეხურზე I თურმეობითის **-ია** დაბოლოება **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნებშიც იჩენს თავს. უძველესი ნიმუშები ამგვარი წარმოებისა ჩვენ მოგვეპოვება „ვეფხისტყაოსანში“ (ზ. ჭუმბურიძე, 1976, გვ. 29). ორი ფორმაა დასახელებული დ ა მ ი ს ა ხ ი ა და დ ა მ ი თ ე ს ი ა. ზ. სარჯველაძე X-XI საუკუნეების ხელნაწერებშიც ადასტურებს **ია** დაბოლოებიან ფორმებს: დაუმარხიედ, დაუთესიან (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 462). **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა **-ია** დაბოლოებაზე გადასვლა, როგორც ჩანს, ძველ ქართულშივე დაწყებულა. ძალზე საინტერესოა ანტონის პარადიგმებში დადასტურე-

ბული ვარიანტები **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითისა:

ა) შეუკრავს, აღუხუამს
ბ) შეუკრჯეს, აღუხუმიეს
გ) შეუკრვია, აღუხუმია
დ) შეუკრია, აღუხუმია (იხ. § 1.6).

თუ დავუშვებთ, რომ ყველა ეს ფორმა რეალურია (და, არ გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ასე არ არის), საინტერესო პროცესთან გვაქვს საქმე:

I ეტაპზე იწყება **ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმანთა წარმოების გათანაბრება სხვა თემისნიშნიან ზმნებთან: რთული თემა + **იე**-ს დაბოლოება:

შეუ-**კრ-ავ**-ს → შეუ-**კრ-ვ-იე**-ს (შდრ.: უ-**კეთ-ებ-იე**-ს) II ეტაპზე **იე**-ს დაბოლოება იცვლება — **ი-ა** დაბოლოებით:

შეუ-კრ-ვ-**იე**-ს → შეუ-კრ-ვ-**ია** (შდრ.: უ-კეთ-ებ-ია) III ეტაპზე იკარგება თემის ნიშანი და -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა გათანაბრება ხდება II რიგის ზმნათა I თურმეობითის ფორმებთან:

შეუ-**კრ-ვ**-ია → შეუ-**კრ**-ია (შდრ.: აუ-ღ-ია...). ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და მასშტაბური აღმოჩნდა. იმდენად ბუნებრივი და თითქმის საყოველთაო, რომ კარგა ხანია გამოითქვა აზრი, რომ I თურმეობითის პარალელურ ფორმათაგან (დაუხატავს || დაუხატია, დაუდგამს || დაუდგია) სალიტერატურო ნორმათა თვალსაზრისით ორივე უნდა იქნეს დაშვებული (ზ. ჭუმბურიძე, 1976; გ. გოგოლაშვილი, 2000; გ. გოგოლაშვილი, 2007).

ამჯერად ამ პოლემიკას არ გამოვედევნებით. ჩვენთვის არსებითია, რა ხდება ენობრივ სისტემაში: **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა ძველი ფორმები (დაუმალავს, უთქვამს...) რამდენად ჯდება ახალ სისტემაში.

I თურმ.:	და-უ-**მალ-ავ**-ს	უ-**თქუ-ამ**-ს
II თურმ.:	და-ე-**მალ**-ა	ე-**თქუ-**ა
III კავშ.:	და-ე-**მალ**-ო-ს	ე-**თქუ-**ა-ს

ფორმათა მიმართება (საყრდენი ფუძის პრინციპიდან გამომდინარე) იმ პრინციპზეა აგებული, რა პრინციპსაც ემყარებოდა თემისნიშნიან ზმნათა III სერიის მწკრივთა წარმოება: ასე ვთქვათ, წარმოების ერთფეროვნების „ჰორიზონტალური პრინციპი“ — I თურმეობითში რთული თემა; II თურმეობითსა და III კავშირებითში — მარტივი თემა.

ია დაბოლოებიან ფორმებს თუ ამ პარადიგმაში ჩავსვამთ, მივიღებთ იმ ვარიანტს, რომელსაც ვუწოდეთ ფორმათა ერთფეროვნების „ვერტიკალური პრინციპი“:

I თურმ.:	და-უ-**მალ-**ია	უ-**თქვ**-ია
II თურმ.:	და-ე-**მალ**-ა	ე-**თქვ-**ა
III კავშ.:	და-ე-**მალ**-ო-ს	ე-**თქვ-**ას

როგორც ვნახეთ, ახალ ქართულში შერეული (ანუ „ერთფეროვნების ჰორიზონტალურ პრინციპზე“ აგებული) პარადიგმა თემისნიშნიან ზმნებში აღარ გვაქვს: ან სამივე მწკრივში რთული თემაა, ან სამივე მწკრივში — მარტივი თემაა. **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმანთა ძველი პარადიგმა არღვევს ერთიან სისტემას. **ია** დაბოლოებიან ფორმათა გაჩენა სწორედ III სერიის ფორმაწარმოებაში მომხდარი რთული ცვლილების ტენდენციის გამოვლენაა. **-ია** დაბოლოებიანი ფორმები ანალოგიურია თემისნიშნიან ზმნათა II რიგის ფორმებისა: როცა II თურმეობითის (და III კავშირებითის) უთემისნიშნო საყრდენი ფუძე გავრცელდა I თურმეობითში:

I თურმ.:	განმიტფობიეს	გამითბია
II თურმ.:	განმეტფო	გამეთბო
III კავშ.:	განმეტფოს	გამითბოს

შდრ.:

I თურმ.:	მომიკლავს	მომიკლია
II თურმ.:	მომეკლა	მომეკლა
III კავშ.:	მომეკლას	მომეკლას

როგორც ითქვა, თემისნიშნიან ზმნათა III სერიის ფორმათა ცვლილების ტენდენცია ფაქტობრივ დასრულებულია. ერთადერთი გამონაკლისი (ძველი სისტემის ნაშთი), არის სწორედ -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა ისტორიული პარადიგმა, რომლის ჩანაცვლების მცდელობა ახალი სისტემის პარადიგმით ძველ ქართულშივე დაწყებულა. დღეს ახალი პარადიგმა ფაქტობრივ დამკვიდრებულია როგორც ზეპირმეტყველებაში, ისე სამწერლო ქართულში.

ამ გამონაკლისის შენარჩუნებას (-ავ/-ამ თემისნიშნიანი ფორმებისა) გარკვეულწილად ხელი შეუწყო გასული საუკუნის დასაწყისში შე-

მუშავებულმა ნორმამ: „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთ ლიტერატურულ ფორმად უნდა დარჩეს **-ავ** და **-ამ** სუფიქსიანი ფორმები, ხოლო **-ია** დაბოლოებიანი ფორმები უკუგდებულ უნდა იქნეს (ნორმები, 1986, გვ. 217). არგუმენტები ასეთია: თემისნიშნიანი ფორმები

„ა) მართებული ფორმებია წარმოების თვალსაზრისით;

ბ) მართებული ფორმებია ისტორიული თვალსაზრისით;

გ) გაბატონებული ფორმებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“ (იქვე, გვ. 216).

თითქმის საუკუნის წინათ, როცა ეს ნორმა შემუშავდა, შესაძლებელი იყო საკითხის ასე დასმა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან შეიძლებოდა სხვაგვარად გვეფიქრა:

როგორც ჩვენმა ზემომოყვანილმა მსჯელობამ გვიჩვენა, **ია** დაბოლოებიანი ფორმები მართებულია წარმოების თვალსაზრისით. მეტიც: თემისნიშნიანი ფორმები (დაუმალავს, უთქვამს) ძველი სისტემის ნაშთია და ამოვარდნილია ახალი სისტემიდან; მისი ხელოვნური შენარჩუნება არღვევს საუკუნეების მანძილზე განვითარებულ ტენდენციას. როგორც ვთქვით, ესაა ერთადერთი გამონაკლისი თემისნიშნიან ზმნებში.

როცა ვსაუბრობთ ფორმათა გავრცელებულობის ფაქტორზე, აქ მოვიშველიებთ ზ. ჭუმბურიძის აზრს: **ია** დაბოლოებიანი ფორმები „საერთო ენობრივი ტენდენციის გამოხატულებაა, გავრცელებულია მთელი ხალხის სასაუბრო ენაში და არ წარმოადგენს ერთი რომელიმე დიალექტის (ან დიალექტთა წრის) შემონატანს სალიტერატურო ენაში; სავსებით ეგუება სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას, გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანმიმდევრობას“ (ზ. ჭუმბურიძე, 1976, გვ. 35-36).

ყურადღებას მივაპყრობთ იმას, რომ განსახილველ ზმნათა I თურმეობითის სრული პარადიგმიდან გავრცელებულობის თვალსაზრისით არაა ერთგვაროვანი ვითარება ორგანულ და მეშველზმნიან ფორმათა შემთხვევაში: თუ პარალელიზმი აშკარაა და თემისნიშნიანი ფორმები არცთუ იშვიათია უნახავს || უნახია შემთხვევაში, მეშველზმნიან წარმოებაში თემისნიშნიანი ფორმები იშვიათია, მეტიც, თითქმის აღარ გვხვდება: მინახ**ავ**ხარ || მინახიხარ, გინა**ხავ**ხარ || გინახივარ...

ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ **-ავ/-ამ** თემისნიშნიან ზმნათა **ია** დაბოლოებაზე გადასვლა კანონზომიერი პროცესია და მას ნორმატული ბარიერები ვერ შეაჩერებს.

სანამ ამ თემაზე საბოლოო დასკვნას გავაკეთებთ, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი განსახილველ ზმნათა I თურმეობითის სრულ პარადიგმას:

დამიხატ-**ავ**-ს	‖	დამიხატ-**ი**-ა	მე ის (ისინი)
დაგიხატ-**ავ**-ს	‖	დაგიხატ-**ი**-ა	შენ ის (ისინი)
დაუხატ-**ავ**-ს	‖	დაუხატ-**ი**-ა	მას ის (ისინი)
დაგვიხატ-**ავ**-ს	‖	დაგვიხატ-**ი**-ა	ჩვენ ის (ისინი)
დაგიხატ-**ავ**-თ	‖	დაგვიხატ-**ი**-ა-თ	თქვენ ის (ისინი)
დაუხატ-**ავ**-თ	‖	დაუიხატ-**ი**-ა-თ	მათ ის (ისინი)
დამიხატ-**ავ**-ხარ	‖	დამიხატ-**ი**-ხარ	მე შენ
დამიხატ-**ავ**-ხართ	‖	დამიხატ-**ი**-ხართ	მე თქვენ
დაგვიხატ-**ავ**-ხარ	‖	დაგვიხატ-**ი**-ხარ	ჩვენ შენ
დაგვიხატ-**ავ**-ხართ	‖	დაგვიხატ-**ი**-ხართ	ჩვენ თქვენ
დაგიხატ-**ავ**-ვარ	‖	დაგიხატ-**ი**-ვარ	შენ მე
დაგიხატ-**ავ**-ვართ	‖	დაგიხატ-**ი**-ვართ	შენ ჩვენ
დაგვიხატ-**ავ**-ხარ	‖	დაგვიხატ-**ი**-ხარ	ჩვენ შენ
დაგვიხატ-**ავ**-ხართ	‖	დაგვიხატ-**ი**-ხართ	ჩვენ თქვენ
დაუხატ-**ავ**-ვარ	‖	დავუხატ-**ი**-ვარ	მას მე
დაუხატ-**ავ**-ვართ	‖	დაუხატ-**ი**-ვართ	მას ჩვენ
დაუხატ-**ავ**-ხარ	‖	დაუხატ-**ი**-ხარ	მას შენ
დაუხატ-**ავ**-ხართ	‖	დაუხატ-**ი**-ხართ	მას თქვენ
დაგიხატ-**ავ**-ვართ	‖	დაგიხატ-**ი**-ვართ	თქვენ მე (ჩვენ)
დავუხატ-**ავ**-ვართ	‖	დავუხატ-**ი**-ვართ	მათ მე (ჩვენ)
დაუხატ-**ავ**-ხართ	‖	დაუხატ-**ი**-ხართ	მათ შენ (თქვენ)

ეს ვრცელი პარადიგმა იმისთვის მოვიყვანეთ, რომ დავინახოთ, პარადიგმის მარჯვენა რიგი (**ია** დაბოლოებიანი ვარიანტი) რამდენად ბუნებრივი და (ხშირ შემთხვევაში) ერთადერთი ვარიანტია პარალელურ ფორმათაგან. ეს ეხება განსაკუთრებით მეშველზმნიან ფორმებს. მარცხენა რიგის მეშველზმნიანი ფორმები იშვიათია და ზოგჯერ ხელოვნურობის ელფერსაც ატარებს. ამიტომაც ვთვლით: ამ ფორმათა „ერთადერთ ლიტერატურულ ფორმებად“ მიჩნევა ენის განვითარების კანონზომიერების წინააღმდეგ წასვლაა. ძნელია, ამ შემთხვევაში კანონმდებელმა აჯობოს ენას...

27.5. ვნებითი გვარის ზმანთა III სერიის ფორმათა შესახებ

ამ თავის დასაწყისშიც ვთქვით: ფორმაწარმოების თავისებურებებს მესამე სერიაში გარკვეულწილად განსაზღვრავს გვარის ფაქტორი: მოქმედებითი გვარის შემთხვევაში ფორმაწარმოება ინვერსიის პრინციპზეა აგებული და ძირითადად ორგანულია. ვამბობთ ძირითადად-თქო, რადგანაც ორგანულია წარმოება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რეალური ობიექტი არის I და II პირები:

მე ის	ა-მ-ი-**შენებ**-ია
შენ ის	ა-გ-ი-**შენებ**-ია
მას ის	ა-უ-**შენებ**-ია
მას მე	ა-ვ-უ-**შენებ**-ი-ვარ
მას შენ	ა-უ-**შენებ**-ი-ხარ
მე შენ	ა-მ-ი-**შენებ**-ი-ხარ
შენ მე	ა-გ-ი-**შენებ**-ი-ვარ

თუმცა მეშველზმნიანი წარმოების შემთხვევაშიც მწკრივის საყრდენი ფუძე საერთოა.

ვნებითი გვარის შემთხვევაში სხვადასხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს ერთპირიანი და ორპირიანი ზმნები. მოქმედებითი გვარის ზმნებთან მიმართებით ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფორმათა წარმოების ერთგვაროვანი პრინციპის გატარება ხდება ვნებითი გვარის ზმნებშიც.

ერთპირიან ვნებითებთან ეს პრობლემა თითქოს არ მდგარა: ძველსა თუ ახალ სალიტერატურო ქართულში III სერიის სამივე მწკრივი ერთგვარი პრინციპით იწარმოებოდა, რა თქმა უნდა, იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ამგვარ წარმოებაში სხვაობას ქმნიდა და ახალ ქართულში — მხედველობაში მაქვს მეშველზმნიანი წარმოება (მეშველზმნიან ფორმათა წარმოქმნისა და განვითარების შესახებ იხ. ლ. ბარამიძე, 2000):

ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი

I თურმეობითი	**II თურმეობითი**	**III კავშირებითი**
დამალულ ვარ	დამალულ ვიყავ	დამალულ ვიყო
დამალულ ხარ	დამალულ იყავ	დამალულ იყო

დამალულ არს	დამალულ იყო	დამალულ იყოს
დამალულ ვართ	დამალულ ვიყვენით	დამალულ ვიყვნეთ
დამალულ ხართ	დამალულ იყვენით	დამალულ იყვნეთ
დამალულ არიან	დამალულ იყვნეს	დამალულ იყვნენ

ახალი ქართული

I თურმეობითი	**II თურმეობითი**	**III კავშირებითი**
და-ვ-მალულ-ვარ	და-ვ-მალულ-იყავ	და-ვ-მალულ-იყო
და-მალულ-ხარ	და-მალულ-იყავ	და-მალულ-იყო
და-მალულ-ა	და-მალულ-იყო	და-მალულ-იყოს
და-ვ-მალულ-ვართ	და-ვ-მალულ-იყვენით/იყავით	და-ვ-მალულ-იყვნეთ /იყოთ
და-მალულ-ხართ	და-მალულ-იყვენით/იყავით	და-მალულ-იყვნეთ/ იყოთ
და-მალულ-ან	და-მალულ-იყვნენ	და-მალულ-იყვნენ

ა. შანიძის აზრით, ახალ ქართულში „პირის ნიშნის წინ წამოწევისათვის ხელი უნდა შეეწყო ორპირიანი ზმნების უღლებას იმავე სერიის მწკრივებში“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 454). ვფიქრობთ, **ესაა აღწერითი წარმოების ორგანულად გააზრების გზა, რაც, ჩვენი აზრით, იმ საერთო ტენდენციის გამოვლენაა, რაც მესამე სერიის მწკრივთა წარმოებაში მომხდარ ცვლილებასთან არის დაკავშირებული —** ფორმობრივი პრინციპის ბოლომდე გატარება: **მიმღეობა გაიაზრება ზმნურ ფუძედ, საერთო მონაცემად სამივე მწკრივის ფორმათათვის და ჩვეულებრივი მორფოლოგიური მოდელი იქმნება:**

ზმნისწინი + პირის ნიშანი + ფუძე + მეშველი ზმნა:

და-ვ-მალულ-ვარ; შდრ.: მი-ვ-დი-ვარ, და-ვ-ფრინავ-ვარ

მიმღეობა ამ შემთხვევაში მორფოლოგიურად ტოლფასია თემისა, ე. ი. ორგანულ წარმოებაში იმ ნაწილისა, რომელიც საერთოა ერთი სერიის მწკრივთა ფორმებისათვის.

ეს ტენდენცია რომ აშკარაა, ამის დასტურია ის ცვლილებები, რომლებიც ხდება ორპირიანი ვნებითი გვარის ფორმათა წარმოებაში. ცნობილია, როგორც ძველ, ისე ახალ სალიტერატურო ქართულში ორპირიანი გარდაუვალი ზმნების I თურმეობითი, ერთი მხრივ, და II თურმეობითი და III კავშირებითი, მეორე მხრივ, განსხვავებული პრინციპით იუღლის.

ძველი ქართული

I თ უ რ მ .:	და-ვ-ჰ-ვიწყ-ებ-ი-ე
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ი-ე
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ი-ე-ს
II თ უ რ მ .:	და-ვ-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ე
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ე
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ა
III კ ა ვ შ .:	და-ვ-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი
	და-ჰ-ვიწყ-ებ-ოდ-ი-ს

ფორმობრივი თვალსაზრისით, III სერიაში საერთო ფუძის წესი ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ყველაზე კარგად ამ შემთხვევაში გატარდა. აქ ამ სამ მწკრივს შორის ისეთივე მიმართებაა ფორმაწარმოების თვალსაზრისით, როგორც — **ოდ**-იან ზმნების I სერიის აწმყოს, უწყვეტელსა და I კავშირებითში:

შდრ.:	გან-ვ-ტფ-ებ-ი
	გან-ვ-ტფ-ებ-ოდ-ე
	გან-ვ-ტფ-ებ-ოდ-ი

I თურმეობითის მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლამ ცვლილება გამოიწვია მთლიანად III სერიის პარადიგმაში; ამ შემთხვევაში ორპირიანი გარდაუვალი ზმნები ერთპირიანის მსგავსნი აღმოჩნდებიან ფორმობრივ:

I თურმ.:	და-ვ-ვიწყ-ებ-ი-ვარ
	და-ვიწყ-ებ-ი-ხარ
	და-ვიწყ-ებ-ი-ა
II თურმ.:	და-ვ-ვიწყ-ებ-ი-ყავ
	და-ვიწყ-ებ-ი-ყავ
	და-ვიწყ-ებ-ი-ყო
III კავშ.:	და-ვ-ვიწყ-ებ-ი-ყო
	და-ვიწყ-ებ-ი-ყო
	და-ვიწყ-ებ-ი-ყოს

II თურმეობითსა და III კავშირებითში მეშველზმნიანი ფორმები დიალექტიზმებად გაიაზრება (და ასეცაა), ოღონდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ესაა იმ ტენდენციის გამოვლენა, რაც III სერიის მწკრივთა წარმოების ფორმობრივ პრინციპზე დამყარებაა.

27.6. ზოგადი დასკვნა პარადიგმისათვის

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საგულისხმო დასკვნის გაკეთება შეიძლება:

ის აზრი, რომ III სერიის ფორმათა წარმოება არღვევს საუღლებელი ფუძის პრინციპს (ნ. მარი), გამართლებულია და რეალობას ასახავს ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში „საერთო ფუძის“ პრინციპის გატარება მოხდა როგორც მოქმედებითი გვარის ზმნებში, ისე ვნებითებში. არსებობს ნაირგვარი მოდელები ერთფეროვნებისა; ესაა არსებითი სხვაობა და თვისებურება ახალი ქართული სალიტერატურო ენისა.

ბოლოსიტყვა

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულზე მუშაობის ბოლო ეტაპზე (გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში) ლექსიკონის რედაქტორმა მ. ჭაბაშვილმა დროის გაგრძელება ითხოვა: ზოგი რამ შესაჯერებელია, ზოგი რამ გადასამოწმებელიაო. მთავარმა რედაქტორმა არნოლდ ჩიქობავამ ბრძანა: ლექსიკონზე მუშაობა არასდროს მთავრდება, უნდა შეძლოთ წერტილის დასმაო... ასე ყოფილა, ამგვარ წიგნზე მუშაობაც არ მთავრდება თურმე... მაგრამ მაინც შევძელით წერტილის დასმა... მორჩილად ველით მკითხველის მსჯავრს...

შეიძლება წიგნი არათანაბარი მოეჩვენოს კაცს: ზოგ საკითხს მეტი ყურადღება მივაქციეთ, ზოგს — ნაკლები... მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ ეს არ არის სისტემური კურსი... არის საკითხები, რომლებზეც ბევრი ვიფიქრეთ... არის საკითხები, რომლებზეც არ გვიფიქრია... ისეთი საკითხებიცაა, ვიფიქრეთ, მაგრამ ამაოდ — ვერაფერს მივაგენით... ზმნა ისევ რჩება ჩვენი ფიქრის მთავარ საგნად... ღვთის მადლით, ამოუწურავი მადანია ქართული ზმნა... ალბათ არაერთი მკვლევარი შეეცდება მის ლაბირინთებში გარკვევას... ბედნიერად ჩავთვლით თავს, ეს ჩვენი ნაშრომი თუ დაეხმარება მათ, ამ ლაბირინთებში გზა რომ გაიგნონ...

საკმაოდ ძნელი იყო ამ წიგნის სასტამბოდ მომზადება. ტექსტი რუსულიდან გრიგოლიამ მონდომებით ააწყო; ამ რთული ნაშრომის კორექტურის სიმძიმე რუსულიდან ლანდიამ და ციცინო კვანტალიანმა გაიზიარეს (ცხადია, პასუხისმგებლობა გაპარული შეცდომებისათვის მხოლოდ ავტორს ეკისრება)... არც რედაქტორების შრომა იყო ადვილი... ყველა მათგანს უღრმესი მადლობა..

ქართული ენისათვის უდიდესი ბედნიერება იყო ის, რომ, XIX საუკუნეში იაკობ გოგებაშვილი მოუვლინა მას ღმერთმა პატრონად... იაკობი, ილია, აკაკი... ქართული ენისთვის უდიდესი ბედნიერება იყო

ისიც, რომ XX საუკუნეში ღმერთმა მას აკაკი შანიძე მოუვლინა... აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია...

დიახ, ბედნიერია ენა, რომელსაც ასეთი მკვლევრები არგუნა ბედმა... ბედნიერებაა ისიც, განგება თანაზიარს რომ გაგხდის კაცს ამ ბედნიერებისა... დიდ ტაძარში დიდ კანდელთა გვერდით პატარა სანთელსაც თავისი წილი სინათლე შეაქვს... ცხადია, თუ ის გულწრფელად იწვის... და ესეც ბედნიერებაა იმ სანთლისათვის...

ლიტერატურა

ვ. აბაშვილი, 2009 — ვ. აბაშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, თბილისი, 2009.

ნ. აბესაძე, 1960 — ნ. აბესაძე, გრამატიკის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში, თბილისი, 1960.

ი. აბულაძე, 1940 — ი. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები. I. ზურაბ შანშოვანი: სახ. მუზ. მოამბე, X, თბილისი, 1940.

ი. აბულაძე, 1954 — ი. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-IX ს-ის ძეგლების მიხედვით: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 53, თბილისი, 1954.

ანტონი, 1885 — ქართული ღრამმატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885.

ანტონი, 1997 — ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია — 1767), თბილისი, 1997.

ა. არაბული, 1978 — ა. არაბული, მესამე ხოლმეობითი ხევსურულში: ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1978.

ა. არაბული, 1980 — ა. არაბული, სპორადულად გამოვლენილ III პირის **-ნ/-დ, -ენ/-ედ** სუფიქსთა ფუნქციისათვის ძველ ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი, 1980.

ა. არაბული, 1981 — ა. არაბული, მახვილი ხევსურულ დიალექტში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი, 1981.

ა. არაბული, 1984(1) — ა. არაბული, ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის: ქართული ზმნის ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1984.

ა. არაბული, 1984(2) — ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბილისი, 1984.

ა. არაბული, 1992 — ა. არაბული, ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1992.

ა. არაბული, 1999 — ა. არაბული, ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, 1, 1999.

გ. ახვლედიანი, 1966 — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი, 1966.

ო. ახმანოვა, 1969 — О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, М., 1969.

ე. ბაბუნაშვილი, 1970 — ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1970.

ლ. ბარამიძე, 1964 — ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბილისი, 1964.

ლ. ბარამიძე, 2008 — ლ. ბარამიძე, ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბილისი, 2008.

ლ. ბარამიძე, 2009 — ლ. ბარამიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 2009.

ფ. ბერეზინი, ბ. გოლოვინი, 1979 — Ф. М. Березин, Б. Н. Головин, Общее языкознание, М., 1979.

მ. ბერიძე, 1980 — მ. ბერიძე, თემის ნიშნები ქართული ენის მესხურ დიალექტში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი, 1980.

ა. ბონდარეკო, 1976 — А. В. Бондареко, Теория морфологических категорий, Л., 1976.

გაიოზი, 1970 — გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ე. ნიკოლაიშვილმა, თბილისი, 1970.

ვ. გაკი, 1986 — В. Г. Гак, Теоретическая грамматика французского языка, морфология, М., 1986.

კ. გამსახურდია, 1967 — კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, რვა ტომად, ტ. VIII, თბილისი, 1967.

თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.

თ. გამყრელიძე, 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2003.

ლ. გეგუჩაძე, 1972 — ლ. გეგუჩაძე, დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, B3 (142), ჰუმანიტარული მეცნიერებანი, თბილისი, 1972.

ლ. გეგუჩაძე, 1978 — ლ. გეგუჩაძე, მწკრივის ფორმათა სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 2, 1978.

ლ. გეგუჩაძე, 1980 — ლ. გეგუჩაძე, მყოფადის მნიშვნელობისათვის ქართულში (ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა მასალაზე): ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი, 1980.

ლ. გეგუჩაძე, 1984 — ლ. გეგუჩაძე, ნაკვთთა დროულ მნიშვნელობათათვის ქართულში: ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1984.

ლ. გეგუჩაძე, 2005 — ლ. გეგუჩაძე, მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში, თბილისი, 2005.

დ. გეწაძე, 1952 — დ. გეწაძე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრ., XI, ქუთაისი, 1952-1953.

ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1973 — ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, [ვა], [ჳა], [ჳე], და [ო] სეგმენტთა ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: მრავალთავი, III, თბილისი, 1973.

გ. გოგოლაშვილი, 1974 — გ. გოგოლაშვილი, ზმნისწინისეულ ხმოვანთა ცვლასთან დაკავშრებული ზოგი საკითხი დიალექტებში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 75, № 3, თბილისი, 1974.

გ. გოგოლაშვილი, 1981 — გ. გოგოლაშვილი, ფუძეში ე ხმოვნის შემცველ ერთი ტიპის ზმნათა შესახებ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, № 7-8, თბილისი, 1981.

გ. გოგოლაშვილი, 1984(1) — გ. გოგოლაშვილი, ნაკვთეულთა სისტემა და უღვლილების ტიპები ახალ ქართულში: ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 1984.

გ. გოგოლაშვილი, 1984(2) — გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბილისი, 1984.

გ. გოგოლაშვილი, 1985 — გ. გოგოლაშვილი, ერთი ზმნური ძირის (ცემა) შედგენილობისათვის ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1985.

გ. გოგოლაშვილი, 1986 — გ. გოგოლაშვილი, უწყვეტლის წარმოების საკითხისათვის ქართულში: ენათმეცნიერება I, ეძღვნება ა. შანიძის დაბადების 100 წლისთავს, 1986 წლის 17-20 დეკემბერი, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1986.

გ. გოგოლაშვილი, 1987 — გ. გოგოლაშვილი, მორფემათა მიჯნაზე წარმოქმნილ ხმოვანკომპლექსთა შესახებ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXVI, თბილისი, 1987.

გ. გოგოლაშვილი, 1988 — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბილისი, 1988.

გ. გოგოლაშვილი, 2000 — გ. გოგოლაშვილი, კვლავ -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ფორმათა შესახებ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2000.

გ. გოგოლაშვილი, 2007 — გ. გოგოლაშვილი, დაუმალავს თუ დაუმალია, ანუ ორპირიან -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ფორმათა შესახებ: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, № 3, 2007.

გ. გოგოლაშვილი, 2009(1) — გ. გოგოლაშვილი, გაუფორმებელი ფუძე თუ კონკრეტული ბრუნვა?: ბ. ჯორბენაძის საზოგადოების XI სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2009.

გ. გოგოლაშვილი, 2009(2) — გ. გოგოლაშვილი, სტატიკურ ზმნათა აწმყოს I-II პირის მეშველზმნიან ფორმათა შესახებ: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 1, 2009.

გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1989 — გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბილისი, 1989.

გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, 1991 — გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბილისი, 1991.

ქ. დათუკიშვილი, 1997 — ქ. დათუკიშვილი, უღლების პარადიგმათა ტიპები თანამედროვე ქათულში: ბ. ჯორბენაძის საზოგადოების III

სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 1997.

კ. დანელია, 1983 — კ. დანელია, ძველი ქართულის ლექსიკიდან. 4. მსხოვრი (მსხორი): საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი, 1983.

გ. დეეტერსი, 1930 — G. Deeters, Das kharthvelische verbum, Leipzig, 1930.

კ. დოდაშვილი, 1887 — კ. დოდაშვილი, საგრამატიკო ესკიზი: „ივერია“, 1987, № 214-217, 219, 220, 222.

კ. დოდაშვილი, 1894 — კ. დოდაშვილი, ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა: „მოამბე“, 1894, № 4, 6.

ს. დოდაშვილი, 1830 — შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, გმოცემული სოლომონ დოდაევისა მიერ, ტფილისი, 1830.

რ. ენუქაშვილი, 1976 — რ. ენუქაშვილი, ხანმეტობა-ჰაემეტობის საკითხისათვის ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბილისი, 1976.

ფ. ერთელიშვილი, 1956 — ფ. ერთელიშვილი, რატომ იყენებს II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 61, თბილისი, 1956.

ფ. ერთელიშვილი, 1960 — ფ. ერთელიშვილი, დ‖ნ(ენ) ვნებითობის სუფიქსთა გენეზისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93, თბილისი, 1960.

ფ. ერთელიშვილი, 1965 — ფ. ერთელიშვილი, ქცევის საკითხისათვის ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 114, თბილისი, 1965.

ფ. ერთელიშვილი, 1968 — ფ. ერთელიშვილი, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 2, 1968.

ფ. ერთელიშვილი, 1970 — ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970.

უ. ვაინრიხი, 1968 — უ. ვაინრიხი, შესაძლებელია თუ არა სტრუქტურული დიალექტოლოგია: მიმომხილველი, 4-5, თბილისი, 1968.

ვან გინეკენი, 1938 — Van Gineken J., Contribution à lf Grammaire comparée des langues du Caucase, Amsterdam, 1938.

ვაჟა-ფშაველა, 1961 — ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი 10 ტომად, ტ. X, თბილისი, 1961.

ი. ვეშაპიძე, 1967 — ი. ვეშაპიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბილისი, 1967.

ვ. ვინოგრადოვი, 1972 — В. В. Виноградов, Русский язык, М., 1972.

რ. თვარაძე, 1978 — რ. თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 3, 1978.

ვ. თოფურია, 1930 — ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, ტფილისი, 1930.

ვ. თოფურია, 1940 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II: ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი, 1940.

ვ. თოფურია, 1953 — ვ. თოფურია, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.

ვ. თოფურია, 1954 — ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954.

ვ. თოფურია, 1955 — ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, თბილისი, 1955.

ვ. თოფურია, 1956(1) — ვ. თოფურია, მწკრივის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში: თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1956, 22-27 ნოემბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1956.

ვ. თოფურია, 1956(2) — ვ. თოფურია, წოდებითი ბრუნვისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი, 1956.

ვ. თოფურია, 1967 — ვ. თოფურია, სვანური ზმნა: შრომები, ტ. I, თბილისი, 1967.

ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, 1968 — ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1968.

გ. იმნაიშვილი, 1953 — გ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, თბილისი, 1953.

გ. იმნაიშვილი, 1954 — გ. იმნაიშვილი, ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, თბილისი, 1954.

გ. იმნაიშვილი, 1966 — გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.

გ. იმნაიშვილი, 1974(1) — გ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბილისი, 1974.

გ. იმნაიშვილი, 1974(2) — გ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, II, თბილისი, 1974.

ი. იმნაიშვილი, 1963 — ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. II, თბილისი, 1963.

ი. იმნაიშვილი, 1966 — ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, თბილისი, 1966.

ი. იმნაიშვილი, 1976 — ი. იმნაიშვილი, ცისკრის ენა (1968 წლის ნომრებში გამოქვეყნებული პროდუქციის მიხედვით): თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბილისი, 1976.

ი. იმნაიშვილი, 1982 — ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბილისი, 1982.

ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996 — ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ძველი ქართული ზმნა, მაინის ფრანკფურტი, 1996.

ვ. იმნაიშვილი, 1975 — ვ. იმნაიშვილი, მამათა ცხორებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1975.

პ. იოსელიანი, 1840 — პ. იოსელიანი, პირუცლ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატისა-ძის იოსელიანისა მიერ, თფილისი, 1840.

დ. კარიჭაშვილი, 1930 — დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა, ეტიმოლოგია, თბილისი, 1930.

კ. კეკელიძე, 1946 — კ. კეკელიძე, „ცხოვრება საბა პალესტინელისა“ (გამოკვლევა): ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი I, კიმენი, ტომი II, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბილისი, 1946.

ც. კვანტალიანი, 1998 — ც. კვანტალიანი, ზმნისწინის ნეიტრალური ფუნქციისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბილისი 1998.

ლ. კვაჭაძე, 1981 — ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბილისი, 1981.

ლ. კვაჭაძე, 1993 — ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი, 1993.

პ. კვიცარიძე, 1888 — ქართული სწორმეტყველება, საშინჯი სახელმძღვანელო, პირველი წიგნი, შედგენილი პ. კვიცარიძის მიერ, თბილისი, 1888.

ა. კიზირია, 1974 — ა. კიზირია, ქართული ენა (პრაქტიკუმი),

თბილისი, 1974.

ა. კიზირია, 1984 — ა. კიზირია, ქართული ენის პრაქტიკუმი, თბილისი, 1984.

ლ. კიკნაძე, 1947 — ლ. კიკნაძე, I სერიის მწკრივთა წარმოება: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXX-XXXI B, თბილისი, 1947.

ლ. კიკნაძე, 1961 — ლ. კიკნაძე, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, VII, თბილისი, 1961.

ლ. კიკნაძე, 1967 — ლ. კიკნაძე, შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: ორიონი, თბილისი, 1967.

გ. კლიმოვი, 1964 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

ნ. კოტინოვი, 1959 — ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია ქართულ ენაში: თელავის პედ. ინსტიტუტის შრომები, III, თელავი, 1959.

ნ. კოტინოვი, 1986 — ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბილისი, 1986.

მ. კრავეიშვილი, გ. ნახუცრიშვილი, 1972 — მ. კრავეიშვილი, გ. ნახუცრიშვილი, ქართული ენის და წერა-კითხვის თვითმასწავლებელი ინგლისურის მცოდნეთათვის, II სერია, თბილისი, 1972.

კ. კუბლაშვილი, 1985 — კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისი, 1985.

ნ. მარი, 1908 — Н. Я. Марр, Основные таблици к грамматике древнегрузинского языка, С-ПБ., 1908.

ნ. მარი, 1925 — Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

ნ. მარი, 1931 — Marr N. Briére M. La Géorgienne, Paris, 1931.

ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, 1956 — ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.

ჟ. მარუზო, 1960 — Ж. Марузо, Словарь лингвистических терминов, М., 1960.

გ. მაჭავარიანი, 1959 — გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, 1959.

გ. მაჭავარიანი, 1965 — გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965.

გ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე, 1972 — გ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე, მორფოლოგია: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, თბილისი, 1972.

გ. მაჭავარიანი, 1973 — გ. მაჭავარიანი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, თბილისი, 1973.

მ. მეგრელიშვილი, 1986 — მ. მეგრელიშვილი, ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში, თბილისი, 1986.

დ. მელიქიშვილი, 1979 — დ. მელიქიშვილი, მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1979.

დ. მელიქიშვილი, 1980 — დ. მელიქიშვილი, მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთობის საკითხისათვის (ძველი ქართული ენის მასალაზე დაყრდნობით): იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, VII, თბილისი, 1980.

დ. მელიქიშვილი, 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი, 2001.

მიმომხილველი, 1972 — მიმომხილველი (სამეცნიერო ბიბლიოგრაფიული კრებული), 6-9, თბილისი, 1972.

მ. მიქაუტაძე, 2009 — მ. მიქაუტაძე, ხანმეტობის კვალისათვის ქართველურ კილოებში: XXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2009.

ნ. ნათაძე, 1955(1) — ნ. ნათაძე, დრო-კილოთა წარმოება ძველ ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1955.

ნ. ნათაძე, 1955(2) — ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, თბილისი, 1955.

ლ. ნოზაძე, 1974 — ლ. ნოზაძე, მედიოქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერბა, XIX, თბილისი, 1974.

ნორმები, 1970 — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, წიგნი I, თბილისი, 1970.

ა. ონიანი, 1978 — ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 1978.

ა. ონიანი, 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998.

ა. ონიანი, 2003 — ა. ონიანი, თანამედროვე ქართული ენა, თბილისი, 2003.

ე. ოსიძე, 1963 — ე. ოსიძე, ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის აგებულებისათვის ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.

ა. პაპიძე, 1979 — ა. პაპიძე, III კავშირებითი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, II, თბილისი, 1979.

ა. პაპიძე, 1981(1) — ა. პაპიძე, კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის გამოხატვისათვის ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი 1981.

ა. პაპიძე, 1981(2) — ა. პაპიძე, II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, თბილისი, 1981.

ა. პაპიძე, 1984 — ა. პაპიძე, კილოს კატეგორიისათვის ქართულში: ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი; ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1984.

ვ. პოლაკი, 1955 — V. Polak, Constributions à la grammaire historique des langues kartveliennes, Archiv Orient, XXIII, 1-2, 1955.

თ. ჟორდანია, 1889 — ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, ტფილისი, 1889.

პ. რობერტსი, 1954 — P. Roberts, Understanding Grammar, New York, 1954.

გ. როგავა, 1945 — გ. როგავა, აორისტისა და კავშირებითი II-ის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 8, 1945.

გ. როგავა, 1946 — გ. როგავა, ფარინგალურ ხმოვანთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღეურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, თბილისი, 1946.

გ. როგავა, 1953 — გ. როგავა, დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953.

გ. როგავა, 1968 — გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის **-ან** სუფიქსისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVI, თბილისი, 1968.

ვ. რუდენკო, 1940 — В. Т. Руденко, Грамматика грузинского языка, М., 1940.

რუსული გრამატიკა, 1980 — Русская грамматика, т. I, М., 1980.

თ. სარალიძე, 1978 — თ. სარალიძე, ალგეთის ხეობის ქართლუ-

რი, თბილისი, 1978.

ზ. სარჯველაძე, 1975 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975.

ზ. სარჯველაძე, 1979 — ზ. სარჯველაძე, წყვეტილისა და მეორე ხოლმეობითის ფორმათა ურთიერთშენაცვლებისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: საენათმეცნიერო კრებული, თბილისი, 1979.

ზ. სარჯველაძე, 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984.

ზ. სარჯველაძე, 2004 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი, 2004.

ვ. სომხიშვილი, 1968 — ვ. სომხიშვილი, ქსნის ხეობის მეტყველება, ცხინვალი, 1968.

თ. უთურგაიძე, 1960 — თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბილისი, 1960.

თ. უთურგაიძე, 1974 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ხმოვნების განაწილება ხმოვნებთან სიტყვის თავსა და ბოლოში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIX, თბილისი, 1974.

თ. უთურგაიძე, 1980 — თ. უთურგაიძე, სილოვან ხუნდაძის ფონო-მორფოლოგიური დაკვირვებანი ქართულ ენაში: ნარკვევები იბერულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი, 1980.

თ. უთურგაიძე, 2002 — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბილისი, 2002.

მ. ფაღავა, 2004 — მ. ფაღავა, ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, ავტორეფერატი, თბილისი, 2004.

ჟ. ფეიქრიშვილი, 1992 — ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

ჰ. ფოგტი, 1981 — Hans vogt, Grammaire de la langue Gèorgienne, Oslo,, 1981.

ბ. ფოჩხუა, 1961 — ბ. ფოჩხუა, მრავლობითობის **ნ**არიანი მაწარმოებლები ძველ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1961.

ა. ფოცხიშვილი, 1979 — ა. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1979.

ა. ფოცხიშვილი, 1995 — ა. ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბილისი, 1995.

შ. ფუტკარაძე, 1995 — შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სა-

მხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, ავტორეფერტი, თბილისი, 1995.

ი. ქავთარაძე, 1954 — ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.

ი. ქავთარაძე, 1956 — ი. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VIII, თბილისი, 1956.

ი. ქავთარაძე, 1961 — ი. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1961.

ი. ქავთარაძე, 1966 — ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1966.

ი. ქავთარაძე, 1972 — ი. ქავთარაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის XV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1972.

ი. ქავთარაძე, 1973 — ი. ქავთარაძე, -ევ სუფიქსი II და III სერიის ზმნებში: აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი, 1973.

ი. ქავთარაძე, 1985 — ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

ქართ. აგიოგრ., 1946 — ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი, ტ. II, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბილისი, 1946.

„ქართული ენა“, 2008 — ენციკლოპედია ქართული ენა, თბილისი, 2008.

ი. ქართველიშვილი, 1809 — ი. ქართველიშვილი, ქართული ღრამმატიკა, 1809, ხელნაწერი (ავტოგრაფი), დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S 4432).

ქეგლი, 1950-1964 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1-8, თბილისი, 1950-1964.

ქეგლი, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

ქეგლი, 2008 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი რვა ტომად, ტ. I, თბილისი, 2008.

თ. ჭიტოშვილი, 2000 — თ. ჭიტოშვილი, ფუძის საკითხისათვის შუალობით კონტაქტიან ზმნებში: საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბილისი, 2000.

არ. ქუთათელაძე, 1894 — არ. ქუთათელაძე, პირველი დაწყებითი ქართული გრამმატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, მესამე შევსებული გამოცემა, ტფილისი, 1894.

არ. ქუთათელაძე, 1897 — არ. ქუთათელაძე, ქართული ზმნების კლასიფიკაცია, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, ტფილისი, 1897.

რ. ქურდაძე, 2005 — რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბილისი, 2005.

მ. ქურდიანი, 2007 — მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი, 2007.

ი. ღუტიძე, 1999(1) — ი. ღუტიძე, **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა ნამყო უსრულის ფორმათა წარმოებისათვის ქართული ენის დიალექტებში: საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბილისი, 1999.

ი. ღუტიძე, 1999(2) — ი. ღუტიძე, **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანი ზმნები I სერიის მწკრივებში ძველსა და საშუალ ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბილისი, 1999.

დ. ყიფიანი, 1882 — დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამმატიკა, სანკტ-პეტერბურღი, 1882.

რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი, 1997 — რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი, ზმნა კ. ჩხენკელის „ქართულ-გერმანულ ლექსიკონში“: ბ. ჯორბენაძის საზოგადოების IV სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 1997.

ა. შანიძე, 1920 — ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920.

ა. შანიძე, 1930 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, თბილისი, 1930.

ა. შანიძე, 1935 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენა: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ა. შანიძის რედაქციით, მე-2 გამოცემა, ტფილისი, 1935.

ა. შანიძე, 1938 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენა: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ა. შანიძის რედაქციით, V გამოცემა, თბილისი, 1938.

ა. შანიძე, 1941 — А. Шанидзе, Категория ряда в глаголе, обшие вопросы формообразований глаголов на примерах грузинского языка: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X, თბილისი, 1941.

ა. შანიძე, 1942 — ა. შანიძე, ქართული გრამატკის საფუძვლები, ნაკვეთი I, თბილისი, 1942.

ა. შანიძე, 1943 — ა. შანიძე, ქართული გრამატკის საფუძვლები, ნაკვეთი II, თბილისი, 1943.

ა. შანიძე, 1945 — ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, I, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 10, 1945.

ა. შანიძე, 1946(1) — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სახელმძღვანელო V-VIII კლასებისათვის (III გამოცემა), თბილისი, 1946.

ა. შანიძე, 1946(2) — ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, II, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1946, 2-4 მარტი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1946.

ა. შანიძე, 1948 — ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, V, სხვა უცნობი მწკრივი ქართულში: თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1948, 31 მაისი — 5 ივნისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1948.

ა. შანიძე, 1948 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ფონეტიკა და მორფოლოგია, სახელმძღვანელო V და VI კლასებისათვის, მე-4 გამოცემა, თბილისი, 1948.

ა. შანიძე, 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები (I გამოცემა), თბილისი, 1953.

ა. შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები (II გამოცემა), თბილისი, 1973.

ა. შანიძე, 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, თბილისი, 1976.

ა. შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ლექსიკოლოგიური შენიშვნები. მსხოვარი, მემცხვარე: საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), № 2, 1980.

ა. შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, I ნაწილი, V-VI კლასების სახელმძღვანელო, თბილისი, 1980.

ა. შანიძე, 1981 — ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. II, 1981.

ზ. შანშოვანი, 1737 — Краткая грузинская грамматика, составленная Зурабом шаншовани в 1737 г., издания А. Ц. В память V Археологического съезда в Тифлисе, С. Петербург, 1881.

კ. შმიდტი, 1962 — K. H. Schmidt, Studien zur Rekonstuktion des Lautstandes der süd-rfurfsischen Grundsprache, wisbaden, 1962.

არნ. ჩიქობავა, 1923 — არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924.

არნ. ჩიქობავა, 1926 — არნ. ჩიქობავა, რეცენზია: Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. Материалы по яфетическому языкознанию, 12, Л., 1925: მიმომხილველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო, I, ტფილისი, 1926.

არნ. ჩიქობავა, 1927 — არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, თბილისი, 1927.

არნ. ჩიქობავა, 1928 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1, თბილისი, 1928.

არნ. ჩიქობავა, 1929 — არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში: ტფილისის უნივერსიტეტის მომბე, ტ. 9, ტფილისი, 1929.

არნ. ჩიქობავა, 1936 — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936.

არნ. ჩიქობავა, 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.

არნ. ჩიქობავა, 1940 — არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, ტ. 5-6, თბილისი, 1940.

არნ. ჩიქობავა, 1948(1) — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948.

არნ. ჩიქობავა, 1948(2) — Арн. Чикобава, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, თბილისი, 1948.

არნ. ჩიქობავა, 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950.

არნ. ჩიქობავა, 1952 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.

არნ. ჩიქობავა, 1956 — არნ. ჩიქობავა, რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში?: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი, 1956.

არნ. ჩიქობავა, 1962 — არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვთეულთა დაჯგუფების პრინციპისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIII, თბილისი, 1962.

არნ. ჩიქობავა, 1965 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965.

არნ. ჩიქობავა, 1967 — А. С. Чикобава, Грузинский язык: Языки народов СССР, т. IV, М., 1967.

არნ. ჩიქობავა, 1968 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I (მეორე გამოცემა), თბილისი, 1968.

არნ. ჩიქობავა, 1979 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979.

არნ. ჩიქობავა, 1984 — А. С. Чикобава, Грузинский язык: ЕИКЯ, XI, Тбилиси, 1984.

არნ. ჩიქობავა, 1998 — არნ. ჩიქობავა, რა თავისებურება ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, თბილისი, 1998,

დ. ჩუბინაშვილი, 1887 — დ. ჩუბინაშვილი, ქართული ღრამმატიკა: საუნჯე ქართული ენისა. ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს. პეტერბურგი, 1887.

გ. ცოცანიძე, 1970 — გ. ცოცანიძე, თუშური ხოლმეობითის შესახებ: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბილისი, 1970.

გ. ცოცანიძე, 1978 — გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი, 1978.

შ. ძიძიგური, 1946 — შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946.

შ. ძიძიგური, 1956 — შ. ძიძიგური, ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, თბილისი, 1956.

შ. ძიძიგური, 1970 — შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.

შ. ძიძიგური, 1978 — შ. ძიძიგური, მთლიანობა ოღონდ ნაირგვარი: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 3, 1978.

ქ. ძოწენიძე, 1973 — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973.

ა. ჭინჭარაული, 1960 — ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისე-

ბურებანი, თბილისი, 1960.

ზ. ჭუმბურიძე, 1968 — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, თბილისი, 1968.

ზ. ჭუმბურიძე, 1976 — ზ. ჭუმბურიძე, **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა უღლებისათვის პირველ თურმეობითში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბილისი, 1976.

ზ. ჭუმბურიძე, 1982 — ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერტურო ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის: მადლი დედაენისა, თბილისი, 1982.

ზ. ჭუმბურიძე, 1986 — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი, 1986.

ზ. ჭუმბურიძე, 1994 — ზ. ჭუმბურიძე, ილია ჭავჭავაძის ენა და ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1994.

ზ. ჭუმბურიძე, 2001 — ზ. ჭუმბურიძე, რეცენზია გ. გოგოლაშვილის ნაშრომზე „ქართული ზმნის უღვლილების სისტემა“, თბილისი, 1988: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 30, თბილისი, 2001.

ს. ხუნდაძე, 1901 — ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901.

ს. ხუნდაძე, 1907 — ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1907.

ი. ჯავახიშვილი, 1937 — ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937.

მ. ჯანაშვილი, 1906 — მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906.

ბ. ჯორბენაძე, 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975.

ბ. ჯორბენაძე, 1980(1) — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი, 1980.

ბ. ჯორბენაძე, 1980(2) — ბ. ჯორბენაძე, ფორმანტთა სემანტიკური ინფორმაციულობის საკითხისათვის ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი, 1980.

ბ. ჯორბენაძე, 1983 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი, 1983.

ბ. ჯორბენაძე, 1984 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის უღვლილების პრინციპები: ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და

სემანტიკური ანალიზი; ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1984.

ბ. ჯორბენაძე, 1986 — Б. Джорбенадзе, Грузинский глагол, Тбилиси, 1986.

ბ. ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბილისი, 1989.

ბ. ჯორბენაძე, 1995 — ბ. ჯორბენაძე, ქართველური ენების დიალექტები, თბილისი, 1995.

ბ. ჯორბენაძე, 1997 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. II, თბილისი, 1997.

პირთა საძიებლები

ვ. აბაშვილი — 326, 340, 403, 481
ნ. აბესაძე — 84, 481
ი. აბულაძე — 41, 42, 173, 181, 182, 192, 481, 493
ანტონი — 10, 41-68, 70, 74, 78, 86, 87, 108, 257, 408, 425, 426, 470, 481
ა. არაბული — 130, 131, 165, 180, 192, 198, 203, 228, 275, 278, 283, 287, 290, 445, 481, 482
კ. აქსაკოვი — 100
გ. ახვლედიანი — 121, 321, 374, 482
ო. ახმანოვა — 236, 378, 482
ე. ბაბუნაშვილი — 41, 46, 47, 49, 50, 52, 54, 61, 65, 482
ა. ბარამიძე — 493
ლ. ბარამიძე — 277, 282, 290, 326, 338, 339, 475, 482
ვ. ბარნოვი — 262
ფ. ბერეზინი — 97, 482
მ. ბერიძე — 239, 326, 482
ა. ბოლდირევი — 100
ა. ბონდარეკო — 98, 482
ნ. ბრიერი — 488
გაიოზი — 68, 70, 71, 74-77, 408, 482
ვ. გაკი — 98, 482
კ. გამსახურდია — 260, 261, 482
თ. გამყრელიძე — 98, 104, 320, 329, 482, 483
ლ. გეგუჩაძე — 106, 107, 112, 483
დ. გეწაძე — 440, 483
ბ. გიგინეიშვილი — 272, 373, 389, 405, 409, 483
ი. გიგინეიშვილი — 217, 385, 486
გ. გოგოლაშვილი — 8, 9, 16, 26, 27, 32, 34, 119, 159, 232, 268-270, 295, 331, 340, 341, 345-347, 397, 471, 483, 484, 497

ბ. გოლოვინი — 97, 482
ქ. დათუკიშვილი — 10, 484
კ. დანელია — 31, 309, 485
გ. დეეტერსი — 307, 309, 370, 371, 374, 404, 485
კ. დოდაშვილი — 77, 81-84, 90, 485
ს. დოდაშვილი — 78, 485
რ. ენუქაშვილი — 249, 485
ფ. ერთელიშვილი — 19, 20, 24, 37, 104, 107, 320, 347, 362, 363, 485
უ. ვაინრაიხი — 21, 485
ვან გინეკენი — 250, 485
ვაჟა-ფშაველა — 260, 485
ვახუშტი ბატონიშვილი — 42
ი. ვეშაპიძე — 48, 485
ვ. ვინოგრადოვი — 100, 115, 486
ა. ვოსტოკოვი — 100
რ. თვარაძე — 18, 20, 486
ვ. თოფურია — 32, 95, 101, 117, 180, 200, 217, 247, 261, 262, 268, 283, 290, 307-309, 357, 363, 364, 370, 375, 385, 403, 412, 486
გ. იმნაიშვილი — 161, 196, 197, 200, 326, 340, 372, 403, 450, 451, 486, 488
ი. იმნაიშვილი — 27, 173, 180, 181, 184, 253, 254, 259, 273, 304, 326, 338, 386, 415, 416, 487, 495
ვ. იმნაიშვილი — 252, 254, 304, 326, 338, 406, 416, 487
პ. იოსელიანი — 7, 69, 70, 78, 425, 426, 487
დ. კარიჭაშვილი — 11, 12, 487
მ. კატკოვი — 100
კ. კეკელიძე — 36, 171, 176, 487, 492
ც. კვანტალიანი — 26, 27, 159, 232, 331, 345, 346, 487
გ კვარაცხელია — 107
ლ. კვაჭაძე — 27, 104, 115, 118, 119, 142, 184, 394, 395, 487, 495
პ. კვიცარიძე — 70, 78, 79, 426, 487
ა. კიზირია — 26, 103, 142, 406,487, 488
ლ. კიკნაძე — 483
ლ. კიკნაძე — 17, 32, 172-174, 179, 180, 189-192, 304, 307, 357, 438, 488

დ. კლდიაშვილი — 387
მ. კობაიძე — 165
გ. კლიმოვი — 363, 488
ნ. კოტინოვი — 104, 117, 118, 404, 415, 488
მ. კრავეიშვილი — 289, 488
კ. კუბლაშვილი — 196, 200, 488
მ. ლომონოსოვი — 100
ნ. მარი — 16, 32, 68, 70, 84, 87, 90, 99, 168, 169, 174, 186, 206, 282, 404, 426, 427, 428, 488, 495, 495
ა. მარტიროსოვი — 161, 200, 326, 450, 451, 488
ჟ. მარუზო — 236, 378, 488
მ. მაჭავარიანი — 102, 332
გ. მაჭავარიანი — 9, 99, 101, 102, 104, 121, 250, 320, 329, 332, 363, 365, 482, 488, 489
მ. მეგრელიშვილი — 102, 489
დ. მელიქიშვილი — 320, 489
გ. მერჩულე — 432, 433, 482
მ. მიქუტაძე — 264, 489
მხითარ სებასტიელი — 43, 63
ნ. ნათაძე — 283, 415, 489
გ. ნახუცრიშვილი — 289, 488
გ. ნებიერიძე — 99, 121, 488
ნ. ნეკრასოვი — 100
ე. ნიკოლაიშვილი — 482
ლ. ნოზაძე — 346, 351, 354, 489
ა. ონიანი — 8, 9, 277, 278, 284, 285, 287, 387, 390, 489
ე. ოსიძე — 371, 489
ა. პაპიძე — 108, 115, 118, 119, 196, 490
ვ. პოლაკი — 250, 490
ა. პოტებნია — 115
თ. ჟორდანია — 69, 70, 77, 80-82, 90, 169, 425, 426, 490
პ. რობერტსი — 100, 490
გ. როგავა — 180, 200, 201, 249, 250, 268, 269, 370, 404, 421, 490
ვ. რუდენკო — 373, 490
თ. სარალიძე — 326, 490
ზ. სარჯველაძე — 9, 16, 32, 173, 180-184, 190, 192, 272-274, 280, 306, 309, 313, 326, 373, 389, 405, 409, 429, 432, 436,

438-441, 470, 483, 491
ვ. სომხიშვილი — 450, 491
თ. უთურგაიძე — 161, 200, 253, 260, 346, 445, 491
მ. ფალავა — 198, 491
ჟ. ფეიქრიშვილი — 26, 351, 354, 491
ჰ. ფოგტი — 363, 373, 491
ბ. ფოჩხუა — 268, 271, 491
ა. ფოცხიშვილი — 41, 48, 64, 75, 491
შ. ფუტკარაძე — 197, 491
ი. ქავთარაძე — 24, 125, 161, 163, 164, 198, 370, 372, 391, 393, 394, 397, 439, 444, 445, 452, 453, 455, 492
ი. ქართველიშვილი — 76, 78, 492
თ. ქიტოშვილი — 27, 492
ა. ქუთათელაძე — 7, 79, 80, 216, 493
რ. ქურდაძე — 320, 329, 493
მ. ქურდიანი — 250, 493
ი. ღუტიძე — 306, 493
დ. უიფიანი — 69, 71-74, 78, 84, 128, 129, 131, 140, 150, 153, 493
ი. შადური — 483
რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი — 159, 493
ა. შანიძე — 10-16, 18-20, 26-29, 31-34, 36, 38, 44, 71, 87-91, 95-97, 99, 103-105, 113, 115, 117-119, 122-129, 131, 133-135, 137-143, 149-152, 164, 165, 169, 172-174, 176-181, 183-185, 190, 191, 196, 209, 210, 214, 217-221, 29, 238, 245-248, 252, 254-257, 259, 266, 268, 277, 282, 285, 292-295, 301-304, 307, 311-313, 319, 320, 323, 324, 326, 328, 334, 335, 339, 343, 346, 351, 354, 361, 363, 364, 367, 373, 379, 387, 390-392, 394, 397, 405, 406, 415, 423, 427-429, 436, 438, 440-443, 469, 476, 493, 494
ზ. შანშოვანი — 10, 41, 42, 45, 494
ს. შაფრანოვი — 100
ა. შახმატოვი — 115
ნ. შენგელია — 483
დ. შენგელია — 26, 27, 159, 232, 331, 345, 346
კ. შმიდტი — 250, 495
არნ. ჩიქობავა — 7, 10-12, 14-16, 19, 20, 22, 26, 32, 41-43, 64, 65,

70, 84, 89-95, 98, 99, 101, 103, 104, 113, 117, 125, 126, 132, 148, 149, 156, 157, 161, 169-171, 174, 176, 177, 180, 200, 206, 208, 217, 219-221, 248-252, 269, 285, 291, 305-307, 313, 314, 320, 343, 360, 362-366, 370, 373, 386, 403-405, 408, 411, 412, 415, 419, 424, 426, 427, 438, 442, 451, 452, 456, 495, 496

დ. ჩუბინაშვილი — 81-83, 90, 496

ო. ჩხეიძე — 262

კ. ჩხენკელი — 159

გ. ცოცანიძე — 161-165, 198, 200, 46, 496

შ. ძიძიგური — 20, 26, 196, 239, 269, 397, 496

ქ. ძოწენიძე — 200, 239, 496

ა. წერეთელი — 260

ი. ჭავჭავაძე — 260, 264, 327 , 497

ა. ჭინჭარაული — 36, 161, 164, 176, 196, 198, 372, 445, 497

ზ. ჭუმბურიძე — 19, 20, 22, 23, 111, 112, 121, 137, 141-143, 151, 152, 260, 470, 471, 473, 497

ს. ხუნდაძე — 85, 86, 260, 497

ი. ჯავახიშვილი — 42, 43, 246, 248, 427, 497

მ. ჯავახიშვილი — 260, 262

მ. ჯანაშვილი — 85, 86, 497

ბ. ჯორბენაძე — 19-21, 23, 24, 27, 28, 30, 103, 132, 134, 164, 200, 207, 247, 250, 264, 291, 306, 309, 343, 348, 352, 366, 374, 378, 381, 392, 428, 437, 438, 443, 448-452, 497, 498

შემოკლებანი

ი. აბაშ. — ირაკლი აბაშიძე
აკაკი — აკაკი წერეთელი
ანა — ანა კალანდაძე
ანდ. — ანდაზა
შ. არაგვ. — შიო არაგვისპირელი
აჭარ. — აჭარული დიალექტი
ნ. ბარათ. — ნიკოლოზ ბარათაშვილი
ვ. ბარნ. — ვასილ ბარნოვი
ა. ბელიაშ. — აკაკი ბელიაშვილი
მ. ბერძ. — მერაბ ბერძენიშვილი
თ. ბიბილ. — თ. ბიბილური
ბილინ. — ბილინები (თარგმანი ო. გოგიჩაიშვილისა).
ეკ. გაბ. — ეკატერინე გაბაშვილი
კ. გამს. — კონსტანტინე გამსახურდია
გალაკტიონი — გალაკტიონ ტაბიძე
რ. გვეტ. — რაჟდენ გვეტაძე
გურ. — გურული დიალექტი
გ. გ. — გიორგი გოგოლაშვილი
ვ. გოგოლ. — ვახტანგ გოგოლაშვილი
ლ. გოთუა — ლევან გოთუა
დ. გურამ. — დავით გურამიშვილი
დაბ. — წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, გამოსცა ა. შანიძემ, ტ. I, ნაკვ. I. დაბადებისაჲ, 1947.
ი. ევდ. — იროდიონ ევდოშვილი
რ. ერისთ. — რაფიელ ერისთავი
ექუს. დღ. — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა (გამოსცა მ. კახაძემ, 1947).
ვაჟა — ვაჟა-ფშაველა
თუშ. — თუშური დიალექტი
ი. — იოანეს სახარება (მითითებულია რედაქცია, თავი და მუხლი).

იაკობი — იაკობ გოგებაშვილი
ილია — ილია ჭავჭავაძე
იმერ. — იმერული დიალექტი
იმერხ. — იმერხეული დიალექტი
ინგ. — ინგილოური დიალექტი
რ. ინან. — რევაზ ინანიშვილი
იონ. — ფრემ ასური, წმიდისა ეფრემისი იონაისთვის (ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963).
ო. იოსელ. — ოტია იოსელიანი
ირან. პოეზია — ირნული პოეზია (თბ. 1977).
ისტ. საბუთ. — ისტორიული საბუთები
პ. კაკაბ. — პოლიკარპე კაკაბაძე
კანონ. კართაგ. — კანონნი კართაგენისაჲ
კახ. — კახური დიალექტი
მ. კეკელია — მ. კეკელია, საქმის ქაღალდები, 1977.
დ. კვიც. — დავით კვიცარიძე
კლარჯ. — კლარჯული დიალექტი
დ. კლდ. — დავით კლდიაშვილი
„კომუნისტი“ — გაზეთი „კომუნისტი“
ლ. — ლუკას სახარება (მითითებულია რედაქცია, თავი და მუხლი).
მ. ლებან. — მურმან ლებანიძე
გ. ლეონ. — გიორგი ლეონიძე
ლეჩხ. — ლეჩხუმური დიალექტი
„ლიტ. საქ.“ — გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“
ჰ. ლომთ. — ჰოლა ლომთათიძე
მ. — მათეს სახარება (მითითებულია რედაქცია, თავი და მუხლი).
ო. მამფ. — ოთარ მამფორია
მამ. ცხ. — მამათა ცხორებანი (გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, 1975).
მ. მაჭავ. — მუხრან მაჭავარიანი
მერჩ. — გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა, თბ. 1947.
მესხ. — მესხური დიალექტი
მოხ. — მოხეური დიალექტი
მთიულ. — მთიულური დიალექტი
მრკ. — მარკოზის სახარება (მითითებულია რედაქცია, თავი და მუხლი).

ე. ნინ. — ეგნატე ნინოშვილი
მ. ნოზ. — მ. ნოზაძე, საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, 1941.
გ. ორბ. — გრიგოლ ორბელიანი
პატერიკ. — შუა საუკუნეთა ნოველების ძვ. ქართული თარგმანები, I, გამოსცა მ. დვალმა, ხელნაწერი, A-35.
გ. პეტრ. — გურამ პეტრიაშვილი
რაჭ. — რაჭული დიალექტი
რ. ე. — რაფიელ ერისთავი
რ. ერისთ. — რაფიელ ერისთავი
რუსთაველი — შოთა რუსთაველი
„საბჭ. ხელოვ." — ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება"
„საუნჯე" — ალმანახი „საუნჯე"
ა. სულაკ. — არჩილ სულაკაური
ვ. ურჯ. — ვანო ურჯუმელაშვილი
ფერეიდნ. — ფერეიდნული დიალექტი
მ. ფოცხ. — მორის ფოცხიშვილი
ფშ. — ფშაური დიალექტი
ქართლ. — ქართლური დიალექტი
ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ა. ყაზბ. — ალექსანდრე ყაზბეგი
ს. შანშ. — სანდრო შანშიაშვილი
გ. შარვ. — გიორგი შარვაშიძე
ნ. შიუკ. — ნიკო შიუკაშვილი
ნ. ჩახნ. — ნ. ჩახნაშვილი, მ. გადახაბაძე, პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობა მევენახეობაში, 1973.
ს. ჩიქ. — სიმონ ჩიქოვანი
ა. ჩხ. — ალექსანდრე ჩხაიძე
ო. ჩხ. — ოთარ ჩხეიძე
თ. ჩხენკ. — თამაზ ჩხენკელი
ა. ცაგ. — აქვსენტი ცაგარელი
„ცისკ." — ჟურნალი „ცისკარი"
II მეფეთა — მეფეთ-წიგნები, გამოსაცემად მოამზადა უ. ცინდელიანმა.
ა. ჭავჭ. — ალექსანდრე ჭავჭავაძე
თ. ჭილ. — თამაზ ჭილაძე
ო. ჭილ. — ოთარ ჭილაძე
ხალხ. — ხალხური პოეზიიდან

ხევს. — ხევსურული დიალექტი
ხ. ს. — ხალხური სიბრძნე, ხუთ ტომად, 1963-1965.
გ. ხორგ. — გიორგი ხორგუაშვილი
გ. ხუხ. — გიორგი ხუხაშვილი
გ. ჯაბ. — გაბრიელ ჯაბუშანური
მ. ჯავახ. — მიხეილ ჯავახიშვილი

GIORGI GOGOLASHVILI

GEORGIAN VERB
(FORM-BUILDING ISSUES)

S u m m a r y

1. The morphological analysis of the Georgian verb has had an age-long history. Anton Bagrationi's 'Georgian Grammar' (the first edition in 1753, the second edition – in 1767) can be regarded as a cornerstone work that summarized the previous stage and laid the foundation for the grammatical thinking of the next period. Till the beginning of the 20th century, till N. Marr, the authors of all practical grammars (Gayoz, P.Ioseliani, S.Dodashvili, D.Kipiani, A.Kutateladze, P.Kvitsaridze. T.Zhordania, I.Kartvelishvili, D.Chubinashvili, M.Janashvili, S.Khundadze) though having a number of important findings, mainly based their works on that of Anton's, Obviously the analysis of the Georgian verb system presented in the above-mentioned practical grammars is of particular relevance for the 20th century Georgian linguistic thought.

2. One of the controversial issues in the form analysis of the Georgian verb is linked with the notion of mtskrivi (which is a conjugation element), viz. its definition and qualification; the number of mtskrirvis in Old and New Georgian as well as in the dialects.

Mtskrivi is a grammatical category; it is as essential for the verb system as declension is for the nominal system. Mtskrivi is a form of verb realization, verb functioning. Hence there should be singled out as many mtskrivis as there are independent verb forms with distinct functions.

Mtskrivi is a morphological phenomenon, i.e. it has a morphological structure. the structure of a mtskrivi form is based on the stem, thematic, extension and mtskrivi markers.

The mtskrivi stem is the part of the verb form without a preverb, person and number markers.

In the form da-v-xaṭ-av-d-e-t the mtskrivi stem is xaṭavde.

The base forming mtskrivi stem is the part of the verb form a particular mtskrivi form is based on, i.e.it is the mtskrivi stem without a mtskrivi marker: in the form **da-v-xaṭ-av-d-e the base forming stem is xaṭ-av-d-**. The element differentiating the mtskrivi stem from the base forming mtskrivi stem is called a mtskrivi marker: in the form **da-xaṭ-av-d-e the mtskrivi marker is e.**

Some **mrskrivis may have the same base forming stem but different mtskrivi markers.**

va-**ḳet-o**.
va-**ḳet-e**.

Likewise some mtskrivis may have different base forming stems and identical mtskrivi markers though with different functions:

av-ṭirdeb-i,
av-ṭird-i

Thus the mtskrivi form is conditioned by the mtskrivi structure.

3. Tense, mood, frequentative, act (expression of factual or unwitnessed action), sequence are not morphological categories as they are not expressed morphologically. Tense, mood etc. meanings are explicated in a context.. Hence one and the same form may reveal a different tense (mood etc.) meaning in different contexts. Tense, mood, frequentative, act, sequence are semantic categories.

A mtskrivi is polyfunctional. The content of the mtskrivi form is determined by the unity of the above-enumerated semantic categories. Functions of a particular form may vary from context to context e.g.:in the declarative context the form. **gaaḳete is in the Indicative mood, Past tense , whereas in the imperative context it conveys the Future meaning and is in the Imperative mood.**

4. Considering formal and functional peculiarities of the verb, 8 mtskrivis can be singled out in Modern Georgian:

Series I

The Present Tense (The Future) – (da)ç̣ers
Continuous (The Permansive) – (da)ç̣erda
Subjunctive I – (da)ç̣erdes

Series II

The Aorist – (da)ç̣era
Subjunctive II – (da)ç̣eros

Series III

Resultative I – (da)uç̣eria
Resultative II – (da)eç̣era
Subjunctive III – (da)eç̣eros

According to the same principle 12 mtskrivis should be singled out in Old Georgian:

Series I

The Present Tense – (da-s)ç̣ers
Continuous – (da-s)ç̣erda
Permansive I – (da-s)ç̣erdis
Subjunctive I – (da-s)ç̣erdes

Series II

The Past Tense – (da)ç̣era
Permansive II – (da)ç̣eris

Subjunctive II – (da)ç̣eros
Mixed Permansive (Subjunctive) – (da)ç̣erodis

Series III

Resultative I – (da)uç̣eria
Resultative II – (da)eç̣era
Permansive III – (da)eç̣eris
Subjunctive III – (da)eç̣eros

5. The simplification of Old Georgian verb system was caused by the disappearance of the morphological category of frequentative. which was consequently followed by the disappearance of Permansive I, Permansive II, Mixed Permansive (or Mixed Subjunctive) and Permansive III.

6. In the dialects of Georgian three variants of tense-mood system are evidenced: a) in the Kartlian, Kakhetian, Ingiloan, Fereidanian, Acharan, Tao-Klarjian) the system is similar to that of Standard Georgian;. b) in the second group of the dialects the archaic system is preserved; Permansive I and II (in Pshav, Tush, Mtiulian, Khevsurian) and even Permansive III (in Khevsurian) are encountered. though some innovations are also traceable; c) in the third group of the dialects the tense-mood system has become more complicated because of the mtskrivis of Series IV – Resultative III (naqvareba), Resultative IV (naqvarebiqo) and Subjunctive IV (naqvarebiqos)

7. The mtskrivis are arranged and grouped according to the stem relation principle; the relations between mtskrivi stems can be based on a linear or substitution principle. In the case of the linear principle the mtskrivi stem is repeated in another mtskrivi (ç̣er ç̣er-d),whereas in the case of substitution two or more mtskrivis have the same base forming stem.



8. The arrangement of mtskrivis into series was based on the stem principle. N. Marr's system (a three-series system) is an optimal variant though as N.Marr himself stresses, it has a drawback : in Series III the common stem principle is violated.

9. In a narrow sense conjugation is the alteration of verb forms according to person and number within the framework of a particular mtsksrivi; in a broad sense conjugation is the alteration of verb forms according to mtskrivis Different verbs reveal specific peculiarities of mtskrivi form formation; three types can be singled out here: 1) verbs that can form only one mtskrivi form (dga-s, zi-s 2) verbs that can only build mtskrivi forms of one series (ṭiris – ṭiroda – ṭirodes, mepobs – mepobda – mepobdes) 3) verbs forming all mtskrivi forms; the third group can be further subdivided: a) verbs having parallel preverbed and preverbless forms in all mtskrivis (aḳetebs // gaaḳetebs, aḳeta // gaaḳeta, uḳetebia // gauḳetebia) b) verbs taking no preverbs in any of the mtskrivi forms. (icxovrebs – icxrovra – ucxovria). g) verbs having

parallel forms in Series I, and having only preverbed forms in Series II and III (tbeba // gatbeba – gatba – gamtbari).

10. The system of person and number markers is the most .difficult issue of the Georgian verb. The second person subjective and the third person objective have undergone drastic changes. At an early stage of the development of Standard Georgian (5-9cc) x was replaced by h; later h,s, and 0 co-existed). In Modern Georgian some functional changes are evidenced: h- and s prefixes have acquired additional stylistic loading; sometimes they have only a stylistic function. In Old Georgian the system of the markers of the third person. is complex (in the singular –a, -o, -s, -n, -d; in the plural : -es, -en,, -an, -n, -ed); The tendency towards the simplification of the system started in Old Georgian; In Modern Georgian (in one of its dialects Imeretian) the process ended:: in the singular consonant suffix -s and, in the plural the suffixes with n became dominant. Different historical stages of the alteration in question is testified in the dialects of Modern Georgian. This is not the only case when different stages of change are evidenced synchronically in the dialects (e.g. the changes in the form -building means of static verbs, or the substitution of the morphological way of the formation of frequentative by the analytical one etc.)

11.The changes in the system of thematic markers (the markers forming the present stem) are also of complex type; complex thematic markers (-veb, -meb) come into use, as well as ordinary suffixes turn into thematic markers -ev). The category of voice forms the basis of the distribution of thematic markers, which is unusual for Old Georgian.

12. The changes in the formation of Series II and III are of particular interest. In Series II new forms are not developed. though some verbs change the type of formation; for instance, the past tense forms with no markers start taking suffixes, the forms of Subjunctive II with the suffix -e change the suffix into -a. the basis for the distribution of synonymous affixes in the formation of the same mtskrivis is changed; e.g. in Old Georgian the structure of the base morpheme formed the basis for the distribution of the thematic markers for the subjunctive (a, -e), in Modern Georgian the category of voice forms the basis. etc. In general, the factor of the voice in the form-building is typical of Modern Georgian. There are a number of exceptions, in Series II ,in particular, but the consideration of systemic changes makes it possible to explain them.(e.g. the reason for parallel forms, or the basis for the distribution of synonymous affixes have already been explained).

The changes in the forms of Series III are an interesting example of systemic changes; it is difficult to state the reasons for them. However, it can be said that what was regarded as a violation for the grammatical system of Old Georgian (the principle of the conjugated stem), has 'improved' as a result of the change in question.

13. The consideration of systemic changes helps to work out normative recommendations. The study of verb formation reveals numerous unsolved issues.

შინაარსი

ქართული ზმნის სარკვევი (რედაქტორებისაგან) 5
შესავალი
*** 7
*** (ზოგი რამ ნაშრომის ისტორიიდან) 8
*** (ტერმინთა პარალელიზმის თაობაზე)..... 10
*** (აზრთა სხვადასხვაობა — სტიმული კვლევა-ძიებისა) 15
ქართული ენის განვითარების ეტაპების (პერიოდების) შესახებ 17
ფუძის რაობისათვის 25
ენობრივი ფაქტი და მისი კვალიფიკაცია 31

ნაწილი I. **დრო-კილოთა სისტემა ქართულში** 39

თავი I. **დრო-კილოთა სისტემის შესწავლის ისტორიიდან**

§ 1. ანტონ პირველის „ქართული დრამმატიკა“

1.1. *** 41
1.2. უღლება 44
1.3. რა მასალას ემყარება ავტორი გრამატიკული ანალიზის დროს? 46
1.4 პირველი სერიის ფორმები 47
1.5. მეორე სერიის ფორმები 56
1.6. მესამე სერიის ფორმები 60
1.7. უღლების ტიპები 63
1.8. პარადიგმა საუღლებელი ერთეულისა 65

§ 2. ანტონიდან მარამდე

2.1. *** 68
2.2. საუღლებელ ერთეულთა რაოდენობა 68
2.3. ზმნისწინი და ზმნური ფორმა 70

2.4. უღლების ტიპები 74
2.5. ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხები 77
2.6. საუღლებელ ერთეულთა ურთიერთმიმართების საკითხი და თანმიმდევრობა 81
2.7. ზოგადი სურათი ასეთია 86

თავი II. **დრო-კილოთა სისტემა. უღლების ტიპები**

§ 3. დრო-კილოთა სისტემის ანალიზის მდგომარეობა და ამოცანები 87

§ 4. მწკრივის რაობა

4.1. რა არის მწკრივი? 95
4.2. რა არის მორფოლოგიური კატეგორია? 97
4.3. დრო, როგორც ზმნის კატეგორია 98
4.4. კილო, როგორც ზმნის კატეგორია 113
4.5. გზისობა, როგორც ზმნის კატეგორია 122
4.6. აქტი, როგორც ზმნის კატეგორია 124
4.7. თანამდევრობა, როგორც ზმნის კატეგორია 126
4.8. ასპექტი და მწკრივი 127
4.9. მაინც, რა არის მწკრივი? 132

§ 5. მწკრივთა რაოდენობა ახალ ქართულში

5.1. რა ხდება დღეს..... 136
5.2. მყოფადის წრის გამოყოფის ისტორია და მართებულობა 142
5.3. შედის თუ არა ზმნისწინი ფუძეში 148
5.4. დრო-კილოთა სისტემა და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ 154
5.5. დრო-კილოთა სისტემა და ქართული ენის დიალექტთა პირველი ხოლმეობითი 160
5.6. ზოგადი შენიშვნა 167
5.7. უღლების ნიმუში ახალი ქართულისათვის 167

§ 6. მწკრივთა რაოდენობა ძველ ქართულში

6.1. ნიკო მარის თვალსაზრისიდან დღემდე 169
6.2. ე. წ. სადავო მწკრივების შესახებ 177

6.3. უღლების ნიმუშები ძველი ქართული ენისათვის 193

§ 7. დრო-კილოთა სისტემა ქართული ენის დიალექტებში

7.1. ზოგადი ვითარება 196
7.2. დრო-კილოთა სისტემა აღმოსავლურ დიალექტებში 197
7.3. დრო-კილოთა სისტემა დასავლურ დიალექტებში 200
7.4. ტენდენციები 201
7.5. უღლების ნიმუშები ქართული ენის დიალექტებში 203

§ 8. მწკრივთა დაჯგუფებისა და თანამიმდევრობის საკითხისათვის 206

§ 9. უღლება, უღლების ტიპები

9.1. ტერმინისათვის 217
9.2. თვალსაზრისები უღლების ტიპებად დაყოფის თაობაზე 218
9.3. ფორმათა „სესხების“ საკითხი 220
9.4. ზმნათა დაჯგუფება მწკრივთა წარმოების შესაძლებლობის მიხედვით 228

§ 10. სუპლეტივიზმი მწკრივთა წარმოებაში 236

ნაწილი II. **ზმნური ფორმაწარმოების საკითხები** 243

თავი III. **პირისა და რიცხვის ნიშანთა სისტემის შესახებ ქართულში**

§ 11. კითხვები და შენიშვნები სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა შესახებ

11.1. „ხანმეტობა“-„ჰაემეტობის“ თაობაზე 245
11.2. კითხვები სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის გამოხატვის პრინციპის გამო; „ძირითადი“ და „არაძირითადი“ წესი 251
11.3. სისტემის რღვევა თუ ახალი სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა? ნორმა და რეალობა 257
11.4. მწერლის ენობრივი თავისუფლება და სუბიექ-

ტური მეორე და ობიექტური მესამე პირი ახალ ქართულში 259
11.5. სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნები თანამედროვე ქართულ დიალექტებში 262

§ 12. სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა სისტემა

12.1. ზოგადი სურათი 265
12.2. მრავლობითობის ნარიან მაწარმოებელთა ურთიერთმიმართებისათვის 267
12.3. -ა და -ო სუფიქსთა ურთიერთმიმართებისათვის 271
12.4. სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა განაწილებისათვის ძველ ქართულში 273
12.5. ისევ კითხვები და შენიშვნები 276
12.6. ია დაბოლოების ა კომპონენტის თაობაზე აწმყოსა და I თურმეობითში 282
12.7. სუბიექტური მესამე პირის -ს, -ა, -ო სუფიქსთა განაწილებისათვის ახალ ქართულში 284

თავი IV. **I სერიის ფორმათა წარმოების საკითხები**

§ 13. თემა. თემის ნიშნები

13.1. თემის რაობისათვის 291
13.2. -ი ელემენტის თაობაზე ზრდ-ი-ს ტიპის ზმნებში 293
13.3. -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში 297
13.4. -ევ/-ივ სუფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში 301

§ 14. თემის გავრცობა. სავრცობი.

14.1. სავრცობის რაობისათვის 302
14.2. -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა პარადიგმა ძველ ქართულში და მასთან დაკავშირებული პრობლემები 304
14.3. -დ, -იდ, -ოდ სავრცობთა განაწილების საფუძველი I სერიაში 311

14.4. სავრცობთა გამოყენება სხვა სერიებში და
აღძრული კითხვები 313
§ 15. თემის საკითხისათვის -ი ელემენტიან ზმნებში 318
§ 16. ხმოვანპრეფიქსები და თემა 323
§ 17. თემის ნიშანთა მონაცვლეობა
17.1. თემის ნიშანთა მონაცვლეობა მოქმედებითი
გვარის ზმნებში 324
17.2. თემის ნიშანთა მონაცვლეობა ვნებითი გვარის
ზმნებში 330
17.3. თემის ნიშანთა მონაცვლეობა საშუალი გვარის
ზმნებში 331
§ 18. თემის ნიშანთა განაწილებისათვის 332
***§ 19. სტატიკურ ზმნათა აწმყოს მეშველზმნიან
ფორმათა შესახებ*** 337
§ 20. ნასახელარ ზმნათა ფუძის საკითხისათვის 342
***§ 21. ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ფორმაწარმოების
საკითხები*** 347
§ 22. -ავ ელემენტიან მედიოაქტიურ ზმნათა შესახებ 351

თავი V. **II სერიის ფორმათა წარმოების საკითხები**

§ 23. წყვეტილის წარმოების საკითხები
23.1. წვეტილის წარმოების ტიპის განსაზღვრისათვის 356
23.2. -ი ელემენტანი წყვეტილი 358
23.3. -ე სუფიქსიანი წყვეტილი 368
23.4. წვეტილის წარმოების ამოსავალი ტიპისათვის 374

§ 24. თავისებურებანი წყვეტილის წარმოებაში
24.1. უნიშნო ტიპი წარმოებისა 375
24.2. ზოგადად სუბიექტური მესამე პირის -ო
სუფიქსის გამოვლენის პირობათა შესახებ 378
24.3. ყავ ფუძის შემცველ ზმნათა წყვეტილის შესახებ 380
24.4. ჩაიცო (ჩაიცვა) ტიპის ფორმები სამწერლობო
ენაში 381

24.5. „შერეული პარადიგმები“ წყვეტილის წარმოებაში 381
24.6. დავდევი // დავდე ტიპის პარალელურ ფორმათა შესახებ 385
24.7. დარგო //დარგა ტიპის პარალელური ფორმები 387
24.8. შევატყვე // შევატყე ტიპის ფორმათა შესახებ 388
24.9. თავისებურება უამბობს ზმნის წყვეტილის ფორმისა 390
24.10. ვალ ზმნის წყვეტილის ფორმათა შესახებ 391
24.11. ფუძეთა ბოლოკიდურის მოკვეცა წყვეტილში 394
24.12. ვ-ს საკითხისათვის -ევ სუფიქსიან ზმნათა ფორმებში 395
24.13. ყალიბთა მონაცვლეობისათვის 399

§ 25. II კავშირებითის წარმოების საკითხები

25.1. მეორე კავშირებითის მაწარმოებელი სუფიქსები 403
25.2. მეორე კავშირებითის მაწარმოებელ სუფიქსთა განაწილების შესახებ არსებული თვალსაზრისები 405
25.3. -ო სუფიქსიანი მეორე კავშირებითი 408
25.4. -ა და -ე სუფიქსიანი მეორე კავშირებითი 410
25.5. წყვეტილისა და მეორე კავშირებითის მწკრივთა წარმოების ურთიერთმიმართებისათვის 419

§ 26. მრავალგზისობის გამოხატვისათვის ქართულში

26.1. მრავალგზისობის კატეგორიისათვის 423
26.2. II ხოლმეობითი პრაქტიკულ გრამატიკებში 424
26.3. II ხოლმეობითი და ნიკო მარი 426
26.4. ორგანული წარმოებიდან აღწერითისაკენ 428
26.5. ხოლმეობითის მწკრივი და ლექსიკურად გამოხატული მრავალგზისობა ძველ ქართულში 430
26.6. მრავალგზისობის გამომხატველ მწკრივთა ურთიერთ-მიმართების საკითხი ძველ ქართულში 435
26.7. მრავალგზისობის გამოხატვა აღმოსავლეთ საქარ-თველოს მთის დიალექტებში 442
26.8. მრავალგზისობის გამოხატვა აღმოსავლეთ საქარ-თველოს ბარის დიალექტებში 449
26.9. მრავალგზისობის გამოხატვისათვის ახალ სალი-ტერატურო ქართულში 453

თავი VI. **III სერიის ფორმათა წარმოების საკითხები**

§ 27. III სერიის ფორმათა წარმოების საკითხები

27.1. *** 456
27.2. მესამე სერიის მწკრივთა წარმოება ძველ ქართულში 457
27.3. რა ხდება ახალ სალიტერატურო ქართულში? 464
27.4. -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა III სერიის ფორმათა შესახებ 470
27.5. ვნებითი გვარის ზმნათა მესამე სერიის ფორმათა შესახებ 475
27.6. ზოგადი დასკვნა პარაგრაფისათვის 478

ბოლოსიტყვა 479
ლიტერატურა 481
პირთა საძიებლები 459
შემოკლებანი 504
G. Gogolashvili, **Georgian Verb (Form-Building Issues)** — Summary 509